

780


1985


1985/5

სემონა

№ 244
(5-6)

საქართველოს
საზღვაოაღმოსავლეთი





კმლ სეზანი — ნატურმორტი

საუნჯე

1985/5

სამეცნიერო
მეცნიერებათა

(68)
ეროვნული
ბიბლიოთეკა



შინაარსი

პროზა და პოეზია

მარიო ვარგას ლიოსა. ხულია დეიდა და მოკალში. რომანი. გაგრძელება. თარგმნა ამირან გაბესკირიამ	8
სერგეი ესენინი. შავი კაცი. ლექსი. თარგმნა თედო ბეჭიშვილმა	103
იბან კროსი. ზეციური კვა. მოთხრობა. დასასრული. თარგმნა ნოდარ ხუნდაძემ	108
იუგოსლავიელი პოეტები. თარგმნა მედეა კახიძემ	154
მკვე ბაჭანი. ერთ ცეცხლს გაანელავს მეორე ცეცხლი. რომანი. ფრანგულიდან თარგმნა დავით კახაბერმა	158
ვადიმ გოიკო. სიტყვა სიკვდილით დასჯის შემდეგ. გაგრძელება. უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ	211
ისიკავა ტაქუგოკუ, ლემსები. თარგმნა ნომადი ბართაიამ	238
ფრანსუა მორიასი. მნავარი. მოთხრობა. ფრანგულიდან თარგმნა ნუნუ ქაღვიშვილმა	244

წერილები

პაატა ჩხეიძე. „კამლეთის“ ქართული თარგმანები	272
ეფიმ დოვინი. წერილები. თარგმნა მედეა შავლიაშვილმა	285
გრიგოლ ფერაძე. ქართული ხელნაწერები ბრიტანეთის ფონდებში. ინგლისურიდან თარგმნა ნათელა ფოფხაძემ	309
ზინა კიშალი. მსოფლიო ხელოვნების ისტორია. იმპრესიონიზმი. გერმანულიდან თარგმნა ნატო თხილაძემ	315
მცირე ინფორმაციები	319

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური აღმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეგია



მთავარი რედაქტორი:

მუსრან მაჭავარიანი

პ. მე. მდივანი:

ნანა დარჩია

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი

ჯუმალ აჯიაშვილი

გიორგი ბაქანიძე

მზია ბაქრაძე

ბაჩანა ბრეგვაძე

ბურაბ გოგიაშვილი

მაგალი თოდუა

ნოდარ კაკაბაძე

ზურაბ კიქნაძე

ვასუშტი კოტიშვილი

რომან შიშინოშვილი

გიორგი ნიშინაძე

ოთარ ნოდია

დალი ფანჯიქია

რუსუდან ქეზულაძე

იორაბ ქეზერელიძე

ნიკო ყიასაშვილი

გივი შანაზარი

გივი ქნელაძე

დავით წერეთელი

ნუგზარ წერეთელი

თამაზ წივწივაძე

რაფო ჭიჭიანი

გარეკანზე: ვან გოგი. მამაკაცის კორტრეტი

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი
გამომშვები ნანა ხართია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გად. წარმ. 2. 07. 85 წ., ხელმოწ., დასაბეჭდად 16. 10. 85 წ., ქაღალდის ზომა 70 X 108¹/₃₂,
სააღრ. თ. 24,25. სასტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,7. ტირ. 10 000, შეკვ. № 1467.

ფასი 1 მან. 80 კაპ.

საქ. კა. ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14



რომანი

თარგმნა ამირან გაბუსკირიამ

17.9.76

VIII

დონ ფედერიკო ტელიეს უნსატეგიმ საათი შეამოწმა, დარწმუნდა, ზუსტად თორმეტი რომ იყო, და თავისი ფირმის ექვს თანამშრომელს—ფირმას „ანტიმლ-რდნელები. ანონიმური საზოგადოება“ ერქვა — გამოუცხადა, შეგიძლიათ სასადილოდ წახვიდეთო. ის აღარ შეახსენა, ზუსტად სამზე — წუთის დაუგვიანებლივ — ადგილზე იყავითო. თანამშრომლებმა უამისოდაც მშვენივრად იცოდნენ, რა დიდ ცოდვად ითვლებოდა ამ ფირმაში დაგვიანება, რისთვისაც ჭარიმა ან სულაც დათხოვნა ელოდათ. ყველანი რომ გაიკრიფნენ, დონ ფედერიკომ კარი დაკეტა — კარს ორი საკეტი ედო — ლეგა, დაწინწკლული შლაპა დაიხურა და უანკაველიკის ქუჩის აქოთებულ ფილაქნებს გაუყვა იქითკენ, სადაც მანქანა ედგა („დოჯის“ მარკის სედანი).

მისი იერი შიშსა და უამურ ფიქრებს აღუძრავდა ადამიანს. საკმარისი იყო ქუჩაში დაგენახა, უმაღლ მიხვდებოდი, რაოდენ განსხვავდებოდა იგი თავის თანამოქალაქეთაგან. დონ ფედერიკო ტელიეს უნსატეგი დაღვინების ახაკში მყოფი ვაჟკაცი გახლდათ. განიერი შუბლი, არწივის ცხვირი, ბასრი მზერა, მდგარი სული დიახაც ცხადყოფდა, დონფუანობა არ გაუჭირდებოდა, თუ რომ დიაცნი ჰყვარებოდა, მაგრამ დონ ფედერიკოს მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ ერთი საქმის — ჭვაროსნული ლაშქრობისთვის შეეწირა და ვერავინ და ვერაფერი (ძილს, ჭამას და ოჯახს თუ არ ჩავთვლით) ვერ გადაახვევინებდა ამ გზიდან. აგერ უკვე ორმოცი წელია ებრძვის და ეომება მისი ქვეყნის მიწაზე მყოფ მღრღნელებს და მიზნად მათი პირისაგან მიწისა აღგვა დაუსახავს.

ამ ქიშერული ამოცანის ამბავი არათუ მისმა ნაცნობებმა, ცოლმა და ოთხმა შვილმაც არ იცოდნენ. დონ ფედერიკოს იგი არავისთვის გაუმხელია, თუმცა თავისი გეგმა წამით არ დაუფიწყნია. დღედაღამ თან სდევდა ეს აკვიატებული კოშმარი, ეს ანიჭებდა ახალ და ახალ ძალებს, გაუნელებელ სიძულვილს ბრძოლის გასაგრძელებლად, რაც ერთ ნაწილს ფრიად უცნაურ, მეორეს—საძრახის, მესამეს კი — მოშგებიან საქმედ მიაჩნდათ. ახლაც ახე იყო: ავტო-

ბიბლიოთეკის მარჯვენა კუთხეში მისი სახელი და თარიღი

სადგურზე რომ მივიდა (არწივის თვალი შეავლო თავის „ლოჯს“, დარწმუნდა, გარეცხილიაო) და ძრავა ჩართო (საათს დახედა და ორი წუთი შეეცადა, ვინემ გახურდებოდა), ფიქრები, ცეცხლის ირგვლივ მოცეკვავე ფარვანა პეპლებივით, კვლავაც მისი სიყრმის იმ წლებსა და ადგილებს დაუბრუნდა, სელვაში მიკარგულ იმ პატარა ხოფელს და შეთხვევას, მისი ბედი რამდენსაა და გადაწყვიტა.

ესე ამბავი ამ საუკუნის პირველ ათწლეულში მოხდა. მაშინ ტინგო მარიას დასახლებას რუკაზე პაწია ჯვარი მიანიშნებდა — სულ რამდენიმე ქოხი, მის ირგვლივ კი — ტყე. ამ ადგილს მოაშურებდნენ ხოლმე ზოგჯერ დედაქალაქიდან ციხეში რამდენიმე გზის სასჯელის მოხდის შემდეგ ფათერაკთა მაძიებელნი, სელვის დაპყრობის ოცნებით ფრთაშესხმულნი. ამ მხარეში ჩამოვიდა ინჟინერი ილდერბრანდოც, ჩამოიყვანა ახალგაზრდა ცოლი (მისი სახელი მაიტე და გვარი უნსატეგი ცხადყოფდა, რომ ქალის ძარღვებში ბასკების ცისფერი სისხლი ჩქეფდა) და პატარა ვაჟი ფედერიკო. ინჟინერს დიდზე დიდი გეგმები ჰქონდა: ამოეთხარა ხეები, გაეტანა ძვირფასი ხე-ტყე, ესოდენ საჭირო შეძლებულთა სახლებისა და ავეჯისათვის, მოეყვანა საზამთრო, აგრეთვე ტროპიკების ხილი — ანანასი, ავოკადო, გუანაბანი, ლუკუმა — ამქვეყნად უველა დახვეწილი გემოს მქონე კაცის პირის ჩასატყბარუნებლად. მოგვიანებით — შეექმნა გემების მიმოსვლა ამაზონის აუზის მდინარეებში. მაგრამ ღმერთმა და ადამიანებმა ნაცრად და ფერფლად აქციეს ინჟინრის მთელი გზნება. სტიქიურ უბედურებებმა — წვიმებმა, სახადებმა, წყალდიდობამ — აგრეთვე ადამიანთა სიჩლუნგემ, მუშახელის უქონლობამ თუ მუშახელის სიზარმაცემ და უტვინობამ, ღვინომ, უსახსრობამ — ერთმეორეზე მიყოლებით ჩაკლა და მოაშთო პიონერის ოცნებანი. ტინგო მარიაში ჩამოსვლიდან ორი წლის შემდეგ მის ფრიად ღარიბულ ცხოვრებას მარტოოდენ მდინარე პენდენსიას ნაპირზე მდებარე კამოტეს (ბატატის) პაწია ბაღია უზრუნველყოფდა. სწორედ აქ, ხეების და ტოტებისაგან შეკრულ ქოხში ერთ დახუთულ ღამეს ვირთხებმა ცოცხლად შეჭამეს ფედერიკოს ახლად დაბადებული დაია მარია ტელიეს უნსატეგი, თავის აკვანში რომ იწვა ქინქლისგან დასაცავი ბადის გარეშე.

ეს საზარელი ამბავი უბრალოდ მოხდა. პაწია გოგოს დედ-მამამ, ნათლიების პირობაზე დღესასწაულზე მიპატიუებულებმა, მდინარის გაღმა ნაპირზე გაათიეს ღამე. ბაღის საყარაულოდ ზედამხედველი და ორი მოჭამაგირე დატოვეს — მათი ფაცხები ბატონის ქოხის მოშორებით იდგა, სადაც ფედერიკოსა და მის დაიას ეძინათ. მაგრამ ბიჭს სიცხეში მუდამ მდინარის პირას გაბქონდა ლეიბი და იქ იძინებდა წყლის ჩუხჩუხის ნანიანაზე. ასე მოიქცა იმ ღამესაც (რაც მთელი სიცოცხლე თავის თავს ვერ აპატია). მთვარის შუქზე იბანავა, დაწვა და დაიძინა. ძილში თითქოს დაიას ტირილი ჩაესმა, მაგრამ არც ისე ხმამალალი და ხანგრძლივი, მისთვის ძილი რომ დაეფრთხო. დილას ბასრი კბილების კბენამ გააღვიძა. თვალები რომ გაახილა, გადაწყვიტა, ალბათ მოვკვდი და ჯოჯოხეთში აღმოვჩნდიო: ირგვლივ რამდენიმე ათეული ვირთხა შემოსეოდა, ერთმანეთზე ყირა-ყირა გადადიოდნენ და გზადაგზა უველაფერს ნთქავდნენ. ბიჭი ლეიბიდან წამოხტა და ქოხი მოიმარჯვა. მისმა უვირილმა ზედამხედველი და მოჭამაგირეები გააღვიძა, რომლებმაც თოხებით, ჩირაღდნებით და წიხლე-

ბით დაიფრინეს შემოსეულთა ურდოები და ქოხში შეცვივდნენ. იქ დაინახეს, პაწია გოგოსაგან (ვირთხების ნადიმისთვის ესოდენ გემრიელი ლუცმა) ერთი მუჭა ძვლებილა დარჩენილიყო.

ორიოდე წუთის შემდეგ ძრავა გახურდა და ღონ ფედერიკო ტელიეს უნ-
ხატეგიც გზას გაუდგა. გველივით გაწელილ სხვა მანქანებთან ერთად გაიარა
ტაკნის ავენიდა, მერე ვილსონის ავენიდაზე შეუხვია, იქიდან კი არეკიპაზე —
ბარანკოს რაიონში წასასვლელად, სადაც სადილი ელოდა. შუქნიშნებთან და-
მუხრუჭებისას, როგორც ყოველთვის, თვალდახუჭული იგონებდა იმ საშინელ
რიჟრაჟს და უმალ შანთივით დადალავდა ხოლმე მწარე გრძნობა, ანდა-
ზისა არ იყოს, „ჭირი ხომ ჭირია, მაგრამ მარტო კაცისთვის კიდევ უფრო დიდი
ჭირიაო“. ამ უბედურების შემდეგ მისი ყმაწვილი ბასკელი დედა დასნეულდა:
შეუჩერებელი სლოკინი აუტყდა, წარამარა გულს აზიდებდა, ვერაფერს ჭამ-
და, ხალხს კი ამით სიცილს ჰგვრიდა. მას აქეთ დედას აღარ დაულაპარაკნია,
მხოლოდ ჩახრინწული ხაოდა რაღაცას. მთელი დღე სლოკინ-სლოკინით და-
დიოდა, შეშინებულ თვალებს აქეთ-იქით აციცებდა და ისე გამოიფიტა, რამ-
დენიმე თვის შემდეგ კიდევ მიჰყვა თავის შვილს. მამამ დაკარგა მეწარმის
მთელი გზნება და ხალისი, დაჩაჩანაკდა, თავს აღარ აქცევდა უურადლებას. როცა
საჯარო ბაზრობაზე ბაღია გაუყიდეს, მეზორნეობას მიჰყო ხელი — მდინარე
უალიაგის ერთი ნაპირიდან მეორეზე ხალხი და საქონელი გადაჰყავდა და სა-
ნოვაგე გადაჰქონდა. მაგრამ ერთ წყალდიდობაზე ღვართქაფმა ბორანი რომ
მიუღუნა, მამას აღარ ეყო ძალა ახალი აეგო და იმ გორას შეაფარა თავი, რომ-
მელსაც, ავხორცულად დაკლაკნილი კალთებისა და გამობურცული ადგილების
გამო, ქალის ძუძუებსა და ვნების აღმძვრელ ღუნდულებს რომ მოაგონებდა
კაცს, „მძინარე მწეთუნახავი“ შეარქვა ხალხმა. აქ ააგო ტოტებისა და ფოთ-
ლებისაგან ფაცხა, მოუშვა თმა-წვერი და სამუდამოდ დასახლდა. ჭამდა მხო-
ლოდ მცენარეთა ნაყოფს და სწევდა გამაბრუებელ ბალახს. როცა ყრმა ფედე-
რიკომ ხელვა მიატოვა, ყოფილ ინჟინერს უკვე ტინგომარიელ ჭადოქრად იც-
ნობდა უველა, ინდაურების გამოქვაბულთან რომ ცხოვრობდა სამ ინდიელ დი-
აცთან ერთად და მუსცელგამობერილ რაქიტთან არსებებს ამრავლებდა.

მარტო ღონ ფედერიკო ვერ გატეხა უბედურებამ. იმავე დილას, ნაცემ-
ნაბეგვმა, დაია ქოხში მარტო რად დატოვეო, მარიას პატარა საფლავის წინ და-
იჩოქა — ამ რამდენიმე საათმა იგი მამაკაცად აქცია — და ფიცი დახდო, ვინემ
პირში სული უდგას, მთელი სიცოცხლე მისი მკვლელების განადგურებისათვის
შეეწირა. ფიცის განსამტკიცებლად ნაცემ ადგილებიდან გამოწურული სისხლის
წვეთებით მორწყო მიწა, დაიას რომ გულზე ეყარა.

ორმოცი წლის შემდეგ — იმის დასტურად, სურვილი და მონდომება
მთებსაც კი დასძრავს ადგილიდანო—ღონ ფედერიკოს—ვინაც „დოჯს“ ახლა
ავენიდიდან ავენიდაზე მიახრიალებდა თავისი ოჯახის წიაღში მჭლე სადილის
მისართმევად — დიახაც შეეძლო ეთქვა, რომ თავისი სიტყვა მან აღასრულა. იმ
განვლილი წლების მანძილზე თანამიმდევარ ცდათა წყალობით აღბათ იმაზე
მეტი მღრღნელი გაანადგურა, ვინემ პერუში მოქალაქე იშვა. იგი ჭიუტად,
თავდაუზოგავად იღვწოდა, ჭილდოს არ ეძიებდა. ამან კი ფრიად ცივი ადამიანი
გახადა, მეგობრებს მოკლებული, უცნაური ჩვევების მქონე.

რაც უველაზე მეტად გაუჭირდა ჭერ კიდევ პატარა ბიჭს, ეს იმ პატარა
მორუხო-მოყავისფრო მხეცებისადმი ზიზლის დაძლევა იყო. თავდაპირველად

ფრიად მარტივი ხერხით დაიწყო: ლეიბების ფირმის მაღაზიასა და ბაზაში მუშაობისას, „გულიანი ძილი“ რომ ერქვა, მიღებული ზედმეტი გასამრჯელოთი რაიმონდის ავენიუზე სათაგური იყიდა. რომელიც ნიშნულად გამოიყენა სხვა მრავალი სათაგურის გასაკეთებლად. გამოხერხავდა ხოლმე პატარა ფიცარს, გადაჭრიდა მავთულს, მოლუნავდა და ბაღის პირებზე დღეში ორჯერ დადგამდა ხოლმე. შიგ გაბმული მხეცები თუ ცოცხალი დაუხვდებოდნენ, ხან ნელ ციცხლზე ხრაკავდა აღელვებული, ხან საწამებლად მავთულს უყრიდა, თვალებს თხრიდა და ასო-ასო კუწავდა.

პატარა ასაკის მიუხედავად ჭკუა მაინც ეყო იმის მისახვედრად, რომ თუ ასე გააგრძელა, დამარცხება არ ასცდებოდა, რომ გეგმის განსახორციელებლად რიცხობრივი და არა თვისობრივი კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს. რა ბედენაა, მარტო ერთ მტერს ამოხადო წამებით სული, უნდა ეცადო მოკლე ხანში რაც შეიძლება მეტი გაეუფო. მისი ასაკისთვის შესაშური სიმტკიცითა და სიღინჯით აღმოიფხვრა გულიდან შეცოდების გრძნობა და მას აქეთ მოფიქრებულად და მეცნიერულად შეუდგა საქმეს. „კანადელ ძმათა“ კოლეჯში მეცადინეობისა და ძილის საათების ხარჯზე (ოღონდ არა დასვენებისა, რამეთუ იმ უბედურების შემდეგ აღარასოდეს უთამაშნია), დღენიადაგ აუმჯობესებდა და სრულყოფილს ხდიდა მახეებს. მან დაუმატა დანა, რომელიც შუაზე გაჭრიდა ცხოველს და ერთსაც არ დატოვებდა ცოცხალს. დაუმატა არა იმიტომ, ვირთხები წამებისაგან ეხსნა, არამედ დრო აღარ დაეკარგა მათ მოსაკლავად. შემდეგ გამოიგონა ძირგანიერი „საოჯახო“ მახეები, სადაც მავთულების ხლართი ერთი დაკვრით სიცოცხლეს ასალმებდა ვირთხებს — დედა, მამასა და ოთხ შვილიკოს.

ამ საქმიანობამ დონ ფედერიკოს მთელ იმ მხარეში გაუთქვა სახელი; ვინაიდან ის, რაც შურის საძიებლად დადებულმა ფიცმა დააწყებინა, თანდათანობით ირგვლივმყოფთა მომსახურების საქმედ იქცა, თუმცაღა ფრიად მცირე გასამრჯელოთი. ჯერ კიდევ პატარა ბიჭს ახლო თუ შორ სოფლებში იწვევდნენ ვირთხების გაჩენისთანავე და ფედერიკოც, მუყაითი ჭიანჭველის დარად, რამდენიმე დღეში მათგან წმენდდა იქაურობას. იძახებდნენ ტინგო მარიაშიც — ქობმახთა ბინადარნი, სახლების მფლობელნი თუ კანტორის მომსახურენი. ხოლო როცა თავად კაპიტანმა დაავალა, კომისარიატი ამ უწმინდურთაგან გაწმინდო, ბიჭი სიამაყის გრძნობით აღივსო. მთელ ფულს კი, გასამრჯელოდ მიღებულს, ფედერიკო ახალ და ახალ მახეთა აგებას ახარჯავდა, რასაც ერთნი სულის სიმახინჯედ, მეორენი კი ბიზნესად უთვლიდნენ. ხოლო როცა უოფილი ინჟინერი „მძინარე მზეთუნახავის“ ავხორციულ ტევრებში მიიმაღა, ფედერიკომ კოლეჯი დატოვა და იარაღიც უფრო დახვეწა, დანა საწამლავით შეცვალა.

იმ ასაკში, როცა სხვა ბავშვები ჩიკორას აბზრიალებენ, ფედერიკოს შრომა დაეხმარა თავისით ეშოვნა ლუკმაპური. მაგრამ იმავე შრომამ უველასგან მოყივნილი გახადა იგი, იხმობდნენ, აუღეტინებდნენ იმ საწიწლარ ქმნილებებს, სუფრაზე კი არ იწვევდნენ, ტკბილ სიტყვას არ იმეტებდნენ. იქნებ კიდევაც ტანჯავდა ეს უველაფერი, მაგრამ არ კი იმჩნევდა, უფრო მეტიც, თანამოქალაქეთა მტრული განწყობა თითქოს თავმოსაწონადაც რჩებოდა, ვერავინ დაიკვებნოდა, მის პირზე ღიმი ვნახეო. გეგონებოდა, იმ საწიწლარი ვირთხების გაუუყვის გარდა ამ ქუშსა და სიტყვაძვირ ბიჭს სხვა არაფერი იტა-

ცებდა, სხვა უინი არ ჰქონდა. ხომ ცოტა იყო გასამრჯელო, მაგრამ უქონელთ უფასოდ უზოცავდა ვირთხებს. უურს მოჰკრავდა თუ არა, აქა და აქ ვირთხების კვალი ნახესო, მუის იქ გაჩნდებოდა მახეების ტომრითა და საწამლაჲს შუშით ხელში. ტექნიკას გამუდმებით აუმჯობესებდა, მაგრამ ახლა უკვე მკვლარ ვირთხებსაც არ ასვენებდა. იმათაც აქრობდა, რაიც იქაურ ბინადარსა და მასწავლის-თა თუ მოახლეთა განსაკუთრებულ გულისწყრომას იწვევდა. ფედერიკომ თავისი წარმოება გააფართოვა: ერთი კუზიანი, ელამი და ლენჩი კაცი დაიქირავა სიერკა დე სან-ხოსეს სოფლიდან. რომელიც საქმლის ხათრით ტომარაში აგროვებდა დიადი ალტჰმისათვის შეწირულთა გვამებს და აბადის სტადიონის უკან წვავდა ან ტინგო მარიას ძაღლებს, კატებს, ძერებს თუ ორბებს აქმევდა.

რომელი ერთი მოიგონოს დონ ფედერიკომ! ხავიერ პრადოს ავენილის შუქნიშანთან მან უთხრა თავის თავს, თქმა არ უნდა. ბევრს მიაღწია მას აქეთ, როცა გათენებიდან გათენებამდე დაძრწოდა კუზიანი ლენჩის თანხლებით ტინგო მარიას ქუჩებში და ყოვლად კუსტარული საშუალებებით დაუნდობლად აჩანაგებდა პაწია მარიას მკვლელებს. მაშინ იგი უმაწვილი იყო, რაც ებადა, ზურგზე ეკიდა. დამხმარეც ერთი ჰყავდა. ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ კი აგერ ტექნიკურ-კომერციული გაერთიანების მეთაურია, რომელსაც პერუს ყველა ქალაქში თავისი ფილიალები აქვს. მას ეკუთვნის თხუთმეტი მსუბუქი საბარგო მანქანა, ხელქვეითად ჰყავს სამოცდარვა ექსპერტი, ყველაზე ძნელი ადგილების მოშხურების საქმეზე რომ მუშაობენ ათასნაირი შხამის ნარევითა და დგამენ ათასნაირ მახეებს. ტექნიკოსთა საბრძოლო ველი ქუჩები და მინდვრები იყო, იქ დასდევდნენ. იქ ნადირობდნენ და ხოცავდნენ ვირთხებს. მითითებანი, მეცნიერული თუ ტექნიკური დახმარება მთავარი შტაბიდან მოდიოდა, რომელსაც დონ ფედერიკო განაგებდა (შტაბში კიდევ ექვსი ტექნოკრატი იყო, ახლა რომ სადილად წავიდნენ). ამ ვარსკვლავედის გარდა ანტივირთხათა ჯვაროსნულ ლაშქრობაში კიდევ ორი ლაბორატორია მონაწილეობდა, რომელთაც დონ ფედერიკომ ხელშეკრულება დაუდო (პრაქტიკულად ეს სუბსიდიები გახლდათ) ახალი შხამების გამოსაცდელად, რამეთუ მტერს გასაოცარი იმუნიტეტი გაჩნდა. ორი-სამი ლაშქრობის შემდეგ მომწამლავი ნივთიერებანი უკვე აღარ მოქმედებდა, უკვე ნუგბრად ქცეულიყო იმათთვის, ვინც უნდა მოესპო. გარდა ამისა დონ ფედერიკომ — რომელმაც სწორედ ამ წუთს შუქნიშნის მწვანე თვალის წინ პირველი სიჩქარე ჩართო ზღვისპირა უბნებისკენ წარსვლელად — საგანგებო სტიპენდია დააარსა: ყოველწლიურად „ანტიმღრღნელების ანონიმური საზოგადოების“ ფირმა ეს-ესაა დიპლომატულ ქიმიკოსს აგზავნიდა ამერიკულ უნივერსიტეტ ბატონ რუფაში ვირთხების განადგურებაში დახაოსტატებლად.

სწორედ ამ გარემოებამ — ანუ მეცნიერების სამსახურმა იდეისათვის — ოცი წლის წინათ ცოლის შერთვა გადააწყვეტინა დონ ფედერიკო ტელიეს უნსატეგის. რამეთუ ისიც ადამიანი იყო და ერთ მშვენიერ დღეს იფიქრა, სულიერი თუ ხორციელი მემკვიდრეები უნდა ჰყავდეს, რომლებიც დედის რძესთან ერთად შეიწოვენ ამ საზიზღარ ცხოველთა სიძულვილს, საგანგებო განათლებას მიიღებენ და დროთა ვითარებაში მის წამონაწყებს გააგრძელებენ, ვინ იცის. სამშობლოს საზღვრების მიღმაც. სწორედ საუკეთესო აკადემიებში აღზრდილ ექვს-შვიდ ტელიესზე ფიქრმა, რომლებიც არამართო გააგრძელებენ, არამედ საუკუნოდაც უკვდავყოფენ მის ფიცს, მიიყვანა დონ ფედერიკო სა-

ქორწინო სააგენტოში (დიახ, დიახ, ის დონ ფედერიკო ვინც თვით ქორწინება-საც კი უარყოფდა). აქ საგრძნობლად დიდი საზღაურის წყალობით მოუნახეს კიდეც ცოლი, ოცდახუთი წლის ქალი, სიტურფით არც მაინც დამაინც გამორჩეული. პირიქითაც კი (კბილები აკლდა და ქონიც ზომაზე მეტად დასდებოდა წელსა და თეძოებზე), მაგრამ რომელიც საქმროს სამ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა: იყო საღსალამათი, კდემამოხილი და გვარის გაგრძელება შეეძლო.

დონია სოილა სარავია დურანი წარმოშობით უანუკოელი¹ გახლდათ; განგების ძალამ, რომელიც თავის გუნებისად ხან ზე ააფრენს, ხან უფსკრულში ჩაჩეხავს ადამიანს, მისი ოჯახის წევრები, პროვინციელი არისტოკრატები ქალაქის ნახევარპროლეტარებად აქცია. იგი სწავლობდა სალესიანელ მონაზონთა უფასო სკოლაში, რომელიც მონაზვნებს (კეთილი ზრახვითა თუ რეკლამის ხათრით?) კერძო, ფასიანი ლიცეუმის გვერდით დაეარსებინათ. დონია სოილა მისი დაქალებივით კომპლექსებით გაიზარდა, რაიც მორჩილ ხასიათსა, შეგუების უნარსა და მგლის მადაში გამოიხატა. თავისი ცხოვრების ერთი ნაწილი მან მონაზვნებთან გაატარა, მეკარე იყო სკოლისა. დღის თავისუფალმა განრიგმა, თანაც გაურკვეველმა მოვალეობამ (ვინ იყო: მოახლე, მოჯამაგირე, მოსამსახურე?) უფრო გაულრმავა მონური ხასიათი. რაც არ უნდა შემთხვეოდა, ყველაფერზე ძროხასავით მორჩილად აბანდურებდა თავს. ოცდაოთხი წლისა რომ დაობლდა, ბევრი ყოყმანისა და ჭოჭმანის შემდეგ ბოლოს მაინც მიაკითხა საქორწინო სააგენტოს, სადაც იმ კაცს შეახვედრეს, ვინც შემდეგში მისი ბატონი და უფალი გახდა.

დონია სოილა მორჩილი და მომჭირნე ცოლი გამოდგა, მუდამ ცდილობდა ქმრის პრინციპებისათვის მიესდია, თუმცა ზოგი ამ პრინციპებს „ექსცენტრიულ“ საქციელად თვლიდა. მაგალითად, არ ამხედრებია დონ ფედერიკოს, როცა ამ უკანასკნელმა ცხელ წყალს ვეტო დაადო (მისი მტკიცებით ცხელი წყალი ნებისყოფას აღუნებს და ხველებას იწვევს) და ოცი წლის შემდეგაც ცივი შხაპის ქვეშ გალურჯებამდე ბანაობდა. არასოდეს გაულაშქრია დაუწერელ, მაგრამ ყველასათვის კარგად ცნობილ იმ საოჯახო კანონის წინააღმდეგ, რომლის მიხედვით აკრძალული იყო ხუთ საათზე მეტი ძილი, რამეთუ ძილი ადამიანს აზარმაცებსო, თუმცა დილის ხუთ საათზე მალვიძარის ყოველ დაწკარიალებებისას დონია სოილას ნიანგისებური მთქნარება ფანჯრებს აზანზარებდა. მორჩილად დაყაბულდა იმაზეც, რომ საოჯახო გასართობებიდან გამოერიცხათ კინემატოგრაფი, ცეკვები, თეატრი, რადიო, ვითარცა ზნეობისა და სულის წარმყვნელნი, აგრეთვე რესტორნები, მოგზაურობანი და ის ყოველივე, რაიც ბინისა თუ საკუთარი თავის დასამშვენებლად იყო საჭირო, ვითარც საოჯახო ხარჯებისათვის საზიანო და ხავნო. მხოლოდ და მხოლოდ ჭამა-სმის ამბავში არ დამორჩილდა დონია სოილა ქმარს, ვინაიდან მისი ერთადერთი ცოდვა ჭამა იყო. თავის ოჯახის მენიუში მუდამ ჩართავდა ხოლმე ხორცეულს, თევზსა და კრემიან ნამცხვარს. მხოლოდ აქ ვერ შეძლო დონ ფედერიკომ თავისი ნება-სურვილის გატანა — წმინდა ვეგეტარიანული სუფრა ჰქონოდა. მაგრამ დონია სოილა არასოდეს ცდილა თავისი ეს ცოდვები ქმრისთვის დაემაღლა, რომელიც ამასობაში უკვე მირაფლორების აურიამულეებულ უბანში მიასრია-

¹ უანუკო — პერუს იმავე სახელწოდების მქონე დეპარტამენტის მთავარი ქალაქი. ლიბის აქლოს.

ლებდა თავის „დოჯს“. დონ ფედერიკოს აზრით, ცოლის გულახდილობა დაბ-
მარებას უწევდა თუ ვერ ამოეძიოდა. ყოველ შემთხვევაში, გაეთვალისწინებინა
მაინც ცოლის ეს სუსტი მხარე. როცა დონია სოილას პირის ჩატკარუნების
სურვილი მოჩილებას გადასწონიდა, ბროწეულივით გაწითლებული და სას-
ჯელს წინასწარ შერიგებული, ქმრის თვალწინ ხარბად ნთქაუდა და შემწ-
ვარ ბიფშტექსს, ერთიანად დაბრაწულ კორვინა-თევზს ან სხვა მსგავს კრე-
მით მოსხმულ ვაშლის ნამცხვარს და არც ეპითიმიოზე გაძალიანებია თავის
დღეში ქმარს. თუ შემწვარი ხორცისა ან შოკოლადისთვის დონ ფედერიკო
სამი დღით დაპარაკს აუკრძალავდა, დონია სოილა თავისი ხელით ჩამოიცვამდა
აღიკაპს, რა არის ძილშიაც არ შეეცოდა; ხოლო თუ სასჯელად საჯდომზე ოც-
დაათ დარტყმას დაუნიშნავდა, ქალი სასწრაფოდ ჩაიწევდა კორსეტს და ღუნ-
დულებს მიუშვერდა.

არა, უთხრა თავის თავს დონ ფედერიკო ტელიეს უნსატეგიმ მირაფლო-
რესის სანაპიროზე გავლისას, სადაც მისმა „დოჯმა“ შავი ბოლი გამოარფრქვია,
და უგულისყუროდ გახედა წყნარი ოკეანის რუხ ტალღებს (ეს ფერი ჭირი-
ვით სძულდა). არა, გაიმეორა მან, რაც მართალია და მართალია, დონია სოილას
არ გაუცრუებია მისთვის იმედები. მაგრამ შვილებმა კი, შვილებმა კი დაამარ-
ცხეს დონ ფედერიკო. აბა, სად ოცნებაში ნალოლიავეები ვირთხების გამანადგუ-
რებელი მეომარი რაზმი და სად ის ოთხი მემკვიდრე, უფალმა ღმერთმა და
ამ ტკბილეულის მსუნაგმა რომ აჩუქა. განა ბედის გაუთვალისწინებელი ლაბ-
ვარი არ იყო, რომ ვაჟი მხოლოდ ორი ჰყავდა. თავშიაც არ მოსვლია, დონია
სოილას შეიძლება გოგოებიც გაუჩნდესო. პირველი ასულის დაბადებამ დიდად
გაუცრუა იმედი, თუმცა ეს კიდევ შეიძლება შემთხვევისათვის მიეწერა. მაგ-
რამ როცა მეოთხე ორსულობის შემდეგ მამაკაცურ ნიშნებს მოკლებული არ-
სება გაჩნდა, არასრულფასოვან არსებათა გაჩენის საფრთხით დაშინებულმა დონ
ფედერიკომ ერთხელ და სამუდამოდ აღუკვეთა თავის თავს მემკვიდრეობის
უოლასთან დაკავშირებული საქმიანობა და ორსაწოლიანი სარეცელი განცალ-
კევებული ლეიბებით შეცვალა. განა იმიტომ, ქალები შესძულდა, არა, რაღაი
არც ეროტომანი იყო და არც ვნებანი მოჭარბებოდა, რისთვის უნდა ეჩინა ის
არსებანი, რომელთა უველაზე დიდი ნიჭი მარტო ლოგინში ან სამზარეულოში
მულავენდებოდა? მისთვის ხომ გვარის გაგრძელების მიზანს მხოლოდ და მხო-
ლოდ ვირთხების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება შეადგენდა. ჰოდა, ტე-
რესასა და ლაურას დაბადებამ კვამლივით გაუფანტა უველა იმედი; რამეთუ
დონ ფედერიკოს სხვა მისი თანამედროვეებივით ხულაც არ მიაჩნდა, ქალს
ვნების გარდა ჰკუაც აქვს და მამაკაცის დარად შეუძლია მუშაობაო. ამასთან
ის ფიქრიც უწამლავდა გუნებას, რომ მის სახელს შეიძლება ჩირქი მოეცხოს.
განა სტატისტიკური მონაცემები არ დასტურებოფდნენ, რომ ქალების ოთხ-
მოცდათხუთმეტი პროცენტი ჰეტერები იყვნენ, არიან და იქნებიან? ამიტომაც,
მისი ასულები რომ კდემამოსილთა იმ ხუთ პროცენტში მოხვედრილიყვნენ,
დონ ფედერიკომ უმკაცრესი ცხოვრების განრიგი დააწესა: არასოდეს სცმო-
დათ გულამოჭრილი კაბები, ზამთარ-ზაფხულ მუქ წინდებსა და გრძელმკლავება
ზღუზებში ევლოთ, ეკრძალებოდათ ფრჩხილების, ტუჩების ღებვა, თვალების
ამოშავება, ლოყებზე წითელი საღებავის წათხიპნა, თმის შუბლზე შეჭრა, „ცხე-
ნის ძუები“ ან ნაირ-ნაირად დაწნული კიკინები — მამრთა მოსახიბლად უველა
ეს ხრიკი; გოგოებს არ ჰქონდათ ნება სპორტსა თუ რამე გასართობებს ზიარე-

ბოდნენ. სადაც შეიძლება მამაკაცები უოფილიუვენენ, არ შეეძლოთ პლაჟზე წასვლა თუ დღეობებზე დასწრება. ამ წესების დარღვევას ფინიკური დასჯა მოსდევდა.

მაგრამ დონ ფედერიკოს წუხილის საგანს არა მარტო მის მემკვიდრეთა შორის ქალთა სქესის გაუთვალისწინებელი გარევა შეადგენდა მისი შინა და მადლი არც მის ორ ვაჟს — რიკარდოსა და უმცროს ფედერიკოს გამოჰყოლოდა. ამ დონდლო ზარმაც ბიჭებს გული არაფრისკენ მიუწევდათ (გარდა საღებო რეზინის ცოხნისა და ფეხბურთისა). როცა დონ ფედერიკო დაუბატავდათ, თუ რა მომავალი ელოდათ წინ, იოტისოდენა სიხარულსა და ხალისს არ იჩენდნენ. არდადეგების დროს მამა აიძულებდა ვაჟებს წინა ხაზზე მებრძოლთა რიგებს შეერთებოდნენ. რათა ახლავე. ამთავითვე გაწაფულიყვნენ მომავალი ომებისათვის, მაგრამ ბიჭები უნდილად და დაუფარავი ზიზლით ემორჩილებოდნენ მამის ბრძანებას. ერთხელ უურიც კი მოჰკრა. რა გულარძნით იხსენიებდნენ ვაჟიშვილები მთელი მისი სიცოცხლის საქმეს და, თავს გვჭრისო, მამაზე ამბობდნენ. ხასჯელად ორივეს კატორღელებივით თმა ძირში გადაახოტრინა. მაგრამ ამ ღონისძიებამ ვერ განუქარვა ღალატის სიმწარე. დონ ფედერიკო ახლა უკვე აღარ იტყუებდა თავს. კარგად იცოდა. მისი სიკვდილის ან ლოგინად ჩავარდნის შემთხვევაში რიკარდო და უმცროსი ფედერიკო არ გაჰყვებიან მამის გზას, სხვა, მოგებით ნაკარნახევს აირჩევენ და მთელი მისი შრომა, ერთი ცნობილი სიმფონიის დარად, დაუსრულებელი დაშთება.

იმავე წუთს, თითქოს სულითა და ხორციით კიდევ უფრო რომ დატანჯულიყო. დონ ფედერიკო ტელიეს უნსატეგიმ იმ უურნალს ჰკრა თვალი, რომელიც „დოჯის“ ღია ხარკმელში შემოაჩოჩა ქუჩის მეგაზეთებ. ფერადი ყდა სულის წამწყმედად ბრჭყვიალებდა დილის მზის სხივებზე. სახე ზიზლმა დაუშანქა დონ ფედერიკოს, როცა ყდაზე ზღვის პირზე მობანავე ორი ასული დაინახა, რომლებსაც ისეთი საბანაო სამოსი ეცვათ, რომლის ჩაცმას მარტო კოკობზიკები თუ გაბედავდნენ. მაგრამ უცებ თითქოს თვალეებში შანთი ატაკესო, პირი იმ მგელივით დაადო, მთვარეს რომ შეჰღმუის. მან იცნო ეს ნახევრად შიშველი უტიფრად მოლიმარე ასულები და ისეთივე თავზარი დაეცა, როგორც იმ ერთ დილას ამაზონის სელვაში, მდინარე პენდენსიას ნაპირზე, როცა ვირთხებით შებილწულ აკვანში თავის პატარა დაიას დახრული ჩონჩხი იხილა. უკან მანქანებმა მიაკივლეს — შუქნიშანზე მწვანე შუქი ანთებულიყო. გაბევებული თითებით ამოაძვრინა დონ ფედერიკომ საფულე, ამ პორნოსურათის ფული მისცა გამყიდველს და მანქანა დაძრა; გრინობდა, სადაცაა რომელიღაც მანქანას დაეჯახებოდა, საჭე ხელიდან უსხლტებოდა და მანქანა აცაბაცა წრეებს არტყამდა. ამიტომ დაამუხრუჭა და ფილაქნის პირას გააჩერა.

აქ, ზიზლით აკანკალებული, დიდხანს დასცქეროდა ამ ამაზრზენ საბუთს. რათქმა უნდა, მისი ასულები ფარული კამერით გადაეღო ვიღაც გაქნილ ფოტოგრაფს, მოცურავეთა შორის დამალულს. ისინი ობიექტივს არ უყურებდნენ, ეტყობა, ლაპარაკობდნენ აგუა დულსეს თუ სულაც ერდურას ავბორცულ პლაჟზე გათხლაშულნი. სულთქმა ისევ დაუბრუნდა დონ ფედერიკოს. ხომ ასე გაოგნებული იყო. მაინც გაუელვა თავში შემთხვევათა წარმოუდგენელმა დამთხვევამ: მაწანწალა ფოტოგრაფმა ლაურა და ტერესა გადაიღო, თახსირმა უურნალმა ამ წაბილწული ქვეყნიერების სამზეუროზე გამოაქენა ისინი, მან კი შემთხვევით აღმოაჩინა სურათი... განა შემთხვევამ არ გახადა მისი თვალეებისთვის აშ-

კარა ეს შემზარავი სიმართლე! მაშასადამე, მისი ასულები მაშინ ემოჩილებიან, როცა მის გვერდით არიან, მაშასადამე, ზურგს მიაბრუნებს თუ არა, ძმებსა და — მთი, ღმერთო! (ღონ ფედერიკოს გულმა რეჩხი უყო) — მის საკუთარ ცოლთან პირშეკრულნი, არად აგდებენ მის ბრძანებებს, პლაჟზე მიეთრევიან და სხეულს საქვეყნოდ აჩენენ. ცრემლებმა დაუსველა მთელი სახე ღონ ფედერიკოს. იგი გულდაგულ ათვალთვრებდა საბანაო საშობსსა და პატარა ნაჭერი, რომელიც ხორცს ფარავდა კი არადა, თვალისთვის უფრო მისატაცებელს ხდიდა ცოდვის სავანეს. აგერ ლაუარასა და ტერესას ყველა კაცისთვის თვალმისაწვდომი ხელები, ფეხები, მუცელი, მხრები და ყელი: რა გაახსენდა, თვითონ ერთხელაც რომ არ უნახავს ახლა ქვეყნის სამზეუროზე გამოფენილი საკუთარი ასულების სხეულის ეს ნაკვთები, იგრძნო, რა სულელურ დღეში ჩავარდა.

ღონ ფედერიკომ თვალები მოიმშრალა და ძრავა ჩართო. გარეგნულად კი დამშვიდდა, მაგრამ გულზე ცეცხლი ეკიდა. ნელა მიჰყავდა თავისი „ლოჯი“ პედრო დე ოსმას ავენიდაზე მდებარე თავისი პატარა სახლისკენ, გუნებაში კი ასე სჯიდა: თუ მისი ასულები დედაშობილა დაეთრევიან პლაჟზე, რა გასაკვირია, მის არყოფნაში სალამოებზე წასულიყვნენ, შარვლები ჩაეცვათ, მამაკაცებს შეხვედროდნენ, სხეული გაეყიდათ და აშიკნი მის სახლშიაც მოეყვანათ? იქნებ თვითონ ღონია სოილა ართმევდა ამაში ფულს? ხოლო რიკარდოსა და უმცროს ფედერიკოს — ამ უკანასკნელს უფრო — უხამსი მოვალეობა — მუშტრების გამოძებნა ეკისრათ? სულშეხუთულ ღონ ფედერიკო ტელიეს უნსატეგის შემზარავი სურათი დაუდგა თვალწინ: ქალიშვილები — კახბები, ვაჟები — ალფონსები, ცოლი კი — მაჭანკალი.

ნიადაგ ძალადობამ — ღონ ფედერიკომ ხომ, კაცმა რომ თქვას, ასი ათასობით ცოცხალი არსება გამოასალმა სიცოცხლეს — ისეთ კაცად აქცია იგი, ვინც მოტყუებას ვაგლახად არავის შეარჩენდა. ერთხელ რომელიღაც აგრონომმა, კვების დარგის დიდმცოდნედ რომ წარმოედგინა თავი, ღონ ფედერიკოს თანდასწრებით გაბედა და განაცხადა, პერუში რომ მსხვილფეხა საქონლის ნაკლებობაა, ხორცის წარმოების გასაზრდელად უპრიანი იქნებოდა ზღვის თაგვების მოშენებაო. ღონ ფედერიკომ ფრიად ზრდილად შეახსენა ამ უტიფარს, ზღვის თაგვები ვირთხების მონათესავენი არიანო. აგრონომმა მაინც არ გადათქვა თავისი, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ზღვის თაგვების ხორცის უუათიანობასა და სინაზეზე გაახურა და გაახურა. აი, მაშინ კი ღონ ფედერიკომ ისე ლეწა უბაში, რომ კვების საქმის მცოდნემ იატაკზე მოადინა ზღართანი და სისხლი თქრიალით დაედინა, მერე კი ის უწოდა, რაც დასტურ ბრძანდებოდა: კაცისმკვლელების უსირცხვილო აპოლოგეტი. ახლა, როცა მანქანა დაკეტა და მძიმედ გაალაჯა სახლისკენ, ტინგო მარიას ფერდაკარგულმა მოღუშულმა მკვიდრმა იგრძნო, ახლაც ისევე უღულს და უბუზბუზებს გულში ვულკანური ლავა, როგორც იმ დღეს, დიეტის მცოდნე აგრონომი რომ ძირს გააგორა, და თვალებიც ეწვის, ანთებული მაშხალის დარად კი მარჯვენა ხელში ის წყეული უურნალი ჩაებლუჯა.

ზარდაცემულსა და გაოგნებულს ვერა და ვერ მოეფიქრებინა, რა სასჯელი მიეგო მისთანა საქციელისთვის. თავი უბრუოდა, გააფთრება გონებას უმღვრევდა, ეს კი უფრო მეტად ამწარებდა, რამეთუ ღონ ფედერიკოს საქციელს მუდამ გონება წინამძღვრობდა. მუდამ სძულდა პრიმიტივთა ის ჯიში, პირუტყ-

ვებივით ინსტინქტსა და გულისთქმას რომ ემონებიან. მაგრამ ამჯერა, როცა გასაღები ამოიღო და რის ვაიფაგლახით გააღო კარი (ბრაზისაგან თითები გახვევებოდა), მიხვდა, დინჯად და გონივრულად ვერ მოიქცევა და ვერც ლაგამს მოსდებს გააფთრებას, თუ გრძნობებს აჰყვა. კარი რომ დაკეტა, დასამშვიდებლად ღრმად ამოისუნთქა. შერცხვა კიდევაც იმის გაფიქრებზე, უმადურები რომ მიუხვდნენ, რარიგ დავამცირეთო.

სახლის პირველ სართულზე პატარა დერეფანი, ასევე პაწაწინა სასტუმრო, სასადილო და სამზარეულო იყო, მეორეზე — საძინებელი ოთახები. დონ ფედერიკომ ცოლს სასტუმროს ზღურბლიდან მოჰკრა თვალი — ბუფეტთან იდგა და რაღაც სისაძაგლეს — კანფეტსა თუ შოკოლადს ცოხნიდა, რომლის კვალიც თითებზე ეტყობოდა. ქმრას დანახვაზე დონია სოილამ შეშინებულმა გაიღიმა და მორჩილად აჩვენა, აი, რას ვქამო.

დონ ფედერიკო აუჩქარებლად მიუახლოვდა, ორი ხელით გაშალა ჟურნალი, ცოლს რომ კარგად დაენახა, რაც ეხატა ჟურნალის ყდაზე. ეგზომ გამომწვევად, უსიტყვოდ ატაკა ცხვირში და ნეტარება იგრძნო იმის დანახვაზე, როგორ გადაფითრდა ქალი, თვალები ღამის ბუდიდან გადმოუცვივდა, პირი დააღო, ტუჩზე კი ლორწო გადმოედინა კანფეტის ნამცეცებთან ერთად. ტინგო მარიას მკვიდრმა მარჯვენა ასწია და აკანკალებულ ქალს მთელი ძალით გაუშალა ყბაში. ქალმა დაიკვნესა, წაბარბაცდა და მუხლებზე დაეცა, თუმცა მისტიური აღტაცებით სავსე თვალები უღისათვის არ მოუშორებია, დონ ფედერიკო — სამართლიანი და უცოდველი დონ ფედერიკო კი ზემოდან დასცქეროდა გამანადგურებელი მზერით. მერმე აუღელვებელი ხმით ბრალდებულთ უხმო:

— ლაურა! ტერესა!

როცა ხმაურზე თავი მოაბრუნა, გოგოები უკვე კიბესთან იდგნენ. ნეტა როდის ჩამოვიდნენ? ტერესას — იგი უფროსი იყო — ხელში მტვრის მჩვარი ეკავა, თითქოს ეს წუთია ოთახს ალაგებდა. ლაურას სკოლის ფორმა ეცვა. გოგოები დაბნეული შეჰყურებდნენ დაჩოქილ დედას და მათკენ მძიმე-მძიმე ნაბიჯებით დაძრულ მამას, რომელიც ისე უახლოვდებოდა შვილებს, ვით გოროზი ქურუმი სამსხვერპლო ლოდს, სადაც მახვილი და ქურუმი ქალი ელის, და ბოლოს ჟურნალი დაინახეს, რომელიც მამამ მამხილებლად ატაკა ცხვირპირში. დონ ფედერიკო არ მოელოდა, რაც მისმა ასულებმა მოიმოქმედეს. იმის მაგივრად, გაფითრებულნი მუხლებზე დაცემულიყვნენ და პატიება ეთხოვათ, ოდნავ შეფაკლულმა ოინბაზებმა ერთმანეთს შეთქმულებივით სწრაფად გადახედეს. არა, თავის თავს უთხრა გულში დონ ფედერიკომ, თურმე მთლიანად არ შეუხვამს შხამის ფიალა დაცარიელებული სულისა და რისხვის მიუხედავად. მაშასადამე, ლაურამ და ტერესამ თურმე მშვენივრად იცოდნენ, სურათი რომ გადაუღეს, ამ სურათს რომ გამოაქვეყნებდნენ და კიდევაც გაახარათ ამ ამბავმა. განა სხვას რას მოახწავებდა მისი ასულების თვალებში გაელვებული ნაპერწკლები? იმ ფიქრზე, რომ მისი ოჯახი, რომელიც მუდამ ზნეობის მკაცრი დამცველი ეგონა, არა მარტო პლაუზე დედაშობილა ტანტალის სენითაა დაავადებული, არამედ ექსიგიბიციონურიც გამხდარა (იქნებ ნიმფომანიაც შეეყოდა?) მთელი სხეული მოუდუნდა, პირში ცარცის გემო იგრძნო და ანაზღად პირველად აიტანა ეჭვმა: გამართლებული კია მისი სიცოცხლე? ამასთან — რაღაც წამში — იმ ფიქრმაც გაუელვა, რომ ერთადერთი საკადრისი სასჯელი ყოველივე ამისთვის მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილი იყო. მაგრამ შვილების მკვლე-

ლობაზე მეტად იმის შეგნება ტანჯავდა, რომ მისი ასულების სანუკვარ ნაკვთებზე ათასობით მამაკაცის თვალი იფათურებდა (თუმცა მარტო თვადი კია?)

დონ ფედერიკო სიტყვიდან საქმეზე გადავიდა: უურნალი მოისროლა, მარცხენა ხელით ლაურას ქურთუკში სწვდა, თავისკენ მიიზრია, მარჯვენა ხელი მთელი ძალით გააფთრებით ხელში დასახეში. სთხლიშა და დღეს ხელმეორედ — ამ დამთხვეულ გიჟურ დღეს! — ხელმეორედ დაეცა უჩვეულო მეხი, შეიძლება ითქვას, იმაზე ძლიერად, ვინემ ამ სულელური უურნალის ყდის ხილვაზე. ლაურას ნაზი ლოყის ნაცვლად მისი ხელი სიცარიელეს ეკვეთა და შაერში სულელურად ჩამოეკიდა. მაგრამ ეს კიდევ რა — საშინელი ელდა თურმე წინ ელოდა. გოგომ არათუ სილა აიცდინა — გაოგნების მიუხედავად დონ ფედერიკოს მაინც გაახსენდა, რომ ასეთი რამ მისი ოჯახის წევრებს თავის დღეში არ გაუბედავთ — სიძულვილით სახემოქცეული თოთხმეტი წლის გოგო მისკენ გამოექანა — დიახ, დიახ, მისკენ, საკუთარ მამისკენ! — და მუშტები და წიხლები დაუშინა.

სისხლი ძარღვებში გაეყინა დონ ფედერიკოს. ეს იგივე იყო, ცის მნათობები რომ მოსწყვეტოდნენ თავიანთ სავალ გზას და გიჟებით დაძგერებოდნენ ერთმანეთს კოსმიურ სივრცეში დასაღეწად და გასაცამტვერებლად. დონ ფედერიკომ ვერ შეძლო საკადრისი პასუხი გაეცა ამ ამბავზე, თვალბდაჭყეტილმა ნელა დაიხია უკან, გააფთრებული, სასოწარკვეთილი გოგო კი მუშტებით მოიწევდა მისკენ, სცემდა და თან გაჰკიოდა: „წყულო სულთამხუთავო! მეზიზღების ნეტა ამწუთსავე სულიმც გაგიცხია!“ კინალამ ჭკუიდან შეიშალა, როცა დაინახა (ყველაფერი ისე სწრაფად დატრიალდა, მოსაზრების დროც აღარ იყო), ტერესაც მისკენ მორბის დის მისაშველებლად და არა შესაჩერებლად. „წუწკო! უტვინო! ყეყეჩო! მანიაკო! საზიზღარო ტირანო! გიჟო! მევირთხევ!“ — ილანძღებოდა ისიც. ორმა პატარა აშარმა კედელს მიაკრა მამა. გონმოსულმა დონ ფედერიკომ თავპირზე ხელები აიფარა დასაცავად, მაგრამ იმავე წუთს ზურგში ტკივილი იგრძნო: თურმე ფეხზე წამომდგარმა დონია სოილამ უკბინა ზურგში. ალბათ გაკვირვების უნარი ჯერ სულმთლად არ დაკარგვოდა, თუკი შეამჩნია, რომ ცოლი თავის ასულებზე უფრო მეტად გარდაქმნილიყო. ნუთუ დონია სოილა, ვისაც თავის დღეში არ დაუჩივლია, ხმა არ აუმაღლებია, უგუნებობის გამუღავნება არ გაუბედავს, ეს თვალბმობრივად არსება იყო, ღონივრად რომ უზაბუნებდა დონ ფედერიკოს, ჩქმეტდა, აფურთხებდა, ბერანგს ახევდა და გიჟვით გასწიოდა: „მოვკლათ! შური ვიძიოთ! ყელზე დაადგეს და დაახრჩოს მისსავე რეგვენობამ! თვალბი ამოვკაწროთ!“ სამივე ისე გაჰკიოდა, დონ ფედერიკოს ეგონა, საცაა უურის ბარაბნები გამისკდებაო. ამოდ შეეცადა თავის დაცვას, ხელიც მოიქნია საპასუხოდ, მაგრამ გაგონილა! ორი ქალი მკლავებზე ჩამოჰკიდებოდა (იქნებ აღრვევ დასწავლილ მუშტი-კრის იყენებდნენ ახლა), მესამე კი ხან მუშტებს უბრაგუნებდა, ხან ჩქმეტდა და კაწრავდა, ხან თავში უხათქუნებდა და თვალთაგან ნაპერწკლებს აყრევინებდა. ხოლო როცა ამ აღქაჯების ხელზე ალისფერი ლაქები დაინახა, მაშინლა იაზრა, სისხლი მდისო.

მაგრამ როცა კიბის თავზე რიკარდო და ფედერიკო-უმცროსი დაინახა, მაშინ კი მიხვდა, ჩემი საქმე წასულიაო. უკანასკნელმა წამებმა ყველა იმედი გადაუწურა და უკვე იცოდა: ბიჭები დასახმარებლად და უკანასკნელი ლახვის ჩასაცემად მოსულიყვნენ. შიშმა დაავიწყა დონ ფედერიკოს ღირსება და პა-

ტივი, იმაზელა ფიქრობდა, როგორმე კარამდე მიედწია და გარეთ გაესწრო. მაგრამ ეს თურმე არც ისე იოლი იყო. ორი-სამი ნაბიჯი გადადგა თუ არა, მარჯვედ დადებულმა სარმამ იატაკზე გააგორა. წელში ორად მოკრუნხული, საშვილიერო ასონი დავიცვაო (მემკვიდრეები სწორედ იქ უმიზნებდნენ წიხლებს), დონ ფედერიკო ცალი თვალით ხედავდა, როგორ ეჭრადდებოდნენ ცოლი და ასულები ცოცხებითა და მაშებით მისი სულის ~~ამოხახლდებოდა~~ გაფიქრებაც ვერ მოახწრო, ეს ქვეყანა მართლა ჭკუაზე ხომ არ შეიშალაო, რომ ვაჟების უვირილი შემოესმა, რომლებიც თან წიხლავდნენ და თან ჩახდახოდნენ: „შეშლილო, წუწკო, ღორო, მევირთხევ“. გონება დაებინდა დონ ფედერიკოს, როცა ანაზღად სასადილოს ერთ შეუმჩნეველ ხვრელიდან თეთრეშვა რუხი მხეცუნა გამოხტა და უტიფარი თვალები აშკარა დაცინვით მიაჩერა დონ ფედერიკოს...

მოკლეს თუ არა დონ ფედერიკო ტელიეს უნხატეგი, პერუელ ვირთხათა სისხლით უძღები ჯალათი? დაივიწყეს თუ არა ქრისტეს მცნებანი მისმა შვილებმა და მამა სიცოცხლეს გამოახალმეს? ან იქნებ სასადილო მაგიდის ქვეშ განრთხმულმა და ყველასაგან დავიწყებულმა გონი დაკარგა, მისი ოჯახის წევრებმა კი ჰაიჰარად შეჰკრეს ამასობაში ბარგი და ზიზლით დატოვეს მშობლიური კერა?

რით დასრულდა ეს სამწუხარო შემთხვევა ბარანკოს რაიონში?

IX

გუნება ჩამიმწარა დოროთეო მარტიზე მოთხრობის ჩაფლავებამ. მაგრამ როცა იმავე დილას ყური მოვკარი, თუ რა უამბო პასკულმა დიდ პაბლიტოს. ვიგრძენი, შთაგონება კვლავ მიბრუნდება და კვლავ შემიძლია ახალი მოთხრობა გავაშანშალო. პასკუალს თურმე უნახავს, ლიმატამბოს აეროდრომზე სიბნელეში ასაფრენი ზოლის კიდეზე გაწოლილ რამდენიმე უპატრონო ბიჭს თვითფრინავის ყოველ აფრენაზე ჰაერის ტალღები რამდენიმე სანტიმეტრზე მიწიდან მაღლა შეისროდა, ილუზიონისტის მსგავსად რაღაც წამები ჰაერში ალივლივებდა და მერე, ტალღების ჩაცხრომასთან ერთად, მიწაზე აბერტყებდა. იმ დღეებში სწორედ ერთი მექსიკური ფილმი ენახე (მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შევიტყვე, რეჟისორ ბუნუელის რომ იყო, და ისიც გავიგე, ვინ იყო თვით ბუნუელი). ფილმს „გარიყულნი“ ერქვა და ძალიანაც მომეწონა. გადავწყვიტე, ისეთივე მოთხრობა დამეწერა მოზარდ ბიჭებზე, რომლებიც ლატაკი უბნების უღმობელმა ყოფამ მგლის ლეკვებად აქცია. ხავიერმა დიდი ეჭვი გამოთქვა ამ თაობაზე, მარწმუნებდა, ეს ყველაფერი მოჩმახულია, ვინაიდან ჰაერის ნაკადი, თვითმფრინავის აფრენით წარმოშობილი, ახალშობილსაც კი ვერ აისვრის ჰაერშიო. ბევრი ვიდავეთ და ბოლოს გამოვუცხადე, თუმცა ჩემს მოთხრობაში გმირები ჰაერში ილივლივებენ, ის მაინც წმინდაწყლის რეალისტური იქნება-მეთქი („არა, ფანტასტიკური“, — მიყვიროდა ხავიერი). ერთი სიტყვით, გადავწყვიტეთ, ერთ რომელიმე ღამეს პასკუალიც წაგვეყვანა და „კორპაკის“¹ მინდორზე წავსულიყავით იმის გასარკვევად, რა იყო მართალი და რა ტყუილი ამ სახიფათო თამაშში (მოთხრობას სწორედ ეს სათაური შევუტრჩიე).

¹ აეროპორტების კორპორაცია პერუში.

იმ დღეს ხულია დეიდას არ შეეხვედრივარ. იმედი მქონდა, მომავალ ზეთშაბათს ვნახავ-მეთქი ძია ლუჩოსთან, მაგრამ არმანდარისებს რომ ვეწვიე ტრადიციულ სადილზე, ხულია არ დამიხვდა, ოღვა ძალომ მაუწყა, ხულია დეიდა თურმე ფრიად „დარბაისელ მთხოვნელს“ — ექიმ გილიერმო ოსორასს დაუპატიჟებია სადილად, ჩვენი ოჯახის შორეულ ნათესავს, ~~თრმეცდსა~~ გადაცილებულს, გვარიან შესახედავსა და შეძლებულ ქვრტმს — ~~მმმმმმ~~

— ჩინებული სასიძოა, — თვალი ჩამიკრა ოღვა ძალომ. — დარბაისელი, მდიდარი, ლამაზი, ორი ვაჟი ჰყავს და თანაც უკვე მოზრდილნი. განა ჩემს დას სწორედ ასეთი ქმარი არ უნდა?

— ეს ბოლო კვირები სულ ტყუილად გააცდინა, — დაატანა ძია ლუჩომ. — არსად არავის მიჰყვებოდა, შინაბერასავით სულ შინ ყურყუტებდა. თუმცა ენდოკრინოლოგი მართლა მოეწონა.

ექვებისგან მოშხამულს მადა პირწმინდად დამეკარგა და გუნებაც ისე მომეწამლა, შემეშინდა კიდეც, ბიძამ და ძალომ არ შემატყონ, ჩემს თავს რა ამბავია-მეთქი. ექიმისა და ხულია დეიდას ამბების დაწვრილებით დაცინცვლა არც დამჭირვებია, ვინაიდან მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდნენ. ექიმს ამ ათიოდე წლის წინ გაუცვნია ხულია ბოლივიის საელჩოში მოწყობილ წვეულებაზე, რომ გაეგო, სად და ვისთან იყო ჩამოსული ხულია, სტუმრად ეწვია, უგზავნიდა თურმე ყვავილებს, ტელეფონზე ურეკავდა, „ბოლივიის“ კაფეში ჩაიზე პატიჟებდა, დღეს კი „იუნიონის“ კლუბში სადილად წაუყვანია. ენდოკრინოლოგი თურმე ძია ლუჩოს ეხუმრებოდა: „შენი ცოლის დას რა ქება უნდა. იქნებ სწორედ მას დავეძებდი, ქორწინების სამსხვერპლოს რომ მეორედ შევეწირო?“.

ძალიან შევეცადე გულგრილად მომესმინა ეს ამბები, მაგრამ, ეტყობა, მაინც ვერ შევძელი, ვინაიდან, მარტო რომ დავრჩით, ძია ლუჩომ მკითხა, რა მოგივიდა, იქ ხომ არ ჩაჰყავ ცხვირი, სადაც არ გეკითხებოდნენ, ან ოყნა ხომ არ, გაგიკეთესო? ჩემდა ბედად, ოღვა ძალომ რადიოდანგმებზე ჩამოაგდო სიტყვა და მეც სული მოვიტყვი. ამბობდა, ეგ პედრო კამაჩო ზოგჯერ მეტისმეტად „ამლაშებს“ ხოლმეო. ვილაც მქადაგებლის ამბავი, რომელმაც მოსამართლის კაბინეტში ქალაღლის საჭრელი დანა „დაისვა“ იმის დასამტკიცებლად, არავინ გამიუპატიურებიაო. ჩემს მეგობარ ქალებს არ მოეწონათო. მე კი ამასობაში ხან გაცოფება მიტანდა, ხან სასო მეკვეთებოდა. რატომ ერთი სიტყვაც არ მითხრა ხულიამ ამაზე? ეს ბოლო ათი დღე, ვინ იცის, რამდენჯერ შევხვედით ერთმანეთს, მაგრამ ექიმზე კრინტი არ დაუძრავს. მაშასადამე, ოღვა ძალომ მართალი თქვა, ხულიას, როგორც იქნა, ვილაც მოეწონაო?

„რადიო პანამერიკანში“ ავტობუსით რომ მივდიოდი, გზაში გუნება შემეცვალა. დამცირების ნაცვლად სიამაყემ ამიტანა. ჩვენი ტრფიალი უკვე კარგა ჩანია გრძელდებოდა. ყოველ წუთს შეიძლება ვისმე გამოვეჭირეთ და ოჯახში ერთი აურზაური ამტყდარიყო. მეორე მხრივ, ნეტა რას ვკარგავდი, თუკი დროს ისეთ ქალთან გავატარებდი, ვინც, მისივე სიტყვით, ლამის დედად მერგებოდა? ცხოვრებამ უკვე საკმაო გამოცდილება შემძინა. ოსორასი სწორედაც ბედმა გამომიგზავნა, ამ საქმისგან თავი ისე დამეხსნა, თითი არ გამენძრია. მაგრამ ამასთან თავს მაინც უსიამოდ ვგრძნობდი, რაღაც უჩვეულო განცდებმა ამიტანა, მინდოდა ან ერთი კარგად გამოვმთვრალიყაფი ან ვილაც მებეგვარადიოში პასკუალს წავეჩხუბე. თავის გუნებისად ნაშუადღევის სამი საათის

მიმოხილვაში ნახევარი გადაცემა ჰამბურგში მომხდარ ხანძრისთვის მიეძღვნა, რომლის დროსაც თორმეტობდენ თურქი ემიგრანტი დამწვარიყო, პასკუალს განუცხადე, ამიერიდან ჩემი საგანგებო ნებართვის გარეშე გიკრძალავ გადაცემებში მკოდრების ხსენებას-მეთქი. ცივად ველაპარაკე აგრეთვე ჩემს ამხანაგს სან-მარკოსის უნივერსიტეტიდან, რომელმაც დამრჩევან ლა-კამახსენა, ჩვენი ფაკულტეტი ჯერ კიდევ არსებობსო, და გამაფრთხილა: ხვალ სამარო-ცესო სამართალში გამოცდა გელისო. ის იყო ყურმილი დაგვიდღე, რომ ტელეფონმა ისევ დაიწკრილა. ხულია დეიდა რეკავდა.

— იმ ვილაც ენდოკრინოლოგის გამო მოგატყუე, ვარგიტას. არ მოგენატრე? — მისი ხმა წკრიალა და სალათის ფოთოლივით ქორფა იყო. — ხომ არ გამიბრაზდი?

— რაზე უნდა გაგბრაზებოდინ? ვის შეუძლია აგიკრძალოს ისე მოიქცე, როგორც მოგესურვება?

— მაშასადამე, მიბრაზდები, — ხულიას ხმა დაუდინჯდა. — ნუ სულელობ. როდის შეეხვდებით? მაშინ აგიხსნი ყველაფერს.

— დღეს არ მცალია, მე თვითონ დაგირეკავ, — ვუთხარი ცივად და ყურმილი ჩამოვკიდე, თუმცა ხულიაზე მეტად ჩემს თავზე მომდიოდა ბრაზი, ეს რა სულელურ ამბავში გავები-მეთქი. პასკუალი და დიდი პაბლიტო ცნობისმოყვარედ შემომაცქერდნენ. საოცარი ამბების მოტრფიალემ ყოვლად დახვეწილად იძია შური წელანდელი შეხურების გამო:

— ღმერთო ჩემო, რა სასტიკია დონ მარიო ქალებისადმი?

— სწორედაც იქცევა, — გამომეჭომაგა დიდი პაბლიტო. — ქალებისადმი მათრახი წამალია.

ჯანდაბაშიც წასულხართ-მეთქი, ვუთხარი ჩემს ორივე რედაქტორს, ოთხი საათის რადიომიმოხილვა გავამზადე და პედრო კამაჩოსკენ გავწიე. კამაჩო თავის გალიაში დამხვდა, მორიგ სცენარს ამანშალებდა, მე კი ამასობაში მის ნაწერებს ვათვალთვლებდი, თუმცა არაფერი მესმოდა, ვინაიდან წარამარა ჩემს თავს ვეკითხებოდი, ხულია დეიდასთან დღევანდელი ტელეფონით ლაპარაკი საბოლოო დაშორებას ნიშნავს თუ არა-მეთქი. ხან ჭირივით მძულდა იგი და ხან სულით და გულით მისკენ ვილტვოდი.

— წამომყევით, გეთაყვა, საწამლავი უნდა ვიყიდო, — მითხრა ნალვლიანად კართან მდგარმა პედრო კამაჩომ და ლომის ფაფარი შეარხია. — დროც დაგვრჩება პირის გასასველებლად.

ვინემ ჩვენ უნიონის ქუჩასა თუ მახლობელ შესახვევებში საწამლავის საძებრად დავრბოდით, მსახიობმა მამცნო, რომ „ლა ტაპადას“ პანსიონში ვირთხები წარმოუდგენლად გათავხედებულან.

— აინუნშიც არ ჩავაგდებდი, მარტო საწოლის ქვეშ გაემართათ ბუქნა. ბალებებისაგან განსხვავებით, ცხოველები სულაც არ მეზიზღება, — იძახდა პედრო კამაჩო და თან თავისი გრძელი ცხვირით რაღაც ყვითელ ფხვნილს ყნოსავდა, რომელზეც აფთიაქარმა გვითხრა, ძროხასაც ფეხებს გააფშეკინებ-სო. — მაგრამ ეს ულვაშოსანნი საარსებო პურს მიჭამენ, ყოველლამ სანოვაგეს მინადგურებენ, ფანჯარაზე შედგმულს, არ გაფუჭდეს-მეთქი. სხვა რა გზა მაქვს, უნდა გავეყუო.

აფთიაქარს ისეთი საბუთები მოუყვანა, კაცი გააბრუა, ფასი დააკლებინა და საწამლავის ტომსიკების შეხვევაც მოსთხოვა. მერე ლა კოლმენის ავენი-

იქნებოან, მაგრამ მე რა შეშველება? ჯავოსა და ვულის გატეხვას რა ვუყო, ვინ გამიქარვებს?

— ამის საუკეთესო წამალი საფალარათთაა. — პედრო კამაჩოს ამ სიტყვებზე არც კი გამცინებია. — ვიცი, იქნებ შეტისმეტ პროზაულ საბრძოლველად მიინჩნით, მაგრამ ენდეთ ჩემს გამოცდილებას. ეგრეთ წოდებულ სატრფიალო კაეშანი სხვა არა არის რა, თუ არ ვუდი მონღოლებისა და მონღოლების შედეგი, გადახრუკული ლობიოთი ან დაიბალი თევზით გამოწვეული კაი მაგარი საფალარათო ყოველგვარ ვნებათა ტელვას შველის.

ექვი არ იყო, პედრო კამაჩო უველას გვაძამპულებდა, მეც და თავის მსმენელებსაც, თვითონვე არ სწამდა, რასაც ამბობდა და არისტოკრატთა სპორტით ერთობოდა — ანუ თავს არწმუნებდა, რომ ჩვენ უველანი — ესე იგი მთელი კაცობრიობა — გამოუსწორებელი ბაიყუშები და ჩერჩეტები ვიყავით.

— თქვენ კი ბევრჯერ განგიცდიათ სიყვარული? ბევრი შემთხვევა გქონიათ?

— დიან, ბევრი, — დამიდასტურა მან და პირთან მიტანილ ფინჯნის ზემოდან გამოძხედა, სადაც იერბალუისისა და პიტნის ნახარში ესხა. — მაგრამ ზორცშესხმული ქალი კი არასოდეს მყვარებია. — მერე წამით იყუჩა იმის გასარკვევად, რამდენად გულუბრყვილო და აუღელი ვიყავი, და შეგონებით და ზიზღით განაგრძო, — როგორ გგონიათ, გავაკეთებდი კი ჩემს საქმეს, მთელი ძალა ქალებისთვის რომ შემელია? თქვენი აზრით, ერთსა და იმავე დროს შეიძლება კაცმა ბავშვებიც აკეთოს და დრამებიც სწეროს, ან ნიადაგ სიფილისის შიშის ქვეშ თზზას? ქალი და ხელოვნება ერთმანეთს გამოორიცხავს, ჩემო კეთილო, ქალის სიტურფე — შემოქმედისთვის სიკვდილია. შენისთანები რომ აჩინო, ეს ხომ ძალღებს, ობობებს და კატებსაც შეუძლიათ, ორიგინალობაა საქირო, მეგობარო! — თქვა ეს და მაშინვე წამობტა, დამაგვიანდა, ხუთი საათის გადაცემას უნდა მივუსწროო, გული დამწყდა, მთელი საღამო არ მომწყინდებოდა მისი სძენა, ასე მეგონა, ჩემდა უნებურად მისი სულის იდუმალ კუნჭულებში, როგორც იქნა, მოვახერხე შეღწევა.

„რადიო პანამერიკანის“ ციკქნა ოთახში ხულია დეიდა დამხვდა, ჩემს საწერ მაგიდაზე დედოფალივით დაბრძანებულიყო, პასკუალისა და დიდი პაბლიტოს ქათინაურებს იამენდა და გულიანად კისკისებდა, როცა ისინი მოწიწებითა და ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, ისე სულმოუთქმელად უკითხავდნენ რადიოცნობებს და საინფორმაციო სამსახურის მუშაობას აცნობდნენ, მაგრამ როგორც კი შევედი, მყის დადინჯდა და ფერი ოდნავ ეცვალა.

— ამას კი არ მოველოდი, — ვთქვი იმიტომ, რომ რაღაც შეთქვა.

მაგრამ ხულია დეიდა სულაც არ იყო ქარაგმების გუნებაზე.

— იმის სათქმელად მოვედი, ყურმილის დაკიდებას შენისთანა ლლაპები-საგან ჩვეული არა ვარ-მეთქი, — მითხრა მან მტკიცედ. — იქნებ მიბრძანო, რა ბზიკმა ვიკბინა?

პასკუალი და დიდი პაბლიტო დრამის ასეთმა დასაწყისმა დიდ საგონებულში ჩააგდო, ხან მე შემომხედავდნენ, ხან ხულიას, ვთხოვე, ერთი წუთით გარეთ გაბრძანდით-მეთქი, ორივემ ავად შემომხედა, მაგრამ წაყრუება ვერ ვაბედეს.

— ყურმილს დაგივდებდი კი არა, იმ წუთას სიამოვნებით მიგახრჩობდი, — მივახალე, როგორც კი მარტონი დავრჩით.

— არ ვიცოდი, თუ ასეთიც იყავი, — თვალი თვალში გამიყარა ხულია დეიდამ, — იქნებ ამოშაქრო, რა დაგემართა?

— მშვენივრად იცი, რაც დამემართა, თავს ნუ იკატუნებ.

— ხომ არ იეჭვიანე, ექიმს ოსორასს რომ გავყვევი სადილად? — მკითხა დაცივნით. — მართლა ლაწირაკი ყოფილხარ, მარიტო. *ერეკუნულში*

— ხომ აგიკრძალე, მარიტო არ დამიძახო-მეთქი, — *ბმეცხსქსქსქსქს* ავიგრძენი, როგორ გავლიზიანდი და ხმა ამიკანკალდა. თვითონაც არ ვიცოდი, რა ებს ვროშავდი. — ახლა ლაწირაკის დაძახებასაც გიკრძალავ.

მე რომ მაგიდის ძგიდენზე ჩამოვჯექი, ხულია დეიდა, აღშფოთების ნიშნად, წამოდგა და ფანჯარას მიადგა. გულხელდაკრეფილი გაპყურებდა მოღრუბლულსა და ნესტიან დილას, თუმცა ვერაფერს ხედავდა, ჩემთვის რა ეთქვა, იმაზე ფიქრობდა. ცისფერი კაბა და თეთრი ტუფლები ეცვა. ანაზღად საოცრად მომინდა მისი კოცნა.

— მოდი, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვავთ, — მითხრა ისე, ჩემკენ არ მობრუნებულა. — შენ მე ვერაფერს ამიკრძალავ ხუმრობითაც კი, იმ უბრალო მიზეზით, რომ ჩემი არც ქმარი ხარ, არც საქმრო და არც საყვარელი. სეირნობა თუ კინოში პრაშტაპრუშტი — თამაშია და მეტი არაფერი. რაც მთავარია, ჩემზე ვერ იბატონებ, ეს კარგად დაიხსომე, შვილიყო.

— შენ მართლა ისე შელაპარაკები, თითქოს დედაჩემი იყო.

— საქმეც ეგაა, რომ მართლაც შეიძლება შენი დედა ვყოფილიყავი, — მითხრა ხულიამ და სახე დაუღონდა. თითქოს ბრაზმა გადაურა და მის ნაცვლად ძველი ტკივილი და დაუკმაყოფილებლობის ღრმა გრძნობა დარჩა. მერე მოტრიალდა და საწერ მაგიდასთან გვერდით დამიდგა. — შენი წყალობით თავს ბებრუხანად ვგრძნობ. ვარგიტას, თუმცა ბებერი არა ვარ, ეს კი სულაც არ მომწონს. ჩვენი ამბავი ახლაც უაზრობაა, მომავალზე რომ არაფერი ვთქვათ.

წელზე ხელი მოვხვიე და ხულიაც მომეკრა. საოცარი სინაზით დავუკოცნე ლოყა, ყელი, ყური (მისი თბილი კანი ნაზად მიფეთქავდა ტუჩებქვეშ და სიციცხლის ეს მალული ჩქეფა ძარღვებში უდიდეს სიხარულს მანიჭებდა). ის კი ძველებურად განაგრძობდა:

— ბევრი ვიფიქრე და ეს ჩვენი ამბავი უკვე აღარ მომწონს, ვარგიტას. განა თვითონ ვერ გრძნობ, რა სულელურია ეს ყველაფერი? აბა ოცდაათორმეტი წლის, ისიც ქმარგაყრილ ქალს რა საქმე მაქვს თვრამეტი წლის ლაწირაკთან? ასეთი გათახსირება ორმოცდაათი წლის ქალებს მოსდგამთ, მე კი ჯერ აქამდე არ მივსულვარ.

სიყვარულმა გული ამიჩქროლა, როცა ყელს, ხელებს ვუკოცნიდი, ნაზად ვკბენდი ყურზე, ტუჩებით ვეფერებოდი ცხვირსა და თვალეებზე, თმას ვუწეწდი თითებით. შიგადაშიგ არც მესმოდა, რას მეუბნებოდა. ხულიას ხმა უკანკალებდა, ხან ჩურჩულზე გადადიოდა.

— პირველად კიდევ მომეწონა, მეტადრე ეს კუკუმალობიას თამაში, — ამბობდა იგი და კოცნას არ მიშლიდა, თუმცა თვითონ არ მკოცნიდა, — ალბათ იმიტომ, რომ კვლავ პატარა გოგოდ მაქციე.

— მაშ, რა გადავწყვიტეთ? — ჩავჩურჩულე ყურში. — ორმოცდაათი წლის ქალად გრძნობ ჩემთან თავს თუ პატარა გოგოდ?

— დრო ატარო დამშეულ, დახარბებულ ღლაპთან, ხელიხელჩაკიდებულმა მასთან იარო კინოში, მორცხვად იკოცნაო — ეს ნიშნავს, კვლავ თხუთმეტი

წლის გოგოდ იგრძნო თავი, — განაგრძობდა ხულია დეიდა. — იმას რა სჯობია, წესიერი ბიჭი შეიყვარო, ვინც პატივს გცემს, შენს შეცდენას არ ცდილობს, ისე გექცევა, როგორც პატარა გოგოს, პირველად ახლა რომ უნდა ეზიაროს. მაგრამ ეს სახიფათო თამაშია, ვარგიტას. სიცრუეზე დაფუძნებულია.

— პო, მართლა, მოთხრობას ვწერ, „სახიფათო თამაში“ ჰქვია ჩვე- ჩურჩულე ყურში, — იმ „ფარვანებზე“, ჰაერში რომ დაფარვატებენ, როცა აეროდრომზე, მათ ახლოს, თვითმფრინავი აფრინდება!

ვიგრძენი, ხულიამ გაიცინა. წუთითაც და ყელზე შემომხვია ხელები, სახე ახლოს მომიტანა.

— კარგი, კარგი, ბრაზმა გამიარა, — მითხრა მან. — ისე კი, აქეთ რომ მოვდიოდი, თვალები მინდოდა შენთვის ამომეკაწრა. ვაი შენი ბრალი, მეორედ რომ დამიგდო ყურმილი.

— ვაი შენი ბრალი, მეორედ რომ წაპყვე სადმე ენდოკრინილოგს, — ვუთხარი და თან მის ტუჩებს ვეძებდი. — უნდა შემომფიცო, რომ აღარასოდეს გაყვები.

ხულიამ დაიხია და სიბრაღულით შემომხედა.

— ხომ არ დაგავიწყდა, ლიმაში გასათხოვრად რომ ჩამოვედი, — ვითომ გაიხუმრა ხულიამ, — მგონი, ამჯერად სწორედ ჩემი შესაფერისი შემხვდა, ლამაზი, ზრდილი, კარგი მდგომარეობის მქონე და თანაც საფეთქლებზე თმა-შევერცხლილი.

— გჯერა კი, რომ ეს საოცრება გითხოვს? — ისევ მომერია ბრაზი და ეჭვები.

ხულიამ დონჩი შემოიყარა და გამომწვევად დამიდგა წინ.

— როგორმე მოვახერხებ, მითხოვოს.

მაგრამ ჩემი სიფათი რომ დაინახა, კვლავ კისკისით შემომხეხვია. ერთმანეთის სიყვარულითა და ვნებიანი კოცნით გატაცებულთ ანაზღად ხავიერის ხმა შემოგვესმა:

— ციხეში ამოპყოფთ თავს ასეთი უწესო ქცევისთვის. — ხავიერი ალტაცებით გადაგვეხვია ორივეს და მერე გვაუწყა: — წავიდეთ, ვიქეიფოთ, ჭნაკა ნანსი დამთანხმდა ხარების ბრძოლაზე წამომყვეს.

— ჩვენც ახლა შევრიგდით პირველი დიდი ბრძოლის შემდეგ, — ვუთხარი ხავიერს.

— როგორ გეტყობა, ჯერ რომ არ მიცნობ, — გამაწყვეტინა ხულია დეი- დამ. — დიდი ბრძოლების დროს მუდამ ჭურჭელს ვამსხვრევ, ვიკაწრები და ხალხს ვხოცავ.

— ბრძოლაში ყველაზე კარგი შერიგება და მიტევებაა, — ხავიერი ასეთ საკითხებში დიდი გამოცდილი ვინმე მყავდა. — ეშმაკმა დალახვროს, კაცი გიყვივით მოვრბოდი, რომ მეთქვა, მე და ჭნაკა ნანსიმ ერთად უნდა გავისეირ- ნოთ-მეთქი, თქვენ კი ცხვირ-პირი ჩამოგტირით. მეგობრებიც თქვენისთანა უნ- და! წავიდეთ, ეს ამბავი დავასველოთ.

წავიკითხე და შევასწორე ორი რადიომიმობილვა, მერე ერთად გავსწიეთ ბელენის ქუჩაზე პატარა კაფეში, ხავიერს რომ ძალიან უყვარდა, ვინაიდან ამ ვიწრო და ჭუჭყიან კაფეში ყველაზე გემრიელ ჩიჩარონესს¹ ამზადებდნენ

¹ თავისივე ქოაში შემწვარი წვრილად დაჭრილა ღორის ხორცი.

მთელ ლიმაში. პასუხალი და დიდი პაბლიტო „პანამერიკანის“ კართან დამხვდნენ (ყველა გოგოს ქათინაურებით აცილებდნენ). მყის რადიოსადგურის კედლებში შევრეკე ორივე. ხულია ხელჩაკიდებული მიმყავდა და წარამარა ვკოცნიდი, თუმცაღა გახურებული შუადღე იყო და ქალაქის შუაგულში შეჩქვლა უამრავ ნათესავსა თუ ნაცნობს დავენახეთ. ხულიას ლოყები მტკუნებდა მთიელი ქალივით და ძალზე კმაყოფილი ჩანდა.

— გეყოთ ბილწობა, თქვე თავკერძებო! — აღშფოთებული იძახდა ხავიერი. — ცოტა ჭნაკა ნანსიზედაც ვილაპარაკოთ.

ლამაში და კეკლუცი ჭნაკა ნანსი ჩემი ერთ-ერთი ბიძაშვილი იყო, რომელსაც, რაც ჭკუაში ჩავარდა, მას აქეთ ენაგამოვდებული მეძებარივით დასდევდა ხავიერი. ჭნაკა ნანსი აინუნშიაც არ აგდებდა მის ტრფიალს, მუდამ დაპირებებით აცუცურაქვდა: კი, ბატონო; კი, მალე, ახლა არა, მერე. ეს რომანი, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, ჯერ კიდევ იმ დროიდან ჭიანურდებოდა, როცა მე და ხავიერი კოლეჯში ვსწავლობდით. ერთგული მეგობრისა და მაჭანკლის პირობაზე წვრილად ვიცოდი ყველაფერი. ვინ მოთვლის, რამდენჯერ „გაცურა“ ნანსიმ ხავიერი, რამდენჯერ აყურყუტა კვირადილაობით „ლეუროს“ კინოთეატრის კართან, მაშინ როცა თვითონ „კოლინასა“ თუ „მეტროს“ კინოთეატრებში იყო გამშპარი, ან რამდენჯერ მოსულა შაბათის საღამოებზე სხვა თაყვანისმცემელთა თანხლებით. ჩემს სიცოცხლეში პირველად მაშინ დავთვერი, როცა ხავიერს წავყევი დარღის ლუდში ჩასახრჩობად სურკილიოს¹ ერთ პატარა ბარში. ხავიერს შეეტყო იმ დღეს, ჭნაკა ნანსიმ „პო“ უთხრაო ასტრონომიული ფაკულტეტის სტუდენტ ედუარდო² ტირავანტის (მირაფლორესში იგი ძალზე სახელგანთქმული ყმაწვილი გახლდათ: ანთებულ სიგარეტს პირში ჩაიდებდა, მერე წარბშეუხრელად გამოიღებდა და ისევ გააბოლებდა). ხავიერი ჩიოდა და წუწუნებდა, მე კი მის ჩივილისა და წუწუნის მოსმენის გარდა მევალა პანსიონშიც მიმეთრია, როცა აზრი სულთმთლად წაერთმეოდა („წვეთს არ ჩავტოვებ არასოდეს...“ — გამაფრთხილა მან ხორზე ნეგრეტეს³ მიბადვით). მაგრამ პირველს კი მე მომელო ბოლო, გონიდან გადასული (ხავიერის წუნკლური მოყოლის მიხედვით) თურმე ბარის დახლზე ავმძვრალვარ და ამ დაწესებულების ლოთ, ხულიგან და ღამის მაწანწალა მუშტრებისათვის (ბარს „ტრიუმფი“ ერქვა) ყვირილი დამიწყია:

— შარვლები ჩაიხადეთ, თქვენ წინ პოეტო დგას! — თან წარამარა შადრევანივით ვარწყევდი თურმე.

ხავიერი მერე სულ მაყვედრიდა, იმის ნაცვლად, ჩემთვის გეშველა და ნუგეში გეცა იმ სამწუხარო ღამეს, ჩემი სათრევი გახდი მირაფლორესში ოჩარანის ქუჩამდე, ისე გამოლენჩდი და აზრი დაკარგეო. ბებიაჩემისთვის რომ ჩაუბარებია ჩემი ნეშტი, არცთუ შესაფერისი კომენტარიც დაუყოლებია:

— მე მგონია, სენიორა კარმენისტა, ვარგიტასი კვდება.

ჭნაკა ნანსიმ მაშინ კი მისცა თანხმობა, მაგრამ შემდეგ ექვსი მირაფლორესელი სატრფო მაინც გამოიცვალა. სატრფოები არც ხავიერს ელვოდა, მაგრამ ეს ამბავი კიდევ უფრო უძლიერებდა ჩემი ბიძაშვილის სიყვარულს. ისევ და ისევ ურეკავდა, შინ აკითხავდა, პატიყებდა და უარის, დაცივნისა თუ

¹ ლიმის ერთ-ერთი რაიონი.

² ცნობილი მექსიკელი მომღერალი და კინოჰსახიობი.

გამწარების მიუხედავად სიყვარულს ეფიცებოდა. ხავიერი იმ ჭურის ადამიანებს ეკუთვნოდა, ვისაც შეუძლია თავმოყვარეობა სიყვარულს დაუმორჩილოს. აინუნშიაც არ აგდებდა, მირაფლორესელი ძმაკაცები რომ ზემო ბიძაშვილი გოგოს დევნის გამო გაუთავებლივ მასხრად იგდებდნენ, ერთი ბიჭი იფიცებოდა, ჩემი თვალით ვნახე, ხავიერი ჭნაკა ნანსის რომ შეეხებოდა ერთხელ დილის წირვის შემდეგ და შესთავაზა: „რა მშვენიერი დილაა, ნანსიტა! ხომ არ დაგველია კოკა-კოლა ან შამპანური?“ ჭნაკა ნანსი დროდადრო მაინც მიყვებოდა ხავიერს ხან კინოში, ხან სალამოს წვეულებაზე და კვლავ იმედებით აღვსილი ხავიერიც ცაში ფრენდა სიხარულით. ახლაც ამ დღეში იყო და გაუჩერებლივ ქაქანებდა, როცა სამივენი რძიან ფაფასა და სანდვიჩებს შევექცეოდით ბელენის ქუჩაზე „ელ პალმეროს“ კაფეში. მე და ხულია თითებგადაწულნი, სუფრის ქვეშ მუხლებშეტყუბულნი ერთმანეთს თვალებში შევცივინებდით, და ხავიერის ლაქლაქი ჭნაკა ნანსიზე მუსიკასავით ჩაგვესმოდა.

— ჩემმა დაპატიუებამ შეძრა იგი! — გვიამბობდა ხავიერი. — აბა რომელ მირაფლორესელ მეკატეს შეუძლია გოგო ხარების ბრძოლაზე დაპატიუოს?

— კი მაგრამ, რა სახსრით? — ვკითხე, — ლატარიაში ხომ არ მოიგე?

— არა, პანსიონის რადიომიმღები გავყიდე, — მითხრა ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე. — პატრონებმა იფიქრეს, მზარეულმა ქალმა მოხპარაო, და გააგდეს კიდეც.

ხავიერმა გვამცნო, ისეთი გეგმა მოვიფიქრე, მოგება განაღდებული მაქვსო. შუა კორიდაზე ჭნაკა ნანსის გასაოცარ საჩუქარს — ესპანურ მანტილიას მივართმევო. ჩემი მეგობარი დედა-სამშობლო ესპანეთის დიდი მოტრფიალე გახლდათ და ყოველივე ესპანურს აღმერთებდა — ხარების ბრძოლა იყო ეს, ფლამენკოს¹ მუსიკა თუ სარიტა მონტიელი². ოცნებად ქცეოდა ესპანეთში გამგზავრება (როგორც მე — საფრანგეთში). მანტილიის ჩუქება კი რომელიღაც გაზეთის რეკლამამ მოაფიქრებინა. ამ მანტილიაში მთელი თვის ხელფასი მიუცია, რასაც იპოთეკურ ბანკში იღებდა, ღრმად დარწმუნებულს, ფულის ამგვარი დაბანდება მოგების საწინდარი იქნებაო. საჩუქარს შეუმჩნევლად მიიტანდა კორიდაზე და, როცა ყველაზე დაძაბული წუთი დადგებოდა, გაშლიდა მაქმანის მოსასხამს და ჩემს ბიძაშვილს ნაზ მხრებზე მოასხამდა. რას ვიტყვით ამაზე? ან რას იზამს ჭნაკა ნანსი? ვურჩიე, მაგ მოსასხამს მკლავი სავარცხელი მიუმატე, როგორსაც სევილიელი დიაცები ატარებენ, კიდეც კასტანეტები და ფანდანგოც³ უმღერე-მეთქი. მაგრამ ხულიამ გატაცებით დაუჭირა მხარი ხავიერს, დიდებული რამ მოგიფიქრებია და, თუ ნანსი მთლად უგულო არაა, უთუოდ მოიხიბლება. ჩემდამი რომ ასეთი ყურადღება გამოეჩინათ, უთუოდ მოვიხიბლებოდიო.

— აბა რას გეუბნებოდი მუდამ? — ისე მკითხა ხულიამ, თითქოს მედავებო. — ხავიერი მართლა რომანტიკოსია. ქალს ისე აყვარებს თავს, როგორც საჭიროა და როგორც წესი მოითხოვს.

გაბედნიერებულმა ხავიერმა შემოგვთავაზა, შემდეგი კვირის რომელიმე დღეს მოდით ოთხივე ერთად წავიდეთ კინოში, ჩაი დავლიოთ და ვიცეკვოთო.

¹ ანდალუზიური ცეკვა და სიმღერა (ბოშური ყაიდისა).

² ესპანელი მსახიობი ქალი.

³ ანდალუზიური ცეკვა-სიმღერა.

— რას იტყვის ჭნაქა ნანსი, ჩვენ რომ ერთად დაგვინახავს? — მაშინვე ჩამოვახტუნე იგი მიწაზე.

ხავერმა უმაღლესი წყალი გადაგვასხა ორივეს:

— მიამიტი ნუ ხარ, იმან ყველაფერი იცის და სალიანაც მოსწონს. მე თვითონ ვუამბე იმავე დღესვე. — მაგრამ ჩვენს განცვიფრებაზე ნუშეშაქურად ჩაიციხა, — შენს ბიძაშვილს მე არაფერს ვუმაღავ, როცა იქნება რომ ჩემი ცოლი გახდება.

ძალიან მეწყინა, ნანსისთვის რომ უამბნია ყველაფერი ხავერს. მართალია მეგობრები ვიყავით და ვიცოდო, არ გაგვცემდა, მაგრამ ხომ შეიძლება გულუბრყვილოდ წამოსცდენოდა რამე და ეს ამბავი ჩვენს სანათესავოს ხანძარივით მოსდებოდა. ხულიაც ერთხანს დუმდა, მერე კი, შეშფოთების დასაფარავად, დაცინვა დაუწყო ხავერს, ხარების ბრძოლისა და ნაზი გრძნობების შეთავსება რომ მოინდომა. მერე „პანამერიკანის“ სადარბაზოსთან დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მე და ხულიამ მოვილაპარაკეთ, კინოში წასვლის მიზეზით შევხვედროდით ერთმანეთს, ვაკოცე და ყურში ჩავჩურჩულე: „ენდოკრინოლოგის მადლიერი უნდა ვიყო — ახლავა დავრწმუნდი, შეყვარებული რომ ვყოფილვარ“. ხულიამ თავი დამიქნია: „მეც ვატყობ, ვარგიტას“.

ხულია და ხავერი რომ ავტობუსის გაჩერებისკენ თვალით გავაცილე, მერეღა მივაქციე ყურადღება „რადიო სენტრალის“ კართან შეგროვილ ხალხს. მეტწილად ახალგაზრდა ქალები, შიგადაშიგ კაცებიც, ორ-ორად ჩამწკრივებულიყვნენ. მაგრამ ხალხი თანდათან ემატებოდა, რიგი იშლებოდა და ყველანი ჯიკავ-ჯიკავით, იდაყვებით მიიკვლევდნენ გზას. მივუახლოვდი, ნეტა რა ამბავია, მიზეზი პედრო კამაჩო ხომ არაა-მეთქი. მართლაც ასე გამოდგა: ავტოგრაფების კოლექციონერებს მოეყარათ თავი. მისი სენაკის სარკმელში ხესუსიტო და ხენაროს მამა დავინახე, მცველებად რომ ედგნენ, თვითონ კი რვეულებზე, ჯიბის წიგნაკებზე, ცალკე ფურცლებსა თუ გაზეთებზე ასვამდა თავის საოცარ ხელწერას და ოლიმპიელის დარად ხელის აქნევით ისტუმრებდა. მისი თაყვანისმცემლები მონუსხულივით მიჩერებოდნენ, კანკალით უახლოვდებოდნენ და ალტაცების სიტყვებს გაურკვევლად ლულულულებდნენ.

— მაგის წყალობით ზოგჯერ ლამისაა თავი გავისკდეს, მაგრამ ეროვნული რადიოს მეფე რომ გახდა ამას წყალი არ გაუვა, — მხარზე დამადო ხელი ხენაროს ვაჟმა და ხალხზე მანიშნა — შენ რას იტყვი?

ვკითხე, როდის აქეთ დაიწყო-მეთქი ავტოგრაფების დარიგება?

— აგერ უკვე ერთი კვირაა, ექვსიდან შვიდის ნახევრამდე, დღეში ნახევარ-ნახევარ საათით. დაკვირვება გკლებია, — მითხრა პროგრესისტმა იმპრესარიომ. — განა არ კითხულობ ჩვენს გამოქვეყნებულ განცხადებებს, ან რადიოს არ უსმენ, სადაც თვითონ მუშაობ? მეც არ მჯეროდა, მაგრამ ხომ ხედავ, შევცდი. მეგონა, თაყვანისმცემლები ერთ-ორ დღეში მოილევინან-მეთქი, ახლა კი დავრწმუნდი, ერთ თვემდე გასტანს.

ხენაროს ვაჟმა დამპატიყა, ბოლივარის მოედანზე ბარში რამე დავლიოთო. მე კოკა-კოლა მოვითხოვე, მაგრამ არ მომეშვა, ვისკი ერთად შევსვათო.

— გესმის კია, ეს რიგი რას ნიშნავს, — მიხსნიდა იგი. — ეს სახალხო აღიარების მაუწყებელია; მაშასადამე, პედროს რადიოდადგმებმა ადამიანთა გულში დიდი გამოხმაურება კპოვა.

კვერი დავუკარი, ექვი არ შეპარება-მეთქი. იმპრესარიომ გამაწითლა კიდევც,

როცა გამომიცხადა, ვითარც „ლიტერატურული მიდრეკილების“ მქონეს, ბოლივიელის მაგალითისთვის მიმებადა და მისგან მესწავლა, როგორ უნდა ხალხის გულის მონადირება. „საილოს ძვლის კოშკში ნუ გამოიკეტები“, — მირჩია ესეც. ხენაროს ვაჟს ბრძანება გაუცია პედრო კამაჩოს ხუთი ათასი ფოტოსურათი დაებეჭდათ და ორშაბათიდან ავტოგრაფებზე მონადირეებში — ხურათებს საჩუქრად მიიღებდნენ. ვკითხე. არგენტინელთა წინააღმდეგ ველსეცის მხარე ილაშქრებს-მეთქი ეს ჩვენი მოკალმე.

— ეს უკვე აღარაფერს ნიშნავს, ამიერიდან ვისაც უნდა იმას გაათათხავს, — მითხრა იღუმლად ხენაროს ვაჟმა. — განა არ იცი ახალი ამბავი? თავად გენერალი უსმენს თურმე პედრო კამაჩოს ყოველ რადიოდანგმას.

ჩემდა დასარწმუნებლად იმპრესარიომ მთელი რიგი საბუთები მომიყვანა: როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, გენერალს საშუალება არა აქვს პედრო კამაჩოს პიესებს დღისით უსმინოს, მაგრამ ყველაფერს ფირზე აწერინებს და ყოველ საღამოს, ძილის წინ, ერთიმეორის მიყოლებით ისმენს თურმე. პრეზიდენტის მეუღლეს თავისი პირით უთქვამს ეს ამბავი ბევრ ღიმიელ მანდილოსნისთვის.

— როგორც ჩანს, გენერალს მგრძნობიარე გული ჰქონია, თუმცა სულ სხვას კი ამბობენ მასზე. — დაასკვნა ხენაროს ვაჟმა. — ისე რომ, თუკი ზემოთ მოვწონვართ, ვის რაში ენალვლება, პედრო თუ გულს მოიოხებს და არგენტინელებს სამაგიეროს გადაუხდის?

ხენაროს ვაჟთან ლაპარაკითა და ხულიასთან შერიგებით ფრთაშეესხმულმა ჩემს ჯიხურს იმ ფიცხელი განზრახვით მივაშურე, „მფრინავ“ ბიჭებზე მოთხრობა დამეწერა. პასკუალი ამასობაში რადიოცნობებს ამთავრებდა. მოთხრობის ბოლო უკვე მოფიქრებული მქონდა. ერთ-ერთი ასეთი თამაშისას უპატრონო ბიჭს ჰაერის ტალღა სხვებზე მაღლა აახტუნებს, დაცემის დროს ყინწს მოიტეხს და თვითმფრინავის ღრიალში სულს დაღვეს. უკანასკნელი წინადადება შეშინებულ, დაბნეულ ამხანაგებს აღწერდა, ბიჭს რომ გარს შემოხვეოდნენ. მოთხრობა მოკლე უნდა ყოფილიყო. გულდაგულ მოფიქრებული, ერთი სიტყვით, ჰემინგუეის მსგავსად.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემს ბიძაშვილ ნანსის ვეწვიე იმის გასარკვევად, როგორ შეხვდა ხულია დეიდას ამბავს და რას ფიქრობდა ამაზე. ნანსი ჯერაც ვერ გამოარკვეულიყო ოპერაცია „მანტილიას“ შთაბეჭდილებიდან.

— არა, თუ გესმის, რა ჩერჩეტად გამოვიცქირებოდი მაგ უტვინოს წყალობით? — იძახდა იგი და მთელ სახლში ფინია ლასკის საძებრად დარბოდა. — ტრიბუნები ხალხით იყო გაჭედილი. მაგან კი არც აცივა, არც აცხელა, შეჯიშული ვახსნა, რაღაც შალი ამოიღო და მხრებზე მომასხა! ყველა მე მომაშტერდა, ხარიც კი ლამის სიცილით მოკვდა! ეს არ მაკმარა, იძულებული გამხადა ამ მოსასხამში ვყოფილიყავი კორიდის დამთავრებამდე. ისიც კი დაიყინა, ქუჩაშიც ასე წამოვსულიყავი! ჩემს სიცოცხლეში ასეთი სირცხვილი არ მიჭამია!

როცა ლასკი მავორდომის საწოლქვეშ აღმოვაჩინეთ (ამ ბანჯგვლიანმა მახინჯმა ძალღმა კბენაც კარგად იცოდა) და ჯიხურში შევათრიეთ, ჭნაკა ნანსიმ საწოლ ოთახში წამიყვანა თავისი სირცხვილის ნივთიერი საბუთის საჩვენებლად. მოდერნულ ყაიდაზე ნახელავი მოსასხამი უმაღლესი ეგზოტიკურ ბალებს, ბოშათა ბანაკებსა თუ მდიდრულ საროსკიპოებს მოაგონებდა კაცს. ნაკეცებში

ყველა ელფერის წითელი ლივლივებდა — ჭახჭახა წითლიდან მოყოლებული ვარდისფრამდე. არშიაზე გრძელი, გამონასკვეული ფოჩები ეკიდა. ოჭროსფერი ზიზილ-პიპილები და კილიტები ისე ბრჭყვინავდა. რეტს დაგასხამდა. ნანსი ხან ტორეროსავით აფრიალებდა შალს, ხან შიგ ეხვეოდა და კისკისეუ კლებდა იქაურობას. ნანსის განვუცხადე, ჩემი მეგობრის მასხრად აგდებეს და ვკითხე, ბოლოს და ბოლოს როდის უნდა გახადო-მეთქი შენი ყურადღების ღირსი.

— უკვე ვფიქრობ ამაზე, — მიპასუხა, როგორც იცოდა ხოლმე, — მომწონს კიდევაც, ოღონდ როგორც მეგობარი.

ვუთხარი, უგულო კოკობზიკა ხარ, შენთვის რომ ეს საჩუქარი ეყიდა, ხავიერმა ქურდობაც კი იკისრა-მეთქი.

— შენ მეუბნები ამას? — ნანსიმ მოსასხამი დაკეცა და კარადაში შეინახა. — ხულიტას მართლა ეკურკურები? არა გრცხვენია? ის ხომ ოლგა ძალოს დაა!

ვუთხარი, ეს ყველაფერი მართალია და სულაც არ მრცხვენია-მეთქი. მაგრამ ვიგრძენი, როგორ მომედო აღმური და ნანსიც, ცოტა არ იყო, დაიბნა. თუმცა მირაფლორესელ ასულს ცნობისმოყვარეობამ მაინც სძლია და მომახალა:

— ცოლად თუ ითხოვ, ოცი წლის შემდეგ შენ ისევ ახალგაზრდა კაცი, იქნები, ხულია კი ბებია, — ნანსიმ ხელი ჩამკიდა და სასტუმროსკენ წამიყვანა. — წამო, მუსიკა მოვისმინოთ და ყველაფერი „ადან ჰაემდე“ ჩამიყაჭე.

ნანსიმ დიდებული ფირფიტები შეარჩია — ნატ კინგ კოული, ჰარი ბელაფონტე, ფრენკ სინატრა, ქსავიერ კიუგეტი — და იქვე მაუწყა, მას აქეთ, რაც სავიერმა ჩვენი სიყვარულის ამბავი ამცნო, თმა ლამის ყალყზე დაუდგეს იმის გაფიქრებაზე, რა მოხდება, ჩვენმა ოჯახმა ეს ამბავი რომ შეიტყოს. განა არ ვიცი, ჩვენი ნათესავები რომ ყველაფერში ცხვირს ჰყოფენ? განა ჩემთვის ცნობილი არაა, როგორც კი ნანსი ახალ თაყვანისმცემელთან ერთად ქუჩაში გამოვა, ათი ძია, რვა მამიდა-ძალუა და ხუთი ბიძაშვილი მყის დედამისს ურეკავენ და ყველაფერს უკაკლავენ ხოლმე. მაშ მე ხულია დეიდა მიყვარს? ღმერთო, რა აურზაური ატყდება, მარტო! ისიც გამახსენა, რომ მთელი ჩვენი ოჯახი ჩემს მომავალზე ოცნებობს და მთელი საგვარეულოს იმედი ვარ. ეს მართალი იყო. ჩემი დამთხვეული ნათესავების ფიქრით თუ მილიონერი არა, პრეზიდენტი მაინც უნდა გავმხდარიყავი (არ ვიცი, საიდან შეექმნათ ჩემზე ესოდენ დიდი წარმოდგენა. ყოველ შემთხვევაში, ამის მიზეზი სკოლაში ჩემი წარჩინება არ ყოფილა — ბრწყინვალედ არასოდეს მისწავლია: იქნებ იმიტომ, რომ პატარაობიდან ყველა მამიდასა და ძალუას ლექსებს ვუწერდი ან ჩემი ასაკისთვის მეტისმეტად გონიერი ვჩანდი). ნანსის დავაფიცე, არავისთან არაფერი დასცდენოდა. ჩემს ბიძაშვილს ცნობისწადილი კლავდა წვრილად გაეგო ჩვენი რომანის ამბავი.

— ხულიტა მოგწონს თუ მართლა სიყვარულით იწვი?

ნანსის ხანდახან გულახდილად ვუყვებოდი ხოლმე ჩემს გრძნობებზე და, რაკილა უკვე რალაც-რალაცები იცოდა, ახლაც ასევე მოვიქეცი, მთელი ამბავი გერ თამაშით დაიწყო, მაგრამ უეცრად, უფრო სწორად, იმ დღეს, როცა ენდოკრინოლოგზე ვიექვიაწე, მივხვდი რომ ხულია მიყვარს-მეთქი. ვუყვებოდი ნანსის ყველაფერს და ჩემთვისაც თანდათან ნათელი ხდებოდა, რა თავსატეხ ამოცანად ქცეულიყო ჩვენი სიყვარული. მიზეზი მარტო ასაკის სხვაობა არ იყო. უნივერსიტეტის დამთავრებამდე სამი წელი მიკლდა, თუმცა გუმანით ვგრძნობ-

დი, ჩემგან ვეჭილი არასოდეს გამოვიდოდა, მხოლოდ წერა მიტაცებდა, მაგრამ მწერლები ხომ შიმშილით კვდებიან. ყოველ შემთხვევაში, ჩემმა ჩემი ჯამაგირით სიგარეტები, რამდენიმე წიგნი და კინოს ბილეთები შემიძლო მეყრდა. დამიცდის კია ხულია დეიდა, კინემ ფეხზე დავდგე და ვეცადე ვეცადე ვეცადე შევიძლებ ფეხზე დადგომას? ჩემმა ბიძაშვილმა ამდენი მსჯელობა მამაჩნა, არ შემდავებია, მხოლოდ კვერს მიკრავდა.

— რა თქმა უნდა, დამიცდის, თუ მანამდე ხულიტაზე თვითონ არ აიყარე გული და არ მიატოვე. — გონივრულად განსაჯა მან. — საწყალი, ტყუილად კი დაკარგავს დროს. ოღონდ ეს მითხარი, მასაც უყვარხარ თუ უბრალოდ გეთამაშება?

ვუთხარი, ხულია დეიდა შენისთანა ცანცარა ფლიუგერი არ გეგონოს-მეთქი (ეს შედარება ნანსის ძალიან მოეწონა). ნანსიმ რამდენჯერმე გაძიძეოჩა ეს კითხვა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მე თვითონ ვკითხე იგივე ხულიას. ჩვენ ზღვის პირას პატარა ბაღში ვისხედით, რომლის სახელის წარმოთქმაზე კაცი ენას მოიტეხდა (დომოდოსოლი თუ რაღაც ამდაგვარი ერქვა). აჰ, ამ ბაღში, როცა ჩახვეულები ერთმანეთს წარამარა ვკოცნიდით, პირველად დავილაპარაკეთ ჩვენს მომავალზე.

— მე ის ზეპირად ვიცი. ჩვენი მომავალი ჯადოსნურ ბროლის ბურთში დავინახე, — მითხრა ხულია დეიდამ წყენის გარეშე. — ჩვენმა სიახლოვემ, დიდი-დიდი, სამი-ოთხი წელი გასტანოს, ანუ მანამდე, ვიდრე ვინმე ცხვირმოუხოცავ გოგოს არ გადაეყრები, რომელიც შენი შვილების დედა გახდება. მე კი სხვა კავალრის შეცდენა მომიხდება და სიტყვა „დასასრულიც“ მაშინ დაიწერება.

ხელები დავუკოცნე და ვუთხარი, რადიოდრამების მოსმენა შენთვის სახეირო არ ყოფილა-მეთქი.

— როგორ გეტყობა, რომ თვითონ არასოდეს უსმენ, — მითხრა მან. — პედროს კამაჩოს დადგმებში სიყვარულზე იშვიათადაა ლაპარაკი. ახლა, მაგალითად, მე და ოლგა მისი იმ დადგმითა ვართ გატაცებული, რომელიც სამ საათზე უნდა გადმოსცენ. იქ ერთი ახალგაზრდა კაცის ამბავია, რომელმაც ძილი დაკარგა, ვინაიდან თვალებს დახუჭავს თუ არა, მაშინვე სულ ის ესიზმრება, ვითომც მისი მანქანა პატარა გოგოს ეჯახება.

მე კი ისევ ჩვენს ძველ თემას დავუბრუნდი და ხულია დეიდას მტკიცება დავუწვე, მე უფრო ოპტიმისტი ვარ, ვიდრე შენ-მეთქი. გაცხარებით ვარწმუნებდი — როგორც ჩემს თავს, ისევე მას — როგორი განსხვავებაც არ უნდა იყოს ასაკში, სიყვარული მხოლოდ მაშინაა ხანმოკლე, თუ მხოლოდ და მხოლოდ ფიზიოლოგიას ემყარება. როცა სიახლე იკარგება, როცა ერთმანეთს ეჩვევი, სიყვარული თანდათან სუსტდება, სქესობრივი ლტოლვა ქრება (მეტადრე მამაკაცებში) და ერთად ცხოვრების გაგრძელებას სხვა სულიერი, გონებრივი თუ ზნეობრივი ანდამატი სჭირდება. აი, სწორედ ამ დროს აღარა აქვს მნიშვნელობა ასაკის სხვაობას.

— ლამაზი სიტყვებია და უარზე არ ვიქნებოდი. სიმართლე რომ იყოს, — ხულია დეიდამ ლოყაზე მომაკრა თავისი მუდამ ცივი ცხვირი, — ოღონდაც ეს ყველაფერი მტკნარი სიცრუეა. ფიზიკური ლტოლვააო მეორეხარისხოვანის რას ამბობ, ვარგითაც, ეს რომ არა, ქალი და კაცი ერთმანეთს ვერც აიტანდნენ.

შეხვდა თუ არა ისევ ენდოკრინოლოგს?

— რამდენჯერმე დამირეკა, — მითხრა ხულიამ ჩემდა გასამწარებლად, მერე მაკოცა და ეჭვები გამიფანტა: — მე კი ვუთხარი, არსად აღარ გამოგყვები-მეთქი.

სიხარულით ცად აფრენილი დიდხანს ვუამბობდი ჩემს მოთხოვნაზე, რომელიც უკვე დამთავრებული მქონდა. ასე ათ გვერდამდე გამომდევდი ექიმის დაბეჭდვას გაზეთ „კომერსიოს“ საკვირაო დამატებაში ვაპირებდი, ამ იღუმალ-ლი წანამძღვარით: „ქალთა სქესს ხულისაგან“.

X

ახალგაზრდა კომივოიაჟერ ლუჩო აბრილ მაროკინის ჭირთათმენანი ერთ მზიან დილას დაიწყო პატარა ისტორიულ ქალაქ პისკოში¹. იგი სამედიცინო საქონლის რეკლამას აწარმოებდა და ცხოვრება ყოველმხრივ საიმედო მომავალს უქადდა. აგერ უკვე ათი წელია — მას აქეთ, რაც ეს მოხეტიალე ხელობა ირჩია — პერუს ქალაქებსა და სოფლებში დადიოდა და ექიმებსა და აფთიაქარებს „ბაიერის ლაბორატორიის“ წამლების ნიმუშებსა და პროსპექტებს სთავაზობდა. ლუჩო აბრილ მაროკინი უკვე ლიმაში დაბრუნებას აპირებდა, რადგან ამ პატარა ქალაქში სამ საათში მოათავა საქმეები. პისკოში ჩამოსვლისას იგი მუდამ თავის სკოლის ამხანაგ, ამჟამად კი სან-ანდრეასის № 9 ავიაოჯახის კაპიტანთან სადილობდა, მაგრამ ახლა გადაწყვიტა არ დაეყოვნებინა და პირდაპირ ლიმაში გამგზავრებულიყო თავის თეთრგვრემან, ფრანგული გვარის მქონე ცოლთან, ვისკენაც ანდამატის ძალით ეწეოდა მჩქეფარე სისხლი და სიყვარულით აღხავსე გული.

ნაშუადღევს ცოტა გადაცილებული იყო. მოედანზე, დატოტვილ ევკალიპტის ძირას ახალთახალი „ფოლქსვაგენი“ უცდიდა მაროკინს, რომელიც მან ნისიად შეიძინა ამ სამი თვის წინათ ცოლთან ერთად. ახლა შიგ პატარა ჩემოდანი ჩადო ნიმუშებით და პროსპექტებით, მერე მოიხსნა შალსტუხი, გაიხადა პიჯაკი (ფირმის შვეიცარიელ მესვეურთა წესების თანახმად კომივოიაჟერებს მეტი სიღარბაისთვის პიჯაკები უნდა ჩაეცვათ და შალსტუხებიც გამოესკვნათ). აქ გადაწყვიტა თავის ამხანაგ კაპიტანთან არ შეეველო და სადმე ხელდახელ წაეხემსა, თორემ მაძლარ კუჭზე ხომ შეიძლება ძილი მოერიოს, ვინემ იმ უდაბნოს გადაჭრის. ლიმაში კი სამი საათი მაინც უნდა გზას.

ლუჩომ გადაჭრა მოედანი, ნაყინის კაფე „სეშიავაში“ შევიდა, იტალიელს ერთი ბოთლი კოკა-კოლა და ატმის ნაყინი შეუკვეთა. სპარტანულ საუზმეს რომ შეექცეოდა, სულაც არ უფიქრია ამ სამხრეთ ნავსადგურის წარსულზე, არ გახსენებია სან-მარტინის გმირობისა და მისი განმათავისუფლებელი ჯარის ნაპირზე გადმოსვლის ამბავი. ლუჩოს ფიქრები (შოი, ვნებით შეპყრობილ მამაკაცთა თავყერძო და ავხორცო სულთ!) მხოლოდ მისი ნაწი ცოლიკოსკენ ჰქროდა. ეს პირთეთრა, ცისფერთვალა, ოქროსკულულება გოგუცუნა ღამის რომანტიკულ

¹ წყნარი ოკეანის ამ პატარა ნავსადგურის ახლოს 1820 წ. სექტემბერში პერუს მიწაზე დაადგა ფეხი სამხრეთ ამერიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადმა, არგენტინელმა გენერალმა ხოსე დე სან-მარტინმა და ბრძოლა გაუმართა ესპანელ როიალისტებს, რის შედეგად 1822 წელს პერუ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

სიბნელეში ისეთ ნეტარების ცახცახს ჰგვრიადა. ნერონიც რომ უარს არ იტყოდა, მინაბულ ფისუნიაწავით ჩაჰკრუტუნებდა უურში „მკენარ ფოთლებს“ პირწმინდა ეროტიკულ ენაზე (რაც უფრო ცუდად გესმის ფრანგული ენა, ლურმე უფრო მეტად გახელებს კაცს). მაგრამ რომ შეატყოს, ცოლის გახსენება მეტისმეტად აღელვებდა, ლუჩომ სხვაზე გადაიტანა ფიქრი, ფული გადაიხარა და გამოვიდა.

უახლოეს წერტში ჩაასხა ბენზინი, რადიატორი წყლით აავსო და გზას გაუდგა. მართალია, მზე უკვე ძალზე აჭერდა და ქურბიცი ცარიელი იყო, ლუჩოს მაინც ნელა მიჰყავდა მანქანა, განა ფეხით მოსიარულეთ არიდებდა, — თავის უვითელ „ფოლქსვაგენს“ ზოგავდა, ვინაიდან ქერათმიან ფრანგ გოგუცუნას შემდეგ მანქანაზე ამოდოდა მზე და მთვარე. კოლეჯის დამთავრების მერე უნივერსიტეტში სწავლას მუშაობა არჩია თავისი დაუდგრომელი ხასიათის გამო. ლუჩომ მხოლოდ ერთი გამოცდა ჩააბარა და „ლაბორატორიაში“ დაიწყო მუშაობა. ათი წლის მუშაობის შემდეგ სამსახურში დააწინაურეს და ხელფასიც მოუმატეს. თან სამუშაოც მოსაწყენი არ იყო. განა საწერ მაგიდასთან უურყუტს ლალი საქმიანობა არ სჯობდა! მაგრამ ახლა უკვე აღარ შეიძლება მთელი სიცოცხლე ბორბლებზე იგრილოს და საფრანგეთის ნაწი უვავილი ლიმაში მარტო დატოვოს, მაშინ როცა დედაქალაქი სირინოზებზე მონადირე ზვიგენებითაა სავსე. ლუჩო აბრილ მაროკინი თავის პატრონებს მოელაპარაკა, რომლებიც ფრიად აფასებდნენ, და დაითანხმა კიდევ, ლუჩო კიდევ რამდენიმე თვეს ივლიდა ქალაქ-სოფლებში და მომავალი წლის დამდეგს სადმე პროვინციაში მოუნახავდნენ ადგილს. ექიმმა შვალბმა, სიტყვაძვირმა შვეიცარიელმა, კიდევაც დაუწუსტა, ეს ადგილი შენთვის დაწინაურება იქნებაო. ლუჩო აბრილ მაროკინი ფიქრებმა გაიტაცა: ხომ შეიძლება ფირმის ფილიალის უფროსობაც შეთავაზონ ტრუხილიოში, არეკიპასა თუ ჩიკლაიოში. ამაზე უკეთესი რაღა იქნებოდა?

ლუჩო უკვე ქალაქიდან გზატკეცილზე გადიოდა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუვლია ეს გზა ავტობუსით, სამარშრუტო თუ საკუთარი მანქანით. ისე რომ, ზეპირად იცოდა იგი. ასფალტის შავი ზოლი სადღაც შორს, მოტიტვლებულ გორაკებსა თუ ქვიშნარ ფლატეებში იკარგებოდა. ზედ ერთი წერტილიც არ ბრჭყვიალებდა, მაშასადამე, არაფერი მოასწავებდა მოძრაობის სხვა რამ საშუალების ჰაჭანებას. წინ მხოლოდ ძველი, დანჯღრეული საბარგო მანქანა მიგორავდა. ის იყო ლუჩომ გასწრება დააპირა, რომ ხიდი და გზაჯვარიდინი დალანდა, სადაც სამხრეთის გზატკეცილი ლითონივით მოლაპლაპე კასტროვირეინას მთავრეხილისკენ მიმავალ გზას ეყრებოდა. მანქანის დიდად მოყვარული და კანონის მიმდევარი კაცის სიფრთხილემ გადააწყვეტინა ლუჩოს გზის გასაყარამდე საბარგო მანქანისთვის არ გაესწრო, რომელიც ორმოცდაათი კილომეტრის სიჩქარით მიდიოდა. ლუჩო აბრილ მაროკინი ბედს დამორჩილდა, სიჩქარეს უკლო და საბარგოს ათიოდე მეტრით ჩამორჩა. აგერ უკვე გამოჩნდა ხიდი, გზაგასაყარი, პატარ-პატარა ბუხულები — სასმელებისა თუ სიგარეტების კიოსკები, საგზაო წერტი, ქოხმახების ირგვლივ მობოროილედ აღამიანთა ლანდები (სინათლე თვალეებში სცემდა და სახეები ვერ გაარჩია).

იმ წუთს, როცა „ფოლქსვაგენმა“ ხიდი გადაჭრა, თითქოსდა საბარგოს ბორბლებიდან გამოძვრაო, ანაზღად გოგო გამოტყვრა გზაზე. სამარადუამოდ ჩარჩა მებსიერებაში ლუჩო აბრილ მაროკინს უეცრად მის წინ გამოვარდნილი

გოგოს შეშინებული სახე, ზეაწეული ხელები. გატყორცნილ ქვახავით მიენარცხა პატარა მანქანის კაპოტს. ყოველივე ისე მოულოდნელი იყო, ლუჩომ ვერც დამუხრუჭება, ვერც განზე გახვევა ვერ მოასწრო. ეს უკვე უბედურების მერე (უკვეთ, დასაწყისში) მოხდა. ლუჩო გაშეშდა, ადგილს მიეყინა, ასე ეგონა, თითქოს სხვის თავზე იყო ეს ამბავი. გაიგონა ყრუ ხმაური, რუსთა გოგოს ხეული ბამპერს შეენარცხა, დაინახა, როგორ ავარდა იგი ქაერში, წრფი შემოხვება და მანქანიდან რვა-ათიოდე ნაბიჯზე დაეცა. მხოლოდ მაშინ დაამუხრუჭა მანქანა, თან ისე მკვეთრად, საჭემ ლამის გულმკერდი შეუნგრია. დაბნეული, გალურჯებული, ყურების ზრიალისგან დაყრუებული გადმოძვრა იგი მანქანიდან და ბორძიკ-ბორძიკით გაიქცა. „არამზადავ! არამზადავ! ბავშვი მოჭკალი!“ — ფიქრობდა გულში. გოგოსთან მიიბრინა და ხელში აიყვანა. ხუთი-ექვსი წლისა იქნებოდა, ფეხშიშველა, ჩამოძენძილი, ჭუჭყლით დაფუფხილი ხელ-ფეხით. სისხლი სდიოდა, მაგრამ თვალები კი დახუჭვოდა და თითქოს აღარც სუნთქავდა. როგორც მთვრალი, ისე ბარბაცებდა ლუჩო აბრილ მაროკინი, ხან უბედურების ადგილს დაჰყურებდა, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ მიტრიალდებოდა და ქარს, ქვიშას, შორს ტალღებს უყვიროდა: „სახწრაფო დახმარება! ექიმი!“ თითქოს სიზმარში ხედავდა, მთიდან რომ საბარგო მანქანა მოჰქროდა, კიდევაც გაიფიქრა: მეტისმეტად ჩქარა მოდის, წინ ხომ გზაგასაყარიაო. იმავე წუთს პოლიციელები დაინახა, ქოხმახების მხრიდან მისკენ რომ მობრბოდა. აქოშინებულიმა, გაოფლიანებულიმა წესრიგის დამცველმა გოგოს დახედა და ჰკითხა: „უგონოდაა თუ მკვდარია?“

სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სულ იმის გარკვევაში იქნება ლუჩო აბრილ მაროკინი, რა უპასუხა მაშინ? დაშავდა გოგო თუ უკვე მკვდარი იყო?.. ვინაიდან პასუხი ვერც მოასწრო, რომ პოლიციელს ისეთი შეძრწუნება გამოეხატა სახეზე, ლუჩომ უკან მიიხედა და ძლივს მოისაზრა, მთიდან გრიალ-გრიალით დაშვებული საბარგო მანქანა პირდაპირ მათკენ რომ მოქროდა. მან თვალები დახუჭა. ძლიერმა დარტყმამ გოგო ხელიდან გააგდებინა და თავად ვარსკვლავიან წყვდიადში ჩასძირა. რაღაც მისტიურ ბურანში გახვეულს კვლავაც ჩაესმოდა საზარელი გრიალი, ყვირილი და ტირილი.

კარგა დიდი ხნის შემდეგ შეიტყო ლუჩომ, საბარგო მანქანა განა იმიტომ დაეჩახა, რომ ამქვეყნად სამართალი არსებობს, რომლის უცდილობელ მძლეობამ ანდაზაც კი დასტურაჰყოფს: „თვალი თვალის წინ, კბილი კბილის წინ“, — არა — მთის სამუშაოებიდან წამოსულ მანქანას თურმე მუხრუჭებმა უდალატა. ისიც შეიტყო, რომ პოლიციელს კისრის მალეები გადაემტვრა და იქვე დალია სული, საწყალი გოგო კი — სოფოკლეს ჭეშმარიტი ასული — მეორე უბედურებამ (თითქოს პირველი არ კმაროდა) არათუ მოკლა, მანქანის უკანა ორმაგმა ბორბლებმა ერთიანად გახრისა (დემონთა და ტარტაროზთა გულგახაბარად).

მაგრამ გავა დრო და ლუჩო აბრილ მაროკინი იტყვის: იმ დილანდელ ჭკუის სასწავლი გაკვეთილიდან უველაზე დაუვიწყარი პირველი და მეორე კატასტროფის შემდეგ მომხდარი ამბავი იყო. ხომ საოცარია და, მისთანა ძლიერი დაჯახების მიუხედავად, რამაც ლუჩო რამდენიმე კვირა ფირმის მუშაკთა საავადმყოფოში დააწვინა, ხადაც უთვალავ ადგილას გადამსხვრეულ ძვლებს, გაგლეჩილ ხორცს, ნაღრძობ სახსრებს უმთელედნენ, იგი მხოლოდ რამდენიმე წამს იყო უგრძობლად. თვალი რომ გაახილა, მომხდარი ამბის სიმართლე

მხოლოდ იმით იწამა, რომ ქოხმახებიდან — სინათლე ახლაც თვალეში სცემდა — ათი, თორმეტი თუ სულაც თხუთმეტი შარვლიანი თუ კაბიანი გამორბოდა. მართალია, განძრევა არ შეეძლო, მაგრამ არც ტკივილს გრძობდა, მხოლოდ რაღაც სულიერი შვება დაუფლებოდა. იმაზეც კი იფიქრა, რაც უკვე საფიქრალი არ იყო — ანუ „სასწრაფო დახმარებასა“, ექიმებისა და მოწყალეების დებზე. ესენი ყველანი აქ იყვნენ, კიდევაც შეეცადა მისკენ დახრილ ადამიანებისთვის გაეღიმა. მაგრამ ცემა და პწკენა რომ დაუწყეს, მუჭლუგუნები და ალიყური უთავაზეს, მაშინ კი მიხვდა, უბედურების ადგილზე მოცვენით აზრადაც არ ჰქონდათ მისი შველა. წააძრეს საათი, ამოუფხიკეს ჭიბეები, ჭიკავ-ჭიკავით ამოაცალეს საფულე და კისრიდან წმინდა იესოს ხატიც ჩამოგლიჯეს, პირველი წიარების დღიდან რომ არ მოუშორებია. მაშინ იყო, კაცობრიობის მოდგმის საქციელით განცვიფრებული მისი გონება წყვდიადმა რომ მოიცვა.

ამ წყვდიადმა თითქმის ერთი წელი გასტანა, თუმცაღა არა ძალა და საშუალება არ დაიშურეს საშველად. პირველად იფიქრეს, კატასტროფამ მართოდენ ფიზიკურად დააშავაო. ლუჩო აბრილ მაროკინი უკვე ლიმაში მოეგო გონს, საავადმყოფოს პაწია პალატაში. თავით ფეხამდე ბანდებით შეხვეულსა და საწოლის ზურგზე მიკრულს შვების მომტან მხსნელ ანგელოზთა დარად გვერდით ედგნენ ყიულეტ გრეკოს ქერათმიანი თანამემამულე და კიდევ ექიმი შვალბი „ბაიერის ლაბორატორიიდან“. ქლოროფორმით გაბრუებულ ლუჩოს გული აუჩუყდა და ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა, როცა ბინდით შეხვეულ შუბლზე ცოლის ბაგე იგრძნო.

დახელოვნებული ექიმების, მუყაითი მოწყალეების დების, მარია მაგდალინელივით ერთგული ცოლის, „ბაიერის ლაბორატორიის“ პატრონთა ხელშეწყობით ძვლების შეწრდა, მყესებისა და კუნთების თავის ადგილზე დაბრუნება, იარათა შეხორცება — მოკლედ, რასაც ხორციელი გარსი ეწოდება — რამდენიმე კვირა გაგრძელდა. „ბაიერის ლაბორატორიის“ პატრონებს, კაცმა რომ თქვას, საყვედური არ ეთქმოდა არც თანაგრძნობისა და არც ფულადი დახმარების მხრივ; საავადმყოფოშივე, უკვე გამოჩანმრთელებისას შეიტყო ლუჩო აბრილ მაროკინმა სასიხარულო ამბავი: ფრანგი ასული ფეხმძიმედ შექმნილიყო და შვიდი თვის შემდეგ მისი ვაჟის დედა გახდებოდა. მაგრამ საავადმყოფოდან სენ-მიგელის რაიონში თავის ბინაში რომ დაბრუნდა და სამსახურში გავიდა, მაშინდა გახდა აშკარა, რაწომ მძიმედ დაუკოდავს მისი სული საავტომობილო კატასტროფას. უძილობა არაფერი იყო სხვა სიავეთა შორის. მთელ ღამეებს თეთრად ათენებდა, ჩამობნელებულ ოთახებში დაბორიილებდა, სიგარეტს სიგარეტზე ჯაჩავდა და აღვზნება ვერა და ვერ დაეცხრო. მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბურტყუნებიდან გაკვირვებული თანამეცხედრის ყურს ნიადაგ „ჭეროდე“ ჩაესმოდა. ბოლოს უძილობას ძილის წამლებმა სძლია, მაგრამ ეს კიდევ უარესი გამოდგა: წამდაუწუმ კოშმარები ესიზმრებოდა — ვითომდა თავის ჭერაც დაუბადებელ ახულს ასო-ასო გლეჯდა. ლუჩოს შემწარავი ღმუილი პირველად მხოლოდ აფრთხობდა ცოლს და მეტი არაფერი, მაგრამ ბოლოს კი მუცელი მოეშალა. ვინ იცის, ნაყოფი მდედრობითი სქესისა იყო. „სიზმარი აცხადდა, მე საკუთარი შვილი მოვკალი. არა, ბუენოს-აირესში უნდა წავიდე“, — დღეთუ ღამ კუშტად გაიძახოდა შვილის მკვლეელი.

მაგრამ ყველაზე საშინელი არც ეს იყო. უძილო კოშმარული ღამეები აუტანელმა დღეებმა შესცვალა. იმ კატასტროფის დღიდან ლუჩო აბრილ მაროკინს ცხოველურად შესძულდა ყველაფერი, რაც კი ბორბლებზე იდგა: ველარ იტანდა მანქანას, ვერც მძღოლისა და ვერც მგზავრის პირობაზე, მუისვე თავბრუხვევა და გულწიდება ეწყებოდა, ოფლად იღვრებოდა, ღამის კვირვლებულიყო კაცი ყველა ცდა ამ გრძნობის დასაძლევად უნაყოფო გამოდგა, ისე რომ, მეოცე საუკუნის ნახევარში კაცი იძულებული გახდა ინკების ხანის უოფას დაბრუნებოდა, როცა ადამიანებმა ბორბლის არსებობა არ იცოდნენ. კიდევ შო, მარტო ხუთი კილომეტრის გავლა დასჭირდებოდა თავის სახლიდან „ბაიერის ლაბორატორიამდე“, გაწამებულ სულს დილა-საღამოს ორი საათი იქით თუ აქეთ ფეხით გასეირნება იქნება მაღამოდაც მოცხებოდა. მაგრამ ის ხომ სამედიცინო საქონლის კომივოიაჟერი იყო, რომლის სარბიელს ღამის მთელი პერა შეადგენდა. ამიტომაც ბორბლების სიძულვილს სავალალო შედეგი მოჰყვა. ლუჩო აბრილ მაროკინს ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა ბორბლებზე სიარულის ხანას დაბრუნებოდა. არადა, მის მომავალს ფრიალ დიდი საფრთხე ემუქრებოდა. „ბაიერის ლაბორატორიის“ პატრონები დათმობაზე წავიდნენ და ღამის ფორმის კანტორაში სამუშაო გამოუძებნეს. შერე რა, რომ ჯამაგირი იგივე ჰქონდა, სულიერი თუ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს ცვლილება დაქვეითებას მოასწავებდა, ახლა ლუჩო ნიმუშების აღნუსხვას აწარმოებდა. ყველა ამ უბედურებას ისიც დაერთო, რომ ფრანგი დიაცი — ორლენელი ქალწულის ღირსეული თანამემამულე — რომელმაც ვაჟკაცურად გადაიტანა ქმრის ძარღვებმოშლილობა, ავად შეიქნა, ანუ მასაც ნერვები აეწეწა, მეტადრე, როცა ლუჩო აბრილის თესლის ნაყოფი მოეშალა. ცოლ-ქმარი შეთანხმდნენ, რომ უკეთეს დროებათა დადგომამდე ერთმანეთს დაცილდებოდნენ — ისე რომ, ანტარქტიდის ცისკარივით ფერმიხდილი ასული საფრანგეთს გაემგზავრა თავის მშობლების კოშკში ნუგეშის საძიებლად.

აი, რა უოფაში აღმოჩნდა ლუჩო აბრილ მაროკინი იმ უბედურებიდან ერთი წლის შემდეგ: ცოლისგან მიტოვებული, ძილსა და სულის სიმშვიდეს მოკლებული, ბორბლების მოძულე, ცხოვრებაში ნიადაგ ფეხით მოჩანჩაღე — (sensu stricto)¹, — მისი ამხანაგი და მეგობარი მხოლოდ დარდი და კაეშანი იყო, (ყვითელი „ფოლქსვაგენი“ აბლაბუდამ და ხვარტქლმა დაფარა, შერე კი სულაც გაიყიდა ოქროსთმიანი ასულის საფრანგეთში გასამგზავრებლად). ლუჩოს მეგობრებ-ნაცნობები გაიძახოდნენ, სხვა გზა არ დარჩენია, ან საგიჟეთში უნდა წავიდეს — ეს კიდევ არაფერი — ან თავი მოიკლასო. მაგრამ ამ დროს, ვითარც ციური მანანა ან ვითარც უდაბნოს შინა მხსნელი წვიმა უმაწვილ კაცს ამბავი მოუვიდა, რომ არის ერთი პიროვნება, არა მღვდელი, არა ექიმბაში, მაგრამ მაინც ადამიანთა სულის მკურნალი და მშველელი — ექიმი ლუსია ასემილა.

ეს გამორჩეული, ეს კომპლექსების არმქონე დიაცი მეცნიერებათა აზრით უკვე იდეალურ ასაკს ანუ ორმოცდაათს უკაკუნებდა. განიერი შუბლი, არწივის ცხვირი, სულის ხიდრმეში ჩამწვდომი მწერა, უზადო ცხოვრება და სიკეთე ექიმ ასემილას ხაკუთარი გვარის ხორცშესხმულ უარყოფად¹ ხდიდა (თუმცა

¹ ამ სიტყვის ვიწრო გაგებით (ლათ.).
¹ ასემილა-ჭორი; გადატანითი მნიშვნ. — გაუთლელი, ხეპრე.

გვარი თვისი ფრიად ეამაყებოდა და სადარბაზო ბარათებსა და საკონსულტაციო ბლანკებზე ხაზგასმითაც აწერდა. ვით პირად მიღწევასა და დამსახურებას — მოკვდავთა თვალში). გონება მისი რალაც, ასე ვთქვათ, მატერიალური გახლდათ, მის ავადმყოფთა ანუ, როგორც თავად ეძახდა, „მეგობართა“ სმენის, ხედვის თუ ყნოსვისთვის მისაწვდომი. ექიმი ასევე პატრონი უამრავი წარჩინებული დიპლომისა, რომლებიც ცოდნის ისეთ უდიდეს კერებში მიეღო, როგორც ტევტონთა ბერლინი, ფლეგმატური ლონდონი და ცოდვათა ბუდე პარიზი გახლდათ. მაგრამ უველაზე დიდი უნივერსიტეტი, რომელმაც ადამიანების უბედურებათა განკურნების გზანი ასწავლა, ცხადია, ცხოვრება იყო. ვით უოველდღიურობაზე ამაღლებულ არსებას, გამჭიქებელნი, რა თქმა უნდა, მასაც არ აკლდა. კიცხავდნენ და თათხავდნენ კოლეგა-ექიმები, უველა ეს ფსიქიატრები თუ ფსიქოლოგები, რომელთაც, მისგან განსხვავებით, სასწაულების მოხდენა არ შეეძლოთ. ექიმი ასევე აინუნშიაც არ აგდებდა, „ექიმბაშად“, „უწმინდურ სულად“, „გახრწნილთა მზრდელად“, „მოყვივნულად“ თუ სხვა მისთანა საძაგელი სახელებით რომ ნათლავდნენ. მისთვის საკმარისი იყო საკუთარი სიმართლის რწმენა და მადლიერება მის ხელში გავლილი უველა შიზოფრენიკის, მამიხმკვლელის, პარანოიკის, ცეცხლისწამკიდებლის, უველანაირი მანიით შეპყრობილის, შავი ნადველით დათრგუნვილის, ონანისტის, მთვარეულის, იმათი, ვისაც ავის მქნელობისკენ უწევდათ გული, მისტიკოსებისა და ენაბლუების, რომლებიც მისი ექიმობის წყალობით, თუმცა თვით ამას „რჩევას“ არკმევდა, ცხოვრებას დაუბრუნდნენ, ვით მოსიყვარულე მშობლები, ვით მორჩილი, გამგონე შვილები, ერთგული ცოლები, პატროსანი მშრომელები, დიდებული მოსაუბრენი და კანონის ფიცხლივ შემსრულებელი მოქალაქენი.

სწორედ დოქტორმა შვალბმა ურჩია ლუჩო აბრილ მაროკინს ამ ექიმში ქალისთვის მიემართა და შვეიცარიელთა ჩვეული გულდაგულობით, რამაც ამკვეყნად უველაზე სწორი და ზუსტი საათები შეაკმნევიანათ, კიდევაც მოუხერხა მასთან შეხვედრა. უფრო ბედის მორჩილებამ, ვინემ რწმენამ მიიყვანა ლუჩო დანიშნულ საათზე სან-ფელიპეს მდიდარ ვილათა უბანში ფლორიბონდიოსის ბაღში მდგარ ვარდისფრად შეღებილ დიდ შენობაში. აქ გახლდათ ლუსია ასევე საკონსულტაციო სამყოფი (უფრო სწორად, ტაძარი, სააღმსარებლო, სულის ლაბორატორია). კობტად ჩაცმულმა მოწყალების დამ ლუჩოს გამოძკითხა და ჩაიწერა კიდევ ზოგი რამ მონაცემი და მერე ექიმის კაბინეტში შეუძღვა. ამ მაღალჭერიან სალონში ტყავში ჩასმული წიგნების თაროები, კარბის საწერი მაგიდა, პიტნის ფერის ხავერდით გადაკრული ტახტი იდგა და ფაფუკი ხალიჩები ეფინა.

— უკუაგდეთ უველანაირი ცრუ რწმენა, რაც აქ მოგყვით, მოადუნეთ ხული და ხორცი, გაიხადეთ პიჯაკი, მოიხსენით ჰალსტუხი, — დაურიდებლად მიახალა ექიმმა ლუსია ასევე დივანზე მიუთითა: — დაწექით აქ, გინდ ზურგზე, გინდ მუცელზე. არა, ეს ფროიდული ოინები არ გეგონოთ, უბრალოდ, მინდა ლაღად იგრძნოთ თავი. ნუ მომიყვებით თქვენს სიზმრებს და არ მითხრათ ახლა, საკუთარ დედას ვეტრფიო. სჯობს დაწვრილებით მიამბოთ, როგორ გიმოქმედებთ კუჭი.

დივანზე გაშხლართულმა სამედიცინო საქონლის კომივოიაჟერმა იფიქრა.

1 ეს ხე პერუში ხარობს და თეთრი, სურნელოვანი ყვავილები აქვს.

ექიმს ვიღაც ავადმყოფში შევეშალეო, და შორიდებით შეჭკადრა, აქ კუჭის კი არა, სულის დაავადებამ მომიყვანაო.

— მერედა რა, — მყისვე მიაგება ექიმმა. — კუჭის დროული და სრული მოქმედება ტვინს ანათლებს და სულსაც ამშვილებს. ხოლო კუჭის მოღუნება და საჭმლის ცუდად მონელება სევდიან ფიქრებს ჰგვრის ადამიანს, ჭუნებას უფუჭებს, კომპლექსებსა და სქესობრივ დამახინჯებას იწვევს, აწუხებს საჭმლისკენ უბიძგებს და იძულებულს ხდის საკუთარი კუჭის უმოქმედებით გამოწვეული ტანჯვა სხვას აწღვევინოს.

ამ ახსნა-განმარტების შემდეგ ლუჩო აბრილ მაროკინი გამოუტყდა ექიმს, რომ დროდადრო ფალარათი აწუხებს, დროდადრო — ყაბზობა, რომ კუჭი ყოველდღე არ უმოქმედებს. ექსკრემენტი კი ფერით, ზომით და, უეჭველია, კონსისტენციითა თუ ტემპერატურით განსხვავებულია (თუმცა არ ახსოვს, ამ უკანასკნელ კვირებში გასინჯა თუ არა). ექიმმა ქალმა კმაყოფილებით დააქნია თავი და წაილაპარაკა: „ახედაც ვიცოდო“. მერე დაავალა, შემდგომ მითითებამდე ყოველდღე უზმოზე ექვსი ცალი შავი ქლიავი ეჭამა.

— ეს გავარკვიეთ, ახლა შემდეგ საკითხზე გადავიდეთ, — დასძინა კაბიანმა ფილოსოფოსმა. — აბა მიამბეთ, რა გაწუხებთ, მაგრამ იცოდეთ — ტანჯვა-წამებისგან ვერ გიხსნით, ოღონდაც გასწავლათ შეიყვაროთ და იამაყოთ კიდეც თქვენი ნაკლით, ისევე როგორც სერვანტესი ამაყობდა თავის ცალხელობით, ბეთშოვენი კი — სიყრუით.

ათი წლის გამოცდილებამ ასწავლა ლუჩო აბრილ მაროკინს, ექიმებსა და აფთიაქარებთან როგორ უნდა მოქცეულიყო. ამიტომაც დაუფარავად მოუყვა ექიმ ქალს, რა საშინელი ამბავი შეემთხვა პისკოში და რა კოშმარები ესიზმრება ღამღამობით ამ ბოლო ხანს. ისიც ჩაურთო, თუ რა აპოკალიფსური შედეგები მოჰყვა ამ საავტომობილო დრამას მისი ოჯახისათვის. აღსარების დასასრულს საოცრად შეებრალა საკუთარი თავი, აქვითინდა და ისეთი სასოწარკვეთით შესძახა: „რამე მიშველეთ, ექიმო!“ ექიმ ლუსია ასემილას გარდა ყოველ კაცს დაუთუთქავდა გულს.

— თქვენმა ამბავმა სულაც არ გამოაცა, უფრო მეტიც, დამალა, ისე მოსაწყენი და ჩვეულებრივია, — დაუყვავა ავადმყოფს ადამიანთ სულის მკურნალმა. — ცხვირი მოიხოცეთ და დაწყნარდით. მერწმუნეთ, თქვენი სულის ხაზღვრებში, თუ მას თქვენივე ხორციელ გარსს შევუდარებთ, ასეთ დაავადებას მხოლოდ დუდკო შეიძლება დავარქვათ. ახლა კი კარგად დამიგდეთ ყური, — წარჩინებული ბანოვნის მიმოხვრით ექიმმა ლუსია ასემილამ აუხსნა და განუმარტა ლუჩო აბრილ მაროკინს: მამაკაცების დაღუპვის ძირეული მიზეზი სიმართლის შიში და მათთვის ჩვეული წინააღმდეგობის გრძნობააო. რაც შეეხება პირველს, ექიმმა ქალმა უძილობით გატანჯულ ლუჩოს ტვინი გაუნათლა: შემთხვევითობა ანუ ეგრეთწოდებული კატასტროფანი სინამდვილეში არც ხდება, ეს ყველაფერი მხოლოდ მამაკაცების ხრიკებია თავიანთივე ვერაგობის დასაფარავადო.

— თქვენ გენებათ გოგოს მოკვლა და მოჭკალით კიდეც, — შეაჯამა თავისი მსჯელობა ექიმმა. — შემდეგ კი შეგეშინდათ, ეს რა ვქენიო, პოლიცია დამიწუებს დევნას, ზეცაც დამსჯისო, და ისე მოაწყვეთ, რომ საბარგო მანქანას თავი გაატანინეთ, ერთსა და იმავე დროს დანაშაულის გამოსყიდვა და საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება ინდომეთ.

— უკაცრავად, მაგრამ... — წაილულლულა კომივოიაჟერმა, რომელსაც თვალები ლამის გადმოცვენოდა, შუბლზე კი ოფლის ღვარი სდიოდა. — უკიდურესი სასოწარკვეთის პირველი ნიშნები. — პოლიციელიც მე მოვკადნი?

— ვის არ მოუკლავს პოლიციელი? — ჩაფიქრებით წაილაპარაკა სწავლულმა დიაცმა. — იქნებ თქვენ მოპკალით, იქნებ — საბურჯო მანქანამ, ანდა სულაც თავად მოიკლა თავი. მაგრამ ახლა ჩვენი მსჯელობის საგანი თაღლითობა როდია, როცა ერთი ბილეთით ორს უნდა შეპარვა. სჯობს თქვენი ამბავი გავარჩიოთ.

ექიმიმე ქალმა აუხსნა ლუჩოს, რომ ქვეშეცნეული ინსტიქტების ჩაბშობა მამაკაცთა სულს აზიანებს და ეს ხული კოშმარული სიზმრებით, სიძულვილით, კომპლექსებით. კაეშნითა და დეპრესიით იძიებს შურს.

— საკუთარ თავთან ჭიდილი არას გარგებთ, რამეთუ ამ ომში ვერავინ იმარჯვებს, — თქვა კაბიანმა მოციქულმა, — ნუ გრცხვენიათ საკუთარი თავის, იმითღა ინუგეშეთ, რომ ყოველი კაცი — აფთარია და კაიკაცობა მხოლოდ თავის კარგად მოკატუნებას ნიშნავს. ჩაიხედეთ სარკეში და თქვენს თავს უთხარით: „მე ბავშვის მკვლელი ვარ, მე სიჩქარისა მეშინია“. კმარა ქარაგმები. სიტუვა აღარ გამაგონოთ არც კატასტროფებზე და არც ბორბლის სინდრომზე.

ექიმი ახლა მაგალითებს მოჰყვა: ონანისტებს, მუხლმოყრილი რომ ეხვეწებოდნენ, გამკურნეთო, თურმე პორნოგრაფიულ ეურნალებს ჩუქნიდა; ნარკომანებს. ამ დაღუპულ ხალხს, სასოწარკვეთილნი რომ იგლეჯდნენ თმას, მარხუანას, სიგარეტებსა და ერთ მუჟა კოკის ხმელ ფოთლებს თავაზობდა.

— მაშახადამე, მირჩევთ, რომ შემდეგშიაც ვხოცო ბავშვები? — შეპლრილა კომივოიაჟერმა. ახლა კრავს კი არა, ვეფხვს ჰგავდა კაცი.

— თუკი გსიამოვნებთ, რატომაც არა?! — ცივად მიაგება ფსიქოლოგმა. — და გთხოვთ, ნუ მიყვირით, ვაჭრუჯანა ქალი ნუ გგონივართ, ვისთანაც მუშტარი მუღამ მართალია.

ლუჩო აბრილ მაროკინს კვლავ ქვითინი წასკდა. ექიმი ლუხია ასემილა კი მთელი ათი წუთი აღუშფოთველად წერდა რაღაცას ქალაღლის ფურცლებზე. მერე საერთო სათაურად წააწერა „სავარჯიშოები, ადამიანს რომ დაუფარავად ცხოვრება ასწავლოს“, ლუჩოს მისცა და რვა კვირის შემდეგ დაიბარა. დამშვიდობების ხელი რომ ჩამოართვა, ისიც შეახსენა, დილაობით შავი ქლიავის ჭამა არ დაგავიწყდეთო.

ექიმის სამყოფელიდან წამოსვლისას ლუჩო აბრილ მაროკინმა, ლუხია ასემილას მეტწილ ავადმყოფთა მსგავსად, თავი ფსიქიკურ მახეში გაბმულად იგრძნო და გადაწყვიტა, თუ ამ უცნაურზე უცნაური ფსიქოპათის რჩევას აყუყვი, საბოლოოდ დავიდუბებიო. ერთი პირობა იფიქრა კიდევ სავარჯიშოები საპირფარეშოში ჩაეყარა წაუკითხავად. მაგრამ როცა იმ დამესაც უძილობამ გააწამა, რაიც კაცს უკიდურესობისკენ უბიძგებს, ნაწერი წაიკითხა და იმდენი იცინა, სლოკინიც კი აუვარდა (კიდევ კარგი, ერთი ჭიქა წყალი დალია, როგორც დედა ურჩევდა ხოლმე, და სლოკინი შეიჩერა); მერმე საოცარმა ცნობისმოყვარეობამ აიტანა. ეს უძილო ღამე რომ როგორმე გაეთრია და თავი რითიმე გაერთო, ლუჩომ გადაწყვიტა „სავარჯიშოები“ ეცადა, თუმცაღა მათი სამკურნალო ძალისა იოტის ოდენადაც არ სწამდა.

დიდი გარჯა არ დასჭირვებია „სირსის“ უნივერსიტეტის სათამაშოთა განყოფილებაში პატარა ავტომობილი, ნომერი პირველი და მეორე საბარგო მანქანა

ეყიდა. კიდევ გოგოს, პოლიციელის, ჭიბჭირებისა და თვით მისი განმასახიერებელი თოჯინები შეეძინა მომხდარი ამბის აღსადგენად. მითითების თანახმად პატარა მანქანები იმფრად შეღება, როგორც კატასტროფაში დაღუპილები იყო, და თოჯინებიც ასევე შეაფერადა (ლუჩოს ხატვის ნიჭი მოსდგამდა, ისე რომ, პოლიციელის მუნდირს, გოგოს დაძონდილ კაბას და ჭუჭყსაც კი მის ტანზე ნამდვილისგან ვერ გაარჩევდი). პისკოს მახლობლად მდებარე ქვიშიანი შერჩები მან შესაფუთ ქალაღზე დახატა და უფრო მეტი მსგავსებისათვის წყნარი ოკეანის ქაფმოდებული ცისფერი ზოლიც მიახატა. როცა სასტუმრო ოთახში ჩაჩოქილმა ცოცხლად გაითამაშა ამ ცოტა ზნის წინ მომხდარი ამბავი, რასაც მთელი ხაათი მოუნდა, ის ამბავიც აღადგინა, მიწაზე განრთხმულს როგორ დაეხსნენ ჭიბჭირები, ლუჩომ ესოდენი შიში და ტკივილი იგრძნო, ოფლში გაღვრილი მოცელილივით წაიქცა და აწლუქუნდა.

მაგრამ დღე დღეს მისდევდა და დაძაბულობაც ნელინელ შეუნელდა. თამაში მალე სპორტულ გართობად ექცა, რამაც ბავშვობის წლები დაუბრუნა და დროც მოაკვლევინა, ვინაიდან ცოლის გამგზავრების შემდეგ არ იცოდა, თავი რით გაერთო, ის ხომ არც წიგნების მოყვარული იყო და არც მელომანი. ეს ყველაფერი მისთვის კუბიკებით თამაშს, თავსატეხი გამოცანებისა თუ კროსვორდების ამოხსნას ჰგავდა. „ბაიერის ლაბორატორიის“ საწყობში მუშაობისას, სადაც კომივოიაჟერებს პრეპარატთა ნიმუშებს ურიგებდა, ლუჩოს ბევრჯერ დაუჭერია თავი, მომხდარი ამბის ახალ წვრილმანებსა და მოტივებზე რომ ფიქრობდა, რაც უფრო მრავალფეროვანს ვახდოდა და უფრო გააგრძელებდა ამდამინდელ თამაშს. დამლაგებელმა ქალმა სასტუმროს იატაკზე ხის თოჯინები და პლასტიკატის მანქანები რომ დაინახა, ჯერ ჰკითხა, ბიჭი ხომ არ გინდათ აიყვანოთო, და მერე განუცხადა, იცოდეთ, მაშინ ჯამაგირის მომატებას მოგთხოვთო. „სავარჯიშოთა“ მითითებების თანახმად ლუჩო ახლა უოველდამე თექვსმეტ მინიწარმოდგენას მართავდა შემთხვევითი (?) ტრაგედიისა.

პირწმინდა აბდაუბლად ეჩვენა „სავარჯიშოთა“ ის ნაწილი, სადაც ბავშვებზე იყო ლაპარაკი, მაგრამ — სულთ ცოდვილთ და, ცნობისმოყვარეობამ, საყოველთაო აზრით, მეცნიერებას გზას რომ უკაფავს — ისინიც შეასრულებინა. ეს ნაწილი ორი პატარა თავისაგან შედგებოდა: „თეორიული“ და „პრაქტიკული“ სავარჯიშოთი. ამასთან ექიმში ლუსია ასეშილა ხაზგასმით ამცნობდა, პირველი მეორეს წინ უნდა უძლოდესო. განა გონიერი არსების პირობაზე ადამიანის უველა საქციელს ჯერ ფიქრი არ უნდა უძლოდეს? თეორიული ნაწილი ფრად დიდ გასაქანს აძლევდა კომივოიაჟერის დაკვირვებისა და გამომგონებლობის ნიჭს. მას მართო ერთი მითითება მოსდევდა: „უოველდღე იფიქრეთ იმ უბედურებაზე, რაც კაცობრიობისათვის ბავშვებს მოაქვთ“. სადაც და რა დროც არ უოფილიყო, ლუჩოს სულ ამაზე უნდა ეფიქრა.

არადა, რა სიავე და სიბოროტე უნდა მოუტანოს ამ უმანკო არსებებმა კაცობრიობას? განა ისინი არ ანიჭებენ ბედნიერების უწმინდეს ნათელს და თვით სიცოცხლესაც ადამიანებს? ეკითხებოდა თავის თავს ლუჩო აბრილ მაროკინი თეორიული მეცადინეობის პირველ დღეს, როცა ლაბორატორიისაკენ მიიბიჭებდა, სადამდეც მისი სახლიდან ხუთი კილომეტრი იყო. საკუთარ რწმენაზე უფრო მეტად ექიმის ჩაგონებით მიიჩნია დასაშვებად, რომ ბავშვების ხმაურმა შეიძლება ადამიანი შეაწუხოს. ისინი მართლაც ხშირად ტირიან უდროოდ და უშიწეოდ. ხოლო რაკი ჯერ ჭკუა არ გააჩნიათ, ვერ მიმხვდარან, რარიგ

აწუხებენ სხვებს და ვერ დააჭერებ, ჩუმად ყოფნა რომ სჯობია. ლუჩოს ერთი მუშის მაგალითი გაახსენდა: შახტიდან დაბრუნებული იგი არა და არ დააძინა ახალშობილის გულამოსკენილმა ღნავილმა და კიდევ მოუსწრაფა სიცოცხლე. რამდენი მილიონი მსგავსი ამბავი მომხდარა და დაბალი ხელფასის გამო ერთ ციციქნა ოთახებში შეყუჟულა შვილებიანად და ძილი და მოსვენება არა აქვთ პატარების ტირილისა და ჩხავილის გამო, რომლებიც თვითონ ვერც გეტყვიან, მუცლის ტკივილი აღრიალებთ თუ დედის ძუძუ მონატრებით.

იმავე საღამოს, როცა უკან, შინისკენ მოაბიჯებდა ასევე ფეხით, ლუჩო აბრილ მაროკინმა ახალ-ახალი მიწეზები გამოძებნა და დაასკვნა, ბავშვებს შეიძლება მართლა შესწამო ყველაფრის მსხვრევა-მტვრევის უნარი. ცხოველთაგან განსხვავებით ისინი უფრო ნელა ვითარდებიან, არადა, რამდენი ვნება მოაქვს ამ დაგვიანებულ განვითარებას. ბავშვები ყველაფერს აფუჭებენ, მხატვრის ტილო იქნება ეს თუ მთის ბროლის ლარნაკი, გლეჯენ ფარდებს, რომლის შეკერვაზე ლამის თვალეები დაიბრმავა დიასახლისმა, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ჭუჭყიანი ხელებით მიეტანებოდა ხოლმე, ვინ იცის, რა რუდუნებისა და რა დაწოგვის ფასად შეძენილ გატყინებულ სუფრას თუ მაქმანებიან გადასაფარებელს. ან პაწია თითებს ელექტრომოსწობილობის ჩასართავში ჩახჩრიან, საიდანაც შეიძლება დენმა დაარტყათ და სულელურად გამოეხადონ წუთისოფელს. მშობლებმა კი ამის გამო პაწია თეთრი კუბო უნდა შეიძინონ, სახაფლაოზე ადგილი იშოვონ, ეკლესიაში წესი აუგონ, გაზეთ „კომერსიონში“ გამოაცხადონ და ძაძვებით შეიმოსონ.

ლუჩოს ჩვეულებად ექცა ლაბორატორიაში წასვლისას თუ უკან, სან-მიგელში დაბრუნებისას მთელი გზა ამაზე ევარჯიშა ტვინი. ერთი და იგივე რომ არ ემეორებინა, ჯერ გაკვრივთ მოიხილავდა ფიქრში ბავშვთა დანაშაულთ, წინააღმდეგ რომ განაწოგადა, მერე ახალ თეზისებზე გადადიოდა, თემები ადვილად ებმოდა ერთმანეთს და ლუჩოსაც ამის წყალობით საბუთები მუდამ მზად ჰქონდა.

ასე მაგალითად, ყმაწვილთა ეკონომიური დანაშაული მისი ფიქრის საზრდოდ იქცა ოცდაათი კილომეტრის მანძილზე. განა ყმაწვილები ყოვლად ბარბაროსულად არ უთხრიან ძირს ოჯახის დოვლათს? მამების შემოსავალი პირდაპირ პროპორციულად იკლებს ყმაწვილთა ზრდასთან ერთად, ამის მიზეზი კი არა მარტო ამ არსებათა დაუოკებელი მადა და აწიწი კუჭია, არამედ მათ გამო დაარსებული უამრავი დაწესებულებანიც — ეს გადიებო, ეს ბავშვთა ბაგები თუ ბაღებო, ძიძვებო, ცირკო, სახეირნო მოედნებო, სათამაშო მაღაზიებო, უწლოვანთა სასამართლოებო, გამასწორებელი კოლონიებო, რომ არაფერი ვთქვათ იმ სპეციალისტებზე, რომლებიც მედიცინას, ფსიქოლოგიას, ოდონტოლოგიას თუ სხვა და სხვა მეცნიერებათ ლიანებივით შემოხვევიან და, ვითარც ხეებს, ისე ახრჩობენ. მთელი ეს ჯარი კი უნდა შემოსოს, ასაზრდოოს და სიბერეში უზრუნველჰყოს საწყალმა მშობლებმა.

ლამის იტირა კიდევ ლუჩო აბრილ მაროკინმა იმ ნორჩი დედების წარმოდგენისას, ასე ერთგულად რომ იცავენ ნაშუხს, მსხვერპლად ეწირებიან ჭორებს და ცოცხლად ისამარებენ თავს თავიანთ მემკვიდრეთა გაუთავებელი მოვლა-ზრუნვის გამო. ამ ხაწყლებისთვის არც დღესასწაული არსებობს, არც კინო და არც

მოგზაურობა. მარტოდ დარჩენილი ქმრები კი ცთუნებას ვერ უმკლავდებიან და ცოლებს ტოვებენ. ხოლო შემკვიდრები რითი უხდიან სამაგიეროს ამდენი ტანჯვისა და უძილო ღამეებისთვის? გაიზრდებიან, საკუთარ ოჯახს მოეკიდებიან და დედებს სიბერეში მარტოდ ტოვებენ.

ამ ფიქრებმა ლუჩო უნებლიეთ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ უმაწვილები მიაპიტობასა და სიკეთეზე უნდა გაქარწყულდეს. მისი მხრად სარგებლობენ, ჭერ რომ უჭკუოებად მიაჩნიათ. პეკლებს ფრთებს აგლეჭენ, ცოცხალ წიწილებს ღუმელში ჰყრიან, კუს ზურგზე გადააგორებენ — ვინემ სულს არ გააცხებს — და ციუვებს თვალებს თხრიან. განა შურდულით დედები ხოცავენ ჩიტებს? ან განა ისინი არ ექცევიან უწყალოდ თავისზე სუსტ ამხანაგებს? მეორე მხრივ, განა „გონიერ“ არსებებად შეიძლება ჩათვალო ისინი, ვინც იმ ასაკში, როცა კნუტიც კი თავისით შოულობს საზრდოს, ჭერ კიდევ ძლივს დაფორთხავს, კედლებს თავს ახლის და კოპს კოპზე ისვამს?

მშვენიერების გრძნობამ, რაიც ლუჩო აბრილ მაროკინს არ აკლდა, ფრიად შეინარსიანი გახდა მისი გასეირნებანი. ჰოი, რარიგ ეწადა ყველა ქალი კვლავაც ქორფა და მოქნილი დარჩენილიყო, ვიდრე კლიმაქსი კარზე არ მოუკაკუნებდა. ანტიტომაც წუხდა, ასე რიგად რომ დაემახინჯებინა მშობიარობას ისინი. ოდესღაც ბექედში გასაძვრენ წელზე, ისევე, როგორც მკერდსა და თემოებზე, ქონი მოპკიდებოდათ. ფიცარივით სწორი მუცელი, კოცნა რომ კვალს არ აჩენდა — მომჩვაროდათ, გამობეროდათ და ასევე დანაკეცებოდათ. ზოგი კი მძიმე მშობიარობას ხულაც ბაჯბაჯა კვატად ექცია. იმ ფრანგი ქალის ნაქანდაკევ ტანის მოგონებაზე, მის გვარს რომ ატარებდა, ლუჩო აბრილ მაროკინმა შვებითაც კი გაიფიქრა, კიდევ კარგი, ადამიანის მსგავსი ციცქნა რალაც რომ დაბადა და არა ფუნჩულა არსება, სილამაზეს რომ უკვალოდ დაუკარგავდაო. ერთხელ, მოსაქმებისას (შავი ქლიავის წყალობით კუჭი ინგლისური მატარებელივით ზუსტი განრიგით უმოქმედებდა) ლუჩო აბრილ მაროკინმა იგრძნო, რომ ჰეროდეს მოგონება უკვე ძრწოლას აღარ ჰგვრის. ერთ დილას კიდევ წაახწრო თავის თავს, მათხოვარ ბიჭს რომ პანდური ამოჭრა, და მაშინ მიხვდა, რომ მისდა განუზრახველად, ისევე ბუნებრივად და კანონზომიერად, როგორც ღამე ცვლის დღეს, „პრაქტიკულ სავარჯიშოებზე“ გადასულიყო. მითითებათა ამ ნაწილის გადაკითხვისას, ექიმ ლუსია ასემილას „პირდაპირი ქმედებანი“ რომ დაერქმია, ლუჩოს თითქოს მისი დარიგებანი ჩაესმოდა ყურში. თეორიულიდან განსხვავებით პრაქტიკული მეცადინეობანი მკაფიო განკარგულებებს ეფუძნებოდა. ყველა უბედურებას რომ გაითვალისწინებდი, რაც მათი წყალობით თავს ატყდებოდა კაცს, მერმე ინდივიდუალურ შეტევებზე უნდა გადასულიყავ, მაგრამ ფრთხილად და არც ყველანაირი დემაგოგიური პოსტულატები დაგევიწყებინა, როგორც გახლავთ „ბაღლი უმწეოა“, „უმაწვილს ვარდიც კი არ შეიძლება მოუქნიო“ და „ცემა კომპლექსების გამომწვევია“.

რაც მართალი მართალია, პირველად ძალიან გაუჭირდა ლუჩოს. როცა რომელიმე მათგანი ქუჩაში შეხვდებოდა, ლუჩო უმაწვილისკენ გაიწვდიდა ხელს, თუმცა ვერც თვითონ და ვერც ბავშვი ვერ იტყოდა, მოფერება უნდა თუ, პირიქით, ცემა. მაგრამ გამოცდილებამ მალე შესძინა გამბედაობა, ნელ-ნელა დააძლევინა მორიდება და ათადან-ბაბადან ჩანერგილი რწმენა, დღითი დღე უფრო თამამად ეუფლებოდა ტექნიკას, ისე რომ, რამდენიმე კვირის შემდეგ, როგორც „სავარჯიშოებში“ იყო მითითებული, შეამჩნია, წკიპურტები და

პანლურები, რასაც გულუხვად არიგებდა მარცხნივ თუ მარჯვნივ და რეციპიენტებს ხმამაღლა აღრიხლებდა, აგრეთვე მათი ჩქმეტით დაღურჯება, ანუ განსაჯეთ, სიამოვნებასაც კი ჰგვრიდა. ფრიად ახალისებდა, გამუდმებულ ბიჭს რომ ააბლავლებდა ქუჩაში, როცა ის ლატარიის ბილეთს შეხთავდა. ლუჩო სილას სთხლემდა; კორიდახავით ალაგზნებდა, ბრმის გამძღობს ბიჭს, ბელში სპილენძის ჯამი რომ ეკავა და დილაობით ქუჩებში აწკრიხლებდა, კარგად დამიზნებული პანლურით მიწაზე გაშხლართავდა და ისიც წვინტლსა და ცრემლებს სახეზე ითხიპნიდა. „პრაქტიკულ სავარჯიშოებს“ გარკვეული ხიფათი ახლდა, მაგრამ კომივოიაჟერს ეს როდი აშინებდა — პირიქით, სწორედ ხიფათის გრძნობა აგულიანებდა უფრო მეტად, თუმცა ცოტაოდენ გაუბეღაობას მაინც ამჩნევდა თავს. ერთხელ, ბურთი რომ გახეთქა და ქვებითა და ჯოხებით შეიარაღებული პიგმეების მთელი დასი დაეხვია, არც მაშინ განდგომია იგი თავის „სავარჯიშოებს“.

მკურნალობის უამს ლუჩო აბრილ მაროკინს ბევრჯერ ჩაუდენია ისეთი რამ, რასაც ზანტი კაცის გამოთაყვანებამდე მისული ზულუჭი ტვინი ჩვეულებრივ გულქვაობად ან უწყალობად მონათლავდა. იგი თავს აგლეჯდა თოჯინებს, რომელთა შემწეობით გადიები პატარა გოგუცუნებს იქცევდნენ ბალებში, ართმევდა ბავშვებს საწოვრებს, საჩხრიალებლებსა და კანფეტებს, თუ ფეხით არ შედგებოდა, ძაღლებს გადაუგდებდა, ხშირად დადიოდა ცირკში, თოჯინების წარმოდგენებსა თუ საბავშვო დილებზე, სადაც თითების დასივებამდე ჩქმეტდა პაწიებს ხელ-ფეხზე, აწიწკნიდა ნაწნავებს და აგლეჯდა ყურებს. ცხადია, არც ძველისძველ ადათებს ივიწყებდა და გასამწარებლად ხან ენას უყოფდა ყმაწვილებს, ხან ეტყანებოდა, ხმის ჩახლეჩამდე უყვებოდა ხოლმე ჭინკების, ავი მგლების, პოლიციელების, ჩონჩხების, კუდიანებისა თუ ვამპირების, მოკლედ, ყველა იმ გმირის ამბებს, დიდებს პატარების დასაშინებლად რომ მოუგონიათ.

როგორც პატარა გუნდა აგორდება, აგორდება და მერე ზვავად მოსკდება ხოლმე, ისევე მისი ცხოვრების უკანასკნელმა ამბებმა ლუჩო იქამდე მიიყვანა, რომ ერთ დღეს შიშით ლამის გონგადასული ტაქსით მოქანდა ექიმ ასემილას საკონსულტაციო სამყოფში, ცივ ოფლში გაღვრილი შეიჭრა ექიმის კაბინეტში და ხმააკანკალებულმა შესძახა:

— ეს წუთია კინალამ პატარა გოგო შევაგდე სან-მიგელში მიმავალ ტრამვაის ქვეშ. პოლიციელის დანახვამ შემაჩერა მხოლოდ, — მერე ბავშვივით აზლუქუნდა: — ლამის მკვლელობა ჩავიღინე, ექიმო!

— ერთხელ უკვე ჩაიღინეთ მკვლელობა, გულმავიწყო ყმაწვილო, — დამარცვლით შეახხენა ფსიქოლოგმა, მერე თავით ფეხამდე შეათვალიერა და კმაყოფილმა წარმოთქვა: — მაშასადამე, განკურნებულხართ!

როგორც მზის სხივი გაჭკვეთს ხოლმე ჯანღს, ხოლო ვარსკვლავთა წვიმა ზღვას, ასევე გაჭკრა თავში ლუჩოს: იგი ხომ ტაქსით მოვიდა! ის იყო ექიმს მუხლებში უნდა ჩავარდნოდა, რომ სწავლულმა დიაცმა შეაჩერა:

— ხელებს მხოლოდ ჩემი დოგი მილოკავს. კმარა! ახლა მიბრძანდით, ახალი მეგობრები მიცდიან. ანგარიშს თავის დროზე მიიღებთ.

„უკვე გავიკურნე“, — იძახდა გაბედნიერებული კომივოიაჟერი; მთელი ბოლო კვირა ყოველდღე შვიდი საათი ეძინა და კოშმარების ნაცვლად მშვენიერ სიზმრებს ხედავდა: ვითომ სადღაც ეგზოტიკურ ზღვის პირზე იწვა, მზე ფეხ-

ბურთის ბურთივით მიგორავდა ცაზე ირგვლივ, ფუშფუშა პალმების ძირში კუები დახოხავდნენ, ცისფერ წყალში კი მხიარულად ყვინთავდნენ ვნებადგნილი დელფინები. როცა იწამა, უკვე განკურნებული ვარო, განზრახ ტაქსით გასწია „ლაბორატორიისკენ“. ატირდა კიდევ, რომ დარწმუნდა, მანქანით სიარული აღარც შიშის ზარს სცემდა და აღარც კოსმიურ გულისწინილს უძრავდა, ესაა, ოდნავ უბრუნდა თავი. ლუჩო ფედერიკო ტელიეს უნსატეგის მიეჭრა, ხელები დაუკოცნა ამ ამაზონის მკვიდრს, „მსხნელი, მრჩეველი და მეორე მამა“ უწოდა. პატრონმა მოწყალედ მოუსმინა, როგორც საკუთარი ყადრის მცოდნე ბატონი მოუსმენს ხოლმე თავის მონას. მაგრამ იგი გულის სიღრმეში კალვინისტი გახლდათ, არ სწამდა მეტისმეტი გრძნობიერება და იმიტომაც განუცხადა ლუჩოს, განიკურნე თუ არ განიკურნე, „ანტიმდრუნელების“ ფირმაში წესიერად თუ არ გივლია, ჭარიმას ვერ გადარჩებიო.

ასე და ამგვარად დააღწია თავი ლუჩო აბრილ მაროკინმა იმ გამოუვალ ჩიხს, სადაც პისკოს მტვრიან მიდამოებში მომხდარმა ამბავმა მოამწყვდია. მას აქეთ ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. საფრანგეთის ნაწი ასულიც განკურნა ვარამისაგან მშობლების აღერსმა და ნორმანდიულმა დიეტამ — დასვრეტილმა ყველმა და ხამანწყებმა — ისე რომ, ინკების მიწას ლოყებატკრეცილი და სიყვარულით გულსავსე დაუბრუნდა. ცოლქმრობის განახლება დაუსრულებელ თაფლობის თვედ იქცა; რეტის დამსხმელმა ხვევნა-კოცნამ თუ გადაჭარბებულმა აღერსმა ლამის სისხლნაკლულობამდე მიიყვანა ცოლ-ქმარი. ვით ძველი პერანგიდან გამომსხლტარმა და კვლავ ძალამოცემულმა გველმა, სულ მალე ლუჩომ ისევ წამყვანი ადგილი დაიჭირა „ლაბორატორიაში“. იმის დასამტკიცებლად, კვლავ წინანდელი ლუჩო ვარო, მან ექიმს შვალბს სთხოვა, ექიმთა და აფთიაქართა შორის ბაიერის ფირმის ნაწარმის გავრცელება მომანდეთ და საშუალება მომეცით პერუს კალაქები და სოფლები ხმელით, შაერით, მდინარითა თუ ზღვით შემოვიარო. ექიმმა შვალბმაც დასტური მისცა. ისე რომ სულ მალე ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა მომჭირნეობის მეობებით ყველა ვალი გაისტუმრა, რაც კი ავადმყოფობის დროს დაედოთ, და განვადებით ახალი „ფოლქსვაგენი“ შეიძინეს, რა თქმა უნდა, უვითელი ფერისა.

ერთი შეხედვით თითქოს აღარაფერი ჩრდილავდა აბრილ მაროკინთა ცხოვრებას (თუმცა ბრძენი ხალხი ამბობს, თვალს არ ენდო, თვალი მატყუარააო). კომივოიაჟერს იშვიათად ახსენდებოდა თავს გადახდენილი უბედურება, მაგრამ როცა კი გაიხსენებდა, სინდისის ქენჯნის ნაცვლად სიამაყეს გრძნობდა. როგორც ყველა საშუალო ბურჟუას, მასაც ხალხში ტრიალი უყვარდა და თავის ამბავს ყველგან და მუდამ სიამოვნებით ჰყვებოდა.

ეს კია, რომ მტრედების ბუდესავით ტკბილ ოჯახურ კერას, სადაც ვივალდის მუსიკის ქვეშ ბუხარი ლულუნებდა. პროფესორ ასემილას თერაპიის რაღაც კვალი მაინც შემორჩენოდა (ვით დიდი ხნის წინათ ჩამქრალი ვარსკვლავების სხივი, შორეული სივრციდან რომ აღწევს, ან კიდევ მიცვალებულის ფრჩხილები და თმა, ერთხანს რომ მაინც ისევ იზრდება). ეს კვალი გახლდათ (თუ ლუჩო აბრილ მაროკინის ასაკს ვიგულისხმებთ) ბზრიალებით, სათამაშო ჭარისკაცებით, კუბიკებით, პატარა მატარებლებით უჩვეულო გატაცება. მთელი ზინა სათამაშოებს გაეცხო, რაიც საკვირვლად რჩებოდათ მეზობლებსა და მოხამსაბურეებს, ცოლ-ქმრის ცხოვრება პირველად მაშინ დაიჩრდილა, როცა ფრანგმა ქალმა ხაყვედური გამოთქვა, მისი ქმარი რომ უოველ უქმესა თუ კვირახ

ან აბაზანაშია, სადაც ქალაქის გემებს აცურებს წყალში, ან სახურავზეა და ფრანებს უშვებს ჰაერში. მაგრამ ამ გატაცებაზე უფრო საშიში მეორე ამბავი, ანუ ბავშვების სიძულვილი იყო, „პრაქტიკული სავარჯიშოების“ შედეგად ფესვი რომ გაიდგა ლუჩო აბრილ მაროკინის გულში, როგორც ეს რომელიმე იმათგანს ქურაში, ბალში თუ მოედანზე გადაეყრებოდა, არ შეიძლება ისე არ მოქცეოდა, მდაბიო ხალხი რომ გულქვაობას უწოდებს. თავის ცოლთან საუბრისას ყმაწვილებს ჩვეულებრივ ზიზღით ან „ჩანასახებს“ ან „ძუძუმწოვრებს“ ეძახდა. მაგრამ როცა ქერათმიანი ფრანგი ასული მეორედ შეიქნა გუნებნაქცევად, ეს მტრობა ტრაგედიად იქცა. სულიერი თუ მეცნიერული მხარდაჭერის სათხოვნელად შიშით ფრთაშესხმული ცოლ-ქმარი ექიმ ასემილასთან გაქანდა. მან აღუშფოთველად მოუსმინა მათ და ისე მოკლედ, როგორც ოქმი იწერება ხოლმე, განაცხადა:

— თქვენ ინფანტილიზმი გჭირთ და ამასთან კვლავ პოტენციური ბავშვთა მკვლელი ხდებით. ეს არაფერია, ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ჩემთვის ამის განკურნება სულ იოლი საქმეა. ნუ გეშინიათ: თქვენს ნაყოფს თვალები გაჭრილიც არ ექნება, როცა ეს უველაფერი გაგივლით.

მოარჩენს კია ექიმი ამ კოშმარებისგან? იქნება კია ბავშვთმოდულობა და „ბეროდეს კომპლექსი“ ისევე ძირეულად ნამკურნალევი, როგორც „ბორბლების კომპლექსი“ და ბოროტმოქმედებისაკენ ლტოლვა? რით დასრულდა ეს ფსიქოდრამა დედაქალაქის სენ-მიგელის რაიონში?

X I

ზამთრის სესიების ხანი ახლოვდებოდა. მას აქეთ, რაც ხულია დეიდასთან გავაბი ტრფიალი, ლექციებს უფრო ნაკლებ, ხოლო მოთხრობათა წერას (პიროსის გამარჯვებას რომ ჰგავდა) უფრო მეტსა და მეტ დროს ვუთმობდი. ამიტომაც ასეთი განსაცდელისთვის, ვერ ვიტყვი, მაინცდამაინც კარგად მომზადებული ვიყავი. მწედ და მხსნელად ახლაც ჩემი ფაკულტეტის მეგობარი ვილიერმო ველანდო მომეველინა. იგი კამანიდან¹ იყო ჩამოსული, შუაგულ ქალაქში ორი მაისის მოედანზე მდებარე ერთ-ერთ პანსიონში ცხოვრობდა და სანიმუშო სტუდენტადაც ითვლებოდა: თავის დღეში ერთი მეცადინეობა არ გაუცდენია, ჩაუწერავი მასწავლებელთა სუნთქვაც არ რჩებოდა და კოდექსებს ლექსივით იზეპირებდა. ხშირად მიყვებოდა თავის ქალაქის ამბებს. იქ მას საცოლე ჰყავდა და მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, როცა დიპლომს მიიღებდა, ამ საძულველ ლიმას გაეცლებოდა, კამანაში დასახლდებოდა და პროგრესის სამსახურს შესწირავდა თავს. იგი მაძლევდა ხოლმე თავის ჩანაწერებს, მკარნახობდა გამოცდებზე, ისე რომ, ყოველი სესიის დაწყებისას ჩვეულებრივ მას ვაკითხავდი პანსიონში წაკითხულ ლექციებიდან შემდგარ სასწაულმოქმედი ექსტრაქტის გამოსართმევად.

სწორედ ვილიერმოსაგან მოვდიოდი იმ კვირია. მის პაწაწკინტელა ოთახში მთელი საბი საათი ვისმენდი იურიდიულ ტერმინებს, თავი დამძიმებული მქონდა ლათინური ციტატებით და გული მიწუხდა, რა მეშველება, ამდენს რა

¹ ქალაქი არეკიპას დეპარტამენტში.

დამაზებირებინებს-მეთქი. ანაზდად შორს, „რადიო სენტრალის“ რუხ შენობაში პედრო კამაჩოს სარკმელი დავინახე ღია. რა თქმა უნდა, მასთან შეტოვა მომინდა. რაც უფრო დავუახლოვდი პედრო კამაჩოს, თუმცა ეს სიახლოვე დღეს მაგიდასთან მცირე ხნით საუბრებით ისაზღვრებოდა, მით უფრო ძნელად მისი პიროვნება, ჭკუა და ენამჭევრობა. მოედნის გადაჭრისას მისი გავიფიქრე, ნეტა რა რკინისებური ნებისყოფა ამოძრავებს ამ აქვეყნის მსახურს, რომელსაც არაადამიანური შრომის უნარი შესწევს დილიდან საღამომდე იჯდეს და აუარება არნახული და დაუჯერებელი ამბები თხზას-მეთქი. რა დროსაც არ უნდა გამხსენებოდა პედრო კამაჩო, ვიცოდი, იგი ზის და წერს: ბევრჯერ კყოფილვარ მოწმე, რა სწრაფ-სწრაფად უკაკუნებდა ორ თითს „რემინგტონის“ კლავიშებს, რა თვალვებანთებული დაძყურებდა მანქანის ლილვაკს და მუდამ გზის სიბრალოული და ამასთან შური მავსებდა.

ღია სარკმლიდან საბეჭდი მანქანის კაკუნი მოისმოდა. შევხსენი სარკმელი და, „გამარჯობა თქვენი, სენიორ მუშაკო“, — შევეძახე, მაგრამ უმაღ ვიფიქრე, ან ადგილი ამერია ან სახე-მეთქი. მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა თეთრ ხალათს, ექიმის ჩაჩს და რაბინის შავ წვერს დავაკვირდი, მაშინღა მივხვდი, ჩემ წინ ბოლივიელი მოკალმე იყო. ყურადღება არ მომაქცია, ისევე აღუშფოთველად განაგრძო ბეჭდვა მანქანისკენ ოდნავ დახრილმა, მერე კი, თითქოს წამით დაფიქრდა, და ჩემკენ თავმოუბრუნებლად წაილაპარაკა თავისი ამოდ მელერი, ნავარჯიშევი ხმით:

— ეს წუთია გინეკოლოგმა ალბერტო დე კინტეროსმა თავისი ძმისწული ამშობიარა, სამტყუპი რომ შეეძინა. მაგრამ ერთი ამ ბაყაყთაგანი ვერა და ვერ გამოათრია. ხუთ წუთს ხომ ვერ მომითმენთ? ძმისწულისთვის საკეისროს გავაკეთებინებ ექიმს და მერე პიტნისა და იერბალუისის ნახარში შევსვით ერთად.

რაფაზე ჩამოვჯექი და, ვინემ მოკალმე ამ ღვთით კურთხეულ ქვეყანაში სამტყუპს გამოათრეედა, სიგარეტი გავაბოლე. ოპერაცია მართლაც რამდენიმე წუთში დამთავრდა. ვინემ შესამოსელს გაიხდიდა და ყალბ ულვაშთან ერთად პარკში კოხტად ჩადებდა, ასე ვუთხარი:

— საკეისროს სამტყუპის დაბადებისთვის თუ სხვა რამ გართულებისას სრული ხუთი წუთი მოანდომეთ! მე კი სამი კვირა შევალე სამ „მფრინავ“ ბიჭზე მოთხრობის წერას.

„ბრანსის“ ბარში მისვლამდე გზაში ვუამბე პედრო კამაჩოს, რომ ბევრი ცდის შემდეგ ბიჭებზე მოთხრობა საკმაოდ რიგიანად მივიჩნიე და გაზეთ „კომერსიოს“ საკვირაო დამატებაში მივიტანე-მეთქი გულის კანკალით. რედაქტორმა ჩემი თანდასწრებით წაიკითხა მოთხრობა და საკმაოდ გაურკვევლად წაილაპარაკა: „დატოვეთ, ვნახოთ, რა მოეხერხება“. მას აქეთ ორი კვირა გამობდა, ყოველ კვირა დღეს გულის ფანქალით ვყიდულობ გაზეთს, მაგრამ ჯერჯერობით სულ ფუჭად. პედრო კამაჩო სხვის საწუხარზე თავის დღეში დროს არ ჰკარგავდა.

— მოდი, ჭამაზე უარი ვთქვათ და ფეხით გავიაროთ, — ხელი დამიჭირა მან, როცა მაგიდასთან დაჯდომა დავაპირე, და ისევ კოლმენის ავენიდაზე გამომაბრუნა. — რაღაც წვივის კუნთები მიბეუის, შეიძლება კრუნჩხვა იყოს. სულ რომ ვზივარ და არ ვვარჯიშობ, ალბათ იმის ბრალია.

ვიცოდი, რომ მეთქვა, ვიქტორ ჰიუგოს და ჰემინგუეის მიბადებით ზეზე

მდგარმა წერეთ-მეთქი, რა პასუხსაც მომაგებდა. მაგრამ ამჯერად შევცდი.

— უცნაური ამბები ხდება „ლა ტაპადას“ პანსიონში. — წილაპარაკა მან და პასუხის ღირსი არც გამზადა (ამასობაში ლამის ასკანკულია ვურბენ-დით ირგვლივ გენერალ სან-მარტინის ძეგლს). — მთვარეან ღამეებში ვილაც ყმაწვილის ტირილი მესმის.

სიზღაპროსება

ქალაქის შუაგულში კვირადღეობით იშვიათად ვყოფილვარ ხოლმე — ამიტომაც გამიკვირდა, სულ სხვა ხალხი რომ დავინახე. მოხელეთა ნაცვლად მთელი მოედანი მოაზღვევს გაეჭედათ — დღეს დასვენების დღე ჰქონდათ, აქ იყვნენ ლოყებზე მხემოკიდებული მთიელი ქაბუკები, მოუქნელი ფეხსამოსი რომ ეცვათ, ფეხშიშველა ნაწნავიანი გოგოები. ამ ჰედვაში აქა-იქ ვაკრთებოდნენ მოხეტიალე ფოტოგრაფები და საკმლით მოვაჭრე ქალები. კამაჩოს ხელი წავავლე და ტუნიკამოსხმული ბრინჯაოს ქალის წინ შევაჩერე, სამშობლოს განმასახიერებელ ძეგლის 'შუა რომ იდგა. ეიფიქრე, გავართობ-მეთქი, და ვუამბე, რატომ ახურავს ამ ქალბატონს ასეთი უცნაური თავსამკაული: როცა ლიმაში ძეგლი ბრინჯაოს ყალიბში უნდა ჩამოესხათ, ოსტატებს თურმე აერიათ მოქანდაკის მითითებანი და სამშობლოს გამომსახველ ქანდაკების თავზე მოგიზგიზე ცეცხლის ნაცვლად ლამა' წამოაკოსეს. რა თქმა უნდა, პედრო კამაჩოს არც ახლა გაუღიძია, ხელი წამავლო, თან გამიტაცა და ისევ თავისი ამბავი განაგრძო. აინუნში არ ჩაუგდია არც ის, წარამარა გამვლელებს რომ ვეჯახებოდით, არც ირგვლოვწყოფნი და არც მე.

— ეს ყმაწვილი არავის უნახავს, მაგრამ რაღაც ურჩხული კი უნდა იყოს. იქნებ სულაც პანსიონის დიასახლისის უკანონო შვილია, კუზიანი, ჭუჭია თუ ორთავა მახინჯი, დონია ატანასიას დღისით რომ დამალული ჰყავს, გული არავის გაუხეთქოს, ლამით კი გარეთ უშვებს, გაიარ-გამოიაროს?

პედრო კამაჩო ისე უმეტყველოდ ამბობდა ამას, მაგნიტოფონის ჩანაწერი მოგაგონდებოდა. გასალიზიანებლად ვუთხარი, ეგ ვარაუდი ნაკლებ სარწმუნო მგონია-მეთქი. იქნებ ბიჭი თავია სიყვარულს დასტირის?

— მიჯნური გიტარასზე ან ვიოლინოზე დაუკრავდა ან იმღერებდა, — მითხრა პედრო კამაჩომ და ზიზღითა და თან სიბრაღულით შემომხედა. — ეს კი ტირის და ტირის, ცრემლად იფრქვევა!..

ძალიან მინდოდა დალაგებით ეამბნა ყველაფერი, მაგრამ დღეს ისეთი გულისყურმოკრეფილი აღარ ჩანდა, როგორც ყოველთვის, შევიტყვე მხოლოდ, რომ ეს მერამდენე ღამეა პანსიონის რომელიღაც კუნჭულიდან ზღუქუნი ისმის, „ლა ტაპადას“ მდგმურები უკმაყოფილონი არიან, დიასახლისი დონია ატანასია კი ირწმუნება, არაფერი ვიციო, და, პედრო კამაჩოს თქმით, ყველაფერს „სულთა ჩარევას“ აბრალებს.

— იქნებ რაღაც ავი საქმე ჩაიდინა და ის ატირებს, — გამოთქვა ვარაუდი პედრო კამაჩომ იმ ბუღალტრის კილოზე. ხბამალლა რომ აჯამებს ციფრებს. ახლა „რადიო სენტრალისკენ“ მიმართევედა, ძეგლის ბარე თორმეტჯერ შემოვლის შემდეგ, — ოჯახში ხომ რამე უბედურება არ ჩაიდინა? იქნებ მამა შემოაკვდა და ახლა თმას იგლეჯს სინანულით, თავს იწამებს? ან ვინძლო მევირთხეს ვაჟია?

არა, პედრო კამაჩოს აღელვება არ ეტყობოდა, მაგრამ ამჯერად რომ ჩვე-

1 Liama — ეპანურად ცეცხლსაც ნიშნავს და ლამასაც.

უღებრივზე უფრო გონებადაფანტული ჩანდა, არც მოსმენა და საუბარი შე-
ედლო და არც ის ახსოვდა. გვერდით თუ მოსდევდა ვინმე, ეს ცხადი იყო. დარ-
წმუნებული ვიყავ, ვერ მამჩნევს-მეთქი, და იმედი მქონდა თავის მთხოლოგს
განაგრძობდა. კამაჩოს სმენა კი იმას ნიშნავდა, მისი ფანტაზიის ფრენისთვის
გედევნებინა თვალი. მაგრამ მან ისევე ანაზღად გაწყვიტა ესეტიყვეულოგორც
იმ უჩინარ მტირალ ყმაწვილზე წამოიწყო, თავის სენაკში შევედგა მწველ ბეჭაკი
გაიხადა, ბაფთა-ჰალსტუხი მოიხსნა, თავზე თმის ბადე გადაიჭირა და მეორე
პარკიდან ამოძვრენილი ქალის ფრთიანი პარიკი ჩამოიცივა. თავს ველარ ვძლიე
და გამეცინა.

— ახლა ვის მაქვს პატივი ველაპარაკო?

— რჩევა უნდა მივცე ლაბორატორიის ერთ თანამშრომელს, რწმენით
ფრანკოფილს, საკუთარი შვილი რომ მოკლა, — ჩაიცივნა პედრო კამაჩომ და ბიბ-
ლიური წვერის ნაცვლად ბრჭყვიალა საყურე წამოიცივა, ლოყაზე კი კეკლუ-
ცური ხალი მიიკოსა, — ნახვამდის, ჩემო მეგობარო.

ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოვასწარი კარისკენ, რომ „რემინგტონი“ კვლავ
მტკიცედ და სწრაფად აკაკუნდა. მირაფლორესისკენ ავტობუსით მიმავალი
გზაში ვფიქრობდი, ნეტა რა სოციალური გარემოსი, რა პირად ურთიერთო-
ბათა, პრობლემათა, შემთხვევათა თუ ნამდვილ ამბავთა ნაყოფია ლიტერატუ-
რისადმი ეს ლტოლვა (თუმცა ლიტერატურისა კია? ხოლო თუ ამის არა, მაშ
რისა), რომელიც მოქმედებად, შემოქმედებით შრომად იქცა და თავისი თაყვა-
ნისმცემელნი პპოვა? როგორ შეიძლება მწერლის პაროდიაც იყო და ამავე
დროს ერთადერთი კაცი პერუში, ვინც მწერლის სახელის ღირსია თავის ხე-
ლობაზე დახარჯული დროისა და შექმნილ ნაწარმოებთა რიცხვის მიხედვით?
ვისთვისაც ლიტერატურა მხოლოდ თავმომწონეობისა თუ ეინის საგანია, რა-
ტომ ითვლება პედრო კამაჩოზე უფრო ღირსეულ მწერლად, რომელიც წერით
ცოცხლობს და სულდგმულობს? ნუთუ იმიტომ, რომ იმათ წაკითხული აქვთ,
ყოველ შემთხვევაში, იციან, რომ უნდა წაიკითხონ პრუსტი, ფოლკნერი, ჯო-
ისი, პედრო კამაჩო კი ლამის უწიგნურია? ამ ფიქრებმა ნაღველი და მწარე
გრინობა მომგვარა. ჩემთვის სულ უფრო ცხადი ხდებოდა, მხოლოდ
მწერალი მინდა ვიყო, და უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი,
რომ საამისოდ სულიც და ხორციც უნდა შევწირო ლიტერატურას. მე არ მინ-
დოდა პატარა მწერალი გამოვსულიყავ, ჩემი ოცნება ჭეშმარიტ მწერლად გახ-
დომა იყო, როგორც... როგორც ვინ?

მე მარტო ერთ კაცს ვიცნობდი, ვინც მთელი გატაცებით და ვნებით ეწი-
რებოდა თავის მოწოდებას და ეს კაცი ბოლივიელი რადიოდრამატურგი გახლ-
დათ — იმიტომაც მომხიბლა ასე.

შინ, ჩემი ბებრების სახლში, სიხარულით აფრენილი ხავიერი დამხვდა.
საკვირაოდ ისეთი გეგმები დაეწყო, მკვდარსაც კი საფლავიდან წამოახტუნებდა.
მშობლებს ახლაბან გამოეგზავნათ მისთვის პიურადან ყოველთვიური დახმარე-
ბა, თან, ეროვნული დღესასწაულის გამო, კარგა უხვადაც. პოდა, ხავიერსაც
გადაეწყვიტა ეს „ზედმეტი“ სოლები ოთხივეს ერთად დაგვემღერებინა.

— განზრახ შენთვის მოვამზადე ინტელექტუალურ-კოსმოპოლიტიური
პროგრამა, — მეუბნებოდა ხავიერი და ხელს მფარველურად მიტყაპუნებდა
მხარზე. — ფრანსისკო პეტრონეს არგენტინული დასი, „რინკონ ტონის“ რეს-
ტორანში გერმანული ვახშამი და ზეიმის ფრანგულად დასრულება „ნეგრო-

„ნეგროს“ ღამის კლუბში, სადაც სრულ სიბნელეში ვიცეკვებთ ბოლეროს. თუ იმათ შორის, ვისაც ამ ჩემი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ვიცნობდი. მწერლის სახელის ღირსად ყველაზე მეტად პედრო კამაჩო მიმაჩნდა, ხავიერი თავისი ხელგამლილობითა და განცხრომის გადაჭარბებული სიყვარულით აღორძინების ხანის დიდებულს მაგონებდა. თანაც სარცხანდელაღი ვილაცა იყო. დეიდა ხულიასა და ნანსისთვის უკვე ეცნობებინა, რა განსართობიც ელოდათ, კიდევ მეტი: თეატრის ბილეთები უკვე ჯიბეში ედო. ამ მაცთუნებელმა პროგრამამ მყის გამიქარვა ყველა შავბნელი ფიქრი პერუში მწერლის მოწოდებასა და მათხოვრულ ბედზე. ხავიერიც ძალზე კმაყოფილი ჩანდა: აგერ უკვე ერთი თვეა გამუდმებით ჩვდებოდა ნანსის და მის დაქინებული არშიყობა უკვე აღიარებულ ამბად ხდებოდა. დიდად შეუწყო ხელი იმანაც, რომ ჩემი და ხულიას ამბავი ნანსის გაუმზილა. ახლა იმ საბაბით, სახლიდან გამოპარვაში დაგვხმარებოდა, ნანსის კვირაში რამდენჯერმე ხედავდა. ჩემი ბიძაშვილი და ხულია დეიდა განუყრელი მეგობრები გახდნენ, ერთად დადიოდნენ საყიდლებზე, კინოში, ერთმანეთს საიდუმლოს უზიარებდნენ. ნანსი ჩვენი სატრფიალო ამბების აღტაცებული ქომაგი შეიქნა. ერთხელ მითხრა კიდევ: „ხულიტას, ჩემო ბიძაშვილო, ისეთი თვისებები აქვს, ასაკი აქ უკვე აღარაფერს ნიშნავს“ და ძალიანაც გამახარა.

იმ სამახსოვრო კვირის დიდებულ პროგრამას (მგონი, სწორედ მაშინ გადაწყდა ჩემი მომავალი) ფრიად სასურველი გარემოებანი ახლდა. 50-იან წლებში ლიმამი კარგი წარმოდგენა იშვიათი ხილი იყო. ფრანსისკო პეტრონეს არგენტინულმა დასმა კი რამდენიმე თანამედროვე დადგმა ჩამოიტანა, რაზედ აქამდე პერუში არავის სმენია.

ნანსიმ ოლგა ძალოსთან გაუარა ხულიას და ტაქსით მოვიდნენ ქალაქის ცენტრში. მე და ხავიერი „სეგურას“ თეატრთან ვუცდიდით. ჩემს მეგობარს, რომელსაც მისთანა შემთხვევებში გადამლაშება უყვარდა ხოლმე, მთელი ლოქა შეეკვთა — სხვა ლოქები არც იყო დაკავებული, ისე რომ, წარმოდგენაზე არანაკლებ ჩვენ ვიზიდავდით დამსწრეთა ყურდლებას. რაკი სინდისი წმინდა არ მქონდა, მეშინოდა, ვაითუ ნათესავ-ნაცნობებიდან ვინმემ დაგვინახოს და მითქმა-მოთქმა ატეხოს-მეთქი. მაგრამ დაიწყო თუ არა წარმოდგენა, ყველაფერი დამავიწყდა, ეს იყო არტურ მილერის „კომივოიაჟერის სიკვდილი“, — პირველი არატრადიციული პიესა, რომელიც ვნახე და სადაც ავტორის დროისა თუ მოქმედების ადგილის პრინციპები არად ჩაეგდო. ისე ამადელვა და აღმაფრთოვნა პიესამ, რომ შესვენებისას მხოლოდ პიესაზე, მის გმირებსა და იდეებზე ვქაქანებდი. თეატრის შემდეგ „რინკონ ტონი“-ში სოსისებს და ლუდს რომ მივირთმევდით, ენაგაუჩერებლივ ვასხამდი ხოტბას წარმოდგენას, შემდეგ კიდევაც დამცინა ხავიერმა: თუთიყუშს რომ აღმაგზნებელ აბს გადააყლაპებენ, იმას ჰგავდიო. ნანსიმაც, ვისაც ჩემი ლიტერატურული საქმიანობა ისეთივე უხიავობად მიაჩნდა, როგორც ძია ედუარდოს გატაცება (ამ ბერიკაცს, ბაბუაჩემის ძმას, პენსიაზე გასულ მოსამართლეს იშვიათი პობი მქონდა --- ობობების კოლექციას აგროვებდა), მისმინა, მისმინა და ბოლოს დაასკვნა, ცუდი დღე გელისო: „გიყი და ობროდი ხდები, წოწოლავ“.

„ნეგრო-ნეგრო“ თავისებური საღამოს კლუბი იყო და ხავიერმაც იმიტომ არჩია, სეჟამო იქ დაგვემთავრებინა. საყოველთაო აზრით აქ ინტელექტუალური ბოქემა იყრიდა თავს; ყოველ ხუთშაბათს პატარა წარმოდგენები, ერთმოქმედე-

ბიანი პიესები იმართებოდა, საკუთარი კონცერტებით გამოდიოდნენ მუსიკოსები და მწერლები, ხშირი სტუმრები იყვნენ მხატვრები, მომღერლები, ლიტერატორები. მაგრამ ჩემი მეგობარი მარტო ამან როდი მახიბლა: „ნეგრო-ნეგრო“ ყველაზე ბნელი კლუბი იყო მთელ ლიბიაში, ისე კი საბ-მარტინის მოედანზე ერთ-ერთი სახლის სარდაფი გახლდათ, სადაც ოციოდენი მხატვარი უჭირდა. ჩვენი აზრით, ბარი ეგზისტენციალურ ყაიდაზე იყო მორთული. ამ კლუბში ხშირად არ დავდიოდით, მაგრამ როცა კი მის ზღურბლს გადავაბიჯებდი, ასე მეგონა, სენ-ჟერმენ დე პრეს ერთ-ერთ სარდაფში შევდივარ-მეთქი. დაგვსვეს ზედ საცეკვაო მოედანთან. ხავიერმა იმ საღამოს მეტისმეტად მოიქაჩლა თავი და ოთხი ვისკი შეუკვეთა. ისა და ნანსი მაშინვე საცეკვაოდ გაიქცნენ, მე კი, მაგიდასთან მიჭექყილი, ხულიას სულ თეატრსა და არტურ მილერზე ველაპარაკებოდი. თითქმის ჩახუტებული და თითებგადაწნული ვუმტკიცებდი, ამ საღამოს ჩემთვის თეატრი აღმოვაჩინე-მეთქი, პიესა თურმე რომანზე არანაკლებ რთული და ღრმა შეიძლება იყოს-მეთქი, იგი სიცოცხლის პატარა ნაწილია, და, გარდა ამისა, იქ ხელოვნების სხვა დარგებიც მონაწილეობენ — მხატვრობა და მუსიკა, ისე რომ, დრამატურგია ყველაზე მალლა დგას-მეთქი. ხულია ვაჟკაცურად მისმენდა.

— იქნებ ჯანრი გამოვცვალო და მოთხრობების ნაცვლად პიესების წერას მივყო ხელი? — ვკითხე დიდად აღელვებულმა. — შენ რას მირჩევ?

— ჩემი მხრივ დაბრკოლება არ გექნება, — წამოდგა ხულია დეიდა, — ახლა კი, ვარგითას, საცეკვაოდ წამიყვანე და ყურში რამე ჩამჩურჩულე — ცეკვებშია კი თუ გინდა, ლიტერატურაზეც მელაპარაკე, ნება მომიცია.

სიტყვასიტყვით შევუსრულე თხოვნა, ჩახუტებულნი ვცეკვავდით, ვკოცნიდით ერთმანეთს, მე ვეუბნებოდი, მიყვარხარ-მეთქი, ისიც მეუბნებოდა, მიყვარხარო. იმ საღამოს, კლუბის გულითადი გარემოთი და ხავიერის ვისკით სისხლახქროლებულმა პირველად ვიგრძენ წდობის ცეცხლი, ცეკვისას კისერზე ვეკონებოდი, უფრო და უფრო ვეკვროდი ტანზე; მაგიდასთან, სიბნელეში, ფეხებზე ვეფერებოდი ასე ბედნიერნი და დარცხვენილნი ვისხედით, როცა ბოლეროსა და ბოლეროს შუა შესვენებისას ნანსიმ ცივი წყალი გადაგვასხა:

— ღმერთო, ერთი ნახეთ, იქ ვინა ზის: ეს ხომ ძია ხორხეა!

ეს მეხი მოსალოდნელიც იყო. ჩვენს ბიძებში ყველაზე ახალგაზრდა ძია ხორხე დიდებულად უთავსებდა ერთმანეთს დაძაბულ და ავანტურულ საქმიანობას. ღამის ბობოქარ ცხოვრებას, არშიყობას, წვეულებებსა და ქეიფებს. როგორც ამბობდნენ, ერთხელ ტრაგიკომიკური ამბავიც შემთხვევია „ემბესიში“ — მეორე ღამის კლუბში. ის იყო დაიწყო თურმე შოუ, და მომღერალი ქალიც სასიმღეროდ მოემზადა, რომ ერთ-ერთ მაგიდიდან ვიღაც ლოთმა უტიფარი შეძახილებით არა და არ დააცალა სიმღერა. მაშინ მთელი საზოგადოების თვალწინ ძია ხორხე წამოდგა და დონ კიხოტივით დასჭექა: „ხმა ჩაიწყვიტე, უბედურო, თუ არ იცი, მე გასწავლი, ქალს რა პატივით მოექცე!“ შერე საჩხუბრად შემართულ მოკრივესავით გაემართა იმ უტიფრის მაგიდისაკენ, მაგრამ ერთი წამის შემდეგ მიხვდა, რა იაღლიშიც მოუვიდა, თურმე ყასიდი სტუმრის შეძახილები მომღერლის მისამართით შოუს ნაწილი ყოფილა.

ძია ხორხე მართლაც ჩვენგან ორი მაგიდის იქით იჯდა, როგორც ყოველ-

თვის, მოხდენილად და პეწიანად ჩაცმული. მწეველთა ასანთის ალსა თუ ოფიციანტთა ჯიბის ფარნის შუქზე ძლივს ვარჩევდი მის სახეს. გვერდით გაბი ძალო ეჭდა. ორივე ძალიან ცდილობდა ჩვენკენ არ გამოეხედა, თუმცა სულ ორი მეტრი გვაშორებდა ერთმანეთს. აშკარა იყო, თვალი მოჭრეს, ხულიას რომ ვკოცნიდი, ყველაფერს მიხვდნენ, მაგრამ რომ არ შეძრებულა, ისე ეჭირათ თავი, ვითომ არაფერი შეუმჩნევიათ. ხავიერმა ანგარიში მოითხოვა და და „ნეგრო-ნეგროდან“ მაშინვე გამოჭიძურწეთ. ძია ხორხემ და გაბი ძალომ არც მაშინ შემოგვხედეს, როცა ლამის ცხვირწინ ჩავუარეთ. ტაქსით რომ მივდიოდით მირაფლორესისკენ — ოთხივე ხმაგაკმენდილები, ცხვირჩამოშვებულები ვისხედით — კნაჭა ნანსიმ ყველას ნაფიქრალი გამოთქვა: „მორჩა, დაიღუპა ყველაფერი! ვაიმე, რა აურზაური ატყდება ახლა!“

მაგრამ, როგორც კარგად გადაღებულ საშინელებების ფილმშია ხოლმე, მომდევნო დღეებში არაფერი მომხდარა და არაფერი იუწყებოდა, ძია ხორხემ და გაბი ძალომ რომ ჩვენი საგვარეულო ააფორიაქა. არც ოლგა ძალოსა და არც ძია ლუჩოს ისეთი არაფერი დასცდენიათ, ხულიას რომ ეფიქრა, ყველაფერი იციანო, ხოლო როცა შემდგომ ხუთშაბათს თამამად მივაღექი სადილად, ისევე გულთბილად და ლალად შემხვდნენ, როგორც ყოველთვის. ძია ხუანსა და ლაურა ძალოსაც არ უცდიათ ვერაგული კითხვებით გამოეტეხათ ნანსი. ჩემმა ბებრებმაც არაფერი უწყოდნენ და კვლავინდებურად უცოდველი ანგელოზებით მეკითხებოდნენ, დაგყავს თუ არა ხულიტა კინოში — მას ხომ ასე უყვარს კინო. დიდი სიფრთხილისათვის მე და ხულია დეიდამ გადავწყვიტეთ ერთი კვირა მალულადაც არ შევხვედროდით ერთმანეთს. სამაგიეროდ სულ ტელეფონზე ვიყავით ჩამოკიდებულნი. ხულია დეიდა კუთხის მაღაზიიდან დღეში სამჯერ მაინც მირეკავდა, სულ იმაზე ვლაპარაკობდით, რაც გვაწუხებდა, ანუ როგორ შეხვდებოდა ჩვენი საგვარეულო ამ ამბავს და ათას ვარაუდს გამოვთქვამდით. შეიძლებოდა თუ არა ძია ხორხეს ჩვენი საიდუმლო არ გაემხილა? ჩემი სანათესავოს ზნე-ჩვეულებანი რომ ვიცოდი, ამაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. მაშასადამე?.. ხავიერის დასკვნით, გაბო ძალოსა და ძია ხორხეს კარგა ნაყლაპი ჰქონდათ ვისკი და ვერაფერსაც ვერ მიხვდნენ, დიდი-დიდი, რაღაც ბნელ ეჭვმა გაპკრათ თავში, მაგრამ რაკი ყველაფერი ჯერ კარგად გარკვეული არ იყო, აურზაური აღარ ატეხეს, ცალკერძ ცნობისმოყვარეობამ, ცალკერძ მაზოხისტურმა სურვილმა ერთი კვირის განმავლობაში ჩვენი სანათესავოს ყველა საოჯახო კერა შემომატარა იმის გასარკვევად, რა შოგველოდა. მაგრამ განსაკუთრებული არაფერი შემიმჩნევია ერთი ფრიად საეჭვო წვრილმანის გარდა. ორტენსია ძალომ ჩაისა და ნამცხვარზე რომ დამპატიყა და მთელი ორი საათი მესაუბრა, ერთხელაც არ უხსენებია ხულია. „ყველაფერი მშვენივრად იციან და რაღაცას ამზადებენ უკვე“, — ვარწმუნებდი ხავიერს, რომელიც ბოლოს ისე გააბრაზა ამ ჩემმა სულ ერთსა და იმავე ამბავზე ჩიჩინმა, მითხრა: „გულში ძალიანაც გინდა აურზაური ატყდეს, რომ მერე დაჯდე და მოთხრობა გააშანშალო“.

ამბებით მდიდარ იმ კვირას შემთხვევით გავხდი ჩხუბის მოწმე და პედრო კამაჩოს დამცველი ქუჩაში. ის იყო სან-მარკოსის უნივერსიტეტიდან ცოტა არ იყოს სინდისდამძიმებული გამოვედი. საპროცესო სამართლის გამოცდების ნიშნების გამოცხადებისას გავიგე, თურმე ჩემს მეგობარ ველანდოზე უკეთესი ნიშანი მიმიღია, რომელმაც მართლა კარგად იცოდა საგანი. უნივერ-

სიტყვის ბალი რომ გადავჭერი, ხენარო მამას შევეჩხე, „კანამერიკანისა“ და „სენტრალის“ რადიოსადგურების მესაკუთრე პატრიარქს. ბელენის ქუჩამდე საუბარ-საუბარით მივედი. ხენარო მამა ჭეშმარიტი ჯენტლმენი იყო, მუდამ თალბი ფერის სამოსი ეცვა და ყოველთვის დინჯად იყო თავი; ბოლივიელმა მოკალმემ მას მონათმფლობელი შეარქვა — გასაგებია, რატომაც.

— თქვენი გენოსი მეგობარი მუდამ თავს მატკივებს ჰრჩხენს მემომჩივლა ხენარო მამამ, — ყელში ამომივიდა პირდაპირ, ჰქვითი ხეივანი ავტორი არ იყოს, აქამდე გავსვამდი ქუჩაში.

— არგენტინის საელჩოს კვლავაც ხომ არ გამოუთქვამს აღშფოთება? — ვკითხე ცნობისწადილით.

— ვერ წარმოიდგენთ, რა არეულ-დარეულობა გამოიწვია, — განაგრძო ხენარო მამამ, — ახლა თავისი გმირები ერთი რადიოსადგმიდან მეორეში გადაჰყავს. სახელებს უცვლის და თავგზას უბნევს მსმენელებს. ჯერ ცოლმა გამაფრთხილა, მერე ტელეფონით დამირეკეს და მითხრეს, ახლა კი ორი წერილი მომივიდა. უჩივიან, მენდოსიტელ მღვდელს იგივე სახელი ჰქვია, რაც „იაპვეს მოწმეს“, იმას კი იგივე, რაც მღვდელსო. დრო არა მაქვს, ყველა რადიოსადგმას ვუსმინო. თქვენ თუ მოგისმენიათ რომელიმე?

იმ წუთს სწორედ ლა კოლმენის ავენიდიდან სან-მარტინის მოედანზე ჩავდიოდით, ქალაქგარეთ მიმავალ ავტობუსებს შუა მივძვრებოდით და ჩინურ დუქნებს ვუვლიდით. გამახსენდა, რამდენიმე დღის წინ პედრო კამაჩოზე ლაპარაკისას რამდენი მაციანა ხულია დეიდამ და საბოლოოდ გამიმტკიცა ეჭვი, ბოლივიელი მოკალმე დიდი იუმორისტი ბრძანდება, თუმცა ამას საგულდაგულოდ შალავს-მეთქი.

— გამიგონე, რალაც უცნაური ამბავი ხდება: ქალიშვილმა იმშობიარა, მაგრამ ბავშვი მშობიარობის დროს მოკვდა და კიდევაც დამარხეს, როგორც წესი და რიგი მოითხოვს. მაგრამ იმას როგორ ახსნი, დღევანდელ საღამოს გადაცემაში ამ მკვდრეთით აღმდგარ ბავშვს ეკლესიაში რომ ნათლავენ? — იძახდა ხულია.

ვერც მე მოვიცალე-მეთქი, რადიოდრამის მოსასმენად, ვუთხარი ხენარო მამას, მაგრამ იქნებ მწერალს საკუთარი ლიტერატურული ხერხი აქვს და იმიტომ ცვლის და ურევს ყველაფერს-მეთქი.

— ფულს ხალხის გასართობად ვაძლევთ და არა საკუთარი ლიტერატურული ხერხის დასტურსაყოფად, — მომიგო ხენარო მამამ, — იგი აშკარად პროგრესიული კი არაა, ტრადიციული იმპრესარიო გახლდათ, — ამ მისი ოინების წყალობით მსმენელებს დავკარგავთ და კომერციული ფირმებიც რეკლამას აღარ გაგვიწევენ. ხომ მისი მეგობარი ხართ, ასე უთხარით, თავის მოდერნისტულ იდეებებს მოეშვას, თორემ შეიძლება უადგილოდ დამირჩეს.

თავად მოახსენეთ ეს ყველაფერი, რამეთუ რადიოსადგურის პატრონი ბრძანდებით და თქვენ სიტყვას მეტი წონა ექნება-მეთქი. მაგრამ ხენარო მამამ უიმედოდ გააქნია თავი (ასე სჩვეოდა მის ვაჟსაც):

— მაგ პედრო კამაჩოსთვის სიტყვის თქმაც არ შეიძლება. წარმატებამ ისე გააყოყოჩა, რამეს რომ ვეტყვი, უზრდელად შემომიბრუნებს ხოლმე სიტყვას.

თურმე რადიოსადგურის პატრონს ყოვლად თავაზიანად უცნობებია კამაჩოსათვის, რაც დაურეკეს ტელეფონით, და აღშფოთების წერილებიც უჩვენე-

ბია. მაგრამ პედრო კამაჩოს უსიტყვოდ გამოუტაცნია ის წერილები, ნაკუწ-ნაკუწ დაუხვევია და სანაგვე კალათაში ჩაუყრია, მერე ისე მოჯდომია საბეჭდ მანქანას, თითქოს ოთახში არც არაფერი იყო. ხენარო მამას ლამის დაძვლია დაეცა თურმე. ამ არასტუმართმოყვარე სამყოფლის დატოვებისას კი მოკალმის ბურტყუნი გაუგონია: „მიდი, მიდი, მეწაღევ, ჯღანჯღან-წილები!“

— მე უკვე აღარ მინდა ასეთი უზრდელი სიტყვები! — მამაშინ უნდა გავაგდო, ეს კი გონივრული არ იქნება, — დაბოლოვა ხენარო მამამ და ხელი მოქანცულად ჩაიქნია — თქვენ კი რას კარგავთ, თქვენ არ გაწყენინებთ, თქვენც ხომ თითქმის შემომქმედი ხართ? დაგვეხმარეთ და მოელაპარაკეთ ჩვენი წარმოების ხათრით.

დავპირდი და, ჩემდა საუბედუროდ, „პანამერიკანის“ ნაშუადღევის რადიოცნობების შემდეგ პედრო კამაჩო პიტნიანი იერბალუისის დასაღვეად დავპატიე. რადიოსადგურიდან რომ გამოვდიოდით, ვილაც ორმა ზორბა კაცმა გზა გადაგვიჭრა. მაშინვე ვიცანი: ეს ულვაშოსანი ძმები ბეთლემის მონაზონთა კოლეჯის წინ მდებარე „პარიჟდაა არხენტინას“ რესტორანში მზარეულად მუშაობდნენ ჩვენს ქუჩაზე. ორივე ძმას თეთრი წინსაფრები ეკეთა და მზარეულის წოპწოპა ჩაჩები ეხურათ. ისინი განთქმულნი იყვნენ, როგორც ცვრიანი შემწვარი ხორცისა და კუჭმაჭის ოსტატები. ბოლივიელ მოკალმისკენ ისე წამოვიდნენ, დაქირავებული მკვლელები გეგონებოდათ.

— მაშასადამე, ჩვენ ბავშვებს ვხოცავთ, შე მამაძაღლო კამაჩო? — უთარა უფროსმა მსუქანმა ძმამ. — გგონია, შე მათხოვარო და მაწანწალავ, ამ ჰვეყანაში ვერაფერი გასწავლის ზრდილობას?

არგენტინელს ბრაზი უფრო და უფრო ერეოდა, სისხლი მოაწვა და ხმა შიგადაშიგ უწყდებოდა. უმცროსი ძამია თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა და, როცა მისმა გაცოფებულმა ძმამ წამით სული მოითქვა, ცეცხლზე ნავთი დაასხა:

— ტილებზე რას იტყვი, ჰაა?! მაშ ბუნოს-აირესელების ყველაზე დიდი ნუგბარი ტილებია ხომ, თავიანთ შვილებს თმიდან რომ აცლიან, შე ძაღლის-შვილო და მურდალო გველაძუაე?! ხომ არ გგონია, გულხელდაკრეფილი ვიჯდე, დედას რომ მიგინებ?!

ბოლივიელ მოკალმეს ერთი ნაბიჯითაც არ დაუხვევია უკან. უსმენდა და გადმოკარკლულ თვალებს ხან ერთს მიაშტერებდა, ხან მეორეს ფრიად მედიდურად. ანაზღად ცერემონიებისტერივით დახარა თავი, როგორც იცოდა ხოლმე, და ზვიადად ჰკითხა:

— შემთხვევით არგენტინელები ხომ არ ბრძანდებით?

ჩასუქებულ მეყასბეს ულვაშზე დუჟიც მოადგა (სახე ახლა თითქმის ოც სანტიმეტრზე მიეტანა პედრო კამაჩოსთვის, რისთვისაც წელშიც კი მოხრილიყო).

— დიახ, — წაიღმუვლა პატრიოტული სიამაყით, — ჩვენ არგენტინელები ვახლავართ, ნაძირალავ, და ვამაყობთ კიდეც ამით!

დადასტურება საჭირო არც იყო. გამოთქმაზე ეტყობოდათ, რომ მართლაც არგენტინელები იყვნენ. იმავე წუთს ბოლივიელ მოკალმეს ფერი ეცვალა, თვალები წამოენთო, საჩვენებელი თითი ჰაერს ატაკა და მოკლედ მოჭრა:

— ასეც ვიგრძენი. აბა მაშ წადით და ისევ თქვენი ტანგოები იმღერეთ! ბრძანება მხიარულად კი არა, კუშტად უფრო ეღერდა. ძმები წამით გაქ-

ვავდნენ, პასუხი ვერ მოეძებნათ. მოკალმე მართლა არ ხუმრობდა — ეს პატარა, ჩია კაცი, მიუხედავად თავისი უმწეობისა, გააფთრებითა და ზიზლითაც შესცქეროდათ.

— რა თქვი? — ამოიხრიალა აღშფოთებულმა სქელმა ძმამ, — რა თქვი?

— წადით და ტანგო იმღერეთ-მეთქი და თან ყურებიც გაჭოჭოვნდეთ! — დაასრულა ბრძანება პედრო კამაჩომ თავისი გასაოცარი გამბედაობით. მუხუჭები წამით იყუჩა და ძალზე ცივად, მკაფიოდ და მუქარით წაილაპარაკა ჩვენდა საუბედუროდ: — ვინემ პანლური არ ამომიკრავს.

ამჯერად არგენტინელებზე მეტად მე დავრჩი სახტად. ეს მეოთხეკლასელის სიმალლე ციდა არსება ცემით რომ ემუქრებოდა იმ ხალხს, ვისაც მარტო თავი ასი კილოგრამი ება, ბოდვა კი არა, თვითმკვლელობა იყო. მაგრამ მზარეული უკვე გონს მოეგო — მოკალმეს ქეჩოში წაეტანა და ირგვლივ შემოკრებილ მოსეირნეთა ხარხარში ბუმბულივით აიტაცა.

— შენ ამომკრავ პანლურს?! — იბღავლა მან. — აბა მე გაჩვენებ სეირს, შე პიგმეო, შენა...

რომ დავინახე, უფროსი ძმა მარჯვენის ერთი მოქნევით პედრო კამაჩოს პაერში გატყორცნას უპირებს-მეთქი, მივხვდი, სხვა გზა არ იყო, უნდა ჩაერეულიყავ. არგენტინელს ხელი ვტაცე და კამაჩოს დახსნას შევეცადე, რომელიც პაერში თობასავით ქანაობდა. ის იყო წავიბურტყუნე: „გამიგონეთ, კანონს ნუ არღვევთ, ხელი გაუშვით-მეთქი“, რომ უმცროსმა ძმამ, არც დაფიქრებულა, ისე მხეთქა მუშტი და მიწაზე ზღართანი გამაღენინა. ძლივს წამოვდექი ფეხზე. გონზე არც ვიყავ მოსული, უმალ გადავწყვიტე ბაბუაჩემის რჩევისთვის მიმესდია, რომელიც ძველი სკოლის კაბალიერო იყო და მასწავლიდა, არც ერთი არეკიპელი, თავისი მიწის ღირსი შვილი თუა, ჩხუბს თავს არ აარიდებს (მით უმეტეს, როცა ნიკაპში მარჯვენას ძალუმად ხეთქენ). ერთი კი მოვასწარ და თვალი ვკარ, უფროსი არგენტინელი სილას სილაზე რომ ულაწუნებდა ჩემს არტისტს (ალბათ არჩია ამ ლილიპუტს მუშტით კი არა, სილით გასწორებოდა), მერე კი ისე გამიტაცა უმცროს ძმასთან წიხლებისა თუ კბილებში მუშტების ჩაცხებამ („ხელოვნების ხათრით“, როგორც ვფიქრობდი), შემდეგ რა მოხდა, თითქმის არ დამინახავს. ჩხუბი დიდხანს არ გაგრძელებულა. როცა „რადიო სენტრალის“ თანამშრომლებმა თავდამსხმელთა ხელიდან გამოგვიხსნეს, სახე რამდენიმე ადგილას დალილავებული მქონდა, მოკალმეს კი ისე შეშუპებოდა დალურჯებული თავ-პირი, ხენარო მამა იძულებული გახდა ტრავმატოლოგებთან გაეგზავნა იგი. იმავე საღამოს მადლობის ნაცვლად, მისი უნიკალური „ვარსკვლავის“ გადასარჩენად ასე ვაყვაცურად რომ გავწირე თავი, ხენაროს ვაჟმა შავი დღე მაყარა პასკუალის გამო, რომელმაც არეულობით ისარგებლა და ორ რადიომიმობნილვაში ცნობები გააპარა (რა თქმა უნდა, გაზვიადებული): „დღეს ორი ყაჩაღი ლა-პლატის ნაპირებიდან თავს დაესხა ჩვენი საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელს, ცნობილ ჟურნალისტს“ და ა. შ.

საღამოს „რადიო პანამერიკანის“ სხვენზე ხავიერი გამომეცხადა. იხარხარა და იხარხარა, როცა ამ მუშტი-კრივის ამბავი მოისმინა და მერე მოკალმესთანაც ჩამყვა მისი ამბის გასაგებად. მარჯვენა თვალი პედრო კამაჩოს მეკობრესავით ჰქონდა შეხვეული, კისერსა და საულვაშეზე სალბუნი ეკრა. ჩვენს შეკითხვაზე, თავს როგორ გრძნობდა, კამაჩომ ზიზლით ჩაიქნია ხელი — ეს

შემთხვევა აინუნშიაც არ ჩაუგდია — და მადლობაც არ მითხრა ჩემი თავ-
განწირვისთვის. მხოლოდ ეს ბრძანა:

— კიდევ კარგი, გაგვაშველეს, თორემ ვაი მაგათი ბრალი/ორიოდე წუ-
თის შემდეგ ხალხი მიცნობდა და ეგ არგენტინელები ლინჩს ვერ გადარჩე-
ბოდნენ.

მერე „ბრანსის“ კაფეში გავემართეთ, სადაც მოკლბეშ გვიანობა, მისი
რადიოდადგმების მოსმენის შემდეგ რევოლვერით როგორ მოუვარდა ბოლი-
ვიის რადიოსადგურში „იმავ ქვეყნელი“ ვილაც ფეხბურთელი, მაგრამ, საბედ-
ნიეროდ, დარაგებმა დროზე შეამჩნიეს.

— დიდი სიფრთხილე გმართებთ ახლა, — უთხრა ხავიერმა. — ლიმა
არგენტინელებითაა სავსე

— რას იზამ, ადრე თუ გვიან ყველას მატლები შეგვჭამს, — ფილოსო-
ფიურად შენიშნა პედრო კამაჩომ.

შემდეგ გვიამბო სულთა გადასახლებაზე, რაიც მისთვის რწმენის სიმბო-
ლოდ გამხდარიყო, და თავისი საიდუმლოც გაგვანდო: თუ არჩევანზე მიდგა
საქმე — მირჩევნია ზღვის რომელიმე ცხოველი, კუ ან ვეშაპი ვიყო, რადგან
ისინი ძალიან დიდხანს და უშფოთველად ცოცხლობენო. რომ შევატყვე, კარგ
გუნებაზეა-მეთქი, გადავწყვიტე ნაკისრი საპატაო მისია შემესრულებინა ორი-
ვე ხენაროსა და მას შორის „ჩატეხილი“ ხიდის გასამთვლებლად, და ხენარო
მამის თხოვნა გადავეცი: მსმენელები წერილებს უგზავნიან და ტელეფონი-
თაც ურეკავენ რადიოდადგმების გაუგებარ შემთხვევებზე-მეთქი. ამიტომ მო-
ხუცი გთხოვთ, სცენარებს მეტიმეტად ნუ დახლართავთ, რამეთუ საშუალო
მსმენელის დონე ძალიან დაბალიაო. ხოლო დანაბარების მოსაშაქრავად დავა-
მატე, პირადად მე მთლიანად ვიზიარებ მის — ანუ კამაჩოს თვალსაზრისს (მარ-
თლაც ასე იყო). რა თქმა უნდა, რადიოსადგურის პატრონის პრეტენზია უაზ-
როა, ვინაიდან ყველას ნება აქვს, როგორც უნდა, ისე წეროს, მე მხოლოდ,
რაც დამაბარეს, ის მოგახსენეთ-მეთქი. პედრო კამაჩო უსიტყვოდ მისმენდა,
გამომეტყველება არც შეუცვლია. თავი უხერხულად ვიგრძენი და დავდუმდი.
არც მას დაუძრავს კრინტი, პიტნიანი იერაბალუისის ნახარშის უკანასკნელი
ყლუპი მოსვა, წამოდგა, დროა სტუდიაში წავიდეთ, ჩაილაპარაკა და, „ნახ-
ვამდისო“, არც უთქვამს, ისე გავიდა. იქნებ ეწყინა, უცხოსთან რომ ვუთხა-
რი, ტელეფონით რეკავენ-მეთქი. ასე ჩათვალა ხავიერმაც და მირჩია, მოკალ-
მეს მოუბოდიშეთ. ჩემს, თავს სიტყვა მივეცი, ამიერიდან თავის დღეში შუა-
მავლად აღარ დავდგომოდი არც ერთ ხენაროს.

იმ კვირას, რაკი ხულია დეიდას ვეღარ ვხვდებოდი, რამდენიმე საღამო
ჩემს მირაფლორესელ ამხანაგებთან გავატარე, რომელთაც ჩემი მალული სიყ-
ვარულის დღიდან აღარ შევხვედრივარ. ჩემი უბნელები და თანაკლასელები
ჯერაც სწავლობდნენ, სალას-ზანგო საინჟინრო საქმეს ეუფლებოდა, წითურა
მოლფინოს მედიცინისთვის შეეწირა თავი, ნაწილს სამსახური დაეწყო, რო-
გორც ქოქოს-ლანიასს. ბავშვობაში ღმერთივით ვატარებდით დროს ვთამაშობ-
დით ფეხბურთს, ვცურავდით, წვეულებებზე ვიკრიბებოდით, გოგოებს ვეარ-
შიყებოდით და კინოში დავდიოდით. მაგრამ ახლა, როცა კარგა ხნის გან-
შორების შემდეგ ისევ შევიყარეთ, მივხვდი, ჩვენი მეგობრობა ის აღარ იყო,
ჩვენ შორის საერთო ცოტა დარჩენილიყო. ღამლამობით ახლაც ძველებუ-
რად ოინებაზობდით: სურკოს მიგდებულ სასაფლაოზე მთვარიან ღამეში მი-

წისძვრით ჩანგრეულ საფლავეებს შორის დავძვრებოდით თავის ქალების მოსაპარავად: დედიშობილა ვბანაობდით სანტა-როსას პლიაჟის უხარმანაო აუზში ანკონას¹ შორიახლოს, რომლის შენება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. გრაუს ავენიდაზე ბინძურ საროსკიპოებს ვაკითხავდით. ჩემი დოსტები არ შეცვლილიყვნენ, ისევ ისე ლაზღანდარობდნენ, ისევ იმ გოგოებზე მსჯელობდნენ. მაგრამ მე უკვე ველარ ვუზიარებდი იმას, რაც მალეღვებდა: ვერც ლიტერატურისა და ვერც ხულია დეიდას ამბებს. რომ გამეშხილა, მოთხრობებს ვწერ და მწერლობაზე ვოცნებობ-მეთქი, ბიჭები დაასკვნიდნენ, ნაღდად გაატრიონაო (ჭნაკა ნანსიც ხომ ასე ფიქრობდა). ხოლო რომ მეამბნა — როგორც ისინი მიყაჭავდნენ თავიანთ გამარჯვებების ამბავს — ქმარგაყრილ ქალს ვეტრფი, ოღონდაც ჩემი საყვარელი კი არა, მიჯნურია-მეთქი (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, როგორც მირაფლორესში იყო მოღებული), ბიჭები იმხანად ფრიად მოდურ, დახვეწილ და იღუმალი აზრით სავსე სახელს „დაბ-მულ ულაყს“ მომაკერებდნენ.

ჩემს თვალში სულაც არ ამცირებდათ ამხანაგებს ის ამბავი, რომ ლიტერატურას არ კითხულობდნენ. არც მათზე მალლა მიმაჩნდა თავი იმის გამო, რომ ასაკსრულ ქალს დავუახლოვდი, მაგრამ როცა სურკოს სასაფლაოზე ევკალიპტებსა და მოლიეს² ხეთა ძირში საფლავეებში ვიჭექებოდით, როცა ვარსკვლავების შუქზე სანტა-როსას აუზში ვჭყუმპალაობდით, ლუღს ვსვამდით თუ „ნანეტის“ საროსკიპოს გოგოებს ვაკითხავდით, მოწყენით ვიყავ და ჩემს მოთხრობაზე („კომერსიოს“ დამატებაში „სახიფათო თამაშობანი“ არც გასულ კვირას დამიბეჭდეს) თუ ხულია დეიდაზე უფრო მეტს ვფიქრობდი, ვინემ ამ ჩემს დოსტებზე.

ხავეერს რომ ვუამბე, რარიგ გამიცრუა იმედები ჩემს უბნელებთან შეხვედრამ, მკერდი ამაყად გამობერა და მაუწყა:

— საქმეც ეგაა, ჩემო ვარგიტას, ეგენი ისევ ლაწირაკებია, ჩვენ კი დავკაცდით.

XII

მტვრიანი ქალაქის შუაგულიდან იკის ქუჩაზე რომ გაგეხვია, აივნებიან და უალუწებიან ძველ სახლს დაინახავდი. უამთასვლისა თუ გამვლელთა შეუგნებლობით შეღანძლულ კედლებზე (ჭრძნობამორეული მიჯნურის ხელს ზედ ისარგაყრილი გული და ქალებისა თუ ვაჟების სახელები მიეწერა, ხოლო ოინბაზის თითებს — უხამსი ნახატები და სიტყვები) დღესაც აქა-იქ შორიდან შეამჩნევდი იმ ლაფვარდისფერს, კოლონიალურ დროებათა უამს დიდებულთა სახლები რომ იღებებოდა... ლიმას ნიავექრებსა და ლეგა ნესტს, რომ არაფერი ვთქვათ მიწისძვრებზე, სასწაულით გადარჩენილი ამ შენობის ნაწილი — ვინ იცის, ოდესღაც მარკიზთა სამყოფელიც? — ახლა უბადრუკ სახელოსნოს უკავია. თავიდან ბოლომდე ჭიებით დახრულ-გამოჭმული, ვირთხებისა და ობობის სანავარდოდ ქცეული სახლი, რამდენჯერმე დაყოფილ-გადაკეთებული, რა არის მეტი ბინადარი დაეტია, თავისი ეზოებითა და ოთახებით

¹ ლიმას ახლოს სააგარაკო ადგილი.

² მარადმწვანე ხშირფოთლებიანი ხეები, პერუში რომ ხარობს.

ფუტკრის სკას დამსგავსებოდა. დამპალ ფიცრებსა და დაბრეცილ ჰერს შორის მცირედი შეიძლების ბინადარნი შეუუუულიყვნენ (ალბათ საუკუნო განსასვენებელსაც ამ ჩამოსანგრევად გამზადებულ თაღებქვეშ ჰპოვებდნენ). მეორე სართულზე ეგრეთ წოდებული „კოლონიალური პანსიონის“ ექვსიოდე სენაკი მოხუცებსა და ხეიბრებს ეჭირა, რომელთაც მხოლოდ უსუფთაობას, თორემ უზნეობას ვერამც და ვერამც ვერ უსაყვედურებდი კაცი.

პანსიონის პატრონი და გამგებელი ბერგუათა ოჯახი გახლდათ, სამი კაცისგან შემდგარი, ოცდაათიოდე წლის წინათ აიაკუროდან, ამ მთებზე აგებულ, ქვებით მოკირწყლულ, ეკლესიებით სავსე ქალაქიდან ჩამოსახლებული, და — შოი, ბედის უკულმართობავს! — აქ ფიზიკურად, ეკონომიურად, სოციალურად და, ასე განსაჯეთ, სულიერადაც დაჩაჩანაკებული. ეჭვი არაა, ოჯახის ყველა წევრი აქ, მეფეთა ქალაქში¹ მიაბარებდა უფალს თავის სულს და მომავალში თევზებად, ჩიტებად თუ მწერებად მოევლინებოდა კვლავაც ამა ქვეყანას.

„კოლონიალური პანსიონი“, შა და შა, სულს დაფავდა. მისი მუშტრები ახლა უქონელი და უჩინო ხალხი იყო: ყველაზე საპატიონი იყვნენ — არქიეპისკოპოსთან საქმის გასაჩარხად პროვინციიდან ჩამოსული მღვდლები; უპატიონი — მზისგან ლოყებდახრუკული გლეხის ქალები, სპილენძის ფულები რომ ვარდისფერ ცხვირსახოცში გამოეკუჭათ და ინდიელ კერუათა ენაზე აღავლენდნენ ლოცვას. პანსიონს მოახლეები არ ჰყავდა, ისე რომ, ყველა საქმე — დალაგება, სანოვაგის ყიდვა, სადილის დამზადება — სენიორა მარგარიტა ბერგუასა და მისი ორმოცი წლის გაუთხოვარი ასულის, ფრიად ამოდ მეღერი სახელის მქონე როზას კისერზე გადადიოდა. სენიორა მარგარიტა ბერგუა, შემწვარი ვაშლივით სახედაპრანჭული გაღეული ქალი, თავკომბალას რომ ჰგავდა და ნიადაგ კატების სუნი ასდიოდა, თუმცაღა პანსიონში მათი ჭაჭანება არ იყო, ალიონიდან ალიონამდე მუხლს არ ჩახრიდა. მისი სიარული მთელ სახლში — ბედისწერის ნაბიჯების დარად — დასტურ საოცრება იყო: დიასახლისს ცალი ფეხი ოცი სანტიმეტრით მოკლე ჰქონდა და ხის სქელლანჩა ფეხსაცმელს ატარებდა, რომელიც წაღების მწმენდელთა ფეხის შესადგამს ჰგავდა და მრავალი წლის წინათ გამოეჩორკნა ვილაც ნიჭიერ აიაკუროელ ხატმწერს. როცა დონია მარგარიტა ამ თავის ფეხსაცმელს ხის იატაკზე მიაჩაკუნებდა, მთელ სახლს ზანზარი გაუდიოდა. მომჭირნეობა თავიდანვე მოსდგამდა პანსიონის დიასახლისს, მაგრამ დროთა ვითარებაში უფრო და უფრო გაუძლიერდა და ახლა შეიძლება სიძუნწედაც მოგენათლა. ასე მაგალითად: მის მდგმურებს დაბანის ნება თვეში მხოლოდ ერთხელ, პირველი კვირის პარასკევს ჰქონდათ; უნიტაზის ჩარეცხვა დღეში ერთხელ შეიძლებოდა (დაძინებამდე ამას თვით დონია მარგარიტა იქმოდ). ამიტომაც „კოლონიალურ პანსიონში“ დღენიადაგ თბილი, ბლანტე და მყრალი სუნი ტრიალებდა და მდგმურებს — მეტადრე პირველ ხანებში — თავრეტს ასხამდა, თუმცა დონია მარგარიტასთვის რომ გეკითხათ, — თავდაჯერებული ქალის პირობაზე მას პასუხი ყველაფერზე მზად ჰქონდა — ამის წყალობით მის მდგმურებს უფრო უკეთ ეძინათ.

¹ ახლანდელ ლიმას მეფეთა ქალაქი ესპანელმა კონკისტადორმა ფრანსისკო პისარომ (1475-1541) დაარქვა, რომელმაც 1531 წელს ინკების იმპერიის დაპყრობა დაიწყო და 1535 წელს ეს ქალაქი დააარსა.

სული და თითები სენიორიტა როზასთვის ღმერთს ხელოვანი ადამიანისა დაენათლებია (თუმცა ღამით მომხდარმა იმ დიდმა უბედურებამ ებეც აღარ შეარჩინა). როცა აიაკუჩოში ცხოვრობდნენ და მათ ყოფას ძალიან არ დაქუფდა — სამი ქვითკირის სახლი, მიწები, ცხვრები — სულ პატარამ მუსიკის სწავლა დაიწყო და ეგზომ ნიჭიც გამოიჩინა ფორტეპიანოზე და კონცერტებში, რომ ქალაქის თეატრში, თვით ალკალდისა და პოლიციის პრეფექტის თანდასწრებით მარტომ ჩაატარა კონცერტი და მსმენელთა ტაშმა გრძნობამოზღვავებულ მშობლებს სულ ცრემლები აფრქვევინა. ამ დიდებულმა დღემ (სენიორიტა როზას კონცერტს ინდიელთა ხალხური ცეკვები მოჰყვა) გადააწყვეტინა დედამას ყველაფერი გაეყიდა და ღიმაში გადასახლებულიყვნენ, რათა მათი ასული მუსიკოსი გამხდარიყო. აი, რატომაც შეიძინეს ეს ვეებერთელა სახლი, თუმცაღა შემდგომ მისი ნაწილ-ნაწილ გაყიდვა და გაქირავება მოუხდათ. შეიძინეს აგრეთვე პიანინოც და თავიანთი ნიჭიერი პირმშო ეროვნულ კონსერვატორიაში მიაბარეს, მაგრამ უზარმაზარმა ქალაქმა, ამ გარყვნილების ბუდე, მალე გაუფანტათ პროვინციული ილუზიები: სულ მოკლე ხანში ბერგუებისთვის აშკარა გახდა ის ამბავი, რასაც გულში ეჭვადაც არ გაივლებდნენ: ღიმა თურმე მილიონ ცოდვილთა საბუდებელი იყო, სადაც ყველა უკლებლივ აიაკუჩოელი ნიჭიერი ასულის შეცდენას ღამობდა. ყოველ შემთხვევაში, ხწორედ ამას ამტკიცებდა დილას, შუადღისას თუ საღამოს შიშისგან თვალბდამრგვალებული მათი აცრემლებული ასული: სოლფეჯიოს მასწავლებელი დმუილით ეტაკა თურმე და იქვე, ნოტების დასტებზე მოუნდომა პატივის ახდა; კონსერვატორიის მეკარეს უტიფრად შეუთავაზებია, ხომ არ გინდა ჩემი საყვარელი გახდეო. ორ უმაწვილს, კონსერვატორიის სტუდენტებს, საპირფარეშოში მიუპატიჟებიათ, მოდი ნახე, ფისი-ფისის როგორ ვშვრებითო. ქუჩის კუთხეში მდგარ პოლიციელს, როცა როზას მისამართი უკითხავს, აღბათ ვილაცაში შეშლია და ბლლარძუნი დაუპირებია; ავტობუსის კონდუქტორმა ბილეთის ფული რომ გამოართვა, ძუძუზე უჩქმიტა... ცოლ-ქმარმა ბერგუებმა თავიანთი ასულის ქალწულობის დასაცავად — რაიც მთის მკვიდრთა კლდესავით უტები ადათით ნორჩ პიანისტ გოგოს თავის მომავალ ქმრისა და ბატონისათვის უნდა მიეძღვნა — კონსერვატორიაზე უარი თქვეს, მუსიკის მასწავლებელი ქალი შინ მოიწვიეს, როზა მონაზონივით გამოაწყვეს და შინიდან მარტო გახვლა აუკრძალეს. მას აქეთ იგი ქუჩაში მხოლოდ დედ-მამასთან ერთად გადიოდა. იმ დღიდან ოცდახუთი წელი გამოხდა; სიქალწულე მართლაც უბიწო და შეუბღალავი დარჩა, მაგრამ ახლანდელ ვითარებაში ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ვინაიდან ზემოხსენებული ღირსების გარდა — რასაც ბარემ აქვე უნდა ითქვას, თანამედროვე უმაწვილობა აშკარად ჩირად არ აგდებს — ყოფილ პიანისტ ქალს (მომხდარი უბედურების შემდეგ მშობლებმა მუსიკის გაკვეთილებზე უარი თქვეს, პიანინო კი ექიმებისა და საავადმყოფოში მკურნალობის ხარჯების გასტუმრებას შეეწირა) სხვა რამ მოსახიბლავი აღარაფერი დარჩა. იგი დაბერდა, ჩასქელდა, მოიკუზა, დაპატარავდა. უშნო, ფარფაშა სამოსი, რომელსაც უკვე შეეჩვია, თმასა და შუბლზე ჩამოფხატული თავსაბურავი სენიორიტა როზას ბოხჩას უფრო ამსგავსებდა, ვინემ ქალს. იგი კვლავინდებურად გაიძახოდა, რომ კაცები ისევ ეხვევიან, რომ გასაქანს არ აძლევენ, უტიფარ რაღაცებს თავაზობენ, მის გაუპატიურებას ეზ-

რახვიან, მაგრამ ახლა დედ-მამასაც კი შეეპარა ეჭვი, ეს უველაფერი ავად-
მყოფური ფანტაზიები ხომ არ იყო?

მაგრამ უველაზე შესაბრალონი და დაუვიწყარი პიროვნება კოლონი-
ალურ პანსიონში“ მაინც დონ სებასტიანი გახლდათ, კაცი შუბლგანიერი, არ-
წივისცხვირა და თვალბასრი, პირდაპირი და კეთილმოსურსი. მშველი ყა-
იდის მოხუცი იყო. ვერ ვიტყვი, პერუში პისაროს რაზემებს ჩამოყოლილ თავის
შორეულ წინაპარ. კუენკის მკვიდრ ესპანელ კონკისტადორ ძმებისგან ცხოვ-
რების სიამეთა მეტისმეტი ტრფიალი გამოჰყვა-მეთქი, რის წყალობითაც
ძმებმა ასობით ინკები დახოცეს კუსკოში (თითოეულმა ცალ-ცალკე) და შე-
სატყვისად იმდენივე ქალწული გააბახეს. მაგრამ მათსავით მებრძოლი კათო-
ლიკური სული მოსდგამდა და მტკიცედ სწამდა, რომ კეთილშობილ ბატონებს
ან რენტაზე ან სხვების შრომის ხარჯზე მართებთ ცხოვრება და არამც და
არამც საკუთარი ჯიბით. დონ სებასტიანი სიურმითვე ყოველდღე დადიოდა
ეკლესიაში, ყოველ პარასკევს ეზიარებოდა სასწაულმოქმედ ლიმპიელის საპა-
ტიოდ, ვისიც დიდზე დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ, და თვეში სულ ცოტა
სამჯერ მაინც იმათრაბებდა თავს ანდა ძაძას ატარებდა, შრომა — ანუ ველურ-
თა საკადრისი ეს დამამცირებელი, ეს ბინძური საქმე — ესოდენ სძაგდა
და ეზიზღებოდა, მდგმურებიდან ქირის გამორთმევასაც არ კადრულობდა,
თუმცაღა მხოლოდ და მხოლოდ ამით არსებობდა. ლიმაში დამკვიდრების
შემდეგ დონ სებასტიანს ერთხელაც არ შეუწუხებია თავი ბანკში წასულიყო
იმ აქციებიდან პროცენტების მისაღებად, რაშიაც ფული დააბანდა. ეს მოვა-
ლეობა, როგორც სხვა დანარჩენი, უველაფრის გამრიგე დონია მარგარიტას
ეკისრა, ხოლო როცა ასული წამოეზარდა, — დონია მარგარიტასა და ყოფილ
პიანისტს ერთად.

ვინემ ის უბედურება დაატყდებოდა, რამაც ბერგუების ოჯახის უცილო-
ბელი განადგურება დააჩქარა და მათი გვარი უმემკვიდროდ გადააშენა, დონ
სებასტიანის ყოფას ჩვეულებრივი ქრისტიანი ბურჟუის ყოფა ეთქმოდა. დი-
ლაობით გვიან დგებოდა, განა სიზარმაცით, მხოლოდ იმიტომ, პანსიონის
მდგმურებთან ერთად არ ესაუზმა, და განა მდაბიორთა ზიზლის გამო, უბ-
რალოდ, მტკიცედ სწამდა, სოციალური და მეტადრე რასობრივი საზღვრები
კაცმა არ უნდა დაარღვიოს. შემდეგ დაღევდა ერთ კიქა ხილის წვენს და მესა-
ზე წაბრძანდებოდა. იგი დიდი მოტრფიალე იყო ისტორიისა და ამიტომაც
მუდამ სხვადასხვა ეკლესიებში დადიოდა, ხან წმინდა ავგუსტინესი, ხან წმინდა
პეტრესი, ხან წმინდა ფრანცისკოსი თუ წმინდა დომინიკისა, რათა ღმერთის-
თვის თავისი მიეგო და ამავე დროს კოლონიალური ხანის საეკლესიო ხელოვ-
ნების უბადლო ქმნილებებითაც დამტკბარიყო. წარსულის ამ ქვისგან ნაქანდა-
კევ მოწმეებს, გარდა სხვა უველაფრისა, ინდიელთა დაპყრობისა და ესპანე-
თის სამეფოს მონაპოვართა ხანაში გადაჰყავდა — სად ის წარმტაცი ხანა და
სად ახლანდელი უღიმღამო ყოფა! — როცა იგი ზარდამცემ კონკისტადორთა
კაპიტანი ან კერპთაყვანისმცემელთა წინააღმდეგ ღვთისმოსავი მეომარი იქ-
ნებოდა. ოცნებებში ჩაფლული ბრუნდებოდა დონ სებასტიანი ხალხმრავალი
ქუჩებით — მოაბიჯებდა წელში გამართული, ეცვა შავი კოსტიუმი, საყულოგა-
ხამებული და მაჭებმისამაგრებელი პერანგი, ნიადაგ სახამებელი რომ ცვიოდა,
გახული საუკუნის დროინდელი წვრილჭვინტა ლაქის წადები. შებრძანდებო-
და „კოლონიალურ პანსიონში“, ჩაჯდებოდა უალუშებიან აივანზე თავის საყ-

ვარელ საქანელაში, აქ ატარებდა დილის დარჩენილ ჟამს და ხმამაღალი ჩურჩულით კითხულობდა გაზეთებს, სარეკლამო განცხადებებს, იმის გასაგებად, თუ რა ხდებოდა ამ სამყაროში. ნასადილევეს — დონ სებასტიანს¹ დალაუნებურად ეს ტრაპეზი მდგმურებთან უნდა გაეზიარებინა, რამეთუ ზრდილი კაცი გახლდათ — წმინდა ესპანური ადათის მიხედვით სიესტას² შემდეგ ისევ ჩაიცვამდა შავ კოსტიუმს, გახამებულ პერანგს, დახსნავედა რუხ ქუდს და დინჯად გაემართებოდა „ტამბო-აიაკუჩოს“ კლუბისკენ. ეს კლუბი კაილიომის ქუჩაზე მდგარი შენობის ზემო სართულში იყო მოწყობილი. იქ იყრიდა თავს ბევრი იმათგანი, ვისაც იგი ანდებში მდებარე თავის მშვენიერ ქალაქში იცნობდა. აქ თამაშობდა დომინოს, როკამბორს³, რულეტს, ლაპარაკობდა პოლიტიკაზე და ხანდახან — ადამიანური ცოდვანი მასაც მოსდგამდა — ისეთ საგნებს გადასწვდებოდა, სენიორიტათა ნაწ უურს რომ არ მოესმინებოდა; შეღამებულზე დინჯადვე დაბრუნდებოდა „კოლონიალურ პანსიონში“, თავის ოთახში მარტო გაიხლებოდათ წვნიანსა და შემწვარს, რადიოს მოუსმენდა და, საკუთარი სინდისისა თუ ღვთის წინაშე პირნათელი, ძილს მიეცემოდა.

მაგრამ ასე იყო აღრე. ახლა დონ სებასტიანს ქუჩაში ველარავინ ნახავს. არც სამოსს იცვლის — დღეთულამ აგურისფერი პიჟამა, ცისფერი ხალათი, შალის წინდები და ალპაკური ბაწრის ძაფისგან ნაქსოვი საშინაო ფოსტლები აცვია. იმ უბედურების დღიდან დონ სებასტიანი კრინტს აღარ სძრავს. არც ეკლესიებში დადის, აღარც გაზეთებს კითხულობს. როცა თავს უკეთ გრძნობს, — პანსიონის ბინადარნი (როგორც კი ბერგუებისთვის ნათელი გახდა, ამქვეყნად ყველა მამაკაცი — ბილწი, უხამსი სატირია, „კოლონიალურ პანსიონში“ მხოლოდ ქალთა სქესის წარმომადგენელთა და ხეიბარ მამაკაცთა გარდა, რომელთა სქესობრივი უძლურება, ავადმყოფობითა თუ ასაკით გამოწვეული, ერთი შეხედვით შეინჩნეოდა, არავინ გაჭაჭანებულა), ხედავენ, გაუპარსავი, თმაგაბურძგვნილი დონ სებასტიანი. ქერტლით დაფარულ სამოსში რა გამოგნებული დაბორიალობს აჩრდილივით ჩაბნელებულ, ცარიელ, მოუვლელ ოთახებში ან საათობით უხმოდ და ჩაფიქრებით ქანაობს საქანელაში. ახლა უკვე აღარ სადილობს მდგმურებთან; საოცარია და, იმ დიდკაცთა სენმაც დარია ხელი, კაცს რომ ხშირად სამოწყალო თავშესაფარში ამოაყოფინებს თავს: დონ სებასტიანს კოვზიც ვერ მიაქვს პირთან, ისე რომ ცოლი ან ქალი აჭმევს. როცა ცუდადაა, კვირაობით აღარ ჩანს ხოლმე: კეთილშობილი ბერიკაცი ამ დროს თავის ოთახშია ჩაკეტილი. მაგრამ მდგმურებს ესმით მისი ღმუილი, კვნესა, ღრიალი, რომლისგანაც შუშებს ზრიალი გააქვს. „კოლონიალურ პანსიონის“ ახლად მოსული მდგმურები ასეთ დროს გაკვირვებით შესცქერიან დონია მარგარიტასა და სენიორიტა როზას, კონკისტადორთა შთამომავლის ღმუილში რომ აღუშფოთველად ჭგვიან, ალაგებენ, საჭმელს ამზადებენ, სუფრას შლიან და ლაპარაკობენ, თითქოსდა აქაც არაფერიო. მდგმურებს ისიც კი ჭგონიათ, ამ ქალებს ქვა გული აქვთ, არ ეცოდებათ და არ უყვართ ქმარი და მამა. როცა მეტიხმეტად აბეზარნი დაკეტილ კარზე მიუთითებენ და შეჭკადრებენ: „დონ სებასტიანი შეუძლოდ ხომ არ ბრძანდება?“ — დონია მარგარიტა უნდითად მიუგებს ხოლმე: „არაფერია, უბრალოდ ის საშინელი

¹ ბანქოს სახეობა.

ამბავი გაახსენდა, მალე გაუვლის ყველაფერი“. მართლაც ორ-სამ დღეში ყველაფერი გადიოდა და დონ სებასტიანიც კვლავ „კოლონიალური პანსიონის“ ჩახერგილ კუნჭულებსა და ტალანებში დაძრწოდა გამხდარი, გაფითრებული, შიშისგან სახედამანჭული.

ერეკინული

მაინც რა უბედურება იყო ასეთი? სად, როდის ანბრუ ვინაშნაში მოხდა იგი?

მოხდა ესე ამბავი ამ ოციოდე წლის უკან. „კოლონიალურ პანსიონში“ ერთი ნაღვლიანთვალემა უმაწვილი ჩამოვიდა, ვის სამოსსაც აშკარად ეტყობოდა, სასწაულმოქმედ უფლის ორდენს რომ ეკუთვნოდა. არეკიბის მკვიდრსა და ხელობით კომივოიაჟერს წინასწარმეტყველის სახელი და ზღვის ცხოველის გვარი ჰქონდა — ესეკიელ დელფინად იწოდებოდა — და გარდა ამისა ქრონიკული უაბზობაც სჭირდა. სიუმაწვილის მიუხედავად პანსიონში იგი მაინც მიიღეს, რამეთუ ზეშთაგონებული გარეგნობა — მეტისმეტი გამხდარი ტანი, საოცრად ფერმკრთალი სახე, წვრილი ძვალი — აგრეთვე აშკარა ღვთისმოსაობა (იისფერი შალსტუხისა და ცხვირსახოცის გარდა ჩემოდანში ბიბლია ედო, სამოსის ნაკეცებში კი ბაფთაზე მოკონწიალე ხატი ჩანდა) დასტურყოფდა, რომ ზემოთ ნახსენებ კდემამოსილებს შემბლაღავი იგი არ იქნებოდა.

თავდაპირველად ჭაბუკმა ჭეშმარიტად სიხარული მოჰგვარა ბერგუების ოჯახს. ეს განათლებული ჭაბუკი ბევრს არ გაახლებოდათ, ქირას წესიერად იხდიდა და თავი მშვენივრად ეჭირა. ასე მაგალითად, დროდადრო დონია მარგარიტას იებს მიართმევდა, დონ სებასტიანს — მიხაკს პიჯაკის ღილაკილოში გასარჭობად, ხოლო სენიორიტა როზას დაბადების დღეზე ნოტები და მეტრონომი უძღვნა საჩუქრად. მოკრძალება და მორცხვობა ნებას არ აძლევდა თავის დღეში პირველს მიემართა სხვისთვის (უკეთუ ამას ვერ აიცდენდა, ესეკიელი ჩუმად, თვალმდარბილი ლაპარაკობდა), კარგი ქცევა და ამო საუბარი ძალზე მოსწონდათ ბერგუებს, რომელთაც სულ მალე შეუყვარდათ თავიანთი მდგმური და ალბათ გულის სიღრმეში კიდევაც ნატრობდნენ მომავალში სიძელ გაეხადათ. ჩათრევას რომ ჩაყოლა სჭობდა, ეს მარტივი ფილოსოფია უკვე ასწავლა მათ წუთისოფელმა.

მეტადრე დონ სებასტიანი განიმსჭვალა დიდი სინაზით ესეკიელისადმი: იქნებ ეს აწიწი კომივოიაჟერი ვაჟს აგონებდა, ხელმარჯვე ჩლახუნამ რომ ვერ გაუჩინა ქმარს? დეკემბრის ერთ საღამოს დონ სებასტიანმა ამ უმაწვილთან ერთად გაიხეირნა ლიმას მფარველ წმინდა როზას სამლოცველომდე; აქ თავისი თვალით იხილა, უმაწვილმა რომ ჭაში ოქროსმანეთიანი ჩააგდო და წმინდანს შეჰვედრა, იდუმალი სურვილი შემისრულეო. ზაფხულის კვირის თავარა დილას დონ სებასტიანმა კომივოიაჟერი სან-მარტინის მოედანზე დაპატიჟა კაფეში ლიმონიანი ნაყინით პირის გასაგრილებლად. სიტყვაძვირი, კაეშნით მოცული უმაწვილი დონ სებასტიანს დახვეწილობის ნიმუშად მიაჩნდა, ეგების რაღაც იდუმალი სენი შეყროდა და ის უწამლავდა ხულსა თუ ხორცს? ეგებ სიყვარულმა დაუტოვა მოუშუშებელი ჭრილობა? ესეკიელ დელფინი სამარესავით უტყვი იყო. ხოლო როცა ერთხელ ცოლ-ქმარმა ბერგუებმა დიდი სიფრთხილით შეაპარეს, გული გადაგვიშალე, და ჰკითხეს, ეს ახალგაზრდა კაცი სულ მარტო რადა ხარ, არც საღამოებზე, არც კინოში რ დაიარები, არ იცინი, სულ ოხრავ, სულ სივრცეს გაჭყურებ თვალმგაშტერებულო, მდგმური გაწითლდა, მოსაბოდიშებლად რაღაც ჩაიბურტყუნა, გაიქცა და ტუალეტში

ჩაიკეტა, სადაც თავისი ყაბჯობის საბაბით საათობით იქდა ხოლმე. დრო-
დადრო საქმეებზე მიემგზავრებოდა. მაგრამ, დაბრუნებული, მაინც გამოუც-
ნობ სფინქსად რჩებოდა ყველასთვის: ბერგუების ოჯახმა ისიც ვერ გაარკ-
ვია, რომელ ფირმაში მუშაობდა და რას ჰყოფდა. ლიმაში რომ იყო, მთელი
დღეობით ჩაკეტილი ყუყუდა თავის ოთახში. იქნებ ლოცულობდა? ან იქნებ თავის
საფიქრალს მისცემოდა? ცალკერძ სიბრაღულით, ცალკერძ საქმის გასაჭაბ-
რაკავად დონია მარგარიტა და დონ სებასტიანი ყოველნაირად ცდილობდნენ
როზიტას მუსიკალურ მეცადინეობაზე დაესწროთ იგი. უმაწვილიც არ ეურჩე-
ბოდათ, უძრავად, ჩაფიქრებით უხმენდა ხოლმე მუსიკას კუთხეში მიკუნჭული
და დამთავრებისას ზრდილობიანად შემოჰკრავდა ტაშს.

ხშირად დაჰყვებოდა იგი დონ სებასტიანს დილის მესაზე, ხოლო იმ სა-
მახსოვრო წლის ვნების კვირაში ბერგუასთან ერთად არც ერთ წირვას არ დაჰ-
კლებია. იმ დროისათვის უმაწვილი თითქმის მათი ოჯახის წევრად იქცა.

სწორედ იმიტომაც შემფოთდა დიდად სამივე ბერგუა, როცა ერთხელ,
ჩრდილოეთ მგზავრობიდან იმ დღეს დაბრუნებულ ესეკიელს სადილზე მოუ-
ლოდნელად ტირილი წასკდა და ის წუთია მოტანილი ოსპის შეჭამანდის ციცი-
ქნა ულუფა თეფშიანად გადააყირავა. ამ საქციელმა საოცრად შეაშინა სხვა
მდგმურები — ანკაშელი მოსამართლე, კანატამბოელი მღვდელი და ორი უა-
ნუკოელი გოგო, საფერშლო სასწავლებლის სტუდენტები. ბერგუებმა მის
ოთახში წაიყვანეს უმაწვილი კაცი, დონ სებასტიანმა თავისი ცხვირსახოცი
ათხოვა, დონია მარგარიტამ იერბალუისისა და პიტნის ნახარში გაუმზადა,
როზამ კი ფეხებზე პლედო გადააფარა. რამდენიმე წუთის შემდეგ ესეკიელ
დელფინი დამშვიდდა, მოიბოდიშა, ეს რა მომივიდაო, და თქვა, ამ ბოლო
ხანს რაღაც ძალიან გაღიზიანებული ვარ და თავადაც არ ვიცი, ჩემდა უნე-
ბურად წამდაუწუმ რატომ მერევა ტირილიო. დარცხვენით, თითქმის ჩურ-
ჩულით აუწყა ბერგუებს, რომ დამდამობით შიში მოეძალემა ხოლმე, მთელი
ღამე თვალდია, მოკრუნჩხული, ცივ ოფლში გაღვრილი წევს, თანაც სულ
მკვდრების აჩრდილებზე ფიქრობს და მარტოობა ტანჯავს. მისმა აღსარებამ
სენიორიტა როზას ცრემლი მოჰგვარა თვალეებზე, დონია მარგარიტამ კი პირ-
ჯვარი გადაიწერა. დონ სებასტიანმა მაშინვე შესთავაზა უმაწვილს, შენს
ოთახში დავიძინებ, რომ დამშვიდდე და შიშმა აღარ შეგაწუხოსო. მადლიერ-
მა უმაწვილმა დონ სებასტიანს ხელიც კი დაუკოცნა.

მალე მდგმურის ოთახში საწოლი შემოათრიეს და დონია მარგარიტამ თავის
ქალთან ხელდახელ გააწყო ლოგინი.

იმხანად დონ სებასტიანი დაღვინების ასაკში გახლდათ — ორმოცდაათი
შესრულებოდა. ძილის წინ იგი მუდამ ორმოცდაათამდე მუცლის სავარ-
ჯიშოს აკეთებდა (აკეთებდა ღამე და არა დილით, რათა არც ამით დამსგავსე-
ბოდა მდაბიორთ). ოღონდაც იმ დღეს, ესეკიელი არ შეგაწუხოსო, აღარ უვარ-
ჯიშია. ძარღვებაწეწილი უმაწვილი ადრიანად დაწვა. მანამდე დიდი სიყვარუ-
ლით გამზადებული ქათმის კუჭმაჭის ბულიონი მიირთვა ვახშმად და უველა
დაარწმუნა, იმ ამბავმა, დონ სებასტიანი ჩემთან რომ დაწვება, წინასწარ და-
მამშვიდა და მთელი ღამე მკვდარივით მეძინებო.

აღათ-წესების ერთგულ აიაკუჩოელ ბურჯუას არასოდეს დაავიწყდება იმ
საშინელი ღამის ყოველი წვრილმანი, ძილში თუ ცხადში არ მოასვენებს უკა-
ნასკნელ ამოსუნთქამდე და — ვინ იცის? — იქნებ იმქვეყნადაც გააწამოს.

დონ სებასტიანმა ადრე ჩააქრო შუქი. მეზობელ საწოლიდან ნაწი უმაწვილის მშვიდი ფშვინვა ისმოდა. „დაეძინა“. გაიფიქრა დონ სებასტიანმა და იგრძნო, თვითონაც რომ მოერია რული. მაგრამ უურში მაინც კათედრალური ეკლესიის ზარების რეკვა ჩახწვდა, შორს ვიღაცა ლოთის სიცილი მოესმა. შერეული ძილმა წაიღო და უოვლად საამო. სულის გამამხნეველებელი სიზმარი ხანა. ესიზმრა გოთური ციხე-კოშკი. გერბებით, ძველებური ეტრატებით. პერალდიკური უვავილებითა და გენეალოგიური ხით დამშვენებული, რომლის მიხედვით მისი გვარი ღამის ადამიდან მოდიოდა; თავად დამპყრობელი და მბრძანებელი იყო (ღიახ. ღიახ. თავად!), ვისთანაც უამრავი ძღვენი მოჰქონდათ მხურვალე თავჯანსიერების ნიშნად ტილიან ინდიელთა ბრბოებს, სკივრს ფულებით, სულსა და გულს კი სიამაყით უყსებდნენ.

ანაზღად (რამდენი ხანი გავიდა: თხუთმეტი წუთი თუ სამი საათი?) რაღაც ჩქამი მოესმა, თითქოსდა ანგელოზმა გაიფრინაო. დონ სებასტიანმა თვალი გააღო. სიბნელეში — ქუჩის სინათლე ძლივს ატანდა ფარდაში — გარჩია, გვერდით საწოლიდან როგორ წამოდგა ლანდი და ნელა გასრიალდა კარისკენ. ძილ-ღვიძილში გაიფიქრა, ალბათ უაზობლივ გაწამებული ბიჭი საპირფარეშოში მიიჩქარის, კუჭის დასაცლელად ან ისევ ცუდად გახდაო. „ესეკიელ, ცუდად ხომ არ ხარ?“ ჰკითხა ხმადაბლა. პახუნის ნაცვლად საკეტის ჩხაკუნის მოესმა კარზე (რომელიც რკინით იყო აკრული და ქრიალებდა). დონ სებასტიანი გაოცებით წამოიწია საწოლზე და შიშით შესძახა: „რამე ხომ არ გჭირდებათ, ესეკიელ? დაგეხმაროთ?“ უფრო იგრძნო, ვინემ დაინახა, კატასავით მოქნილი ბიჭი როგორ გამობრუნდა კარიდან და გვერდით დაუდგა, სინათლის შუქს ჩამოეფარა. „რა იყო, ესეკიელ? მიპახუხეთ!“ — წაილაპარაკა დონ სებასტიანმა და ჩამრთველს დაუწყო ძებნა. იმავე წამს დანამ კარაქივით გაუჭრა ხორცი და ლავიწი გაკვეთა. დონ სებასტიანი ზეწარში გაბლანდული ფეხების გამოთავისუფლებას ცდილობდა და ეგონა, ხმამაღლა ვყვირი, მიშველეთო, უკვირდა, რატომ ცოლი, შვილი და მდგმურები არ მორბიან ჩემს საშველადო. სინამდვილეში კი მისი უვირილი არავის გაუგია. მოგვიანებით, როცა პოლიცია და მოსამართლე ამ სისხლიანი ღამის სურათის აღდგენას შეეცადნენ, უველა გაოცებული იყო, ჯან-ღონით სავსე დონ სებასტიანმა როგორ ვერ განაიარაღა ეს ჩია ჭაბუკი. რა იცოდნენ მდგმურებმა, რომ სამედიცინო საქონლის კომივოიაჟერს ამ სისხლიანი ღამის წყვდიადში თითქოს არაადამიანური ძალა მისცემოდა, დონ სებასტიანს კი ეგონა, ვყვირიო, თორემ მარტო იმაზე ფიქრობდა, ახლა სად მოხვდებოდა დანა, რომ ხელი ეტაცა მისთვის.

დონ სებასტიანს თოთხმეტი თუ თხუთმეტი ჭრილობა აღმოაჩნდა. ექიმების აზრით მარჯვენა ბარძაყს დანის ორჯერ დარტყმა თუ გაფატრავდა ასე (ასეთი შემთხვევა ერთ ღამეში გააქალარავებს ადამიანს და მორწმუნედ აქცევს). მთელი სხეული დანით ჰქონდა დასერილი, მხოლოდ სახეზე არ აჩნდა ერთი ნაკაწრიც (დონია მარგარიტას აზრით ეს სასწაული ლიმპიელ ღმერთის წყალობა იყო, სენიორიტა როზას კი მისი სეხნიის, წმინდა როზას დამხატურებად მიაჩნდა). როგორც შემდეგში გაირკვა, დანა ბერგუათა ოჯახის უოფილა, ამ მჭრელმა დანამ, თხუთმეტიოდე სანტიმეტრის სიგრძემ, სამზარეულოდან ერთი კვირის წინ იდუმლად გამქრალმა, ისე დაუმახინჯა ნაჭრილობებით აიაკუჩოს მკვიდრს მთელი სხეული, დუელების მოტრფიალესაც შეშურდებოდა.

რას უნდა უმადლოდეს სიცოცხლეს დონ სებასტიანი? შემთხვევას, ღვთის წყალობას, უველაზე მეტად კი უფრო საშინელ გარემოებას. არავის არაფერი გაუგია. თოთხმეტ (ან იქნებ თხუთმეტ) ადგილას დაჭრილი და გულწასული დონ სებასტიანი სიბნელეში სისხლისგან იცლებოდა, ისე რომ, შეშლილს თავისუფლად შეეძლო გაქცევა და სამუდამოდ გადაეარგვა. შეჯიშნსხვა ბევრ ცნობილ შეშლილთა მსგავსად ისიც უცნაურმა ახირებამს დაქრულმა მოცა მსხვერპლმა შებრძოლება შეწყვიტა, ესეკიელ დელფინმა დანა გადააგდო და იმის ნაცვლად ჩაეცვა — მთლიანად გაშიშვლდა. ასე დედაშობილამ გახსნა კარი, ტალანი გაიარა, დონია მარგარიტას ოთხში შევიდა და უსიტყვოდ ეცა დიასახლისის ლოგინს აშკარად გაუპატიურების მიზნით. რად აირჩია მაინც-დამაინც დონია მარგარიტა? რად მოინდომა კეთილშობილი წარმოსობის, მაგრამ ორმოცდაათი წლის გამჭკნარ-გალეული, შეუხედავი, მოკლედ, უველა ცნობილი ესთეტიური სკოლის თვალსაზრისით სრულიად გონჯი და თანაც კოჭლი ქალის გაუპატიურება? რატომ არ შეეცადა ნორჩ პიანისტ ქალწულთან ეგემა აკრძალული ხილი, რომელსაც ასეთი ქორფა სუნთქვა, შავი კულულები და ბროლივით პირისკანი ჰქონდა? ან ბოლოს და ბოლოს უანუკოელ მომავალ ფერშალ გოგოების იდუმალი მშვენებით დამტკბარიყო, ისინი ხომ ოცი წლის იყვნენ, ალბათ შავგვრემანი და მომხიბლავი სხეული ჰქონდათ? სწორედ ამ მდაბალმა მოსაზრებებმა აიძულა მოსამართლენი დამცველის მტკიცებანი მიედლო მხედველობაში, რომელთა მიხედვით ესეკიელ დელფინი ფსიქიურად ჯანმრთელად ვერ ჩაითვლებოდა. მოდა, ბრალდებულმაც ცინის ნაცვლად ლარკო ერერას სახელობის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამოჰყო თავი.

უმაწვილი კაცის მოულოდნელი ღამის ვიზიტით მიხვდა დონია მარგარიტა ბერგუა, რალაც საშინელეება რომ მომხდარიყო. იგი საღი ჭკუის ქალი გახლდათ და თავისი მომხიბლლობის ამბავი კარგად უწყობდა. „ძილშიაც კი ვერავინ გამაუპატიურებს, მაშინვე მივხვდით, რომ ეს გავაშიშველი ან გიჟია ან უჩაღი!“ — კიოდა დონია მარგარიტა. იგი ძუ ლომივით იცავდა თავს (სასამართლოზე უბიწო ქალწულს იფიცავდა დონია მარგარიტა, მოძალადე ვერაფერს გახდაო) და არამარტო საკუთარი ნამუსი, ქმრის სიცოცხლაც გადაარჩინა. მოძალადეს რომ გამწარებული ებრძოდა, კბენდა, კაწრავდა, მუშტებით თუ წიხლებით იშორიებდა, ამავე დროს ხმამაღლა უვიროდა (მართლა უვიროდა!), ვინემ მის ასულსა და მდგმურებს არ გაეღვიძათ. როზამ, ანკაშელმა მოსამართლემ, კახატამბოელმა მღვდელმა, მომავალმა უანუკოელმა ფერშალმა გოგოებმა ძლივს გააკავეს ექსგიბიციონისტი და დონ სებასტიანთან შეცვივდნენ, ცოცხალია თუ არაო?

თითქმის ერთი საათი გავიდა, ვინემ „სასწრაფო დახმარებას“ გამოიძახებდნენ და დონ სებასტიანს არქიეპისკოპოს ლოაისის სახელობის საავადმყოფოში გააქანებდნენ, ხოლო სამი საათი, ვანემ ლუჩო აბრილ მაროკინს ქალწულ პიანისტის ხელებიდან გამოიხსნიდნენ — იგი გააფთრებული მიიწევდა ჭაბუკისთვის ფრჩხილებით თვალეზი ამოეჩიჩქნა და მისი სისხლი დაეღლია. იქნებ მამის დაჭრისა ან იქნებ დედის შეურაცხყოფისთვის შური უნდოდა ეძია? ან იქნებ იმიტომ — ადამიანის სულს ვინ ჩასწვდება — კომივოი-ფერმა რომ უგულველჰყო?

პოლიციაში უმაწვილი კაცი კვლავ ისევე მინაზებულ ჭაბუკად იქცა თუ ჰცევით, თუ ლაპარაკით. სირცხვილით აღანძულმა გადაჭრით უარყო წაუე-

ნებული ბრალდება: ბერგუების ოჯახმა და მდგმურებმა ცილი შესწამეს, თავის დღეში არავის დასხმია თავზე, თავის დღეში არ უცლია ქალის შეურაცხყოფა, მეტადრე დონია მარგარიტასთან სნეული ქალისა; ეს სინიორა მისი სიკეთისა და დიდებული თვისებებისათვის ამქვეყნად ყველაზე უფრო უყვარს და პატივს სცემს, რა თქმა უნდა, თავისი ცოლის შემდეგ უტყულოური თვალები რომ აქვს და სიმღერისა და სიყვარულის ქვეყნიდანაა. უმაწვილკაცის სიღინჯემ, თავაწიანობამ და მორჩილებამ, „ბაიერის ლაბორატორიის“ პატრონთა და თანამშრომელთა მშვენიერმა დახასიათებამ, მისი საპოლიციო ბარათის უზადობამ წესრიგის დამცველნი საგონებელში ჩააგდო. ვინ იცის — გარეგნობა ხომ ზოგჯერ ასე მატყუარაა — ეს ყველაფერი დაზარალებულის ცოლ-შვილისა და მათი მდგმურების ხრიკები იყოს ამ ნაწი უმაწვილის წინააღმდეგ? საპოლიციო ხელისუფლებამ მოწყალედ სცნო ეს საბუთი და დაეთანხმა კიდევაც.

მაგრამ ყველაზე საწყენი და სავალალო ის ამბავი იყო და მთელი ქალაქი იმან ააფორიაქა, რომ ვისაც თავს დაესხნენ — ანუ დონ სებასტიან ბერგუა — გამოძიებას ვერ დაეხმარებოდა. იგი სიკვდილს ებრძოდა აღფონსო უგარტეს ავენიდაზე მდებარე ცნობილ საავადმყოფოში, იმდენი სისხლის გადასხმა დასჭირდა, მისი მრავალრიცხოვანი თანამემამულენი „ტამბო-აიაკუჩოს“ კლუბიდან, რომელთაც რა გაიგეს ეს სამწყურბრო ამბავი, მყის საავადმყოფოში მოცვივდნენ და თავიანთი სისხლი შესთავაზეს, ლამის არ დაჭლექდნენ. სისხლის გადასხმამ, ინექციებმა, სადღეინფექციო თუ შესახვევმა საშუალებებმა, მოწყალეების დებმა და ექიმებმა, ავადმყოფის საწოლთან რომ მორიგობდნენ, ძვლებს უმთელებდნენ, ქსოვილს უხორციებდნენ, ნერვიულ სისტემას უმშვიდებდნენ, — რამდენიმე კვირაში შთანთქა ბერგუების ოჯახის ისედაც უკვე კარგა შეთხელებული ქონება (ინფლიაციისა და სულ მზარდი და მზარდი სიძვირის გამო). მათ დააგირავეს აქციები, დატიხრეს და ნაწილ-ნაწილ გააქირავეს თავიანთი ვეებერთელა სახლი, თავად კი მეორე სართულზე შეიკუჭნენ, სადაც დღემდე უღიმღამოდ მიაჩანჩალებენ წუთისოფელს.

დონ სებასტიანი კი გადარჩა, მაგრამ პოლიციის ეჭვების გასარკვევად ჯერ მაინც არ ძალუძდა კითხვებზე პასუხის გაცემა ჭრილობებმა და გადატანილმა ელდამ — ან იქნებ ცოლის პატივის შეღახვამ — დონ სებასტიანი დაამუნჯა (იმასაც კი ამბობდნენ, სულაც გამოათავვანაო). ახლა სიტყვას არ ძრავდა, ყველაფერსა და ყველას ისე უმზერდა, თითქოს ძილმორეული კუ ყოფილიყო, ხელებს ვერ იმორჩილებდა. მან შეძლო — ან არ ინდომა — თუნდაც წერილობით გაეცა ძიებისთვის პასუხი.

პროცესი დიახაც გახმაურდა და მეფეთა ქალაქის სალაპარაკო საგანი გახდა, მთელი დედაქალაქი, მთელი პერუ — იქნებ მთელი ლათინური ამერიკაც — გაფაციცებით ადევნებდა თვალს სასამართლოს მსვლელობას, გამოძიებლის კითხვებსა და მოწმეთა პასუხებს, პროკურორის გამოსვლებსა და დამცველის, სახელგანთქმული ვექილის სიტყვებს, ვინც საგანგებოდ ჩამოსულიყო მარმარილოს ქალაქ რომიდან ლუჩო აზრილ მაროკინის დასაცავად, რამეთუ ბრალდებულის ცოლი, იტალიელი ასული არათუ ვექილის თანამემამულე, ღვიძლი შვილიც გახლდათ.

მთელი ქვეყანა ორ ბანაკად გაიყო. სამედიცინო საქონლის კომივოიერების უდანაშაულობის მომხრეთა — ანუ ყველა გაზეთის — მტკიცებით დონ

სებასტიანი ლამის საკუთარი ცოლისა და ასულის მსხვერპლი გახდა, რომელთაც პირი შეეკრათ ანკაშელ მოსამართლესა, კახატამბოელ მღვდელსა და უანაუკოელ მომავალ ფერშალ გოგონებთან. დანაშაულის მიზეზი, უმეტესად, მემკვიდრეობისთვის ბრძოლა და გამორჩომის სურვილი იყო. რომაელი ვეჭილი მხურვალედ იცავდა ამ აზრს, მისი ვარაუდით, როცა ამ ორმა ქალმა და მღვდმურებმა ლუჩო აბრილ მაროკინს ჩუმი სიგიჟის ნიშნები შეამჩნიეს, გადაწყვიტეს დანაშაული მისთვის გადაებრალეობინათ (ან იქნებ უბიძგეს კიდევ ამისაკენ). ვეჭილს კიდევაც მოჰყავდა საამისო საბუთები, გაზეთებს კი ცამდე ატყავდა ისინი და უტყუვრად მიაჩნდათ: აბა რომელი ჭკუათამყოფელი დაიჭერებს, რომ კაცს თოთხმეტ თუ თხუთმეტ ჭრილობას მიაყენებ დანით და ის კი ხმას არ გაიღებს? ხოლო თუ ლოგიკას მივყვებით და ვივარაუდებთ, რომ დონ სებასტიან ბერგუა ტკივილებისგან ბლაოდა, განა რომელი ჭკუათამყოფელი ირწმუნებს, რომ ვერც ცოლმა, ვერც ასულმა, ვერც მოსამართლემ, ვერც მღვდელმა და ვერც ფერშალმა გოგონებმა ვერ გაიგეს მისი ღრიალი, მით უმეტეს, რომ „კოლონიალური პანსიონის“ კედლები თიხით შეგლესილი ლეღითაა ამოყვანილი, სადაც კოლოს წუილი თუ მორიელის ფაჩუნიც კი ისმის? განა შესაძლებელია უანუკოელ მღვდმურებს, სანიმუშო სტუდენტ გოგონებს დაზარალებულისთვის პირველი დახმარება არ აღმოეჩინათ და გულგრილად ეცადათ ექიმისთვის, თუმცადა სენიორ ბერგუა სისხლისგან იცლებოდა? ან ამ ექვს მოზრდილ ადამიანთაგან თუნდაც ერთს როგორ არ მოაფიქრდა ის, რასაც უტვინოც კი მოიფიქრებს: თუ „სასწრაფო დახმარება“ იგვიანებს, გაიქეცი და ტაქსი მოიყვანე, მეტადრე რომ ტაქსის გაჩერება იქვე, „კოლონიალური პანსიონის“ კუთხეშია? განა ეს ყველაფერი უცნაური, საეჭვო და სანიშნებელი არაა?

ლამის წინასწარი პატიმრობის ციხეში სამი თვე რომ იყურყუტა კახატამბოელმა მღვდელმა, ვინც მხოლოდ ოთხი დღით ჩამოსულიყო ლიმაში თავისი სოფლის პატარა საყდრისთვის ქრისტეს ახალი ქანდაკების გამოსათხოვრად — ძველს ხულიგნებმა თავი წააგლიჯეს — და წარმოიდგინა, შეიძლება კაცის მოკვლის განზრახვა შემწამონ და სიცოცხლის დარჩენილი დღენი ციხეში გავატაროთ, შიშით გული გაუსკდა და მოკვდა. მისმა სიკვდილმა მთელი საზოგადოება აღაშფოთა და დაცვას დამლუპველი ლახვარი ჩასცა. გაზეთებმა ზურგი აქციეს იმპორტირებულ ვეჭილს, კაზუისტიკა, თაღლითობა, კოლონიზატორული ზნე-საქციელი და იმ ქვეყნის უპატივცემლობა დააბრალეს, სადაც ბრძანდებოდა. უფრო მეტიც, ისიც კი შესწამეს, ვით სივილამ. თავისი ანტიქრისტიანული ინსინუაციებით კეთილი მოძღვარი მოაკვდინაო. მოსამართლენი, ლერწმის ღერის დარად, ახლა პრესის მხარეზე გადაიხარნენ, ვეჭილს ხმის უფლება წაართვეს, როგორც უცხოელს, მერე უმაღლეს სასამართლოს წინაშე გამოსვლა აუკრძალეს, შემდეგ კი გადაწყვეტილებაც გამოიტანეს, რასაც მთელი პრესა ეროვნული ზარების რეკვით შეხვდა: იტალიელი, ვითარც „ნონ გრატა“, თავის ქვეყანაში გააძევეს.

კახატამბოელი მღვდლის სიკვდილმა დედა-შვილი და მღვდმურები მკვლელობის განზრახვისა და დანაშაულის დაფარვის ბრალდებას გადაარჩინა. პრესისა და საზოგადოებრივი აზრის კვალდაკვალ პროკურორი მუის განიმსჭვალა ბერგუას ქალბატონების ნდობით და მომხდარი ამბის მათი ვერსიი ილო უურად ლუჩო აბრილ მაროკინის ახალმა ვეჭილმა, ადგილობრივმა იუ-

რისტმა ბრძოლის სხვა ხერხს მიმართა: მან აღიარა, რომ მისმა დასაცავმა პირმა დანაშაული ჩაიდინა. მაგრამ ვინაიდან შიზოფრენიისა თუ ფსიქოპათოლოგიის მხრივ სხვა გადახრების შედეგად გამწვავებული პარიფსიითა და ანემიითაა დაავადებული, რაზედაც ცნობილმა სპეციალისტებმა უკვე თავისი აზრი გამოთქვეს, პასუხი არ შეიძლება მოეთხოვოსო. შემდეგ კერძო-ერთ დამამტკიცებელ საბუთად ის ამბავი მოჰყავდა, რომ „კოლონიალურ პანსიონში“ მცხოვრებ ოთხ ქალში ბრალდებულმა უველაზე ბებერი და თანაც კოჭლი ირჩია. პროკურორის დასკვნითი სიტყვის დროს დონ სებასტიანმა, აქამდე ისე მდუმარედ და უძრავად მჯდარმა. თითქოსდა ეს სასამართლო მას სულაც არ ეხებოდა, უეცრივ ნელა ახწია ხელი (თვალები წამოუწითლდა — რა მიზეზით? დაძაბულობის, გააფთრებისა თუ დამცირების გამო?) და მტკიცედ მიათითა ლუჩო აბრილ მაროკინზე, რამაც გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა და ამ წარმოდგენის მონაწილენი ალტკინებამდე, ხოლო დამსწრე საზოგადოება გახელდებამდე მიიყვანა. დონ სებასტიანს მთელი ერთი წუთი ასე ეჭირა ხელი, რაიც ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ქრონომეტრის საშუალებით აღნუსხა. დონ სებასტიანის ხელის ეს გაწვდენა ისეთივე საოცრებად იქნა მიჩნეული, როგორც, ვთქვათ, სიმონ ბოლივარის ქანდაკებას ცხენი რომ დაეძრა და გაეჭენებინა... სასამართლომ სამართლიანად მიიჩნია პროკურორის საბუთები და ლუჩო აბრილ მაროკინი საგიუეტში გაგზავნა.

მაგრამ ბერგუების ოჯახი მას აქეთ წელში ვერა და ვერ გაიმართა. მას აქეთ დაიწყო ამ ოჯახის სულიერი თუ ქონებრივი დაძაბუნება. საავადმყოფოებისა და სასამართლოების წყალობით გაკოტრებული ბერგუები იძულებულნი გახდნენ უარი ეთქვათ მუსიკის გაკვეთილებზე (ანუ გამოთხოვებოდნენ ოცნებას, რომ როზა მსოფლიოში განთქმული პიანისტი გახდებოდა). შემდეგ უაღრესად შეამცირეს გასავალი, უველაფერს იკლებდნენ და კიდევაც დაჩაჩანაკდნენ. ძველი სახლი კიდევ უფრო დაძველდა, მტვერმა დაფარა უველაფერი, ობობათა ლაშქარი შემოესია და ჩრჩილმა ნელ-ნელა დაუწყო ჭმა. მდგმურების რიცხვი შემცირდა და სოციალური თვალსაზრისითაც დაქვეითდა: ახლა აქ მოახლე და მებარგე ცხოვრობდნენ, ხოლო იმ დღეს, როცა კარზე მათხოვარმა მოაკაკუნა და იკითხა: აქ ხომ არაა კოლონიალური ლამის სათევით? ბედმა ბერგუებს დამცირების ფიალა ბოლომდე შეასვა.

ასე დღე დღეზე, თვე თვეზე მიყოლებით გამოხდა ოცდაათი წელი.

ბერგუების ოჯახი თითქოსდა უკვე შეეჩვია თავის მათხოვრულ ყოფას, მაგრამ ანაზღაოდ, როგორც იაპონიის ქალაქებს, მასაც დაატყდა თავზე ატომური ყუმბარა. აგერ უკვე რამდენი წელია ამ სახლში აღარ ისმოდა რადიო, რამდენი წელია არ უყიდიათ გაზეთები, საშუალება არ იყო ამისი. ამქვეყნად მომხდარი ამბები იშვიათად აღწევდა მათ ყურამდე, ისიც უწიგნურ მდგმურთა ჭორებისა და მითქმა-მოთქმის მეოხებით.

მაგრამ იმ საღამოს — ვინ თქვა განგების ძალა არ არსებობსო! — პატარა ქალაქ კასტროვირეინის საბარგო მანქანის მძღოლმა უეცრად გადაიხარხარა, უწმაწურად შეიგინა, გადააწიტა, „აბა უუურე, ისევ ის გიჟი გამოჩნდა! არ უნდა მოკლა ახლა?“ წაიბურტყუნა და სასტუმროში მდგარ ობობას ქსელით დაფარულ პატარა მაგიდაზე წაკითხული გაზეთი „ულტიმა ორა“ მოისროლა. ყოფილმა პიანისტმა ქალმა გაზეთი აიღო და გადაფურცლა. მეუსეულად ფერი წაუვიდა, თითქოსდა სისხლის მწოველა ღამურამ აკოცაო, და

დედა, დედაო, ყვირილით გავარდა ოთახიდან. ორივე ქალმა რამდენჯერმე გადაიკითხა პაწია შენიშვნა და მერე რიგრიგობით ყურში ჩაჭყვიჩეს დონ სებასტიანს, რომელმაც, უეჭველია, ყველაფერი გაიგო, ვინაიდან იმდენ წუთს ისევ კრუნჩხვებმა მოუარა, ანუ სლოკინი აუტყდა, ხმამალალი ტირილი წასკდა, ოფლმა დაახსა და შეშლილივით წრიალს მოშყვა.

რა ახალმა ამბავმა დასცა თავზარი ბერგუების უკვე მსენიასვესებულ ოჯახს?

წინა დღეს, გათენებისას ვიქტორ ლარკო ერერას სახელობის სულით დაავადებულთა საავადმყოფოში, მაგდალენ დელ მარის რაიონში, ავადმყოფებით რომ იყო გაჭედილი, ერთ-ერთმა ავადმყოფმა, რომელიც უკვე იმდენ ხანს იყო მის კედლებში გამომწყვდეული, სადაცაა მოხუცებულობის პენსია უწევდა, ლანცეტით უელი გამოჭრა ფერშალს. ამის შემდეგ მის გვერდით საწოლზე მძინარე ბებერი მიახრჩო, მარჯვედ გადაძვრა გალავნიდან სანაპიროზე და ქალაქში გაიქცა. მისმა საქციელმა ყველა გააოგნა, რადგან ავადმყოფი საოცარი მორჩილებით გამოირჩეოდა, ცუდ გუნებაზე თავის დღეში არავის უნახავს და მისი ხმის ამალღება არავის გაუგია. მთელი ეს ოცდაათი წელი საავადმყოფოში მხოლოდ და მხოლოდ სასწაულმოქმედ ლიმპიელის სახელზე თავის ჭკუაში წირვას ატარებდა და არარსებულ სეფისკვერებს ურიგებდა არარსებულ მოზიარეთ. გაქცევამდე კი ლუჩო აბრილ მაროკინს, სიმწიფის ასაკისთვის — ორმოცდაათისთვის რომ მიეღწია, ფრიად თავაზიანი გამოსათხოვარი წერილი დაეტოვებინა: „ძალიან ვწუხვარ, მაგრამ იძულებული ვარ გავიქცე, ლიმის ერთ ძველ სახლს, სადაც ვნებით ანთებული ჩლახუნა და მისი ოჯახი ღმერთს საშინლად შეურაცხყოფენ, ხანძარი წაშკიდებია. ღვთისგან ნიშანი მივიღე და ეს ხანძარი უნდა ჩავაქრო“.

ჩაიდენს კია ამას? ჩააქრობს კი ხანძარს? ამდენი წლების შემდეგ ნუთუ კვლავაც მოევლინება ბერგუების ოჯახს და ისევე აწვნევს უბედურებას, როგორც ახლა შიში აწვნია?

როგორ დაასრულებს თავის წუთისოფელს ზარდაცემული აიაკუჩოელ მკვიდრთა ოჯახი?

XIII

რა დამავეიწყებს იმ კვირას, რომელიც ასე ღირსშესანიშნავი შემთხვევით დაიწყო, რომლის მოწმე და მონაწილე თავად შევიქენ, თუმცაღა მზარეულებთან შეხვედრასავით ქიჩმაჩი და მუშტიკრივი არ მოჰყოლია. ხენაროს ვაჟი დღენიადაგ იმაზე იტყულებდა ტვინს, ჩვენი პროგრამებისთვის ახალი რა მოეგონებინა. ერთხელაც ვადაწყვიტა რადიოცნობებისთვის მეტი ეშხის მისაცემად ინტერვიუები დაემატებინა და ეს ამბავი მე და პასკუალს შეგვაწერა. მას აქეთ ყოველდღე ღამის ცნობებში ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე ვაძლევდით ინტერვიუს, რამაც საინფორმაციო განყოფილებას საქმე და სამუშაო კიდევ უფრო გაუზარდა (თუმცა ჯამაგირი არა). მაგრამ ინტერვიუები ისეთი სახალისო საქმე გამოდგა, კრინტი აღარ დამიძრავს, როცა ბელენის ქუჩაზე მდებარე სტუდიაში ან მიკროფონის წინ ღამის კაბარეში მოცეკვავე ქალს, პარლამენტის წევრს, ფეხბურთელსა თუ ნიჭით დაყურსულ ბავშვს შეკითხვებს ვაძლევდი. მივხვდი, მოთხრობის თემად ამქვეყნად თურმე ყველაფერი გამოდგებოდა.

იმ ზემოხსენებულ შემთხვევამდე ყველაზე საინტერესო ტიპი, ვისგანაც ინტერვიუ ავიღე, ვენესუელელი ტორერო იყო, რომელმაც იმ კონკონის ხანს „ახოს“ მოედანზე ენით აუწერელი წარმატება მოიხვეჭა. ჯერ პიროველივე კორიდის შემდეგ რამდენჯერმე საპატიო ნადავლი — ხარისკუთრებულქიართვეს, მეორე კორიდის მერე — ეს ჰეშმარიტად ფანტასტიკურად დასრულდა — მისივე მოკლული ცხოველის ფეშხვი. ბრბომ იგი მხრებზე ატატებული გადაატარა მდინარე რიმაკზე და სან-მარტინის მოედანზე, მის სასტუმროში მიიყვანა. მაგრამ მესამე და მისთვის უკანასკნელი კორიდის დროს (შესავალი ბილეთები თავად გაყიდა ასტრონომიულ ფასად) სინამდვილეში ხარები არც უნახავს: ისე აიტანა შიშმა. ფეთიანივით გაურბოდა რქოსან მეტოქეს, არც ერთი ღირსეული პასი¹ არ გაუკეთებია და არც ბევრი ხარი მოუკლავს. მეორე ხარზე — ყველაფერს თურმე ბედი უნდა! — ოთხი გაფრთხილება მიიღო. ტრიბუნებზე ერთი ღრიანცელი ატყდა, მაყურებლებმა არენის გადაწვა, ვენესუელელის კი ლინჩის კანონით დასჯა დააპირეს. პოლიციელებმა გამაყრუებელ სტვენასა და საჯდომი ბალიშების სეტყვაში მიაცილეს იგი სასტუმრომდე. მეორე დილას, გაფრენამდე რამდენიმე საათით ადრე, სასტუმრო „ბოლივარის“ ვესტიბიულში შევხვდი. სახტადაც კი დავრჩი, როცა აღმოვაჩინე, ტორერო თურმე იმ ხარებზე უჭკუო იყო, ვისაც ებრძოდა, და საკუთარი აზრების გამოთქმაში არც მათზე დიდად ნიჭიერი. სამი სიტყვაც ვერ გადაება ერთმანეთისთვის, ზმნებსა და დროებს დომხალივით ურევდა, ხოლო თუ საკუთარი აზრის თქმას დააპირებდა, უმაღ ტვინის სიმსივნე, მეტყველების მოშლა თუ ადამიანის მსგავსი მაიმუნები მოაგონდებოდა. ჯერ აზრი რა იყო, მაგრამ გადმოცემა კიდევ უფრო გაგაოცებდა. თანაც კილოს საშინლად უქცევდა, სულ კნინობით ან შემოკლებულ სიტყვებს ხმარობდა, ხოლო აზრი რომ გაუწყდებოდა, ზოოლოგიურ ხმებს უშვებდა.

იმ სამახსოვრო კვირის ორშაბათ დღეს მექსიკელს ჩამოვართვი ინტერვიუ. იგი ფრიად გამორჩეული პიროვნება და მშვენიერი მოსაუბრე გამოდგა. თურმე ჟურნალის ხელმძღვანელი იყო, მექსიკის რევოლუციაზე წიგნი დაეწერა, ახლა კი ეკონომისტთა დელეგაციას მეთაურად ჩამოჰყოლოდა და ბინა იმასაც სასტუმრო „ბოლივარში“ დაედო. მექსიკელმა დასტური განაცხადა რადიოში მოსვლაზე და თავად წავედი მის მოსაყვანად. ეს იყო სამოციოდე წლის მაღალი, ტანადი, თმაჭალარა და მშვენივრად ჩაცმული ააცი. მეუღლეც თან ახლდა — გამხდარი, ცოცხალთვალემა ქალი, რომელსაც ყვავილებისგან მოწნული ქუდი ეხურა. რადიოსადგურში მისვლამდე გზაშივე მოვამზადეთ და მერე თხუთმეტ წუთში ჩავწერეთ კიდევ ინტერვიუ ხენაროს ვაყის თავზარდასაცემად: ჩემს ერთ-ერთ შეკითხვაზე ეკონომისტმა და ისტორიკოსმა სასტიკად გაილაშქრა სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ (იმხანად ვინმე ოდრიას² დიქტატურის კანგებში ვეწამებოდით).

საოცრება მაშინ მოხდა, როცა ცოლ-ქმართან ერთად სასტუმრო „ბოლივარში“ ვბრუნდებოდი. შუადღის ხანი იყო, ბელენის ქუჩასა და სან-მარტინის

¹ ასე ჰქვია იმ ფანდს, როცა ტორერო წითელი ლაბადით ხარს აღიზიანებს, თავისთან რაც შეიძლება ახლოს მიუშვებს, მაგრამ დაჭრით არ დაჭრის.

² გენერალმა მანუელ აპოლინარიო ოდრიამ 1943 წელს სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა პერუში, ხელთ იგდო ძალაუფლება და რეაქციული დიქტატურა დაამკვიდრა (1956 წლამდე).

მოედანზე ხალხი ზიმზიმებდა. მექსიკელი ქალბატონი შენობათა მხარეს მიუყვებოდა. ქმარი — შუა ტროტუარს, მე — ქუჩის კიდეს. ის იყო „რადიო სენტრალი“ გავიარეთ და სიჩუმის დასარღვევად სახელოვან სტუმარს გაგუმეორე, მშვენიერი ინტერვიუ გამოვიდა-მეთქი, რომ ანაზღად მისი შეუღლების ხმამ სიტყვა გამაწყვეტინა.

ეროვნული
ზიგნიფიკაცია

— ღმერთო ჩემო, მგონი, ვირღვევი...

შევხედე, მკვდრისფერი ედო, თვალებს აპარპალებდა, პირი უცნაურად ეღრიცებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად ეკონომისტისა და ისტორიკოსის საქციელმა გამოაცა. ამ წამოძახილის გაგონებაზე ჯერ ცოლს, მერე მე სწრაფად, თითქოს დაბნეულად გადმოგვხედა, შემდეგ ქუჩა მოათვალიერა და იმის მაგივრად, შეჩერებულიყო, ნაბიჯს უმატა, თუმცა ჩემ გვერდით მდგარი მისი ცოლი კვლავაც ისევე იკლაკნებოდა. რომ შევატყვე, სადაცაა გული წაუვა და წაიქცევა-მეთქი, სწრაფად შევაშველე ხელი. ჩემი ბედი, გამხდარი რომ იყო და შემაგრება შევიძელ. ამასობაში სტუმარი გამალებით მიალაჯებდა და ეს საჩოთირო საქმე, მისი ცოლის თრევა, ჩემთვის გადმოელოცა.

ხალხი ვვიცქეროდა, გზას გვითმობდა, თვალს გვაყოლებდა. „კოლონის“ კინო-თეატრს რომ მივუახლოვდით, მექსიკელ ქალბატონს უკვე დორბლი, წვინტლი და ცრემლები წამოუვიდა, ისიც გავიგონე, ქუჩაში სიგარეტების გამყიდველმა რომ ჩაილაპარაკა: „აბა უყურე, არ ჩაუფსამს!“ ეკონომისტისა და ისტორიკოსის მეუღლე (ქმარმა ამასობაში უკვე ლა კოლმენის ავენიდა გადაჭრა და „ბოლივარის“ ბარის წინ შეჯგუფებულ ხალხს შეერია) მართლაც ყვითელ კვალს ტოვებდა უკან... მოსახვევში უკვე იძულებული გავხდი ხელში ამეყვანა და, ასე უჩვეულო გზით დამეძლია დარჩენილი ორმოცდაათი მეტრი აპიპინებულ მანქანებსა და ჩვენზე თითმოშვერილ ბრბოს შორის პოლიციელთა სტვენის ხმაზე. ქალი კვლავაც იგრიხებოდა და იკლაკნებოდა. მალე საკუთარმა ყნოსვამ და ხელებმა მაძცნო, რომ „ფისი-ფისზე“ უფრო არსებითიც მოესაქმინა, ყელიდან გაურკვეველი, ყრუ ბგერები ამოსდიოდა. სასტუმრო „ბოლივარში“ შესვლისას კილაცის მოკლე ბრძანება მომესმა: „301-ე ბინა“. ეს თურმე სახელოვანი სტუმარი იყო, ფარდიდან რომ იქყიტებოდა. შემდეგ სწრაფად გაემართა ლიტვისაკენ, სადაც არც ჩემთვის და არც მელიფტესთვის ერთხელაც არ შემოუხედავს, თითქოსდა არ უნდა უზრდელობა გამოიჩინოსო. მელიფტეს დახმარებით ქალი მათ ოთახებამდე მივათრიე. ხოლო როგორც კი ლოგინზე დავაწვინეთ, სახელოვანმა სტუმარმა ორივე გარეთ გამოგვყარა, ამ სიტყვის პირდაპირი ვაგებით, და სახედაძმარებულმა, ცხვირწინ ისე მოგვიკეტა კარი, არც მადლობა და არც ნახვამდისო, უთქვამს.

— არა, ურიგო ქმარი არაა, — განმანათლა მოგვიანებით პედრო კამაჩომ. — ოღონდაც თავმოყვარეა და თანაც ფრიად ამპარტავანი.

სალამოს ხულია დეიდასა და ხავიერისთვის უნდა წამეკითხა ჩემი ახალი მოთხრობა „ელიანა დეიდა“. გაზეთმა „კომერსიომ“ მაინც არ დამიბეჭდა „მფრინავი ბიჭები“ და სანუგეშოდ მეორე გავაშანშალე ჩვენი სანათესავოს ყოფაცხოვრებიდან. ელიანა ჩემი ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი დეიდათაგანი იყო, ჩემი პატარაობისას ჩვენსა რომ დადიოდნენ, და ყველაზე უფრო მიყვარდა, რადგან კანფეტები მოჭქონდა ჩემთვის და ხანდახან კაფე-სანაყინეში დავყავდი. მთელი ჩვენი სანათესავო სულ მასზე ქილიკობდა, როცა კი შეიყრებოდნენ იმანდნენ. მთელ თავის ჯამაგირს — იგი მდივნად მუშაობდა — მთლიანად

კრემიან ნამცხვრებსა, კნაწუნა თაფლისკვერებს, ათქვეფილ ტორტებსა და შოკოლადებში ხარჯავსო. ელიანა ჩათუნთულებული კეთილი ქალი იყო, მხიარული და ენატარტარა. მე მუდამ ვესარჩლებოდი, როცა ნათესავები გაჭორავდნენ ხოლმე — სხვა რაღა დარჩენია წმინდანთა ქანდაკებებში მტკიცე-მოკაზმის მეტი. გათხოვებაზე ფიქრსაც უნდა გამოეთხოვოს. ელიანა წლისა ვიყავ, ელიანა დეიდა მოულოდნელად რომ გაქრა და მას აქეთ აღარავის უხსენებია ჩვენს სანათესავოში. ჩემს შეკითხვებზე დედ-მამა მეუბნებოდა: ხან სამოგზაუროდაა წასული, ხან ავად არის, ხან — ამ დღეებში მოვაო. მე კი არ მჯეროდა, გავიდა ხუთი წელი და მთელი ჩვენი ოჯახი უცბად ძაძვებით შეიმოსა. ბებია-ბაბუას სახლში მითხრეს, ელიანა დეიდა კიბოთი გარდაიცვალა და ჩვენები მის დაკრძალვაზე იყვნენო. მაშინლა გამქლავნდა ყველაფერი. როცა ყველამ ირწმუნა, მორჩა, ელიანა დეიდა აღარ გათხოვდებო, იგი ადგა და უეცრივ ცოლად გაჰყვა ხესუს-მარიას რაიონში ღვინის სარდაფის პატრონ ვილაც ჩინელს. სირცხვილისა და აურზაურის შიშით მთელმა სანათესავომ, დეიდა ელიანას მშობლების ჩათვლით (მაშინ მეგონა, ქმრის ეროვნების ერცხვინებოდათ, ახლა კი ვფიქრობ, ყველაზე დიდ ცოდვად სასმელი დაწესებულების პატრონობა მიაჩნდათ), ცოცხლად დაასამარა იგი. არც აქეთ პატივებდნენ და არც მასთან მიდიოდნენ სტუმრად. მაგრამ როცა ელიანა გარდაიცვალა, ნათესავებმა უმაღლ ყველაფერი შეუხდეს (სულის სიღრმეში ჩვენ ყველანი დიახაც მგრძნობიარენი გახლდით), წესის აგებას და დაკრძალვას დაესწრნენ და ბევრი ცრემლიც ღვარეს მის კუბოსთან.

ჩემი მოთხრობა ბავშვის მონოლოგი იყო. ბიჭი ლოგინში წევს და ფიქრობს, თუ სად გაქრა მისი დეიდა. მოთხრობა გმირი ქალის დასაფლავებით მთავრდებოდა. ეს იყო „სოციალური“ ნაწარმოები, ცრურწმენებისა და ფარისევლობის გამჭიქებელი. იგი ორ კვირაში დავწერე და ისე გამოვუყურე ყურები ხულია დეიდასა და ხავიერს, რომ დამნებდნენ და მთხოვეს, წაგვიკითხეო. მაგრამ ვინემ ორშაბათ საღამოს ჩემს მოთხრობას წავუკითხავდი. შევცდი და მექსიკელი ქალბატონის და სახელოვანი სტუმრის ამბავი მოვუყევი, რაც ჩემს მოთხრობაზე უფრო შესაქცევი ეჩვენათ.

ხულია დეიდას რადიოსადგურში მოსვლა უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა, ჩვენ აქ საშიშროება არ გველოდა. პასკუალსა და დიდ პაბლიტოს ჩვენი მხარე ეჭირათ და საიმედო ხალხიც იყო. ხულია ხუთი საათის შემდეგ მოდიოდა, როცა უკვე ყველაფერი მიწყნარდებოდა: ორივე ხენარო წასული იყო და ჩვენს ჯიხურს თითქმის აღარავინ აკითხავდა. უსიტყვო შეთანხმებით ჩემი თანამშრომლები მთხოვდნენ, თუ შეიძლება ყავის დასალევად წავალთო, და მე და ხულია დეიდას მარტო გვტოვებდნენ. ჩვენც დროს საუბარსა და ხვევნაკოცნაში ვატარებდით. მე თუ ვწერდი, ხულია ეურნალებს კითხულობდა ან ხავიერს ეჭორავებოდა, რომელიც შვიდი საათისთვის უკვე ჩვენთან იყო დარჭობილი. ამ ფიცრის ხუხულაში ჩვენი ნაზი სიახლოვე არავის უკვირდა, აქ ყველანი შეხმატკბილებული ვიყავით. თუნდაც ხელები გადაგვეწნა, თუნდაც ერთმანეთისთვის გვეკოცნა, ყურადღებას არავინ გვაქცევდა. ამიტომაც ძალიან ბედნიერად ვგრძნობდით თავს. აქ, ამ ჭერქვეშ ჩვენს ნებაზე ვიყავით, აქ შეგვეძლო ერთმანეთი გვეყვარებოდა, გველაპარაკა იმაზე, რაც გვალეღვებდა და ვიცოდით, რომ აქ ჩვენი ყველას ესმოდა. ამ საზღვრებს იქით კი მტრული ქვეყანა იწყებოდა, სადაც უნდა გვეცრუა და გვეთვალთმაქცა.

— ასე მკონია. თიოქოს აქაა ჩვენი სასიყვარულო ბუდე, — იძახდა ხულია დეიდა. — ან იქნებ ვულგარულად ვთქვი?

— დიახ, და ამიტომ ასე არ უნდა თქვა. — ვეუბნებოდი მე მაგრამ მონმარტრად კი შეიძლება წარმოვიდგინოთ.



ჩვენ მოწაფე-მასწავლებლობას ვთამაშობდით. მე ვუმტყვებდით „ვეულგარულია“ ყველაფერი, რისი თქმაც და გაკეთებაც არ შეიძლება. ინსტიტუციური ცენზურა დავუწესე ყველაფერს, რასაც ხულია ეთხულობდა, ავუკრძალე ყველა მისი საყვარელი მწერლის კითხვა, დაწვებული ფრანკ იერბით და გათავებული კორინ ტელიადოთი¹. ჩვენ პატარა ბავშვებივით ვანცობდით და ვმზიარულობდით. ზოგჯერ „ვეულგარულობის“ წინააღმდეგ გალაშქრებაში მისთვის ჩვეული გულფიცხობით ხავიერიც ჩაგვევრეოდა.

„ელიანა დეიდას“ წაკითხვას პასკუალი და დიდი პაბლიტოც დაესწრნენ — იქ იყვნენ და ველარ გავყარე. გამარჯვება მარტო მათ მომილოცეს, თუმცა ორივე ჩემი ხელქვეითი იყო და მოლოცვას საეჭვო პირი უჩანდა. ხავიერმა მოთხრობა მოგონილად მიიჩნია, კაცი არ დაიჯერებს. ახალგაზრდა ქალი რომ იმითომ შერისხეს, ჩინელს რატომ გაჰყვავო, მარწმუნებდა, ზანგს ან ინდიელს რომ გაჰყოლოდა, მოთხრობას კიდევ რაღაც ეშველებოდაო. ხულია დეიდამ ხომ სულ გადამიწურა წყალი, როცა ჩემი ქმნილება მელოდრამატიულად გამოაცხადა, ხოლო ზოგიერთი სიტყვები, მაგალითად „ცახცახ-ცახცახი“ და „კუთვა-კუთვა“ ვულგარულადაც ჩათვალა, „ელიანა დეიდას“ დაცვას რომ შეეცადე, ჩვენი გალიის კარში ჭნაკა ნანსი დავინახე და მაშინვე მივხვდი, ჩვენთან რამ გამოაქცია.

— სანათესავოში უკვე დიდი აურზაურია, — სულმოუთქმელად მოგვახალა ჩემმა ბიძაშვილმა.

ახალ ჭორებს მოვისმენთო, პასკუალიმა და დიდმა პაბლიტომ ყურები ცქვიტეს. ნანსი შევაჩერე და პასკუალს ვთხოვე, საღამოს ცხრა საათისთვის რადიომიმოხილვა გაამზადე-მეთქი, ჩვენ კი ყავის დასალევად „ბრანსის“ კაფეში ჩავედით. იქ დაწვრილებით გვიამბო ნანსიმ, რაც მომხდარიყო. თურმე თავს იბანდა, მამიდა ხესუსასთან დედის საუბარს ყური რომ მოჰკრა. მისი თქმით, ტანში გააცივა, როცა „წყვილიო“ გაუგონია და მიმხვდარა, ჩვენზე ლაპარაკობდნენ. მართალია, ჯერ ყველამ ყველაფერი არ იცოდა, მაგრამ ჩვენი სიყვარულის ამბავს უკვე დიდი ხანია მიმხვდარიყვნენ, ვინაიდან ლაურა ძალომ ტელეფონში განაცხადა: „წარმოგიდგენია, კამუნჩიტამაც კი ნახა. ეგ თავხედები ხელიხელჩაკიდებულები რომ მოდიოდნენ სან-ისიდროს ზეთისხილის პარკში“ (ეს იყო მხოლოდ ერთ საღამოს, ამ რამდენიმე თვის წინათ) აბაზანიდან გამოსული ნანსი (როგორც თვითონ თქვა, „ცახცახ-ცახცახით“) დედას შეეფეთა და თავი მოიკატუნა, ვითომდა თმის საშრობის ზუზუნში არაფერი გაუგონია, მაგრამ ლაურა ძალომ ხმა ჩააკმენდინა და გამოლანძღა კიდევაც, შენ ხარ მაგ ხელიდან წასული ქალის წამქეზებელიო.

— მე ვარ „ხელიდან წასული“? — უფრო ცნობისმოყვარეობით, ვინემ აღშფოთებით იკითხა ხულია დეიდა.

¹ უხიკო, მდარე ნაწარმოებთა ავტორები, რადიოსა და ტელევიზიაში რომ გადმოსცემდნენ.

— ჰო, შენ, — მიუგო წამოწითლებულმა ნანსიმ, — ყველაფერს შენ გაბრალებენ.

— აბა რა, მე ხომ უწლოვანი ვარ, ვიყავი ჩემთვის მშვილად და იურისპრუდენციას ვსწავლობდი, ვინემ... — მაგრამ ამ ჩემს სიტყვებზე გაღიმიებითაც არავის გაუღიმიო.

— შინ თუ შეიტყვეს, ეს ყველაფერი რომ გიაშბეთ, მამკლავნი წაილაპარაკა ჭნაკა ნანსიმ. — აბა დაიფიცეთ, სიტყვას არავის ეტყვით.

დედ-მამას თურმე სასტიკად გაუფრთხილებია: თუ ერთი სიტყვაც დაგცდენია, მთელი წელი შინ ჩაგკეტავთ და მესაზღდაც არ გაგიშვებთო, თან ისეთ კილოზე, ნანსი კიდევ შეყოყმანებულა, ეთქვა თუ არა ჩვენთვის ეს ამბავი. ნათესავებს თურმე ყველაფერი თავიდანვე სცოდნიათ, მაგრამ ჭერჭერობით საგანგაშოდ არ მიაჩნდათ ეს წამიერი ფლირტი იმ „ცერცეტა“ ქალბატონისა, ვისაც მოეგუნება თავის თაყვანისმცემელთა სია უწლოვანზე ეგზოტიკური გამარჯვებით შეევესო. მაგრამ რაკილა ხულია დეიდა მოურიდებლად დასეირნობდა ამ ლლაპთან და ნაცნობ-ნათესავების მეტი და მეტი რიცხვი იგებდა ამ რომანის ამბავს (თურმე ბებია-ბაბუასთვისაც ჩაუკაკლია ეს ჭორები სელია დეიდას), ხოლო ეს სამარცხვინო სიახლოვე შესაძლოა საზიანო გამომდგარიყო „აყლაყუდასთვის“ (ანუ ჩემთვის), რომელსაც მას აქეთ, რაც ამ „ქმარგაყრილმა“ ტვინი აუბნია, სწავლა აღარ სურს, სანათესავომ ჩარევა გადაწყვიტა.

— ჰოდა, რას აპირებენ ჩემს გადასარჩენად? — ვკითხე ჭერჭერობით არცთუ მაინცდამაინც შეშინებულმა.

— შენს მშობლებს მისწერენ, — მიპასუხა ჭნაკა ნანსიმ. — უფროსებმა, ძია ხორხემ და ძია ლუჩომ უკვე მისწერეს.

ჩემი დედ-მამა შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა; მამა მკაცრი კაცი იყო, მისი ძალიან მეშინოდა. მე დედასა და მის ნათესავებთან გავიზარდე, მამასგან მოშორებით. ხოლო როცა მშობლები შერიგდნენ და ერთად დავიწყეთ ცხოვრება, მამასთან შეგუება გამიჭირდა. იგი კონსერვატორი, უფლებისმოყვარე კაცი იყო, დაუმორჩილებლობას გააფრთხილებდა მიჰყავდა. ჩემი ამბავი თუ მართლა მისწერეს, ეს მასზე ყუმბარის გასკდომასავით იმოქმედებდა და საშინლად განარისხებდა. ხულია დეიდამ მაგიდის ქვეშ ხელზე მომიჭირა.

— ფერი გეცვალა, ვარგიტას. აი, რა კარგი თემა გაგიჩნდა მოთხრობისათვის.

— თავიდათავი, არ დაიბნე და მაჯა არ აგიჩქარდეს, — გამამხნევა ხავერმა, — ნუ გეშინია, რაღაცას მოვიფიქრებთ და იერიშს გავუძლებთ.

— შენზედაც ძალიან გაბრაზებულნი არიან, შენც კარგად შეგამკეს, — გააფრთხილა იგი ნანსიმ.

— „მაჭანკლად“, ხომ? — გაეღიმა ხულია დეიდას და მერე დალონებით დაატანა, — ჩემთვის მთავარი ისაა, რომ დაგვაშორებენ და ველარასოდეს გნახავ.

— ეს ყველაფერი ისე ვულგარულია, ნულა ვილაპარაკებთ, — ვუთხარი მე.

— მაინც რა მარჯვედ მოიკატუნეს თავი! — თქვა ხულია დეიდამ. — თავშიც არ გამივლია, ჩემმა დამ, სიძემ თუ სხვა შენმა ნათესავებმა ყველაფერი იციან და ზიზღით მიყურებენ. ფარისევლები! რა გულითადად მექცეოდნენ!

— ასეა თუ ისე, ახლა დროებით უნდა დაშორდეთ ერთმანეთს, — მირჩია

ხავერმა. — დაე ხულიამ გამოსაჩენად ისევ კავალრებში იაროს, შენ კი ვინმე გოგოს გაეარშიყე, ჰოდა, ნათესავებიც იფიქრებენ, წაიხზუნენო.

მე და ხულია დეიდა დაძმარებულნი დავეთანხმეთ: ეს ერთადერთი გამოსავალი იყო. მაგრამ როცა ჭნავა ნანსი წავიდა (შევფიცეთ, არამც და არამც არ გაგამხელთ-თქო) და ხავერიც მას მიჰყვა, ხულია დეიდამ უკუდგინდა და დედას გაუმომაცილა. ჩვენ თავჩაკიდულნი, ხელჩაკიდებულნი მივყვედით და ველოდით ნაწვიმარ ქუჩას. მართალია, არაფერი გვითქვამს, მაგრამ უთქმელადაც ვგრძნობდით, რომ ასეთი საქციელი სიცრუეს სიმართლედ აქცევდა: თუ ერთმანეთს არ შევხვდით, თუ ჩვენ-ჩვენი ცხოვრებით ვიცხოვრეთ, ადრე თუ გვიან სიყვარული დაგვეშრიტება. შევეთანხმდით, რომ გარკვეულ საათებში ყოველდღე ტელეფონით გველაპარაკა და ხანგრძლივი კოცნით დავეშორდით ერთმანეთს.

ჩემს სხვენზე დანჯღრეული ლიფტით რომ ავდიოდი, კვლავაც ძალიან მომინდა ჩემი უბედურება პედრო კამაჩოსთვის გამეზიარებინა. თითქოსდა გულმა წინასწარ მიგრძნო, პაწია სენაკში, სადაც პასკუალი ცნობებს ათასნაირი უბედური შემთხვევებით ჩურთავდა (ჩემი ბრძანების მიუხედავად, ტრაგიკულ ამბებს არ ეშვებოდა), დიდ პაბლიტოსთან გაცხარებით მოლაპარაკე ბოლივიელი მოკალმის კოლეგები — ლუსიანო პანდო, ხოსეფინა სანჩესი და ბატანი დამიხვდნენ. მორჩილად დამიცადეს, ვიდრე პასკუალის შეთითხნილ უკანასკნელ ცნობებს თვალს გადავავლებდი. როცა პასკუალი და დიდი პაბლიტო დაგვემშვიდობენ და სენაკში მარტო ოთხნი დაგვტოვეს, მსახიობები მდუმარედ და შეშფოთებით შეაცქერდნენ ერთმანეთს. აშკარა იყო, საქმე ბოლივიელ მოკალმეს შეეხებოდა.

— თქვენზე კარგი მეგობარი მას არ ჰყავს, იმიტომაც გეახელით, — წაიდუღუნა ბოლოს ლუსიანო პანდომ. ამ სამოციოდე წლის მოღრეკილ კაცს ზამთარ-ზაფხულ, დღეთუღამ ნიადაგ გაქონილი მწვანე ყელსახვევი ეხვია, ნიადაგ ეს ლურჯზოლიანი ყავისფერი კოსტიუმი ეცვა, ხშირი წმენდისა და უთოობისაგან ძენძად ქცეული, მარჯვენა წალა კი ენასთან დაკერებული ჰქონდა. — საქმე ფრიად საჩოთირო გახლავთ, ალბათ უკვე იცით...

— მართალი გითხრათ, არაფერიც არ ვიცი, დონ ლუსიანო, — ვუთხარი მე, — ხომ პედრო კამაჩოზე მეუბნებით? ჩვენ მართლაც მეგობრები ვართ, მაგრამ, თავადაც მოგეხსენებათ, ამ კაცს ბოლომდე ვერავინ გაუგებს. რაშე ხომ არ დაემართა?

ლუსიანო პანდომ თავი დამიქნია და უხმოდ დააწყებდა თავის წალებს, თითქოსდა უმძიმდა წინასწარ მომზადებული სიტყვის დაწყება. გადავხედე ხოსეფინა სანჩესსა და ბატანს — ორივე უხმოდ, დინჯად იდგა.

— სიყვარული და მადლიერება რომ არა, აქ არც მოვიდოდით, — წაიგურგურა თავისი გასაოცარი ხავერდოვანი ხმით ხოსეფინა სანჩესმა. — ჩვენ ვიცით მხოლოდ, რა დიდი სიკეთე დაგვდო პედრო კამაჩომ ყველას, ვისი შრომაც ასე მცირედ ფასდება.

— ჩვენ არავინ არაფრად გვაგდებდა, ყველასთვის ზედმეტნი ვიყავით და თვითონაც ნაგავი გვეგონა თავი, — ისეთი გრძნობით წარმოთქვა ბატანმა, ვიფიქრე, უთუოდ რაღაც უბედურება მოხდა-მეთქი. — პედრო კამაჩომ კი ახლებურად გაგვიცხადა ჩვენი საქმე და მიგვახვედრა, რომ ეს მხატვრული შემოქმედებაა.

— კი მაგრამ, ისე ლაპარაკობთ, თითქოს ცოცხალი აღარ იყო, — ვთქვი მე.

— „რას იქმდა ხალხი უჩვენოდ?“ — გაიმეორა ხოსეფინა სანჩესმა თავისი სათაყვანებელი კერპის სიტყვები. ჩემი ნათქვამი თითქოს არც გაუგია. — ვინ მისცა ხალხს ის ოცნებანი და განცდანი, ცხოვრებას რომ უმსუბუქებდეს ადამიანს?!

ეს დიდებული ხმა უნაზღაურებდა ხოსეფინა სანჩესს, ვინც კარგად იცნობდა, თავით ფეხამდე ყველანაირი ზომის დარღვევის არჩახულ ნაზავს რომ წარმოადგენდა. რა ასაკის იყო, ვერ დაადგენდი, ეს კია, ორმოცდაათს გადაბიჭებული იქნებოდა. თმას ზეეანგით იღებავდა, თუმც შავგვრემანი იყო. ბროწეულისფერ ჩალმიდან გამოჩეჩილი ჩალისფერი თმის ბლუჯები დიდრონ, გაპარტყნილ, თითქოსდა ამქვეყნად ყველა ჩქამის დასაჭერად დაცქვეტილ ყურებზე ჩამოეყარა, მაგრამ ვაი რომ ვერ დაემალა, თუმცა ყველაზე მეტად ხოსეფინას ორკეცი ლაბაბი იტაცებდა თვალს, ჭრელ ზედაწელზე ტიკივით რომ დაპკიდებოდა. ზედა ტუჩზე ბუსუსები კი არა, ნამდვილი ულვაში უბიბინებდა და ლაპარაკის დროს გულისამრევი ჩვევის წყალობით წარამარა ენით ილოკავდა. ფეხბურთელის ფეხები ელასტიური ბინდებით შეეხვია, ვინაიდან ვენების გაგანიერება სჭირდა. სხვა დროს მისი მობრძანება ძალიანაც გამაკვირვებდა, მაგრამ ახლა ჩემი სადარღებელიც მეყოფოდა.

— მეც ვიცი, რამდენი სიკეთე დაგლოთ პედრო კამაჩომ, — დავიწყე მოუთმენლად, — მისმა რადიოდადგმებმა განა ტყუილად გაითქვა სახელი.

მსახიობებმა ერთმანეთს გადახედეს და, ეტყობა, ძალა მოიციეს.

— მართალი გახლავთ. — ძლივს ამოღერდა ბოლოს ლუსიანო პანდომ მწარე სინანულით. — პირველად არც ჩვენ მიგვიქცევია ყურადღება. ვიფიქრეთ, ეს არაფერია, შეცდომაა ვის არ მოსვლია-თქო, მეტადრე, თუ კაცი გათენებიდან გათენებამდე მუშაობს.

— კი მაგრამ, მაინც რა ამბავია პედრო კამაჩოს თავზე? — შევაწყვეტინე დონ ლუსიანოს, — ვერაფერი გამიგია.

— რადიოდადგმებზე მოგახსენებთ, ყმაწვილო. — ისე წაილაპარაკა ხოსეფინა სანჩესმა, თითქოსდა მკრეხელობას სჩადიოდა. — დღითი დღე უფრო უცნაური და უცნაური ხდება.

— ჩვენ ყველა, მსახიობებიცა და ტექნიკური მომსახურენიც, მთელი დღე „რადიო სენტრალის“ ტელეფონთან ვღარაჯობთ რადიომსმენელთა საჩივრების მოსასმენად, — სიტყვა ჩამოართვა ბატანმა, ზღარბივით აჯაგრული თმა ისე უპრიალებდა, თითქოს ბრილიანტინი ეცხო, როგორც ყოველთვის, ახლაც მტვირთავის კომბინიზონი და უზონრო წაღები ეცვა. კაცი ლამის ატირებულიყო. — რას არ ვაკეთებთ, მამა-შვილმა ხენაროებმა სამსახურიდან არ დაითხოვოს.

— თავად მოგეხსენებათ, პედრო კამაჩოს რომ არაფრისა ეშინია. — ჩაურთო ლუსიანო პანდომ. — მაგრამ რომ გააგლონ, რა ეშველება? ჭიბეში რწყილიც არ დაუხტის. შიმშილით გასძვრება სული!

— ან ჩვენ რა უნდა ვქნათ? — შესძახა ფიცხად ხოსეფინმა სანჩესმა, — უმისოდ რა გვეშველება?

ერთმანეთს არ აცლიდნენ, ისე ჩამოკაკლეს ყველაფერი. შეუსაბამობანი (ლუსიანო პანდოს თქმით „იაღლიშები“) თურმე პირველად ამ ორიოდე თვის წინათ შეამჩნიეს, მაგრამ რაკი თავდაპირველად უმნიშვნელო იყო, მსახიობე-

ბის გარდა ყურადღება არავის მიუქცევია. პედრო კამაჩოსთვის არაფერი უთქვამთ და ვერც გაუბედადენენ თქმას, მისი ხასიათი რომ იცოდნენ. თანაც პირველ ხანებში შეუსატყვისობა წინასწარ განზრახული ეგონათ მსმენელისთვის გზა-კვალის ასარევად, მაგრამ ამ ბოლო სამი კვირის მანძილზე საკმე უფრო გაუარესდა.

— მთელი უბედურება ისაა, ყმაწვილო, რომ რადიოპიესებში საშინელი დომხალი სუფევს. — თქვა უიმედოდ ხოსეფინა სანჩესმა — ყველაფერი ისეა არეული, თვითონაც ვერ გაგვირკვევია, რომელი გმირი საიდანაა.

— მაგალითად, დილის გადაცემაში იპოლიტო ლიტუმა მუდამ სერჟანტი იყო, კალიაოელ ყაჩაღებისა და ავაზაკების რისხვა, — შემახსენა ხმაშეცვლილმა ლუსიანო პანდომ. — მაგრამ იმ გადაცემებში, ნაშუადღევის ოთხ საათზე რომ მიდის, ეს სამი დღეა მოსამართლედ იქცა. თუმცა მანამდე კი მოსამართლეს პედრო ბარედა ერქვა. აი, თქვენ მაგალითიც.

— ახლა კი პედრო ბარედა უკვე ვირთხებზე ნადირობას აპირებს, ვინაიდან ამ საზიზღრებმა პაწია გოგო შეუსახსლეს. — ხოსეფინა სანჩესს ცრემლებით აევსო თვალები. — არადა, ვირთხებმა ხომ დონ ფედერიკო ტელიეს უნსატეგის შეუჭამეს გოგო.

— აი, რა დღეში ვართ გადაცემების დროს. — წაიბუტბუტა ბატანმა. — რა აბდაუბდას ვლაპარაკობთ და ვიწერთ.

— ვერც გამოასწორებ ვერაფერს, — წაიჩურჩულა ხოსეფინა სანჩესმა. — ხომ თქვენი თვალით ნახეთ, როგორ ამოწმებს სენიორ კამაჩო ჩანაწერს. მძიმესაც ვერ გადასვამს ვერავინ. თუ არ დაუჯერებ, კაცი გააფთრებამდე მიდის.

— გადაიღალა და იმიტომ, — ჩაფიქრებით გადააქნია თავი ლუსიანო პანდომ. — არ შეიძლება კაცმა დღეში ოცი საათი იმუშაოს და ტვინი არ იღრძო. სენიორ კამაჩომ უნდა დაისვენოს, რომ ისევ ძველებურად იმუშაოს.

— თქვენ ხომ ორივე ხენაროსთან კარგად ხართ, — მიატანა ხოსეფინა სანჩესმა, — იქნებ მოელაპარაკოთ? ასე უთხარით, სენიორ კამაჩო გადაიღალა და ეგებ ორიოდ კვირა მაინც შეასვენოთ-თქო.

— ყველაზე უფრო მისი დაყოლიება გაჭირდება, — ჩამოართვა სიტყვა ლუსიანო პანდომ. — მაგრამ ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. ბოლოს და ბოლოს დაითხოვენ.

— რადიოსადგურში წარამარა რეკავენ, — თქვა ბატანმა, — რას არ ვჩიბავთ, მსმენელებს რომ გზა-კვალი ავუბნოთ. ამას წინ გაზეთ „კრონიკამაც“ დაბეჭდა შენიშვნა.

აღარ ვუთხარი, ხენარო მამამ უკვე იცის ეს ამბავი და მთხოვა კიდევაც, პედრო კამაჩოს მოელაპარაკეო. შევთანხმდით, რომ ჯერ ხენაროს ვაყთან მოვსინჯავდით ნიადაგს და იმის მიხედვით, რას იტყოდა, გადავწყვეტდით, ღირდა თუ არა პირადად მსახიობები გამოქომაგებოდნენ რადიოსადგურის პატრონის წინაშე ბოლივიელ მოკალმეს, სამივეს მადლობა გადავუხადე ასეთი ნდობისთვის და შევეცადე გამემხნევებინა: ხენაროს ვაყი მამაზე უფრო თანამედროვე და გამგები აღამიანია, ამიტომ იმას უფრო ადვილად დავიყოლიებთ, კამაჩოს შევებულება მისცეს-მეთქი. ამ ლაპარაკში ჩავაქრე სინათლე და ჩემი სენაკის კარი დავკეტე. ბელენის ქუჩაზე სამივეს ხელი ჩამოვართვი და თვალი გავაყოლე, ვინემ დაცარიელებულ ქუჩაში წვიმის ფარდის მიღმა მიიმალებოდნენ ეს

საცოდავი, შეუხედავი, მაგრამ ჭეშმარიტად დიდსულოვანი და კეთილშობილი ადამიანები.

მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. როგორც ყოველთვის, ჩემს ბებრებთან ვახშამი მელოდა, მაგრამ ლუკმა ვერ გადავცლაპე (ბეჭყყყუჭყუჭყული არ ტკენოდა, პური და ბრინჯი ნაგვის ყუთში ჩავყარე). ზემტჭბჩჩჩწქმწმწნ მაგრამ არ ეძინათ. ღამე მშვიდობის სათქმელად რომ შევედი, მცდელი თვალით შევხედე ბებია-ბაბუას, ჩემი სასკანდალო ტრფიალის ამბებმა ხომ არ შეაშფოთათ-მეთქი, მაგრამ ვერაფერი შევამჩნიე: ისევე მოსიყვარულენი და გულისხმიერნი ჩანდნენ. ბაბუამ კროსვორდზეც მკითხა რაღაც. სამაგიეროდ დიდად სასიამოვნო ამბავი მამცნეს: დედაშენმა მოიწერა, მალე ჩამოვალთ შვებულებით ლიმაში, ოღონდ ჩამოსვლის დღეს დამატებით შეგატყობინებთო. ჩემმა ბებრებმა წერილი ვერ მაჩვენეს, თურმე ერთ-ერთ დეიდას წაეღო. ეს რომ ნათესავების დაბეზლების შედეგი იყო — არც დავეჭვებულვარ. მამამ ალბათ თქვა: „პერუში უნდა წავიდეთ საქმის მოსაწესრიგებლად“, დედამ კი დასძინა: „ეს როგორ იკადრა ხულიამ!“ (ხულია დეიდა დედაჩემის მეგობარი იყო იმ წლებში, როცა ჩემს პატარაობაში ბოლივიაში ვცხოვრობდით).

ჩემი პაწია საძინებელი წიგნებს, ჩემოდნებსა და ფუთებს გაეცხო, რომლებიც ბებია-ბაბუას წარსულის სამახსოვროდ შემოენახათ: აი, იმ დროის მოწმე სურათები, როდესაც კამანაში ბამბის პლანტაცია ჰქონდათ, საქმე დიდებულად მიუდიოდათ და ბაბუა სანტა-კრუს-დე-ლა-სიერაში პირველი მიწათმფლობელი იყო, ან როცა კოჩაბამბაში კონსული გახდა, პიურაში კი პოლიციის პრეფექტი. დიდხანს ვიწეჭი პირალმა და ხულია დეიდაზე ვფიქრობდი, მაცოფებდა ის ამბავი, რომ ადრე თუ გვიან ერთმანეთს უთუოდ დაგვაშორებდნენ, რაიც დიდ უჭკუობად და სიმდაბლედ მიმაჩნდა. უცებ პედრო კამაჩო გამახსენდა. მერე ჩემი და ხულია დეიდას ამბებზე ძალუების, ბიძების და ბიძაშვილების ტელეფონის რეკვებს გადავწვდი ფიქრით, შემდეგ თითქოს შეცბუნებულ რადიომსმენელთა რეკვები ჩამესმა, რომელთაც ერთმანეთში არეოდათ როგორც გმირები (სამი საათის გადაცემიდან უცბად ხუთი საათის გადაცემაში გადასკუპებულნი სულ სხვა სახელით), ისევე სელვას ლიანებივით ერთმანეთს ჩახლართული ამბები. ვცდილობდი გამომეცნო, რა ხდებოდა მოკალმის აფორიაქებულ ტვინში — ეს ყველაფერი სულაც არ მეჩვენა სასაცილო. პირიქით, გული კიდევაც ამიჩვილა, რომ მსახიობებს, ხმის ტექნიკოსებს, მდივან ქალებსა და მეკარეებს პირი შეეკრათ ტელეფონით რეკვების დასამალავად, რათა კამაჩო გაგდებას გადაერჩინათ. ამაღელვა იმანაც, რომ ლუსიანო პანდოს, ხოსეფინა სანჩესისა და ბატანის თვალში ჩემისთანა უსარგებლო კაცს შეეძლო მამა-შვილ ხენაროებზე გავლენა მოეხდინა. რა არაა უნდა მიაჩნდეთ თავი, ან რა საცოდავ გროშებს უნდა იღებდნენ, მე რომ გავლენიან კაცად ჩამთვალეს! დროდადრო უეცრივ საოცარი სურვილი წამომივლიდა, ახლავე, ამ წამს ხულია დეიდა მენახა, შევხებოდი, მეკოცნა. ასე მივატანე გათენებამდე, როცა ძაღლების ყეფა მომესმა.

ჩემს სხვენზე ჩვეულებრივზე ადრე ამოვყავ თავი. როცა დილის რვა საათზე პასკუალი და დიდი პაბლიტო გამოცხადდნენ, — რადიოცნობები უკვე მომზადებული, ხოლო გაზეთები (პლაგიატური მიზნით) გადაკითხული და გამოშიგნული მქონდა. თან წარამარა საათს დავყურებდი. ხულია დეიდამ ზუსტად დანიშნულ დროზე დარეკა.

— მთელი ღამე არ მიძინია, — წაიჩურჩულა მან, მისი ხმა თითქოს სადღაც შორიდან მესმოდა, — იცი, როგორ მიყვარხარ, ვარგიტას.

— მეც, მთელი ვუღლით, — წაეჩურჩულე და თან აღშფოთებულმა გავხედე პასკუალსა და დიდ პაბლიტოს, ახლოს რომ მოჩოჩდნენ უკვე გასაგონად, — მეც მთელი ღამე არ მიძინია, შენზე ვფიქრობდი.

— ვერ წარმოიდგენ, რა თავაზიანად მექცევია ჩემი და ^{ქრისტეშული} ^{და სიმე} ^{მითხრა} ხულია დეიდა. — მთელი ღამე კარტს ვთამაშობდით. არ მჯერა, რომ ისინიც ჩვენ წინააღმდეგ არიან შეთქმულნი.

— არა, მართლა არიან, — დავუზუსტე მე. — ჩემმა შშობლებმა შემოთვალეს, ლიმაში ჩამოვდივართო. ერთადერთი მიზეზი კი ამისა ისაა, რომ უკვე აფრინეს მათთან ამბავი, თორემ ლიმაში ამ დროს არასოდეს ჩამოსულან.

ხულია გაჩუმდა. ტელეფონშიც კი ვიგრძენ, როგორ შეეცვალა სახე — ნაღველი, ბრაზი და წყენა გამოეხატა. ისევ გავუმეორე, მიყვარხარ-მეთქი.

— ოთხზე დაგირეკავ, როგორც შევთანხმდით, — მითხრა ბოლოს, — მაღაზიიდან გირეკავ, კუთხეში, ტელეფონზე რიგია. ჩაო!

ჩავაკითხე ხენაროს ვაჟს, მაგრამ არ დამხვდა, დავიბარე, გადაეცით, სასწრაფო საქმე მაქვს-მეთქი, და უნივერსიტეტისკენ გავსწიე, იქნებ გული გადავყოლო და სიცარიელის გრძნობა მოვიშორო-მეთქი. სისხლის სამართლის ლექციაზე მოვხვდი. პროფესორი, ლექციას რომ გვიკითხავდა, სწორედ მოთხრობის გმირად გამოდგებოდა, ისეთი უხამსი სატირი ვიღაცა ჩანდა. სტუდენტ გოგოებს თვალით აშიშვლებდა, ორაზროვნად უწმაწურობდა, თუკი საბაბი მიეცემოდა. ერთ გოგოს, ფიცარივით მკერდი რომ ჰქონდა, თუმცა მშვენივრად კი უბასუხა შეკითხვაზე, ასე გამოუცხადა: „ძალიან კარგია, სენიორიტა, ოღონდ გამოკვეთა გაკლიათ“. მერმე, კოდექსის რომელიღაც თავის კომენტარებისას, ვენერიულ სენზე გააგლო ენა.

რადიოში დაბრუნებისას მითხრეს, ხენაროს ვაჟი თავის კაბინეტში გიცდისო.

— იმედია, ჯამაგირის მომატებას არ მომთხოვ, — ზღურბლზევე შემომამგება მან, — ვაკოტრებას არაფერი გვიკლია.

— პედრო კამაჩოზე მინდა ველაპარაკო.

— იცი, ახლა რა ოინებს ატყვრენს? — ისე მითხრა ხენაროს ვაჟმა, თითქოს ვიღაცას მასხრობაზე ებასუხებო, — სხვადასხვა დადგმებიდან თავის გმირების სინთეზს ახდენს, სახელებს უცვლის, შინაარსს ბურღავს და ყველა ამბავი ერთ ისტორიად უნდა დაახუჭუჭოს. განა გენიოსი არაა?

— მეც მოგკარი ყური რაჯაყას, — მისმა მხიარულმა განწყობამ ცოტა არ იყოს გამაკვირვა. — სწორედ გუშინ ველაპარაკე მსახიობებს, ძალიან შეშფოთებული არიან, პედრო იმდენს მუშაობს, ეშინიათ, არ შეიშალოსო. მაშინ ვინღა დაგიდებს ოქროს კვერცხებს. იქნებ შევბუღება მისცე, ცოტა გონზე მოვიდეს.

— კამაჩოს მივცე შვებულება? — ელდა ეცა იმპრესარიოს. — თვითონ გთხოვა?

თვითონ არა, მაგრამ ბოლივიელის თანამშრომლებმა მოთხოვეს-მეთქი, ვუთხარი პასუხად.

— მობეზრდათ, ასე რომ ამუშავებთ და რამდენიმე დღით მაინც უნდათ თავიდან მოიშორონ, — მითხრა ხენაროს ვაჟმა. — გიყი კი არა ვარ, ახლა შეე-

ბულება მივცე. — მან რაღაც ქაღალდები აიღო და გამარჯვებული კაცივით ააფრიალა. — ამ თვეშიაც ყველა რეკორდს გადავაჭარბეთ მსმენელების რაოდენობით. ისე რომ, მაგის იდეა — უპიზოდების გადაბმა — ფრადლ შობებზედავი აღმოჩნდა. მამა ცოტა არ იყოს შეაშფოთა ამ ეგზისტენციალურმა ფანდებმა, მაგრამ დროზე კი გვიშველა აგერ ანკეტების შედეგით. — უნდა იყოს ისევე გაიცინა. — მოკლედ, ვინემ ეს ყველაფერი მსმენელებს მისწავსოთ, მაგის უცნაურობანი უხმოდ უნდა ვყლაპოთ.

ალარ ჩავცივებივარ, ხათაბალაში არ გავება-მეთქი. იქნებ ხენაროს ვაეი მართალიცაა? ვითომდა რატომ არ შეიძლება ეს შეუსაბამობანი ბოლივიელი მწერლის დიდებულად მოფიქრებული გეგმის ნაწილი იყოს? შინ წასვლა ალარ მინდოდა და გადავწყვიტე წამექეიფა. რადიოსადგურის მოლარეს შევეხვეწე, ავანსი მოეცა ჩემთვის, და შემდეგ პედრო კამაჩოს მივაკითხე, სადილზე გაატიეებთ-მეთქი. როგორც ყოველთვის, ახლაც მანქანას უჯდა და უკაკუნებდა. ჩემს დაპატიეებაზე დიდი ალტაცება არ გამოუთქვამს, ეს კია, გამაფრთხილა, დრო ცოტა მაქვსო.

ჩანკაის ქუჩაზე წავიდეთ, სადაც უბიწო ქალწულის კოლეჯის უკან კრიოლური რესტორანი იყო. იქ არეკიპული კერძებით უმასპინძლებოდნენ მუშტრებს. მწერალს ვუთხარი, იქნებ განთქმული ბოლივიური ცხარე საჭმელები გაგახსენოთ-მეთქი. თუმცა არტისტმა არც ახლა უღალატა თავის ვეგეტარიანულ დიეტას, მარტო კვერცხიანი ბულიონი და მოხარული ლობიო მოატანინა, რომელსაც თითქმის პირი არ დააკარა. ტკბილზე უარი მტკიცა და, როცა იერბალუისისა და პიტნის ნახარში ვერ მოუმზადეს, ისე აღშფოთდა, ოფიციალტიც კი გააოცა.

— შავად მაქვს საქმე, — ვუთხარი, როცა სადილი შევუკვეთეთ, — ჩემმა ოჯახმა შეიტყო, რომ თქვენი თანამემამულე ქალი მიყვარს, ჩემზე უფროსი და თანაც ქმარგაყრილი, და სულ ცოფებს ჰყრიან. არაფერზე უკან არ დაიხევენ, ოღონდ კი დაგვაშორონ. ძალიან უბედური ვარ.

— ჩემი თანამემამულე? — გაუკვირდა კამაჩოს. — თქვენ არგენტინელი, უკაცრავად, ბოლივიელი ქალი გიყვართ?

გავახსენე, როგორ გავაცანი ერთხელ ხულია დეიდა, როგორ ვესტუმრეთ „ლა ტაპადას“ პანსიონში და ერთადაც ვივახშმეთ. მანამდე კი როგორ ვუამბე ჩემი სატრფიალო განცდები, როგორ მირჩია თვითონ, უზმოზე შავი ქლიავი მეჭამა და ანონიმური წერილები დამეწერა. განზრახ არ გამოვტოვე არა წვრილმანი, რათა ყველაფერი მოჰგონებოდა, და თან დაკვირვებით ვუცქერდი. დინჯად, თვალდაუხამხამებლივ მისმენდა.

— ასეთი განცდები სარგო რამაა, — თქვა და წვნიანის ერთი კოვზი მოხვრიბა. — ტანჯვა ადამიანს აკაყებს.

შემდეგ სიტყვა ბანზე ამიგდო და კულინარიის ხელოვნებაზე გამიბა მსჯელობა, გაიძახოდა, სული საღად რომ შეინარჩუნო, ქამა უნდა შეიზღუდო. მარწმუნებდა: ცხიმი, კომეული და შაქარი ზნეობის მტერია და ადამიანს ბოროტებისა და გარყვნილებისკენ უბიძგებსო.

— აბა დააკვირდით თქვენს ნაცნობებს, — მირჩია პედრო კამაჩომ, — თვითონვე დარწმუნდებით: გარყვნილები მეტწილად მსუქანი ხალხია. და პირიქით, გამხდრებს შორის ცუდისკენ მიდრეკილს ვერ ნახავთ.

შევატყვე, რაღაც აწუხებდა, თუმცა ცდილობდა არ დაემჩნია. მის ლაპა-

რაკს ძველებური გულწრფელობა და თავდაჯერება აკლდა — ეს იყო, დუმილის ეშინოდა. დონ პედრო რაღაც საგონებელს აეტანა, გადმოკარკლულ თვალებში შიშის თუ სირცხვილის ჩრდილი ჩაბუდებოდა, დროდადრო ტუჩებს ეკვნიტდა. გრძელი თმა ქერტლს დაეფარა. პერანგის საყულოდან გამოჩრილ კისერზე ხატი ეკიდა, რომელსაც შიგადაშიგ ორ თითს ჩამოუსვამდა. ხატი მწაჩვენებდა მითხრა: „სასწაულმოქმედი წმინდა ლიმპიელია“. შავი პიჯაკი მხრებიდან ძვრებოდა, სახე გამტკნარებოდა. ჯერ გადავწყვიტე, რადიოდანდგმებზე არაფერს ვეტყვიმეთქი, მაგრამ რომ ვნახე, ხულია დეიდას არსებობა პირწმინდად დავიწყებოდა, დვარძლიანი ცნობისწადილი გამოვიჩინე.

— ამ დილას ხენაროს ვაჟს ვესაუბრე, — ვუთხარი ვითომდა ბუნებრივად, როცა ბულიონს მოვრჩით და ცხელი კერძის მოლოდინში ქლიავის ნაყენს ვწრუპავდით. — პოდა, კარგი ამბები შევიტყვე. სარეკლამო სააგენტოთა ანკეტების თანახმად თქვენმა დადგმებმა რადიომსმენელების რიცხვი გაზარდა. თურმე ქვებიც კი სმენად ქცეულან.

კამაჩო გასწორდა, განზე გაიხედა, ხელსაწმენდს დაუწყო გრეხა და თვალები სწრაფ-სწრაფად აახამხამა. შევეყოყმანდი, გავაგრძელო საუბარი თუ სხვა რამეზე გადავიტანო-მეთქი, მაგრამ სულმა წამძლია.

— ხენაროს ვაჟის აზრით, მსმენელთა რიცხვის გაზრდა თქვენი მოფიქრების წყალობაა, გმირები რომ ერთი რადიოდანდგმიდან მეორეში გადაგყავთ და ცალკეულ ეპიზოდებს აერთიანებთ. — პედრო კამაჩომ ჩემს ამ სიტყვებზე ხელსახოცს ხელი უშვა, გაფითრდა და შემომაჩერდა. — ეს გენიალურიაო, იმასის.

კამაჩოს არც ახლა გაუღია ხმა, ისევ ისე მომშტერებოდა. ამიტომაც გავუტყე და გავუტყე, თუმცა კი ვგრძნობდი, როგორ მებმოდა ენა. ვილაპარაკე ავანგარდულ ხელოვნებაზე, ექსპერიმენტატორობაზე, მომყავდა მართალი თუ ჩემი მოგონილი ციტატები იმ ავტორებისა, რომლებმაც, ჩემი მტკიცებით, ევროპაში სენსაცია მოახდინეს, ვინაიდან მასავით სიახლე შემოიტანეს: მოქმედების გზადაგზა ცვლიან გმირის პიროვნებას, შეაქვთ ვითომდა შეუსაბამოზანი, მკითხველი სულ დაძაბული რომ იყოს. როცა მოხარშული ლობიო მოგვიტანეს, გახარებული მყის მივეტანე, ოღონდ აღარ მელაპარაკა და ბოლივიელი მოკალმის დაჯავრიანებულ სახისთვის აღარ მეცქირა. კარგა ხანს ვდუმდით — მე ვჭამდი, ის კი ბრინჯიან ლობიოს ჩანგლით ჩიჩქნიდა.

— რაღაც საოცრებაა ჩემს თავს, — წაილაპარაკა ბოლოს ისე ჩუმად, თითქოს თავის თავს ელაპარაკებო. — სცენარები ისე კარგად აღარ მახსოვს, ეჭვი მიტანს და შეცდომებს ვუშვებ. — მერე უნდა მზერა მესროლა. — ვიცი, თქვენ ლოიალური კაცი ხართ, მეგობარო, ვისი ნდობაც შემძლია, ოღონდ იმ ვაჭრუკანებთან კრინტი არ დაგცდეთ!

გაკვირვება გავითამაშე და საჩქაროდ დავარწმუნე, თუ რა დიდ პატივსა ვცემ. ეს გატანჯული, იხტიბარწამხდარი, უმწეო კაცი დონ პედრო აღარ იყო. გადაფითრებულ სახეზე ოფლის წვეთები აჩნდა. კამაჩომ საფეთქლები მოისრისა.

— აქ, როგორც ყოველთვის, იდეები ვულკანივით დუღს და გადმოდუღს, — მაუწყა მან. — მაგრამ მეხსიერება მლაღატობს. მე მინდა ვთქვა, სახელების ამბავში. ოღონდაც ჩვენ შორის დარჩეს, ჩემო კეთილო, მე კი არ ვურევ, თვითონ ერევიან და ეხლართებიან ერთმანეთს, ხოლო როცა შევამჩნევ — უკვე გვიანაა. ჭეშმარიტად მუშაითური ოსტატობაა საჭირო, გმირები თავის ადგილ-

XIV

ესე ამბავი წმინდა პადრე დონ სეფერინო უანკა ლეივასი, ხაშრველო მღვდელი რომ იყო მენდოსიტაში, ხადაც ქალაქის სანაგვეა მოთავსებული და საფეხბურთო მოედნით განთქმულ და ვიქტორიას რაიონს ემთხვევა ამ ორ-მოცდაათ წლის წინ ერთ საკარნავალო ლამეს დაიწყო, როცა მდაბიორთა მოტ-რფიალე კარგი ოჯახიშვილმა უმაწვილმა ჩირიმოიოს ჩიხში აშაღლარა ტერესიტა მრეცხავი, მეტსახელად ზანგა გააპატიურა.

ტერესიტამ რომ შეამჩნია, ფეხმძიმედ ვარო, თანაც უკვე რვა შვილის პატრონი იყო, ამ უჭულბუჭულები ამკიდეს კი არავინ შეირთავდა ცოლად. საშველად მყისვე დონია ანხელიკას მიაშურა. მოხუცი ექიმბაში ინკვიზიციის მოედანთან სახლობდა და ჩვეულებრივ ბებიაქალობდა, თუმცა უფრო ხშირად დედის საშოდან დაუპატიჟებელ სტუმრებს ერეკებოდა ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, მუცელს უშლიდა ამის მოხურნეთ. შხამიანი სასმელები (საკუთარი შარდისა და გაჭყლეტილი თაგვების ნაყენი) დონია ანხელიკამ ბლომ-ბლომად ასვა ტერესიტას, მაგრამ ძალადობის ნაყოფმა დიდი სიჯიუტე გამოიჩინა — აქედანვე შეეტყო, რა კერპი ვინმეც იქნებოდა — დედის სხეულს ხრახნივით ჩაეჭედა და მანამდე დაჰყო იქ, ვინემ განვითარდებოდა, გაიზრდებოდა და ძალის ხმარების ცხრა თვის თავზე ამ ქვეყანას მოეფლინებოდა. ტერესიტა მრეცხავსაც სხვა რა გზა მქონდა, უნდა ეშობა და შობა კიდევ.

ბიჭს სეფერინო დაარქვეს, კონგრესის მეკარის საპატივსაცემოდ, ვინაც მონათლა, და დედის გვარზე დაწერეს. პატარაობაში სეფერინოს არა ხაბაბი არ მიუცია ვინმეს ეფიქრა, მღვდელი გამოვყო, ვინაიდან ღვთისმსახურება სულაც არ ექაშნიკებოდა მის სულსა და გულს, ბზრიალასავით ტრიალსა და ფრანების გაშვებას არაფერი ერჩინა. მაგრამ თავის ხასიათს კი — ენის ამოდგამადეც — მუდამ ამჟღავნებდა. აღზრდის საქმეში ტერესიტა მრეცხავი ქვეშეცნეულად სპარტელთა სკოლას, უფრო კი დარვინის მოძღვრებას მისდევდა: მისი ცხოვრებისეული ფილოსოფია იყო შვილებისთვის ჩაეგონებინა, თუკი ამ ქვეყნად სიცოცხლე უნდათ, სილაქები თვითონაც უნდა ირგუნონ და სხვასაც არგუნონ, სარჩო კი სამი წლის ასაკიდან თავად მოიპოვონ. ყოველ ცისმარე დღე ქალი ათ-ათი საათი რეცხავდა, რვა საათი ამ სარეცხის ჩამორიგებას უნდებოდა მთელ ქალაქში, ისე რომ, რასაც შოულობდა, თვით მასა და კიდევ იმ რამდენიმე სულს ძლივს სწვდებოდა, ვისაც ასაკის გამო ჭერჭერობით საკუთარი თავის რჩენა არ შეეძლო.

„ძალადობის ნაყოფი“ ახლაც ისეთივე ჭიუტურ სწრაფვას იჩენდა სიცოცხლის შენარჩუნებისთვის, როგორც დედის საშოში: გიანლებოდათ უველაფერს, რასაც ნაგვის ბაკებიდან მათხოვრებსა თუ ძაღლებთან ხელჩართული ომის შემდეგ დაითრევდა. ვინემ მის ძმებს ჭლექი მუსრავდა ან მოწამვლისგან ბუზებივით იხოცებოდნენ, ხოლო, სიკვდილს გადარჩენილნი, დიდობის ასაკშიც რაქიტისა თუ ჭკუანაკლულობის შედეგად ცხოვრების გამოცდებს ძლივს აბარებდნენ, სეფერინო უანკა ლეივა საღ-საღამათ, გონიერ და საკმაოდ საზრიან ბიჭად იზრდებოდა. როცა ტერესიტა მრეცხავმა მუშაობა ველარ შეიძლო (იქნებ სულაც წულის შიში დასჩემდა?), დედას სეფერინო არჩენდა, ხოლო ტერესიტას სიკვდილის უამმა რომ დარეკა, უკვე მენდოსიტეს მღვდლად ნაკურთხმა, „გიმეტის“ დამკრძალავი ბიუროს მეოხებით უველაზე ძვირი დასაფლავება მოუწყო.

ჩირიმოოს მკვიდრთა აზრით ამ უბანში ასეთი დასაფლავება არავის ახსოვდა.

სეფერინო არა საქმეს არ თაკილობდა და საკმაო მარიფათსაც იჩენდა უველაფერში. თიხისგან ნაძერწი ანგელოზის უცოდველი სახით აბანკის ავენიდაზე გამვლელებს გასაკითხს სთხოვდა და გულწვიადი ქალბატონების წყალობასაც ნიადაგ იმსახურებდა. მოგვიანებით სეფერინომ ფეხსაცმლის წმენდას მიპყრო ხელი, დარაჯობდა მანქანებს, ჰყიდდა გაზეთებს, საცხებს, ჰალვას, სტადიონზე მაყურებლებს თავიანთ ადგილებამდე აცილებდა, შეძველმანებობდა. აბა ვინ იცოდა, ეს დაგლეჯილ ქურთუკში გახვეული ბიჭი, რომელსაც მუდამ ჭუჭყიანი ფრჩხილები, დაუბანელი ფეხები ჰქონდა, თავზე კი სირსველი მოდებოდა, მთელ პერუსში უველაზე მჭევრმეტყველი მქადაგებელი გახდებოდა?

დღემდე გამოცანად დარჩა, როდის ისწავლა სეფერინომ კითხვა, — მას ხომ სკოლაში არასოდეს უვლია. ჩირიმოოში ამბობდნენ, ასობის გარჩევა ბიჭს მისმა ნათლიამ, კონგრესის მეკარემ ასწავლაო, დანარჩენს კი შემდგომ თავისი სიკერპითა და სიჯიუტით მიაღწია, როგორც სოფლიდან ჩამოსული ბიჭები გულმოდგინებისა და დაუინებული სწრაფვის წყალობით ლამის ნობელის პრემიას აღწევენ ხოლმე.

თორმეტი წლის იყო სეფერინო ლეივა, როცა ქალაქში კარდაკარ უვლიდა მდიდარ ოჯახებს და უვარგის ტანსაცმელსა და ძველ წაღებს ითხოვდა (შემდეგ გარეუბნებში რომ ჰყიდდა). სწორედ მაშინ შეხვდა იმ პიროვნებას ვისი წყალობითაც ღვთისმსახური გახდა. ეს იყო წარმოსობით ბასკი მემამულე ქალი, სახელად მაიტე უნსატეგი. ძნელი სათქმელია, რა უფრო მეტი ჰქონდა ამ ქალს — ფული თუ ღვთისმოსაობა, რა უფრო გააკვირვებდა მისი ადამიანს — მამულები თუ სასწაულმოქმედ ლიმპიელის თავგადადებული თაყვანისცემა. ერთხელ ეს ქალბატონი სან-ფელიპეზე მდებარე თავისი მავრინული უაიდის სასახლიდან გამოდიოდა, ორანტიას უბანში, მძლოლმა ის იყო „კადილაკის“ კარი გაუხსნა, როცა შუა ქუჩაში შეცრივ ამ დილით შეგროვილ ძველმანებით სავსე ურიკასთან საცოდავი ბიჭი — „ძალადობის ნაყოფი“ დაინახა. მგლის ლეკვის მათხოვრულმა ჩაცმულობამ, ჭკვიანურმა მზერამ, მტკიცე ნაკვთებმა სენიორა უნსატეგის ყურადღება მიიქცია და დაპირდა, ამ საღამოს გინახულებო.

ჩირიმოოს მთელი ჩიხი სიცილით გადაბჟირდა, როცა სეფერინო უანკა ლეივამ განაცხადა, დღეს სენიორა მესტუმრება უზარმაზარი ავტომობილით, ლურჯფორმიანი მძლოლი რომ მართავსო. მაგრამ როცა საღამოს ექვს საათზე ჩიხთან „კადილაკი“ გაჩერდა მერცხოვის მეუღლის დარად მოხდენილად ჩაცმულმა დონია მაიტე უნსატეგიმ ჩიხში შემოაბიჯა და იკითხა, ტერესიტა სად ცხოვრობსო, მაშინ კი უველამ ირწმუნა (და გაოცებისგან პირი დააღო). დონია მაიტე იმ საქმიან ქალთა რიცხვს მიეწერებოდა, დედათა წესის დღეებიც კი წუთობით რომ იციან. ამიტომ დაუხანებლად აუწყა თავისი წინადადება მრეცხავ ქალს და მანაც სიხარულით შეჰკივლა. ეს წინადადება იყო: დონია მაიტე ფულს გადაიხდის სეფერინო უანკა ლეივას სწავლა-განათლებისთვის, მის დედას კი საჩუქრად ათი ათას სოლსაც მისცემს იმ პირობით, თუ ბიჭი მღვდლად ეკურთხება.

ასე და ამგვარად ამოჰყო თავი „ძალადობის ნაყოფმა“ წმინდა ტორიბიო მოგროვეხელის სემინარიასა შინა მაგდალენ დელ მარის უბანში. იმ შემთხვევებისგან განსხვავებით, როცა მოწოდება წინ უსწრებს ხოლმე მის აღქმას, სეფერინო უანკა ლეივამ თავისი მოწოდება მხოლოდ სემინარიის კედლებში

შეიცნო. იგი ღვთისმოსში და მუყაითი შეგირდი გამოდგა, მოძღვრები მუდამ აჭებდნენ, და ეს ქება ტერესიტა ზანგასა და სეფერინოს მფარველ ქალს სია- მაფით ავსებდა.

ვინემ სეფერინო ლათინურის, თეოლოგიის, ქრისტიანული მოძღვრებისა და წმინდათა ცხოვრების ცოდნის მწვერვალებს დაეუფლებოდა და რწმენას გაიმ- ტკიცებდა, როგორც მესებისა და პარაკლისების, ისევე ხორცის თვითგვემის გზით, სემინარიელ ჭაბუკს იმის პირველი ნიშნები ამოაჩნდა, რასაც შემდეგში — მისი თავისებური ქცევებით გამოწვეული ცხარე დავა-კამათის დროს სეფერი- ნოს მომხრენი „თავდადებული ღვთისმოსაობის“ გამოვლენად, ხოლო მოწინა- აღმდეგენი ავაზაკთა და მკვლელთა ბუდის, „ჩირიმოიოს მემკვიდრეობად“ ნათ- ლავდნენ. ჭერ კიდევ მღვდლად კურთხევამდე სეფერინო სემინარიელთა შორის იმ აზრის გავრცელებას შეუდგა, რომ ჭერარს ჯვაროსნული ლაშქრობანი ხე- ლახლა აღსდგეს, რომ ტარტაროზის წინააღმდეგ საბრძოლველად არა მარტო დიაცური საშუალებანი — ლოცვა და შეწირულებანი უნდა იხმარებოდეს, არამედ მამაკაცური იარაღიც — მუშტი, თავური (ვითარც უფრო მეტად შთამბეჭ- დავი), ხოლო თუ გაჭირდა — დანაცა და ტყვიაც. შეშფოთებულმა სულიერმა მოძღვრებმა სცადეს სეფერინოს თავიდან მისთანა უცნაური აზრები გამოედე- ნათ, მაგრამ სეფერინოს ფიცხად დაუჭირა მხარი დონია მაიტე უნსატეგიმ. ხო- ლო რაკილა ამ ქველმოქმედი ქალის ხარჯზე ლამის სემინარიელთა ერთი მე- სამედი იმყოფებოდა, მაღალმა სასულიერო პირებმა ანგარების ხათრით გულში ჩაიკლეს ბრაზი და თავი მოიკატუნეს, ვითომცდა სეფერინო უანკა ლეივას თე- ორიებზე არაფერიც არ იციან. თავის იდეებს სეფერინო პრაქტიკით ამოწმებდა. როცა მეცადინეობა არ მქონდა, დღე არ იყო ჩირიმოიელ ჭაბუკს სემინარიაში დაბრუნებამდე ის არ მოემოქმედა, რასაც „ძალისმიერ ქადაგებას“ ეძახდა. ერთ- ხელ თავის უბანში სეფერინომ თვალი მკრა, ვილაც მთვრალი თავის ცოლს რომ სცემდა. ბიჭი ქალს გამოესარჩლა, იმ რეგვენს ფეხები გადაუმტვრია და მერე ქადაგება წაუკითხა, როგორი მოქცევა მართებს ქმარს ჭეშმარიტი ქრისტიანის კვალობაზე. მეორედ ავტობუსში ჯიბგირი ბიჭი, ვილაც ხნიერ ქალს ჭიბიდან ფულს რომ აცლიდა, სეფერინომ თავურით გააგორა (მერე თვითონვე წაიყვანა კლინიკაში, სადაც ქურდბაცაცას სახეზე ნაკერები დაადეს). შემდეგ მატამულის პარკის ხშირ ბალახში სეფერინომ ქალ-ვაჟი შეისწრო, ადამიანებისთვის არც- თუ ჩვეულებრივი გზით რომ სიყვარულობდნენ. სეფერინომ დასისხლიანებამდე ცემა ორივე და ხელმეორე დასჯის მუქარით დაჩოქილთ ფიცი დაადებინა, სულ მაღე ჭვარს დავიწერთო. მაგრამ სეფერინომ ყველაზე არნახული და გაუგონარი საქციელი, დაკავშირებული მის თეორიასთან: „როგორც ცოდნას, ხულის სიწ- მინდესაც ადამიანი სისხლის ფასად ეუფლება“ (ხომ როგორღაც უნდა შეფასე- ბუდიყო ეს მოქმედებანი) — მაშინ ჩაიღინა, როცა მუშტი ახეთქა სადმე სხვა- გან კი არა — თვით სემინარიის სამლოცველოში — და სხვა ვინმეს კი არა — თა- ვის საკუთარ მოძღვარსა და თომისტურ¹ ფილოსოფიის მასწავლებელს — მორც- ხვსა და მორიდებულ პადრე ალბერტო დე კინტეროსს, რომელმაც ძმური სიყვარულისა თუ თანდგომის დასამტკიცებლად სემინარიელს ტუჩებში კოც- ნა დაუპირა. იგი ერთი მიაშიტი და უბოროტო არსება იყო, მღვდლად გვიან

¹ თომა აქვინელის (1225-1274) სკოლასტიკური მოძღვრება, რომელსაც კათოლიკური ეკ- ლესია ერთადერთ ჭეშმარიტ ფილოსოფიად მიიჩნევს.

ეკურთხა. მანამდე დონ ალბერტო ფსიქოლოგად მუშაობდა. ქონებაც და სახელიც მან ფსიქოლოგობით მოიპოვა, როცა ერთი ახალგაზრდა ექიმი მოარჩინა, ქალაქ პისკოს მიდამოებში საკუთარ ასულს მანქანა რომ დააჯახა, მოძკლა და მერე ჭკუაზე შეცდა. საავადმყოფოდან დაბრუნებულმა მღვდელმა, სადაც კრილობა გაუკერეს და სამი ჩამტვრეული კბილის აფხვლეტვით ჩაუდგეს, სეფერინო ლეივას სემინარიიდან გარიცხვის წინააღმდეგ გაილაშქრა და — ჰოი, სულდიდთა კეთილშობილებავ, სიცოცხლეში რომ ბევრჯერ მიუშვერიათ ლოყა სილაქის მისაღებად, სიკვდილის შემდეგ კი წმინდანად შერაცხულან! — თვითონვე სწირა მესა, რომელზედაც „ძალადობის ნაყოფი“ მღვდლად აკურთხეს.

მაგრამ მის მოძღვართ არა მარტო ის ამბავი აღშფოთებდათ, სეფერინოს აზრით ეკლესიას ბოროტება რომ ძალის ხმარებით უნდა დაეთრგუნა, არამედ მისი რწმენაც (იყო კი რწმენა ესე უანგარო) — ადამიანის მომაკვდინებელ ცოდვათა შორის ონანიზმი არ უნდა ითვლებოდესო. თუმცა მასწავლებლები ბიბლიიდან ციტატებითა და ონანიზმის წინააღმდეგ მებრძოლი პაპის მრავალრიცხოვანი ბულებით ცდილობდნენ ჭაბუკი შეცდომისგან ეხსნათ, დონია ანხელიკას ექიმბაშობას გადარჩენილი მსხვერპლი, ისეთივე კერპი, როგორც დედის საშოში, ღამღამობით ამხანაგების შესაცდენად მაინც გაიძახოდა, ონანიზმის უფლება ღვთის მსახურთ თვით უფალმა მიანიჭა უბიწობისა და უქორწინებლობის აღთქმის სანაზღაუროდო. ცოდვაო, ირწმუნებოდა სეფერინო, ქალისა თუ (ხოლო უფრო ბილწი თვალსაზრისით) სხვათა სხეულით მინიჭებული ტკობააო. ერთ-ერთ თავის რეფერატში, ღირსპატივსაცემი პადრე ლეონსიო ზაკარიასის გაკვეთილზე რომ წაიკითხა, სეფერინო უანკა ლეივამ ვარაუდი გამოთქვა და ახალი აღთქმის ზოგიერთ ორაზროვანი ეპიზოდიც მოიშველია, რომ უველა საფუძველი არსებობს აღარ უარყუოთ, ვით მიუღებელი ჰიპოთეზა, ის ამბავი, ოდესღაც თვით იესო ქრისტე (იქნებ მარია მაგდალენელის გაცნობის შემდეგ?) მასტურბაციის საშუალებით ცდილობდა ცთუნება დაეძლია და უბიწოება არ დაეკარგაო. მამა ლეონსიო ზაკარიასს გული წაუვიდა, ხოლო ბასკელი პიანისტი ქალის პროტეჟე კინალამ სემინარიიდან არ გარიცხეს. სეფერინომ მოინანია შეცოდება, შენდობა გამოითხოვა, აღასრულა უველა ეპითიმია, რაც დაადეს და რამდენიმე ხანს თავი შეიკავა საკუთარ ნაბოღვართა ქადაგებისაგან, რომლის მეოხებით მისი მოძღვარნი ღამის ავად ხდებოდნენ, სემინარიელები კი გახელებამდე მიდიოდნენ. თავად პრაქტიკას კვლავაც აგრძელებდა, რამეთუ მისმა სულიერმა მოძღვარმა სულ მალე თავისი უპურით მოისმინა, აჭრიჭინებულ სააღმსარებლოსთან დაჩოქილი სემინარიელი რომ ამბობდა: „ამ კვირას, პადრე, საბას დედოფლისა და ოლოფერნეს მეუღლის მიჯნური გახლდით“. სწორედ ამ მიდრეკილების წყალობით ველარ წავიდა სამოგზაუროდ სეფერინო, რაიც უთუოდ სულიერად გაამდიდრებდა. სულ ახალი ნაკურთხი იყო, როცა ეკლესიის მღვდელმთავრებმა გადაწყვიტეს სეფერინო რომის გრიგორიანულ უნივერსიტეტში გაეგზავნათ დისერტაციის დასაწერად, ვინაიდან, კათოლიკურ ეკლესიასთან შეტაკების მიუხედავად, სეფერინო სამაგალითო მუყაითობით გამოირჩეოდა და მახვილი ჭკუის პატრონიც იყო. უჭიათმა მღვდელმა, გამოფურფუტებულ სწავლულთაგან განსხვავებით, რომელთაც ვატიკანის ბიბლიოთეკების მტვრიანმა ხელნაწერებმა თვალისჩინი წაართვეს, მუის წარადგინა თავისი მომავალი თემის თე-

ზისები, „მარტოობის ცოდვა, ვითარც ღვთისმსახურთა უბიწობის შესანარჩუნებელი ხერხი“: თეზისები აღშფოთებით იქნა დაგმობილი, რის შედეგად სეფერინო უანკა ლეივამ რომში გამგზავრებაზე უარი განაცხადა და მენდოსიტოს ჭოჭოხეთში ცოცხლად დაიმარხა თავი, საიდანაც მერე ფენი არსად გაუდგამს.

მენდოსიტო მან თვითონ ირჩია, თუმცაღა კარგად იცნობდა, რომ მისი მსგავსი ლიშის ამ უბანს გაურბოდა არა მარტო ყველანაირ მიკრობთა თავმოყრის გამო, რამაც ეს კუთხე ყველაზე საკვირველ ინფექციათა და პარაზიტთა შესასწავლ საწერგედ აქცია (უბნის ტოპოგრაფიული რუკა მტვრიანი ბილიკების, მუყაოს, ლატნების, რკინის ქილების, თიხის, ჭინჭებისა თუ გაზეთებისგან შეკონწიწებულ ქოხმახთა იეროგლიფებს მოეხატა). თავის სამოქმედო ასპარეზად სეფერინომ მენდოსიტა იმიტომ ირჩია, რომ აქ ძალადობა მეფობდა. ეს უბანი იმხანად დასტურ ბორცუმოქმედებათა უნივერსიტეტს წარმოადგენდა, სადაც ყველანაირ ხელობას შეიძლება დაუფლებოდა კაცი: ძარცვა-გლეჯას, რისკიპობას, დანის ოსტატურ ხმარებას, იაფიანი ნარკოტიკებით ვაჭრობას, სუტენიორობას. ორ დღეში სეფერინო უანკა ლეივამ საკუთარი ხელით ააგო ალიზის ქონი, ოღონდ უკარო, მოათრია ძველმანების ბაზარზე შეძენილი ნახმარი საწოლი და ჩალის ლეიბი, და მრევლს აუწყა, ყოველ ცისმარე დღე შვიდ საათზე დილის მესას ღია ცისქვეშ ვწირავო. ამცნო ისიც, რომ აღსარებას ორშაბათიდან შაბათამდე მიიღებდა, ამასთან ქალებს — ნაშუადღევის ორიდან ექვსამდე, კაცებს — საღამოს შვიდიდან შუალამემდე, რათა ერთმანეთში არ შეერია. გარდა ამისა, გააფრთხილა, რომ დილაობით — რვიდან ორამდე — უბნის გოგობიჭობას ამეცადინებდა წერა-კითხვაში, ანგარიშსა და კათეხიზმოში. მაგრამ მისი თავგამოდება ვაი რომ ფუჭი გამოდგა. დილის მესაზე მხოლოდ და მხოლოდ ბებერი ქალები და კაცები მოვიდნენ, სასიცოცხლო რეფლექსებდაკარგული საპყრები, ღვთისმსახურების დროს ბუნებრივ მოთხოვნილებებს ნიფხვის ჩაუხდელად რომ ისაქმებდნენ. აღსარებებსა თუ დილის მეცადინეობებზე კი ერთი კაციც არ გამოცხადებულა თუნდაც უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო.

რა იყო ამის მიზეზი? საქმე ისაა, რომ მენდოსიტაში ცხოვრობდა და ექიმბაშობდა პოლიციის ყოფილი სერჟანტი, ზორბა და წარმოსადეგი ხაიმე კონჩა. მან პოლიციელის სამოსი მას შემდეგ გაიხადა, რაც უფროსებმა იძულებით მოაკვლევინეს ერთი ვიღაც საცოდავი ყვითელკანიანი, კალიაოს ნავსადგურში ქურდულად რომ ჩამოჰყვა გემს აღმოსავლეთის რომელიღაც უცნობ ნავსადგურიდან. მას აქეთ ხაიმე კონჩა ფრიალი წარმატებით მისდევდა ექიმბაშობას და მენდოსიტელთა გული ამის წყალობით, როგორც იტყვიან, საკუთარ მუჭში გამოიმწყვდია. რა გასაკვირია, რომ ყოფილ პოლიციელს შესაძლებელი მეტოქის გამოჩენა არც მაინცდამაინც ეპიტნავა და პადრე სეფერინოს ბოიკოტი გამოუცხადა.

ამ უკანასკნელმა ეს ამბავი რომ შეიტყო (ცისფერსისხლიან ბასკელ ასულ დონია მაიტე უნსატეგისგან, აქ რომ ერთ დროს კუდიანობდა და მთელი მენდოსიტას დედოფალი და პატრონი იყო, ვინემ იქიდან ხაიმე კონჩა გამოაძევებდა), სიხარულისგან თვალები დაენამა და გული აუჩქროლდა. იგი მიხვდა: ეს შესაფერისი წუთი იყო ძალისმიერი ქადაგების თეორიისა და პრაქტიკის შესარწყმელად. ცირკის მაცნეხავით შემოიარა მან ყველა დაღრეკილი ქურჩა-

ბანდი და ხმამაღლა ამცნო ბინადართ, რომ მომავალი კვირის თერთმეტ საათ-ზე ადგილობრივ საფეხბურთო მინდორზე განზრახული აქვს მუშტიკრივით დაუმტკიცოს ექიმბაშს, ვინ უფრო ვაუჯაცია მათ შორის. როცა დაკუნთული ხაიმე კონჩა მისი თიხით შეგლესილი ქოხის წინ წარსდგა და იკითხა, ეს განცხადება ნამდვილ ბრძოლის გამოწვევად ჩავთვალო, თუ უბრალოდ ერთმანეთს ლოყებზე გავუტყუაპუნებთ და მეტი არაფერიო, მკვიდრმა ცივად შეუბრუნა კითხვა ექიმბაშს: იქნებ მუშტიკრივს დანებით ბრძოლა გირჩევნიაო? უოფილი სერუანტი ხარხარ-ხარხარით წავიდა მისგან და უველას უყვებოდა, პოლიციელი რომ ვიყავი, ცოფიან ძაღლებს ჩვეულებრივ ერთი წკიპურტის კვრით ვაფრთხობინებდი ხოლმე სულსო.

ექიმბაშისა და მღვდლის შექიდებამ საოცარი ცნობისწადილი გამოიწვია. მის სანახავად არათუ მენდოსიტოს მცხოვრებნი, ლა-ვიქტორიას, პორვენირის, სან-კოსმეს გორისა და აგუსტინოს უბნელებიც მოვიდნენ. შარვალსა და მაისურში გამოწყობილმა პადრე სეფერინომ ბრძოლის წინ პირჯვარი გადაისახა. ბრძოლა დიდად წარმტაცო, ოღონდაც ხანმოკლე გამოდგა. ექს-პოლიციელზე უფრო ჯანსუსტი ჩირიმოიოს მკვიდრი თურმე ფანდების ოსტატი უოფილა. დაიძრა თუ არა მეტოქისაკენ, თვალეში უმაღლ მუშტში ჩამალული დაფხვნილი წიწკა შეაუარა (ასე აუხსნა შემდეგ გულშემატკივართ: კრიოლოურ ჩხუბში უველა ფანდი გამოდგებოსო). დავითის ვერაგული დარტყმით წაბარბაცებულ გოლიათივით წაბორძიკდა დაბრმავებული ექს-სერუანტი. მაშინ პადრე სეფერინომ მამაკაცისთვის უველაზე მტკივნეულ ადგილას ჩასცხო წიხლი. ექს-სერუანტი წელში მოიკეცა. მღვდელმა სულის მოთქმა არ დააცალა, ეძგერა და ხან მარჯვენათი, ხან მარცხენათი უთაქა და უთაქა თავ-პირში, მერე ტაქტიკა შეცვალა: როგორც კი ექიმბაში მიწაზე გაიშოტა, ზედ შედგა და ბრძოლაც დაამთავრა. ცალკე ტკივილით, ცალკე სირცხვილით აღმუვლებულმა ხაიმე კონჩამ თავი დამარცხებულად სცნო. მჭუხარე ტაშის ხმაზე პადრე სეფერინო უანკა ლეივამ ცისკენ ალაპურო თვალეები, გულზე ხელები გადაიჭვარედინა, მუხლებზე დაეცა და ლოცვა აღავლინა. ამ ამბავმა, რაიც პრესამ აღნიშნა და რამაც არქიეპისკოპოსის წყრომა გამოწვია, პადრე სეფერინოს მომავალი მრევლის გული მოუნადირა. მას აქეთ დილის მესაზე ხალხი მომრავლდა და რამდენიმე ცოდვილმა — მეტწილად ქალებმა — აღსარების სურვილი გამოთქვა. მაგრამ ეს შეათედიც არ იყო იმ დიდი გეგმისა, ოპტიმისტ მღვდელს რომ ჩაეფიქრებინა, უკეთუ კაცი მენდოსიტოს ბინადართა პოტენციალურ ცოდვებს გაითვალისწინებდა.

პადრე სეფერინოს კიდევ ერთმა საქციელმა დაატყვევა მენდოსიტელთა გული და მრევლი გაუზარდა. იგი სულგრძელად მოექცა სამარცხვინოდ დამარცხებულ ხაიმე კონჩას, მენდოსიტელ ქალებთან ერთად მწვანე სითხე და არნიკა წასცხო ჭრილობებზე და არც უბნიდან გააძევა (ერთ-ერთი ნაპოლეონის დარად, რომელიც დიდსულოვნად გაუმასპინძლდა შამპანურით იმ გენერალს, ვისაც ის იყო მთელი ჯარი გაუუუუა, და მერე თავისი ასულიც მიათხოვა). შესთავაზა კიდევ, საუდარში მნათედ დადექო, და არც ის დაუშლია, ძველებურად უზრუნველყო მრევლი უველანაირი, ჯადო-თილისმითა და ავგაროზებით დაავადების, გათვალვის, მტრობისა თუ უბედურების ასაცილებლად, ოღონდაც იმ ფასებში, რა ფასებსაც მღვდელი დაუდგენდა და იმ პირობით, მენდოსიტელთა სულიერ ცხოვრებაში არ შეჭრილიყო. პადრე სეფერინომ ნება

დართო უოფილ სერუანტს ძველებურად ჯარაეჭიმობაც გაეწია. მაგრამ აუკრ-
ძალა ახლოს გაჭკარებოდა იმათ, ვისაც საავადმყოფოში მკურნალობა სჭირდებ-
ოდა.

მაგრამ პადრე სეფერინო უანკა ლეივას ხერხი თავის სამრევლო სკო-
ლაში მენდოსიტოს ბიჭბუჭთა მისატყუებლად, რომლებიც ისე დაუბნობდნენ სკო-
ლას, როგორც ბუჭები თავფლს ანდა თოლიები ჭიჭყინებს. სულ მთლად წმინ-
დად არ ჩაითვლებოდა, რის გამო მას საეკლესიო ხელისუფალთაგან პირველი,
არასახუმარო გაფრთხილება გამოეგზავნა. მღვდელმა უმაწვილებს ალუთქვა,
მეცადინეობის უოველი კვირის ბოლოს პატარა სურათ-ხატებს დაგირიგებთო.
ცხადია, ღარიბ-ლატაკ ოინბაზებს ამ სატყუარით ვერ მიიზიდავდა. თუ რომ
„სურათ-ხატებზე“ სინამდვილეში ტიტლიკანა გოგოები არ უოფილიუო გამო-
სახული, რომლებიც უბიწო ქალწულთ დასტურ არ ჰგავდნენ. მღვდლის პე-
დაგოგიური ხერხებით გაოცებული დედები მან დაარწმუნა, ნუ გიკვირთ, ეს
სურათ-ხატები უმაწვილებს ქალის უწმინდურ ხორცის ცოუნებისგან იხსნის,
უფრო მორჩილთ და მეოცნებეთ გახდით და ისე აღარ იანცებენო.

გოგოების მისატყუებლად მღვდელმა ის ბუნებრივი ლტოლვა და მიღრე-
კილება მოიშველია, რამაც პირველი ბიბლიური ცოდვილი ქალი წარმოშვა,
ამ საქმეში მან თავისი ნიადაგ მწე დონია მაიტე უნსატეგი დაიხმარია. დონია
მაიტე ფრიად დიდი გამოცდილების ქალი გახლდათ, რაიც ოცი წლის მან-
ძილზე ტინგო მარიას ავენიდაზე მდებარე საროსკიპო სახლების გამგებლობამ
შესძინა, და გოგოების გული კიდევაც მიიზიდა, ვინაიდან იმას ახწავლიდა,
რაც მათ მოსწონდათ: ანუ როგორ უნდა შეეღებათ ტურები და ლოყები, მოე-
სურმათ წამწამები გასაყიდი კოსმეტიკის დაუხმარებლად. ეცეკვათ მოდური
ცეკვები, რუმბა, უარაჩა, პორო და მამბო. სკოლის ქალთა განუოფილებაში
ცინგლიანი გოგოების წეწვა-გლეჯას რომ წაესწრო მთელ უბანში ერთადერ-
თი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის გამო და მათი ტლინკაობა იხილა უოფილი
მაჭანკლისა და დალალის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, საეკლესიო ზედამ-
ხედველმა თვალებს არ დაუჭერა. ბოლოს ძლივს მოატრიალა ენა და პადრე
სეფერინოს ჰკითხა, როსკიპთა აკადემიის დაარსებას ხომ არ აპირებთო.

— მაგაზე დადებითად გიპასუხებთ, — უთხრა ტერესიტა ზანგას ვაჟმა,
ვისაც პირდაპირი თქმისა არასოდეს უინებია, — რაკი ამ ხელობას მაინც ვერ
ასცდებიან, სჯობს რაც შეიძლება უკეთ დაეუფლონ (რის გამოც საეკლესიო
ხელისუფალთაგან მეორე გაფრთხილება მიიღო). — მაგრამ პადრე სეფერი-
ნო სულაც არ იმსახურებდა მენდოსიტას ყველაზე დიდი მაჭანკლის სახელს,
როგორც მტრებმა შეარქვეს. უბრალოდ, პრაქტიკული ჭკუის კაცი იყო და
ცხოვრებას კარგად იცნობდა. წაქეზება ამ უძველესი ხელობისა სულაც არ
უფიქრია, ესაა, მეცნიერული საფუძველი მისცა და მკაცრი ზომები მიიღო, ამ
ხელობით თავის მარჩენალთ (ანუ მენდოსიტას ყველა ბინადარ ქალს თორმე-
ტიდან სამოც წლამდე) ბუნებრივი უჭეიფობის უამს არ ემუშავათ და მუშტ-
რებსაც ამის გამო გასამრჯელოს გარეშე არ დაეტოვებინათ იხინი. ხოლო უბ-
ნიდან ორი ათეული სუტენიორის (აგრეთვე მათ შემკვიდრეთა) განდევნა ჭეშ-
მარითად გმირული და სასიკეთო საქმე იყო საზოგადოებრივი ჭანმრთელობის
დასაცავად, რისთვისაც პადრე სეფერინომ რამდენიმე ჭრილობა და ლა ვიქ-
ტორიას რაიონის აღკალდის მოლოცვა მიიღო. აქაც პადრე სეფერინომ არა-
ერთხელ მოიშველია ძალისმიერი ქადაგების ხერხი. ხაიმე კონჩა ქუჩებში მაც-

ნედ ჩამოატარა და გამოაცხადებინა, როგორც კანონი, ისევე რელიგია მამაკაცებს უკრძალავს მათზე უფრო დაბლა მდგომ სუსტ არსებათა ხარჯზე იცხოვრონ და რომ ამიერიდან ყოველი კაცი, ვინც ქალის ექსპლოატაციას გაბედავს, მისი მუშტების გემოს იწვნევს. სეფერინომ უბები ჩაუმტვრია დიდ მარგარინ პაჩეკოს, თვალი ამოუგდო მამიკოს, პედრიტო მკუდარე უცვლელად, ხვადი სამპედრი კი იდიოტად აქცია, ხოლო უამბაჩოელმა ტელასკო ცუდით დააღურჯა და დაასისხლიანა. ამ დონ კიხოტის სადარ გახურებულ ბრძოლები-სას პადრე სეფერინოს ერთ ღამეს ჩაუსაფრდნენ და დანებით დაჩეხეს. ხოლო რაღაი მკვდარი ეგონათ, ტალახში დატოვეს ქოფაკ ძაღლთა დასაგლეჯად. მაგრამ სიცოცხლის გამძლეობა, რომელიც დარვინის მოძღვრების მიხედვით ბუნებრივ შერჩევას ახდენს და რომელმაც პატარა სეფერინოს სული შეუნარჩუნა, უანგიან დანებზე ძლიერი გამოდგა. სეფერინო გადარჩა. ნაიარევეები კი ტანზე და სახეზე მრავალნაცად ქალთა თვალში უფრო მეტ ეშხს აძლევდა მღვდელს. ტანზე ექვსიოდე ნაიარევი, მენხიერებაში კი თავდამსხმელთა წინამძღვრის სახე შემორჩა სეფერინოს. ეს წინამძღვარი, გასამართლების მერე, როგორც უიმედო ავადმყოფი, ფსიქიატრულ საავადმყოფოში გააგზავნეს. ამ არეკიპის მკვიდრს სახელი ბიბლიური, გვარი კი ზღვის ცხოველისა მქონდა და ესეკიელ დელფინად იწოდებოდა.

ამაოდ არ ჩაუვლია სეფერინოს ამდენ ცდასა და მსხვერპლს: ხომ საკვირველია და, მენდესიტოს უბანი სუტენიერებისგან გაიწმინდა. პადრე ისე შეიუვარეს ქალებმა, მას აქეთ სულ დას-დასად დადიოდნენ მესაზე, ყოველ კვირა კი საალსარებოდ ეახლებოდნენ. მათ მარჩენალ ხელობას რაც შეიძლება ნაკლები ზიანი რომ მოეტანა, მღვდელმა უბანში კათოლიკური ასოციაციიდან ექიმი მოიწვია, რომელიც ქალებს რჩევა-დარიგებას აძლევდა სქესობრივი ჰიგიენის თაობაზე და ასწავლიდა, როგორ უნდა შეეტყუთ საკუთარი თავისა თუ მუშტრებისათვის ვენერიული სენის ნიშნები. ხოლო იმ შემთხვევისათვის, თუკი დაბადებაზე დაწესებული კონტროლის საშუალებანი ნაყოფს არ მოიტანდა — ამაში მაიტე უნსატეგი ანათლებდა გოგოებს — პადრე სეფერინომ ჩირიმოიოდან მენდოსიტოში დონია ანხელიკას შეგირდი ქალი ჩამოიყვანა, რათა ეს უკანასკნელი დროულად გახწორებოდა თავკომბალათ — ნაყიდი სიყვარულის ნაყოფთ. მეცამეტე გაფრთხილება საეკლესიო ხელისუფალთაგან სეფერინომ მაშინ მიიღო, როცა მღვდელმთავრებმა შეიტყვეს, იგი თავდასაცავი საშუალებებისა და მუცლის მოშლის თავგამოდებული მომხრეაო.

მეთოთხმეტე გაფრთხილება ეკლესიის მესვეურებმა ეგრეთწოდებული სახელოსნო სკოლისთვის გამოუგზავნეს სეფერინო მღვდელს, რომელიც მან გაბედა და გახსნა. ამ სკოლაში უბნის დახელოვნებული ოსტატები სმენის წამტაცი საუბრებისას (ანუ ხან ერთი, ხან მეორე შემთხვევის მოყოლით), როცა დროც შეუმჩნევლად გადის, პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად ასწავლიდნენ ახალბედებს, რა საშუალებით მოეპოვებინათ ღობიოს საფასური. მაგალითად, აჩვენებდნენ ისეთ სავარჯიშოებს, თითებს ჭკვიან და მარჯვე იარაღად რომ აქცევს ჭიბეში, ჩანთაში, პორტფელსა თუ ჩემოდანში აუარება საგანს შორის ნანინანატრ ქისის აღმოსაჩენად, როგორ შეიძლება სულ მცირე მოთმინების შედეგად უბრალო მავთულით ყველაზე ეშმაკური კლიტულის გახსნა ან როგორ უნდა ამუშავო ყველანაირი მარკის მანქანის ძრავა, როცა ის მანქანა შენ არ გეკუთვნის. აჩვენებდნენ იმასაც, როგორ უნდა გამოგლი-

ჯო სხვას ჩანთა და გაიქცე — ფეხით ან ველოსიპედით, როგორ გადაძრე კედლებზე და უხმაუროდ ჩამოიღო ფანჯრის შუშები, როგორ უცვალო სახე საგანს, როდესაც ამ უკანასკნელს ახალი პატრონი გაუჩნდება და როგორ გაქრე ციხის სარდაფიდან პოლიციის კომისრის ნებართვის გარეშე. ზემოხსენებულ სკოლაში თურმე დანებს და ნარკოტიკებსაც ამზადებდნენ, განიქნებ მოშურნეთა ცილისწამება იყო). უოველივე ამან ბოლოს და ბოლოს მენდოსიტელ მამაკაცთა სიყვარული დაუმსახურა პადრე სეფერინოს და ამავე დროს შეტაკების მიზეზი გამოდგა და ვიქტორიას რაიონის პოლიციასთან, სადაც სეფერინო ერთ სადამოს მიაჩიქჩიქეს და გასამართლებითა და ციხით დაემუქრნენ, ვინაიდან წესრიგის დამცველთა თვალში იგი დამნაშავეთა მთელი სამყაროს „ტვინი“ შეიქნა. როგორც მოსალოდნელი იყო, პადრე სეფერინო ახლაც მისმა გავლენიანმა მფარველმა ქალმა იხსნა.

იმ დროისათვის მღვდელმა ესოდენ გაითქვა სახელი, გაზეთების, ჟურნალებისა და რადიოს ყურადღების საგნად იქცა. მისი მოღვაწეობის თაობაზე გაცხარებული კამათი და მსჯელობა ატყდა. ზოგნი სეფერინოს თითქმის წმინდანად შერაცხავდნენ, ღვთის მსახურთა მოწინავე რაზმის წარმომადგენლად, ეკლესიაში რევოლუცია რომ უნდა მოეხდინა. მაგრამ ზოგს იგი ტარტაროზის „მეხუთე კოლონად“ მიაჩნდა, ვისაც ამოცანად დაესახა პეტრეს სავანე შიგნიდან აეფეთქებინა. პადრე სეფერინოს წყალობითა თუ მიზეზით მენდოსიტატურისტულ ცენტრად გადაიქცა: ლატაკთა ძველთაძველმა სამოთხემ ცნობის-მოყვარენი, მორწმუნენი, ჟურნალისტები და სნობებიც მიიზიდა, რომლებიც აქ პადრე სეფერინოს სანახავად ჭგროდ მოდიოდნენ, რათა ხელი შეეხოთ, ელაპარაკათ ან ავტოგრაფი გამოეთხოვათ მისთვის. მღვდლის მხრიდან სახელის ასეთმა მოხვეჭამ ადგილობრივ ეკლესიაში განხეთქილება გამოიწვია: ერთი ბანაკი ამას რელიგიის სასიკეთოდ მიიჩნევდა, მეორე — საზიანოდ.

ერთხელ, სასწაულმოქმედ ლიმპიელის საპატიოდ გამართული პროცესიის დროს — მისი რწმენა მენდოსიტაში პადრე სეფერინომ დანერგა და ისე მოედო მთელ მრევლს, როგორც ცეცხლი ხმელ თივას — მღვდელმა ზარზემით გამოაცხადა, ჩემს მრევლში ერთ მოუნათლავ ბავშვს ვერავინ აღმოაჩენს, ამ უკანასკნელ ათ საათში დაბადებულთა შორისაცო. ამ ამბავმა სიამაყით აუფსო ყველა მორწმუნეს გული და ეკლესიის ხელისუფლებმაც პირველად გამოუგზავნეს მოლოცვა ესოდენ მრავალრიცხოვან ძრახვისა და საყვედურის შემდეგ.

აურზაური ლიმის მფარველი ქალწულის წმინდა როზას დღესასწაულზე ატყდა, როდესაც მენდოსიტას სპორტულ მოედანზე პადრე სეფერინომ საჯაროდ გამოაცხადა, მის ღარიბ-ღატაკ მრევლში ცოლ-ქმარი არაა, ვისი შეუღლებაც ღვთისგან ნაკურთხი არ იყოს თიხით შეგლესილ ქოხში მდგარ საკურთხევლის წინო. მღვდელმთავრები დიდად განაცვიფრა ამ ამბავმა, ვინაიდან კარგად უწყოდნენ, ინკთა უოფილ იმპერიაში ეკლესიისა და ქარის გარდა ყველაზე ძლიერი და პატივცემული ინსტიტუტი როსკიპობა რომ იყო. ისინი რის გაკირვებით მოფოფხდნენ მიღწეულ წარმატებაში საკუთარი თვალით დასარწმუნებლად. მაგრამ მენდოსიტაში ერთი მეორეზე წაწყაბულ ქოხებში ნახულმა სურათმა თავზარი დასცათ და გული კინალამ აურიათ. პადრე სეფერინოს ახსნა-გარმატებანი მეტისმეტად განყენებული და შარგონული სიტყვებით აქრელებული გამოდგა (ჩირიმოიოს მკვიდრს ამ უბანში მრავალი წელი

ცხოვრების შემდეგ სულ დავიწყნოდა სემინარიაში ნასწავლი კლასიკური ესპანური და მენდოსიტას ბინადართა უველა „ბარბარიზმი“ და „იდიოტიზმი“ შეეთვისებინა). ამიტომაც თავისუფალი თანაცხოვრების აღმოფხვრის მთელი სისტემა მღვდელმთავართ უოფილმა ექიმბაშმა და პოლიციის უოფილმა სერუანტმა ხაიმე კონჩამ განუმარტა. სისტემა მკრებელურად მარტოვი აღმოჩნდა: უოველი ქალ-ვაჟი დაახლოებამდე მღვდელთან მოდიოდა კურთხევის მისაღებად. ამგვარად, როგორც კი მიჯნურთ ვნების პირველი ცეცხლი შემოენთებოდათ, მუისვე ისწრაფოდნენ ღვთის წინაშე კანონიერი ქორწინებით შეუღლებულიყვნენ და არც პადრე სეფერინო აბეჭრებდათ თავს ურიდალი კითხვებით. ისე რომ, მენდოსიტას მრავალი მცხოვრები ორჯერ თუ სამჯერ აღმოჩნდა ჭვარდაწერილი, თუმცა ერთხელაც არ დაქვრივებულან. თანაც ამ წყვილთა შეყრა-გაყრა კოსმიური სისწრაფით ხდებოდა; ხოლო ცოდვებს, ასეთი ვითარებისას გარდაუვალოთ, პადრე სეფერინო განმწმენდ აღსარებაზე მიუტევებდა ხოლმე ცოდვილოთ. (თან მომხდარი ამბის ახსნა-განმარტებისას არამარტო ერეტიკულო, ვუღგარულო ანდაზასაც მოაყოლებდა: „სოლს რა ამოგდებს და ისევ სოლიო“). დამცირებულო, შეურაცხუოფილო სეფერინო უანკა ლეივას არქიებისკოპოსმა კინაღამ სილა გააწნა, ეკლესიის ხელისუფალოთაგან კი მეასე გაფრთხილება მიილო და იუბილეც აღნიშნა.

ასე მიატანა პროგრესულო წამოწყებათა ავტორმა, უმკაცრეს გაფრთხილებათა მსხვერპლმა, გაუთავებელი დავა-კამათის საგანმა, ზოგთაგან გაღმერთებულომა, ზოგთაგან დამცირებულომა პადრე სეფერინო ლეივამ თავისი დღვინების ასაკს — ორმოცდაათ წელოს. ეს იყო შუბლგანიერი, არწივისცხვირა, თვალბასრი კაცი, კაცი მართალი და სიკეთით სავსე, ვისაც სემინარიაში სწავლის წლებიდან სწამდა, რომ ონანისტობა — ცოდვა კი არა, სიწმინდის დასაცავი საშუალებაა, თავად მას რომ უბიწოება შეუნარჩუნა. ამასობაში მენდოსიტას უბანში ერთი მაცდური არსება შემოიპარა, საზოგადოებრივი ჭანმრთელობის დაცვის მოღვაწედ რომ გაასალა თავი და მაიტე უნსატეგი ერქვა (იქნებ სულაც როსკიპი იყო), შემოიპარა, ვითარც სამოთხის გველი, რომელიც, მოგეხსენებათ, მუღამ ახალგაფურჩქვნილი ქალურობის ვნების აღმძვრელ მომხიბლავ იერს იღებს.

მაიტე უნსატეგი ჭყვებოდა, რა თავდაუზოგავად იღვწოდა იგი ტინგო მარიას სეღვაში, როგორ ეხმარებოდა ინდიელებს ნაწლავებში დაბუღებულო პარაზიტები გამოერეკათ, როგორ გამოიქცა იქიდან, მწუხარებით ლამის შეშლილი, როცა ვირთხების ლაშქარმა პაწია ვაჟი შეუჭამა. მაიტე უნსატეგის ძარღვებში ბასკთა ანუ წარჩინებულოთა სისხლი ჩქეფდა. მის დამაბრმავებელ სილამაზესა და მოქნილო მიმოხვრას ეჭვი უნდა აღედრა სეფერინო მღვდლისათვის, რა საშიშროებაც ელოდა, მაგრამ მან უჭკუობა გამოიჩინა, მან დაუჭერა ქაღს, ჩემი მოწოდება სულოთა ხსნა და პარაზიტთა განდევნაო, და იგი თანაშემწედ გაიხადა (ღრმა უფსკრულში არაერთხელ გადაჩებილა ისეთი სიკეთე და სიწმინდეც კი, სალო კლდესავით რომ ვერაფერი შეარყევდა). სინამდვილეში მაიტეს მღვდლის შეცდენა განეჭრაბა. მითომაც ჩასახლდა მის ქობში და მისი სარეცელიდან სასაცილო, სიფრიფანა ფარდით გატიხრული საწოლი დაისაკუთრა. დამღამობით ცბიერი ქალი — აქაოდა, ჭანს აკაუებს და ძილსაც შველისო, — სანთლის შუქზე ვარჯიშობდა. მაგრამ განა ამ ცეკვებს, კაცს „ათას ერთი ღამის“ პარამხანებს რომ მოაგონებდა, შვედური ვარჯიში დაერქმეო-

და? მაიტე იკლავებოდა, მხრებს, თეძოებს ატოკებდა, ტლინკებს ისროდა, ხელებს გან-გან შლიდა, სუნთქვაშეკრული ღვთის მსახური კი აქ ჰკუიდან შემშლელ წარმოდგენას, ვით ჩრდილების თეატრს, სიფრთხილად ფარდლიდან კვრეტდა. ხოლო როცა მენდოსიტას მკვიდრთ უკვე ძილი დაეწყოფლებოდა, მაიტე უნსატეგი, ვისაც მის გვერდით საწოლის ფიცრების ქრამამდმ უცხმოდა, უოვლად ურცხვად ეკითხებოდა: „ჭერაც არ გძინავთ, პადრე?“

უნდა ითქვას, რომ თავისი ზრახვების დასამალავად ვერაგი ტურფა დღე-ში თორმეტი საათი შრომობდა, უცრიდა, დაჩირქებულ იარებს ურჩენდა ხალხს, ლატაკთა უბნებს დეზინფექციას უკეთებდა, ბებრუხანები მზის გულზე ძალით გამოძყავდა. მუშაობისას შორტები ეცვა, ხელ-ფეხი, მხრები და მუცელი კი მოტიტვლებული ჰქონდა, იძახდა, სელვაში მუშაობის ხანს დავერვიე ასე სიარულსო. პადრე სეფერინო კვლავაც დაუცხრომლად იღწვოდა, მაგრამ დღითი დღე კი დნებოდა და ხმებოდა კაცი, უბეები ჩაულურჯდა, მისი თვალები უოველ წამს მაიტე უნსატეგის დაეძებდა. რომ დაინახავდა, ღიად დარჩენილ პირიდან ნერწყვი სდიოდა. ახლა იგი მუდამ ჭიბეებში ხელებჩაწყობილი დადიოდა. მისი მნათე — მუცლის მოშლის დიდოსტატი დონია ანხელიკა წინასწარმეტყველებდა, პადრეს სადაცაა პირიდან სისხლი წასკდებოა.

აცთუნებს კია მოძღვარს საზოგადოებრივი ჭანმრთელობის დამცველის უკეთური ხიბლი და ჯადო, თუ ამის წინააღმდეგ ხმარებული ის გამასავათებელი და ძალაგამომცლელი ხერხი უშველის რასმე? ან იქნებ ამ ხერხმა ფსიქიატრულ საავადმყოფოში ამოაყოფინოს თავი და ან მიწაში ჩააწვინოს? სპორტული უინით გატაცებული მენდოსიტელები გაფაციცებით უთვალთვალდნენ ამ ჭიდილს, სანაძღეოსაც დებდნენ, სადამდე გაუძლებს მღვდელიო, და გაუგონარ ვარაუდებსაც გამოთქვამდნენ: ბასკთა ასული მღვდლისგან დაორსულდება, ან ჩირიმოიოს. მკვიდრი ქალს მოკლავს და ცთუნებას ამით მოუღებს ბოლოს, ან კიდევ მღვდლობაზე უარს იტყვის და ცოლად მოიყვანსო. მაგრამ, როგორც უოველთვის, ცხოვრებამ ყველა ეს ვარაუდი ერთი მოქნევით თავდაყირა დააყენა.

პადრე სეფერინომ გადაწყვიტა ბიბლიურ დროთა სპეტაკი, ალალი რწმენა დაებრუნებინა მენდოსიტას მკვიდრთათვის და თავგამოდებული ბრძოლა გააჩაღა აქ თემი შეექმნა, ანუ ესე უბანი ქრისტიანული ექსპერიმენტის ჰეშმარიტ ლაბორატორიად ექცია. მღვდლის მითითებით ცოლ-ქმართა წყვილები უჭრედებად უნდა გაერთიანებულიყვნენ, სადაც თხუთმეტი-ოცი წევრი იქნებოდა და სადაც სხვადასხვა მოვალეობას დაინაწილებდნენ. უჭრედები ვრთად იცხოვრებდნენ საგანგებოდ განკუთვნილ ქოხებში, საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველზე კლასიკურ ცოლქმრობას რომ შეცვლიდა. პირველი მაგალითი თავად პადრე სეფერინომ აჩვენა მენდოსიტელებს: თავისი ქოხი გაადიდა და საზოგადოებრივი ჭანმრთელობის დამცველის გარდა თავისი ორი თანაშემწე — უოფილი სერჟანტი ლიტუმა და მუცლის მოშლის უოფილი ოსტატი დონ ანხელიკა შეისახლა. ამ პირველი მიკროუჭრედის მაგალითზე უნდა შექმნილიყო სხვა უჭრედებიც მენდოსიტაში.

პადრე სეფერინომ ისიც აუწყა მრევლს, რომ უოველ კათოლიკურ თემში ერთი სქესის წარმომადგენელთა შორის ჰეშმარიტი, ზედემოკრატიული თანასწორობა დადგინდება. ქალი ქალს, კაცი კი კაცს შენობით მიმართავს, მაგ-

რამ ღვთისაგან დადგენილი ფიზიოლოგიური და ინტელექტუალური სხვაობა დავიწყებული რომ არ ყოფილიყო, მღვდელმა უბრძანა ქალებს მამაკაცებისათვის „თქვენობით“ მიემართათ და პატივისცემის ნიშნად არამც და არამც კაცისთვის თვალებში არ შეეხედათ. ყველა მოვალეობა, მსახურება, დალაგება, წყაროდან წყლის მოტანა, ტარაკანებისა თუ ვიწმინდების მოვლა, რეცხვა თუ სხვა საოჯახო საქმე თანაბრად ნაწილდებოდა ყველაზე: პატიოსანი თუ უპატიოსნო გზით ნაშოვნო შემოსავალი მთლიანად თემს ბარდებოდა, რომელიც საერთო ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილ თანხას ყველას თანაბრად უყოფდა. საზოგადო სახლებში კედლები მთლიანად გაუქმდა, რა არის ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრილიყო ცოდვილი წესი ოჯახური საიდუმლოების შენახვისა. ისე რომ, ყველა სასიცოცხლო საქმე და საქიროება, დაწყებული ბუნებრივ მოთხოვნათა მოსაქმებითა და დამთავრებული უახლოესი და იდუმალი დამოკიდებულებით, ყველას თვალწინ უნდა მომხდარიყო.

ვინემ მენდოსიტაში ჯარისა თუ პოლიციის ნაწილები შეიჭრებოდნენ, რაიც ჭეშმარიტად კინემატოგრაფიული გაქანებით განხორციელდა — სამხედროები კარაბინებით, ბაჭუკებით იყვნენ აღჭურვილნი და აირწინალები ეკეთათ — ვინემ უბნის უამრავი მაცხოვრებელი ქალი თუ კაცი ციხეში აღმოჩნდებოდა, არა იმიტომ, თავის ღროზე ვინ იყვნენ და ახლა ვინ გახდნენ (ანუ ქურდები, ბანდიტები, როსკიბები), არამედ იმიტომ, რომ „ძირგამომთხრელ საქმიანობას“ ეწეოდნენ, ვინემ პაღრე სეფერინოსაც სამხედრო ტრიბუნალში მიაბრძანებდნენ და ბრალად დასდებდნენ, წოდების გამოყენებით ხელს უწყობსო კომუნიზმის შემოჭრას (მღვდელი მხოლოდ მილიონერი ქალის მაიტე უნსატეგის გამოქომაგებამ იხსნა) — ყველა ამ ამბამდე პირველი ქრისტიანული თემების აღორძინების ცდა მაინც განწირული იყო.

თქმა რად უნდა, რომ იგი განწირული იყო თვით საეკლესიო ხელისუფალთა მიერ (გაფრთხილება ორასოცდამეცამეტე), რომლებმაც თეორიული თვალსაზრისით საეპვოდ, ხოლო პრაქტიკულით სულელურად მიიჩნიეს ეს ცდა (ვაგლახ, რომ შემდგომმა ამბებმა დიანაც გაამართლა ეს თვალსაზრისი), იგი განწირული გახლდათ კიდევ თვით მენდოსიტას ბინადართა ბუნების გამო. კოლექტიური საწყისების სრული მიუღებლობა რომ აჩინეს.

პირველ პრობლემად სქესთა ურთიერთობა იქცა. საერთო საძინებელში ერთმანეთზე მიჯრილ და მიწკაპულ ლეიბებზე სიბნელეში გაუგონარი, ჭეშმარიტად სოდომის ცოდვა ტრიალებდა. რა გასაკვირია, რომ არათუ ორსულთა რიცხვმა, — ვითარც შედეგმა — ექვიანობის ნიადაგზე მომხდარმა მკვლელობამაც იმატა.

მეორე პრობლემა ქურდობა გახდა: ნაცვლად იმისა, საზოგადოებრივ თანაარსებობას ადამიანებში კერძო საკუთრების ინსტინქტები ამოეძირკვა, მან რაღაც არნახულად გაზარდა ისინი. საზოგადოების წევრები ერთმანეთს ყველაფერს პარავდნენ ამყრალებული ჰაერის ჩათვლით. ნაცვლად იმისა, თემურ ცხოვრებას დაეახლოებინა და დაემეგობრებინა ადამიანები, მენდოსიტას ბინადარნი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაემტერნენ. ამ არეულობისა და თვითნებობის უამს სოციალური ჯანმრთელობის დამცველმა (მაიტე უნსატეგიმ ხომ არა?) გამოაცხადა, ფეხმძიმედ ვარო, და სერუანტმა ლიტუმაამაც აღიარა, ბავშვის მამა მე გახლავართო. თვალცრემლიანმა პაღრე სეფერინომ დალოცა და აკურთხა თავისი სოციალური ცდის ეს შედეგი

(ამბობენ, მას აქეთ მთელი ღამეები ქვითინებდა და მთვარისადმი ელვგიურ გალობას გალობაზე ალავლენდაო).

სულ მალე სულიერ მოძღვარს იმაზე დიდი უბედურება დაატყდა თავს, ვინემ ბასკთა ასულის დაკარგვა იყო. ვისთანაც ნეტარება მაინც არა და არ არგუნა ღმერთმა. მენდოსიტას ახლა ფრიად საშიში მეტოქე ევანგელისტის პასტორი დონ სებასტიანო ბერგუა მოევლინა, ჯერ კიდევ ახალგაზრდასტურ-ტული აღნაგობის და დაკუნთული სხეულის კაცი. მან ჩამოსვლისთანავე გამოაცხადა, რომ განწრახული აქვს ექვს თვეში მოაქციოს მენდოსიტას უველა ბინადარი ქრესტიანული რეფორმისტულ რჯულზე და არა მარტო მენდოსიტას ბინადარნი, არამედ კათოლიკე მღვდელი და მისი სამი დამქაში. დონ სებასტიანს (ნეტა ის ხომ არა, პასტორად კურთხევამდე რომ მილიონერი გინეკოლოგი იყო?) უველაფერი გააჩნდა, რომ მენდოსიტას ბინადართათვის რეტი დაესხა. მან აგურის სახლი აიშენა და მშენებლობაზე მომუშავე მენდოსიტელები მეფურად დააჩილდოვა; მერე ეგრეთ წოდებული „რელიგიური საუზმენი“ გამართა, სადაც უველას, ვინც ბიბლიაზე მისი საუბრის მოსმენასა და ზოგიერთი ფხალმუნის გაზეპირებას მოინდომებდა. უფასოდ შეეძლო დასწრება. ახალი მოძღვრის ენამჭევრობამ და მშვენიერმა ბარიტონმა, ისევე როგორც რძიანმა უავამ და შემწვარმა ღორის ხორცმა ეგზომ მოხიბლა მენდოსიტას ბინადარნი, კათოლიკური სავანე მუის მიატოვეს და ევანგელისტის აგურებზე გადასულეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, პადრე სეფერინომ კვლავ „ძალისმიერი ქადაგების“ ხერხი აირჩია. იმის დასტურსაყოფად, თუ ვინ იყო ღვთის ქრესტიანული მოციქული, დონ სებასტიანი მან ჩხუბში გამოიწვია. მაგრამ ონანიზმს, რასაც ეშმაკისეული ცთუნების დასაძლევად ასე თავდაუზოგავად მისდევდა, ჩირიმოოს მკვიდრი ისე დაესუსტებინა, დონ სებასტიან ბერგუამ მეორე დარტყმაზე ნოკაუტით ძირს გააგორა იგი, რამეთუ ოცი წლის მანძილზე უოველ ცისმარე დღე თითო საათი კულტურიზმსა და კრივში ვარჯაშობდა (სან-ისიდროს სავარჯიშო დარბაზ „რემიზიუსში“ ხომ არა?). მაგრამ წინაორი კბილის დაკარგვისა და ცხვირის გატეხვაზე უფრო პადრე სეფერინო ჯერ დამცირებამ და მერმე იმ ამბავმა შეაძრწუნა, რომ საკუთარივე იარაღით დაამარცხეს და მისი მრევლიდან უოველდღიურად უფრო მეტი და მეტი ხალხი გადარბოდა მტრის ბანაკში.

მომავლის შიშმა და იმის რწმენამ, ძლიერ სენს წამალიც ძლიერი უნდაო. ჩირიმოოს მკვიდრს ერთ მშვენიერ დღეს თავის თიხით შეგლესილ ქოხში, ცნობისმოყვარეთაგან მალულად რამდენიმე რკინის ქილა მოათრევიანა, რაღაც სითხით სავსე (თუმცა უოველ გამოცდილ კაცს უნოსვა მუის შეუცდომლად ამცნობებდა, ეს რომ ნავთი იყო). იმავე საღამოს, როცა უველას ეძინა, კათოლიკე მღვდელი თავისი ერთგული ლიტუმას თანხლებით აგურის სახლის გაღვანს გადაახტა და მაგარი ლურსმნების წყალობით უველა კარ-ფანჯარა სქელი ფიცრებით აჭედა.

დონ სებასტიანს კი ამ დროს წმინდანი კაცის ძილით ეძინა — ესიზმრა თავისი ძმისწული, რომელმაც საკუთარ დასთან სიხხლის აღრევის ცოდვა მოინანია და მღვდლად ეკურთხა ღმერთის ერთ-ერთი უბნის პაპისტურ ეკლესიაში (მენდოსიტაში ხომ არა). მას არ გაუგია ლიტუმას ჩაქურჩის ბრახაბრუხი, ევანგელისტური ტაძარი რომ სათაგურად აქცია, ვინაიდან უოფილმა ბებიაქალმა მანამდე ცოტა ხნით ადრე პადრე სეფერინოს ბრძანებით ევანგელისტს

ძლიერი დასაძინებელი შეაპარა. როცა მტრის მისია ყოველი მხრიდან ამოკეტილ და დახშულ იქნა, ჩირიმოიოს მკვიდრმა საკუთარი ხელით გატაასხა ნავთი. მერე პირჯვარი გადაიწერა, ასანთი აანთო და ის იყო ფნდა ესროლა, რომ რაღაცამ შეაჩერა. პოლიციის ყოფილი ხერუანტი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუცლის მოშლის ყოფილი ოსტატი და მენდოსიტას მწიფეში მოწმენი იუვენენ, როგორ იდგა აულაუუდა და გამქლეული პადრე სეფერინო, წამებულის მზერით, ვარსკვლავებქვეშ ანთებული ასანთით ხელში და ფიქრობდა, ღირდა თუ არა ცოცხლად დაეწვა თავისი მტერი.

მოიქცევა კია ასე? დააგდებს კია ნავთზე ანთებულ ასანთს? ან გაბედავს კი პადრე სეფერინო უანკა ლეივა მენდოსიტას ღამე ჯოჯობეთის საკირედ აქციოს და ღვთის მსახურსა და სიკეთეს მიძღვნილი სიცოცხლე და სული წაიწმინდოს? ან იქნებ ჩააქროს ცეცხლი, უკვე ფხვებს რომ ულოკავს, გახსნას აგურის სახლის კარი და დაჩოქილი შეევედროს ევანგელისტს, მომიტევეო? რით დასრულდება ეს პარაბოლა?

XV

ხავიერს კი არა, პირველად ჩემს ბიძაშვილ ნანსის გავანდე .ხულია დეიდას ცოლობა ვთხოვე-მეთქი. ხულიასთან იმ ლაპარაკის შემდეგ დავურეკე და კინოში დავპატიბე. სინამდვილეში კი კაფე-ბარ „პატიოში“ წავიყვანე სან-მარტინის ქუჩაზე, სადაც „ლუნა-პარკის“ პატრონს მაქს აგირეს მიერ მოწვეული მოკრივენი და მოჭიდავენი იკრიბებოდნენ ხოლმე ჩვეულებრივ. ამ ერთ-სართულიან სახლში — თავდაპირველად იგი საშუალო შეძლების ხალხის ბინებად იყო განკუთვნილი, რომელთაც თურმე ძალიან აბრაზებდათ ბარის მეზობლობა — სიცარიელე სუფევდა და ლაპარაკს არავინ დაგვიშლიდა. ვინემ ნე მეთე ქიქა ყავას დავაცარიელებდი, კნაჭა ნანსი კი კოკა-კოლას ბოთლს.

დასხდომისთანავე გაფაციცებით დავიწყე ფიქრი, როგორ მეთქვა ჩემი ბიძაშვილისთვის ეს ამბავი. მაგრამ ახალი ამბები თვითონვე დამაყარა სეტყვასავით. პორტენზიას სახლში წინაღღეს საოჯახო საბჭო შემდგარა. რომელსაც ამ „საქმის“ განსახილველად ბლომად ნათესავეები დასწრებია. უკვე გადაუწყვეტიათ, რომ ძია ლუჩო და ოლგა ძალო ხულია დეიდას ბოლივიაში დაბრუნებას სთხოვდნენ.

— სულ შენი მიზეზით კი, — მითხრა კნაჭა ნანსიმ, — მამაშენი, ეტყობა, ისეა გაფოცებული, რაღაც საშინელე წერილი მოუწერია.

ხორხე და ლუჩო ძიებს ძალიან ვუყვარდი და შეშფოთებულან; ძამა რა სასჯელს გადამიწყვეტდა. მათი აზრით, თუ ხულია დეიდა ჩემი მშობლების ჩამოსვლამდე ლიმას დატოვებდა, მამას გული მოუღებებოდა.

— ახლა ამას უკვე აზრი არა აქვს, — ვუთხარი ღირსეულად. — ხულია დეიდას ვთხოვე, ცოლად გამომყევი-მეთქი.

ნანსის განცდა ამ ამბავზე სასაცილო და უშუალო იყო. იმ წუთას კოკა-კოლას სვამდა, მაგრამ ეს რომ ვუთხარი, სასმელი ყელში გადასცდა და ისეთი ხველა აუტყდა, ცრემლებიც კი მოადგა.

— ნუ იპრანჭები, სულელო, — შევეუტიე გაბრაზებულმა, — შენი დახმარება ახლა მჭირდება.

— ეგ რა შუაშია, სასმელი გადამცდა. — წაიდუღუნა ნანსიმ, თვალები შეიმშრალა, ყელი ჩაიწმინდა და ერთი წამის შემდეგ ჩუმად დასძინა, — შენ ჯერ ბავშვი ხარ, მარიო, გაქვს კი ფული, ცოლს რომ თხოულობ? ხომ მოგკლა მამაშენმა!

მაგრამ ცნობისმოყვარეობამ ყველაფერს სძლია და ისეთი კითხვები და-მაყარა, თავშიც არ მომსვლია: ხულია დეიდა თუა თანახმა? მარტო ნიჭიერებით მაინც გაქცევას? ვინ დაგვიდგება ქორწინების მოწმედ? ეკლესიაში რომ წავარს არ დაგვწერენ, რაკი ხულია ჭმარგაყრილია? ან სად ვიცხოვრებთ?

— ღმერთო ჩემო, მარიტო! — ისევ გაოცებით გაიმეორა ნანსიმ, როცა კითხვები შემოელა. — ნუთუ არ გესმის, რომ მხოლოდ თვრამეტისა ხარ? — გადაიკისკისა უცებ და მეც გამაცინა. ჩემი ბიძაშვილი იქნებ მართალიც იყო, მაგრამ ახლა მისი დახმარება მჭირდებოდა ჩემი ჩანაფიქრის ასასრულებლად. ჩვენ ერთად ვიზრდებოდით და ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. ვიცოდი, ნანსი მუდამ ჩემს მხარეს დაიჭერდა.

— რა თქმა უნდა, დაგეხმარები, თუკი მთხოვ, თუნდაც ორივე ერთად მოგვკლან, — მითხრა ბოლოს ჩემმა ბიძაშვილმა. — არა, თუ იფიქრე, ჩვენები რა გუნებაზე დადგებიან, მართლა რომ ცოლად შეირთო?

რომ წარმოვიდგინეთ, რას იტყვიან და როგორ მოიქცევიან ჩვენი ძა-ლუები, ძიები თუ ბიძაშვილები ამ ამბის გაგებაზე, ფრიად მხიარულ გუნება-ზე დავდექით. ჰორტენსია ალბათ იტირებს. ხესუსა ეკლესიას მი-აშურებს, ძია ხავიერი თავის კლასიკურ გამოთქმას დააბრუნებს: „აი, უნამუ-სობა!“ ჩემი ყველაზე პატარა ბიძაშვილი სამი წლის ხაიმიტო ჩლიფინით იკით-ხავს: „დედიკო, ცოლს ხოვა რას ნიშნავს?“ ბოლოს კი ისეთი სიცილი წაგ-ვსკდა, თუმცა საკმაოდ ნერვიული, ოფიციალტები მყის ჩვენთან გაჩნდნენ, რა-ზე იცინითო. რომ დავწყნარდით, ნანსი შემპირდა, შენი მზვერავი ვიქნები და ჩვენი სანათესავო რის გაკეთებას დააპირებს, ყველაფერს გაცნობებო. არ ვიცო-დი, რამდენი დრო დამჭირდებოდა საქორწინო საქმეთა მოსაგვარებლად, ამი-ტომაც უნდა მცოდნოდა, ჩვენი სანათესავო რას განიზრახავდა. ნანსიმ ისიც აღმითქვა, ხულიას დროდადრო სასეირნოდ დავპატიებ და ერთმანეთს შეგახ-ვედრებთო.

— ო კვი, ო კვი, — თავს მიქნევდა ნანსი. — მე თქვენი ჯვრის დედა ვიქნები. ხოლო მეც თუ დახმარება დამჭირდა, იმედია, ორივე დამეხმარებით.

ნანსიმ, შინ რომ მივაცილებდი, უცებ თავზე შემოიკრა ხელები და შეს-ძახა:

— ბედი გქონია და ეგაა! იცი, ნავსადგურის ქუჩაზე ბინა შემიძლია გი-შოვო, ერთოთახიანი, თავისი სამზარეულოთი და საპირფარეშოთი. სწორედ ისეთი, შენ რომ ვჭირდება. ეს კოხტა ბინა კი სულ ხუთასი სოლი დაგიჯდება თვეში.

ამ ბინას თურმე ჩემი ბიძაშვილის დაქალი აქირავებდა — ბინა ახლახან განთავისუფლებულიყო — და ნანსიც ამხანაგს მოელაპარაკებოდა. გამაოცა ჩემი ბიძაშვილის პრაქტიკულმა ჭკუამ. მაშინ როცა მე ღრუბლებში დავფრენ-დი, იგი ისეთ მნიშვნელოვან რამეზე ფიქრობდა, როგორც ბინა იყო. ხუთასი სოლი სწორედაც ხელს მაძლევდა. ეს კია, ცოტა მეტი განძრევა დამჭირდებო-და („ზედმეტ ფუფუნებაზეო“, როგორც ბაბუა იტყოდა). არც დავფიქრებულ-

ვარ, ისე ვთხოვე ნანსის, შენს დაქალს გადაეცი, ისე იგულვე, მდგმური უკვე ნაშოვნნი გყავს-თქო.

ნანსი მივაცილე და 28 ივლისის ავენიდისკენ მოვეკურცხლე, სადაც ხავიერი ცხოვრობდა. მაგრამ სახლი უკვე ჩაბნელებული იყო და დიასახლისის გაღვიძება ველარ გავბედე, ვიცოდი, რა წუნკალი ხასიათიც უნდა გული დამწყდა, ისე მინდოდა ჩემი საუკეთესო დოსტისთვის ეს დიდებული მემცნო და მისი აზრიც შემეტყო. მთელი ღამე კოშმარებში გავატარე, ბაბუასთან ერთად დილაუთენია ავდექი, ვისაუზმე და პანსიონში გავვარდი. ხავიერი უკვე სახლიდან გამოდიოდა. ფეხით ვავყევით ლარკოს ავენიდას, რათა ავტობუსით ცენტრში წავსულიყავით. წუხელ ხავიერს პირველად მოუსმენია — თავის დიასახლისსა და სხვა მდგმურებთან ერთად — პედრო კამაჩოს რადიოდგმის ერთი თავი და კაცი განცვიფრებული იყო.

— მაგ შენს კამაჩოს მართლა ბევრი რამე შესძლებია, — მითხრა ხავიერმა. — იცი, წუხანდელი გადაცემა რაზე იყო? ლიმის ერთ ძველ პანსიონში მთებიდან ჩამოსული გადატაკებული ოჯახი ცხოვრობს. ისინი სადილობენ და თან საუბრობენ. უცებ შეინძრა მიწა, ჩაიმსხვრა ფანჯრები, გაისმა ზათქი და გრიალი, კივილი და კენესა, თან ისე ცოცხლად, ყველანი ზეზე წამოვხტით, სენიორა გრასია ბალშიც კი გაქანდა.

თვალწინ დამიდგა გენიოსი ბატანი. აი, იგი მიკროფონის წინ გულგამოცლილ კვახებსა და შუშის ბურთულებს ერთმანეთს უხახუნებს და შენც გესმის, როგორ გუგუნებს მიწა და ზანზარებს სახლები. მერე ფეხებით ამტვრევს კაკლებს, ქვას ქვაზე ახათქუნებს და ყურში ჩამონგრეული ჭერ-კედლებისა და ჩამოშობილი კიბეების გრიალი გესმის. ამასობაში კი ხოსეფინა, ლუსიანო თუ სხვები ლოცულობენ, ვითომ ტკივილისა და შიშისაგან კივიან და პედრო კამაჩოს მბრძანებლური მზერის ქვეშ შველას ითხოვენ.

— მიწისძვრა იქით იყოს, — არ მაცალა ხავიერმა ბატანის გასაოცარ ნიჭზე ქაქანი, — რაც მთავარია, პანსიონის ნანგრევებქვეშ ყველა მობინადრე ილუპება, ცოცხალი არავინ რჩება, თუმცა დასაჯერებლად ცოტა ძნელია. არა, ვინც თავის ყველა გმირს ერთ მიწისძვრას დაახოცინებს, მართლა პატივისცემის ღირსია.

როცა ავტობუსის გაჩერებას მივალწიეთ, ველარ მოვითმინე და რამდენიმე სიტყვით ვუამბე ამას წინ მომხდარი ამბები. ისიც ვაცნობე, რა დიდი საქმეც გადავწყვიტე. ხავიერმა თითქოს არც გაიოცა.

— ჰო, შენც ბევრი რამ შეგძლებია, — დამწუხრებით გადააქნია მან თავი და მერე დასძინა: — ნეტა მართლა თუ გჯერა, რომ ცოლის თხოვა გინდა?

— ამაზე მართლა არც არაფერი მდომებია ჩემს სიცოცხლეში, — შევფიცე მე.

იმ წუთას ამას გულწრფელად ვამბობდი. როცა წუხელ ხულია დეიდას ვთხოვე, ცოლად გამომყევი-მეთქი, მევე ვიგრძენი, რა დაუფიქრებლად მოვიქეც და მხოლოდ ისე, ხუმრობითა ვთქვი. მაგრამ ნანსისთან ლაპარაკმა რწმენა შემძინა და ასე შეგონა, ხავიერს დიდი ხნის განზრახული და მოფიქრებული გადაწყვეტილება ვამცნე-მეთქი.

— ეგ შენი გიჟური განზრახვები ბოლოსა და ბოლოს ციხეში ამომაყოფინებს თავს, — განწირული კაცის ხმაზე წაილაპარაკა ხავიერმა. როცა უკვე ავტობუსში ვისხედით, რამდენიმე გაჩერების შემდეგ კი, პრადო ავენიდის

მიხლოებისას, ესეც დააყოლა: — დრო ცოტა დაგრჩა. თუ ხულია დეიდას ნათესავებმა თხოვეს, უკან გაემგზავრო, აღარც დაედგომება. საქმე მანამდე უნდა გაკვაჭო, ვინემ ბოროტი სული — მამაშენი ჩამოვიდოდეს. შექმნე ყველაფერი გაგიძნელდება.

ერთხანს ორივე ჩუმად ვისხედით. ავტობუსი ნელა მიჩლოვდა არეკიპას ავენიდაზე, მგზავრები ჩადიოდნენ და ამოდოდნენ. რაიმოდის კოლონიის წინ ხავიერმა ისევ ამოიღვა ენა, ჩემმა განზრახვამ უკვე ისიც გაიტაცა:

— ამ საქმეში ფული დაგჭირდება. რა უნდა ქნა?

— რადიოში წინასწარ ვითხოვ ჯამაგირს. კოსტიუმებსა და წიგნებს გავყიდი. საბეჭდ მანქანას და საათს დავაგირავებ, თან სხვა სამუშაოსაც დავუწყებ ძებნას.

— მეც შემიძლია რალაც-რალაცები დავაგირავო ლომბარდში, მაგალითად, რადიომიმღები, ავტოკალმები, ოქროს საათი, — ხავიერმა თვალები დახუჭა და თითებზე დაიანგარიშა. — მგონი, ათას სოლამდე შევძლებ გასესხო.

სან-მარტინის მოედანზე დავშორდით ერთმანეთს. შევთანხმდით „შუადლისას „პანამერიკანის“ სხვენზე შევიყრებოდით, მეგობართან ლაპარაკმა შევება მომგვარა — სამსახურში ალტაცებულ გუნებაზე მივედი, იმედებით სავსე, გადავიკითხე გაზეთები, შევარჩიე საინფორმაციო ცნობები. პასკუალსა და დიდი პაბლიტოს — ისტორიაში უკვე მეორედ — რადიომიმოხილვა გამზადებული დახვდათ. ხულია დეიდამ რომ დამირეკა, თითქოს ჯიბრზე ორივე იქ იყო და ამიტომ ლაპარაკი აღარ გავაგრძელე. მაგრამ ის მაინც გავბედე და ვუთხარი, ნანსისა და ხავიერს ველაპარაკე-მეთქი.

— დღეს უთუოდ უნდა გნახო, თუნდაც რამდენიმე წუთით. — შევემუდარე, — ყველაფერი ღმერთივით მიდის.

— იცი, ლამის შიშით სული გამეპაროს, — მითხრა ხულია დეიდამ. — რა ცუდადაც არ იყო ჩემი საქმე, კაცი ვერაფერს შემაძჩნევდა, ახლა კი მთლად მოვიშალე.

ეჭვს ვერავინ აიღებდა, ისეთი დიდებული მიზეზი ჰქონდა ქალაქის შუაგულში წამოსასვლელად: „ლოიდ-აერეო ბოლივიანოს“ კომპანიაში ბილეთი უნდა შეეკვეთა ლა-პასში გასაფრენად, ამიტომ სამი საათისთვის მოახერხებდა ჩემთან მოსვლას. ქორწინებაზე სიტყვაც არ დაგვიძრავს, მაგრამ გული მწარედ შემეკუმშა, გამგზავრება რომ ახსენა. ყურმილის დაკიდებისთანავე მყის ქალაქის მუნიციპალიტეტში გავქანდი იმის გასარკვევად, რა საბუთები დაგვიჭირდებოდა სამოქალაქო ქორწინებისთვის. ჩემმა ამხანაგმა, რომელიც იქ მუშაობდა და ეგონა, ვილაც ჩემი ნათესავი თხოულობდა ქმარგაყრილ უცხოელს, ყველაფერი გამომიკვლია. მეხი დამეცა, ისეთი საბუთები ყოფილა საჭირო; ხულია დეიდას უნდა წარედგინა დაბადებისა და გაყრის მოწმობები ბოლივიისა და პერუს საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ დამოწმებული, მეც უნდა წარმედგინა დაბადების მოწმობა, მაგრამ რაკი ჯერ უწლოვანი ვიყავი, ხელთ უნდა მქონოდა ნოტარიუსის დამოწმებული მშობლების თანხმობა ან მათი განცხადება, რომ უკვე სრულწლოვანი — ანუ „ემანსიპირებული“ ვარ. ორივე გზა, რა თქმა უნდა, ჩემთვის მოჭრილი იყო.

მუნიციპალიტეტიდან გამოსულმა გზაში ვიანგარიშე: ხულიას რომ კიდევაც აღმოაჩნდეს საბუთები, მათ გაფორმებას ლიმაში რამდენიმე კვირა მოუნდება. ხოლო თუ ეს საბუთები არა აქვს, ჯერ ბოლივიაში, მერე მუნიციპალიტეტში,

შემდეგ სანოტარო კანტორაში მათ დამოწმებას ერთი თვე დასჭირდება. რაც შეეხება ჩემს დაბადების მოწმობას. რადგან არეკიპაში ვიყავი დაბადებული, რომელიმე იქაურ ნათესავისთვის უნდა მიმეწერა და მეთხოვა, საბუთები გამომიგზავნეთ-მეთქი. რასაც აგრეთვე დრო სჭირდებოდა (თან საბიფათოც იყო). მაგრამ სიძნელეებმა, ერთმანეთს რომ წაეწყო თითქოსდა, ჩემს გასაღიზიანებლად. ფარხმალი კი არ დამაყრევინა, უფრო განმბრტყავს და დაწვეტილება (სიჯიუტე პატარაობითვე მომდგამდა). რადიოსადგურის შუაგზაზე, „პრენსის“ რედაქციასთან უცებ ერთმა აზრმა გამკრა თავში, გამოვეტრიალდი და ოფისში გახვითქული უნივერსიტეტში მივქანდი. იურიდიული ფაკულტეტის მდივანი სენიორა რიოფრიო, რომლის მოვალეობას სტუდენტებისთვის ნიშნების გამოცხადება შეადგენდა, როგორც ყოველთვის, დედობრივი აღერსით შემხვდა და თანაგრძნობით მომისმინა, როცა მივიკიბ-მოვუკიბე, — თუ საჩქაროდ რაღაც-რაღაც ცნობები იურიდიულად არ გავაფორმე, სამუშაოს დავკარგავ და უნივერსიტეტში სწავლის ფულს ველარ გადავიხდი-მეთქი.

— წესით ეს აკრძალულია, — ამოიოხრა მან, უშფოთველად ამომხედა და არქივის თაროებისკენ გამიძღვა. — ჩემი სიკეთით ნუ სარგებლობთ. როცა იქნება სამაასურიდან გამაგდებენ, არც ერთი თქვენგანი კი თითს არ გაანძრევს ჩემს საშველად.

ვინემ იგი სტუდენტების საქმეებში იქექებოდა — მტვრის ისეთი ბუჯი დადგა. ორივეს ცხინკვება აგვიტყდა — სენიორა რიოფრიოს შევფიცე, თუ მსგავსი რამ მოხდა. მთელი ფაკულტეტი გავიფიცებო-მეთქი. სენიორა რიოფრიომ, როგორც იყო, იპოვა და გამოაძვრინა ჩემი საბუთები, სადაც მართლა აღმოჩნდა ჩემი დაბადების მოწმობა. თან გამაფრთხილა, ნახევარი საათით გაძლევო. ზუსტად თხუთმეტი წუთი დამჭირდა, ვინემ ასანგაროს ქუჩაზე, წიგნის დუქანში ფოტო-ასლს გადავალებინებდი და ერთ ცალს სენიორა რიოფრიოს დაეუბრუნებდი. რადიოსადგურში ფრთაშესხმული წავედი. ასე მეგონა, წინ ველარაფერი გადამიდგებოდა, ყველა ურჩხულს რწყილივით გავსრესდი და მიწასთან გავასწორებდი, თუკი გზაზე გადამეღობებოდა.

უკვე მაგიდას ვუჯექი და ჩემი მოწმობის აჩხაბაჩხა ნაწერს ვარჩევდი (თურმე პარას ბულვარზე დავბადებულვარ, რაც ბაბუასა და ალეხანდრო ძიას დაუმოწმებიათ ალკალდიაში), როცა პასკუალი და დიდი პაბლიტო შემოვიდნენ (მანამდე უკვე მზად მქონდა ორი ცნობა და არგენტინელ მედუქნე გაუჩო გერაროს ინტერვიუც. საკუთარ რეკორდებსაც რომ გადააჭარბა: დღედაღამ გაუჩერებლივ დარბოდა მოედნის ირგვლივ, სირბილში ჭამდა, წვერს იპარსავდა, წერდა და ძილსაც ახერხებდა). პასკუალი და დიდი პაბლიტო ხანძარზე უზიარებდნენ ერთმანეთს შთაბეჭდილებას და ხარხარით იხსენებდნენ, თურმე როგორ გაჰკიოდნენ და იკრუნჩხებოდნენ ცეცხლის მსხვერპლნი. მე კი ისევ იმ ჩემი ძნელად მოსანელეებელი დაბადების მოწმობას ჩავკირკიტებდი. მაგრამ ჩემი რედაქტორების შენიშვნებმა, როგორ ვადაიბუგა კალიაოს კომისარიატი. ვილაც გიქს რომ ბენზინი გადაესხა და ცეცხლი წაეკიდებინა (ერთი კაციც არ გადარჩენილა, დაწყებული კომისრითა და გათავებული პოლიციელით) კვლავ მიიპყრო ჩემი ყურადღება.

— ყველა გაზეთი ჩავიკითხე და ხანძრის ხსენება არსად იყო. საიდან მოიტანეთ? — ვკითხე და პასკუალს მივეტრიალდი, — არ იფიქრო, ჩემო

კარგო, დღევანდელ ცნობებში ეგ გადაგაცემინო, — მერეღა მივესალმე ორივეს. — გამარჯობა თქვენი, სადისტებო!

— გაზეთში კი არ ეწერა, თერთმეტი საათის რადიოდგმაში იყო, მამცნო დიდმა პაბლიტომ. — სერჟანტ ლიტუმას ამბებია. მისი სახელი ხომ კალიაოს ყველა ყაჩაღსა და ავაზაკს თავზარს სცემდა.

— სერჟანტიც შემწვარ ხორცად იქცა, — მიატანა პასკუალმა. — სამოროგოდ რომ წასულიყო, გადარჩებოდა, მაგრამ კაპიტნის საშველად მიბრუნდა. მისმა კეთილმა ვულმა დაღუპა.

— კაპიტნის კი არა, იმ ძუკნა ჩოკლიტას გადარჩენა უნდოდა, — შეუსწორა დიდმა პაბლიტომ.

— ეგ კიდევ არავინ იცის, — თქვა პასკუალმა. — ლიტუმას ერთ-ერთ საკანში ხარიხა დაეცა თავზე. ნეტა პედრო კამაჩო გენახათ იმ წუთს, როცა ვითომ ცეცხლში იხრაკებოდა! პოი, რა მსახიობია!

— მაშინ ბატანზე რალა ითქმის! — დიდსულოვნად მიატანა აღტაცებულმა დიდმა პაბლიტომ. — ჩემი თვალით რომ არ მენახა, კაცი ვერ დამაჯერებდა, ხანძრის ვუგუნის გადმოცემა თუ ორი თითით შეიძლებოდა, დონ მარია!

ლაპარაკი ხავიერის შემოსვლამ შეგვაწყვეტინა. როგორც ყოველთვის, ახლაც „ბრანსის“ კაფეში წავედით ყავის დასალევად. იქ ვუამბე ჩემს მეგობარს, თუ რა კვლევა-ძიება ჩავატარე, და თავმომწონედ ვაჩვენე ჩემი დაბადების მოწმობა.

— ბევრი ვიფიქრე და ვერ დაგიმალავ, რომ, ჩემი აზრით, შენთვის ცოლის თხოვა დიდი სისულელეა, — ეგრევე მახეთქა ხავიერმა. — მარტო იმიტომ კი არა, ჯერ წვინტლიანი ლაწირაკი ხარ, აქ მთავარი ფულია. შიმშილით რომ არ გაგძვრეს სული, ყველანაირ მურდალ სამუშაოზე უნდა დათანხმდე.

— მოკლედ, შენც ჩემი მშობლებივით მსჯელობ, — ვუთხარი დაციხვით, — აქაოდა, ცოლის გამო უნივერსიტეტს მივატოვებ და სახელგანთქმული იურისტი ველარ გამოვალ.

— დაქორწინების მერე საკითხავადაც ველარ მოიცლი, — ჩააკერა ხავიერმა. — მწერლობასაც სამუდამოდ უნდა გამოეთხოვო.

— ენა გააჩერე, თორემ ვიჩხუბებთ, — მივახალე ასე.

— კარგი, დავჩუმდები. უბრალოდ, ჩემი სინდისის წინაშე ვალი მოვიხადე და გავაფრთხილე, რაც მოგელის, მაგრამ ისე კი, კნაჭა ნანსიმ რომ მოისურვოს, დღესვე დავიწერ ჯვარს. მოკლედ, საიდან დავიწყოთ?

— რაკი პირწმინდად გამორიცხულია, ჩემმა მშობლებმა ქორწინების ნება მომცენ ან ნოტარიუსთან დამიმოწმონ, სრულწლოვანიო, არც ხულიას ექნება ხელთ ყველა საბუთი, ერთადერთი გამოსავალია ვინმე კაი გულის ალკალდი გამოვძებნოთ.

— ანუ ვისი მოსყიდვაც შეიძლება, — შემისწორა ჩემმა დოსტმა და ერთხანს ისე მიცქერდა, თითქოს რალაც უცხო მწერი ვყოფილიყავ. — ოღონდაც შენ ვინ უნდა მოისყიდო, როცა თვითონ შიმშილით კვდები?

— ისეთი, ვინც არც მაინცდამაინც კანონის მიმდევარი იქნება, — აღარ გადავთქვი ჩემი, — ვისაც შეიძლება ათასნაირი რალაც მოუჩმახო.

— მაშასადამე, ისეთი ყალთაბანდი უნდა მოვძებნოთ, ყველა არსებული კანონის მიუხედავად შენს ქორწინებას რომ დათანხმდება. — ხავიერს ისევ

გაეცინა. — აფსუს, ხულიტა რომ ქმარგაყრილია, თორემ ჯვარს დაიწერდი. ეს უფრო ადვილია, რადგან ყალთაბანდები მღვდლებში უფრო მეტია.

ხავეერი ყოველთვის გამოგიკეთებდა კაცს გუნებას, ისე რომ ბოლოს მასხრობაც კი დავიწყეთ, როგორ გავატარებდი თაფლობის თვეს და რა ვასამარჯელოსაც მომთხოვდა ხავეერი თავისი ღვაწლისათვის (თუნდაც ვნაჭა ნანსის მოტაცებას). ვინანეთ, პიურაში¹, რატომ არ ვცხოვრობთ-თქო, სადაც შეყვარებულების გაქცევა ყოვლად ჩვეულებრივი ამბავია და არც ალკალდის საკითხი გვექნებოდა თავსამტვრევი. მერე დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ხავეერი შემპირდა, ამ სალამოსვე გავიგებ ალკალდის ამბავს და, გარდა ამისა, რაც ძვირფასი რამ გამაჩნია, ლომბარდში დავაგირავებო.

ხულია დეიდა სამზე უნდა მოსულიყო პაემანზე. შიშმა ამიტანა, როცა არც ოთხის ნახევარზე გამოჩნდა. ოთხზე უკვე ბეჭდვისას თითები მებლანდებოდა და სიგარეტს სიგარეტზე ვეჭაჩებოდი. ხუთის ნახევარზე დიდმა პაბლიტომ მკითხა, თავს როგორ გრძნობთო, — თურმე ფერის ნასახი არ მედო. ხუთზე პასკუალს დავარეკინე ძია ლუჩოსთან და ხულია დეიდა ვაკითხვინე. იგი ჯერ არ მოსულიყო. არც ექვსის ნახევარზე, არც ექვსზე და არც შვიდზე შინ არ აღმოჩნდა. ბოლო რადიოცნობების გადაცემის შემდეგ ჩემს მოხუცებთან აღარ წავედი, არმენდარისის ავენიდაზე გავყევი ავტობუსს. წინ და უკან დავძრწოდი ბიძაჩემის სახლის ირგვლივ და დაკაკუნება ვერ გამებედა. ფანჯრიდან ვხედავდი, ოღვა ძალო რომ ყვავილებს წყალს უცვლიდა, მერე ძია ლუჩო სასადილოში გავიდა და შუქი ჩააქრო. მე კი, გულგადაღეულს, ხან შიში მიტანდა, ხან ბრაზი, ხან ხულიას გასილაქება მინდოდა, ხან ნაზად ჩაკოცნა. სახლს უკვე, ვინ იცის, მერამდენჯერ შემოვუარე, როცა დიპლომატიური ნომრის მქონე დიდებული მანქანა გაჩერდა და იქიდან ხულია დეიდა გადმოვიქადა. ორი ნახტომით ხულიასთან გავჩნდი. აღშფოთებისა და ეჭვებისაგან ლამის მუხლებიც კი მომეკვეთა. გადაწყვეტილი მქონდა, ვინც უნდა იყოს ჩემი მეტოქე, სახეში ვთხლიშავ-მეთქი. მანქანიდან ქაღარა სინიორი გადმობრძანდა, ვილაც ქალი კი შიგ დაჩჩა. ხულია დეიდამ იმ კაცს გამაცნო, ეს ჩემი სიძის დისწულიაო, მე კი ამიხსნა, ეს სენიორი ბოლივიის ელჩი გახლავს პერუში, ხოლო მანქანაში მისი ცოლი ზისო. მივხვდი, რა ბრიყვულადაც მოვიქეცი, მაგრამ გულზე თითქოს ლოდი მომეშვა. მანქანა რომ წავიდა, ხულია დეიდას მკლავი გავუყარე, თითქმის ძალით გადავიყვანე ქუჩაზე და სანაპიროსკენ გავიტაცე.

— ეს რა ხასიათი გქონია, — წაილაპარაკა, როცა ზღვას მივუახლოვდით. — საწყალი დოქტორ გუმუსიო. შენს შემხედვარეს ალბათ ეგონა, მიმახრჩობსო.

— აი, შენი მიხრჩობა მართლაც მინდოდა, სამი საათიდან გიცდი, ახლა კი უკვე ლამის თერთმეტი საათია. დაგავიწყდა, რომ უნდა შემხვედროდი?

— არ დამავიწყდა, — მითხრა ხულიამ მტკიცედ, — განზრახ მოგატყუე.

ჩვენ უკვე იეზუიტთა სემინარიის პატარა ბაღს მივუახლოვდით. შიგ კაციშვილი არ ჩანდა... უკვე აღარ ცრიდა, მაგრამ ბაღებს, ოლეანდრებსა და ნემსიწვერას ბუჩქებს მაინც პრიალი გაუდიოდა. ქუჩის ფარნები ნისლის ნაფლეთთა გამჭვირვალე ჩრდილებიდან ყვითელ შუქს ისროდა.

¹ ჩრდილოეთ პერუს დეპარტამენტი, ყვეალორის საზღვართან

— მოდი, ჩხუბი სხვა დროისთვის გადავდოთ, — ვუთხარი და ხულია დეიდა მოაჯირზე ძალით დავსვი. მოაჯირს იქიდან ზღვის ღრმა და წყნარი ფშვინვა ისმოდა. — დრო ცოტა გვაქვს, საქმე კი უამრავი. დაბადებისა და გაყრის მოწმობები თუ გაქვს თან?

— თან მხოლოდ ბილეთი მაქვს ლა-პასის თვითმფრინავზე, ~~ჩემი~~ ~~ჩემი~~ ~~ჩემი~~ ჩანთას წაეტანა. — კვირას მივფრინავ. დილის ათზე. ძალიან ცხელი იქნება. პერუმ და პერუელებმა ძალიან მომაბეზრეთ თავი.

— მეცოდები, მაგრამ ჯერჯერობით იმის შეძლება არა გვაქვს, სხვა ქვეყანაში ვიცხოვროთ, — გვერდით მოვუჯექი ხულიას და ხელი მოვხვიე. — მაგრამ პირობას გაძლევ, როდესმე მაინც პარიზში წაგიყვან და იქ მანსარდაში გაცხოვრებ.

აქამდე ხულია დეიდა მშვიდად და თავდაჯერებით ლაპარაკობდა, ოდნავ დაცინვით, მიუხედავად იმისა, რომ მკვახე-მკვახეები მითხრა, მაგრამ უცებ პირზე მწარე ღიმილი აეგრიხა და, ჩემთვის არ შემოუხედავს, ისე დაუნდობლად თქვა:

— ხელს ნუ მიშლი, ვარგიტას. ბოლივიაში შენი ნათესავების გამო ვბრუნდები. ჩვენი ამბავი ყველაზე დიდი სისულელეა. მშვენივრად იცი, რომ ვერ დავქორწინდებით.

— მე კი გუებნები, დავქორწინდებით-მეთქი, — ვაკოცე ლოყაზე, ყელზე, მკერდზე მივუხეტე და მის ტუჩებს დავუწყე ძებნა. — მოვნახავთ რომელიმე დამყოლ ალკალდს, ხავიერი დავგვხმარება. ჭნაკა ნანსიმაც უკვე ბინა გამოგვიძებნა მირაფლორესში. არც ისე უიმედოდაა საქმე.

ხულია დეიდა არ გამძალიანებია არც კოცნასა და არც ალერსზე, მაგრამ ფიქრით სადღაც შორს ფრენდა და ძალზე დადინჯებული ჩანდა. ვუამბე ჩემი, ნანსისა და ხავიერის საუბარი, ისიც, რა მითხრეს მუნიციპალიტეტში, როგორ ჩავიგდე ხელთ ჩემი დაბადების მოწმობა. ვუმტკიცებდი, რომ მთელი სულითა და გულით მიყვარს და თუნდაც მთელი ქვეყნიერებასთან დამჭირდეს შებმა, მაინც ცოლად შევირთავ. ვკოცნიდით ერთმანეთს და გული ნეტარებით გვევსებოდა. მერე ხულია დეიდამ თავისუფალი ხელი ყელზე მომხვია, ჩამეხუტა და მწარედ აქვითინდა. ვანუგეშებდი და ისევ ვკოცნიდი.

— შენ ჯერ ლაწირაკი ხარ, — ჩამჩურჩულებდა იგი სლუკუნით. მე კი სულმოუთქმელად ვეფიცებოდი, რომ მიყვარს და უმისობა არ შემიძლია, რომ ბოლივიაში წასვლის ნებას არ მივცემ და, თუ მაინც წავა, თავს მოვიკლავ. ხულიამ ბოლოს ხუმრობაც სცადა: — არ გაგიგია ეს ანდაზა: ჩვილთან ჩაწოლა და ჩასველება ერთია.

— ეგ ვულგარულად ეღერს და აღარ გაიმეორო, — ვუთხარი და ტუჩებითა და თითის წვერებით შევუშრე ცრემლები. — მაშასადამე, გაქვს თუ არა თან საბუთები? ან თუ დაგიმომწებს ამ საბუთებს ის შენი მეგობარი ელჩი?

ხულია უკვე გონს მოეგო, ტირილი შეწყვიტა და ნაზად შემომაცქერდა.

— მერედა, რამდენ ხანს გასტანს ეს ამბავი, ვარგიტას? — მკითხა დაღონებით. — ერთი, ორი, სამი წელი? ორი-სამი წლის შემდეგ რომ მოგბეზრდეს და მიმატოვო, ყველაფერი ისევ თავიდან უნდა დავიწყო?

— შენ ის მითხარი, ბოლივიელ ელჩს თუ შეუძლია საბუთები დაგიმომწმოს? — ჩავციებოდი ისევ და ისევ. — ის თუ დაამომწმებს, როგორც ბოლბვი-

ის წარმომადგენელი, პერუს ხელისუფალნიც უფრო ადვილად დაამოწმებენ. სამინისტროში ვინმეს გამოცნახავ დასახმარებლად.

ხულია ერთხანს სინანულითა და სინაზით მიმზერდა. მერე გაიღიმა.

— თუ შემომფიცავ, ხუთი წელი ზედ არავის შეხედავ, მართლმე გეყვარები, მაშინ თანახმა ვარ. — ჩაილაპარაკა ბოლოს. — ხუთწელიწადი ვედნიერებისათვის მართლა გადავდგამ ამ უგუნურ ნაბიჯს.

— მაშ სადა გაქვს საბუთები? — ვეკითხებოდი ისევ, თმას ვუსწორებდი და ვკოცნიდი. — შეძლებს თუ არა ელჩი მათ დამოწმებას?

საბუთები ხულია დეიდას თან აღმოაჩნდა. ბოლივიის ელჩმაც ბოლოს და ბოლოს დაამოწმა ისინი მრავალრიცხოვანი ფერად-ფერადი ბეჭდებით და ღვლარჭნილი ხელმოწერით რაღაც ნახევარ საათში, დიპლომატიურად გადაყლაპა ხულია დეიდას მოჩმახული ზღაპარი: საბუთები სასწრაფოდ მჭირდება გაყრისას ნარგუნებ ძვირფასეულობის ბოლივიიდან გამოტანის ნებართვისათვისო. პერუს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ ამ საბუთების კანონიერად ცნობა უკვე ადვილად მოგვარდა ჩემი უნივერსიტეტელი მასწავლებლის შემწეობით, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროში კონსულტანტად მუშაობდა. მისთვის მოჩმახულ ამბავს რადიოდანაც არ დამიწუნებდა: ერთი მოხუცი ქალი კიბოთი კვდება და, უფალს წმინდა სინდისით რომ წარუდგეს საჩქაროდ უნდა იმ კაცზე დაქორწინდეს, ვინც მრავალი წელი მისი უკანონო ქმარი იყო-მეთქი.

ოთახში, სადაც ძველებური, კოლონიალური ხანის ავეჯი იდგა და ტორე ტაგლეს¹ სასახლის ყმაწვილკაცები ირეოდნენ, ვიჯექი და ველოდი, როდის დაარტყამდა საჭირო რაოდენობის ბეჭდებსა და ხელს მოაწერინებდა, ვისაც ჯერ არს, ჩემი მასწავლებლის ტელეფონის ზარით შეფუცხუნებული მოხელე-სწორედ იქ გავიგე ახალი კატასტროფის ამბავი. თურმე კალიაოს ნავსადგურში მდგარი მგზავრებითა და გამცილებლებით სავსე იტალიური გემი, ფიზიკის ყველა კანონის პირუკუ, უეცრად ერთ ადგილზე დაბზრიალდა. მარცხენა მხარეს გადაფერდდა და წყნარი ოკეანის ტალღებში სწრაფად ჩაიძირა: არავინ გადარჩენილა, ვინ შიშმა იმსხვერპლა, ვინ დაშავდა, ვინ წყალში გადახტა და დაიხრჩო, ვინ ზვიგენების ლუკმა გახდა. ამაზე ლაპარაკობდა ჩემ გვერდით ორი ქალი, რომლებიც რაღაც საბუთების გაფორმებას ელოდნენ ჩემსავით.

— პედრო კამაჩოს ერთ-ერთ დადგმაში ხომ არ მოხდა ეს ამბავი? — ჩავერიე მე.

— დიახ, ოთხ საათზე რომ გადმოსცეს, იქ, — მაუწყა ასაკით უფრო ხნიერმა, ძალზე გამხდარმა და ცოცხალმა ქალმა, შესამჩნევი სლავური კილო რომ ჰქონდა. — გადაცემა კარდიოლოგ ალბერტო დე კინტეროსზე გახლდათ.

— სწორედ იმაზე, წინა თვეში რომ გინეკოლოგი იყო, — დასძინა ღიმილით საბეჭდ მანქანასთან მიმჯდარმა გოგომ და შუბლთან თითი დაიტრიალა იმის ნიშნად, აფრენს ვილაცააო.

— არ მოგისმენიათ გუშინდელი გადაცემა? — ალერსიანი საყვედურით მკითხა ამ უცხოელი ქალის თანმხლებმა სათვალისანმა მანდილოსანმა, რომელსაც კილოზე აშკარად ეტყობოდა, ღიმილი არ უნდა ყოფილიყო. — ექიმი კინტეროსი სწორედ ჩილიში მიემგზავრებოდა დასასვენებლად ცოლითა და თავის ასულ ხარიტათი. სამივენი დაიღუპნენ!

¹ პერუს საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობა ლიმაში.

— დიახ, ყველანი დაიბრჩენენ, არავინ გადარჩენილა, — დაიზუსტა უცხოელმა ქალმა. — მათ შორის ექიმის ძმისშვილები რიჩარდი და ელიანიტა, კიდევ ელიანიტას ქმარი — სულელი წითურა ანტუნესი და მისი არა ღვილი შვილი, ელიანიტას ვაჟი — რუბენსიტო. ყველანი ექიმს აცილებდნენ.

— მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, მათთან ერთად ლეიტენანტი — საიმი კონჩაც რომ დაიბრჩო, რომელიც სულ სხვა პიესიდან გახლავთ. თანაც ამ სამი დღის წინ კალიაოში ხანძრის დროს დაიღუპა. — ისევ ჩაერია მემანქანე გოგო და ისე ახითხითდა, ბეჭდვა ველარ განაგრძო. — ეს რადიოდამტყვები ნამდვილი დომხალი გახდა, განა ასე არაა?

გოგოს მოწყალედ გაუღიმა ერთმა კონტაპრუწა ინტელექტუალური იერის ყმაწვილმა (მას ჩვენი სახელმწიფოს საზღვრები ეხებოდა) და ისეთი მზერა გვესროლა, პედრო კამაჩო რომ „არგენტინულად“ მონათლავდა და არც შეცდებოდა.

— ხომ გითხარი, ერთი რომანის გმირების სხვა რომანში გამოყვანა ჯერ კიდევ ბალზაკის მოგონილია-მეთქი, — უთხრა გაბლენძვით მან და მაშინვე გასცა თავი: — ბალზაკმა რომ ზოგიერთების პლაგიატობის ამბავი შეიტყოს, ციხეში ჩააყუდებს ამ ზოგიერთთ.

— ეგ არაფერი, გმირები რომ პიესიდან პიესაში გადაჰყავს, საქმე ისაა, რომ კლავს და მერე ისევ აცოცხლებს, — შეესიტყვა გოგო. — ლეიტენანტი კონჩა ცეცხლში დაიღუპა, იხვის ჭუჭულ დონალდზე კომიქსების კითხვისას. ნეტა როდის მოასწრო გაცოცხლება, რომ ახლა დამხრჩვალყო?

— ბედი არ ჰქონია მაგ ლეიტენანტს, — თავისი აზრი გამოთქვა ყმაწვილმა. ვინც საბუთები მომიტანა.

მივატოვე ის ორი მანდილოსანი, მემანქანე გოგო და ყმაწვილი დიპლომატები ბოლივიელ მოკალმეზე გაცხარებულ საუბარში და ბედნიერებით აღსავსე წამოვედი იქიდან, ლამის სათითაოდ დამეკოცნა გულში ჩახუტებული ეს საბუთები. ხულია დეიდა უკვე კაფეში მელოდა. ბევრი იცინა, როცა ეს ამბავი მოვუყევი: თავისი თანამემამულის უკანასკნელი გადაცემები თურმე არ მოუსმენია.

საბუთების საქმე იოლად კი მოგვარდა, მაგრამ დანარჩენისა რა მოგახსენოთ. მთელი კვირა დამღლედი და გაუთავებელი ძიება თუ სირბილი — ხან მარტო, ხან ხავერთან ერთად — წყლის ნაყვა გამოდგა. რადიოში მხოლოდ „პანამერიკანის“ საქმეებზე თუ მივდიოდი. ცნობების შედგენა პასკუალს გადავულოცე. ახლა თავისუფლად შეეძლო რადიომსმენელებისთვის შიშის ზარი დაეცა ნიადაგ უბედური შემთხვევების, მკვლელობის, ძალადობისა თუ მოტაცების ამბებით — ზუსტად ისე, როგორც ამას მეზობელ სენაკში ჩემი მეგობარი პედრო კამაჩო იქმოდა, თავის გმირებს რომ ბუზებივით ხოცავდა.

ჯერ ლიმის ყველაზე ლატაკი და შორეული რაიონების, ანუ რიმაკის პორვენირის, ვიტარეტეს, ჩორილიოსის მუნიციპალიტეტებს შემოვფურბენდი დილითვე, ბარე ორმოცდამეთერთმეტეჯერ ვუყვებოდი ჩემს ამბავს (პირველად სირცხვილით გაწითლებული, მერე და მერე კი უტიფრად) ალკალდებსა და ვიცეალკალდებს, სინდიკებს, მდივნებსა და მეკარეებს... ასე განსაჯეთ, პორსტიეესაც კი მუდამ მტკიცე უარს ვიღებდი ერთი და იგივე მიზეზით: ვინემ ნოტარიუსით დამოწმებული მშობლების ნებართვა არ მექნება, ან მოსამართლე იურიდიული წესით ჩემს დამოუკიდებლობას არ სცნობს, ქორწინებაზე

ფიქრის უფლებაც არ მაქვს. მერე შუა ქალაქის მუნიციპალიტეტებში ვცადე ბედი, მირაფლორესისა და სან-ისიდროს გარდა, სადაც შეიძლება ჩვენი ოჯახის ნაცნობებს გადავყროდი. მაგრამ შედეგი იგივე გამოდგა. ჩემს საბუთებს რომ გადახედავდნენ. მოხელენი ქილიკობას იწყებდნენ: „შენ რა, დედოკოს ირთავ ცოლად?“ ან „რას სულელობ, ბიჭო, ცოლად რად გინდა, გვსადაცოტრიალე და მორჩა!“ ეს კი ჩემთვის იგივე იყო, რაც მამაკაცისთვის ყველაზე მტკივნა ადგილას წიხლის ჩაცემა. იმედის ნაპერწკალი მხოლოდ ერთხელ გაგვიკრთა — სურკოს რაიონის მუნიციპალიტეტის წარბშეკრულმა ჩასქელებულმა მდივანმა გვაუწყა, ამ საქმეს ათი ათასი სოლი დასჭირდება, ვინაიდან „პირის მოსაკეტი“ ბევრი გვეყოლებაო. მაგრამ ყველა ცდის მიუხედავად მხოლოდ ხუთი ათასი შევაგროვე. როცა ეს ფული მივუტანე, ჩასქელებული მოხელე, ეტყობა, დაფრთხა და მე და ხავეირი კინწისკვრით გამოგვყარა ალკალდიიდან.

ხულია დეიდას დღეში ორჯერ ველაპარაკებოდი ტელეფონით და სულ ვატყუებდი: ყველაფერი კარგად ეწყობა, ჩემოდანი მზად გქონდეს, ყოველ წუთს შეიძლება საქმე გაიჩარხოს-მეთქი. მაგრამ თავად კი დღითი დღე მეწურებოდა იმედი. პარასკევ სალამოს ჩემს ბებრებთან რომ დავბრუნდი, დედ-მამის დეპეშა დამხვდა: „ორშაბათს ჩამოვალთ „პანაგრის“ კომპანიის თვითმფრინავით, რეისი 516“.

იმ სალამოს — მტანჯველმა ფიქრებმა არა და არ დამაძინა, ლოგინში შამფურით ვტრიალებდი — ღამის ნათურის შუქზე მოთხრობების თემათა რვეულში მუხლებად ჩამოვწერე, რა უნდა გამეკეთებინა, რა თქმა უნდა, მნიშვნელობის მიხედვით. პირველი: ხულია დეიდას შევირთავ და ჩემიანები ვერაფერსაც ვერ გახდებიან, როცა უკვე ჩემი ცოლი იქნება. მაგრამ რაკი დრო აღარ რჩებოდა, ღამის მუნიციპალიტეტების მოხელეთა მოტეხვა კი უფრო და უფრო ტირდა, პირველ მუხლს უიმედო პირი უჩანდა. მეორე: ხულია დეიდასთან ერთად გავიქცევი საზღვარგარეთ. მაგრამ ბოლივიაში არა — იქ ის უჩემოდ ცხოვრობდა, იქ უამრავი ნაცნობი ჰყავდა, მისი ყოფილი ქმარიც იქ იყო, ისე რომ, ბოლივიაში ცხოვრებაზე ფიქრიც მზარავდა. ყველაზე უფრო შესაფერის ქვეყნად ჩილე მიმაჩნდა. ხულია დეიდას შეუძლია ნათესავეების თვალის ასაბმელად ლა-პასში გაფრინდეს. მე კი ავტობუსს ტაკნამდე გავყვები. მერე საზღვარს როგორმე მალულად გადავჭრიდი არიკიდან¹ სანტიაგომდე მივალწევდი, სადაც ხულია დეიდა ჩამოვა ჩემთან ან უკვე იქ დამხვდება. მგზავრობა და უპასპორტო ცხოვრება (ამ საბუთის მიღებაზეც მშობლების ნებართვა იყო საჭირო) სულ არ მიმაჩნდა შეუძლებელ ამბად და კიდევაც მიტაცებდა თავისი რომანტიკულობით. უეჭველია, ჩემიანები ძებნას დამიწყებენ, უთუოდ მომაგნებენ და სამშობლოში დამაბრუნებენ, მაგრამ მე ისევ გავიქცევი, და მანამდე ვირბენ, ვინემ ოცდაერთი წელი არ შემისრულდება და თავისუფალი არ გავხდები. მესამე გამოსავალი — თავის მოკვლა იყო: დავტოვებ ღამაზად დაწერილ წერილს, რომელიც ჩემიანებს სინდისის ქენჯნით დატანჯავს, და სიცოცხლეს გამოვეთხოვები.

მეორე დღეს სირბილით წავედი ხავეირთან პანსიონში. ყოველი დილა, ვინემ დაიბანდა და გაიპარსებოდა, წინა დღის მომხდარ ამბებს ვსჯიდით და

¹ ქალაქი სამხრეთ პერუში, ჩილის საზღვრის მახლობლად. არიკა — ჩილის ქალაქი პერუს საზღვართან.

დღევანდელ გეგმებს ვაწყობდით. ახლაც, ვინემ იგი სახეზე საპნის ქაფს წა-
ისვამდა, პატარა სკამზე დავჯექი და ჩემი რვეულის ჩანაწერები წავუკითხე
ჩემივე კომენტარებით. ხავიერი თან პირსახოცით იმშრალებდა სახეს და თან
მეგობრულად მიჩვევდა. თავის მოკვლის მუხლი პირველ ადგილზე გადაიტანეო.

— თავს თუ მოიკლავ, ყველა შენი აქამდე დაწერილი აბრაშაძეა და ფი-
ლისტერთა დიდ ყურადღებას გამოიწვევს, უთუოდ მოინდომებენ ჩემს წყაბათ-
ხვას, ისე რომ, შეიძლება ცალკე წიგნადაც გამოაქვეყნონ. — მარწმუნებდა
იგი და პირსახოცით დაუზოგავად იხელდა თავპირს. — სიკვდილის მერე მა-
ინც გალიარებენ მწერლად.

— შენი წყალობით პირველ რადიოცნობებს დავაგვიანებ, — ავაჩქარე
ხავიერი. — მორჩი კანტიფლასობას², შენი იუმორი ყელში ამომივიდა.

— თუ თავს მოიკლავ, — განაგრძობდა იგი ჩაცმისას, — უნივერსიტეტში
ამდენ ლექციებს, აღარ გავაცდენ და არც სამსახურიდან გამოქცევა მომიხ-
დება. ყველაფერს აჯობებს, თუ ამ დილასვე, ახლავე მოიკლავ თავს. ბარემ
ლომბარდშიც აღარ დავაგირავებ ჩემს ავლა-დიდებას, სულ ერთია, ფულს მა-
ინც არ დამიბრუნებ და დამეკარგება. ასე არაა?

ავტობუსისკენ რომ მივრბოდით, ხავიერმა, აქაოდა, დახვეწილი იუმორის
პატრონი ვარო, ესეც დაამატა:

— დაბოლოს, თუ თავს მოიკლავ და სახელს მოიხვეჭ, შენს საუკეთესო
მეგობარს, მესაიდუმლეს და ტრაგედიის მოწმეს ინტერვიუს ჩამომართმევენ,
ჩემს სურათს კი გაზეთებში გამოჭიმავენ. როგორ გგონია, გაუძლებს კია შენი
ბიძაშვილი ნანსი ამ ცთუნებას?

ეგრეთწოდებულ (და საშინლად წოდებულ) სესხის სალაროში, პლას დე
არმასზე დავაგირავეთ ჩემი საბეჭდი მანქანა და ხავიერის რადიომიმღები,
ჩემი საათი და მისი ავტოკალმები. ბოლოს, ბევრი ჩიჩინის შედეგად, ვაიძულე
თავისი საათიც დაეგირავებინა. მიუხედავად ყველა ჩვენი ცდისა — არადა,
მგლებივით კი დავძრწოდით -- მხოლოდ ორი ათასი სოლი ვიშოვეთ. წინა
დღეს — ჩემი ბებრების უჩუმრად — ლა-პასის ქუჩის მეძველმანეს კოსტიუმები,
წაღები, პერანგები, პალსტუხები, ქურთუკები მივყიდე და თითქმის იმის ამარა
დავრჩი, რაც მეცვა. მაგრამ ჩემი შესამოსელის გაყიდვამ მხოლოდ ოთხასი
სოლი შემმატა. სამაგიეროდ, „რადიო პანამერიკანის“ პროგრესიულ მოღვაწეს-
თან გამიმართლა ბედმა. ნახევარი საათი დრამატიული ახსნა-განმარტების შემ-
დეგ დაარწმუნე იგი ოთხი თვის ჯამაგირი მოეცა და ეს თანხა მთელი ერთი
წელი ექვითა. ჩვენი საუბარი უჩვეულოდ დამთავრდა. ჩემმა ფიცმა და რწმუ-
ნებამ, საწყალ ბებიაჩემს სიმსივნე აღმოაჩნდა, სასწრაფოდ, ოპერაცია უნდა გა-
უკეთონ და ფული იმიტომ მჭირდება-მეთქი, სულაც არ აუჩვილა გული ჩემს
პატრონს. „კარგი, კარგი, — მითხრა მერე უცბად და მეგობრული ღიმილით
დააყოლა: — აბა გამოტყდი, რომელიღაც შენს გოგოს მუცელი აქვს, ხომ, მოსაშ-
ლელი?“ მეც მორცხვად დავხარე თავი და ვთხოვე, არ გამოქვა-მეთქი.

გუნება გამიფუჭდა, დავიარავებულ ნივთებში ასე ცოტა ფული რომ მომ-
ცეს. ხავიერმა ეს შეამჩნია და რადიოსადგურამდე მიმაცილა. შევეთანხმდით,
რომ სამსახურიდან დავეთხოვებოდით და ნაშუდღევს უაჩოში გავემგზავრებო-
დით. იქნებ პროვინციის მუნიციპალიტეტების მოხელეთ უფრო მგრძნობიერი

² მარიო კანტიფლასი — ცნობილი მექსიკელი კომიკოსი.

გული ჰქონდათ. ის იყო სხვენზე ავედი, რომ ტელეფონმაც დარეკა. ხულია დეიდა გააღმასებული იყო. გუშინ თურმე ძია ლუჩოსთან ჰორტენსია ძალო და ძია ალენანდრო მოსულან სტუმრად და მის მისალმებაზე არ უპასუხნიათ.

— ოლიმპიური ზიზლით შემხედეს და ლამის შე... დამიძახეს, — მიყვებოდა აღშფოთებული. — ტუჩები დავიკვიტე, შენ რომ იქნა, ჩვენამდე გამეგზავნა. ჩემი დისა და ჩვენ გამო შევიკავე კიდევ თავი, უფრო არ გავართულო-მეთქი საქმე. რა ამბებია, ვარგიტას?

— ორშაბათს, დილაადრიან შენ უნდა თქვა, რომ ლა-პასში გაფრენა ერთი დღით გადადე. თითქმის ყველაფერი მოვაგვარე, — დავარწმუნე ხულია დეიდა.

— გული არ დაგწყდეს, თუ ალკალდი ვერ გამოინახე, — მითხრა მან. — ისე ვარ გაბრაზებული, ახლა ველარაფერი შემაჩერებს. ისე რომ, თუ ვერ მოძებნე, მაინც გავიპარებით.

— იქნებ ჩინჩაში მოგეწერათ ხელი, დონ მარიო? — მომესმა უცებ პასკუალის ხმა, როცა ყურმილი დავკიდე. მაგრამ ჩემს დაბნეულ იერზე თვითონაც დაიბნა. — ჭორიკანად და არამკითხედ ნუ ჩამთვლით, მაგრამ თქვენს საუბარს რომ ვუსმენ, ყველაფერს მივხვდი და მინდა დაგეხმაროთ. ჩინჩას ალკალდი ჩემი ბიძაშვილია და ხელად დაგაქორწინებთ, იმას არ მიხედავს, საბუთები გაქვთ ან სრულწლოვანი ხართ თუ არა!

იმავე დღეს ყველაფერი მოგვარდა. სალამოს ავტობუსს ზავიერი და პასკუალი გაჰყვნენ ჩინჩაში, საბუთები თან წაიღეს და დაიფიცეს, ორშაბათისათვის ყველაფერს მოვამზადებთო. მე და ჩემი ბიძაშვილი ნანსი კი მირაფლორესში წავედიო ბინის დასაქირავებლად. მერე სამი დღის შვებულების სათხოვნელად ხენარო მამას მივადექი (დიდის კამათის შემდეგ ვინემ არ დავემუქრე, თუ არ მოგიციათ, სულაც სამსახურიდან წავალ-მეთქი, არამც და არამც არ თანხმდებოდნა.) ახლა უკვე იმაზე მიდგა საქმე, ლიმიდან როგორ გავმშპარიყავით.

ზავიერი შაბათ სალამოს ჩამობრუნდა და კარგი ამბები ჩამოიტანა. ალკალდი ახალგაზრდა და საამური ყმაწვილი ყოფილა. ზავიერმა და პასკუალმა ყველაფერი რომ უამბეს, ბევრი იცინა თურმე, მოულოცა კიდევ ჩემი მომავალი ცოლის მოტაცების ზრახვა და უთქვამს: „რა რომანტიკული ამბავია!“ მერე ყველა საბუთი თავისთან დაიტოვა და ორივე დაარწმუნა, რაკი ჩემი მეგობრები ხართ, შესაძლოა გაზეთში გამოცხადება აღარც დაგჭირდეთო.

კვირა დღეს ხულია დეიდა გავაფრთხილე, ალკალდი მოვძებნეთ, ხვალ დილის რვა საათზე გავქრებით ლიმიდან, შუადღისას კი უკვე ცოლ-ქმარი ვიქნებით-მეთქი.

¹ ქალაქი იკის დეპარტამენტში ლიმას სამხრეთით.



თარგმნა თალო ბაქიშვილმა

შავი კაცი

მეგობარო, მეგობარო ჩემო,
მე ძალიან, ძალიან ვარ ავად,
ვერ გავიგე, ეს ტკივილი
რა ჯანდაბამ შემყარა.
მისდევს ჯანლი მინდვრებს
ტკივილების ლავად,
თითქოს ტვინზეც ბახუსის
ნისლი გადამეფარა.

ყურებს ისე მიიქნევს
თავი, ვით ფრთებს ფრინველი,
ფეხებს თითქოს არ ძალუძთ
უკვე ტანის ტარება.
შავი კაცი,
შავი კაცი,
შავი და საშინელი
თავით მიზის საწოლთან,
ძილი არ შეკარება.

შავი კაცი
მიკითხავს სიტყვებს შავი წიგნიდან,
როგორც მღვდელი ცხედართან —
პუტუნებს სულთათანას,
პყვება ვილაც გარეწრის,
ლოთის და ვიგინდარის
ამბავს, ცდილობს, რომ შიშის
ჩამისახლოს სატანა...
შავი კაცი,
შავი კაცი,
მიკითხავს სულთათანას!

„ყური მიგლე, ყური მიგლე“,
თითქოს ყრუ ვარ,
ჩამბუტბუტებს ყურში —
„შენ ამ წიგნში
წარმტაც აზრებს ნახავ,
ნახავ, ამ კაცს მძარცველი თუ გლახა
გარს ეხვევა,
მუდამ ნერვებს უშლის.“

მის მხარეში ჯადოსნურად
დეკემბერში ქათქათაა თოვლი
და ნამქერი ლამით მართავს
ველზე ველურ ნადიმს...
არ მინახავს,
თუმცა ქვეყანა მოვვლე,
იმ კაცივით ნალდი ყალთაბანდი.

თუმცა იგი მგოსნად იწოდება,
აქვს საკმაოდ მომზიბვლელი ნიჭი...
თავბრუს ახვევს,
ვით უმწიკვლო გოგო,
ვილაც ქალი,
მგონი, ორმოცი წლის“.
თან მარიგებს შავი კაცი: „ბოთევ,
ბედი თუ გსურს
უნდა შეძლო
მოხმარება ჭკუის,
რა ვუყოთ, რომ
მწარე ქენჯნა მოსდევს
სიყალბეს და

იძულებით ტყუილს.
როს წაგლეკავს
ამ ცხოვრების ზვავი,
როცა გიჭირს,
როს ივსები გესლით —
ბედნიერად
მოჩვენება თავის
არის ნიჭი ქვეყნად უმაღლესი“.

შავო კაცი,
კმარა, მორჩი,
თავს რად მახვევ
შენს ჭუჭყიან აზრებს,
რას დავეძებ
ვიღაც შეშლილ პოეტს,
გინდ იჩხუბოს,
გინდაც სული გასძვრეს.

შავი კაცი ისევ ისე
დაჟინებით მზვერავს,
თვალში თითქოს საშინელი
ფერი ადევს შლამის...
თითქოს მე ვარ გარეწარი,
ქურდი, გაიძვერა,
მიმზერს ისე დაჟინებით,
დამარწმუნოს ლამის!

ნეგობარო, მეგობარო ჩემო,
მე ძალიან, ძალიან ვარ ავად,
ვერ გავიგე, ეს ტკივილი
რა ჯანდაბამ შემყარა...
მინდვრებს ჯანლი მისდევს
ტკივილების ლავად,
თითქოს ტვინზეც ბახუსის
ნისლი გადამეფარა.

ულვთოდ ყინავს,
ირგვლივ ამ ყიამეთში
მდუმარება ჩამომდგარა ბნელი.
ვზივარ მარტო,
ვუმზერ ფანჯრის მინას,
არცა სტუმარს, არც მეგობარს ველი.
თითქოს კირი მოაფრქვიეს არეს,
ზამთრის ველი ჰგავს ქათქათა სურათს. ჰყავდა ერთი ბავშვი.

თითქოს ბალში თავი შეაფარეს —
მხედრებივით ხენი შემოსულან.

ზარნაშოა, რომ ქვითინებს ბნელში,
ხის მხედრები შიშნულად დგანან.
შავი კაცი
ჩაჯდა სავარძელში,
ცილინდრს იხდის,
და მიღიმის თანაც.

„ყური მიგდე,
ყური მიგდე, — ამბობს,
თუ ვტყუოდე,
მაშ პასუხი გამეც,
ნუთუ არ გსურს მოსვენება, ძილი,
არა მჯერა, თვითონ არამზადაც
სადმე ასე ათენებდეს ღამეს
უძილობით ნერვებდაწეწილი.“

ვთქვათ და ახლა უმიზეზოდ ფხიზლობ,
ვთქვათ და ახლა მთვარეა და მიტომ...
განუწყვეტელ უძილობის მიზეზს
ვერა ვხედები, სხვა რა უნდა იყოს?
იქნებ ახლა გულის მურაზს ელი,
რომ საუბრით მოიფხანო ენა.
მოვა ნეტავ ვინმე გავასქელი
შენს მოსაწყენ ლექსთა მოსასმენად?

პოეტები მეც საკმაოდ მიყვარს,
უდარდელი, წრფელი ხალხი გახლავთ,
მათ საუბარს, მათ მოსწრებულ სიტყვას
მეც ვაყოლებ ზოგჯერ გულის ბაღლამს.
ხოლო ზოგჯერ ლამის ჰკუთას ვკარგავ,
მათ მონაყოლს ისე ვუსმენ, როგორც
ინტერესით უსმენს სექსზე ლაქლაქს
უმწიფარი, გიმნაზისტის გოგო.

ალარ ვიცი,
კარგად ალარ მახსოვს,
ერთ სოფელში,
მგონი, რიაზანში,
ანდა იქნებ სულაც კალუგაში
გლების ოჯახს
ცისფერთვალა, ქერა, კობტა ბავშვი.

მერე ბავშვი გაიზარდა დიდი,
 გაიზარდა და პოეტი გახდა.
 საშუალო, მაგრამ წრფელი ნიჭის...
 და იმ პოეტს,
 როგორც ვიცი ახლა,
 თავბრუს ახვევს,
 ვით უმწიკვლო გოგო,
 ვილაც ქალი,
 მგონი ორმოცი წლის...“

შავო კაცო!
 მომწყდი, სხვაგან გასწი
 ვინ მოითმენს ამ საზიზღარ სტუმარს...
 გასკდა გული,

სიტყვას აღარ ვაცლი
 და სიტყვაში
 ჯობს ვუმარჯვებ უმალ...

ერყინული

ჩაღის მტკვარქმუნება
 გარიჟრაჟი მძლავრობს,
 დღის სინათლე
 მოდის ფანჯრისაკენ...
 ეჰა, ღამევე,
 ეს რა დღეში გყავდი,
 ვდგავარ მარტო,
 არსადა ჩანს ლანდი
 და შევეყურებ
 ჩამოლეწილ სარკეს...

1925

14 ნოემბერი





თარგმნა ნოდარ ხუნდაძემ

ახლა კი ფრთხილად... სუფთა ქალღმერთი მზადა მაქვს და რეპეტიტორიც არა მყავს, ახლა... ოღონდ ფრთხილად... ტყაპ!

რა ხდება? არაფერიც არ ხდება.. სწორედ ისეა, როგორც ველოდი... ერთი წამი, მეორე წამი, მესამე... მეხუთე... მეათე... ჩავიწეროთ: მეათე წამზე ერთი მოყავისფრო (ესე იგი, ბუნებრივ ნაცრისფერზე) — ოქროსფერი ბუშტუკი გაჩნდა, ქინძისთავის თავის ოდენა. მეთხუთმეტე წამი, მეოცე, ოცდამეათე. მეორე ოქროსფერი ბუშტუკია. ჩავიწეროთ: ოცდამეათე წამზე მეორე ოქროსფერი ბუშტუკი... მეტი არაფერი. კეთილგინებოთ და სიტყვის დასაწყისში *h*-ის ნაცვლად *spiritus asper* დაეწეროთ... დიახ, მაგრამ ეს მისი ნაპოვნი არ არის... თუმცა მგონია, ამგვარი მოდური სისულელეებით იგი უფროა გატაცებული, ვინემ მისთანა ხალხი; მაშ ასე, ორი ოქროსფერი ბუშტუკი და მეტი არაფერი... დიდებულია... რაც ანაკრეონტიდან მეორედ უთარგმნია, სულ შეცვლილია... ასე გეგონება, ქალი მთლად შერყეულაო... უნდა ვალიარო, რომ კარა ხანდახან ზუსტად ჩემსავით აზროვნებს. დიახ, ცხადია, თუკი თარგმანი ზუსტია (ჯერაც ვერ მიპოვია დრო შესადარებლად), მაშინ ამ სისულელეში თვითონ ბებერ ანაკრეონტს მიუძღვის ბრალი... მაგრამ ესტონური ენის ლექსიკისათვის ამ ძუძუმწოვარამ უნდა აგოს პასუხი. მისი ენა კი ვერა კრიტიკას ვერ უძლებს! ის, ვინც ყველაზე ტურფაა. ტურფა კი ნიშნავს ხრიკებს, ვერაგობას, მაცდურობას, სიცრუეს! ტურფა, როგორც ზედსართავი, რას ნიშნავს, მისი აზრით? დიახ, გასაგებია, უნდა ითქვას, უფრო ლამაზიაო, მაგრამ ენა არ იცის და ამბობს, უტურფესიო, რისთვისაც ყოველი ესტონელი დასცინებს... ექვს საათზე, აქ რომ მოვა და საუბარს გავუმართავ, ზონტაგის ამბავსაც გამოვკითხავ, რამეთუ ვფიქრობ, ეს ბიჭი (თუმცა საოცარი კია) სუპერინტენდანტთან ახლოს უნდა იყოს. და ანაკრეონტზეც სიმართლეს ვეტყვი. როზენპლენტერი ვერ გაბედავს ჩემი აზრი გადასცეს, საამისოდ ძალზე დელიკატური კაცია. ახალგაზრდა კაცმა კი უნდა იცოდეს, რა ფასი აქვს მის ცდებს, სიმართლის გაგებით არაფერი დაუშავდება. მხოლოდ სარგებლობას მოუტანს. თუ თვითონ რამედ ღირს. ხოლო მისი „მითოლოგიის“ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს სწორედ ასეა. და რომ ასეა, არასოდეს დამიბავალს. თუკი გულმოდგინედ იშრო-

მებს, მისგან კარგი ლინგვისტი დადგება. ეტყობა, ლექსებსაც წერს. არ მახსოვს, ვინ მითხრა ეს. თუმცა, ცხადია, პოეტი არ არის. ეს მაშინვე ჩანს...

...ფრთხილად! ახლა კი ტყაპ!

ბიჭოს, როგორ აფეთქდა ერთი შეხვე, რანაირად აქაფდა! არიქა, სიმეხვე არ გადმოიღვაროს! ღმერთმანი, მენზურაში ნამდვილი ქარიშხალი დაიწყო! მისთვისავე წამს ათი ათასი ბუშტუკი მოიყენა! ერთი სიტყვით, გასაგებია! უნდაცოდ გასაგებია! სად არის ჩემი შენიშვნები, გვიდოტიდან რომ ამოვიწერე... ჰო, იქ არის, ბიბლიის ისტორიის მანუსკრიპტში... მოიცა-მოიცა, აი, აგერაა!

„ხშირად საკმაოდ ჰეტეროგენური, კირქვის მსგავსი მასის გული მყავაში რომ ჩავუშვათ, ძლიერ შიშინს იწვევს...“ ახლა ხომ მიხვდით, ჩემო ბატონო ოპონენტებო, ჩემო სიფხიზლისათვის თავდადებულ ვაჟბატონებო, საქმის მოციქულო ვაჟბატონებო, თქვენ, რომელთაც ჩემს მტკიცებათა წინააღმდეგ ჩხავილი გჩვევიათ?.. მაშ ასე, კი მაგრამ, კუთრი წონა? ერთი წუთით, ერთი წუთით!

მყავე ისევ ბოთლში ჩავასხათ. მენზურებს წყალი გამოვავლოთ... რა საამო მჭახე სუნი აქვს გოგირდმყავას... ახლა წყალი დავასხათ... ასე, როგორია ჩემი შარვლის ჯიბით მოტანილი ქვების კუბატურა?

შვიდი ძთელი და რვა მეათედი კუბიკური დუიმი... რვამდე დავამრგვალოთ... არა, არ დავამრგვალებთ. ზუსტად გამოვიანგრიშოთ. შვიდი და რვა მეათედი... ახლა სასწორი. ნეტავ რა ვუყავი...

ცეცხლზე უფრო მწველია,

ვინც კი უტურფესია...

რა უნდა ამ ანაკრეონტს, რა უნდა თქვას ამით ამ ბებერმა მამათმავალმა?!

მე კი ასე ვიტყვოდი:

ის, ვინც ყველაზე მშვენიერია,

მას ცეცხლისაც კი არ ეშიინია..

ან დაახლოებით ასე.. დიახ, მაგრამ მეეჭვება, კარამ ცეცხლი უწოდოს იმას, რაც ჩემში გააღვივა... ჰა-ჰა-ჰა-ჰა... მაგრამ სრული სიმართლეა და თვითონაც იცის (იქნებ არ იცის?!), არა, ცხადია, იცის, რომ იმისდა მიხედვით, თუ როგორ იშრიტება ეს ცეცხლი, იგი თანდათანობით უფრო ნამდვილი ხდება. დიახ. თავისთავად ცხადია, რომ ასეა. რაო?.. შეიძლება ჩვენს ერთად ცხოვრებაში ნამდვილი ცეცხლი არც ყოფილა? იქნებ ეს ჩემი ბუნების ბრალია, რომ ცეცხლი გვაკლდა? ყოველ შემთხვევაში ისეთი ცეცხლი, რომ კარას სულსაც დაუფლებოდა და ხორცსაც? სისულელეა! ჩვენი შეუღლებიდან რამდენიმე თვე რომ გავიდა, ჟღურტულით მომაგონა, სწორედ იმ ღამეს, იანის ეკლესიაში ჯვარი რომ დავიწერეთ, საწერ მაგიდას სამი საათის განმავლობაში უჯექი და როზენპლენტერს წერილს სწერდიო. შეიძლება ასეც იყო, რატომაც არა... ღმერთო ჩემო, იმ დროისათვის მე და კარა ათი წლის ნაცხოვრები ვიყავით ერთად. ახლა კი მალე თორმეტი წელი შესრულდება და უნდა ვალიარო, რომ, როცა დორას ვიგონებ, თუმცა შინაგანი ხმა მიკრძალავს თუნდაც საკუთარ თავს გამოვუტყდე ამაში, როგორ გითხრათ და, ასე მგონია, კარასთან უფრო ბედნიერი ვარ-მეთქი (დიახ, ალბათ უფრო ზუსტ სიტყვას ვერც შევარჩევ), უფრო ბედნიერი, ვინემ დორასთან ვიყავი. იმიტომ კი არა, რომ დორა აღრე დასუსტდა და დაიღია, თანდათანობით ჩუმი და გამჭვირვალე გახდა, არამედ იმიტომ, რომ ყველაფერთან ერთად მაინც ტარტუს რატმანის ასულად რჩებოდა..

მეჭირა მათგან, ისეთი რამ მესაჭიროებოდა, რაც იმის უფლებას მომცემდა, ჩემი თავი მათზე უკეთესად ჩამეთვალა. და ახლაც, post factum, უფლება მაქვს, ვთქვა: დიახაც სამართლიანად ვჭკრეტდი წინასწარ ჩემს უპირატესობას იმ გეგმების მოიმედვ. ჯერაც ბუნდოვნად რომ წარმომედგინა... წლების განმავლობაში ვიბრძოდი აღსაზევებლად და გავშინაურდი არა მარტო ერთ-ერთ ბიურგერთა შორის, არამედ ესტონეთის მიწისმფლობელ აზნაურთა წრეებში ყოველ შემთხვევაში თითქმის გავშინაურდი. და დორას გვერდით მთლად გავნთავისუფლდი საკუთარი არასრულფასოვნების გრძნობისაგან... მაგრამ ამ დროისათვის დორა უკვე საბოლოოდ დასნეულდა. რამდენადაც ვირუ-ნიგულაში ჩემი პროფესიონალური საქმეები წარმატებით მიმდინარეობდა. ჩემს ოჯახში იმდენად უფრო გახშირდა უბედური შემთხვევები... ისინი ნიგულას მინდვრებზე ჩამოწოლილ შავ, მძიმე ღრუბლებს ჰგავდნენ, ჩრდილო-დასავლეთის ქარი ზღვიდან დაბლა-დაბლა რომ მიერეკებოდა. ეს ღრუბლები ლამის შენობამდე აღწევდნენ, კედლებსა და სახურავზე რიალებდნენ და სასწაულად გეჩვენებოდა, ძელურ კედლებში როგორ ვერ აღწევდნენ და კრამიტის სახურავს არ ანგრევდნენ. ყველაზე მძიმე სასჯელი მამაჩემის სიგიჟის შეტევები იყო, რაც წლითიწლობით თანდათანობით უფრო გახშირდა. ეს საშინელი შეტევები რომ დაეწყებოდა, იძულებული ვიყავით საკუჭნაოს უკან მოდგმულ პატარა სენაკში ჩაგვეკეტა. ოჯახის წევრთაგან მე გახლდით ერთადერთი, ვისაც თავისთან უშვებდა. არა, ყველაზე მძიმე ეს არ ყოფილა. ყველაზე მძიმე სასჯელი სვედავსილი კარლი გახლდათ. საპყარი რომ იყო, არ სჯეროდა, არ ესმოდა საკუთარი თავის. ყველაფერი, რაც კარლის გაჩენით დაგვატყდა თავს, დორამ ისე უდრტვინველად მიიღო, ლამის ბრაზით გავგუდულიყავ. ვგრძნობდი, რომ კარლის ჰკუხანაკულობით უფალმა განზრახ დამასხა თავლაფი, და ამ უბედურებაზე უფალს უფრო დაეინებით ვესაუბრებოდი, ვინემ სხვა რამეზე, ჩემი მრევლის სული იქნებოდა ეს თუ საკუთარი თავი...

კი მაგრამ, ჩემი გირები სადღა არის? ცარიელი სასწორი რა ეშმაკად მინდა?

დავუშვათ, შენ არსებობ (ხომ არასოდეს აგიკრძალავს ჩემთვის ბებერა ლეკრეციუსის და იმ მოდური ფრანგების წაკითხვა, რათა ისევ ბავშვურად დამეჭერებინა შენი არსებობა... უნამუსობა კია ამგვარი ეჭვი, ჩემს პროფესიას რომ ეწინააღმდეგება!), დავუშვათ, შენ არსებობ და მინდა შეგეკითხო: რატომ უშვებ ასეთ რამეს? ჰო, ვიცი, რომ პირველი არა ვარ, ვინც ასეთ შეკითხვას გაძლევს. ამქვეყნად ყოველ ნაბიჯზე, ყოველ ნაბიჯზე გოდებით გეკითხებიან ამას, მაგრამ მე კი იშვიათად გეკითხები ხოლმე... და ძალზე ხმადაბლა გეკითხები, საკმაოდ ხმადაბლა, ისე რომ თითქმის ჩემთვის ვლულლულდებ. და მაშინვე ხმას ვკმენდ. და განზე მივდივარ... რათა ქადაგება დავწერო, რომის ისტორია შევისწავლო, ბერძნულ ენას დავეუფლო, ვიმეცადინო ესტონურში, მივდივარ მინდორში, რომ ჩემი ხელით შევამოწმო, მზად არის თუ არა მიწა საშემოდგომო ჰეავის დასათესად. მაგრამ მანამდე მაინც კვლავ გეკითხები: რატომ მომეჭეცი ასე? დღე თუ ღამე სულ შვილის უაზრო, დორბლიან სახეს რომ მაყურებინე, გამოსაცდელად ხომ არ გინდოდა ჩემთვის ხელი გეკრა: თუ გინდა კიდევ უფრო დამიახლოვო, რომ შეურაცხყოფილი და დამცირებული უფრო ადვილად გაგეგო ფეხქვეშ? მითხარი, რატომ დაგვსაჯე ასე? მე მესამე-მეოთე თაობამდე შევისწავლე, რაც კი ცნობილია ჩემი და დორას წინაპრებზე. ამის მსგა-

ესი ვერაფერი აღმოვაჩინე. ვიცი, რომ აქედან დასკვნის გამოტანა უაზრობაა. უფალო, ის მაინც მითხარი, რას მოელი ჩემგან? რა პასუხი გაგცემ იმ გამოცდაზე, შენ რომ მომიწყვე? რამეთუ აღარ ვიცი, რა ვქნა (ხომ არ შემიძლია გთხოვო, ისევ სასწაული მოახდინე-მეთქი...), არ ვიცი, რა ვქნა, თითქმის ყოველდღიურად მაეჩრეთლებს იმის მოგონებაზე, რომ ღირსად ვარ და უნიჭო შეილი მაჩუქე (მინდოდა კი ყველა სხვაზე მეტად შენ — დაგმსგავსებოდა), რომ ღირსად არ მცანი და ჩემს ბავშვს შენი ხატი და სახეა არ მიანიჭე... ხანდახან ვიტანჯები და ბნელში მბოდებ: იქნებ შენი წყევლა შეიცავს ისეთ რაიმეს — უფრო ღრმას, ვინემ ჩვენ—გონების ადებტებს — ძალგვიძს ცნობიერების ჩვენი ტლანქი მექანიზმით ჩავწვდეთ... უფალო, განა შენთვის ხელსაყრელია, რომ თავი ვაიძულო იგი შევიყვარო? ერთი მითხარი, ვის სჭირდება ეგეთი სიყვარული? შენ ხომ არ გჭირდება! ეს უაზრობა იქნებოდა! ვინ შევიყვარო მასში? უაზრობის ამ უსულგულო მორგეში? აქაც შენ შეგიყვარო?! უფალო, შენ ხომ ვერ გაბედავ ადამიანის გულში უაზრობად იქცე.. თუკი მისთვის ისა ხარ, ვინც უნდა იყო? მაგრამ მაინც მითხარი, რად უნდა მიგვაჩნდე? მე ვჩუმდები, ენას ვიდუმებ...

ცხრა წელიწადს ვიყავით ასე ჯვარცმულნი. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მას მე და კარა ვიყოფდით. უცნაურია, მაგრამ როცა თოთხმეტი წლის შემოდგომაზე კარლი გარდაიცვალა, რატომღაც შემებრალა... კარა კი თავს ევლებოდა, უგნურ სიბრალულთან ერთად გარკვევით ვიგრძენი, რომ მისმა სიკვდილმა მძიმე ტვირთი მომხსნა მხრებიდან. და რომ კარა, რომელიც უკვე ამდენი წელი ჩემთან ცხოვრობდა, რატომღაც კიდევ უფრო მახლობელი გახდა...

ოჰ, აი, სად ყოფილა ჩემი გირები... ეშმაკმა უწყის, ვინ ჩაყარა ტყვიის ამ ფულების კოლოფში. კი მაგრამ, ეს რაღა ფულია? ჰო, მართლა, ეს ის ფული გახლავთ, ერთმა ლაევასელმა კაცმა თავის ყანაში რომ იპოვა და მე მომიტანა, შეისწავლეო, მაგრამ დრო არ დამირჩა.. ყოველ შემთხვევაში გირები ვიპოვე. შეიდი და ოთხი მეათედი კუბური დუიმი, მაშ რამდენი უნცია იქნება? გულმოდგინედ ავწონოთ... თერთმეტი... თერთმეტი და, ვთქვათ, სამი მეათედი... რომ კუთრი წონა უფრო ადვილად გამოვიანგარიშოთ, ალბათ ამ ახალ ფრანგულ სისტემაზე უნდა გადავიდეთ. კარასთან რომ ვცხოვრობდი, ნამდვილად ბედნიერი ვიყავი, თუ შეიძლება ამის თქმა, თუ მარტო მყოფმა მამაკაცმა შეიძლება ეს სიტყვა იხმაროს. პირველ ხანებში ოდნავ მეშინოდა მისი... ჩემი მომწიფებული ასაკი და მისი სიყმაწვილე, მისი სამხრეთული მგზნებარება, რაც რამდენადმე ახასიათებდა, აბა მაშ რა... ჰა-ჰა-ჰა-ჰა... მაგრამ არაფერია, ყოველმხრივ დიდებულად შევეთვისეთ ერთმანეთს, კარამ შეძლო ჩემთვის ჩინებული მეგობრობა გაეწია — საწოლშიც, ოჯახშიც, ბავშვებთან, საზოგადოებაში, ჩემს პროფესიულ შრომაში, თვით ბიბლიოთეკაშიც კი. იგი უამრავ თხზულებას კითხულობდა, რომელთა წასაკითხადაც თვითონ დრო არ მყოფნიდა, და შინაარსს მიყვებოდა, მხოლოდ იმ საქმეების გამოკლებით, მისი მხედველობის არის გარეშე რომ რჩებოდა: როგორიც იყო აქაურ ხალხის კულტურაზე ზრუნვა, რაც მას დღემდე ჩემს ბავშვურ გატაცებად მიაჩნია. სხვა მხრივ კი, მადლობა ღმერთს, ჩვენ თავიდანვე თითქმის ერთსულოვანი ვიყავით. და რაც მთავარია (ანდა ყოველ შემთხვევაში ერთობ მნიშვნელოვანი მაინც), შინაგანად ვგრძნობდი, რომ მე და ის ერთმანეთის შესაფერისი ვიყავით. ჩვენ შორის დარჩეს და, სათუო აზნაურის ქალის ვაჟი და ასევე სათუო და, რაც მთავარია, დიდი ხნის წინ

განსვენებული მარკიზის ასული... დიახ, დიახ, ასე მშვენივრად შევეწყვეთ ერთმანეთს და რაც დრო გადის, ჩვენი ურთიერთობა მით უფრო უმჯობესდება. ცხადია, ეს იმის შედეგაც არის, ათი წელი რომ ვცოდავდით, ამ ხანში ერთმანეთისთვის უფრო ღვიძლი ადამიანები გავხდით, ვინემ ათწლიანი ჩვეულებრივი საეკლესიო შეუღლებით იქნებოდა.

ეროვნული

მაინც რამ გვაიძულა, ათ წელიწადს ასე გვეცხოვრა? ცხოვრებაში რატომ ვართ ასე გარემოების ბრალი იყო. ხომ არ შემეძლო დორას გარდაცვალებისთანავე ანდა ნახევარი წლის შემდეგ საქვეყნოდ გამომეცხადებინა, ჩემი ბავშვების ჩვილმეტე წლის აღმზრდელზე ჯვარს ვიწერ-მეთქი. ამით ისეთსავე დიდ აურზაურს გამოვიწვევდი, როგორც ამ ამბამდე სულ რამდენიმე ხნით წინ პრეიდელმა აკტემ და მისმა მოახლემ (ამას ისიც მიუმატეთ, რომ ეს მოახლე სოფლელი გოგო იყო) ...ყოველ შემთხვევაში იგი ჩამოაშორეს კიდეც საეკლესიო კათედრას და ეს ამბავი მრავალ წელს სალაპარაკოდ ჰქონდათ მთელ სამ გუბერნიაში. მე კი სულაც არ მქონია იმის არავითარი სურვილი, ასე სულელურად მოვქცეულიყავ. მახვილი, ფხიზელი გონების კარასაც ეს ამბავი კარგად ესმოდა. ხოლო ერთი თუ ორი წელიწადი რომ გავიდა, უფრო და უფრო ვრწმუნდებოდით, თუმცა კი ხვდებოდნენ, რა ურთიერთობაც სუფევდა ჩვენ შორის, არაოფიციალურად მტკიცედ სჯეროდათ კიდეც, ამ ამბავს იმდენად მაინც არ იყვნენ მიჩვეულნი, რომ საქვეყნოდ გველიარებინა. ამას გარდა ჩვენი ერთგვარი უცნაური მდგომარეობა როგორღაც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის მაინც, რამეთუ ჩვენი ერთად ცხოვრების განმავლობაში დარწმუნებული არ ვიყავი, რომ კარაც ისევე ითმენდა მას. კიდეც მეთქი, თუმცა ამის აღიარება მხოლოდ საკუთარ თავთან თუ შეიძლება: ალბათ იდუმლად ვგრძნობდი, რომ არ მოსწონდა. ამას კი მისი როგორღაც მდუმარე გამოხედვა, ძლივს შესამჩნევი მოძრაობა, დაუმთავრებელი ფრაზა მაგრძნობინებდა. რადგან მახსოვს, ასეთი რამეები შემინიშნავს და თავი შემიკავებია — არაფერი მიკითხავს... შვიდი და ერთი მეოთხედი კუბიკური ღუიმი... 7,8 გამრავლებული 16.487-ზე.. მივიღებთ 128.5886 კუბიკურ სანტიმეტრს, დიახ, უცხო თვალისთვის ორივე ჩვენგანის ცხოვრება ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა... ეს კი ათასგზის ფარისევლობა, პირფერობა, მანჭვა-გრება იყო, თვალთმაქცობა, როცა ქმარი ოჯახის წევრთა და ნაცნობთა წინაშე თავის ცოლს შინამოსამსახურედ ასაღებს, ცოლს კი თავი ისე უჭირავს, თითქოს ქმარი უბრალო სახლის პატრონი იყოს, ვინც მას ჯამაგირს უხდის.. მერმე განთიადის წინ ის წუთები, როცა ხელები სხვისთვის მოგიხვევია, ყური კი ოჯახის წევრთა ნაბიჯების ჩქამისა და სუნთქვისკენ გაქვს მიპყრობილი.. საკუთარ სახლშიაც ისევე იკატუნებ თავს, როგორც საზოგადოების წინაშე.. ღმერთო ჩემო, ზუსტად ისე, როგორც მთელ ჩვენს საქვეყნო ცხოვრებაშია. არა, არა, სახლს გარეთ კიდეც უფრო საზიხლარია. ჩემი დიდად პატივცემული ბატონების, პროფესიით ჩემს თანამოძმეთა შესახებ შინ, ჩემი ოთახის ოთხ კედელს შუა, ვაცხადებ: ხალხის კისერზე მსხდომი ჩერჩეტები, ყეყეჩები, პარაზიტები და ყველის მატლები არიან, ვისაც მიაჩნია, რომ სამყარო მათი მაწვნის ბურთია (იმ იშვიათი გამონაკლისების გარდა, როგორც არიან როზენპლენტერი ან ზონტაგო)... ჩემი დიდად პატივცემული ბატონები რექტორები და პროფესორები — შინ კი გაწვრთნილი მაიმუნები, უნამუსო ქოფაკები, რომლებიც დაყუფებითაც არ დაიყუფებენ მთავრობამ რომ უბრძანოთ, შავს თეთრი უწოდეთ ან პირიქითო,

გაწერთნილი მაიმუნები, მიუხედავად იმისა, რომ ნასწავლები არიან, მეტწილად მაინც სავსებით უმეცრები დარჩნენ... ჩემი ღრმად პატივცემული/მინისტრები და გენერალ-გუბერნატორები, ჩვენი სამშობლოს ბურჯები, რომელთაგანაც მხოლოდ ერთეულებს ვიცნობ და ვისწედაც უფლებდაც მაქვს ვიმსჯელო, რამდენადაც მათი მოღვაწეობა მეც შემეძლება (განა ეს არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ საკუთარი აზრი გამოვთქვათ?!), და ვის შესახებაც შინ ათასჯერ მითქვამს: უსაზღვროდ შორეულნი, წარმოუდგენლად ქედმაღალნი, სამარცხვინოდ გონებაშეზღუდული ეგოისტები არიან, ვინაც ჩემსა და ჩემი პრობლემების შესახებ იმაზე ნაკლები იციან და იწუხებენ თავს, ვინემ იმ ბოჭოზე, ფეხით რომ სრესენ.. არამზადები... და შემდეგ ჩვენი უსაყვარლესი უდიდებულესობა იმპერატორი, ჩვენი იმედი და თვალისჩინი, ჩვენ მამა... ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ვისზედაც ჩემს სახლშიაც კი კრინტს არა ვძრავ, მაგრამ ვის შესახებაც გულში, აღარც ვიცი, რამდენჯერ ვიმეორებ: კომედიანტია-მეთქი, განათლებული მამის-მკვლელი! ფარისეველი! ბოროტმოქმედი იდიოტის არაკჩეევის მარიონეტი! ეგ ხვადი ეგა! კრიუდნერი! პიეტისტი — ევროპაში თავისუფლების სულთამხუთაეი...

ჰოდა... მაშინ ერთბაშად ვიგრძენი, რომ საკმარისია და თავისთავად ცხადია, არც კარა წასულა წინააღმდეგი. წავედით და ვითხოვეთ, ჩვენი დანიშვნა გამოეცხადებინათ და, მართალი რომ ითქვას, არავის გაუჭირებია საქმე... ასე რომ, ეტყობა, ამის გაკეთება ადრეც შეგვეძლო... და მას შემდეგ ჩვენი ცხოვრება სულ ნათელი და მშვიდობიანი შეიქნა. ვიგრძენი, რომ მე და კარ განსაკუთრებული პატარა სამყარო ვიყავით, სადაც გარედან ვერავინ შეშეკვდა, ერთი მთლიანი სამყარო, ვისი შემდგომი არსებობაც იმდენად ცხადი იყო, რომ ამაზე ფიქრი და განსჯა დროის ფუჭი ფლანგვა იქნებოდა, და თუკი ხანგამოშვებით ვკარგავდი ამაზე დროს, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ უფალმა კარასგან ბავშვი არ მაჩუქა... დორასთან სამგზის მაგრძნობინა ვაჟის დაბადებით გამოწვეული სიხარული და ორჯერ, რამდენიმე კვირა რომ გავიდა, სიხარული გამიცამტვერდა, ხოლო ერთხელ ცხრაწლიან სასოწარკვეთაში ჩამაგდო... ახლა კი მესამე წელიწადია ველოდები (ცხადია, კარაც ელოდება), მაგრამ ამათა ჩემი მოლოდინი. ვგრძნობ, კარაც დაღალა ამ მოლოდინმა და ურიგდება იმ აზრს, რომ, განგებისგან ასეა წინასწარ გადაწყვეტილი... ზოგჯერ ყოფილა შემთხვევა, კარას გულგრილად მოვპყრობოდი, თითქოს ჩემი იმედების დამსხვრევის მიზეზი ის ყოფილიყო (სწორედაც მისი ბრალია, თუკი საერთოდ შეიძლება ამგვარ რამეში ადამიანის დადანაშაულება). თუმცა, თუ ამ მოლოდინს, იმედებსა და სასოწარკვეთას არ ჩავთვლით, ჩემი და კარას ცხოვრება ნათელი და მშვიდია. და თუკი ხანდახან (როგორც დღეს დილას) ოჯახის ყველა წევრისა და სტუმრის წინაშე ვკოცნი, შეიძლება ამას ჩემი უფროსი ქალიშვილების ჭკუის სასწავლებლად ჩავდიოდე, რადგან თავიანთი ეინიანობით კარას გამო დიდ უსიამოვნებას მაყენებენ. თუმცა ყველამ და თვით კარამაც იცის, რომ ვკოცნი არა მარტო სხვათა ჭკუის სასწავლებლად, არამედ საკუთარი სულიერი ლტოლვის გამოც. მე მახარებს მისი ლამაზი, კეთილი, ახალგაზრდული სახის ცქერა და გულწრფელად მიხდა ვაკოცო...

129.58 კუბური სანტიმეტრი... 11 და სამი მეათედი უნცია... ახლა გრამებში რომ გადავიყვანოთ? უცებ გამოვიანგარიშებთ... 340.213 გრამი. ბიჭოს, გვარიანი გამოდის... ეს ნიშნავს, რომ კუთრი წონა... ერთი წუთით: სამი... ექვსი. ორი. 2.63. ეს ხომ გრანტიია! ნამდვილი გრანტიია: რის დამტკიცებაც იყო

საჭირო. განვაგრძოთ, განვაგრძოთ, განვაგრძოთ! ჩემი ზეციური ქვის წონა...
 აი, ყველაზე შესაფერისი ნამსხერვევი... ოთხი და ერთი მეხუთედი კუბური
 დუიმი...

დიახ, კარასა და ზეციურ ქვებთან გატარებული ჩემი წუთები... კარასთან
 ლოგინში, ყავის მაგიდასთან თუ ოცნებაში — ადამის კომპლექსის
 ამბავიც ამას წინათ წავიკითხე, ადამის ჩემიულო ხილი, პალმების კუნძულებ-
 ზე გადავლით ჩემი მცირე კუნძულიდან უზარმაზარ ინდოეთში მოსახვედ-
 რად... კარას სხეულის პალმების კუნძულებით და პალმისმაგვარი მისი ხელე-
 ბითა და ფეხებით...

ის, ვინც ყველაზე ლამაზია,

ქვეყნიერებას ჰყვინს სილამაზეს.

მარჯნის რიფების გასწვრივ, საცა შეგიძლია ზეცას დაწოლილმა უცქი-
 რო... გამადიდებელი შუშით შეიძლება ეკლესიის ნაირფერადი თალები შეის-
 წავლო... ღმერთმანი, პალმის კუნძულები, მარჯნის რიფები... საშინელი ფუჭი
 შრომით, გონებრივი ტანჯვითა და კბილთა ღრჭიალით არაქათგაცლილი, რასაც
 ხანდახან სრულ სასოწარკვეთამდე მივყავარ... კარასთან, ზეციურ თუ მიწიერ
 ქვებთან ვისვენებ და ისევ ჩემს სამუშაოს ვუბრუნდები. მაშინ პირმოკუმულს
 შემიძლია საკუთარ თავს ვუთხრა: იმიტომ ვწვალობ, რომ ავიტონ მსურს წვა-
 ლედა და არა იმიტომ, რომ უნდა ვიწვალო. მე მუხლჩაუბრელად ვშრომობ,
 რამეთუ ჩემმა თავისუფალმა სულმა იცის, რა უნდა აკეთოს, როცა მიწაზე და-
 ეშვება, ისევ წამოდგება და ფრენას განაგრძობს, მიუხედავად სიძნელისა. მე
 აქ ვგმინავ ჩემს ტვირთქვეშ... მაგრამ მაინც თავისუფალი ვარ, როგორც სახუ-
 რავზე შემომსხდარი ჩიტების გუნდი, ყვევჩო ბებერო, ყველაფერს ექვის თვა-
 ლით რომ უცქერი, სწორედ ეს არის განსხვავება ადამიანის შრომასა და წის-
 ქვილში ვირის მუშაობას შორის.

ოთხი მთელი და ერთი მეხუთედი კუბური დუიმი... რაც დაახლოებით
 სამოცდაცხრა მთელსა და ოცდახუთ მეასედ კუბურ სანტიმეტრს შეადგენს...
 სასწრაფოდ ავწონოთ... ხელშივე ვგრძნობ, რომ ეს უფრო მძიმეა, ვინემ ის
 გრანიტის ქვა... შვიდი მთელი და რვა მეათედი უნცია. გრამებში გადავიყვან-
 თო: 326.84... მაშასადამე — კუთრი წონა... ორი... ოთხი, 3.42! დიახ, ჩემი გვი-
 დოტი ხომ პირდაპირ ლაპარაკობს: კუთრი წონა კალის ყველაზე დიდი ქვისა,
 შვიდას ოთხმოცდაათ გრამს რომ იწონის, მის ცალკეულ ნაწილებში მერყეობს
 3.39-დან 3.46-მდე? ასე რომ, ჩემი 3.42 თქვენთვის, ბატონო სკეპტიკოსებო,
 თავში კეტის ჩარტყმას შნინავს! მერე იცით ის ისეთი დიდებული შედეგია და
 საერთოდ იმდენად სასიამოვნო საქმეა, რომ... რომ ამის აღსანიშნავად ახლავე
 ერთ პატარა ყალიონს გავაბოლებ... და წინ და უკან გავივლ-გამოვივლი, ფან-
 ჯარაში გადავიხედავ, გავიზმორები... შეხე, რა ლამაზად ჩამწკრივებულან მერ-
 ცხლები მცირე ბელლის სახურავის კეხზე — ერთი ორი, შვიდი, ცხრა, თერ-
 თმეტი — და გაფრენის წინა მღელვარებით შეპყრობილნი ელურტულებენ...
 მე კი ადგილზე დავრჩები, აქვე, საცა ვიმყოფები... სადილობამდე სულ მცი-
 რე დრო დამრჩა, რამეთუ ექვს საათამდე, როცა ჩემთან ის პეტერსონი მო-
 ვა, კიდევ უამრავი საქმე მაქვს... დიახ, ახლა, პირველ ყოვლისა, იმ წერილს
 მოვკიდებ ხელს, ჩემი საკითხავი წიგნების სიის აკრძალვას რომ ეხება და
 მინდა სკოლების შემმოწმებელ კომისიას გავუგზავნო, მოითმინეთ, ჩემო ძვი-
 რფასო სასტიკნო და მკაცრნო მსაჯულებო, თუკი ნამდვილად განგიზრახავთ.

რომ სული ამომხადოთ (მე კი სულ უფრო ხშირად მგონია, რომ ეს არის თქვენი იდუმალი მიზანი და როცა იქნება მართლაც მიაღწევთ ამას) მკვინ, დაე, უფალმა პირადად შეგიყვაროს თქვენ! რამეთუ ვფიცავ: მამლის თქვენი დაყვილებას შორის მშვიდობა ვერ ჰპოვოთ! ერთი ღამის განმავლობაში კი აქა მთელი სიცოცხლის მანძილზე! როცას დაიწყებენ თქვენი მაგიდებზე დასაყვილები, დღენები, საწოლები, კარადები, ორდენებიცა და ბაფთებით მორთული თქვენი სურთუკები, კოპიტულაზე ჩამომხობილი თქვენი ქუდები — ჰო-ჰო-ჰო-ჰო-ჰო! — და ყოველივე ამასთან ერთად თქვენ თვითონაც დაიწყებთ ცეკვას ღამის პერანგებში, თავზარდამცემი სიზმრის შემდეგ თქვენი სახეები უფრო სულელურ გამომეტყველებას მიიღებს, ვინემ დღისით — ყოველ ღამეს წამოგყრიოთ და გაცეკვებთ, არც ერთს არ გამოგტოვებთ, ასე გეგონებათ, ქარბორბალამ დაგვაპროწიალათ (მართლაც აყროლებულთ), თითქოს ბებერი მზინგი იერიქონის ბუკს ზედ თქვენ ყურებთან დააგუგუნებს: — ტუუ-ტუტუ-ტუუ-ტუუუტ-ჰო-ჰო-ჰო-ჰო—...

6.

უცებ გავიფიქრე, პრობსტსა და მის საზოგადოებასთან არ ვისადილებ-მეთქი. არა, აქ ამისთვის არ მოვსულვარ. ეს მაშინვე გადავწყვიტე, როგორც კი ამ ქალმა მითხრა: „ნახვამდის სადილობამდეთ“ და ბიბლიოთეკიდან გავიდა. მისმა მოძრაობამ ვარდის სურნელი შემომაფრქვია. ბიბლიოთეკაში დავრჩი სანამ სასადილოში იმყოფებოდა. შემდეგ აივანზე კითხვით გართულ ეშვს გვერდი ავუარე, რომ არ შევეჩერებინე და მასლაათი არ გაება, რამეთუ შეიძლება ქალბატონს დავენახე და იმის ახსნას რომ დავუწყებდი, თუ რატომ მივდიოდი, იძულებული შევიქნებოდი ტყუილი მომეგონებინა ეს ხუთი თუ ექვსი ვერსი ისე ჩქარა გამოვიარე, არც კი შემინიშნავს, როგორ გავჩნდი პუხტალევის სამიკიტნოში. უჰ-ჰ...

ახლა კი აქა ვზივარ ნაძვის ხის სკამზე, ცუდად გადაწმენდილ გაწებილ მაგიდასთან, მძიმედ ვსუნთქავ და ლუდსა ვსვამ. ქოშინი თანდათანობით მიწყნარდება, ვცდილობ გავიგო, მაინც რა დამემართა იქ, პასტორატში? ვგრძნობ, რომ ეს უთუოდ უნდა გავარკვიო და რომ ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუკი ყოველ შემთხვევაში, ახლა მაინც და, ყოველ შემთხვევაში, საკუთარ თავს არაფერს დავუმალავ და, მეორეც, თუკი ვეცდები საკუთარ თავს ავუხსნა, სინამდვილეში როგორ მოხდა ყოველივე.

უკვე საათზე მეტია აქა ვზივარ, ზურგით ძელურ, მჭვარტლით გაშავებულ კედელს მიყრდნობილი, მაგიდაზე წინ კათხით ლუდი მიდგას, პირში ყალიონი მაქვს გაჩრილი, და რამდენადაც ის მეორე კათხაა და სადაცაა ამასაც გამოცვლი, გარე სამყარო, კვამლის მიღმა რომ ვხედავ, როცა კუჭი ქერის ნახშირითა მაქვს საფხე, გაცილებით უფრო სასიამოვნო მეჩვენება, ვინემ მანამდე მეგონა.

...დღეს დილას, ბუჩქნართან ფარდულში ღამის გათევის შემდეგ აქ რომ შემოვედი და მიკიტანმა კათხა ლუდი დამისხა, ყურადღება არ მივაქციე იმას, რომ იგი ვილაცას მაგონებდა. შარშანდელი ღრეობის დროსაც, როცა ჩვენ ლაფლანდიელი სტუდენტები — ამ სამიკიტნოში ვქეიფობდით, ეს არ შემინიშნავს. მაგრამ ახლა, როცა მთელი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც აქ აქლოში-

ნებული მოვედი პასტორატიდან და მაგიდას მივუჯექი. მომეჩვენა, რომ ამ რუხ ბაგენბარდებიან მიკიტანს უნივერსიტეტის პედელის ფრიდრიქსის სახე ჰქონდა... სწორედ იმ ფრიდრიქსისა, შარშან ბადრაგად რომ შახლდა. მთელი ქალაქი გამომატარა, უნივერსიტეტის უკანა ტიშკრამდე მიმიყვანა და სასჯელის მოსახდელად სხვენზე კარცერში ჩამსვა. ეს იმიტომ მიყო, რომ სტუდენტებთან ერთად ტარტუს ქუჩებში დავებეტებოდი და თანაც კომუნისტურად ვიწოდოდი, რასაც რექტორი სასტიკად გვიკრძალავდა. როგორც ცნობილია, ჩვენ ამას იმიტომ კი არ ჩავდიოდით, რომ ქუჩაში ხეტიალი და თამბაქოს მოწევა ყველაფერს გვერჩია, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ გამოგვეხატა ჩვენი წინააღმდეგობა იმისადმი, რაც რექტორმა აკრძალა... ყოველ შემთხვევაში, ერთი საათის წინ ამ ჩაფსკენილ მიკიტანს, ჭუჭყიან დახლთან რომ დგას, ჩემი აზრით, ფრიდრიქსის უსიამოვნო სახე ჰქონდა... მსხვილი წითელი კისერი, ჩადგმული კეფა და ისეთი გამომეტყველება, თითქოს არაფერი ესმის... და ნესტოებიდან ტუჩებამდე დაჩენილი ღარიც ნაჯახით ამოკვეთილი გეგონება... ახლა კი ვედავ: სავსებით ჩვეულებრივი, გატყლაპული სოფლური სახე და ავი კი არა, ეშმაკური ნაცრისფერი თვალები ჰქონია... ასე რომ არც შემიკვეთავს, მაგრამ მესამე კათხა — ჯახ! — და მაგიდაზე მიდგას, პატრონი კი სულ უფრო მეგობრული მეჩვენება. ან რატომაც არ უნდა იყოს მეგობრული მესამე კათხის შემდეგ! ისევე, როგორც ექვსიოდე მუდმივი სტუმრისადმი...

ამ დროს აქ — ტალახით შელანძლულ, კირით შეფეთებულ კედლებსა და შავ, ძელურ ჭერს შორის — საკმაო სიცარიელეა. ვისაც წასვლა უნდოდა, უკვე დიდი ხანია ნამჯიდან წამოდგა და თავის გზას ეწია. სხვებს ჭერ აქამდე არ მოუღწევიათ (იმ გამონაკლისთა გარდა, ვისაც დილაუთენია შეიძლება მეტად უცნაური რამ შეემთხვათ...) სხვები ასე ნათელ, უკვე არცთუ ადრიანი დილით, საეჭვოა, სამიკიტნოში აიტუზონ. ახლა აქ წვერგაბანჯგლული და ფერმკრთალი რამდენიმე მსახური ჩანს. ისინი თავჩაქინდრულნი სხედან და პურის ქერქს ლოლნიან, სანამ გუშინ სასტიკად დაღლილი ბატონი ბურმისტრი საბატონო ოთახში ისვენებს... როგორც მათი საუბრიდან ჩანს, რიგიდან მარცვლით დატვირთული ალალი ბრუნდებოდა. მაგრამ გუშინ ბატონი ბურმისტრა ტარტუსში ქეიფს გადაჰყოლოდა, შინ კი პატრონს აუცილებლად ფხიზელი უნდა ხლებოდა... ეს პირადად ჩემი დასკვნაა, რაც მათი ერთმანეთთან საუბრიდან გამოვიტანე, რამეთუ არავითარი სურვილი არა მქონია მათ გამოვლაპარაკებოდი.

სამიკიტნოს კერასთან ჩაცუცქული ვიღაც მემამულის მეეტლე თავისი ბატონის ჩექმებს ვაქსით აპრიალებს. ხოლო ბატონი, ლილისფერი ხავერდის ფოსტლები რომ აცვია, ბატონთა სამყოფლის ზღურბლზე მომდგარა: მას პატარა ბიჭვით მეჩხერი წითური ულვაში აქვს და თავის მეეტლეს დასჭყივის: „რას ფიქრობ, ისე გინდა სული ამომხდეს, დილის ყავა ვერ დავლიო? ყეყეხო!“ ბატონის სახე ჩემთვის ნაცნობია, ეს ახალგაზრდა ესტლანდიელი ბარონია, სამართლის განყოფილების სტუდენტი. ტარტუსში ბევრჯერ გამიგონია მისი ღრიალი. არ მინდა თავი შევიწუხო მისი გვარის მოსაგონებლად. არც მასა და არც მის მეეტლესთან გამოლაპარაკებას არ ვაპირებ. ან რაში მჭირდება. აქ ამის გულისთვის არ მოვსულვარ. აქ იმისთვის მოვედი, რომ პასტორატში იმ თავმომბეზრებულ უცხო ხალხთან საუბრისათვის თავი ამერიდებინა, რათა მაღალ წრის წევრობა არ მომწონდა და სადილზე არ დავტანჯულიყავ. ამის გულის-

თვისაც მოვედი. ხოლო სიმართლის მოყვარული კაცი (თუკი არ შემიძლია ასეთი ვიყო, მაშინ საერთოდ არ ვყოფილვარ სიცოცხლის ღირსი!), სიმართლის მოყვარული კაცი თავის თავს პირდაპირ და უყოყმანოდ უნდა გამოუტყდეს, რა იყო იმისი მთავარი მიზეზი, აქ რომ მოვიდა: იმისთვის, რატომ უნდა არავის შეეშალა თავს შეკითხვოდა და საღი გონებით თვითვე განეცხვებინა, რა მოხდა დღეს დილას იქ, პასტორატში, მასა და ქალბატონ მაზინგს შორის? მართალია თუ არა, რომ ამ ლამაზმა მაღალი წრის წარმომადგენელმა ქალბატონმა, (დიახ, თუმცა ამაზე ფიქრისაც კი მრცხვენია და ვგრძნობ, როგორ მეკიდება ცეცხლი ლოყებზე!), როგორ გითხრათ და, ნუთუ ამ ლამაზმა, კეთილშობილმა ქალბატონმა ჩემდამი განსაკუთრებული ინტერესი გამოავლინა? თუ ყოველივე ის, რაც უცნაურად მეჩვენა, ობიექტურად ყოველად უმნიშვნელო ამბავი იყო, სუბიექტურად კი მხოლოდ ჩემი ეჭვი გახლავთ? აქამდე ხომ საერთოდ არაფრად ვაგდებდი იმ ყურადღებას, ქალთა სქესი რომ იჩენდა ჩემ მიმართ... იმდენად უგულოდ ვეკიდებოდი, რომ ხშირად თვითონვე მიხდოდა იმაზე მეტი ყურადღება დამეთმო ამისთვის, ვინემ ჩემი ბუნება მთხოვდა, მაგრამ არასგზით არ გამომდიოდა. რამეთუ თავის მოკატუნება არ მეხერხება. კომედიანტობა არ შემიძლია, არც ჩემი თავისა და არც სხვის წინაშე, იქნებ მეცნიერებაში მთელი ჩემი გულმოდგინება კომედიანტობისა და თავმოკატუნების უუნარობის მიშითაა გამოწვეული... იქნებ ზოგი ჩემი მიღწევა მეცნიერული აზროვნების ნაყოფი კი არაა, არამედ მაღალ საზოგადოებაში ჩემი მოუქნელობის... (ეს აზრი აქლავე უნდა გამოვაფურთხო, რამეთუ ყელს მიმწარებს, თუმცა სიმართლის მოყვარული კაცი თავის თავს არაფერს დაუმალავს.) დიახ, უუნარობა იმისა, რომ შინაგანად თავისუფალი ვიყო, ჩემი მძიმე ტვირთია. მაშინაც კი, როცა ვსვამ. ღმერთმანი. ჩემი გიმნაზიელი ამხანაგები, რომლებიც ხშირად ქეიფობდნენ, და მამაჩემიც, დღემდე ყოველ კვირაში ერთხელ მაინც რომ თვრება, ბოლო ხანებში კი იმდენად, ხშირად, რომ ბატონ გრავეს ეკამათება კიდევ, და ჩემი სტუდენტი ნაცნობ-მეგობრები, ვინაც, თავად ღმერთიც ხედავს, ნებისმიერ საბაბს იყენებენ დასალევად, ხშირად კი უმიზეზოდაც სვამენ — საბოლოო ჯამში ყოველივე ამას იმად სჩადიან, რომ მეტი თავისუფლება იგრძნონ, ვინემ სიფხიზლეში, მხოლოდ მე არა ვარ ასეთი. საკმარისია ლუდისა თუ ღვინის ერთი ყლუპი, რომ მაშინვე სიმთვრალესთან დავიწყობრძოლა. მაშასადამე, არავითარ თავისუფლებას არა ვგრძნობ, პირიქით, ქვის აბჯარს ვისხამ. მე ვუმეორებ საკუთარ თავს: დალიე და დაამტკიცე, რომ ვაუკაცზე ეს არ მოქმედებს! — დაამტკიცე, რომ ნამდვილ ვაუკაცს ყოველთვის შეუძლია ფიცრის კლდეზე გაიაროს! დაამტკიცე, რომ სმის დროს მხოლოდ სუსტი ბუნების ადამიანები უძლურდებიან კიდევ უფრო, ხმაურობენ, ყაყაენებენ, სისულელეებს როშავენ, ხოლო მამაკაცს, ვისაც თავშეკავების უნარი აქვს, ასეთი რამ არასოდეს მოსდის! დაამტკიცე, რომ... მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ვის უნდა დაუმტკიცო? საკუთარ თავს ხომ არა? ჰმ... და საერთოდ ეს დაამტკიცე — დაამტკიცე — დაამტკიცე... სულ ერთია, საკუთარ თავს დაუმტკიცებ თუ სხვებს, — ეს ნაღდად არ არის ჩემი ყველაზე ღირსშესანიშნავი თვისება... ეს ნაღდად არ შეეფერება ჭეშმარიტ ცინიკოსს. სამწუხაროდ, მე ბევრი რამ მახასიათებს ისეთი, რაც ჭეშმარიტ ცინიკოსს არ შეეფერება. მიუხედავად იმისა, რომ ძალ-ღონეს არ ვზოგავ. ისევე, როგორც მათი მოსწრებული ნალაყბევისა და ყოველივე იმის გაკილვა, რასაც სიმთვრალეში წამოაყრანტალე-

ბენ და რაც მხოლოდ გაკვირვებას იწვევს. ამაზე არაერთხელ მიფიქრია და მუდამ ზიზლით მიფიქრია: რა უბადრუკი და უხამსი ლაქლაქია-მეთქი! ნუთუ თვითონ ვერა გრძნობენ, რა სამარცხვინოა ეს ბაქიბუქი ქალებთან მოღწეულ წარმატებებზე როცა ქალები ამას არ ისმენენ, ანდა მათი სულელური, დიაც-თათვის გათვალისწინებული ორაზროვანი სიტყვები, სულერის¹ კენს უქნებიან ისინი — სამიკიტნოს გოგოები, ყველასათვის ხელმისაწვდომი ჩიტუნები თუ (ღმერთია მოწამე) თვით ბიურგერთა პატიოსანი ქალიშვილები... სწორედ ამგვარ რამეებზე შექმნიდნენ ისინი ლაპარაკს, რომელიც თანდათანობით უფრო და უფრო გულახდილი ხდებოდა იმისდა მიხედვით, თუ როგორ იზრდებოდა მაგიდის ქვეშ შედგმული ცარიელი ბოთლების რიცხვი. დიახ, როცა ესა და კიდევ ქალების, თვით წესიერი გოგონების მზიარული კისკისიც მომისმენია, ვისაც, როგორც წესო, ბიჭების უხამსი ხუმრობისა კი არ რცხვენიათ და კი არა სდუმან, არამედ ნავთზე ცეცხლს უსხამენ, ხშირად მიფიქრია: ნუთუ ამ საცოდავებს არ ესმით, რომ ეს მათ ადამიანურ ღირსებას ამცირებს; იქამდე დაჰყავს, რასაც ბერძნულად პირუტყვი ეწოდება-მეთქი. და მუდამ, საკუთარ უპირატესობას სიამოვნებით რომ განვიცდიდი, ვფიქრობდი, თუ რამდენად მამალღებდა მათთან შედარებით არაბული ენის სხვადასხვა ასპექტების ცოდნა ანდა ის, რომ ვიცნობდი ფრანცენის² სიმღერებს და გოლდსმიტის² პერსონაჟებს, რამდენად მალღა დგას ყოველივე ეს ამგვარ უხამსობაზე... სიამოვნებით განვიცდიდი უპირატესობას... მაგრამ ერთგვარად დაეჭვებულიც ვიყავი და დარცხვნილიც... დიახ, ჰეშმარიტების მოყვარულ ადამიანს უფლება არა აქვს ამაშიაც არ გამოუტყდეს საკუთარ თავს. მართლაც ხშირად შეეჭვებოდა, იქნებ ნამდვილად რაიმე ფასი ჰქონდეს ამ დახელოვნებულ მოლაყბეთა უაზრო მონაჩმასს, მაშ რატომ არის, რომ, როცა მას ისმენენ, ქალები უცნაურად გამოცოცხლდებიან ხოლმე. იქნებ ამ სისულელეს იგივე ფასი აქვს, რაც მთელ ჩემს სიბრძნეს, ანდა მეტიც-მეთქი... გოეთემ თქვა: ძვირფასო მეგობარო, ყოველგვარი თეორია ცხოვრების მარადმწვანე ხეა: თუ რაღაც ამის მსგავსი... დიახ, ისეთი წუთებიც ყოფილა, რომ ჩემი განათლებულობის ნაცრისა კიდევ შემრცხვენია. საერთოდ, როცა ბახუსს მსხვერპლს ვწირავდი და ამავე დროს ვცდილობდი ისევ ისეთივე საღი გონება შემენარჩუნებინა, თითქოს ბახუსის სითხე ვერაფერს მაკლებს-მეთქი, შეიძლება მაშინ იმის იმედი მქონდა, რომ საკუთარივე სურვილითა და გამოუვალი მდგომარეობის გამო ჩაცმული ეს ჯავშანი რაღაც სასწაულად ამ სითხეში გადნებოდა?.. რომ მის დაწმენდილ ნაკადში ისეთი ვინმე მომევლინებოდა, ვინც საბოლოოდ გამათავისუფლებდა... და იმ საბოლოო ჰეშმარიტებისკენ მოკლე გზას მიმითითებდა, რაც არ ძალუძს არავითარ ფილოსოფიურ მეგობრობას, რაც უნდა ახლო და მკვნიბარე იყოს იგი...

რა მოხდა დღეს იქ, პასტორატში, ჩემსა და იმ ქალს შორის?

ეს შეკითხვა საამო ერთუანტელივით მივლის მთელ სხეულში.

იქნებ არაფერიც არ მომხდარა? ხომ წარმოუდგენელია, რომ იააკი მშვენიერ იოსებად იქცეს (ჰა-ჰა-ჰა!), ქალბატონი მაზინგი კი (ღმერთო ჩემო!) ქალბატონი მაზინგი პეტეფრეს ცოლად... თუმცა რატომაც არ შეიძლება? რატომაც არა! მაგრამ შეუძლებელია, რომ მისი უცნაური კილო და მისი თვალე-

¹ რანცენი ფრანს მიქაელი (1772—1847) — შვედი პოეტი.
² გოლდსმიტი ოლივერი (1728—1774) — ინგლისელი მწერალი.

ბი არაფერზე მეტყველებდნენ... შეუძლებელია, რომ მისი ძუძუსთავი ხელზე შემთხვევით შემხებოდა, ისიც, სანამ გული ხუთჯერ დაიძვებდა, თუნდაც ეს თავდაპირველად შემთხვევით მომხდარიყო... (ისე მგონია, ჩემი არსულ-დარეული ფიქრები, კალაპოტში რომ მინდა მოვაქციო, უფრო იმ ყაიდის ცინიკოსებს შეეფერებათ, როგორსაც ჩვენს დროში ყოველ წამსვე შევხვდებით და თავიანთი ქარაფშუტობის დაფარვას ძველთაძველი და ჭეშმარიტად კეთილშობილი ცინიკოსის სახელით ცდილობენ...) იმის თქმა მინდა, რომ, როცა ახალგაზრდა ვიყავი (უფრო ახალგაზრდა, ვინემ ახლა ვარ), მეჩვენებოდა, სამყაროს კანონები, იქნება ეს ბუნების კანონები, ადამიანს რომ წიგნში ამოუკითხავს, თუ მის ენაზე არსებული ჩვეულებრივი ფრაზების ნაერთი, ყოველდღიურ ცხოვრებაში თავს ვერ ამჟღავნებენ. ერთი სიტყვით, ცხოვრებისეულ მოვლენებს მსოფლიო კანონების თვალსაზრისით რომ შევხედოთ, ისინი უბრალოდ წესის დადასტურებას წარმოადგენენ, რასაც ფრიად ღია ბოლოები აქვს და შესაბამისად ამისა, თვით საერთო კანონების არსებობაც საეჭვოა, ყოველ შემთხვევაში შორეული მაინც... თუმცა წლების განმავლობაში (ხუთი, ექვსი თუ შვიდი წლის განმავლობაში, როცა მოაზროვნე ადამიანი გავხდი) შევნიშნე, რომ მსოფლიო საერთო კანონებს უმნიშვნელო მოვლენები უფრო ემორჩილება, ვინემ ეს აღრე მეგონა. ყოველივე, რაც კი თავდაპირველად რაღაც განსაკუთრებულად, შემთხვევითად და შეუმჩნეველად გეჩვენება, ძალზე ხშირად სინამდვილეში საერთო კანონის გამოვლინებაა. დაე, თუნდაც იგი ხანდახან წესის დამადასტურებელი იყოს, ზოგჯერ — წესის გამოვლინება, რაც იმას მოწმობს, რომ თვით ეს წესი ისეთი არ არის, როგორაც აქამდე მიგაჩნდა, მაგრამ, ასეა თუ ისე, უმთავრესად მაინც იგივე ძველი შიშველი წესია... რასაკვირველია, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ხუთი, ან თხუთმეტი, ან ორმოცდაათი წლის შემდეგაც ისევ და ისევ პირიქით ვიფიქრო, ისევე, როგორც მაშინ ვფიქრობდი, თხუთმეტი წლისა რომ ვიყავი. შეიძლება, რასაც ჩვენ მოვლენასა და წესს შორის არსებულ ურთიერთობაზე ვფიქრობთ, პირველ ყოვლისა, დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ რა მანძილზე დავაყენებთ საკუთარ თავს ამ მოვლენისგან. იმ ასაკში, როცა ჯერ კიდევ ბარტყები ვართ და ამქვეყნად მომხდარ მოვლენათა საიდუმლოებას პირველად და თანდათანობით ვწვდებით, მათ ცალ-ცალკე და ყოველთვის ისე აღვიქვამთ, როგორც უნდა აღვიქვათ იდუმალემა... მოგვიანებით, გიმნაზიაში სწავლისას, როცა უკვე კლასიფიცირებას მიჩვეული ვართ, რამაც ყველაფერი უნდა აგვიხსნას, თვით საგნებს კი აღარ ვხედავთ, არამედ მათ გამოსახულებებს, მოვლენებს კი არა, არამედ მათ ნამდვილ თუ გამოგონილ კანონებს... რამეთუ განათლებული ადამიანები ვხდებით, კიდევ უფრო გვიან იქნებ შევძლოთ საგნებთან ისევ პირდაპირი კავშირი დავამყაროთ? იქნებ ისევ მოვახერხოთ იმის გაგება, რომ სახეობანი და კანონები მხოლოდ და მხოლოდ მეტრიანი თეორიაა და იქნებ კვლავ შევძლოთ ყოველ არსებულ საგანს თითოთ შევეხოთ? ოჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ ამგვარი ნათელზე უნათლესი რამ ხელმისაწვდომი გახდებოდეს მოაზროვნე გონებისთვის! რამეთუ ვგრძნობ, რომ მხოლოდ ისღა თუ მიშველიდა თავი დამედწია საძრახ აზრთა მორევისთვის, რომელიც იმ მიზნით ავამოქმედე (ჭეშმარიტების მოყვარული კაცი ხვდება, რატომაც აამოქმედა, და თავის თავს უტყდება ამაში), რომ დავამტკიცო მთარული ფრაზის ჭეშმარიტება: ყოველი

ქალი კახააო... არა, არა! ღმერთო, შენ შეგვიწყალე! ქალბატონ მაზინგს ეს არ ეხება! რა უფლება მაქვს მასზე ასეთი რამ ვიფიქრო?! მასზე ცუდი არასოდეს არაფერი გამიგონია! განა ის, რაც მასთან განვიცადე, ცუდი იყო? განა შეიძლება სერიოზულად მივიჩნიოთ, რომ ის მცირეოდენი ინტერესი, რაც ჩემდამი შეიძლება მართლაც გამოიჩინა (თუკი თვითონ არ გამოვხატე), ემძაკის ოცნები იყოს? პირიქით! მთელი გულით, მთელი სხეულით ვგატყობდი, რომ ეს სულაც არ იყო ის, რითაც ქალებს აქამდე დაუპირებიათ ჩემი შეტყუება, თუკი საერთოდ შემომჩნევია ასეთი რამ... დიახ, იძულებული ვარ გულწრფელად ვალიარო, იმ ღირსებათა დიდი ნაწილი, ქალებს თბზულებებსა და სიმღერებში რომ უქებენ, მე არ მადელებს. ქალწულობა, სიდინჯე, სიმშვიდე, — ცხადია, ყოველივე ამას არ დავცინი, ობიექტურად ყოველივე ამას უდიდეს პატივს ვცემ. გულწრფელად რომ ვთქვა, მრავალ სხვაზე უფრო ამ ღირსებებს ვაფასებ... სახელდობრ იმიტომ, რომ... ის, რითაც ქალი ზოგჯერ თვალს მტაცებდა, თანაც იმდენად, თითქმის მიქრებოდა გულისგამგშირავი შიში, ჩემში ქალის ის მეორე არსი რომ იწვევდა, და ნაცვლად ამისა, მაცდუნებელი ზიზღი მიპყრობდა, ამავე დროს (მრცხვენია ამის აღიარება) დამაბრმავებელი იმედიც მეძლეოდა, მაგრამ ეს სულ სხვა რაღაც იყო... ეს იყო ქალისადმი ტლანჭი, ხორციელი ლტოლვა, ქალისადმი, ვინც აშკარად გვაგრძნობინებს გარკვეულ რამეებისადმი თავის მზადყოფნას (ხოლო თუკი ეს არ გამოგიცდია, მაშინ არც იცი, ეს რაა). აქვე უნდა ვთქვა, კლდემამოსილების გამოჩენა თვალთმაქცობაა და არც შეიძლება გულწრფელი იყოს. ალანძული სახე, დახრილი თვალები, წამწამებიდან რომ იჭვრიტებიან, გვპასუხობს თუ არა ის, ვისაც ვეკუთვნებითო... ლონიერი თბილი ხელები, თითქოსდა შენს მოშორებას რომ ცდილობენ, მაგრამ საკმარისია დაჰყვე, მაშინვე თავისკენ მიგიზიდავენ... წამოგზნებული სახე ზედ მიყინული ღიმილით თვალთმაქცობს კი არადა, გულისღევით შეშფოთებული ელოდება... ეს ხომ „ნოვუმში“ მომუშავე ლიიზია, ახლა თამბაქოს ფერფლით დაფარულ მაგიდაზე თითით რომ დავხატე... ლიიზი, ვისი გულისთვისაც შარშან რამდენჯერმე ვიყავი „ნოვუმში“ ლუდის დასალევად. ჭურჭლისმრეცხავი ლიიზი, ვისმა თეთრმა, ფართოყვრიმალებიანმა სახემ, მყისვე რომ ელანძება, და მწიფე ხორბლისფერმა დალალეებმა უცებ დამაკარგვინა მოსვენება. მისი რაღაცით უსიამო ფაფუკი თეთრი სხეულის ხილვისას პირზე ნერწყვი მადგებოდა... ლიიზი, ვისაც მართლა აქვს სახე და სხეული... ლიიზი, ვინაც სინამდვილეში სულაც არაა მოჩვენება... იგი იმ ნარევსა ჰგავს, ბერძნული მზის ციალში რომ ბრწყინავს... — ბიჭი, ვისაც ტენასილმის მინდორზე ნახირის სამწყემსავად დავყვებოდი, როცა ჯერ კიდევ ათი წლისაც არ ვიყავი... გაზაფხულითა და ლუდით შეხურებული რამდენიმე ამფსონი, ერთმანეთს იდეალებისადმი ერთგულებას რომ ეფიცებიან... ტანწერწეტა, ლამის უსხეულო გოგონები... ბუნდოვანი პროფილები, კეფა; ხელები, მეხსიერებას შემთხვევით რომ შემოუნახავს... ყოველი მათგანი ცალცალკე, თითქოსდა სრულად მუზას ეკუთვნოდა, რომელიც ვერასგზით ვერ წარმომედგინა... ყველა ერთად კი ის იდეალი იყო, რამდენიმე სიმღერაში ალო რომ ვუწოდე იმ ტენასილმელი მწყემსი ბიჭის პატივისცემით — სანამ ამ ლექსების კითხვით გართული კარლი ერთხელ უცებ არ შემეკითხა: შენ რა, ასე გიზიდავს გარყვნილება? და მეც შიშის ზარი დამეცა, რამეთუ მანამდე თავი ვაეკაცად და პატიოსნების განსახიერებად მიმაჩნდა. იმ დღიდან გან-

საკუთრებული ყურადღება მივაქციე იმას, თუ როგორ მოქმედებდნენ ჩემზე ქალები და როგორ მეპყრობოდნენ ისინი... და ჩემი შეშფოთება ერთი ამბის მიმართ მცირდებოდა, მეორესადმი კი — იზრდებოდა. რადგან ვხედავდი, რომ ბევრ ქალს მოვდიოდი თვალში, ზოგ მათგანს კი ძალიან მოვწონდი... როგორც მაგალითად იმ ლიიზის, სამიკიტნო „ნოვუმში“ რუმუ მუშაობს, მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი არ მიტაცებდნენ, თუ ანგარიშში ვაჩვენებდნენ ზოგიერთებს, სწორედ ამ ლიიზის მსგავსს, ვისაც მიბნედილი გამოხედვა, ყრუ სიცილი ჩვეოდა და იმდენად მკერდმალალი იყო, მისდამი ლტოლვისა მრცხვენოდა კადეც და ამავე დროს მსიამოვნებდა... ცხადია, მსიამოვნებდა, ვინაიდან ვგრძნობდი, რომ ამ ლტოლვას შეეძლო ჩემთვის თავისუფლება მოენიჭებინა, ნამდვილი მამაკაცი გავეხადე. მართალი გითხრათ, სიამოვნება უფრო დიდი იყო, ვინემ ის დამამცირებელი ვნებათა ღელვა, როცა მასზე ვფიქრობდი ან როცა გვერდით მყავდა. ასე რომ, სრულიად გულწრფელად ჩავიწერე სიმღერების რვეულში:

ჩემო ყვავილო, ნეტა სარეცელს დამიმშვენებდე,
დე დაეფინოს მზის სინათლე შენს ორ კოკორს,
თოვლივით თეთრებს,
აქამდე რომ არვის უნახავს!

მაგრამ ეს ჩემთვის მაინც განუცდელი რამ დარჩა... ვინაიდან მანამ, ვინემ გამბედაობას მოვიკრეფდი, ვინემ ბედნიერი შემთხვევა მომეცემოდა და შთამაგონებდა, უნივერსიტეტი დავტოვე და რიგაში დავბრუნდი. უნივერსიტეტმა ჩამიცრუა იმედები და ბატონ ზონტაგსაც ჩემზე გული გაუტყდა. სანამ გაკვეთილებს ვიშოვიდი, ვშიმშილობდი...

— ჰეი, მასპინძელო! მესამე კათხაც მომართვი! ნახევარი ფუნტი ცერცვის წნილიც მოაყოლე. კაცმა სადილად ცოტა რაღაც ხომ უნდა წაიხემსოს, თუკი უნდა შემდგომაც შეძლოს ფიქრი (ეს კი ნიშნავს — ცხოვრება შეძლოს). აი, ამ ნახევარი იმპერიალიდან ცერცვისა და ლუდის საფასური აიღე. კაპიკი შენ გქონდეს. იმიტომ, რომ მხოლოდ სახით ჰგავხარ უნივერსიტეტის პედელს და არა საქმით. ხურდა მოიტა, არ მინდა ვინმეს მდიდარი ვეგონო და არც იმას ვმალავ, რომ ამის მეტი კაპიკიც აღარ მიჭყავის ჯიბეში. ამ საღამოს პრობსტს უნდა ვესაუბრო და ამ ფულით უნდა დავბრუნდე რიგაში.

ახლა, პირველ ყოვლისა, ისევ ყალიონი გავაჩალოთ.

როგორი საქმეა ბატონ პრობსტთან და მის მეუღლესთან სასაუბროდ წასვლა... მერედა რა ქალია?! რაც ყველაზე უფრო განსაცვიფრებელია, მისი არ მრცხვენია. მხოლოდ დაუოკებელი ცნობისმოყვარეობა მკლავს. მისი შედარება პეტეფრეს ცოლთან?... ღმერთო ჩემო, რა შეუსაბამობა და საძაგლობაა... საკუთარი თავის მრცხვენია, ასეთი რამ რომ გავიფიქრე... ჩემს ცხოვრებაში პირველად შემომხედა ასეთმა ქალმა... და პირველად ვიგრძენი, რა მომაჯადოებელიც ყოფილა! მისი საქციელი, განსაცვიფრებელი, უბრალო და დახვეწილი, მისი თავდაჭერა საზოგადოებაში გამოსული ქალისა არც ძალიზიანებს და არც მანცვიფრებს. როგორც საერთოდ მომდის ქალთა საზოგადოებაში ყოფნისას. იმდენად მიმნდობია, ასე ვეგონება, ეს თავდაჭერა ბუნებით აქვს მომადლებულიო. სწორედ ისეთი, როგორსაც მე დავეძებდი ქალ-

1 ლექსები თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ.

ში... გამოდის, აქამდე ეს არ მცოდნია... მისი სინაზე სულაც არ ნიშნავს, რომ თავშეუკავებელია, რომ იღუმალად ვნება აღელვებს. მისი სინაზე ჩემთვის უმაღლესი ქალურ ღირსებაზე უმშვენიერესი გახდა. შეიძლება იმით, რომ მის სინაზეში საოცრად სასიამოვნო სიმწიფე იგრძნობა, იმდენად სასიამოვნო და უხვი, რომ დაეკვდები, ამდენი როგორ დაიტიაო... მისი მრგობრივი მხარეები სახე ჭკვიანური, აძგიბული წარბებით. მოკიაფე მონაცრისფერი, მკვსურად ცოცხალი თვალები... ამავე დროს ისეთი მშვიდი და შემწყნარებელი რწმენა გამოსჭვივის ამ თვალებიდან, რომ ვისაც უცქერის, ეს მზერა ათავისუფლებს ბევრი რამის ცოდნის მიძიმე მოვალეობისაგან. ღმერთო ჩემო, რაებს ვბოდავ?

— მასპინძელო! კიდევ ერთი კათხა!

შემდეგ კი იააკი სტვენა-სტვენით, — არა, სტვენით არამც და არამც — ისევ პასტორატისკენ გაემართება, რათა ბატონ პრობსტს მეცნიერულ საგნებზე ესაუბროს! როგორც ეს ბატონმა პრობსტმა ისურვა.

კი მაგრამ, პრობსტის მეუღლე?... სულელლო! რატომ ვერ ვუსწორებ მზერას მის მოკიაფე თითქმის შავ თვალებს?... იმით, რომ სწორედ ასეთი ხარ... თითქოს ვიცოდე, როგორი ქალიც არის... ან მან უწყოდეს, მე როგორიცა ვარ... ან იქნებ ქალებს რაღაც სასწაულით შეუძლიათ ადამიანის შინაგანი არსის ხილვა? იქნებ მისი ინტერესი ჩემდამი არაფრად ჩამეგდო (რამეთუ მისი გამოცოცხლება ამას ადასტურებდა). შეიძლება არც ჩამეთვალა დიდ სასწაულად, მას ჩემი შინაგანი არსის ჩაწვდომა რომ შეეძლებოდა. (ჰა-ჰა-ჰა-ჰაა!) სირცხვილი შენ, იააკ... რამოდენა წარმოდგენა გიქვს საკუთარ თავზე! ადამიანს, ვისაც თავი ცინიკოსად მოაქვს! ჩემი ფიქრები რომ გაიგოს, მეეჭვება მოეწონოს. თუკი მე ჩემი იდეალები ისე შევქმენი (საოცარია, რომ პირველად ვიფიქრე ეს), თუკი ჩემი იდეალები ისე შევქმენი, რომ ქალებზე სულაც არ მიფიქროს, აღარაფერს ვამბობ ისეთ ქალებზე, როგორიც თვითონ არის... სიმართლისმოყვარეობის იდეალები, რის გამოც ბევრს უსირცხვილო და უხეშ კაცად მივაჩნივარ. მართალია, ისინი ვაღიარე, მაგრამ ისეთ თანმიმდევრობას ვერ ვიჩენ, თვითონ რომ ვისურვებდი... მსოფლიოსადმი ჩემი მოთხოვნილების იდეალებია მცირე სიამოვნება და უსაზღვროდ დიდი ცოდნა... ჩემი სპარტანული იდეალები — დაე, თუნდაც ხშირად დამერღვიოს ისინი ლოთობით, სხვა მხრივ ამ იდეალების ერთგული ვიყავი — გულისხმობდა უაზრო ადათწესების, ტანსაცმლით კოპწიაობის, შეუწყნარებლობას, რასაც იმდენად ვერ ვიტანდი, რომ პრანჭიაობისადმი ჩემი ესოდენი ზიზღის გამო უკუ კონტაპრუწა მიწოდეს... და ბოლოს ერთგულების ჩემეული იდეალები... ქალისადმი რაინდული ერთგულებისა კი არა, არამედ ჭიუტი, გამომწვევი, ამაყი მამაკაცური ერთგულება იმ ხალხის მიმართ, ვისი წიაღიდანაც მამაჩემია გამოსული. იმ ხალხის მიმართ, ვისი შვილებიც, თუკი მათ ბედმა გაუღიმა და ფრთების ნასახი გამოესხათ, შორს მიფრინავენ, თავის ხალხს კი ლაფში ტოვებენ, უცხოვდებიან და ოცდაათ ვერცხლად ან უცხოურ მორთულობაზე ჰყიდებიან... ამ ხალხის ერთგულება...

მით უფრო, რომ ჩემი მშობელი დედა, როგორც ეს მამაჩემმაც დამიდასტურა, წარმოშობით პოლონელი ქალი ყოფილა... დედა — ვისიც ჩემს მეტსიერებას მხოლოდ ის განსაცვიფრებელი სუნი შემოუნახავს, რაც ალბათ მის ხელებსა და თმას ასდიოდა, კიდევ — ნაღვლიანი ნათელი თვალები, როგორც ალბათ მისი თვალები იყო... და თეთრი ლაქა — მისი გაფითრებული სა-

ხე, სიკვდილის წინ ბალიშზე რომ ედო, ორი თეთრი ლაქა — მისი და იმ პატარასი, დედამ რომ შობა და მასთან ერთად გარდაიცვალა... ჩემს მშობელი დედა, ვის ხალხსაც ჰქონდა სახელმწიფო, ქალაქები, წიგნები და მეფეები... დიახ, მე, შემეძლო ისინი ჩემად გამომეცხადებინა, რაკი ისინი ჩემი მშობელი დედის კუთვნილებას წარმოადგენდნენ, თუმცა მგონია მინამოსამსახურე ქალი იყო, რიგელ ხენტის იატაკებს რომ ურეცხავდა. მე შემეძლო მისი ხალხის წიგნები, ციხე-სიმაგრეები, მწერლები, მეფეები ჩემად გამომეცხადებინა! ხელს ვერაფერს შემიშლიდა. თუკი იმით დავიწყებდი, რომ წაყიდოდი და დედაჩემის წმინდანებს ჩემად ვალიარებდი... გიმნაზიაში ამ საკითხზე კათოლიკური ეკლესიის კაპელანი არაერთხელ მესაუბრა. წმინდანებით დაწყებული მეფეებსა და სხვა დანარჩენებამდე სულ ერთი ნაბიჯი დარჩებოდა... მაგრამ დედაჩემმა ყოველივე ეს მიატოვა. არა, ისე კი არ მიუტოვებია, როგორც იუდამ ან როგორც იმ სვებედნიერებმა, ვინც მამაჩემის ხალხს იმ მიზნით ტოვებს, რომ გაგერმანელდნენ. ასე არ! რამეთუ იგი ისე არ წასულა, როგორც ესენი მიდიან — საძულველთაგან უფრო პატივსაცემ ხალხთან, საცოდავთაგან უფრო ძლევამოსილებთან. ეს მან უთვისტომო, ყველასავით უცნობი და მათხოვარი იააკ კიკის გულისთვის ჩაიღინა. რიგაში შემთხვევით მოხვედრილი მუშა ბიჭის გულისთვის, სოფლური შალის ნაცრისფერი კურტაკი რომ ეცვა და გაუგებარ ენაზე ლაპარაკობდა. მისი წკრიალა ხმის, მზიარული სიმღერების, მისი ლაპარაკის გულისთვის, თანდათანობით გასაგები რომ ხდებოდა, მისი ცისფერი თვალების გულისთვის... შესაძლოა ყოველივე ამისთვის არც დედაჩემს უნდა დაეტოვებინა თავისი ხალხი და სარწმუნოება? შესაძლოა... ამის განსჯის უფლება არა მაქვს, რაკი მისი ამ წასვლის ნაყოფი ვარ. თუნდაც გული მეუბნებოდეს: ალბათ აჯობებდა, ამის გამო არც წასულიყო. მით უმეტეს, რომ ალბათ თვითონ არც უჭირდა. რამეთუ მამაჩემთან შეუღლების რამდენიმე წლის შემდეგ გადავიდა კათოლიკური ეკლესიიდან ლუთერიანულში. დიახ, ასე გვიან, რადგან პირველი ლათინური სიტყვები, ჩემს ცხოვრებაში რომ გავიგონე, კათოლიკური ეკლესიის სიტყვები იყო, სადაც დედაჩემს მამაჩემისაგან მალულად დავყავდი წირვაზე და სადაც მოისფრო-მოწითალო ფანჯრების არილში გუნდი მღეროდა.

და მე ვფიქრობდი, ნეტავ ვის წკეპლავენ-მეთქი... იმ ცხვრებსა და თხებს რომ არა, მწყემსი ერთმანეთს რომ აშორებს? მაგრამ დედამ ყველაფერი დატოვა, ცხვრებიცა და თხებიც. და მე ველარ შევძელი, თან არც მინდოდა იმას დავბრუნებოდი, რაზედაც მან უარი თქვა ან რაც სხვაზე გაცვალა. სათქმელი ბოლომდე რომ ითქვას, იმის გამო გაცვალა, რომ მე მეარსება. რამეთუ იმ დროიდან, რაც მამა მახსოვს, ჩემში იმის გაგება და გრძნობა ცოცხლობს, რომ არსებობს მისი ხალხი; და ამასთან ერთად ცოცხლობს რაღაც განსაკუთრებული, ტკბილი და ამავე დროს მტკივნეული მოთხოვნილება, შევინარჩუნო მამაჩემისა და მისი ხალხისადმი ერთგულება, შევინარჩუნო ერთგულება მისი უხეში წვერისადმი. საიდანაც საუცხოო ამბები და სიმღერები იღვრებოდა, იმ სიზმარით შორეული წლებით დაწყებული, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი მყავდა მშობელი დედა, იმ დრომდე, როცა უკვე თვითონაც ამეხილა თვალები... როცა უკვე დედინაცვალი მყავდა, დიდი ხნის წინ რომ ვიწამე დედად. მამაჩემის საუცხოო სიმღერები, თითქოსდა არც დასაწყისი და არც დასასრული რომ არა ჰქონდათ... თითქოს ესენი იყო სპილენძის ძაფი, რომელზედაც ჩემს სულსა

და შეგნებაში მსოფლიოს უდიდესი ამბები ისხმებოდა. მამას მუხლზე ვეჭე-
ქი, ლამპის მქრქალ შუქზე, ყალიონის ტკბილ-მწარე კვამლში დახვრული, თქმუ-
ლებებს და ზღაპრებს ვისმენდი. ეს იყო განსაკუთრებული პატარა სამყარო,
რომელსაც ამ უზარმაზარ, შვიდ ენაზე მოლაპარაკე ქალაქში ჩვენს მანსარდაში
დამკვიდრებული საკუთარი ენა გააჩნდა. სამყარო, თითქოსდა მსაქმე და ვი-
თომ არსებული მიწის ნაწილი და მისი ფიქრი რომ იყო. და მათი მხნამდგმლე-
ში არსებობის დასტურად უფრო ხშირად ვამჩნევდი ესტონელთა გაძვალ-
ტყავებულ სახეებს, მათ მშობლიურ კილოკავს რიგის ქუჩებში, იაკობის ეკ-
ლესიის გარშემო თუ ეკლესიის მერხებზე წირვის დროს, მას შემდეგ, იტერი
ან თვითონ ზონტაგი თავიანთ ოდნავ ტლანქად ყდერად ესტონურ ენაზე ქა-
დაგებას რომ მორჩებოდნენ და გუნდიდან ესტონელი მწყემსის ბუკის ხმა-
სავით გაისმოდა მამაჩემის ბარიტონი, მომღერალთა ხმებს რომ ჩრდილავდა.

მაინც რა ცოტანი იყვნენ, — სულ რაღაც ასი ყრუ და მჭექარე ხმა
ბორძიკით. მაგრამ გულმოდგინედ გალობდა მამასთან ერთად... ამ წარმოსა-
ხული ქვეყნის და საერთოდ მთელი სამყაროს ნამდვილი არსებობის კიდევ
უფრო დიდ დადასტურებას წარმოადგენდნენ ძალზე იშვიათი, მაგრამ მით
უფრო სარწმუნო სახლოკაცები, როცა სადღაც შორიდან მიმავალნი რიგაში
მოხვდებოდნენ, ზოგიერთები კი ჩვენთან, შინ მოდიოდნენ: მოხუცი პააველი,
ენი, მერტი — წვერგაბანჯგლულნი, რუხი ტანსაცმლით, ცხენის, ნამჭის ხორ-
ბლის, კვამლის სუნით გაყდენთილნი. მათი ტლანქი ხუმრობა, თავშეუკა-
ვებელი სიცილი, წყევლა-კრულვა და სიძულვილი მებატონეთა მიმართ, ძუნწი,
მაგრამ ერთობ მრავლისმეტყველი სიტყვები, თითქოს ანდაზების მარგალი-
ტებს ახვავებნო, მათი სიმღერები, ხმამალა რომ შემოსძახებდნენ. დაბო-
ლოს ჩემი ბავშვური მოგონებანი ვიიდუმალაში გატარებული ზაფხულის შე-
სახებ... არა, უნდა დავრჩე ამ ხალხის ერთგული...

„ცხენები აქამდე რატომ არ მომგვარე?! აი, შე ყეყეჩო, შენა. უნდა გითხ-
რა...“

ბატონი ესტლანდიელი სტუდენტი ოთახის ზღურბლზე მომდგარა, სადი-
ლის ნარჩენებს თავისი წითური უღვაშებიდან აბრეშუმის ცხვირსახოცით იწ-
მენდს და ფეხებს აბაკუნებს. უკვე ლილისფერი ფლოსტები კი აღარ აცვია,
როგორც დილას, არამედ გაპრიალელებული სამგზავრო ჩექმები. ღვთის
წყალობით, დრო სადილობამდე მოკლულია და ახლა უნდა გაემგზავროს.
ახალგაზრდა ბატონის ჩოფურა მეეტლე, მიუხედავად თავისი თანამდებობისა,
შეხედულად სოფლელ მოჯამაგირეს ჰგავს — თავისი ბატონისგან სამი ნაბიჯის
დაშორებით დგას, თავი დაუხრია და მუხლები ოდნავ მოუკეცავს. აღარ იცის,
გაიქცეს და ცხენები შეაბას, მაგრამ მაშინ ხომ ვერავინ გაიგონებს ბატონის
აღშფოთებულ ყვირილს, რამაც შეიძლება კიდევ უფრო განარისხოს ბატონი,
თუ ადგილზე დარჩეს და ბატონის გამგზავრება უფრო მეტხანს შეაყოვნოს,
რაც ნაკლებ როდი გააცეცხლებს...

— ყეყეჩო! რეგვენო! ნაღო უქნარავ! არ შემიძლია შენი სიფათის ცქე-
რა! აქედან მოუსვი!

ახლა უკვე გასაგებია, რომ საჯინიბოში უნდა გაიქცეს... და მეეტლეს
სწრაფად მიდის. მიუხედავად იმისა, რომ მალაღია, მაინც მსუბუქად მიაბი-
ჯებს. იგი ჩემკენ მოემართება. სამიკიტნოდან რომ გავიდეს, ჩემს მაგიდას
უნდა ჩაუაროს, სახეზე ღრმა ნაყვავილარი (ცხადია, ეს არ არის მათრახის

ხაკვალევი, ღმერთო ჩემო, რა სისულელე არ მომდის თავში, მათრახის ნაკვა-
ლევი ხომ მხოლოდ ზურგზე შეიძლება დარჩეს), სახეზე ღრმა ნაყვავილარი
და მოკუმული პირის გარშემო მორუხო ჯაგარი აჩნია. თვალები მრუჭუტავს
და ვერ ვხედავ, როგორი თვალები აქვს, პირდაპირ ჩემი მაგიდისკენ მოემარ-
თება... დიაახ! მე მინდა ამ ხალხის ერთგული დავრჩე... კიდევ ერთი კათხა
ლუდი დავლიე... მაგრამ ჩემთვის მაინც ისევე ცხადია: ამ ხალხის ერთგული
უნდა დავრჩე ყველაფერში, მთელი ჩემი არსებით... და არავითარ ფუჭ ეპატი-
რებას არ დავემორჩილო! არ დავემორჩილო! მაგრამ ოთხი კათხა ლუდი მაქვს
დალეული...

— ახლავე ცხენები მომგვარე! ღორის დინგო!

ოთხი კათხა ლუდი დავლიე... ეჰ, ჩემო ძვირფასო მასწავლებლო დიო-
გენე, შემაკავებინე თავი! შემაკავებინე იაფფასიანი საქციელისაგან,
შეიძლება ის კარგიც იყოს, მაგრამ უსარგებლოა... ოჰ, უკვე ვგრძნობ: შენ,
ვინაც ალექსანდრეს უბრძანე, მზე ნუ მომიჩრდილეო, არა ხარ ის კაცი, ვი-
საც შეუძლია კალთაში ხელი ჩამავლოს... ვგრძნობ, აღარ ძალმიძს ცდუნებას
ვძლიო. ახალგაზრდა ბატონის მეეტლე უკვე ჩემს მაგიდას გაუსწორდა. მის
ხატრისფერ ხიფთაანს ერთმანეთში არეული კვამლის, ხორბლისა და ცხენის
სუნი ასდის — ეს არის მოხუცი პააველის, ვნისა და მერტას სუნი — ჩემი
ბავშვობის ოთახში თან რომ მოჰყვებოდათ. ისინი ახლა ჩემკენ მოცურავენ
და მე ვდგები:

— შოიცა, კაცო! მე მომწონს შენი ჩოფურა სახე! მსიამოვნებს შენი ღო-
რის დინგი! გამომართვი!

მიკიტანმა ჩემი ნახევარიმპერიალის ხურდა რომ მომიტანა — ოთხი მანე-
თი და რაღაც კაპიკები, მაგიდის კიდეზე დადო. მეეტლეს ხელში შევაჩეჩე ოთ-
ხი ვერცხლის მანეთიანი იმპერატორის სურათით.

— გამომართვი! და იმად დარჩი, ვინცა ხარ!

ცხადია, ამას იმ მიზნით ვეუბნები, მისმა პატრონმა დაინახოს და გაი-
გონოს. (ისევე ჩემი დაამტკიცე-დაამტკიცე-დაამტკიცე, ჭეშმარიტ ცი-
ნიკოსს რომ არ შეეფერება!) ამავე დროს კი თვითონაც ვგრძნობ, რა სასაცი-
ლოა, რასაც ახლა ჩავდივარ... ეს იყო ჩემი უკანასკნელი სატოდავი მანეთია-
ნები, მაგრამ თავს აღარ ვაძლევ დაფიქრების დროს, რამეთუ მეჯავრება სი-
ბეჩავე, თუმცაღა ჩემი ბავშვური მხარდაჭერა მეეტლის მიმართ ახალგაზრდა
ბატონს უფრო გააღიზიანებს... მე ყველაფერი მესმის, რა ცოტას ნიშნავს
ჩემი საქციელი იმ ყოველდღიურ უსამართლობასა და ძალმომრეობასთან შე-
დარებით, ჩემ გარშემო ყოველ წამს რომ ხდება. ყოველივე იმასთან შედარე-
ბით, რა სიბინძურეც მარტყია გარს და რითაც იძულებული ვარ ვისუნთქო.
იმ ქედმაღლობასთან შედარებით, რაც ამ ახალგაზრდა ბატონიშვილს შემკვიდ-
რეობით რგებია, ჩემი მოქმედება ერთობ უმნიშვნელოა... მესმის: როგორღაც
სხვნაირად უნდა მოვიქცე, მაგრამ არ ვიცი, როგორ. და მაინც ვგრძნობ: მთე-
ლი არსებით და შეუპოვრობით უნდა ვიშრომო, ვიშრომო ხალხისთვის.. სიტყ-
ვაზე ადამიანებზე, ვიშრომო ისე, რომ შედეგის მნიშვნელობაზე არ ვიფიქრო...
ერთ მშვენიერ დღეს, ერთ ნათელ მზიან წუთს უნდა წავიდე და მალღა თავ-
აწეულმა სიმართლე ვილაპარაკო...

მეეტლე უკვე მოერიდა დაბნეულობას და შეშფოთებას. ფული მუჭში მო-
იქცია, თავი დახარა და, იმით დაიმედებული, ბატონმა ვერ შეამჩნია, რომ ფუ-

ლი მომცესო, სამიჯნოდან სწაფად გავიდა. მე მაგიდასთან ვდგავარ. ჩემ წინ დაყრილ ოცდარვა კაპიკს დავცქერი და ველოდები, რას იტყვის ბატონი ბარონი ჩემს გამოწვევაზე. მე მას ღირსეული პასუხი უნდა გავცე. ისეთი არა, დაშნით ბრძოლა რომ შემომთავაზოს. რამეთუ, რაკი უნივერსიტეტში ვსწავლობდი, საჭიროების შემთხვევაში ასე უნდა მოქცეულიყო. მაგრამ არა მიყვარს ისეთი სულელური საქციელი, როცა რკინით მოქმედებენ და არა გონებით. ამიტომ პირდაპირი პასუხი არ უნდა მივახალო. თუმცა, თუკი ჩემთვის მართლაც რკინის ნაჭერი არის უფლებათა დაცვის ერთადერთი საშუალება, ჩემზე ველარ იტყვიან...

მაგიდაზე დაყრილ სპილენძის კაპიკიანებს დავცქერი და ველოდები. მე-ბატონეთა ოთახიდან მთელი წუთის განმავლობაში ჩამიჩუმიც არ ისმის. მაშინ იმ მხარეს ვიცქირები და ფიცრებისგან შეკრულ ჭუჭყიან კარს ვხედავ. ბატონი სამართლისმცოდნეობის სტუდენტი ფონ ესა და ეს იქ აღარ არის, არ მახსოვს მისი გვარი. მაგრამ მისი სახე და მოქმედება არ დამავიწყდება. ამიტომ მტკიცედ მჯერა, რომ ოთახში შეტრიალდა და კარი მანამ მიხურა, სანამ მის ძეგტლეს გამოველაპარაკებოდი. რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ამ წაკინკლავებისას ბოლო სიტყვას მე არ მათქმევინებდა. მაგრამ ხომ არ შემძლია მასთან მივიდე და ვუთხრა, ეს იმიტომ ჩავიდინე, შენი ძეგტლისთვის მხარი ძორალურად დამეჭირა-მეთქი (ან ამა და ამისთვის... ოჰ, ეს ძალზე უბრალო რამაც არის და ძალზე რთულიც)... ჩემს ოცდარვა კაპიკს დავცქერი და ვერ გამიგია, რამ მიმიყვანა თითქმის იმ მდგომარეობამდე, რომ დაშნით ბრძოლა გამემართა. სიცილს ვიწყებ. ვილაცახე თუ რალაცახე ბოროტად ვიცინი, შეიძლება თავში გაელვებულ ფიქრს დავცინი: იმიტომ ხომ არ დამეთანხმა გონება დუელის გამართვაზე, რომ მაშინ ექვს საათზე ბატონ მაზინგთან სასაუბროდ ველარ წავიდოდი? ასეა თუ ისე, მე მაინც ვიცინი.

— ჰა-ჰა-ჰა-ჰაა! მასპინძელო, აი, აილუ, აქ ოცდარვა კაპიკია. და კიდევ ერთი კათხა ლუდი მომიტანე!

მეხუთე კათხასაც სულმოუთქმელად ვცლი. მინდა შინაგანად გავთბე. ცივი და ნათელი ზეცის ანცი ნიაფი რომ შემომეყრება. როცა ეკლესიის გუმბათისკენ წავალ, იქ, ნაპურალს ზემოთ, სამჭედლოს დიდი ლურსმანივით წვერწამახული რომ დგას.

ყოველ შემთხვევაში, თუკი ბატონმა მაზინგმა დამპატიყა, ქალბატონ მაზინგს არ უნდა მივცე... ფუჰ! — ბატონ მაზინგს არ უნდა მივცე იმის საბაბი, რომ დაგვიანება მისაყვედუროს.

7.

რომ შემძლებოდა იმის გაზომვა, თუ რამდენად გამიცრუვდებოდა იმედი, აღბათ შიშის ზარი დამეცემოდა. სწორედ იმ ადამიანივით, მისთვისვე მოულოდნელად ღრმა ჭასთან რომ აღმოჩნდება და შიგ ჩაიხედავს. შემეშინდებოდა, რაკი დავრწმუნდებოდი, თუ რაოდენ მნიშვნელობას ვანიჭებდი ამ უცნაური ბიჭის სადილზე მოსვლას და რა ცუდად იმოქმედა ჩემზე მისმა მოუსვლელობამ.

წმინდაო გენარო, ხომ ხედავ, რა მომდის, და არც მინდა ეს შენგან დავ-

ფიცო. პირველ ყოვლისა, ხომ უნდა მწყენოდა. სულაც არ იყო საჭირო, მა-
ლიან მწყენოდა, მაგრამ ხომ მაინც უნდა გავნაწყენებულიყავ. რადგან გარკ-
ვევით ვუთხარი: „ნახვამდის, ჩვენ სადილზე შეხვდებით ერთმანეთს!“ და ამ
დროს, გამოგიტყდებით, ისეთი თვალებით შევატყერდი, თუმცა მოუქნელი
ვინმე კი, თვითონაც ნამდვილად შეამჩნევდა (ნებისმიერ შემთხვევაში) ზრდი-
ლი ახალგაზრდა შეეცდებოდა ორ საათზე აქ გაჩენილიყო) ხეცვით სა-
ხეგაქვავებულმა ამ ბიჭმა თავიც არ შეიწუხა, რომ მოსულიყო. ჩემზე კი
არ იტყმის, რომ მართო თავმოყვარეობაშელახული ვიყო. თუმცა ახლა, როცა
საზოგადოება სუფრასთან იყრის თავს, ერთ წამს იმავე ზიზღნარევი ალერსით
ვიღიმები, როგორსაც მშვენიერად ახერხებს ხოლმე კაროლინა, როცა ანიტა
ან ოტო გულკეთილად მეპყრობიან. ეს მას ზედმეტად მიაჩნია... დიან, სულაც
არ განვიცდი იმ ზერელე წყენას, რაც ამ შემთხვევაში სავსებით შესაფერისი
იქნებოდა. მე სწორედ რომ უბედური ვარ. როგორღაც უიმედოდ და აუხს-
ხელად უბედური იმ ბავშვივით, გული განზრახ რომ ატკინეს. მინას ვუთხარი,
თხუთმეტი წუთით დააგვიანე ბულიონისა და ლორიანი ღვეზელების სუფრა-
ზე გამოტანა-მეთქი. ქალბატონ ეშეს მის ჭრელ კაბას ვუქებ და ტუჩს ვიკვ-
ხეტ, რადგან მაგონდება, რომ ეს კაბა დილას შევუქე, ყავას რომ მივირთმევ-
დით. ადღერბერგსაც კი თავაზიანად ვეპყრობი. როცა სასადილო ოთახში
ყველამ მოიყარა თავი, ფანჯარაში კიდევ რამდენჯერმე ვიხედები (ისე, რომ
ვერაგინ შეამჩნიოს), და ვამბობ:

— ჰო, მართლა, ხოლმანი ხომ არ მოვა დღეს ჩვენთან სადილზე, — (ეს
მე დილასვე ვიცოდი) — და ისა... ის სასაცილო ბიჭი... რა ჰქვია ჰო, პეტერ-
სონი, ალბათ არჩია აორთქლებულიყო... ასე რომ — გთხოვთ სუფრასთან
მობრძანდეთ.

— აა, შენ ალბათ სწორედ იმას ელოდი, — ამბობს ანტონი თავისი მა-
რად ირონიული და ჭრიჭინა ხმით. ანტონი სადილის წინ ცხენით სეირნობი-
დან პირველი საათისთვის დაბრუნდა, აბანოში ცივი წყალი თავით ფეხამ-
დე გადაივლო და ახლა, მიუხედავად იმისა, რომ ფერმკრთალი და არაქათგა-
მოცლილი იყო, გულისამრევად გაჭიუტებული თვითკმაყოფილებას ვერ მა-
ლავდა:

— შენ იმას ელოდი, არა? მან კი ჯერ კიდევ ათ საათზე მოუსვა ტარ-
ტუსკენ. ვზახე ჩავუჭროლე და მაშინ ვნახე. ქრისტესავით ჩამოშვებული
თმით და გრძელი ფეხებით შორიდანაც იცნობს კაცი.

კაცმა რომ თქვას, შენ რაღას მახელებ? — ვიფიქრე გულში, — გთხოვ,
ახლა ნუ დამცინებ, როცა ყველანი აქ არიან. ნუ მეტყვი შენი ჭკუისდამრიგე-
ბლური კილოთი იმას, რაც ყველასათვის ცნობილია — ის ბიჭი არ გამოც-
ხადდაო... ნეტა მაინც რატომ წავიდა? აკი ექვს საათზე ოტო მოელოდა? ექვი
(თუ ალლო) მეუბნება, რომ იმ ბიჭის გაქრობა რამდენადმე ჩემთან არის და-
კავშირებული... წმინდაო ჯენარო, მე ხომ ატირებას ცოტა მიკლია... მაგრამ
იმ ღიმილით ვლაპარაკობ, კლინგერმა შარშანწინ მომხიბლავი რომ უწოდა
(ვგრძნობ, ჩემი სიტყვების სიყალბე ჩემს ღიმილს განსაკუთრებულად ასხივოს-
ნებს).

— ჩემო მეგობრებო, ხომ მართალია, ძალზე სასიამოვნოა ხანდახან
სუფრას უცხო ხალხის გარეშე უჯდე! — მრცხვენია საკუთარი სიტყვებისა,
მაგრამ ამავე დროს ვზეიმობ კიდევ. ოტომ თავისი ჩვეულების თანახმად

უმაღლესი აკურთხა და, როგორც მოველოდი, ვერც ოტილიამ, ვერც ელენორამ და ვერც ანტონმა ვერ მოასწრეს ჩემთვის რაიმე თხოვნილი ეთქვათ. მაგრამ მაიორი ადლერბერგი, ვისაც არფერი გაეგება ისეთ საერთოებში, როცა ოჯახში შექმნილი ვითარება ქვეშევცნელად უნდა იგრძნო, გრგვინავს:

— სრული სიმართლეა, ქალბატონო, პო-პო-პოო!

წვალებითა და დავიღარებით მოვრჩი სადილს. ყველანი, მათ შორის ელენორაც კი, ვისაც ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე უნდა ეფიქრა თავის ტანზე და ზომიერად ეჭამა, შესაშური სიამოვნებით ნთქავენ ძუძუს მოსხლეტილი ხბოს შემწვარ ხორცს: ეტყობა, აქაურ მცხოვრებთ ჰაერი უღვიძებთ ჭამის მადას. მე კი შემწვარი ხორცი ყელში არ გადაძდის. ვღეჭავ, ვვლაძავ, ყელში მეჩხირება, რამდენიმე ნაჭერ ხბოს ხორცს სამი ჭიქა შტომის წყალი დავაყოლე. ამავე დროს ისეთი უმნიშვნელო რამეების თქმას ვახერხებ, რაც საზოგადოებას სასაცილოდ მიაჩნია და მაიორი ადლერბერგი ისე ხმამაღლა ხარხარებს, ჩემს წყლიან გრაფინს მისგან მოშორებით ვდგამ.

სასადილოს ბაღში გამავალი სამი დიდი ფანჯარა ჩემ პირდაპირ არის. დროგამოშვებით თავს ვიჭერ, რომ ფანჯარაში იმედის თვალით ვიციქირები, იქ, შეყვითლებული აკაციების ცოცხალი ლობის გადაღმა, პა და პა, გამოჩნდება ეს ბიჭი და სასადილოში გრილ ჰაერს თან შემოჰყვება-მეთქი... რასაკვირველია, ვიცი, რომ არ მოვა, რადგან ანტონს არ მოუგონებია, დილას ვნახე უკან. ტარტუში მიდიოდაო, ცხადაა, ანტონს შეუძლია ასეთი რამ მოიგონოს ჩემს გასახელებლად, თუმცა საერთოდ ფანტაზიით ძალზე ღარიბი კია. მაგრამ ამჯერად სიმართლე თქვა. რამეთუ ტყუილის თქმა რომ გადაეწყვიტა, უნდა სცოდნოდა, თუ რამდენად მეწყინებოდა მისი სიტყვები. მაღლობა ღმერთს, ეს ვერ წარმოუდგენია, და არც მე ვიციოდი ეს ერთი თუ ორი საათის წინ... ოჰ, რა სულელი ვარ, რა სულელი... ჭკუა უნდა ვისწავლო, უნდა გავიგო, რომ სხვა არაფერი დამრჩენია ამის გარდა... მაშ რაღა უნდა ვქნა? ცხენი შევაკაზმვინო და უკან გამოვუდგე? არა, არც ასეთი სულელი ვარ. მსახური პრიიტი და მინა სუფრიდან დეაერტსა და ყავის ფინჯნებს ალაგებენ. ნასადილევს ყველანი სხვადასხვა კუთხეში შეკრებილან და საუბრობენ... იქნებ მართლა გამოვუდგე ცხენით უკან... გზატკეცილზე გავქენდე... აი, აგერ მოდის, შორიდანვე ჩანს, — როგორც ანტონმა თქვა, — თავისი საღვთო ქრისტესავით ჩამოშვებული თმით და გრძელი ფეხებით... ხელჯობის ნაცვლად მუხის სასაცილო კეტი უჭირავს... გრძელ ხელებს მიარხევს, სოფლელი ბიჭის ჭკავისფერი თმა სოფლური ბიჭუნის მხრებზე ჩამოსწეწია... უკან გამოვუდგე, ჩავუჭოლო, მერე ცხენი მისკენ ისე მოვატრიალო, რომ თავისი თითქმის რისხვიანი თვლებით — ოქროსდილას ფურცლებით — მოულოდნელად ამომხედოს... ვუთხრა: იააკ... და მაშინ?... მაშინ?! არა, ასეთი სულელი როდი ვარ, გონს უნდა მოვეგო, და მოვეგები კიდევ... იააკ... მაგრამ ის არ მიპასუხებს, ისევე ამიქცევს გვერდს მეცა და ჩემს ცხენსაც, როგორც მტვრიანი ქუჩისთვის აუქცევია. ღმერთო ჩემო, მე გონს მოვეგები, თხუთმეტი წლის გოგო ხომ არა ვარ, შინაურებსაც და გარეშეებსაც თავაზიანად უნდა მოვექცედიდ ოჯახს უნდა გავუძღვე... მესმის, რომ ელენორა ეშვს ეუბნება: „ცოტა რამ მაინც გვიამბეთ თქვენს ბიზანტიაზე“, და ნაცვლად ბიზენს ამბობს „ბიუზანს“, რაც სულაც არაფერს არ ნიშნავს, ანდა უკიდურეს შემთხვევაში ნიშნავს „სულელს“ (სიტყვიდან „buse“, დიახ... მაგრამ მე სულელი არა ვარ.

თავს ვიმშვიდებ და მინას ვეუბნები, ქალბატონ ელენორასავით საზამთროდ განსაკუთრებული გულმოდგინებით გადაარჩიე ჟოლოს მურაბები, ოღონდ ექვსი ქილა კი არა შარშანდელივით არამედ რვა, რომ ოდნავად არ ჰქონდეთ მოკიდებული ობი. დიახ, ისე რომ, წუნი ვერ უპოვოს-მეთქი. შემდეგ დიდხანს დავტრიალებ გოგოების თეთრეულს. ვარჩევ, რომელიმე ნაწილს დავათოვო, გავაქათქათო, დავაქერო და ვფიქრობ, კიდევ რა უნდა შევქუქურო მათ. შემდეგ მე და შებაღე პაპაი სახლის წინ კვლებში ტიტებს ვრგავთ და, როცა ბოლქვების ნახევარი უკვე დარგული გვაქვს, მხოლოდ მაშინ მაგონდება, რომ მიწაში ჩემი ჩაისჯარღებანი კაბით ვირჩქნებოდი... თუმცა თავს უკვე მოვერიე. და პრიიტს განკარგულებას ვაძლევ, რომ წყალი აქ, საწოლ ოთახში, მომიტანოს, ბელებს ქაშანურის მწვანე ტაშტში ვიბან, შემდეგ მიწით ამოტენილ ფრჩხილებს ვიწმენდ და მხოლოდ ახლადა ვამჩნევ, ჩემი კრიტიკული მე, მთელი ამ დროის განმავლობაში რომ არ გამოჩენილა, ისევ დაბრუნებულა და ცივი დიმილით უცქერის, ის, მეორე, ბავშვურად ატროვებული, სარკის სიღრმეში მოქცეული, ბინდ-ბუნდში ძლივს რომ ილანდება, როგორ ზის თავდახრილი და თავის ფრჩხილებს ეჯახირება... მართალი გათხრათ, მებრალება კიდევ იგი. დიახ, მებრალება, ვინაიდან თავს ასე ადვილად ვიმორჩილებ. ვნანობ, რომ ადვილად მჯერა ის სიტყვები, საკუთარ თავს რომ ვეუბნები: ღმერთო ჩემო, მაინც რა მოხდა?! ვილაც უცნაური მალალი ბიჭი, სავსებით უცხო ვინმე, პასტორატში მოვიდა და ისევ წავიდა. ხომ სულ არაფერი შეცვლილა... დღეს იგივე ვარ, სავსებით იგივე, რაც გუშინ ვიყავი, რაც ხვალ და ზეგ ვიქნები... ეს კი სანუგეშო რამ არის ცხადია, სამწუხაროც, მაგრამ მაინც სანუგეშო... ჰოდა, მადლობა ღმერთს...

ახლა, როცა უკვე მოვრჩით ტიტების რგვას, კარზე მინა მიკაკუნებს და მაგონებს, დროა ოჯახის თავს სამუშაო ოთახში ყავა მიართვაო. (ეს მაშინვე იქცა ჩემს მოვალეობად, როგორც კი ამ ოჯახს გუვერნანტად მოვევლინე. ეტყობა, ოტოს სურდა პირველი დღიდანვე დავეახლოები. და ეს დღემდე დარჩა ჩემს მოვალეობად. თუმცა უკვე აღარ ვიცი, რამდენად სჭირდება ჩემი სახლოვე... ნუთუ მართლა არ ვიცი... რასაკვირველია, ან საიდან უნდა ვიცოდე.. ოპ, ნეტა რას მივედ-მოვედები... ღმერთო ჩემო... როგორ?! ნუთუ უკვე შვიდი საათია?! ველოდები, გულს ტკივილი შემიკუმშავს-მეთქი, მაგრამ არ შეკუმშება, მადლობა ღმერთს...

მინას ყავა მოუმზადებია და სასადილოში პატარა მაგიდაზე დაუდგამს. ლაქის შავ ხონჩაზე მარჯნისფერქუდიანი ძველებური სევრის ფაიფურის საყავა. ეს ქუდი ათი წლის წინ მოვექსოვე და დღესაც ვხმარობთ, ზედ შუშის მძივების ფოჩი ჰკიდია.. და როცა ამ უკვე დაძველებულ საგანს ვუცქერი, ასე მგონია, ვილაცა რაღაცას მესაყვედურება-მეთქი. მაგრამ რას? რას?!

საყავესთან დიდი პილტსამაასური მსხვილსახელურიანი ფინჯანი დგას (თქვენ წარმოიდგინეთ, რომ თორმეტიდან სულ ხუთი დაგვრჩა), აქვე აწყვია ვერცხლის საშაქრე და მაშა. მარჯნისფერი ფინჯანი შიგნიდან ისევე ქათქათებს, როგორც საშაქრე და მაშა. რა შეიძლება მისაყვედუროს?!

ხონჩას მოხერხებულად ვიდებ მარცხენა ხელის თითისწვერებზე და დერეფნის ქვის სრიალა იატაკზე მივაბიჯებ. უცებ ჩემი ქმრის ტყავადაკრულ კართან ვჩნდები. ზუსტად ვიცი, რა მოხდება ახლა: სანიშნო ბეჭდით კარის წირთხლზე ისე დავაკაკუნებ, რომ კაკუნი ოთახში გაიგონოს, ოტო ისეთი მკვე-

ქარე ზმით გამოეხმაურება, მიუხედავად იმისა, რომ კარზე ტყავია გადაკრული, გარკვევით ვავიგონებ:

— დიააახ!

და რომ შევალ, შუა გზაზე მომეგებება. მომეგებება იმ სიჩქარით, რაშიც უნდა გამოვტყდე. ერთგვარი ბებრული მოუქნელობაც იგრძნობა. ეს სიჩქარე ჩემში თანაგრძნობას იწვევს და მსიამოვნებს, მაგრამ მათემატიკური შვეაქციო...

კაკ-კუკ-კაკ-კუკ-

— დიააახ!

კარს ვაღებ და ვგრძნობ, რომ მუხლები მეკეცება, იძულებული ვარ ხონჩას მარჯვენა ხელი შევაშველო, რათა ჭურჭელი იატაკზე არ ჩამოცურდეს... იმიტომ კი არა, რომ ოტო წინ არ მომგებებია. არც იმიტომ, რომ იგი შორსა დგას, ოთახის ბოლოში, ფანჯარასთან. არამედ იმიტომ, რომ ოთახი ასკილის სურნელოვანი თამბაქოს კვამლით არის გაბურული. აი, ეს არის იმის მიზეზი, რომ გული ყელში მებჯინება. აგრეთვე ისიც, რომ აქ მხვდება...

ოტოს საწერ მაგიდასთან სავარძელში ზის, თეთრშარვლიანი გრძელი ფეხი ფეხზე გადაუდვია და ლაფით მოთხვრილი წადის ჭვინტი მალა აუშვერია. ვხედავ, რომ უცდია ბალახის კონით გაეწმინდა წალა. ხელში ახრჩოლებული ყალიონი უჭირავს. როგორღაც დაუდევრად და ამავ დროს დაძაბულად ზის, ერთდროულად გლახურადაც და მეფურადაც, ჯიუტ, ლურჯ თვალებს ჩემკენ ატრიალებს და კვამლში ვხედავ, რომ უცებ მზერა ალერსიანი უხდება. მრისხანედ შეჭმუხნილი წარბები უსწორდება. ფერმკრთალ პირს ოდნავ ამოძრავებს, თითქოს რაღაცას დაეძებსო — სიტყვას, გამოთქმას თუ დამოკიდებულებას, მაგრამ, ეტყობა, ერთადერთი, რასაც პოულობს, ეს არის უხმო განცვიფრება ჩემით თუ საკუთარი თავით.

ყოველ შემთხვევაში, ახლა უკვე სავსებით დამშვიდებული ვარ. რაც უნდა იყოს, აქ მის თვალწინ მაინც, — ნამდვილად დამშვიდებული ვარ.

— ოო, — მშვიდად, წკრიალა ხმით, მაგრამ ოდნავი დაციხვით ვეუბნები. — მე კი არ მეგონა, თუ გნახავდით მას შემდეგ, რაც პატივი არ დამდეთ და სადილზე არ მობრძანდით...

იგი არ მპასუხობს. მხოლოდ წარბებს კმუხნის. არ მინდა დიდხანს დუმდეს. არ მინდა ეს დუმილი უზრდელობაში გადაეზარდოს. მე ვეუბნები:

— ერთ წუთს მოითმინეთ. ახლავე ფინჯანს მოგართმევთ.

მაგიდის ბოლოს წიგნებს ვალაგებ და ადგილს ვათავისუფლებ. ხონჩას მაგიდაზე ვდებ. პირდაპირ თვალებში შევცქერა და გავდივარ. სასადილო ოთახში რომ შევდივარ და აქლომინებული ბუფეტის წინ ვჩერდები, მხოლოდ მაშინ ვგრძნობ, რომ დერეფანში ასკინკილა მოვრბოდი და ნაბიჯების ტაქტზე უხმოდ ვზეიმობდი: მოსულა-მოსულა-მოსულა-მოსულა!

მაგრამ ჩემი გულისთვის კი არ მოსულა, ვცდილობ თავის დარწმუნებას და მინდა საკუთარ თავს დავცინო, არამედ ოტოსთან მოვიდა-მეთქი. დიააახ. და ვიცინი. მაგრამ თავს ვეუბნები: არ მჯერა, არ მჯერა, არ მჯერა, არ მჯერა! თუკი ოდნავ მაინც შემიძლია ახალგაზრდების სახეზე რაღაც ამოვიკითხო...

ბუფეტიდან იაკისთვის ფინჯანს ვიღებ და მხოლოდ მაშინ, სამუშაო ოთახში ზომიერი ნაბიჯებით რომ შევდივარ და ფინჯანს მაგიდაზე წყნარად, თავშეკავებით ვდგამ, ღირსება თითქოსდა ხელიდან მისხლტება, რამეთუ ვხე-

დავ, რომ ლურჯი პილტსამაასური ფინჯნის გვერდით, ოტოს რომ მივუტანე, ჩემი ორი ფრანგული ოქროს ფინჯნიდან ერთ-ერთსა ვდგამ. ორივე ფინჯანი ზუსტად ერთნაირია, ასე რომ არ ვიცი, ის არის, რომლითაც ბიბლიოთეკაში ყავა დალია, თუ ისა, მე რომ დავლიე. შიშის მიუხედავად მაინც გამოვეუტყდი ჩემს თავს, რომ მსურდა ეს ის ფინჯანი ყოფილიყო, რომელსაც ვუტყდი შევახე. მაგრამ ჩემი შიში სავსებით უსაფუძვლო იყო. რამეთუ ვიხსენებოდა მოხვედებოდა თვალში, რომ ამ ბიჭს ოქროს ერთ-ერთი იმ ფინჯანთაგანი მოვეუტანე, როგორც სახლში სულ ორი ცალი გვქონდა. სხვა ყველა შეამჩნევდა, ოტოს გარდა, ვინაც, სამწუხაროდ და საბედნიეროდაც, ასეთ რამეებს ვერ ამჩნევს. ცხადია, ვერც იააკი ამჩნევს ამას. მაგრამ ფინჯანი იმიტომ კი არ მიძიტანია, მათ რომ შეემჩნიათ. ისიც კმარა, რომ მე ვიცი. ყავას ორივე ფინჯანში ვასხამ:

— რაო, მოწყალე ხელმწიფენო, ბატონი პეტერსონი ვახშამზე დაგვეწვევა?

იააკი პირს ადებს, რომ, როგორც მეჩვენება, მითხრას: „ოო, აბრა, მოწყალეო ქალბატონო“, მაგრამ ოტო არ აცლის:

— თავისთავად ცხადია! ბატონი პეტერსონი დღეს აღარსად წავა: ჩვენთან ცხრა საათზე ვახშამობენ. ვახშამდე მოვიყვან.

სულაც არა მწყინს — თითქმის სულ არა მწყინს, რომ ვახშამზე სწორედ ოტო მოიყვანს. რადგან, ოთახიდან გაღიმებული რომ გამოვდივარ („ბატონებო, დიად აზრებს გისურვებთ, განკარგულება გავეცი, რომ დღეს განსაკუთრებით მაგარი ყავა მოხარშონ“), უკან ვიციქირები და თამბაქოს კვამლში (ასკილის სურნელება რომ ასდის) იააკის სახეს ვხედავ — ახალგაზრდა ღმერთის სასაცილომდე თავდაჯერებულ, ლამპის შუქით განათებულ შეცბუნებულ ბავშვურ სახეს. ვიცი, ვიცი, ვიცი. ოტოს რომ არ მოეყვანა, ის მაინც მოვიდოდა...

ფრიდრიხს განკარგულებას ვაძლევ: ბიბლიოთეკის უკან მოდგმულ პატარა ოთახში ღუმელი გაახურე-მეთქი. ლეენეს ვუბრძანე. იქ ახალი ზეწარი და ბალიშისპირი შეეტანა, როცა მინა სავახშამოდ სუფრის გაშლას შეუდგა. გადავწყვიტე მაგიდის მარცხენა ბოლოდან მეოთხე ადგილზე დავსვა. აბა ოტოს გვერდით ხომ ვერ დავსვამ, იმ ადგილზე, სადაც დილას შემთხვევით აღმოჩნდა. მართალია, ჩემთან უფრო ახლოს მოუწევდა დაჯდომა, რამდენადაც საერთოდ შეიძლება სუფრასთან ახლოს ჯდომა... მაგრამ ჩვენ შორის ოტო აღმოჩნდებოდა და მე მომიხდებოდა მუდამ ოტოს მეჩხერი თმის ანდა გაფარჩხული წარბების მიღმა მეცქირა მისთვის... იქ კი, სადაც ახლა დავსვამ, თითქმის ჩემ პირისპირ იქნება. და მარცხნიდან სახეს კანდელაბრი გაუნათებს. რადგან მინდა სალამოს ლამპის ნაცვლად სანთლები ავანთებინო, რომ უფრო საზეიმო განწყობილება სუფევდეს. და მეტი სიმყუდროვე იგრძნობოდეს. მინას ვუბრძანებ, დამუყუყებული გველთევზას ახალი სარგომელა გახსნას და მაგარი ინდური ჩაი დააყენოს. კანდელაბრებს თვითონ ვუკიდებ. ყველანი სავახშამოდ იყრიან თავს.

პირველად მოდის ანტონი, ვინაც, როგორც ყოველთვის, ახლაც ყველაზე უფრო მშიერია. მას ადღერბერგი მოჰყვება, შემდეგ — ქალბატონი ეშე, შემდეგ ჩემი ჩასუქებული ქალბატონი გერი, იმას უფროსი გერები მოჰყვებიან — ჯერ კიდევ ქალიშვილები: მერე ეშე, მანუსკრიპტს ძლივს რომ შელეგია, მას

კი ანიტა მოსდევს, საქარგი რომ მიუტოვებია... ყველას ვხედავ, მაგრამ ასე მგონია, თვითონ აქ არა ვარ-მეთქი. თავს არ ვიწუხებ ჩავწვდე უცაბედლად წარმოთქმული სიტყვების მნიშვნელობას. ყველას ვუღიმი. ანიტას ღამაზე წაბლისფერ თმაზე ვეალერსები, როცა გვერდით ჩამივლის, და ოდნავ მრცხვენია ამისა. ამიტომ კი არა, რომ ეს მისი დების წინააღმდეგ მძიმარყოფილი პატარა დემონსტრაცია იყო, არამედ იმიტომ, რომ ჩემს მოძრაობაზე უფრო ვედრებაა ჩაქსოვილი... ანიტა, იყავ ჩემი მოკავშირე ამათ წინააღმდეგ მოწყობილ 'შეთქმულებაში... ვგრძნობ, როგორ მევსება გული სიხარულით, რომლის დიდი ნაწილი მაგისდასთან მჯდომ მთელ ამ საზოგადოებაზე გამარჯვების ზეიმით არის გამოწვეული. მსახურს ვეუბნები:

— ფრიდრიხ, ბატონ პრობსტსა და მის სტუმარს უთხარი, რომ ველოდებით.

ფრიდრიხი მიდის, სკამების ხრიგინის, ხველების, უკაცრავად და დიახ, ბატონო ჩემოების შემდეგ ვსხდებით. დერეფნიდან ნაბიჯების ხმა მესმის, სასადილოს რომ უახლოვდება. ვგრძნობ, რომ ოტო ჩემგან მხარმარჯვნივ ჯდება. მაგიდას გაღიმებული დავცქერი და ველოდები. ლურჯი ფაიფურის სამარჩილეში ჩაყრილ დამაბრმავებელ და ქათქათა ნარჩის დავყურებ და ველოდები, რომ ჩემ პირდაპირ, მხარმარცხნივ, მეოთხე სკამს გამოსწევინ. სუფრას დავცქერი და სხივებს თვალებში ვაგროვებ, რომ ერთბაშად რეტდამსხმელად ავიხედო მაღლა და მთლად ხმადაბლა წარმოვთქვა:

— ბატონო პეტერსონ, ძალზე მესიამოვნა თქვენი მობრძანება...

ველოდები. ამ დროს ოტო ხმამაღლა იწყებს ლოცვას — და მე ჩინწართმეული თვალებით შემკრთალი ვიცქირები მაღლა.

ის ბიჭი არ ჩანს. „გვიკუთხე უფალო, რასაც გვიბოძებ“.

მინდა ოტოს ხელში ჩავეჭიდო, მინდა დაეყვირო, სად წავიდა ის ბიჭი-მეთქი. მინდა წამოვხტე და მის საძებრად გავიქცე! მაგრამ ვერ ვხედავ. უძრავად ვზივარ გაღიმებული და ბროლის ბრჭყვიალა ძმრიან გრაფინს თვალმოუშორებლივ ვუცქერი. იმის მოლოდინში ვარ, რომ იგი მთელ სამყაროს დიდებულ ლაბლაბა კედელს მიღმა გადასწევს, როგორც ხდება ხოლმე, როცა ბრჭყვიალა საგნებს უცქერი. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ყველაფერი წინანდებურად რჩება თავის ადგილას.

ოტო ამინს წარმოთქვამს, ეშე პურს მაწვდის და ყველანი ჩანგლებს აწკარუნებენ. რამდენიმე წამი რომ გავიდა და სუფრისეულ მასლაათს დასაბამი მიეცა, მე ვეკითხები (პირველ სიტყვებს რომ წარმოვთქვამ, ჩემი დანალვლიანებული ხმა ყრუდ უღერს, მაგრამ უცებ მიმშვიდდება, თითქოს შემთხვევით ვეკითხებოდე):

— ოტო, რა უყავი შენი პეტერსონი?

— პეტერსონი? მმმ... არ ვიცი, წავიდა.

— სად წავიდა?! ასე გვიან! რატომ წავიდა?

— გადაწყვიტა და წავიდა.

— მერე რატომ გაუშვი?

— მმმ... ბავშვი ხომ არ არის, კვიცია.

— დიდი ხანია წავიდა?

— ათი წუთის წინ.

წმინდაო ჭენარო, მითხარი, რა ვქნა? შეუმჩნეველად ავდგე და გავიდე?

წინა ოთახში დადგმული კარადიდან მოსასხამი ჩამოვგლიჯო, ფეხსაცმელებიც გავიხადო, ჩექმები ჩავიცვა და ჩაბნელებულ გზას სირბილით გავუდგე? აქლო-შინებულმა ტალახში უგზო-უკვლოდ ვირბინო... იმ მხარეს სამჯერ გავძახო, ოცდაათჯერ თუ რამდენჯერ, სადაც ტარტუსკენ მიმავალი ფორნის ნაკვალე-ვია, უკუნ სიბნელეში რომ იკარგება და ჭუჭყიანი ზონარით ლაპლაპებს?! იააკ! თუ ლაპლაპა სანთლების შუქზე უძრავად შევექცე ვარშაში, თუ ვერ შევი-კავო, სანამ ეს შებოჭილობა გამივლის. შევამჩნიო, რომ მაიორი ადლერბერგი ლაბას თეფშზე მიდებს, ხომ არ ვუთხრა ოტოს, ლაბასთან ძმარს რომ მთავა-ზობს:

— ო, გმადლობ, ოტო, ახლა სწორედ ძმარი მინდოდა ძალიან...
წმინდაო ჯენარო, მითხარი, რა ვქნა?

8.

არა, კარას არ ვეტყვი, რომ ის ლაწირაკი ექვსი საათისთვის ისევ ლუდით გაჭყებილიყო. გამოვა, თითქოს ჩემს სახელს ისეთი შეურაცხყოფა მიაყენეს, რომ მას შევჩვილე... ჰაი, ის ქოფაკი... მართალი რომ ითქვას, მთვრალი არ ყოფილა. მაგრამ ლოყები ატკრეცოდა, თვალები უბრწყინავდა და ლუდით ამდილანდელზე უფრო ყარდა.

თავდაპირველად, ზეციური ქვების დღევანდელი ცდების ამბავს რომ ვუყვებოდი, ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. მაგრამ გვერდით რომ ვე-დექი და ორივე ნამსხვრევი ხელისგულზე დავუდე, თან მარცხენა ხელით გვი-დოტის ამონაწერები ცხვირთან მივუტანე, ხოლო მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით საჭირო სტრიქონებს ვანიშნებდი, რათა თვალის გაყოლება გამეადვი-ლებინა, ლუდის სუნი მეცა. აკი გეუბნებით, უფრო მკაფიოდ ვიგრძენი, ვინემ დილას-მეთქი. ამით განაწყენებულიც კი დავრჩი და გაბრაზებულიც. ოდნავ შემეშინდა კიდევ. რამდენიმე ნაბიჯით უკან დავიხიე, თავით ფეხამდე შევათ-ვალიერე და გადმოკარკლულ ლურჯ თვალებში პირდაპირ შევატყერდი: აი, თურმე როგორი ყოფილხარ-მეთქი... ალბათ ხეირიანად არც გესმის, რას ნიშ-ნავს ეს — შენ ხომ აქაურ ხალხში პირველი ახალგაზრდა და ადრე მომწიფე-ბული კაცი ხარ — პირველი (ჩემი გამოკლებით, ხომ ასეა), ვინც შესძელი რამდენიმე კარგი რაღაც დაგეწერა, რაც სასიამოვნო საკითხია, რაც, ასე ვთქვათ, ფილოსოფიური და ფილოლოგიური განათლების პირველ კოკრებს წარმოადგენს... მაშ თვითონ რატომღა უნდა იყო ასეთი, ჰა? რამეთუ გიცქერი და ვფიქრობ: განა შეიძლებოდა იმის გაფიქრებაც კი, რომ ორმოცი წლის წინ ჰალეში ამ სახით მოხუც ვოლფთან მივსულიყავ? ასე ტაკიმასხრულად მორთული? ასე ჩაუცმელ-გამოუწყობელი?! რომ ჩემი გლებური თავდაჯერე-ბით ფეხებგათარჩხული ვმდგარიყავ ან ფეხიფეხზე გადადებული ვმჯდარი-ყავ, აქაოდა, თითქოს ჩემს ბოსტანში კოლბოხზე ვზივარ და არა სწავლული, საქვეყნოდ სახელმობხვეჭილი ბატონის წინაშე, ვინც ასაკით ბაბუადაც შემე-ფერება... ვოლფთან სტუმრობა რომ დავაპირე, ფრაკი არ მინათხოვრებია, რადგან მთელი ცხოვრების მანძილზე ვიციდი პატივისცემის საზღვარი — სად იწყებოდა უტიფრობა და სად — გადაჭარბებული თავგამოდება. ასე რომ, თავდაპირველად ის ავწონ-დავწონე, საჭირო იყო თუ არა, რომ ფრაკი მენათ-

ხოვრებიანა, და ეს აზრი უარყავი. მაგრამ „ოქროს ვარდში“ შესვლა და თრი-
 ოდე კათხა ლუდის გადაკვრა, თუმცა საამისოდ ფული ჯიბეში კი მიჭყაოდა,
 თავში აზრადაც არ მომსვლია. რამეთუ ადამიანისადმი უპატივცემულობა ჩემ-
 თვის ისევე უცხოა, როგორც პირმოთნეობა. დიახ, თავს უფლებას მივცემ
 ვთქვა: ზომიერების ფასის მცოდნე ერთსაც გავუბოდი დე, ჩემთვის სი-
 ნამდვილეში შეიძლება ჩემ მიმართ ჩადენილი კადნიერებას [უფროსი] სიტყვად
 ავიტანო, ვინემ ჩემ წინაშე გამოჩენილი პირფერობა. სხვათა შორის ისიც
 ვიცი. რითაც უნდა აიხსნას ეს, რადგან გამოცდილებამ დამარწმუნა: ბინძურ,
 თავხედურ, უპატივცემულო ტიპებს, თუკი ისინი ზომიერების შენარჩუნებას
 ახერხებენ, სული და გული უფრო გამძლე და უკეთესი მასალისგან აქვთ,
 ვინემ ამ გადაჭარბებულად პატივისმცემელთ... მინდოდა მეკითხა: ბიჭო, ხომ
 არ გგონია, რომ ღვთისგან ბოძებულ ნიჭს ძალზე უდიერად ეპყრობი? და
 რომ შენი საქციელი ღვთის მიმართ გამოჩენილი ღირსებაა! კიდევ უფრო დიდი
 ღირსება, აი, ამ ჩვენი — ესე იგი, მინდა ვთქვა, შენი ხალხის მიმართ-მეთქი!
 ვისაც (წინასწარ რომ სცოდნოდა შენი არსებობის ამბავი) მამასისხლად შეს-
 ყიდული უდიდესი უფლება ექნებოდა შენგან მოეთხოვა, რომ... დიახ, მეთქვა,
 შენ წარმოიდგინე, ჩემ მიმართაც კი ვგრძნობ, რომ ამ ხალხს ჩემზე უფლებები
 აქვს. ჩემზე, ვინც სულაც არა ვარ დაკავშირებული მასთან იმ კვანძებით, შენ
 რომ ხარ-მეთქი. მეც კი მესმის, რომ იგი უფლებამოსილია ისეთებს, როგო-
 რიც ჩვენა ვართ, მოგვთხოვოს — უბრალოდ ნუ დაიხარჯებითო... ჩვენი, ვი-
 ნაც მასთან შედარებით თუ პირდაპირ სამოთხეში არა, სულ ცოტა, მის კარ-
 თან მაინც, ვერგილიუსისა და სხვათა მწვანე კორდებზე ვიმყოფებით, იმ
 დროს, როცა ეს ხალხი კისრამდე, დაე, ვთქვათ, მკერდამდე ჯოჯოხეთის მეცხ-
 რე წრის ლაფში მაინც არის ჩაფლული! ასე რომ, მას სრული უფლება
 აქვს, ისეთ სვებედნიერ ადამიანებს, როგორიც ჩვენა ვართ, მოსთხოვოს, სი-
 სულელეზე, უაზრო რახარუხსა და ბოთლებში არ დაეხარჯოთ საკუთარი ძა-
 ლა! მთელი ჩვენი ძალით უნდა ვეცადოთ, რომ მას ვემსახუროთ, რამდენის
 უფლებასაც გონება და შეძლება მოგვცემს-მეთქი... მინდოდა ბიჭს შევკითხო-
 დი, განა ამას არა გრძნობ-მეთქი... მაგრამ მის მრისხანე ლურჯ თვალებს, მის
 შეჭმუნნილ წარბებსა და მგრძნობიარე პირს რომ შევხედე, რაღაც მაკავებს.
 შეიძლება ეს მართლა იმის ბრალია, რომ მხდალი ვარ? იქნებ იმის მეშინია,
 შეიძლება ამ ბიჭმა, ერთმანეთზე გადადებულ ფეხზე ჭუჭყიანი, გაცვეთილი
 ფეხსაცმელი რომ აცვია (ჩემს აბრეშუმის, ცხვრის ტყავის ძირიან საშინაო
 ფეხსაცმელს რომ შეხედავს), ღიმილით მითხრას: „ბატონო პრობსტო, მე და
 თქვენ სულ სხვადასხვა პირობები გვაქვს. აბა გაიხსენეთ ასაკი, მდგომარეო-
 ბა, წარსული, მომავალი, გაიხსენეთ თქვენი პასტორატი და ჩემი ათფუნტიანი
 არგანი — ჩვენ შორის განსხვავება იმდენად დიდია, რომ არ შეიძლება
 ზნეობა ერთნაირად გვესმოდეს...“ იქნებ ეს მართლაც შიში იყო... ის კი სი-
 ნამდვილეში მთვრალი არ არის... იმის უფლებასაც კი ითხოვს, ყალიონს
 გაეაბოლებო... ეშმაკმა უწყის, რა ხდება! ყოველ შემთხვევაში, მინდა შევუ-
 რიგდე.

— რამდენ ენაზე ლაპარაკობთ?

გამიგონია, საკმაოდ ბევრ ენას ფლობსო. არ მახსოვს, ვინ მითხრა. მგო-
 ნი, როზენპლენტერმა. ახლა მინდა მიპასუხო და ამით პატიება შეიწყიდოს.
 ჰა-ჰა-ჰა-ჰა.

თავისი ფეხსაცმელების ჭვინტებს დასცქერის და ტუჩებს ბუკივით ამრგვალებს:

— ლაბარაკი და წერა... არ ვიცი. ეს უბრალო შეკითხვა არ გახლავთ. ამას არა უშავს, თურმე მოკრძალებულიც ყოფილა.

— მე იმას გეკითხებით, ავად თუ კარგად რამდენი უნდა იქნებოდეთ? ისე, რომ კითხვა შეგეძლოთ?

— ჰოო, თუ მკვდარ ენებსაც ჩავთვლით... თექვსმეტი გამოვა... დაახლოებით.

ჰმ. ეს კი ნამეტანი თავხედობაა უკვე. მაგრამ მაგონდება, რომ როზენპლენტერმაც ზუსტად ასევე მითხრა. და გულში საოცარ სიხარულსაც ვგრძნობ და ბრაზსაც. ეს ყალთაბანდი, ეს ლაწირაკი ბიჭი...

— ეს მართლაც რომ დიდებული რამ არის... მაგრამ უნდა სცადოთ პოეტური ხელოვნების თქვენეული გაგება დახვეწით. მე წავიკითხე თქვენი ის ორი ნაწყვეტი, როზენპლენტერმა რომ გამოგზავნა. ნება მიბოძეთ, სიმართლე გითხრათ. თქვენისთანა ახალგაზრდა კაცს, ვინაც ამავე დროს ასე თუ ისე ნიჭიერია, როგორც თქვენ, სიმართლე მხოლოდ და მხოლოდ სარგებლობას მოუტანს. მხედველობაში მაქვს სიმართლე საკუთარ თავზე. ეს თქვენი ნაწყვეტი სულაც არ არის პოეზია. ტყე სვამს, ზღვა იზიდავს და სხვები, რაც იქ გიწერიათ, განა ეს პოეზიაა?!

ვხედავ, თავს მაღლა სწევს და ლურჯი თვალებით ისეთი ყურადღებით შემომცქერის, დავიბენი, ვგრძნობ, რომ ამ ძუძუმწოვარა ბიჭის წინაშე სიტყვები ზუსტად უნდა ავწონ-დავწონო. ჰა-ჰა-ჰა-ჰაა.

— რატომ არ არის პოეზია? — როგორღაც აღმაშფოთებელი უდრტვინველობით მეკითხება იგი, — თუკი მწყურვალე ადამიანის თვალსაზრისით შეხედავთ და თუკი ბიბლიაშიაც ასევე მშვენივრად არის ნათქვამი სასმელის თაობაზე.

— ბიბლიის რომელ ადგილს გულისხმობთ? — ვეკითხები და უმაღვგრძნობ, როგორ მიპყრობს მოუსვენრობა, გულში კი ამავე დროს ვფიქრობ: აი, თურმე როგორი ყოფილა! ესე იგი კლასიკოს პოეტებს არ იშველიებს. რამეთუ ის, ვის წინაშეც უნდა დაიცვას თავი, მე ვარ — ძველი სქოლასტიკოსი საღვთო წერილის დარგში, ეკლესიის ბებერი ჭია. სხვათა შორის თვითონაც მიკვირს, რომ ჩემი თავი მის თვალში ასეთად წარმომიდგენია. მაგრამ მე ხომ ვიცი, ვიცი: ახლა იგი კანაში გალილეისა ქორწილის ამბავს¹ გაახურებს. მის ადგილას ნებისმიერი უნივერსიტეტელი ლაწირაკი სწორედ ასევე მოიქცეოდა და ველოდები, ახლა უნივერსიტეტის ამ სიმღერას შემომაჩეჩებს-მეთქი:

და მაცხოვარმა დასძინა მშვიდად:

აწ გასრულდება ამბავი ესე —

რაც წყალი იყო ოდესღაც წმინდა,

ის წითელ ღვინოდ იქცევა დღესვე...

და ასე შემდეგ.

ის კი თავის ყალიონს ახრჩოლებს და მეუბნება (ეშმაკმა წაიღოს, ნუთუ დაცინვით მეუბნება, ჰა?):

¹ კანა გალილეისა — ქალაქი გალილეაში, სადაც, სახარების თანახმად, ქრისტემ ქორწილზე სასწაული მოახდინა — წყალი ღვინოდ აქცია.

— იმ წერილის მეექვსე თავში, პავლემ ებრაელებს რომ მისწერა, ნათქვამია: „რამეთუ ქვეყანამან რომელმან სვას მრავალ გზია მის ზედა მსრული წვიმაჲ... მიიღებს კურთხევასა ღმრთისა მიერ“. სიტყვამ მოიტანა და გეტყვით... (ღმერთმანი, ამ ბიჭის თავისუფალ კილოს რაღაცნაირი დამცობავი ელფერი დაჭკრავს) ბატონ პრობსტს ბრალდებისას მისამართი ქსოვს — ქსაცის აკრიტიკებს, ვინმე პეტერსონი კი არა, უძველესი დროის ანაკრეონტია. და მე იმის გაფიქრებასაც კი ვბედავ, ზუსტად გადმოვიღე-მეთქი. გახსოვთ?

არა, არ მახსოვს, რამენაირად უნდა დავიცვა თავი (ჰა-ჰა-ჰა-ჰაა) ბიბლიის ამ ტვინისმჭყლეტელ მცოდნისგან. ვეუბნები:

— იცით, მეეჭვება, ანაკრეონტი იყოს ისეთი პოეტი, რომ თქვენებრ ახალგაზრდა კაცმა თარგმნოს. ყოველ შემთხვევაში აქ მაინც არ უნდა ითარგმნოს ეს ბებერი შფოთისთავი და ლოთი მაწანწალა. უარესი რომ არაფერი ვთქვათ. დიახ, და მით უმეტეს გამოუსადეგარია ესტონურ ენაზე სათარგმნელად. აბა რა სიკეთე უნდა იაწავლოს მისგან ჩვენმა ესტონელმა?!

აზრს არ ვასრულებ, სათქმელს ბოლომდე არ ვამბობ; არ ვამბობ არც ერთ სხვა ლიტერატურაზე, თუნდაც მას სხვა მიზანი ჰქონოდა, არათუ მხოლოდ ჭკუის სწავლება. — ასეთი რამ კიდევაც რომ მოგვსვლოდა აზრად — ჩვენი ესტონელი ხალხისთვის მასზე დაფიქრებაც არ ელირებოდა. უკიდურეს შემთხვევაში უახლოეს ას წელიწადს მაინც არა.

თითქოს ჩემი გამოუთქმელი აზრი ამოიკითხაო, იგი მეუბნება (წარბები შეუჭმუხნავს, პირი მოუკუმავს და თავისი დიდრონი თვალები გადმოუკარკლავს, ვერ გამიგია — მე მიბღვერის თუ სხვაგან იცქირება):

— ბატონო პრობსტო, მე მგონია, სასკოლო წიგნები სხვა საქმეა, დანარჩენები კი — სხვა. მაგრამ ისიც გვექნება, რაკი არსებობს ისეთი ხალხი, ვისაც შეუძლია ისინი შექმნას, გამოღის, რომ ის წიგნები საჭირო ყოფილა. რამეთუ, სხვაგვარად რომ ვიფიქროთ, ყველაფერი უღმერთოდ გამოგვეპარება.

იქნებ ბოლომდე არ მესმის, რას ფიქრობს იგი. მაგრამ მეჩვენება, რომ უხდა შევეკამათო, თუმცა არ მინდა, მით უმეტეს, რომ ბავშვურად გაღიძებული უცებ უმატებს:

— ხოლო რაც შეეხება ჩემს ორ თარგმანს, ისინი ნამდვილად უმნიშვნელონი არიან და არ ღირს მათზე ლაპარაკი.

დიახ, ისეთები, როგორიც ეს ბიჭია, მუდამ ასე ლაპარაკობენ: ჩემს სხვა ნამუშევრებზე ვისაუბროთ, იმაზე ნუ ვილაპარაკებთ, რაც ენაზე გვადგასო. ლაპარაკად არა ღირს, დაუხვეწავია. იცით, აჩქარებით და სასხვათაშორისოდ გაკეთებულიო.

— მართალია, — ვეუბნები მე, — და ამიტომ გამაგებინეთ, რა ისმის ამ ბოლო დროს ჩვენს მეგობარ ბატონ სუპერინტენდანტთან?..

იმედი მაქვს, უფრო სწორად, იმედი მქონდა, თუ შეკითხვებით თავგზას ავუბნევი, შეიძლება ისეთი რამ გამეგო, რის გამოკითხვასაც თვითონ ზონტავს ვერ შევკადრებდი: რამდენად შორს აპირებდა შეტოპვას ეს საერთოდ გამჭრიახი კაცი, პრობსტ როტსა და ზოგიერთ სხვა ინტრიგანებს რომ უჭერდა მხარს, და რაც უფრო დიდხანს ვესაუბრები ამ ურჩ ბიჭს, ამ პეტერსონს, მით უფრო მეჩვენება, რომ ეს ის ბიჭი არ არის. და ეშმაკმა უწყის, როდის ვაძლევ ამ კითხვას, რათა მთავარ აზრს დავუბრუნო, ოდნავ მეშინია კიდევ, პასუხის გაცემისას თავი ძალიან არ გამოიდოს-მეთქი. სამწუხაროდ, და, მად-

ლობა ღმერთს, თავისი შინმოყვანილი თამბაქოს კვამლში გახვეული მპასუხობს:

— ბოლო დროს არაფერი გამიგია. რადგან უკანასკნელი გაზაფხულის შემდეგ ბატონ ზონტაგთან მხოლოდ ერთხელ ვიყავი. მაშინვე, რაც უნივერსიტეტი დავტოვე. ამის გამო ბატონმა სუპერინტენდანტმა ისე შემახურა, რომ საჭიროდ აღარ ჩავთვალე მასთან სიარული, რათა ძარღვევნი არ მომლოდა...

და ამ ამბავზე ეს ყმაწვილი უცოდველი ანგელოზივით იღიმება, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სუპერინტენდანტისთვის გულფიცხოვა სულგრძელად მიპატიებიაო...

ვეკითხები:

— კი მაგრამ, უნივერსიტეტი რატომღა მიატოვეთ?

ვეგრძნობ, სწორედ ამიტომ უნდა გაიკიცხოს, მაგრამ მაინც არ მინდა გავკიცხო და მიზეზსაც თვითონვე ვჩრი პირში:

— ალბათ ფული გაკლდათ, არა? ხშირად ესაა ხოლმე მიზეზი...

მაგრამ ეს აყლაყუდა უარყოფს ჩემს ვარაუდს, გარეთ აფურთხებს და თავისი ანგელოზისეული ღიმილით მეუბნება:

— ოჰ, არა ბატონი სუპერინტენდანტი მერეც შემიწყობდა ხელს. მაგრამ იცით, — მე ადრევე ავუხსენი თქვენს მეუღლეს, — იქ სასწავლო აღარაფერი იყო...

— ეს როგორ?! წლინახევრის შემდეგ?!

— დიახ. ისეთი არაფერი იყო, რომ ტარტუში ცხოვრება და ლექციებზე სიარული ღირებულიყო. რამეთუ ყველაფერი, რასაც იქ კითხულობდნენ, შეიძლება კაცმა წიგნებში ამოიკითხოს. იმ წიგნებში, საიდანაც ჩვენი პროფესორები სწავლობდნენ. მაპატიეთ და შიგ მათ ნალაყბევზე ბევრად უფრო ახალი რამეების აღმოჩენაც შეიძლება.

— ჰმ. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ...

— კარა, შენ გითხრა იმ პეტერსონმა, უნივერსიტეტი იმიტომ მივატოვე, რომ იქ ვერაფერს შევიწავლიდიო?

ლაბიან თეფშს თვალს ვწყვეტ და კარასკენ ვიციქირები. კარა აღარ არის. კარა ამდგარა სუფრიდან, არც შემიმჩნევია, როდის ადგა. არ ვიცი, სად წავიდა. მე ისევ თეფშს დავცქერი.

— ჰმ. მისმინეთ, ამბობენ, ესტონურ ენაზე ლექსებს წერთო. მართალია?

— მმმ... დიახ. თავის გამოსაცდელად ოცამდე სიმღერა დავწერე.

• თეფშს განზე ვაჩოჩებ. ვდგები. სუფრასთან მსხდომნი შემომცქერიან.

— მაშა, სად მიდიხარ? — ვეკითხება ანიტა (უმეტესად მეც ანიტას ვეძახი, ისევე როგორც კარა).

— განაგრძეთ მშვიდად ვახშობა. მე ერთი იდეა დამებადა.

ისევ ჩემს სამუშაო ოთახში ვბრუნდები. არავითარი იდეა არ მომსვლია, ჩამქრალ ყალიონს ვპოულობ, ცეცხლს ვაკვებს და ყალიონს ვაჩალებ. ფანჯარასთან მდგომმა უცებ წარმოვიდგინე, როგორ უჯდა ჩემს მაგიდას ფეხი-ფეხ გადადებული, ხელში კი ყალიონი ეჭირა. მე კი ვეკითხები:

— თქვენს ლექსს ხომ ვერ წამიკითხავთ?

იმიტომ კი არ ვეკითხები, თითქოს ძალიან მაინტერესებდეს მისი ლექსების მოსმენა. მაგრამ მაინც საინტერესოა, თუკი გავიხსენებთ, რა ცოტა ვყუავს

ისეთი პოეტები, ლექსებს ესტონურ ენაზე რომ წერენ, თუ ფრენის მსგავს სამღვდელთა წარმომადგენელ მკვლავებს არ ჩავთვლით.

ბევრი ხვეწნა არ მჭირდება. თუმცა თვითონაც არ იწუხებს მათ კითხვას დიდი სიამოვნებით. დგება. მისი გონება თითქოს სადღაც სხვაგან დაქრის. ზეპირად მიკითხავს რამდენიმე სიმღერას. უნდა გითხრათ, რომ სკანდინავიურ ხობლად კითხულობს. მაგრამ სწორედ ამიტომ მსიამოვნებს, რამეთუ ვერ ვიტან, როცა აღელვებითა და ხმის კანკალით კითხულობენ. სულ ერთია, სად იქნება ეს — ეკლესიის კათედრაზე თუ სცენაზე. ასევე ლექსების კითხვის დროსაც. ასე რომ, შესრულების მხრივ ყოველივე ეს კეთილად განგაწყობს მის მიმართ. მაგრამ, ჩემო კარგო ბიჭო, ეს რა ლექსებია! ენაზე არაფერს ვამბობ. ყურისთვის იგი საოცრად დახვეწილია. თუმცა სამხრეთული კილოკავის ზოგიერთი აბდაუბდაც გამოვიჩინებ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, შენი ნაწერი მე რომ წავიკითხო, შიგ უამრავი ორთოგრაფიული შეცდომა და უცნაურობანი აღმოჩნდება. მაგრამ გუბნებით, ენას არ შევეხები-მეთქი. თუმცა თვითონ ლექსებში არც რითმებია და არც ხეირიანი ზომა! ცხადია, ვიცნობ დავითს, სოლომონს, ოსიანს, კლოპშტოკს... მაგრამ, ბატონო პეტერსონ, განა შენ გვერდით შეიძლება მათი მოხსენიება?! ჰა? განა შეგიძლია მათ გვერდით საკუთარ თავზე ილაპარაკო ისე, რომ არ გაწითლდე? მათ უკან მოიტოვეს ათასწლეულები, მთელი კულტურები... შენა?! დაახ. ის ჩალის ლეიბი, ქვეშ რომ დაგიგია — მე ვფიქრობ აქაურ მოსაწყენ ხალხურ სიმღერებზე, მათ ერთფეროვნებაზე, რომელთა გამოყენებასაც შენ ცდილობ ხან აქ, ხან იქ, ასე ვთქვათ, შენს ლექსებში ჩურთავ მათ... პირდაპირ იყენებ ანდა ოდნავ უცვლი სახეს... განა ასე არ ამბობ —

დაქროლა ქარმა შემოდგომისამ
და ყვავილები ჩამოჰკნა უმაღ,
მაგრამ მე ვუწყვი: მადლი ღვთისაჲ
აალორძინებს მათ ძველებურად:
მინდორს მოჩითავს ყვავილთა ფარჩით.

დიახ... ამაში თითქოსდა არის რაღაცა... მადლი ღვთისაჲ... ჩემთვის ხომ არ აზოგირჩევია ეს ნაწყვეტი?... ეტყობა, თავად ღვთის არცთუ ისეთი თავგამოფრთხილი მსახური ხარ, რაკი თვით ზონტაგის სურვილის წინააღმდეგ თეოლოგიიდან ფილოლოგიაზე გადასულხარ?... და იქ ვერაფერი გიპოვია, შესასწავლად რომ ღირებულებიყო... დოკლაპია... (მე ვერც ღვთის ზედმეტად თავდადებულ მსახურთ ვიტან. ღვთის მიმართ, პირველ ყოვლისა, ზომიერად უნდა გეჭიროს თავი).

შემდგომ თავისი უმეტესელო კილოთი წინასწარმეტყველურ სიტყვებს წარმოთქვამს:

მთებსაც მოუწევთ თავისი ეამი,
მათი ძლიერი თავები მალე
იქცევა მტვერად.

(მტვერად — მტვერად — მტვერად — რატომ მტვერად, როცა მტვერად უფრო სწორია?)

იქ, გამთენიის სილაყვარდეში
 ზღვის ზედაპირზე ვინ დაქრის ნეტავ?
 სპეტაკი ქაფის ლამაზ ქულებში
 ფრთას ვინ აქანებს?..



ქართული

ჰა-ჰა-ჰა-ჰა... ეს კიდევ უკეთესი... არწივი ლამაზ ქულებში აქანებს-
 სო... ჰმ... თვითონ ხარ ხოჭო, და გეტყვი, შენ დაქრი და თეთრქაფიანი ლუ-
 დით იბრუყები. კარზე კაკუნის ხმა რომ გაისმის, უცებ ჩუმდება და ჯდება...

— დიააახ!

ეს კარაა. ჩემთან, სამუშაო ოთახში, ყავა მოაქვს. ასეა ყოველდღე, შვიდ
 საათზე, თუკი ამ დროს შინა ვარ. რაკი ნახა, რომ პეტერსონი ჩემთან იყო,
 კარამ მასაც მოართვა ფინჯანი. თუმცა ეს ენად გაკრეფილი ბიჭი მხოლოდ
 მაშინ ისაზრებს ფეხზე წამოდგომას, კარა რომ გადის. თუმცა ამ მხრივ ამ
 აყლაყუდას არც ჩვენი სტუდენტები სჯობია ბევრად...

— განაგრძეთ.

საესებით ნათლად ჩანს, რომ ფიქრებით სხვაგან დაქრის, არადა, მინდა
 მისი ლექსები მოვისმინო. რომ ჩემი გადაწყვეტილება არ შეეპყვებოდეს.

— განაგრძეთ, ბატონო პეტერსონ, მე გისმენთ.

ქარი წვიმას უშხაპუნებს ფანჯრის მინებს, ბალის ლობეს, წისქვილს, საგუ-
 ბარსა და დამბას. ბინდბუნდში მესმის მისი ოდნავ მოყრუებული ხმა:

ტირის წელიწადი წარმავალი,
 მას აცილებენ თავსხმა წვიმები,
 თავს გადაემხო ზღვას და მდინარეთ
 შავი ცა ამა თავსხმა წვიმების.

(აბა-აბა, ახლა თვით ზეცა უმართავს წარმოდგენას, დეკორაციებს აწყობს და
 ქარის მანქანას ამოქმედებს... ვერა, ვერ მომისყიდის იაფფასიანი შემთხვევი-
 თობით!)

მოუსვენარმა ქარებმა კი
 სიკვდილის სიმღერა შემოსძახეს...

(მერე რა მოხდა? ამის თაობაზე ხომ უკვე ათასგზის დაუწერიათ ლექსი.
 და არც აქ იჩენს თუნდაც სულ მცირე პოეტურ დისციპლინას. გასაკვირიც
 კია, როგორ მოუვიდა ეს ასეთ განათლებულ კაცს. ოჰო, თავს გადაემხოო ზღვას
 და მდინარეთ? რამდენადაც მახსოვს, ხუპელს ეს სიტყვები არა აქვს ნახმარი).
 ოჰოო...

კლდეებს ეხეთქება ტალღები და
 გრგვინვა ისადგურებს საოცარი.
 სიმღერაც ასეა: იჭუხებს და
 მსგავსია მძლავრი მეხთატების.

მადლობა ღმერთს, რომ გრგვინვა არ ამოგდის მაგ პირიდან. თუმცა შენი
 მშვიდი, ყრუ ხმით წაკითხულ ესტონურ ლექსებში ამგვარი სიტყვები პოეზი-
 ისთვის უცხოდ ეღერს. თუკი ისინი ისევე სერიოზულად იქნა გაგებული, რო-
 გორც შენა გაქვს. ანდა შეიძლება ესტონური ლექსისთვის ყოველივე ასეთი

უცხო იყოს. ყველაფერი, რაც ფრეისა და მისთანების ნაბოღვარზე ოდნავ უფრო შინაარსიანია?...

სიმღერა მძლავრია, ძლიერია,
მსგავსია ცეცხლის ნიაღვრისა!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

(ბიჭოს... სიმღერა ცეცხლის ნიაღვარივით — ეს თავისთავად ცუდი არ უნდა იყოს... მაგრამ რატომ არის, რომ ცისქვეშეთის სტიქიის ეს ქვითინი უცებ ნიაღვრად, თუნდაც ცეცხლის ნიაღვრად გადაქცეულა?! იქნებ აქ ჩვენი ახალგაზრდა მელექსე ნამეტანი სიცხადით იგულისხმება, ჰა?)

ხოლო მელექსე ძმათა შორის დგას სანთელივით,
სიმებს აქლერებს მწარე მოთქმა-გოდებით.

(გასაგებია! ჰოი, საწყალო ბიჭო, რა დიდი პრეტენზიები გაქვს და როგორ გაგიცრუვდება იმედები! ნამდვილად ცრემლებს დამაფრქვევინებდი, რომ გაგეცინებინე. ზომიერების გრძნობა გაკლია!)

ფანჯრის სველ მინებში უკუნი სიბნელე იცქირება. მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთით სისხლისფრად ელვარებს ჩამავალი მზე.

უცებ ზილბერმანის ძველი კლავესინის სახურავს ხელს ბრტყლად ისე ურტყამს, რომ ლამპა შეირხა და რამდენიმე წამს წკრიალებენ სიმები. და მე შესმის, როგორ აუკანკალდა ხმა... ალბათ ამის მიზეზი რაღაც სხვა უფრო დიდია, ვინემ ის თავისუფლება, ასე დიდ რამედ რომ მიაჩნია...

ნუთუ ჩემს მშობლიურ ენას
არ ძალუძს სიმღერის კვალად
ლაევარდში ლამაზად ფრენა
მარად, მარად და მარად.

რატომაც არ შეუძლია?! რასაკვირველია, შეუძლია! უნდა შეძლოს კიდევ! თუმცა ზომიერების გრძნობა შენთვის უცხოა. ოცდაათი წელია ამ ენას ვსწავლობ! ორმოცი წელია ამ ენაზე ვწერ. იმაზე ორჯერ მეტხანს, რაც შენ სუნთქავ. ამ ენაზე ათასობით გვერდი დამიწერია, ათასობით გვერდი! — იცი კი, რას ნიშნავს ეს? — და ყველა მხოლოდ იმიტომ მოვსპე, რომ წერაში ვარჯიში იყო! ახლა კი შენ მეცხადები (თან იცი, რა დამოკიდებულებაც მაქვს ამ ენასთან), მეცხადები — კისერზე წინწყლებიანი თავშალი შემოგიხვევია, სულ ოცი წლისა ხარ და ოცი სიმღერა დაგიწერია — და ჩემ წინაშე ეს ენა ზეცამდე აგყავს... ჩემ წინაშე, ვინც ორმოცი წლის განმავლობაში გამუდმებით ვფიქრობდი ამ ენის განსაცვიფრებელ აგებულებაზე და ერთი დღეც არ გამომიტოვებია, იქ სავალი გზები არ მეძია...

ვეუბნები:

— ბატონო პეტერსონ, თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი ხართ...

მინდა სიმართლე ვუთხრა. მინდა მის საკუთარ ადგილზე მივუთითო. იმაზე კი არ ველაპარაკო, რომ გემართებს იმის ქმნა, რასაც თვით უფალი მზამზარეულად გვიდებს პირში, არამედ იმაზე, რასაც ჩვენვე ვუშვრებით ჩვენს თავს. მინდა ბებერი გოეთე მოვიშველიო, თუ ამ ბიჭმა არ დამიჯერა. ვიცი, რომ არ დამიჯერებს. ასეთებს არასოდეს სჯერათ, რასაც გამოცდილი ხალხი ეუბნება, ზუსტად ამ ზაფხულს წავიკითხე გოეთეს ახალი ქსენიები, სწორედ ის, რაც ახლა შემიძლია გამოვიყენო.

ნიჭი — ვის არ აქვს იგი? ტალანტი — სათამაშოა ბავშვებისათვის, უპირველესად სიღარბაისლე შექმნის კაცს კაცად — სიბეჯითე და მწყაირობა კი გენიოსად.

და ასე შემდეგ მე საჭირო სიტყვებს ვპოულობ. ვპოულობ... გვგონებ. სინამდვილეში ხომ ამ ბიჭისთვის მხოლოდ სიკეთე მსურს. ვადავანებ... ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც ტაქტი აკლია, მაგრამ დიდ უტიფრობას არ ჩაიდენს და ამავე დროს ნიჭიც და უნარიც მოსდგამს. იგი მორჩა ლექსების კითხვას. ძალიან კარგი, რომ ბოლო ლექსი ენის შესახებ იყო (თუ კი შეიძლება ლექსი ეწოდოს). ეს ლექსი მოწმობს, რომ ესტონური ენის ბედი აწუხებს. ისევე, როგორც მე. იგი ჩემს მაგიდასთან დგას. ფერმკრთალი ლაწვები ოდნავ შეფაკვლია. ფანჯარას ვშორდები. ბიჭის წინ დავდექი. ისე ახლოს დგას, რომ ჩემამდე თავისუფლად აღწევს ლუდის სუნი. მე რა ვაპატიებ. შეიძლება საამისოდ თავისი მიზეზები ჰქონდეს. შეეჭვება ყველაფერი ვიცოდე მის შესახებ. თავის დასაცავად პავლე დამისახელა. ჰა-ჰა-ჰა-ჰა... მის დასაცავად სოლომონის დედის ციტირებაც შემეძლო (სოლომონის იგავეები 31, 6, 7. ხომ კარგი მეხსიერება მქონია ბერიკაცს, ჰა?) „და მიეცემის სიმთვრალე მწუხარეთა და ღვინო სუმად ლმობიელთა, რათა სვან და დაივიწყონ გლახაკება და სალმობანი არა მოიხსენენ“. შეიძლება ეს სიტყვები მასაც შეეხებოდეს. მაგრამ ჩვენ დედა-დედოფლის ვერაგობასა ვგმობთ. იმ მშართველს კი არ ვუჭერთ მხარს, ვინაც თავის ქვეშევრდომთ იმიტომ ათრობს, რომ თვალი აუხვიოს და თავიანთი უბედურება და გაჭირვება ვერ დაინახონ. როგორც ბატონი მემამულეები ექცევიან თავიანთ გლეხებს, ჩვენ იმისი მომხრენი ვართ, რომ გონებაგახსნილი გლეხები აყუყუდდეს, რომ თვალნათლივ ხედავდნენ თავიანთ გაჭირვებას. მე ვიწყებ:

— ბატონო პეტერსონ, თქვენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხართ...

და ეს ბიჭი — იგი ახლაც იატაკს დასცქერის — თავის დაკუთხულ თავს ძალდა სწევს. უაზროდ გადმოკარკლული მხიარული თვალებით მალლიდან დამცქერის, მაორთქლებს ლუდის სუნს, რაც სულაც არ მეპიტნავენა, და სიცილით მეუბნება:

— დიახ, ბატონო პრობსტო, ამ ნაკლს მე არა ვფიცავ!

მე მზადა მაქვს ისეთი პასუხი, რაც საშუალებას მომცემს ჩემს განზრახვას დავუბრუნდე და საუბარი მისი ადგილის თაობაზე წარვმართო. ვიცი, რომ ფუჭი სიტყვებია. მაგრამ მაინც ხილია: ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ეს არის ერთადერთი ნაკლი, დროთა განმავლობაში რომ გაგივლის...

ამავე დროს კარგად მესმის, თუ რას უნდა ნიშნავდეს მისი აზრით ეს სიტყვები, — სხვა რომ არაფერი, ყოველ შემთხვევაში, იმ მახვილის მიხედვით მაინც, სიტყვა ამ-ზე რომ გააკეთა, ამ ნაკლს არა ფიცავს. ესე იგი, თავისი ახალგაზრდობა სულაც არ მიაჩნია ნაკლად! პირიქით, მისი აზრით, ეს უპირატესობაა. რამეთუ იგი უდარდებლობის სანუკვარ უფლებას ანიჭებს განუსჯელობის სანუკვარ უფლებას, რისგან გამომდინარეც უფალს ესაუბრება და ესტონურ ენას აღმერთებს! და რითმები არაფრად მიაჩნია! ასე გეგონება, ოჩოფებებზე შემდგარი რითმებისა და სტროფებზე წნულ ღობესავით ალაჯებს, მარცხენა იდლიაში ესტონური რითმა ამოუჩრია, მარჯვენაში ბერძნული... ხოლო თუ ეს ნაკლი სათნოებაა, მაშინ სხვა ნაკლოვანებანი, რაც სხვა ადამიანებს ახასიათებთ, გასაგებია, რომ სერიოზული ნაკლი ყოფილა... თუნდაც ის, რომ სამოცი წლისა ვარ და სრულ წესრიგს ვესწრაფი. ეს მშვენივრად მესმის.

ოღონდ არ ვიმჩნევ. მინდა მშვიდად, მტკიცედ და მამაშვილურად ვუთხრა: მისი ვერსიფიკაციები სხვა არაფერია, თუ არა კეთილი განზრახვით წარმოებულ ცდები. და თუკი მეცნიერებაში ფილოსოფიურ შრომასთან ერთად აუცილებლად უნდა ისინიც წეროს, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მაგრამ ოციოდე კი არა, ორასიოდე დაწეროს. ათი მათგანი შეარჩიოს, შემოიტანოს და მაჩვენოს. ღმერთო ჩემო, რამდენი გერმანული, ლათინური და ბერძნული ლექსი დამიწერია ტარტუსა და ხალეში, მაგრამ იმდენად სულელი არასოდეს ვყოფილვარ, რომ მეფიქრა, ყოველი მათგანი ახლავე უნდა დაიბეჭდოს-მეთქი... ხელი გაიწაფოს. დროგამოშვებით იკითხოს. და უკანასკნელი დროის ყოველნაირი ორიგინალები კი არა, ვთქვათ, იმისა, რა ჰქვია... ახლა თითქოს საგიჟეთში რომ არისო... ჰოლდერლინისა. იკითხოს გოეთე, შილერი. უმეტესად კი პატარა, მაგრამ უფრო გასაგები მწერლები — გელერტი, პფეფელი, ჩვენი ქვეყნის საჭიროებას უკეთ რომ პასუხობენ. ცხადია, ესტონური ნაწარმოებები ჯერ კიდევ არა გვაქვს (ხომ ვერ ვეტყვი, ოტო ვილემ მაზინგის „აჯაბაჯა“ წაიკითხე-მეთქი, თუნდაც იმიტომ ვერ ვეტყვი, რომ ჯერაც ვერ მოვასწარი გაზეთში მისი დაბეჭდვა. ერთი კვირის წინათ წავუკითხე ჩემიანებს, ხოლმანს, ჩვენს მრევლსა და მოსამსახურეებს, მეწისქვილესა და მის შეგირდებსაც დავუძახე. შაბათი საღამო გახლდათ, მინდოდა მეტი მსმენელი მყოლოდა. სამზარეულოში ვიყავით. ყველამ გული იჯერა სიცილით, ძალიანაც აქეს, თუმცა...)

როცა ამაზე ვფიქრობდი, თუ რა პასუხი უნდა გამეცა, უცებ უცნაურმა გრძნობამ შემიპყრო. ეს იყო ღვარძლიანი, დამბლის დამცემი სირცხვილი... (ნეტა ვის წინაშე, ვის წინაშე?!) თვალწინ სულელურმა სურათმა გამოელვა: ვაშლის ხის ძირას საკუთარი ნაგვის გროვაში უკანა თათებზე შემართული დათვი ღვას და წინა თათებით მალლა მიცოცავს. ხის კენწეროზე კი ეს ბიჭი ირწევა, ზურგზე ბელურას დიდრონი, ნაცარა ფრთები გამოსხმია, მკვახე ვაშლს ახრამუნებს... ირგვლივ ლოხუსუუსელი კისტერის ბალია... ვაშლის ხე უზარმაზარი გაზრდილა, მაგრამ მე მაინც ვცნობ. ეს მოჯამაგირე იანის ბებერი ანისოვურია... ვგრძნობ, რომ ამ ბიჭისთვის სხვა უნებლიე პასუხი მაქვს მზად. უფრო სწორად, მინდა შევეკითხო. უამრავი შეკითხვა მაქვს: მართლაცდა რას ფიქრობს? ვის აწონებს თავს თავისი კალმის უხეირო ნაცოდვილარით? რამეთუ ისინი სხვა არაფერია, თუ არა უსუსური კოხტაპრუწის ნაჯღაბნი! დიახ! მაგრამ ამავე დროს იმასაც ვგრძნობ, რომ როგორღაც მიჭირს ამის თქმა. ასე რომ ვცდილობ ჯერჯერობით არაფერი ვუთხრა. და ამის ნაცვლად ვეკითხები (ახლა ასე მგონია, უფრო ხმამაღლა ვკითხე, ვინემ საჭირო იყო):

— იცით თუ არა, რომ სანკტ-პეტერბურგის ობერკონსისტორიაში შედგენილია იმ ლიფლანდიელ პასტორთა სია, ვისაც არაკეთილსაიმედო აზრების გამო თანამდებობიდან გადაყენებას უპირებენ? იცით თუ არა, რომ იქ ჩემი სახელი ერთ-ერთი პირველთაგანი წერია?

ეს ბიჭი წინ მიდგას, ჩემს მაგიდასთან. იგი პასუხს არ მაძლევს. ჯერ მე მიყურებს, მერმე მაგიდას დასცქერის და იმ გირებს ათამაშებს, რომლებითაც ჩემი ზეციური ქვა ავწონე. მე ვეკითხები:

— იცით თუ არა, რა ითქვა ჩემზე სამშაბათს ვაიმელაელი რიხტერისას გამართულ სადილზე? იქ მთელი ოლქის თერთმეტი მემამულე იყო თავშეყრილი. და იქ აშკარად ითქვა, ამ წყეულ რობესპიერს ერთხელ მაინც უნდა ამოვასვრევინოთ ცხვირი ტალახში! აქამდეც იყო საჭიროო!

ვგრძნობ, ამ სიტყვებს რომ ვამბობ, ტუჩები მითრთის. იმ მუქარის მიუხედავად, მე რომ მაშფოთებს, რამეთუ ის ამბავი, რიხტერსა და მის დამქაშებს ეს რომ საოცარ მკრეხელობად მიაჩნიათ (ეს კი ნაწილობრივ ააფა), მათი სურვილის წინააღმდეგ ერთგვარ მოწიწებასაც შეიცავს. მათი სურვილის წინააღმდეგ, მათდა შეუცნობლად და შეუგნებლად. ამის იმედგ უნდა იქნეთ. იმედი მაქვს, ამ აყლაყუდას, ვის წინაშეც მეუხერხულეა თავს უფლება მივცე დაცინვით გავილიძო რიხტერისა და მის მოძმეთა ნალაყბევის გამო, ეს ეს-მის...

თვალეზში ფიცხლივ შემხედა და გაილიძა. ვერც კი გავიგე, ეშმაკურად გაილიძა თუ ისე, უნებლიეთ. მაგიდიდან ჩემს რეპეტიტორს იღებს, რომლითაც დილას ვაკვირდებოდი, თუ როგორ რეაგირებას ახდენდნენ სიმჟავეზე ჩემი ძიწიერი თუ ზეციური ქვეები (საკუთარი საათი ალბათ ლომბარდში აქვს დაგირავეებული). მე შემომცქერის და ისე მეუბნება, თითქოს აქ კი არა, უკვე სხვაგან იყოს:

— გმადლობთ, ბატონო პრობსტო, ჩემთვის რომ დრო დაქარგეთ. არა, არა. დიდი მადლობა, ვახშმად ვერ დავრჩები. ახლა წავალ, ნახვამდის. და სანამ რაიმეს თქმას მოვასწრებდე, სწრაფად გადის.

9.

უკანაც იმავე შორი გზით უნდა გავბრუნდე, აქეთ რომ მოვედი. ამ სიბნელეში ძნელი გასარკვევია პასტორატიდან შარავზისკენ მიმავალი ბილიკი. ის გზა კი, დილას რომ გამოვიარე, ასე თუ ისე მახსოვს.

უკან ხომ არ გავბრუნდე?..

წვეარამ სიბნელეში ვდგავარ მდინარის პირას აღმართულ საბატონო სახლთან. სადღაც აქვე, მხარმარცხნივ, წისქვილის საგუბარი უნდა იყოს, წყალი ისე ჩუხჩუხებს, თითქოს იქიდან სიბნელე ამოდულსო. ზემოთ, ჩემ ზურგს უკან, სახლის განათებულ ფანჯრებს შავად ალანძული თხილნარი ფარავს.

არ შეიძლება ჩემი აქ დარჩენა. რამეთუ საღამოს, პუხტალევიდან აქეთ რომ მოვდიოდი, თავს სიტყვა მივეცი, ექვსი საათისთვის ყველაფერს მოვრჩები-მეთქი. შეიძლება საჭირო არ იყო, მაგრამ საკუთარ თავს მაინც მივეცი სიტყვა, რომ ღამეს მათ ჭერქვეშ არ გავათევდი. პრობსტს უნდა ვეწვიო სასაუბროდ, რაკი შევპირდი, მოვალ-მეთქი, მაგრამ მაშინვე წამოვალ, როგორც კი შესაძლებლობა მომეცემა. ვერ გავბედავ იქ გაჩერებას. რაკი ფიქრში მის ცოლს ათჯერ გავხადე ტანსაცმელი... არა! არ გამიხდია! ვეალერსებოდი, ვევედრებოდი, ლექსებს ვუკითხავდი... რაც შემიძლია, ჩქარა უნდა ვიარო.

თვალეზი თანდათანობით ეჩვევა სიბნელეს. წვიმით დასველებულ ქვებზე ფეხი აღარ მისხლტება. ხელის ცეცებით ვაგნებ საგუბარზე გაყვანილი ბილიკის მოაჯირს. იმედი მაქვს, რომ ტბის პირას გაშლილ ტირიფნარშიც ვიპოვი ბილიკს. როცა გზაზე გავალ.. ოჰ, როგორ მინდა კიდევ ერთხელ შევხედო იმ ქალს. მოწმენდილი დღის სინათლეზე ჩავხედო თვალეზში. რომ დავასკვნა, მართლა გამოხატავდნენ თუ არა მისი თვალეზი იმას, რაც მათში ამოვიკითხე... პრობსტს თავის სამუშაო ოთახში ყავა რომ მოუტანა და, სანამ გარეთ გამოვიდოდა, უკან მოიხედა და შემომაცქერდა — ეს იყო ყველაფრის დამვიწყებელი ის გამოწვევა და ძახილი, მთელ ცხოვრებაში ჩემთვის არც ერთ

ქალს რომ არ გაუმეტნია... მინდა კიდევ ერთხელ ვიხილო მისი სხეული, მისი ლამაზი, თავისუფალი მიხრა-მოხრა, როგორც არასოდეს არც ერთი ქალისთვის არ შემინიშნავს...

აქ დარჩენა არ შეიძლება... მაგრამ რომ არ იცი, საით წახვიდე ამ წყვეულ სიბნელეში... თუნდაც გზაზე იყო გასული... სადაც ღრუბლებს ქვეშ მთვარე კიატობს. მაგრამ აქ თვალთან თითს ვერ მიიტან... უცნაურმა მკვლევარმა რაღაც საოცრება მოჰყვა ხეციურ ქვებზე. თან დროსაც რომ პოულობს საამისოდ. მაგრამ რა იყო, ბოლოს უცებ ყვირილი რომ დამიწყო, არაკეთილსამედო პასტორების სიაზე გადავიდა და თავისი მეტსახელი რობესპიერი ახსენა — ვერასგზით ვერ გამიგია... იმიტომ ხომ არა, რომ ჩემი სიმღერების დედააზრს ჩასწვდა... არა მგონია... ამაზე სხვა დროს ვიფიქრებ. ახლა გაფაციცებით უნდა ვიყურო, რომელ მხარეს წავიდე. კარგი იქნება, ცოტას დავისვენებდე... მოიცა... ღრუბლებს შორის მთვარის ნახაზმა, მისმა მეთედმა ნაწილმა გაიღვია... როგორ მოხდა, რომ ნაცვლად იმისა, საგუბარზე გამეგლო, მდინარის მარცხენა მხარეს გადამიხვევია? როდის შევუშვი ხელი მოაჯირს? სულ არ მახსოვს... დაბე, ამ მიყრუებულ ბელელს იქით, რომლის კუთხემდეც ხელის ფათურით მივალწიე, მთვარია მკრთალ შუქზე ლოფშტელი თუ ორი ნაქერალი ჩანს — ყველაფერი წვიმით ახალგანბანილია და ვერცხლისფრად ლაპლაპებს. მინდორში ჩამწკრივებული საშრობები შავად ალანძულა, მათზე შვრიის ძნები აწყვია — ასეთ რამეს ახნაურთა მამულებშიაც იშვიათად თუ შეხვდებით. მაგრამ ბატონი მაზინგი ხომ აქაურ მრევლში ყველაზე მუყაითი კაცია... ახლა ისევ ჩამობნელდა, თვალები რომ დაითხარო, ვერაფერს დაინახავ. მაგრამ ზოგი რაღაც მაინც შეიძლება გაარჩიო, ბელლის კუთხიდან სველ, მოშრიალე ნაწვერალზე ორმოცდაათ ნაბიჯს გავივლი და პირველ ზვინთან გავჩერდები. ფეხსაცმლის ტვინტით, მუხლითა თუ სახით მივაგნებ. არგანს მიწაზე დავდებ. ხელებს შევმართავ და თბილ, მძაფრი და ტკბილი სურნელების მქონე გამოქვაბულში შევძვრები. აი, უკვე მოკაცული ვწევარ შვრიის შრიალა ზვინში. თითქოს თავად დამე გასქელდა, ისე მიკაწრავს სახეს.

საბატონო თუ საჯალაბო სახლში ძალღებმა ყეფა ატეხეს. რა ჩემი საქმეა, აქ სწორედ ისე ვგრძნობ თავს, თითქოს დედის საშოში ვიჯდე. მაინც ჯობია არ დავახველო, თორემ ძალღები კიდევ უფრო მოუმატებენ ყეფას. მიჭირს თავის შეკავება, ხველა მახრჩობს. კიდევ კარგი, რომ ამას მაინც ვახერხებ. ერთი ცოტა დამასვენა... უცნაურა ბერიკაცია... იქნებ უნდა მეკითხა, ჩემს სიმღერებზე რას ფიქრობთ-მეთქი? თუ უნდა დავლოდებოდი, სანამ თვითონ შეტყობდა რამეს... მაგრამ მაშინ მასთან ვახშმად დარჩენა მომიწევდა... იქნებ ახლა ის ქალი და მე ერთად ვმსხდარიყავით სუფრასთან... ის ორნი და მე ერთ მაგიდასთან... არა, არ მინდა. არ მინდა. ახირებული ბერიკაცია... მაგრამ ის ქალი ისეთია... ზურგითა ვგრძნობ, რომ ძნები ნესტიანია. საკმარისია თავი გააქნიო, რომ შვრიის ცივი ღეროები შეგეხება და მთელ სხეულში გრუნტელი დაგივლის. შვრიის ფოჩებიანი თავთავეებიდან სიბნელეს გავცქერი. თვალებს ვხუჭავ. ღმერთო ჩემო, სულ ერთსა და იმავეს ვხედავ, თვალგახელილიც და თვალდახუჭულიც: იმ ქალის ალანძულ სახეს, მის ყელსა და მოღელილ გასანთლული ყვავილებით ვაწყობილ გულისპირს. ეს იმის ბრალია, რომ ახლა, სადამო ხანს, ისევ მაციებს, და სხეულში ისეთ სიმჩატეს ვგრძნობ, თითქოს ბურბუშელით ვიყო დატენილი. ოჰ, უფრო მჩატეც კი მგონია თავი...

მიუხედავად იმისა, რომ საოცრად დაღლილი ვარ, ასე მგონია, ჩემთვის უფალს ჩაედგას სული... თუმცა ბნელა, მაინც ყველაფერს ვხედავ: ღამის, ზვინების, სახლის ერთი წყრთა სისქის ქვის კედლების, აბრეშუმის ყვითელი კვადრატების მიღმა (ეს ჩემი იოსელისგან, ჩემი ებრაელი ბიჭისგან, მაქვს გაგებუ-ლი, ქსოვილების დუქანში შევირდად რომ მუშაობს და რადღაც რადღაც მას-წავლის), ყოველივე ამის მიღმა გატიტვლებულ იმ ქალს ვხედავ... გასაკვირია, მაინც საიდან უნდა ვიცოდე, როგორ გამოიყურება შიშველი ქალი? მაგრამ მე ხომ ნანახი მყავს შიშველი ქალი... ორჯერ მოვკარი თვალი, — იმ ზაფხულს, ვიიდუმბააში რომ ვიყავ, მაშინ ათი წლის ბიჭი გახლდით, — ბებერი კიიკის ორთქლით სავსე აბანოში ვნახე ქერათმიანი გოგონა მიინა, თუ ეს მეორედ იყო, სისხამ დილას მე და ალო სამწყემსურში რომ მივდიოდით... ნის-ლში იასამნისფერთვალეებიანი ძროხები და თეთრი არყის ხეები მიცურავდ-ნენ. და ნისლში მკერდამდე ჩაფლულ მიინას ჩვენთვის ტომრით საგზალი მოჰქონდა... არა, მას პერანგი ეცვა... ან მოხდა კი ასეთი რამ?... იქნებ ეს ჩემი სიმღერები ყოველად უვარგისია. მერე რა, რომ პირდაპირ არ უთქვამს... „ბა-ტონო პეტერსონ, თქვენ ჯერ ძალზე ახალგაზრდა ხართ...“ „ბატონო პრობს-ტო, თქვენს მეუღლეს სულაც არ მიაჩნია, რომ ახალგაზრდობა შეიძლება სა-საყვედურო იყოს...“ მადლობა ღმერთს, სირცხვილმა გული შემიკუმშა, ამგვა-რი ღვარძლიანი რამ რომ გავიფიქრე. გზა უნდა განვაგრძო. რადგან აქაც, ამ საშრობში, მაინც მათ ჰერქვეშ მგონია თავი... არ ვიცი, კი, მაგრამ, ზამთარ-ში იყიდან ახალგაზრდა დომბა რომ გამოვარდნილიყო და აქ ქარბუქს და-და (ეს რა სისულელეა, განა ახალგაზრდა დომბას ქარბუქი შეაშინებს? კრიაც აქ საზამთროდ დიდი ხნის წინ იქნებოდა დაბინავებული), მაგრამ მაინც რომ მოსულიყო და აქ მდგარიყო, ეს იქნებოდა თუ არა რომაული სამართლის თანახმად იგივე, თითქოს ბატონ ბაზინგის გომურში ყოფილიყო?... დაე, ასე იყოს, ცოტას შევისვენებ და წავალ. შუალამემდე დიდი ხნით ადრე შივალწევ პუხტალეევის სამიკიტნოსთან მდებარე ფარდულამდე, სადაც წუ-ხანდელი ღამე გავათიე. ეს უკვე ნამდვილად აღარ არის მათი ფარდული... სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არ არის.

ქაღლები გაჩუმდნენ, წისქვილზე წყალი დგაფუნობს... და არც ისე გუ-ლდასაწყვეტია, რომ, მისი აზრით, ჩემი სიმღერები არაფრად არ ვარგა. სხვა-ნაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო... სტყუი! სტყუი! სტყუი! რატომ არ შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო? ჩემთვის ეს უკანასკნელი დროის ყვე-ლაზე სამწუხარო ისტორიაა... ოდნავ მაინც რომ გაეგო, თუ რა მინდოდა მათ-ში ჩამექსოვა, შეიძლება დიდი ვაივაგლახით მომეხერხებინა ერთი პატარა წიგნის შედგენა, ერთი პატარა წიგნისა. მისი ქებით დაქროლილი ნიავი ჩემს ფრთებს ძალას შემატებდა. დერბეკი სატიტულო ფურცლისათვის ხეზე ვი-ნიეტს ამოჭრიდა — მზესა და ჩიტს, როგორც ვუთხარი... კრისტიან იააკ პე-ტერსონის სიმღერები... დაბეჭდილი ქალაქ რიგაში 1822 წელს... სინამდვილეში ხორკლიან, ნაცრისფერ ქალაქზე დაბეჭდილი თხელტანიანი წიგნი იქნებო-და, მაგრამ მაინც... ახლა კი ალბათ საერთოდ აღარ გამოვა.. კეთილი. ამაზე სხვა დროს ვიფიქრებ. მესმის, როგორ მიბაგუნებს გული: დაგ-დუგ, დაგ-დუგ... ღრუბლებში ისევ გაიელვა ნამგალა მთვარემ... დაგ-დუგ-დაგ-დუგ. ასე გე-გონება, მოშრიალე ნაწვერალზე ვიღაცა მსუბუქად და ფეხაჩქარებით მოაბი-ჯებს. სისხლი კი ყურებში არ მიშხუის, არ ვგრძნობ. ყოველ საღამოს, სიცხე

რომ მიწევს, ვგრძნობ. დღეს კი არა ვგრძნობ. ეს იმის ბრალია, რომ წისქვილის რუ განსაკუთრებით ხმამაღლა მიჩუხჩუხებს. მხოლოდ და მხოლოდ ამას ვგრძნობ.

დაგ-დუგ-დაგ-დუგ...

„იააკ, იააკ, აქა ხართ!“...

„მთვარის შუქზე ნამიან მინდორში თქვენს ნაკვალევს წავსწყდი“ ახლა კი აქ თქვენს სახეს მოვკარი თვალი“.

ისევ ისე ბნელა, თვალთან თითს ვერ მიიტან. მან ხელები საშრობის ხვრელში შემოჰყო. დაიხარა და ძნების სახურავქვეშ შემოძვრა. სახეზე თითები შემახო. მაგრამ არ გამირბის. ჩემ გვერდით ჯდება. ჩურჩულით მელაპარაკება. არ მესმის, მხოლოდ იმას მეუბნება. რაც ჩემს შეგნებამდე აღწევს. თუ კიდევ მელაპარაკება რაღაცას და ვერ ვიგებ იმის გამო, რომ გული საოცრად შიბაგუნებს.

— იააკ... მე თქვენ გთხოვეთ, სადილზე მოსულიყავით. გთხოვეთ, ვახშამზე გვეწვიეთ-მეთქი. რატომ გამირბინართ? ნუთუ ასე გეზიზღებით! თუ ასე ძალიან გეშინიათ პრობსტის?..

ოდნავი დაცივნით მაინც რომ ეკითხა ეს, უფლება მექნებოდა მისთვის ხელი მეკრა მარტო ჩემი კი არა, პრობსტის გულისთვისაც... მაგრამ მის შეკითხვაში დაცივნის ნატამალიც არ იგრძნობა. ოდნავი ირონიაც არ ისმის. მისი მხურვალე ჩურჩული ბავშვური შიშით არის აღსავსე. ეს აშკარად ლაპარაკობს იმაზე, რომ პრობსტის თვითონაც ეშინია. და ეს არ მაძლევს უფლებას ზურგი შევაქციო. ეს საოცრად გვაახლოებს ამ საშიში განმარტოების უამს თავთუხების ქვეშ მყოფთ. ვგრძნობ, რომ მკერდი არ მეყინება. ერთ ადგილს არ ვეზრდები. სიხარულით ფრთაშესხმულს უფრო მეტი მინდა, თუკი ამ მონანიებისა და საოცრების მბოძებელი შენა ხარ, უფალო ღმერთო...

ამ მშვენიერ, საოცარ ქალს ხელებზე ვკიდებ ხელს... ღმერთო ჩემო, ასეთი შემთხვევა მთელ ცხოვრებაში არ მქონია... გრილი, სრიალა ხელები აქვს. წვრილი და თან ამაღელვებლად ღონიერი ხელები. არ ცდილობს ხელი გამაშვებინოს.

მე რაღაცას ვეუბნები. არ ვიცი, რას. მხოლოდ ერთი რამ ვიცი: რომ ეს სერიოზული რამ არის. რომ ეს ჩემი სულიდან მოდის. რამეთუ თავის მოკატუნება ვერ წარმომიდგენია, კომედიანტობა არ შემიძლია. იქნებ მხოლოდ ამას ვეჩურობდი:

— თქვენ...

ხელზე ხელს ვუჭერ... მეჩვენება, რომ ამას ვეჩურობდი: „...თქვენ... ჩემი სული და გული ხართ“... მეჩვენება, რომ ვლოცულობ: ყოვლის შემძლე ღმერთო, უზომოდ გულმოწყალე, სამყაროს სულო, საქმე ისე წარმართე, იმაში, რასაც ახლა ჩავდივარ, არ იყოს ოდნავი შურისძიებაც კი იმის გამო, რომ სიმღერები დამიწუნა! ისე მოაწყვე...

სწორედ ამ დროს ვგრძნობ, რომ ღმერთი წყალობის თვალთ მიცქერის. ამას ოდნავ ვგრძნობ, ესაა ქვეშეცნეული თრთოლვა სულის სიღრმეში. მიხდა ვუთხრა: სულო ჩემო... ნეტავ რა მოგველის?... განსაკუთრებით ის მახარებს, რომ საკუთარი უმწეობის უსასრულო გრძნობა მიპყრობს... და კიდევ მისი უმწეობისა... პასუხის გაცემას რომ ვერ ახერხებს. ტუჩებს ვარხევ და მოგვიანებით ვგრძნობ, რომ პირი მლაშე და თბილი რაღაცით მაქვს სავსე...

— თუ ღმერთი გწამს, იააკ, რა არის ეს?

პირს ვარიდებ, რომ კაბა არ დავესვარო. ცედილობ ვადაცვალაპო იაკ...
შეშინებული, სასოწარკვეთილი ხმაძალოა ვეუბნები:

— სისხლია!



10.

მახსოვს, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე დედამ მიაშბო, რომ მას შეძდებოდა, რაც ნებაოლის ურეში ნავით პირველად და უკანასკნელად გავისეირნეთ, ღამე ძილში წამოვმდგარვარ, ჩვენი სასტუმრო სანაპიროზე იდგა ბაღში ჩავსულვარ და კიბით ზღვისკენ მძინარე დავშვებულვარ. ვფიქრობ, სუფრა რომ მივატოვე და იააკის საძებრად წამოვედი, სადღაც ჩემი შეგნების სიღრმეში ეს მოგონება კიაფობდა ალბათ, განსაკუთრებით იმ წუთს, ქარში სავსებით ჩაბნელებულ ეზოში რომ ვიდექი და ვფიქრობდი, საით წავიდე-მეთქი. ნათლად არაფერი გადამეწყვიტა და არც მტკიცე გეგმა შემედგინა. ჩემი ერთადერთი სურვილი მისი პოვნა იყო. ახლა მაგონდება, რომ თავში ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ბუნდოვანი სურათები მერეოდა. ისინი სასაცილოც იყო და სატირალიც: ალაფებული გზატკეცილი... გრძელი ფეხებით ლაფზე ისე მიფრინავს, როგორც ხანდაზან ადამიანები დაფრინავენ ძილში... იქვე ტალახში კოჭებამდე ჩაფლული ჩემი ფეხებიცაა. მზის ათინათი ანიტას ნამტირალეც სახეზე... ვიღაც სხვისი სახლის მორუხო კედელში დატანებული წვიმიტო დასველებული ფანჯარა... და ყოველივე ამის მიღმა ჩემივე საკუთარი ხმა, რომელიც მიდასტურებს: ყველაფერი შესაძლებელია... პირი გზატკეცილის, ტბისა და საყანეებისკენ ვიბრუნე. მდინარისკენ ხელის ფათურითა და ბორძიკ-ბორძიკით დავეშვი. არ ვიცი კი, რატომ. ოდნავი წარმოდგენაც არ მქონდა, საით უხდა წავსულიყავი. დაძახება ვერ გავბედე. შეიძლებოდა ვინმეს გავგონა. მდინარისკენ დავეშვი. საგუბარზე რომ გადავდიოდი, ბილაკის გასწვრივ ხელის ფათურით მოვძებნე მოაჯირი და მდინარე გადავიარე. მოაჯირი რომ გათავდა, გზის გავრთვლების სანაცვლოდ უკან გამოვეტრიალდი და წამოვჭდი. საგუბარზე ვიდექი და წყლის ელურტულს ვუსმენდი. მხოლოდ ერთ წამს. დაყოვნება არ შეიძლებოდა. ეტუობოდა, თავის დახრჩობაზე არ ვფიქრობდი. მე ისევ ამ ნაპირზე გამოვბრუნდი. უკან სიბნელეში ვიდექი და მთელი არსებით — ყურებით, სხეულით, თმით ვაყურადებდი — მერე ნაპირ-ნაპირ წისქვილის ბედლისკენ გავემართე. თვითონაც არ ვიცი, რატომ. ღრუბლებიდან მთვარემ ერთი წამით გამოაჭყიტა. და დავინახე განიერი ნაბიჯების დიდი ნაკვალევი, ვერცხლისფრად მოლაპლაპე ველზე პირველი საშრობისკენ რომ მიემართებოდა. შრიალა ნაწვერალზე ნაკვალევს გავყევი. ნახევარი გზაც არ გამეველო, რომ მთვარე ისევ მიიშალა. საშრობთან რომ მივედი, უკუნი წყვილიადი იდგა. ხელი მოვაფათურე და ხვრელს მივაგენი.

— იააკ? იააკ, აქა ხართ?

ხმას არა მცემს.

— მთვარის შუქზე ნაკვალევს წავაწყდი, სველ ნაწვერალს აჩნდა. ახლა კი აქ თქვენ სახესაც მოვკარი თვალი.

ხმას არა მცემს.

მაგრამ მე მის სახეს ვერ ვხედავ. მართლა ვერ ვხედავ მის დიდ, ფერ-

მკრთალ ბედნიერ სახეს. რადგან ირგვლივ სრული სიბნელე სუფევს.

საშრობში შევდივარ. სიბნელეში ხელებს წინ ვიშვერ. აგერ არის მისი სახე. მისი მხურვალე, აჭერცლილი, გაბანჯგვლული სახე. მართლაც აქ არის. წმინდაო ჯენარო, რა უფლება მაქვს, მის სახეს ხელი შევახო?

მიწაზე მის გვერდით ვჯდები. მინდა ვუთხრა: ხედავთ, ექვთიმე, მეც ვეწვევითან მოვედი. მთვარეულივით მოვედი. მინდა გავიღვიძო. იმ სამყაროში გაღვიძება კი არ მინდა, საიდანაც მოვდივარ, არამედ აქ, სადაც მოვედი. მაგრამ ამის ხაცვლად ვეუბნები:

— „იააკ, მე თქვენ სადილზე დაგპატიეთ. გთხოვეთ, ვახშამზე გვეწვიეთ-მეთქი...“ ოჰ, ღმერთო ჩემო, რა უბადრუკად და ყალბად ჟღერს სადილსა და ვახშამზე საუბარი... ეს კიდევაც მაღიზიანებს და ამავე დროს კიდევაც მათვის უფლებს, ის კი პასუხს არ მაძლევს.

— „რატომ გამირბინხართ?“ (ღმერთო ჩემო, ამას რას ვამბობ! სად გაქრა ჩემი ზრდილობა?!)

ხმას არ მცემს.

— „ნუთუ ასე გეზიზღებით?“ (ღმერთო ჩემო, ეს რა მომდის? სირცხვილი სად დაეკარგე? მე ხომ წესიერი ქალი, მაღალი სასულიერო პირის ცოლი ვარ?..)

„ან ნუთუ ასე ძალიან გეშინიათ პრობსტის?“

ოტოსი მე თვითონ მეშინია. შიშით ხელ-ფეხი მერთმევა: ეს იმის გამოა, რის ჩასადენადაც მზადა ვარ. ოღონდ ჩემი შიში შორს არის, ერთი წყრთა სისქის ქვის კედლების, ამ წკვარამის და სურნელოვანი თავთუხების სქელი ფენის მიღმა... (წმინდაო ჯენარო, რატომ ვეკითხები, ხომ რა გეშინია-მეთქი?.. წმინდაო ჯენარო, ჩემს შეკითხვაში ხომ წვეთიც არ არის დაცინვისა თუ წაქეზებისა?!)

მინდა ხელი ჩავჭიდო, რომ ხელი რაიმეზე მეკიდოს. იგი ჩურჩულებს: სულო ჩემო! თითქოს ყოველი ღერო, სიბნელის ყოველი ნაწილაკი ჩურჩულებს მისი პირით — სულო ჩემო...

მაგრამ ამ დროს პირიდან სისხლი წასკდა.

— იააკ, თუ ღმერთი გწამთ, რა არის ეს?!

პასუხს არ მაძლევს. მაგრამ უკვე ვხვდები, რაც არის, შიშით ზარდაცემული ვშეშდები. ძლივს ვახერხებ სიმშვიდის შენარჩუნებას. რადგან არ შეიძლება მისი შეშინება. რაღაც უნდა ვიღონო.

— პირაღმა დაწეჭით! ოღონდ ფრთხილად! — ვცდილობ მივეხმარო.

— კიდევ მოდის სისხლი?

პასუხს არ მაძლევს. სჯობია, ახლა არაფერი ვკითხო.

— ეს პირველი შემთხვევაა? (ღმერთო ჩემო, არ შეიძლება რამე ვკითხო, რომ არ ილაპარაკოს.)

თავს აქნევს. ძალ-ღონეს არ ვზოგავ, რომ გავიხსენო, თუ რა არის საჭირო ამგვარ შემთხვევაში. საბედნიეროდ, წინათ ოტოს მრევლის ავადმყოფებს ვუვლიდი. რაკვერის ოლქის ექიმი პეტროლდი მასწავლიდა: ჭლეჭით დააეადებულთ, პირველ ყოვლისა, ერთი-ორი კოვზი სუფრის მარილი უნდა მიეცეთ, მკერდზე ცივი კომპრესი დავადოთ. და უძრავად უნდა იწვეს... მაგრამ ამას სახლამდე ხომ ვერ მივიყვან, და ვერც გავბედავ, რომ... ჩემს სხეულსა და

ტანსაცმელზე ხელს ვიფათურებ. ვგრძნობ, რომ კაბა მისი სისხლითა მაქვს მოთხვრილი... ყოვლისშემძლე ღმერთო, რა ვქნა?!

— ნუ ღელავთ. არ გაინძრეთ. მე შინ გავიქცევი, მარილსა და ცივ კომპრესს მოვიტან. ახლავე დაებრუნდები.

ხელზე ხელს მიჭერს და ძლივს მეჩურჩულება:

— ფრთხილად... თქვენ ალბათ სისხლითა ხართ მოთხვრილი...

ბუჩქებს შორის ციმციმებს სახლიდან გამომკრთალი შუქი. ჩაბნელებული ნაყანევით მივრბივარ. სახლში ისე შევდივარ, ვერავინ შემამჩნიოს. კარს საგდულით ვკეტავ და შუქს ვანთებ. ღმერთო ჩემო...

ელვისებურად ვმოქმედებ. იმის დროც არა მრჩება, რომ გავიკვირვო, ამას როგორ ვახერხებ-მეთქი. კაბას ვიხდი, ვჭმუჭნი. თეთრეულის ყუთში რაც შეიძლება ღრმად ვტენი. (მერე ცივ წყალში უნდა დავალბო, თორემ ვერაფრით ვერ გამოვიყვან ლაქებს). საბედნიერო, დოღში წყალი აღმოჩნდა პირსა და კისერსს სასწრაფოდ ვიბან. პირსახოცი. გარდერობიდან პრიუნელის კაბას ვიღებ. კამოდიდან — საჭირო ზომის ტილოს ნაჭრებს. დოქიდან წყალს ხის ვედროში ვასხამ... სხვაზე არაფერზე არა ვფიქრობ. მხოლოდ სადღაც შორს. შეგნების სიღრმეში, ტყის გადაღმა სამხედრო დოლივით ყრუდ გუგუნებს უბედურების მომასწავებელი საფრთხე... მადლობა ღმერთს, მოვრჩი! კი მაგრამ, მარილი! კარს ვაღებ და დერეფანში ვიცქირები. ახლოს თუ შორს შინაურების ხმა გაისმის. სასადილოს ღია კარში ვიცქირები — ეს-ესაა საზოგადოება ნავახშმევს დაშლას იწყებს: ანტონი და ელეონორა ბიბლიოთეკაში მიდიან, ეშუ ფეხზე დგას და სასადილოში ვილაცას ესაუბრება. ვხედავ ყავისფერ სურთუკიან მის ზურგსა და ბანჯგვლიან კეფას. ძალზე უხერხული დრო კია. შინაურებს თვალითაც ვერ დავენახვები. ვგრძნობ, ისე ვარ შეშფოთებული, არ იქნება ამის მიზეზი არ მკითხონ და შეკითხვაზე პასუხის გაცემა არ მომიხდეს... დერეფანში სამზარეულოსკენ მიმავალმა ანიტამ გაიღვა.

— ანიტა!

მოტრიალდა, დამინახა და ჩემკენ მორბის. მე მას საწოლი ოთახისკენ მივათრევ.

— დედა, რა მოგივიდა?..

— არაფერი. — ვუღიმი და ხელს თავზე ვუსვამ. — წადი, სამზარეულოდან სუფრის კოვზი და მუჭით მარილი მომიტანე! თუ დებმა ან სხვა ვინმემ გკითხონ, სადა ვარ, უთხარი, არ ვიცი-თქო, ჩქარა გაიქეცი. მერე ყველაფერს გეტყვი.

— ახლავე მოგიტან, დედა.

— შენ კარგი გოგო ხარ.

იგი მიდის. კარს ისევ ურდულით ვკეტავ. პატარა ანგელოზებიან კედლის საათს ვუყურებ და წუთებს ვითვლი. ერთი წუთი. ორი წუთი, სამი წუთი, ანაზღად მზერა ლოგინზე გადავიტანე, ჩვენს ცოლ-ქმრულ ლოგინზე, და უცებ ჩემს შეგნებამდე აღწევს... ვგრძნობ, რომ სახე, კისერი და მკერდი მეწვის... ეს ცივი წყლის, ხეშეში პირსახოცისა და შეშფოთების ბრალია... ხუთი წუთი. ექვსი წუთი. ღმერთო ჩემო, ნუთუ ასე ძნელია მუჭა მარილისა და კოვზის მოტანა!

ანიტა ცდილობს კარის გაღებას. მე ის ოთახში შემომყავს. მარილს ცხვირ-სახოცში ვყრი და ვნასკვავ.

— დედა, რით დაისვარე მოსასხამი?

იგი ჩემი მოსასხამის კალთას მაღლა სწევს... მას გრძელი მუქი-წითელი ლაქა ამჩნევია.

— ოჰ, მართლა... საკუჭნაოში ვიყავი, გოგოებს ენდროს შირების საღებავი მოუღებდით და ახარფაშაში ჩაუსხამთ. შემთხვევით გადავისხი კაბაზე..

— მერედა გამოვა?

— ცხადია, გამოვა. — მოსასხამს გარდერობის სიღრმეში ვკიდებ, კაბებს იქით. — ახლა წადი, ანიტა!

— სად მიდიხარ?

— ზომ გითხარი, მერე გეტყვი-მეთქი. მე შენ არც ნავახშმევს გინახივარ. ანიტა გადის. მადლობა ღმერთს, უკვე ყველაფერს მოვრჩი. ოჰ, არა, სახთელი უნდა წავიღო თან. კარს ვაღებ — დერეფანი ცარიელია. წინა ოთახიდან ფარანს მოვარბენინებ. შიგ ანთებულ სახთელს ვდგამ. მხრებზე შავ, საყოველღეო მოსასხამს ვიხურავ, ვედროს ვიღებ, ფარანს მოსასხამის კალთის ქვეშ ვმაღავ, რომ ფანჯრიდან ვერაფერს დამინახოს.

ნაპურალზე უმეტესი მანძილი უშუქოდ გავიარე. მეშინია, რამდენი რამ მაშინებს. ბევრი რამ. იქნებ უკვე კვდება. რასაც მე ვაკეთებ, მხოლოდ მოწყალების დის მოვალეობა კი არა, ცოდვა, ცოდვა და ცოდვაა! იქნებ დიდხანს შევაგვიანე — თითქმის ნახევარი საათი. იქნებ ფანჯრიდან დამინახონ. ვინაიდან როცა თითქმის სირბილით მივდივარ — ცალ ხელში ვედრო მიჭირავა, მეორეთი კი მოსასხამის შიგნით ფარანი მაქვს მიკრული მუცელზე — ჩემ გარშემო ნაწვერალზე დახტუნავს და ჩემთან ერთად მოძრაობს მოკიაფე წრე. ასე გეგონება... — თუმცა ძალიან კი შეჩქარება და შიშისგან ზარდაცემულიც ვარ, თავში შემადრწუნებელი, ამავე დროს კი სასაცილო აზრი მიჩნდება — ასე გეგონება, შუქით ვიყო ორსული-მეთქი... და თავს ვირწმუნებ: სისხლის დენა შეუწყდებოდა — შე-უ-წყდე-ბო-და-შე-უ-წყდე-ბო-და-შე-უწყდე-ბო-და... მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება — აღარ-არ-ემუქრება-აღ-არ-ემუქრება... და სავსებით ანაზღუდად გავიფიქრე — შემძლია სიმღერის გაკვეთილების ჩატარება, ენების სწავლება, საჭმლის გაკეთება, თეთრეულის ჩანდრვა, იატაკის მორეცხვა, შეშის დაჩეხვა... (არა, ეს კარგად არ მეხერხება...) მაგრამ მე მაინც ყოჩალი ქალი... რაღაცას მოვიფიქრებ. ნეტავ როგორ უნდა გადავიყვანო სახლში. ბიბლიოთეკაზე მიდგმულ სენაკში თბილა. ლოგინი გაშლილია... წასვლა იმითომ მოუნდომებია, რომ ცუდად გამხდარა. და სისხლის დენა სადღაც აქვე ავარდნია, სახლის მახლობლად. ასე მომხდარა ყოველივე... ახლა კი ჩვენსას უნდა იწვეს. ხვალ ქალაქიდან ექიმს გამოვაძახებინებ. ის დაადასტურებს, რომ ამის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება... რადგან მარილიც დროულად მიგიციათ და მკერდზე ცივი კომპრესიაც დროულად დაგიდვიათო... წელში ვიხრები და საშრობში შევდივარ...

— იააკ...

ვედროს მიწაზე ვდგამ და მოსასხამქვემოდან ფარანს ვიღებ.

იგი აქ აღარ არის.

საშრობი ცარიელია...

ფარანს მიწაზე ვდგამ და კადონებს ვეყრდნობი. ისეთი გრძნობა მაქვს,

თითქოს თავქაჯშეყრილი მოვრბოდი და ქვის გადაულახავ უჩინარ კედელს მივაწყდი.

ნუთუ მართლა გამექცა?! ისევ გამექცა... სულს ჩემო, წამჩურჩულა და გაიქცა, თუმცა სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდა. მაინც გაიქცა. რაკი გაიქცა, ალბათ რაღაც საშინელი მიზეზიც ჰქონდა... კი მაგრამ... იყოს ეს?... თითქოს ჭირიანი ვიყო... და ჩემი დაბრმავებული გონება თითქოს მზის სხივმა გაანათა... ჩემგან კი არა, ჩემი გულისთვის გაიქცა, რომ მე გადავერჩინე! თუმცა ადგილიდან დაძვრა სიკვდილით ემუქრებოდა, მაინც გადაწყვიტა ჩემთვის აეცილებინა საფრთხე, თუკი შევეცდებოდი ოტოსთვისა თუ სხვებისა ფარულად მასზე მეზრუნა.

საშრობს ვშორდები. ვარეთ გამოვრბივარ და გარშემო ვიციქირები. უკუნე ღამეა. ფარანს მალლა ვწევ. ფარანის საცოდავი შუქი მხოლოდ მცირე მანძილზე ანათებს სიბნელეს. ფარანს ისევ მიწაზე ვდგამ. იდაყვებზე მომკილი ნამჯის ღეროები მომდებია და მათი ჩრდილი მიწაზე ირევა. კვალის პოვნაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მე წელში ვიმართები. ნახევრად ჩურჩულით ხმადაბლა ვეძახი ერთხელ, მეორედ, შემდეგ უფრო ხმამაღლა:

— იააკ! იააკ! იააკ!

ხმას არავინ მცემს. სახლთან ძაღლები იწყებენ ყეფას — ანტონის შავი ქოფაკი და ეშეს წითელი მეძებარი. სადღაც შორს კიდევ ყეფენ ვიღაცის ძაღლები... ღმერთო ჩემო, ხომ არ შემიძლია შინ მივირბინო და ხალხი, ძაღლები დავადევნო კვალში... ხელში აპარპალებული ფარანი მიჭირავს და მინდვრის შუა ვდგავარ. არაფრის გაკეთება არ შემიძლია. არაფრის. ფარანს მოსასხამს ვაფარებ. ღმერთო, ნუ მოკლავ! შეუწყვიტე სისხლის დენა! მიაღწევინე ვინმეს სადგომამდე... სულს ჩემო... ღმერთო, შეეწიე! თუკი ამ ადგილას მენ თვითონ მიმაჯაჭვე.

11.

...მაშ ასე, პატივცემულო კოლეგა — ცხადია, მე მხედველობაში მაქვს თქვენი საეკლესიო თანამდებობა და არა საცენზორო მოღვაწეობა — სრულიად დაუინებით ვიმეორებ ჩემს წინადადებას, რომ დაუყოვნებლივ დართოთ ამ პეტერსონის „მითოლოგიის“ დაბეჭდვის უფლება. მე მქონდა ბედნიერება პირადად გავცნობოდი მის ავტორს...

...ბიჭოს! უკვე თორმეტის ნახევარი ყოფილა, ეს ოხერი ბარათი კი ჯერაც არ დამიმთავრებია. მაგრამ ღვთის შეწევნით წერილი ჩემს საკითხავ ტაბულაზე უკვე მზადა მაქვს. საოცრად მომქანცველი დღე კი იყო... ქადაგებაზედაც სულ არ მიფიქრია... მართალია, ეკონომიურ საზოგადოებაში გასაგზავნი წერილიც უკვე მზადა მაქვს, აი, იქა დევს, დალუქულ წერილში მოყვანილია ცნობები ზეციურ ქვაზე, ყველაფერი ზუსტად არის აღწერილი. ზეციური ქვისა და ლოდის ყველა სინჯი ჩინებულადაა გახვეული ქალაქდებში, კოლოფებში ჩაწყობილი და დალუქული... ხვალ ალბათ ლანგხამერი ისევ აჯაჯლანდება, ამ წყეულმა ბებერმა მაზინგმა ტარტუს საფოსტო კანტორა ისევ ამოყორა: თავისი ხარახურით... მაშ ასე:

მქონდა ბედნიერება პირადად გავცნობოდი მას და ვბედავ დაგიდასტუროთ...

...კალამიც კი ოჩნობს, არ უნდა ამ უტვინო მორიცს სთხოვოს რაიმე! გა-
ხა ამ შემთხვევაში თხოვნა გაქრის? მე არცა ვთხოვ! არა! დასწყევლოს ღმერ-
თმა! დავემუქრები და გავაკეთებინებ რაცა მსურს! ის ხომ ჩემს ხელშია, ყვე-
რებით მიჭირავს... (ვაცი — ყვერებით! ჰა-ჰა-ჰა-ჰაა!)

...ვბედავ დაგიდასტუროთ —

...ეეჰ!... ეტყობა, გადავიღალე... მთელ დღეს (ის არ ვბეჭდო, რომ გუშინ
იმდენი გზა გამოვიარე) იმ ბიჭმა დამტანჯა თავისი სიმღერებით. შეიძლება
რალაც ნათელი მარცვალი მართლაც იყოს მათში... მაგრამ იქვე... ჰმ...

ნუთუ ჩემს ენა მშობლიურს
არ ძალუძს სიმღერის ფრთებით...

ამგვარ წმიდათაწმიდა რამეზე ასეთი არაფრისმთქმელი სიტყვებით საუბარი...
მისთვის გაროზგვაც ცოტაა...

...ვბედავ დაგიდასტუროთ: ამ პეტერსონს თქვენი მეშვეობით საკუთარი
ლექსების დაბეჭდვა რომ მოენდომებინა და უარი გეთქვათ, აქაური მკითხვე-
ლი საზოგადოება ბევრს არაფერს დაკარგავდა. რამეთუ ისინი ახალგაზრდული
უგემოვნობისა და უდისციპლინობის ნიმუშს წარმოადგენენ. ყოველ შემთხ-
ვევაში ჯერჯერობით მაინც. მაგრამ ამავე დროს მისი „მითოლოგია“ ავტორის
სერიოზული აზროვნებისა და ნიჭის ნათელი დადასტურებაა. საიდანაც უნდა...

აი. ახლა კი ამ არამზადას ყულფში გავაყოფინებ თავს...

...საიდანაც უნდა დავასკვნათ და მე ამის იმედი მაქვს, რომ თქვენ, პატივ-
ცემულო კოლეგა, დაუყოვნებლივ და პირადად წაიკითხავთ მის „მითოლო-
გიას“. რამეთუ ამ შემთხვევაში ნამდვილად აღარ აკრძალავთ. თქვენ რომ იგი
წაუკითხავად აგეკრძალათ, ზოგ-ზოგებს (მე იმათ ვგულისხმობ, ვინც შეიძ-
ლება ფიქრობდეს, რომ თქვენს თანამდებობაზე — ამჯერად მხედველობაში
სწორედ თქვენი საეკლესიო თანამდებობა მაქვს — რომ თქვენს თანამდებო-
ბაზე შეიძლება უფრო შესაფერისი კაცი მოინახოს, თუმცა თქვენს მოვალეო-
ბას თქვენთვის დამახასიათებელი გულმოდგინებით კი ასრულებთ), დიახ, მა-
შინ ზოგ-ზოგებს უფრო გაუადვილდებათ თავიანთი ქსელების ქსოვა...

იქნებ ჭიქურ გელაპარაკებოდეთ, მაგრამ ჩემს აზრს მაინც ბოლომდე გეტ-
ყვით:

...როგორც თქვენ, ღრმად პატივცემულო კოლეგა, კარგად მოგეხსენებათ,
ვინაიდან ამის თაობაზე უკვე გავუზიარეთ ერთმანეთს სიტყვიერად ჩვენ-
ჩვენი აზრი, იმ სამ წერილში, თქვენ რომ გამომიგზავნეთ, ფაქტები წარმოდგე-
ნილია დამახინჯებულად, რაც უდაოდ მოწმობს, რომ სულ ცოტა სამჯერ მა-
ინც ჩემი თხზულებები წაუკითხავად აგეკრძალავთ. ხოლო ჩემმა ზოგიერთმა
ტარტუელმა და სანკტ-პეტერბურგელმა კეთილმა მეგობარმა (კურიოზებს რომ
აგროვებენ და ამავე დროს მისი ბრწყინვალეობა ივან სემიონოვიჩის ახლო მე-
გობრებია), რომელთაც საბაბი არა მაქვს თქვენი წერილები დავუმალო, სხვა
კურიოზებს შეიძლება პეტერსონის „მითოლოგიის“ კურიოზიც დაუკავშიროს...

ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა... ერთი ვნახოთ, ღრმად პატივცემული კონსისტორიის მრჩე-
ველი. სამგზის წყეული ყეყეჩი და ნეხვის ჭია მისცემს თუ არა მსვლელობას
ამ აულაყუდას წიგნს. ასეა თუ ისე, მე რაც შემიძლო, გავაკეთე. არავინ არაა
მოვალე იმაზე მეტი გააკეთოს, ვინემ მას ძალუძს...

ნელა და ფრთხილად უნდა ვიარო... არგანს უფრო მაგრად უნდა დავეყრდნო. მაინც რა საშინლად დამძიმდა ჯოხი. თვალებს რომ დავხუჭავ და პირს მოვკუმავ, ისე აღარ მახარბაცებს... უკვე გამოვალწიე სასოვლო გზაზე, მარცხნივ რომ მიემართება. ადრე იქნება თუ გვიან, მან საფოსტო გზაზე უნდა გამიყვანოს. და მაშინ ისღა დამრჩება, რომ ნელა-ნელა ვიარო... ხანგამოშვებით შევჩერდე, ძალა მოვიკრიბო (სიბნელეში ვერაფერს დამინახავს), ძალა მოვიკრიბო, წონასწორობა აღვიდგინო და თვალები დავხუჭო, რათა ზეცაში მორიალე შავ-მრუმე ლაქების ცქერით თავბრუ არ დამეხვეს...

უნდა ვიარო. კარგია, რომ სიარული მაინც შემიძლია. სისულელეა, როცა ამბობენ, სისხლის ასეთი დენა ძალზე საშიშიაო. უკვე ექვსასი თუ შვიდასი ნაბიჯი გავიარე და არაფერი მომსვლია.

უნდა ვიარო. და შევძლებ კიდევ სიარულს. თუ ვაეკაცმა რამე გადაწყვიტა, კიდევაც უნდა შეასრულოს. კარგია, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე შევეჩვიე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას. თუმცა ჩემს სინდისზე ბევრი ისეთი გადაწყვეტილებაა, ბოლომდე რომ ვერ მიმიყვანია: სრულყოფილად უნდა შემესწავლა არაბული ენა, დავუფლებოდი ოჯიბურ, დელავალურ ენებს, გამოვთხოვებოდი რიგას და ევროპაში მემოგზაურა... ამავე დროს თავისუფლად შემეძლო კიდევ სხვა უკეთესი გადაწყვეტილებების მიღება, ვინემ მოვახერხე... ერთი წუთით... უჰ, არგანს რომ ვეყრდნობი, წვერით მიწაში ერჭობა, კარგიც კია, რომ ასე საოცრად დამძიმდა, შეიძლება უფრო მაგრად დავეყრდნო, ვინემ რაღაც ლერწმის ჯოხს...

უნდა ვიარო და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასე გადავწყვიტე, რომ შემძლებოდა იქ, საშრობქვეშ რამდენიმე საათს ვწოლილიყავ შეუმჩნევლად, იქნებ გამთენიისას განმეგრძო გზა. მაგრამ მან მიპოვა... მან! ღმერთო ჩემო, როგორ ამიკანკალდა გული, სულიც კი შემეხუთა... მით უმეტეს უნდა განვაგრძო გზა... ხომ არ შემიძლია აქ დავრჩე და ქალი ვაცდუნო, რომ თავისი სიმშვიდე, ცხოვრება და პატიოსნება ფეხქვეშ გათელოს! ჩემთვის. იმის შეგნებაც კმარა, რომ იგი მზად იყო ამის ჩასადენად. არა! მე არ მჭირდება შეგნებით დაკმაყოფილება! მე ეს ვიცი! მე ვსულდგმულობ რწმენით, საკუთარი პირით რომ შთავიბერე და ჩემივე ხელით შევიგრძენი...

მერე რა ხშირად მინდოდა შევეკითხოდი (და თვითონვე ვიკლავდი გულში ჩემს შეკითხვას, რამეთუ ვერ ვიტან გასაცოდავებულ ხალხს), შევეკითხოდი იუდეველთა იელოვას, ესტონურ ღმერთს. ალაჰს, მანიტოს, შევეკითხოდი მსოფლიო დიად სულს: რატომ მერგო წილად ეს ხვედრი-მეთქი... და აი, ახლაც აქ, ჩაბნელებულ ნაპურალში მდგომსაც მსურს ვიკითხო, მაინცდამაინც იმ წამს რატომ მატაკა თითი მკერდში ღმერთმა-მეთქი. მაგრამ ვიცი, რომ არ მიპასუხებს. და რომ ჭეშმარიტმა ცინიკოსმა ეს არც უნდა იკითხოს. შეიძლება მომავალში როდისმე ყველაფერი გასაგები გახდეს... მოიცა, მოიცა! — არგანით ვიგრძენი, რომ აქ თხრილია. ფრთხილად, თხრილს ნაპირ-ნაპირ მარცხნივ უნდა ვავყვე... აქ ბუჩქებია, სველი ფოთლები სახეში მეხლება. შარავზის გასწვრივ ჩამწყრივებული ტირიფის ბუჩქები უნდა იყოს... გზისპირზე ნელა უნდა ავფორთხდე... ფრთხილად, მთავარია, არ დავეცე... რამეთუ აღვომას ალბათ...

მომავალში, დიახ. შეიძლება მომავალში ყველაფერი ნათელი გახდეს. მაშინ, მსოფლიო დიად სულს მთლიანად რომ შევერწყმი... რამდენი ჩვენ ერთი და იგივენი ვართ... ერთი და იგივე სუბსტანცია... როგორც, აი, იმანა თქვა... უცნაური სახელი ჰქვია და უცებ დამავიწყდა... იმ სათვალვეებს მე-შუშემ, ვისი წაკითხვაც რიგაში დავიწყე.. და ვის კითხვასაც ვეჩვენებ, შინ რომ დავბრუნდები... ერთიანი სუბსტანციაა სული და მატერია... სული და კოდნა, მე და სამყარო... ამას დაუმატებ, რომ ყველაზე უზენაესი.. მოიცა, კოტა კიდევ უნდა შევისვენო... (სულ ერთია, სიბნელეში მაინც ვერავინ დამონახავს. ხოლო რომ გათენდება, აქ უკვე აღარ ვიქნები.) მე გეტყვით, რა არის უზენაესი ბედნიერება. ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ბოძულ აზოს სიარულისას არ გამოთქვა-მებ... ამიტომ უნდა შევჩერდე, სული მოვითქვა და არგანს მთელი სხეულით დავეყრდნო... საკუთარი სიბოძნით დამბიძებული... უზენაესი ბედნიერება ის არის, რომ შინაგანი თავისუფლება იგრძნო... სრული თავისუფლება... იმ გა-დაწყვეტილებათა ჩაუთვლელად, რომელთაც მამაკაცი თვითონ კიარულობდა, და, თავისთავად ცხადია, სამწუხაროდ, ბუნების კანონების ჩაუთვლელადაც... იგრძნო თავისუფლება... და დასცინო იმ კოკისპირულ წვიმას, ახლა რომ დაუ-შვა... ხედავ, რა ეჭვიანია სამყაროს დიადი სული... კარას უფლება არ მისცა... (ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს მართლა მოხდა?... იქნებ ყოველივე ეს ციებიათის ბოდვაა?...)

დიახ, სამყაროს დიადი სული ეჭვიანია, ძვირფას ადამიანს უფ-ლება არ მისცა ჩემთვის მკერდზე ცივი კომპრესი დაედო, თვითონ კი თავით ფეხამდე გამწუწა, მაგრამ უზენაესი ბედნიერებაა შინაგანი თავისუფლება იგრძნო... მთავარია, გზისპირს მივალწიე... როცა იქნება, დანიშნულ ადგილსაც მივალწიე... თუ ნაკვალევზე ფეხი არ დამიცდა და ლაფში არ ჩავიკეცე... რა-მეთუ მაშინ... მაგრამ შეიძლება მაშინაც მივალწიო...



თარგმნა მელანა კახიძემ



ქუჩა რაბი

ავოლუსია

მე ვიყავი ზღვაზე
 ასხლეტილი სინათლის წვეთი,
 ლაევარდისფრად ვფეთქავდი
 და მივქროდი მოლაპლაპე წყალში
 ბედნიერი. ბაწაწკინტელა არსება.
 მე არ ვიცოდი
 რა იყო სევდა.
 მერე ერთიორად გავიზარდე,
 მერე და მერე უფრო და უფრო დიდი
 გავხდი.
 ჩემს ირგვლივ წყალი გამკაცრდა,
 ცა მოქურთხდა,
 უსუსურ არსებას
 ჯაჭვის ბეოანგებში ჩაჭვდილი ველურები
 შუბება მიმიზნებდნენ,
 თანდათან ეკლები მესობოდა სხეულში.
 მერე ისტორიის ტალღამ
 ნაპირზე მომიხროლა
 და დასახრჩობად განწირულს
 სულს მიგუბებდა
 გამოფიტული ჰაერი.
 მკვლის ჯვარზე გამაქრეს,

მერე კი ძვლების გუმბათი წამომაღგეს,
 ხელისგულები დამიშანთეს,
 სახეზე ამომიტვიფრეს ჩემი სიკვდილის
 სიმბოლო,
 და მე მილიონწლიან ეპოქაში
 გზას გავუდექი...
 ხანდახან უკან ვუბრუნდები
 დიდ დედას,
 მე მას ვიცნობ,
 მე მასში ვიღვრები,
 გულში ვეკვრები,
 მის ხელებში ვნანაობ.
 შემდეგ ისევ ვუბრუნდები
 ჩემს მიერვე აშენებულ საგნებს,
 და ლაევარდისფერი ფეთქვა
 ჯერ ისევ,
 ჯერ ისევ კარნაბობს
 ჩემს მაჯისცემას.
 მე კი მხოლოდ მცირე ხნით,
 მხოლოდ სულის სიღრმეშიღა ვატარ,
 ჩემს მარადიულ ნეტარებას,
 ნაღველს, რომელსაც ზღვის
 ამომშრობაც კი შეუძლია!

ჯვარი

მე შენ მიყვარდი,
 მაგრამ მაინც დამტოვე მარტო,
 უბია წიგნაკში
 ჩარჩა შენი
 სახელი წმინდა,
 ვიწრო დილეგში ჩაგამწყვდიეს
 სამარადეამოდ,
 აქედან აღარ გავიშვებ არსად.


უჩვეულოა
 ეგ შენი ჯვარი, —
 არ ეცი,
 მე ვარ
 გაკრული ჯვარზე,
 თუ ჩემი მხრებით
 მიმაქვს ჩემი
 მარადი ჯვარი.

ჯერ კი...



ჯერ კი რამდენი
 მიმავალი მატარებელია,
 რამდენი ჩიტია ფრთამოტეხილი,
 რამდენი ფრთაშეტრუსული ბარათია.
 ვინ იცის,
 მერამდენედ ამოგორდა ცაზე
 ასკილოგრამიანი მზე,
 რამდენჯერ პოულობს
 მავანი მავანს, რომ მერე
 ერთსხეულად იქცნენ,
 რამდენი უიმედო ოცნება დაფრინავს,
 რამდენი კედელს მიხეთქებული სიცილის ხმა ისმის.
 რამდენი სასწრაფო დახმარების
 აწივლებული მანქანები დაქრიან,
 რამდენი გათელილი ლეიბი და
 გაცვეთილი საბნებია ქვეყანაზე,
 რამდენი დასაფლავება,
 რამდენი გულის აჩქროლება,
 რამდენი „არა“, „რატომ“ და „მაინც“,
 რამდენი „როგორ“, „რისთვის“ და „ეგებ“,
 რამდენი სიტყვა გულცივად დამარხული.
 რამდენი სიტყვა ყელში გაჩხერილი,
 რამდენი ძილმღვიძარი სიტყვა,
 შუბლზე გაჩენილი რამდენი იეროვლიფები....
 რამდენი შემთხვევით შეფეთებული სარკე,
 რამდენი წაგებული მცირე ბრძოლა,
 რამდენი ორშაბათი,
 რამდენი შვიდის-ნახევარი,
 რამდენი კარის სახელური,
 რამდენი ზარის დაწკარუნება,
 გულს რომ აგითრთოლებს,
 რამდენი შინიდან წასვლა და უკან
 დაბრუნება.
 ჯერ კი, ჯერ კი, ჯერ კი,
 ჯერ,
 ჯერ,
 ჯერ!..

გალანტურობის დამცველი



ყუმბარას ფეხებზე ეკიდა —
 სასოწარკვეთილი ყვირილით.
 ვინ მოჰყვებოდა მის ქვეშ
 მღედრი თუ მამრი,
 ქალსა და კაცს
 ომი არ დაგიდევთ ქალსა და კაცს
 თანაბრად უნაწილებდა ყველას
 შიმშილს და წამებას.
 ჩემი თაობის გოგონები
 ბშირად იძულებული იყვნენ
 დაევიწყებინათ სიკეკლუცე,
 სადღაც გულის კუნჭულში მიეჩქმალათ
 სინაზე და უწმინდესი ოცნებები.
 რას არ გაუძლეს ომის ყინვიან გზებზე
 ისინი ჩაბნელებულ ვაგონებში
 მამისეული აჩაჩული შარვლებით,
 მატარებლების მოლიპულ
 საფეხურებზე იდგნენ
 პურის რიგში და კარტოფილია
 ტომრების თრევაში
 ათენ-ალამებდნენ.
 კოხტაპრუწა ოფიცრის ბრძანებით
 ორმოებს თხრიდნენ,
 მერე დაჭრილებს მიათრევდნენ,
 მკვდრებს აპატიოსნებდნენ.
 ცდილობდნენ ცოცხლებისაგან თავის
 დაღწევას.
 რადგან მათ, ხანდახან შეახსენებდნენ
 ხოლმე,
 რომ ისინი მდიდრები იყვნენ.
 ქარი გვიქერცლავდა
 და მტვერი გვიშაშრავდა უნაზეს სახეს,

ბედი, ცხენის კულზე გამობმულებს,
 მიწაზე მიგვათრევდა.
 ჩემი გონების უნაზეს სახეს
 საშინელი სინამდვილე ამსხვრევდა.
 ვინ იცის
 რა ჭურის დანით
 არ ჩამოუფხვკიათ ჩვენი გულები,
 ის რაც მოვიხილეთ, თვალებში
 ისრის ბუნეკივით გვაქვს
 ჩარჩენილი.
 მაინც როგორი სიმღერა
 შეგვფერის!
 რაზე ვიჩურჩულოთ
 იქნებ იმაზე,
 რომ ყვავილების
 მტვრიდან დავიბადეთ,
 თუ ცას მივაპყროთ თვალი
 და ვიმღეროთ უნაზესი სიმღერა
 ყვავილებზე!..
 ჩვენს ნაცვლად ვინ მოყვება,
 როგორ გვისერავდა მტვრის
 კორიანტელი უმწეო სახეს,
 როგორ ვეწამეთ,
 მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ,
 ომმა ვერ დაგვამაბინჯა,
 მხოლოდ ხმები გაგვიუხეშა,
 ჩვენს თვალებში ეშმაკუნები
 აღარ დაბტიან,
 აღარც ოცნებები შლიან ფრთებს.
 ჩვენს ნაცვლად ვერავინ გაამბობთ,
 რისი მოყოლაც მხოლოდ ჩვენ
 შეგვიძლია!

სხივეების ჯავშანი

სხივეებისგან შევჭედე
 სიყვარულის ჯავშანი,
 დარღმა ჯვარზე გამაკრა,
 ცრემლი ვღვარე შავშავი.
 მაგრამ ის, ვინც ჩემს გულში
 მზის სხივებით იბუდებს,

ერთ დღეს წავა, აღგება, —
 მიმატოვებს ბინდბუნდზე,
 მელირსება ის დილა
 ან მივალწევ იმ დრომდე, —
 ან კი ჩემი სიკვდილი
 მე რად უნდა მინდოდეს.

სიყვარულის წყალობით
 ცრემლი ვღვარე შავშავი,
 შემომეჭდო სხეულზე
 შუქ-სხივების ჯავშანი.
 ჩქარა დაგეხუჭება
 წამწამების ტევრები,
 აღარ შემოგეჭდობი
 ცხელი ხელის მტევნებით.
 მაგრამ, რადგან სხივები
 შუქს სახეში მახლიან —

ვიცი, შემწევს უნარი,
 გავიკვირტო ახლიდან.
 სიკვდილამდე ვატარებ
 ოქრო-მკერდის სამოსელს,
 ისევ გავიფოთლები, **ეროვნული**
 ოლონდ ვინმე გამოჩნდეს **ლიქონე**
 ვიტყვი, ჩემი სინათლით
 რაც აქამდე ვერა ვთქვი,
 ვინც არ უნდა ეცადოს, —
 სხივს ვერ მოკლავს ვერაფრით.



ანა ბელა

ვილაც

ის ვილაც მოდის,
 ტორტმანობს ბონდი...
 მოდის ის...
 ვილაც
 არ იხსნის ნილაბს.
 მძიმე ნაბიჯის
 ბაგუნო მესმის,

ჩუ... მან სულ სხვაზე
 აილო გეში.
 გზაზე
 ნაკვალევს
 სტოვებს სისხლიანს.
 ვტირი, თუმც ვიცი:
 — ეს გზა სხვისია!

ანა კიში

ზავი ბორცვი

შავ ბორცვს სეტყვა ეყრება მხრებზე,
 ცეცხლის ენები ულოკავს გულმკერდს
 და ზარ-ზეიმით ასკდება ზეცას.
 მზე მიდი-მოდის,
 ვერძს დაგრეხილი რქები აუტოტებია
 და მზისკენ გაუწვდია.
 დგას ზღაპრისფერი, შავ-თეთრი რაში
 და ასაფრენად ფრთებს იწევს ცაში.
 მწყემსი დოღს აცეკვებს.

ნიღბებს ატრიალებს ხელში,
 მერე სახეზე იზომებს
 და გადახტომას ლამობს კოცონზე.
 ნაგაზი უკან და უკან იხევს.
 მერე დამწვარი თათებით დახტუნავს,
 სიზმრები სტანჯავს და,
 ბორცვისკენ პირმოქცეული,
 ალიონზე კვდება.



ერვე ბაზენი

ერთ ცეცხლს გაანელებს მეორე ცეცხლი



რომანი

ფრანგულიდან თარგმნა ლავინთ კახაბერაძე

ერვე ბაზენი (ჟან პიერ მარი ერვე-ბაზენი, დ. 1911 წ. 17 აპრილს) თანამედროვე საფრანგეთის გამოჩენილი მწერალია, იგი არის გონკურების აკადემიის პრეზიდენტი, აპოლინერის პრემიის ლაურეატი, მონტე-კარლოს დიდი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში. არის მსოფლიოს მშვიდობის საბჭოს წევრი და მშვიდობის პიმის ტექსტის ავტორი (მუსიკა მიკის თეოდორაკისმა დაწერა). ერვე ბაზენს 1980 წელს მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია.

რომანი „ერთ ცეცხლს გაანელებს მეორე ცეცხლი“ (გამოვიდა 1978 წ.) მწერლის შემოქმედებისათვის სრულიად ახალი თემაა. ეს ნაწარმოები პოლიტიკური რომანია. ქვეყანა, სადაც ვითარდება ეს მწარე დრამატული მოვლენები, დასახელებული არ არის, მაგრამ მკითხველი ხვდება, სად და როდის მოხდა რომანში დატრიალებული ამბავი. წიგნში მწერალი მისთვის ჩვეული ოსტატობით ხატავს ფაშისტური გადატრიალების საშინელ სურათებს, რაც მოხდა 1973 წლის 11 სექტემბერს ჩილეში, სანტ-იაგოში და რაც კვლავაც მეორდება ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში.

რომანში მოთხრობილია ერთი ქალ-ვიყის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. ფაშისტური ტყვია ჰკლავს არა მარტო ორ ადამიანს, არამედ ჰკლავს სიყვარულს, მშვენიერებას, თავდადებას, თავისუფლებას... ავტორმა შემთხვევით როდი აირჩია რომანის სათაურად ფრაზა შექსპირის ტრაგედიიდან „რომეო და ჯულიეტა“. ძალადობის ცეცხლი აჭრობს სიყვარულის ცეცხლს, ანადგურებს პიროვნებას მტრულად განწყობილ სოციალურ სამყაროში.

სისხლი, კრეონ, მეწამულ ფერს სიმტკიცეს ჰმატებს, კაცხა თუ ქალს, ჩემს ქვეშევრდომთ, თუ ბედნიერება სწადიათ ჩემდა საზიანოდ, — მაშინ, ვაი მათ ბედნიერებას!

მინანდრა

ვნება სწრაფად ცხრება, მაგრამ თუ დიდხანს შემოგვრჩება, მაშასადამე, რომელიღაც დრამამ — პოი, დაცინვავ, — ჩაახშო იგი, და ამგვარად უკვდავეო თავისი ებოჭიდან მზირალი.

ნიმიუ!

ერთ ცეცხლს გაანელებს მეორე ცეცხლი...

შექსპირი: რომეო და ჯულიეტა

განა ახლა ამისი დროა? გარშემო სროლაა, მარია დგას და ლოცულობს. ალბათ ამ ეკლესიაში ერთადერთი ისღა დარჩა მთელი არსებით ლოცვაში ჩაფლული. მანუელი სიამოვნებდა ეს ამბავი თუ აღიზიანებდა. თუ ქალიშვილი მანუელის ლოცულობს, როცა გვერდით არა ჰყავხარ, მაშასადამე, შენზე ფიქრობს, და თუ ეს ასეა, ამაზე სასიამოვნო რაღა უნდა იყოს? მაგრამ თუ ქალიშვილი შენ გვერდით დგას და მაინც შენზე ლოცულობს, მაშინ რაღა გეთქმის?.. როცა ისედაც ყველაფერი ნათელია, რაღა საქმროს აღუზიებდი? რაღა იყო აქ მანუელისათვის გაუგებარი, დამაფიქრებელი, მიუწვდომელი: თითქოს ძის ადგილზე ვილაყ აზვა დადგა, და ამ ვითაც თითქოს წილად ერგო აზიდის გადება" (როგორც მარია ამბობდა) იმ ორ არსებას შორის, რომლებსაც ეგონათ, ამერიდან აღარაფერი დაგვაშორებსო, მანუელს სწორედ მაშინ გაუჩნდა, და არცთუ უშიშეზოდ, სულიერი უთანასწორობის გრძობა, რომლის გადალახვასაც, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ახერხებდა. უკეთ რომ ითქვას, ეამტრობა უფრო იყო და სულ ცოტა ხნის წინათ ვერც კი დაიჯერებდა, რომ ამ გრძობას შეეძლო ეარსება სიყვარულთან ერთად, უფრო მეტიც, შეეძლო გაეღვივებინა იგი. ენის წვერზე ძველისძველი შეგონება უტრიალებდა: „ეჰ, მარია, ღმერთი რომ არსებობდეს, მაშინ მხოლოდ სამართლიანობა იქნებოდა ამ ქვეყანაზე; ყველა საკადროისს მიუზღავდა; თვითონ კი უარყოფდა ყველა ლოცვასა და ყოველგვარ ძაღადობას, როგორც იდეალური სამყაროსათვის მიუტებელს...“

განა ახლა ფილოსოფოსობის დროა? როგორ უხდება მარიას ეს მწვანე კაბა, მხრებზე დაფენილი თავისი საოცარი სპილენძისფერი თმა! განა შეიძლება გაუწყრე იმისთვის, რომ დრო იხელთა და თავის ახლობლებს წარუდგინა კაცი, ვის გვერდითაც შესაძლოა სულ მალე ისევე დადგეს, როგორც მისი ნახევარი და დგას ახლა თავისი საქმროს გვერდით? განა შეიძლება გაუწყრე იმისთვის, რომ ყველას გაუმხილა ამ კაცთან თავისი ურთიერთობის ამბავი? — მან ხომ მარტო საკუთარი კი არა, ამ კაცის თავშეკავებასაც სძლია და გადალახა. განა შეიძლება გაუწყრე იმ მამაცობისათვის, ვილაყ-ვილაყები რომ აიძულა მანუელის აქ ყოფნას შერიგებოდნენ: განა შეიძლება გაუწყრე იმ სიხარულისათვის, რომელსაც არ მალავდა და სულაც არ ფიქრობდა რა მოჰყვებოდა ყოველივე ამას? იცის მანუელმა, რაღაც არ სიამოვნებს ეს ყველაფერი: უპირველეს ყოვლისა თავის თავზე ბრაზობს. ერთ ადგილზე ტოკავს, თავს ადანაშაულებს, უმოქმედობას აბრალებს, პირად ბედნიერებას გამოკიდებულმა ყველაფერი მივატოვეო. კაცი ვერ გაიგებს, სად მიმდინარეობს ბრძოლა, შორს თუ ახლოს: ეკლესიაში, სადაც ექო ანუ ბუბუნებს, ძნელია გაიგო, საით ისვრიან, ვის ესვრიან ან სად ისვრიან.

ხოგჯერ გგონია, თითქოს შუა ქალაქში ისვრიანო, ზოგჯერ კი უფრო დასავლეთით — გარეუბნებში. ისიც გაუგებარია, ვინ ვის შეტაკებია. იქნებ მთელი არმია გამოიყვანეს ხალხის დასაჩოქებლად? ანდა იქნებ შეამბოხეთა ქარის ნაწილები ებრძვიან მთავრობის ერთგულ ქარებს? თოფის კანტიკუნტად გასროლის პასუხად ავტომატების გრძელი ჯერი ისმის, მერე კი კვლავ ყრუ, ძძიძუ გრიალში ინთქმება ყველაფერი: თვითმფრინავების გამაყრუებელი ვუ-

გუნი უერთდება ამ გრიალს და მღვდლის ხმაც აღარ ისმის. მღვდელი ერთ ხანს იძულებულია გაჩუმდეს, მერე ისევ განაგრძობს მოსაწყენ დასუნს; ხელები უცახცახებს, თავს აქეთ-იქით ატრიალებს, თითქოს ეშინია ეკლესიის კარები გარედან მოწოლილმა ძალამ არ შემოანგრიოსო; ეს პატარა ბურთივით კაცი ოფლიან შუბლს იწმენდს და, აქაოდა, ჩქარა დაკადრებულ ჯვრისწერაო, სხაპასხუპით ამბობს:

— დაბოლოს, შვილო ჩემო, გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახებს თანხმობით ცხოვრებას, რაც, საუბედუროდ, ესოდენ აკლია ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას ამ მძიმე წუთებში...

მძლავრი აფეთქების ხმა სიტყვას აწყვეტინებს. მღვდელი შეკრთება, გაღაჟღაჟებული სახე უთეთრდება, მარტო ყვრიმალზელა მოუჩანს იისფერი ლაქები. სადღაც ძალზე ახლოს, ეტყობა, ბომბი აფეთქდა ან სახლი ავარდა პაერში. წკრიალით ჩამოიმსხვრა შინა. მთავარი ქალი აულარუნდა და აქანავდა. ყველა შემობრუნდა: ლილამ, პატარძლის ბიძაშვილმა, შეჭკივლა და აკანკალებული ჩაეჭიდა ლოცვანის მაგიდას; მაგრამ მაშინვე, მკვდრისფერი და დარცხვენილი, რომ ჩაისველა, მთავარი გასასვლელისაკენ გაიქცა. უცებ აჩქარებით შემოტრიალდა, სწრაფად ჩაიჩოქა საკურთხეველთან და მერე ფეხაკრეფით გავიდა ეკლესიიდან.

— სჯობს, ჯვრისწერა გადადონ, — წამით ჩამოვარდნილ სიჩუმეში ამბობს მანუელი.

მარია შეკრთა: ღრუბლებიდან მიწაზე დაეშვა და ლოცვანის მაგიდას უნებურად ჩაჭიდებულ მანუელს ხელზე ხელი დაადო:

— შეუძლებელია, — ჩურჩულებს ქალი, — ნახევარი სანათესავოა ჩამოსული პროვინციიდან.

„ამ დილას რომ მცოდნოდა...“ — თავისთვის ამბობს მანუელი. დიახ, რომ სცოდნოდა, შუალამისას რომ არ დაწოლილიყო, ადრე რომ გამოღვიძებოდა, მარტო რომ არ ეცხოვრა, რადიოსთვის რომ მოესმინა, მაშინ ხომ არც წამოვიდოდა აქეთ და არც ამ ეკლესიაში იქნებოდა ახლა ამ სულელურ ჯვრისწერაზე. ობოლთა თავშესაფრის მერე არც ყოფილა ეკლესიაში. დღეს პირველად იყო, თანაც რა დროს! იქ, გარეთ, მაინცდამაინც დღეს წამოიწყეს ის თამაში, რაზეც მანუელის ბედ-იღბალი იყო დამოკიდებული. აქ კი მხოლოდ დანადვლიანებულ, შეჭმუხნილ სახეებს და ნაძალადევ ღიმილს ხედავდა. ეს გარსიები და პაჩეკოები, — დიდი-დიდი ათი კაცის სახელი იცოდეს აქედან, — ათასობით უნახავს მიტინგებზე, სადაც ისინი ღრიალით უჭერდნენ მას მხარს ან არ უჭერდნენ. რაც გარეთ ხდება, შიგნითაც იგივე მეორდება ამ ორ გვარს შორის, აგერ-აგერ ნათესაური კავშირით რომ შეერთდება. ამას მშვენივრად ხედავს მანუელი: ისინი, ვინც მას გუშინ საჩინო კაცად მიიჩნევდნენ, დღეს უკვე სახელგატეხილად თვლიან და თვალს არიდებენ; ზოგიერთებმა კი ლამის თვალებით შეჭამონ.

ამასობაში პადრე იმ ტექსტის კითხვას იწყებს, ნეფე-დედოფალმა რომ ამოირჩია, თავიანთი ჯვრისწერისთვის განსაკუთრებული ელფერის მისაცემად ეს იყო ნაწყვეტი „ქებათა ქებიდან“, რომელსაც პადრე თავისი recto tono¹-თი ისე კითხულობს, როგორც ოფიციალურ ცნობას:

¹ მონოტონური ხმით (ლათ.)

— აგერ მოდის სატრფო ჩემი! გზას უთმობენ მთები და გორები...

ისევ სიწყნარე ჩამოვარდება, — შედარებით, რა თქმა უნდა, — და პადრეც დროს იხელთებს, რათა ჩაამთავროს თავისი ლოცვა, თუმცა არაფერს უსმენს. იმ ასიოდე ნათესავ-მეგობრიდან, ვისაც მოსაწვევები დაუგზავნეს, ნახევარზე მეტი არ მოსულა; ვინც მოვიდა, ჯგუფ-ჯგუფად ჩამოსხდნენ, კაბებზე და ესეც არ ყოფილა შემთხვევითი. ცხადია, გასასვლელზე, რომელიც იგივე ჩინოვნიკები და ხელოსნები სხედან. თუ ერთნი მართლაც ზეიმის გულსათვის გამოეწყვნენ, მეორენი აშკარად კოპწიაობენ თავიანთი ელეგანტურობით და თავი ისე უჭირავთ, აქაოდა, ცოტა რამ ჩვენც გაგვეგებაო. თავშესაქცევი საყურებელია, როგორ ცდილობს არაფერი გამოეპაროს: თითქოს ჯვრისწერის ცერემონიით არიან გართული, სინამდვილეში კი, თვითოეული მათგანი დაძაბული უსმენს ახალ ამბებს, რომელსაც ჩურჩულით გადასცემს ის, ვისაც ტრანზისტორი წამოუღია. ძია ხოსეს კისერზე ჩამოკიდებული თასმა ვინმეს სასმენი აპარატისა ეგონებოდა, რაღაცას რომ არ ეჩურჩულებოდეს ელენას ყურში. ელენაც ხან მას აეწებება, ხანაც მამიდა ბეატრისეკენ მიტრიალდება; მამიდა ბეატრისეც როგორც კი მიიღებს ინფორმაციას, თავის მხრივ იგივე მოძრაობებს იმეორებს და ახლა სხვას გადასცემს ახალ ამბებს. აგერ არტურო, სატვირთო ავტომანქანის პატრონი, არც კი ფიქრობს ტრანზისტორი დამალოს, მუცელზე მიუჭერია იდაყვით, სიფათგაბადრული განუწყვეტლივ ატრიალებს ტალღების სახელურს, თან თავხედურად, ბედნიერი ღიმილით იქნევს ხელს გამარჯვების ნიშნად.

— და მესამესა დღესა ქორწილი იყო კანას გალილუასასა, და მუნ იყო დედა იესოსი. მიჰხადეს იესოს და მოწაფეთა მისთა ქორწილსა მას, — ისმის პადრეს ხმა, რომელიც ახლა იოანეს სახარებას კითხულობს და აკანკალებული ხელებით ძლივს იმაგრებს ბიბლიას.

— კეთილისმზრახველო თანამოქალაქენო, იზეიმეთ! სხვებმა კი დაეიცოდნენ, რომ თვითოეული მოკლული ჯარისკაცისათვის ხუთს დავხვრეტთ! — გაჰყვირის ტრანზისტორი: არტუროს შეეშალა, თავისდა უნებურად ხმის სახელური გადაატრიალა ბოლომდე.

პადრემ ლოცვანის კითხვა შეწყვიტა და დამნაშავეს თავის ქნევით შეხედა. არტურო დაიძაბა და მლოცველივით გაშეშდა, ნიკაპი სუფთად გაპარსულ გალურჯებულ ლაბაბში ჩაემალა. პადრე კვლავ ალულლულდა:

— და ვითარ მოაკლდა ღვინო...

უეცრად შემოჭრილ გამაყრუებელ გრიალში უკვე აღარავის ესმოდა, რა მოხდა მერე. თამაშში მძიმე ტყვიამფრქვევი ჩაება, მის ხმასაც მალე ქვემების გრიალი ფარავს. ეტყობა, პირდაპირი დამიზნებით ურტყამს, — გრიალსა და აფეთქებას შორის მხოლოდ წუთი გადის. ხმაური მატულობს. ისმის ყვირილი, ჩამოწოლილი კედლის გრუხუნი, რკინის ქლარუნი, მინის წკარუნი. ეს წკარუნი აქაც გაისმა, მოხეტიალე ტყვიამ ერთი ვიტრაჟიდან მეორეში გაიარა. წმინდა პეტრეს სამოსელის მეწამული ფერის ჩამონაფშვენი არტუროს ძმის, ალფონსოს ფეხებთან გაიფანტა. ალფონსო იღებს ნაფშვენს, ათვალეირებს და ახლა სხვას გადასცემს. მამაკაცებმა მხრები ჩამოყარეს, ქალები ღელავენ, ქმრებს მკლავებში ჩაფრენიან და სვეტებს შესცქერაინ.

— აქ ყოფნა უკვე შეუძლებელია, საშიშია! — გაჰყვირის მირეა, ალფონსოს გრძელი და მქლე ცოლი.

— არმია უკვე ერთი საათია გვაფრთხილებს, ყველანი სახლებში წადით. თორემ მერე რაც მოხდება, თქვენ თავს დააბრალებთო! კვინს უკრავს

— სახლამდე მისვლაა საქმე! ქუჩაში უარესი იქნება, ეკვლე-ეკვლე
 — ამბობს არტურო, ცხადია, ხმამაღლა. ბიზლიჩიშვი

მირეია წირვის დამთავრებას არ უცდის, თავის ორ გოგონას ჩაბლუჯავს, რომელთაც ერთნაირი ვარდისფერი კაბები აცვიათ და შავი თმაც ერთნაირად ჩამოშლიათ მხრებზე. დედა მათ აბრეშუმის შარიშურით ეკვდერისკენ ეწევა. ალფონსო და მისი ძმა ერთხანს ყოყმანობენ, მერე ისინიც კვალდაკვალ მისდევენ. მათ ორი სხვა ბიძაშვილი ქალიც ბაძავს, გზადაგზა საჩვენებელ თითს ბოლო სვეტთან მდგარ საკურთხ წყალში ჰყოფენ, და ანგარიშმიუცემლად იწერენ პირჯვარს. კარს ძლივს აღებენ, მაგრამ მაშინვე რახუნით ხურავენ, ეკლესიაში შემოიჭრება მოტორების ხრიალი, მუხლუხების ღრჭიალი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბრძანებები, რომელსაც რუპორით აცხადებენ და ამ ხმაურში გარკვევა ჭირს, რას ამბობენ. გაქცეულები შემკრთალნი ჩერდებიან კართან, ყოყმანობენ. ბოლოს თავიანთ ადგილებს უბრუნდებიან. პანიკა შეწყდა. ნეფე-დედოფალი, უკვე თანახმანი რომ იყვნენ ჯვრისწერა შეეწყვიტათ და მშობლებთან მიერბინათ რჩევისათვის, ისევ საკურთხეველის წინ დადგნენ. სადღაც სირენა ღრიალებს. მაშ, სახანძრო ისევ არსებობს და ახლა ცეცხლთან საბრძოლველად იქნებ იქით იჩქარის, სადაც ყუმბარები დაეცა? პადრე შიშისაგან ხმააკანკალებული განაგრძობს:

— ხორხე და კარმენ, ხომ მოისმინეთ სიტყვა უფლისა ჩვენისა, რომელმაც ადამიანები აზიარა საიდუმლოს სიყვარულისასა. თქვენ ახლა ერთმანეთის მიმართ განსაზღვრულ მოვალეობას კისრულობთ, გულის კარნახით და უ...

ზარბაზანი ახალი ძალით ამოქმედდა. აფეთქებები ერთმანეთს მოჰყვა. ერთი თვითმფრინავი მეორეს მოსდევს, მათი იერიშის ტალღები შენობას აზანზარებს. ირგვლივ მძიმე ტანკები დადიან. ვერავინ გაიგო, რა ჩაიბუტბუტა ხორხემ, არც კარმენის ხმა გაუგია ვინმეს. ყველა შიშით გასცქერის გახვრეტილ ვიტრაჟს. მერე გონს მოდიან, რათა რაღაცა ჩაიბურტყუნონ. ყრუთა ქორწილი! და თუ ცერემონიალი გრძელდება, ესეც იმიტომ, რომ ნეფესაც და დედოფალსაც ხელთ ლიტურგიის წიგნის ამონაწერები უჭირავთ და კითხვა-პასუხიც ალაღბედზე ენაცვლება ერთმანეთს. იქ მყოფთა ყურს მაინც მისწუდება ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები, რომლებსაც პადრე რაც ძალი და ღონე აქვს გაჰყვირის:

— ახლა კი უფლისა ჩვენის ღმერთის წინაშე განუცხადეთ ერთმანეთს თანხმობა.

მაგრამ „კარმენ, გსურს გახდე ჩემი ცოლი?“ ისე როგორც, „ხორხე, გსურს გახდე ჩემი ქმარი?“ და ორივეს პასუხს — „დიახ“, მხოლოდ ტუჩების მოძრაობაზე თუ მიხვდებოდით, ხოლო ბეჭდების შეცვლას — ხელების მოძრაობაზე. ხელები კი ისე უკანკალებთ, რომ ახლად მოვლენილ ცოლ-ქმარს უზარმაზარი ძალისხმევა სჭირდებათ, რათა ბეჭდები წამოაცვან ერთმანეთს თითზე. ხოსე ყურიდან ნამცეცა სასმენს გამოიღებს და ისე უიმედოდ შლის ხელებს, რომ მანუელისათვის ყველაფერი ნათელი ხდება.

ხოსეს მეგობრები მისი მეგობრებიც არიან და თუ გადაცემა შეწყდა, თუ მათი სადგური ჩაჩუმდა, მაშასადამე, იგი მოწინააღმდეგემ ჩავიდო ხელში.

საკმარისია არტუროს შეხედო და მიხვდები. ვარაუდში არ შემცდარხარ. მას ახლა უკვე ლოყაზე მიუხუტებია ტრანზისტორი, ურცხვად ზეიმობს და გამარჯვების ნიშნად ცერს მალლა სწევს. მანუელი ხვდება, ამ ხმაურში მარიას ვერაფერს გააგებინებს, ამიტომ ჯიბიდან ბლოკნოტს და პატარა ფანქარს იღებს, პირველსავე ფურცელზე სწრაფად წერს:

ეროვნული

ბავშვებისთვის

— მარია, მდგომარეობა საშიში ხდება. ჩემი ადგილი აქ არ არის.

მანუელი წითლდება. თუ მისი ადგილი აქ არ არის, ამ ეკლესიაში, მაშ რაღას ელოდება, რატომ არ მიდის, ან რატომ ეუბნება ამას ქალიშვილს, რომელიც ყველანაირად ეცდება, არ გაუშვას?

ქალიშვილი ისევ ლოცვად დგას თვალდახუჭული და ძნელი არ არის მიხედრა, რასაც იხვეწება: „სიყვარული შენგან მოდის, უფალო. და თუ თავად არ გამეგება, როგორ შევიყვარე ეს კაცი, ვინც შენ უარგყოფს, მაშინ მარტო მე კი არა, შენც მიგიძღვის დანაშაული. ამ მიძიმე წუთებში მის თავს შენ გაბარებ...“ მანუელს ისევ ხელში უჭირავს გაშლილი ბლოკნოტი და გრძნობს, როგორ ევსება სული სინაზით აღსავსე მტრობით. მარიას არასოდეს უთქვამს: ელოცულობ, რათა ღმერთმა გონება გაგინათოთო. მანუელი ამას ვერ მოითმენდა. არც მას უცდია ქალის გადარწმუნება, მარიაც ვერ მოუთმენდა. მარიას მსუბუქად გაჰკრა იდაყვი. ქალიშვილი თვალს ახელს და თავს ისე იქნევს, თმა ორად ეყოფა. მერე ბლოკნოტსა და ფანქარს გამოართმევს და წერს:

— უკვე გვიანაა! თანაც გაქვთ სადმე წასასვლელი ადგილი? ჯვრისწერაც უკვე დამთავრდა, ერთად გავიდეთ.

მარია თავს აიღებს, ძალად იღიმება. მწვანე, ვარდისფერი, ლურჯი, მოძრავი ლაქები ერთმანეთს ენაცვლებიან ჩრდილოეთის კედელზე. შუაში კი, გახვრეტილი ვიტრაჟიდან თეთრი ლაქა იჭრება. სვეტების ჩრდილში იშვიათად და ჩნდება, საკურთხეველი დამაბრმავებელ სინათლეში იძირება. ეს ის დროა, როცა მზე გადმოსცილდება ხოლმე გვერდით მდგარ შემოსავლიან სახლებს, ეკლესიას მოაღწევს და მის თავზე ცისარტყელას ფერებს ააელვარებს. ცოტა ხნით სული მოითქვეს! პაღრე ორგანისკენ შემობრუნდება, მაშინლა შეამჩნევს ორგანისტი შეუმჩნეველად რომ გამქრალა. მღვდელი პირლია რჩება, შეწუხებული ჩაათავებს სამადლობელ ჰიმნს, მერე ახალგაზრდების თავს ზემოთ ხელებს გაიწვდის. ისინიც, როგორც მიღებულა, თავს დახრიან. ამ წამში დედოფალი თავის შემობრუნებას ასწრებს და ნეფის საათს დახედავს. მღვდელი ახალგაზრდებს აერთებს. ჭალამდე ამალლებული პირველი ფრაზა ერთობ საზეიმოდ ეღერს:


— უფალო ჩვენო, შენ შექმენი კაცი და ქალი იმისთვის, რომ სულისა და სხეულის ერთიანობით მათ შექმნან...

ლოცვის ბოლო ნაწილს, ზეციურ სიკეთისადმი მიძღვნილ სამადლობელს ადამიანთა გაშმაგება ნთქავს. მიხდენენ თუ არა, პაღრე მთავარ საქმეს მორჩა და დალოცვის შემდეგ არც წირვა იქნება, არც შემოვლაო, ყველანი აჩოჩქოლდნენ. ქალებმა ჩანთები მოიმარჯვეს, მამაკაცებმა შარტლები გაისწორეს. დედოფლის მეჯვარე ქალიშვილმა გრძელი ხელთათმანები წამოიცივა ხელზე. ბოლოს პაღრე ზეაპყრობილ ხელებს ჩამოუშვებს და მკაფიოდ წარმოთქვამს:

— და უბოძე მათ ორივეს, უფალო, ბედნიერი ხვედრი, რათა ერთ მშვე-

ნიერ დღეს წარსდგნენ ქრისტეს მიერ, უფლისა ჩვენისა, განათებულ სამეფოსა მისსა!

— ამინ! — პასუხობს რამდენიმე ხმა, დამსწრეთა უმრავლესობა კი უკვე კარისაკენ დაძრულა და ფილაქანზე მათი ფეხის ხმა ისმის.



ნეფე-დედოფალი სწრაფად ეცა საკურთხეველს. ხელი მოაწერეს. მერე სწრაფადვე მიცვივდნენ შეგროვილ ნათესავებთან, რომლებიც იდგნენ და კამათობდნენ, არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. ქუჩა, სადაც მუხლუხებს ღრმა კვალი დაეტოვებინათ, ამ დროისათვის უჩვეულოდ უკაცრიელი იყო, ტროტუართან ორ რიგად ჩამწყვრივებული მანქანები თითქოს მცველებად დაეტოვებინათ. დაცარიელებული ქუჩა ნაცრისფერ სხვადასხვა სიმაღლის სახლებს შორის გადის, აქეთ-იქით ბეტონის შენობები უფრო მეტია, ვიდრე ძველი ქვის სახლები, მათ ზევით კი ქარხნების საკვამლე მიწები აღმართულა. მხოლოდ მიტოვებული ავტობუსი გახიდულა შუა ქუჩაში. ერთადერთი ცოცხალი არსება კი ძაღლია, რომელიც ფრუტუნით ყნოსავს კარების ზღურბლს. ამ უბანში უფრო მეტად წვრილი ბურჟუები ცხოვრობენ და უმრავლესობას თავიანთი პატარ-პატარა მაღაზიები რკინის დარაბებით ჩაუკეტავს; ზოგი მაღაზია კი, ეტყობა, საერთოდ მიუტოვებიათ პატრონებს. ჩაკეტილ დარაბებსა და ფარდებჩამოფარებულ ფანჯრებს თითქოს თვალში სინათლე წაურთმევიათო სახლებისათვის. აქა-იქ მოჩანს ყოველ შემთხვევისათვის გადნოკიდებული დროშები. აქამდე ეკლესიის კედლებში ყრუდ რომ აღწევდა გარეთ დატრიალებული ტრაგედიის ხმები, ახლა ზედ ყურის ძირში ბუბუნებს. ტრუსისა და გადახურული ზეთის მძაფრი სუნი, სახლების თავზე აღმართული კვამლის სვეტები და ცაში მქროლავი თვითმფრინავების გაუგებარი ირაო საშუალებას არ იძლევა ზუსტად თქვა, სად იბრძვიან. არტურო ხმაჩახლეჩილი ყვირის:

— იმედია, ქალაქში მთელი კორტეჟით არ აპირებთ სიარულს! ყოველგვარი თავყრილობა აკრძალულია.

— რესტორანი შორს აღარ არის! — იძახის ხოსე.

— დაკეტილი რომ იყოს? — ოხრავს ელენა.

— უნდა გავბედოთ! ფატიან პატარძალს შორიდანვე დაინახავენ, ასე რომ კარმენი გვიშველის! — ამბობს მოხუცი ფერნანდო პაჩეკო, ოჯახის პატრიარქი და ზურგში უბიძგებს თავის შვილიშვილს, რომელიც პაპაზე ნაკლებად არის დარწმუნებული საკუთარ ხელშეუხებლობაში.

ნათქვამი დამაჯერებლობას მოკლებული არ ჩანდა და კარმენს პაჩეკოები მიჰყვნენ, პაჩეკოებს — გარსიები. კარმენი ისე მიდიოდა, თითქოს შუშებზე დგამდა ფეხს. მთელი ეს ხანი მანუელი განზე იდგა, მერე თავის მომავალ ნათესავეებს ხელის აქნევით გამოემშვიდობა. მხოლოდ ერთი-ორმა თუ უპასუხა. მანუელს არც გაჰკვირვებია, მძლოლი რომ აღარ ელოდებოდა. ავტომანქანას გამოსაცნობი ნიშანი ჰქონდა და მისი გამოყენება ახლა არ შეიძლებოდა. მანუელმა გამოფენილი დროშები დაითვაღჷ. მერე წამოიძახა:

— შეხედეთ! ერთი ყოჩაღი მაინც მოიძებნა, თავისიანების დროშა ძირს დაუშვია გლოვის ნიშნად.

— წამოდი! — თხოვს მარია და მკლავზე ეჭაჩება.

თუკი პატარძალი იმედად ჰყავს ყველას, მარიასაც შეუძლია იგონე როლი ითამაშოს მანუელისათვის. ყველაზე მეტი საშიშროება ხომ ახლა მას ელის! მიუხედა, კარგად მიუხედა მანუელი. იგი ამოდ ცდილობს მარია შეეშინოს, ქალი კი თავისკენ ეწევა და კიბის საფეხურებზე ძალით ჩაჭყვავს მარია. მარია არზე გავიდნენ. მერე გზის პირას, „კრაისლერისა“ და „ტოიოტის“ შორის აღმოჩნდნენ. მათ წინ კი ასე ოცდაათიოდე მეტრზე, ცხვრის ფარასავით შექუჩული კორტეჟი მიაკაკუნებდა ოთხმოცამდე ქუსლს ქვაფენილზე. უცებ არტურო შემობრუნდა და ცოფმორეული მოჰყვა ბლავილს:

— ვერ მოგართმევთ! წითლები არა გვჭირდებიან! ჯანდაბამდის გზა გქონიათ! — მერე კვლავ გარბის, თან შემობრუნდება და მარიას უყვირის: — შენ კი, სულელო, თავი დაანებე მაგ არამზადას! შავ სიაშია შეტანილი! იცოდე, ჯვრისწერამდე მოგიწევს დაქვრივება...

თვითმფრინავების ახალი ტალღა აზუზუნდა. მათმა ჩრდილმა პროსპექტს გადაუარა. არტურო წინ მიმავალთ დაეწია. ყოჩალი მამაკაცები დედაკაცების ზურგს უკან იმალდებიან არიერგარდში, დედაკაცები კი სირბილით მიჰყვებიან კარმენს, რომელიც მათთვის თეთრი ბაირალია. ვინ იცის, იქნებ ამ გაქცეულთა შორის აღმოჩნდა ვინმე, ვინც თქვა, რომ პოლიტიკური ვნებების ადგილი ოჯახური გარემო არ არიო და თუ ვინმემ საწინააღმდეგო თქვა, — ეს კი სავესებით შესაძლებელია მომხდარიყო, რადგანაც ხოსე ნაბიჯმეუნელებლად, ხელის ქნევით, არტუროს გვერდით მისდევდა და ცდილობდა რალაცაში დაერწყმებინა იგი — სულ ერთია, მარია ამას ვერასოდეს შეიტყობს. იგი მანუელს ჩაჰხვევია, მისი ნიკაპი მანუელის კისერს ეხება, მისი სპილენძისფერი თმა მანუელის შავ თმაში ირევა, ქალი ჩურჩულებს:

— მე თქვენთან ვრჩები, მანუელ...

ჯერ არცკი ფიქრობს იმაზე, რომ აყოვნებს ადამიანს, ვისთვისაც ყოველი წამი ძვირფასია, მერე უმატებს:

— თავს უშველეთ, მანუელ. თავს უშველეთ!

სასოწარკვეთილი მარია სადაცაა გრძნობას დაჰკარგავს, ამის გამო მანუელი ვერც მისი მკლავებიდან ითავისუფლებს თავს და ვერც იმას ეუბნება, — ვაითუ უფრო შევაშინო, — ორივენი განწირულები ვართო. არ იცის, როგორ მოიქცეს, რა ქნას: აბა, რა იცოდა, რომ მარცხი ელოდა, თავშესაფარზე არ უზრუნია, ახლა კი საკუთარი უძლურება ზიზღსა ჰგვრის და თავი მოლაღატედ მიაჩნია. მანუელი თვალდაბუჭული, უძრავად დგას და გულს უღრღნის ძწარე განცდა. აგერ, ეს ურჩხული, — მანუელ ალკოვარი, ხელისუფლების ძალად საფეხურზე მოქცეული კაცი, ტრიბუნი, რომელიც ერთნაირად სძულთ ოპოზიციონერებსაც და სამხედროებსაც, ვისი ფოტოსურათებიც ასე ხშირ-ხშირად არის ხოლმე გაზეთებში. — აქა ბრძანდება: ბატონო გენერალო! აგერ არის ყველას დასანახად, უკაცრიელ ქუჩაში დგას და ქალიშვილს ეხვევა. დაე, პირველივე პატრულმა...

მანუელი თვალს ახელს და... შეკრთება. გონება გამალებით მუშაობს. ერთბაშად მარიას ბაგეს დაეკონება და ქალის კივილს ჩაახშობს. იმ პატრულმა მართლაც არ დააყოვნა! გვერდითა ქუჩიდან დაზეთილ სალტეებიანი, მსუბუქ ჯავშნიანი ავტომობილი გამოდის, ზუსტად ისეთი, როგორსაც კომპანია „პანარი“ ჰყიდის მთელს სამხრეთ ამერიკაში, და რომელიც ამ გრიალში თითქ-

მის უხმაუროდ, რკინის მარტორქასავით მოიზლაზნება. ქალ-ვაჟს გვერდით ჩაუვლის მოწითალო გაზის ბოლქვა-ბოლქვებით. სირცხვილი სერუანტს, სირცხვილი მთელს ეკიპაჟს, მტერი რომ ვერ შეიცნო! ავტომანქანა ნელა შორდება მათ, ყურადღებასაც არ აქცევს შეყვარებულებს, რომლებსაც როგორც ეტყობა, არაფერი ანაღვლებთ ამ ქვეყანაზე: ამ აურზაურში სამდგარან და ერთმანეთს ეხვევიან.

მაგრამ აგერ, ტყვიამფრქვევის წყვილი ლულა შემობრუნდა, რამდენიმე გრადუსით დაეშვა ძირს და მიზანში ამოიღო პროსპექტის ბოლოში მოფუთფუთე აკრძალული თავყრილობა. რა გაიფიქრეს ჯავშნოსანში მსხდარებმა? აბა, რას იფიქრებდნენ, რომ ეს ქორწილი იყო? ამ პაპამაც პატარძალი წინ გაიგდო და ვერ გაითვალისწინა, რომ ზურგიდან პატარძალის მაგიერ ადამიანთა ჯგუფს დაინახავდნენ. შეჯგუფულ ხალხს კი ახლა ხშირად შეხვდებით. ისინი ან იარაღს ეძებენ, ან საბოტაჟს აწყობენ, ან სხვა ჯგუფებს დაეძებენ შესაერთებლად, რათა პუტჩს ებრძოლონ. სამხედროებმა კი ბრძანება მიიღეს, სადაც შეჯგუფულ ხალხს დაინახავთ, არაფერს დაერიდოთო! ეს ხალხი გარბის, მაშასადამე სინდისი სუფთა არა აქვთ! შეხედეთ ერთი, შეხედეთ, იმ სულელმა ხელიც კი ასწია, სხვები კი შიშისაგან თავგზააბნეულები უფრო სწრაფად გარბიან. როცა ადამიანები ნებდებიან, ორივე ხელს სწევენ მაღლა, და არა ერთს, როგორც ეს, თანაც ეს აწეული ხელი მუშტსა ჰგავს. მუშტს? ეს ხომ გამოწვევას ნიშნავს. ნამდვილი პროვოკაციაა! ჯავშნიანი ავტობილი გაზს უმატებს, ლტოლვილებისაკენ მიექანება და ორმოცდაათიოდე მეტრის სიშორიდან ტყვიას უშენს მათ.

II

ახლაც, ისევე როგორც მღელვარების წუთებში სჩვეოდა ხოლმე, პარიზში ამომრევისაგან იმედგაცრუებულმა სელმამ ოჯახის გენეალოგიურ ხეს შეხედა, საიდანაც ექვსი მედალიონი ეშვებოდა. ეს ხე ორი გვარის თავმოყრის ფიქტიური გამოხატულება იყო, ვინაიდან საკმაო მანძილით იყო დაშორებული გიულშპენგი (სადაც მისი დედ-მამა ცხოვრობს, დალბოს ტბის ნაპირებზე თავიანთი 1500 კრონიანი «folkpension»-ით), დაბა ირე (სადაც ჭალებიან ზემო ანჟუში ქვრივი მადამ ლეგარნო ცხოვრობს და ჯერ კიდევ განაგებს პატარა საბაყლოს) და ის ადგილები, სადაც სელმასა და მის ქმარს უწევდათ ხოლმე ცხოვრება. ცოლ-ქმარი ბევრი რამით ჰგავდა ერთმანეთს და ბევრითაც განსხვავდებოდა. ცოტა ხნის წინათ სამხრეთ ამერიკაში გადმოიყვანეს სამუშაოდ. სელმას გალიმება უნდა. გაიღიმა კიდევ. ამ ხეზე ძალიან ძალე მეშვიდე ტოტიც გამოჩნდება, ნორჩი ყლორტი, ვარდისფერლოყება, ცისფერთვალა, ღია ფერის წამწამიანი არსებისა. მაგრამ უცებ სელმა ტელეფონისკენ დაიხარა და ყურმილში ჩასძახა:

— რა ვქნა, არ ვიცი! ხაზი გადაჭრილია.

სელმას აღარ ელიმება. წამოდგება, ფანჯარასთან მიდის. ფანჯრის აქეთ-იქით დგას მოგრძო, წვრილფოთლებიანი ორი ძირი ფიკუსი — სიმბოლო სკანდინავიური სიყვარულისა მარადმწვანე მცენარეებისადმი. დიდი არეულო-

¹ სახელ ქვიფო პენსია (შვედ.)

ბაა! ნეტავ რამდენი არიან? ერიკს, სამხედრო ატამეს, არ უყვარდა როცა ეუბნებოდნენ გადაკვრით, თუ როგორ იყენებდნენ „მის“ ტექნიკას და მოელ დილას ცაში იყურებოდა, თან ყველას არწმუნებდა, ეს გამანადგურებლები ამერიკული წარმოებისააო. — იგი ირწმუნებოდა, ორასამდე ეკავი იმნიშვნელოვანი საღებო დარბაზი ისეა სავსე, როგორც 14 ივლისის მიღების დღესო, როცა სელმა წასახემსებლად დაბლა ჩავიდა, თავად დარწმუნდა: უმრავლესობა მაჰიკანები იყვნენ, ზედვე ემჩნეოდათ, რა საქმიანობასაც ეწეოდნენ და რომელ პარტიასაც ეკუთვნოდნენ. ბევრის გვარი იმ სივრცეში ეწერა, რომელსაც რადიოში აცხადებდნენ და მოითხოვდნენ პოლიციის უაბლოგ კომისარიატში გამოცხადდნენო. სელმამ ორი თუ სამი ოჯახიც შეამჩნია, დიდიან-პატარიანად მოსულიყვნენ. ძუძუთა ბავშვიც კი წამოეყვანათ: ჩვილის დედას, მინისტრის ქალიშვილს, სიჩქარეში ვერ მოესწრო ბავშვის საფენებისა და საწოვარას წამოდება, ამიტომაც ვერავის დაეწყნარებინა პატარა: საელჩოში იმ ხარისხის რძის ფხვნილიც არ აღმოჩნდა, რომელსაც იგი იყო მიჩვეული.

სადამოს რამდენილა იქნებიან? წარამარა იღება კარები, თავშესაფრის მაძიებელი გადმოაბიჯებს თუ არა ზღურბლს, მაშინვე თავისიანების გარემოცვაში ხვდება. აქ უკვე იმდენს მოუყრია თავი, რომ ახალი მოსულები ბაღში გაჰყავთ და ინსტინქტურად თავ-თავიანთი ლიდერების გარშემო მდებლობაზე სხდებიან.

— სელმა! — იძახის ვიღაცა კიბიდან.

სელმა არ განძრეულა; ხელი მუცელზე უდევს, განიერი კაბის ქვეშ რომ უფეთქავს. მას მხოლოდ ვიღაც ვოკონას ხრინწიანი ხმა ესმის, უცბად ზედ ბუჩქებზე რომ დავარდა და ებილეთსიის შეტევა მოუვიდა. სელმასაც არ ჰყოფნის ჰაერი ამ უთავბოლოდ აყაყანებულ ბრბოში: თავიანთ წამღერებულ ენაზე ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიან. ეს ენა სრულიად განსხვავებულია იმ კლასიკური ესპანურისაგან, ლიცეუმში რომ ისწავლა. ესენი ან საკუთარ შესაძლებლობებს ვარაუდობენ ანდა იწყევენებიან. სელმა თავს ისე გრძნობს, თითქოს ბანდაჟი უჭერასო, თუმცა არ ეცვა. იგი შორს იყურება, საელჩოს ბაღის გადაღმა, სადაც მუნიციპალიტეტის მწვანე პარკი, ნამდვილი ბოტანიკური სამოთხეა გადაშლილი: იქ, ღირსეულად, დიდი ამბით მიდი-მოდის ჩალისფერ ფორმაში გამოწყობილი მოხუცი დარაჯი; დიდი შადრევანი განუწყვეტლივ აწვდის ჟანგბადს წითელ თევზებს და ქაფმორეული კასკადი ეშვება ხელოვნურ მდინარეში, გაზონების გასწვრივ რომ მიიკლაკნება, გაზონებს კი გულმოდგინედ კრეჟს მექანიკური საკრეჭელი და უკან ნაკრეჭით სავსე ტომარას მიითრევს.

— ჩვენც ავირჩევთ ხოლმე რაღა მყუდრო ადგილს, ჩემო ძვირფასო! ყველა ვიგინდარას ჩვენ ვაწყდებით! უკანასკნელად საბერძნეთში შეგვემთხვა ასეთი რამ.

სელმა შემობრუნდა. კარის ზღურბლზე, რომელიც თითქოს საცაა ჩაიმტვრევა ბრგე სხეულის სიმძიმითო, ოლივიე იდგა, სელმას გოლიათი მეუღლე, ფართო მხრებზე რომ არასოდეს სწვდებოდა არც ერთი მზა პიჯაკი. მაინც ვის დაემსგავსა ასეთი თავის არცთუ ისე გამორჩეულ ოჯახში? ოლივიე კვლავინდებურად მხნედ გამოიყურება, მაგრამ ჩვეული უწყინარობა აღარ ემჩნევა: ბუხუნებს, გაბურღნულ შავ თმას წარამარა ისწორებს, გადახსნილი საკინძედან ისეთივე შავი თმა მოუჩანს.

— მშვენიერი ნამუშევარია! როგორც პატრონი ამბობს, ეს არის ხალხის უღონობის დემონსტრაცია თანამედროვე არმიის შემმუსვრელი ძალის წინაშე. ადამიანი ტანკის წინააღმდეგ, — ეს არის წინააღმდეგობა.

სელმა თავს გადააქნევს. ასე იცის ხოლმე აღშფოთებისას, უნდა ენად გაიკრიფოს და გაუთავებლად ილაპარაკოს, სულაც არ იტყობს, რომ ქალს უმისოდაც ერევა გული.

— ეს ხუნტელი ბატონები არც გულაზიზი ხალხია და არც სულელები! უპირველეს ყოვლისა ხელში ჩაიგდეს რკინიგზა, გზატკეცილი, ტელევიზია, ნავსადგური, ფოსტა-ტელეგრაფი, გაზეთები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და კავშირგაბმულობა. ამით მოწინააღმდეგის ძალები გათიშეს, რაც სახელმწიფო გადატრიალების იდეალური მოდელია.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს უკვე გაიმარჯვეს, — ფრჩხილი მოიკვნიტა სელმამ.

— საუბედუროდ, ეჭვიც აღარ მეპარება უკვე.

ოლივიე ცოლს მიუახლოვდა, მხარზე ხელი მოხვია და ლტოლვილთა ბრბოს მანაც გახედა: მხოლოდ სამს მოუსწრია ჩემოდნების წამოღება, დახარჩენები დგანან ხელცარიელნი და ტკეპნიან მშობლიურ მიწას, რომლის მიტოვებაც მალე მოუწევთ საკუთარი თავის გადასარჩენად. ერთი ოფიციალტი სანდვიჩებსა და გასანთლული ქალაღდის ჭიქებს არიგებს, მეორე კი დოქიდან ძღვრიე სითხეს ასხამს ჭიქებში. სელმამ რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა... რა საჭიროა? სახე რომ სახელთან გააიგივო — არადა, ქალი აქ ბევრს იცნობს, — ეს იმას ნიშნავს, ადამიანს მისცე ის, რაც უკვე დაკარგა და ამდენ უბედურთა შორის გამოარჩიო. რატომღაც ბუტბუტებს სელმა:

— ჰალსტუხები მაინც არ გაეკეთებინათ.

ოლივიე ამაზე მაშინვე თავისებურად უპასუხებს:

— ამათ არაფერი უჭირთ, თავს უშველიან, მაგრამ იმ ათასობით კაცმა რა ქნას ქარხნებსა და ლარობთა უბნებში, იმათ არ დაინდობენ, ჩვენ კი ვერაფრით დავეხმარებით... ხუნტა საკუთარ სახლში მოქმედებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიმართლე მის მხარეზეა. შვილის გატანჯვისათვის ყველა ქვეყანაში სასამართლო დედ-მამას მშობლის უფლებას ართმევს. ხალხის ტანჯვა-წამებისთვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციასაც უნდა ჰქონდეს უფლება თავისი არმია შეიყვანოს და სუვერენიტეტი ჩამოართვას ქვეყანას.

— Jag elsker dig¹, ცისფერო მუზარადო! — ირონიულად ამბობს სელმა, თუმცა ამჯერად უადგილოდ. სელმას უყვარს ხან ერთ ენაზე რომ ლაპარაკობს და ხან მეორეზე. — მე რა მევალება?

— პატრონის ბრძანებაა, კაბინეტები საძინებელ ოთახებად გადავაქციოთ. მე ჩემს ადგილზე ვბრუნდები კართან, ხალხს მივიღებ. შენ ქვევით ჩადი და ბავშვებს მიხედე.

— ჩვენსას რაღა ვუყოთ? — სელმამ ღია ფერის წამწამები შეჰყარა.

— ხვალ წამოვიყვანოთ. ყველა, ვინც ნახევარ პანსიონზეა, ლამის გასათევად უნდა დარჩეს. თექვსმეტი საათიდან ქუჩებში ყოველგვარი მოძრაობა აკრძალულია.

ოლივიეს კილო შეეცვალა: შეშფოთება დაეტყო. კვლავ ყურადღებიანი

¹ მე შენ მომწონხარ (შვედ.).

ქმარი გახდა. ცოლი — მომავალ ქალიშვილთან ერთად — მღუმარედ ჩაიყვანა კიბეზე. ფრთხილობდა, არავინ დასჯახებოდა. კიბეზე განუწყვეტლევადი ჩამოდოდა ხალხი, ღმერთმა უწყის, საიდან გამოხხრეკილი საბან-გობანით ხელში, თვით ელჩი, „ბატონი მერსიეც“ ჩაბმულა საქმეში, ბალიში მოჰქონდა.

— ფრთხილად! — ეუბნება სელმას, როცა გვერდით ჩაუჭირის მჭიწობით მიმართავს, რადგან ბავშვობიდან, სტოკჰოლმში მუშაობის დროიდან იცნობს. — თქვენ კი, ოლივიე, გაიხსენეთ, რომ ერთი ბოთლი შამპანიური გმართებთ. ხომ გეუბნებოდით, არ გაივლის ერთი კვირაც და პრეზიდენტი ხელთ ეყოლებათ-მეთქი. ასეც მოხდა. თანაც ისიც კი არავინ იცის, რა ბედი ეწია პრეზიდენტს.

ელჩი თავის ტვირთიანად დიდი გაჭირვებით მიიკვლევს გზას. ცოლ-ქმარი კი სწრაფად ჩადის ქვემოთ. იქ ისეთი ჯგლეთაა, რომ ქმარი ცოლს ძლივ-ძლივობით უკაფავს გზას. უცებ მობრუნდება და გაშმაგებული დაიძახებს:

— ერთი ამას უყურე, ხედავ იმ ჯუჯა ჯაშუშს? ეგ პრელატოა, პოლიციის კომისარი, ხედავ, რა ამბავშია ეგ დღენაკლული ეგა?

ოლივიე ცოლს მოშორდა და ჯუჯასკენ გარბის. ჯუჯას ყველაფერი ნაც-რისფერი აქვს — თმა, ულვაში, ფეხსაცმელი... კოტიტა ხელებს, თათებს რომ მიუგავს, აქეთ-იქით აქნევს, და კარში ისე ჩამდგარა, ახლად მოსულებს არ უშვებს.

— ნაბრძანებია გამომყვეთ! — ყვირის იგი.

— ვინ ბრძანა? რის საფუძველზე? როგორც არ უნდა იყოს, საელჩოს კარში დგომის უფლება არა გაქვთ! — ოლივიემ ისე მძლავრად ჩაბლუჯა პოლიციელის საბელო, რომ კინალამ გაუფხრიწა.

კომისარი შემობრუნდა, თითის წვერებზე აიწია და წარბი შეჰყარა. იმ ადამიანივით გამომწვევი იერი ჰქონდა, რომლებიც, — რაკილა გაიმარჯვეს, — თავიანთ საქციელს გამართლებულად მიიჩნევენ. იგი იღრინება:

— გაფრთხილებთ, ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში რომ ერევით. ძალა-უნებურად ამბობებულთა თანამონაწილე ხდებით! ამათი გვარები რადიოში გამოაცხადეს. რაკი გარბიან. მაშასადამე, დამნაშავენი არიან.

— საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მე ესენი მირჩევნია! — ცოტა აჩქარებით პასუხობს ოლივიე. — არავის მხარეს ჩვენ არ ვიჭერთ, მხოლოდ დაზარალებულებს ვშველით. თუ თქვენი მეგობრები ან პირადად თქვენ ხვალ მარცხს იწვნევთ და საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ზრუნვა მოგიწევთ, თქვენც მოგცემთ თავშესაფარს.

— გმადლობთ! — დაიქშინა კომისარმა. — ჩემს პატაკში თქვენი სიტყვების ჩაწერა არ დამავიწყდება, თანაც სიტყვასიტყვით ჩავეწერ.

მერე გვერდიგვერდ, ალმაცერად წავიდა, მიწაზე სამჯერ დააფურთხა. ძალე სასტვენის ხმაც მოისმა, ხანგრძლივი და გაბმული, რაც ალბათ იმას ნიშნავდა, ძალა მომაშველეთო.

III

ზარბაზნები ჩაჩუმდნენ. თვითმფრინავები თავიანთ ბაზებს დაუბრუნდნენ. მათ ნაცვლად მეთვალყურე ვერტმფრენები გამოჩნდნენ, რომლებიც ნადავლის მაძებარი ქორივით დაბლა ეშვებოდნენ ხოლმე რომელიმე ადგილისაკენ. მოგვიანებით, როცა ვარსკვლავები ყვითლად აენთნენ და ვერტმფრენების

მწვანე სინათლის ციმციმს შეერივნენ, ვერტმფრენებიც გაქრნენ ღამის სიბნელეში. რომლის მყუდროებასაც ახლა უკვე შორეული და კანტი-კუნტი აფეთქების ხმალა არღვევდა. კაცს ეგონებოდა, სიმშვიდე ჩამოედგა, დროდადრო ბათქს რომ არ შეეთრთოთლებინა ექო.

ბნელ თავშესაფარში გაურკვეველი სუნი დგას, მანუელი უსმენს მარის სუნთქვას. ქალი ტანსაცმლიანად მიწოლილა და დაბანგულივით სიხავს. სიჩუმე აღარაფერს დაურღვევია მას შემდეგ, რაც სააბაზანოში წყლის ჩხრილი შეწყდა. ეტყობოდა, სახლის პატრონები შუაღამეს არაფრად აგდებდნენ და სასწრაფოდ იბანდნენ. ისმოდა მხოლოდ ოდნავი შრიალი, იმაზე უფრო მიყრუებული, ვიდრე თავკების ფაჩუნია. მანუელი ცდილობს ფიქრი სხვა რამეზე გადაიტანოს. ერთხანს ამ ფაჩუნს უსმენს, ბოლოს იმასაც ხვდება, რისი სუნიც დგას — სკორესი და ბუმბულის — ასეთი სუნი ჩიტებს აქვთ. ბუდეების კეთების დრო დამთავრებულია უკვე, ბელურები სახლის კოჭებ-ქვეშ ჩამომსხდარან. ძილში ოდნავ გასაგონად ჟივევიებენ და ბუმბულში იფუთხებიან.

მანუელმა კბილები დააღრჭიალა. ბელურები ხვალ გაფრინდებიან ანდა სახურავებზე მხიარულად იხტუნავებენ, შავთავა მამალი ბელურები ჟღალთავა დედლებს ჩაპკორტნიან. მშვიდობა ბელურებს, უბედურება — ადამიანებს! ნეტავ მისიანებმა თუ შეძლეს მასავით აი ასე დამალვა? ნეტავ ამ ორ დღეში რამდენი ცხედარი აკრიფეს ქუჩაში, სატვირთო მანქანებით წაიღეს და მერე ჩაყარეს საერთო საფლავში? საერთო საფლავში, რომელიც ხორხესა და კარმენს საქორწინო სარეცელად უქციეს. მანუელმა მაინც ვერ შეძლო სხვა რამეზე ფიქრი: ხოცვა-ფლეთა კვლავ და კვლავ თვალწინ ედგა...

სწრაფი, კარგად დახეთილი, მსხვილმუხლუხებიანი, მსუბუქი ჯავშანმანქანიდან ისროლეს: ექვს წამში ტყვიამფრქვევა ექვსჯერ გამოყარა ცეცხლი და ოდნავ აბოლებულმა, მბრუნავმა ფოლადის ლულამ მთელი საქორწინო მაყრიონი მოცელა. არტურო, რომელიც უკვე მზად იყო „ვაშას“ დასაძახებლად, არტურო, რომელმაც მისაღმების ნიშნად ხელი ასწია და რომელსაც არც კი უფიქრია ორივე ხელის აწევა. თუმცა ორივე რომ აეწია, მაინც ამაოდ დაშვრებოდა: ორივე ხელის აწევა ხომ დანებებას ნიშნავს, ხოლო რაკი ადამიანი გნებდება, თავს დამნაშავედაც ცნობს, და რაკი ამ მძვინვარე ამბების შუაგულში ჯავშნიანი ავტომანქანების ეკიპაჟს არც დრო ჰქონდა და არც საშუალება მათი დაპატიმრებისა, თანაც ნაბრძანები იყო ქუჩა გაეწმინდათ... არტურო პირველი დაეცა ორად მოკეცილი. ზერზემალგახვრეტილი ხოსე, პაჩეკოები რომ ხოსე-ყაყაჩოს ეძახდნენ. მუხლებზე დაეცა, მერე ცხვირი მიწაში ჩარგო, მას მიჰყვნენ ალფონსო და დანარჩენებიც — ზურგიდან ტყვიით დაცხრილულები; და მხოლოდ უკანასკნელ წამს, ამ ერთად თავმოყრილი ხალხიდან, ერთ მხარეს რომ მიიბვეწნენ, ზუსტად ისე, ხელის ერთი გაქნევით ბანქოს სათამაშო ქალაღდს რომ მიყრიან მაგიდაზე, ყვავილების გვირგვინიანი თეთრი სხეული გამოეყო, დაბარბაცდა, მიწაზე განერთხო თავისივე ლეჩაქში გახვეული.

— Ay, Jesus! Que lástima! — იკვილა მთელმა ქუჩამ და ყოველი შემთხვევისათვის დარაბები მაგრად მიიხურა.

1 თი, იესო! რა საცოდაობაა! (ესპ.).

წუთით შეჩერებული ჯავშნიანი ავტომანქანა ისევ შეძაგდაგდა, მერე ნელა განაგრძო გზა და დაბოცილებიდან ერთი მეტრის დაშორებით გაჩერდა. ტყვიებს ისე მოეცემა ყველანი, დაკვნესებაც ვერავის მოესწრო. ლუკა გაიხსნა და იქიდან თავგადააპარსული, ფართო ყვრიმალებიანი, ახალწვეული მეტისი გადაიხარა და პირდაპირ მანქანის ჯავშანზე აღებინა. მანქანა დაიძვინებდა, ვიდრე ვილაცის მბრძანებლურმა, ხრინწიანმა ხმამ შეიგნით არ შეაგდო. ლუკი დაიხურა, ჯავშნიანი მანქანა ორიოდ წუთს ისე იდგა, თითქოს მოსახლეობის რეაქციას უთვალთვალეხსო, ანდა საკუთარი შეცდომის შედეგს ანგარიშობენო, ან არც ერთი და არც მეორე, იქნებ თავიანთ უფროსებსაც მოახსენებდნენ რადიოთი მომხდარ ამბავს. მერე მუხლუხები უკუღმა დატრიალდა, ჯავშნიანმა ავტომანქანამ ვერ გაბედა ამ სასაკლაოზე გადავლა, საიდანაც სისხლი მიედინებოდა და გზისპირა არხში ჩადიოდა, უკან დაიხია, ავტომანქანების მწკრივში გასაძრომ ადგილს ეძებდა, როგორც იქნა იპოვა, ტროტუარზე აბობლდა და ისე შემოუარა ხოცვა-ჟლეტის ადგილს.

მარია მაშინვე მოწყდა ადგილს და მიცვალებულებისაკენ გაიქცა. არ ყვიროდა, თვალები ისე გაფართოვებოდა გაყინულ სახეზე, როგორც საშინელებათა ფილმის ხილვისას. ვიდრე იქამდე მივიდოდა, სამჯერ მოტრიალდა, თვალებით უჩინარ მოწმეებს ეძებდა, რომლებიც ალბათ შეშინებულნი აკვროდნენ დახურულ დარაბებს. მერე მამას დახედა, რომელიც გულაღმა, ხელებგამლილი ესვენა, დედინაცვალი პირქვე ჩამხობილი ეგდო, მირეიას ორი გოგონა ერთმანეთს ჩახვეოდა, თმა წელანდელივით მხრებზე დაჰფენოდათ. მარიას მუხლი არ მოუყრია მიცვალებულის წინ, მხოლოდ პირჯვარი გადაისახა. და როცა მანუელი მიუახლოვდა, ამ კაცს, რომელიც, სიმართლე რომ ითქვას, მისი საქმროც არ იყო ჯერ, წასჩურჩულა:

— თქვენს გარდა აღარავინ დამრჩა.

მერე უფრო მტკიცედ და ცივად დაუმატა:

— ნუ შეწუხდებით: ყველანი მკვდრები არიან.

მართლაც დაჭრილი არც ერთი არ იყო, გარდა პატარძლისა, ისიც აგონიაში იყო, ფრჩხილგალაქული თითებით — საქორწინო ბეჭდიანი ხელით — ჯერ კიდევ ფხოჭნიდა მიწას. როცა ეს ხელიც გაშეშდა, მარია დაიხარა თავისი ნახევარი დისკენ, მეორე ქორწინებიდან შეძენილ განებივრებულ ქალიშვილისკენ, ნიშნობის ბეჭედი მოაძრო და ჩურჩულით თავად ჩამოიცივა თითზე:

— გახსოვთ, ჯვარდაწერილთა დალოცვისას მღვდელმა რა თქვა ბოლოს? „და უბოძე მათ ორივეს, უფალო, ბედნიერი ხვედრი, რათა ერთ მშვენიერ დღეს წარსდგენ ქრისტეს მიერ, უფლისა ჩვენისა, განათებულ სამეფოსა მისსა!“ ხედავთ, მანუელ, რა სწრაფად ახდა ეს ლოცვა.

ვიწრო გასაბერ ლეიბზე მანუელი ზის. მის გვერდით ამგვარსავე გასაბერ ლეიბზე მარიას სძინავს. მანუელი უნებურად ხელს იფათურებს მუცელზე, სადღაც ცალ მხარეს ცდილობს იპოვოს ის ადგილი, რომელიც სტკივა. მარია მოკიდან ჯერ ვერ გამოსულიყო, მთვარეულივით ბოდავდა და ბორგავდა. საფრთხეზე არც უფიქრია, ისე დაიწყო თავშესაფრის ძებნა, თან წამდაუწუმ ერთსა და იგივეს იმეორებდა:

— თქვენ გარდა, აღარავინ დამრჩა. ახლა მთავარია, საიმედო ადგილას დაგმალეთ.

საიმედო ადგილას?... კი მაგრამ, სად? კვადრატებად დაყოფილ ქალაქში

ჯარისკაცები ყველას და ყველაფერს ჩხრეკენ, ალყაში მოაქციეს წინააღმდეგობის უკანასკნელი კერები, ფიქრიც არ შეიძლებოდა რომელიმე ჯგუფთან შეერთებაზე. ეს თავის გაწირვას ნიშნავდა; არც სახელმწიფო ბინაში დამალვაზე შეიძლებოდა ფიქრი. ცხადია, ყველა ამგვარი სახელი ჩაფანჯალ იქნება გადაქცეული; არც პროვინციისკენ მიმავალ გზებზე ალყის გაწირვებზე შეიძლებოდა ფიქრი. მარიას, ამ შეუმჩნეველ, არაფრით გამორჩეულ, პოლიტიკიდან შორს მდგარი მდივანი გოგოს ბინა შეიძლება დროებით თავშესაფრად მართლაც გამომდგარიყო. ნახევარი საათი მაინც მოუხდნენ მარიას სახლამდე გზას, რადგან წინ ელობებოდათ დაჩეხილი ხეები, უამრავი გვამი, რომელთა თავებსაც შარავანდელივით ედგათ წითელი გუბეები; ელობებოდათ დაფლეთილი ასფალტის ბელტები, ყუმბარებით ამოთხრილი ორმოები, სადაც დამსკდარი გაზის მილებიდან მომწვანო ალი ამოდიოდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მარიას სახლი, რომელიც რომელიღაც პროფკავშირების შენობის გვერდით მდებარეობდა, კარაბინიერებით იყო გარშემორტყმული და ყველას ესროდნენ, ვინც კი ფანჯარაში გამოჩნდებოდა.

— უნდა დავშორდეთ! — უთხრა მანუელმა. — ვხედავ, თავს ვერ ვუშველი. უფლება არა მაქვს, თქვენც...

— ჩვენი ერთადერთი იმედი რომელიმე საელჩოა! — თქვა მარიამ და უკან გამობრუნდა.

რომელი საელჩო? სად არის საელჩო? შეიძლება დედაქალაქს კარგად იცნობდე, მაგრამ ასეთ წვრილმანებს ყურადღება არასოდეს მიაქციო. რა სწრაფად იქცევა ხოლმე მოწიფული მამაკაცი გზაკვალარეულ ბავშვად. როგორ განსხვავდება ადამიანის პოლიტიკური სიმამაცე და მისივე საკუთარი, ჩვეულებრივი სიმამაცე ერთმანეთისაგან! რა საცოდავი გახდა ეს გუშინდელი ლიდერი, ვისაც შეეძლო ზუსტად განესაზღვრა ყოველი თავისი ნაბიჯი, ყოველი წუთი, ვისაც ეხერხებოდა სიტყვის წარმოთქმა. ახლა კი უცბად სიცოცხლის გადარჩენაზე უნდა იფიქროს! რაღა თქმა უნდა, საელჩო უნდა მოძებნონ. კი მაგრამ, ეს შენობები ხომ, რომელთა თავზეც ნაირნაირი დროშები ფრიალებენ, ქალაქის ცენტრშია თავმოყრილი! თანაც მეამბოხეთა მთელი ძალებიც სწორედ იქითკენაა მიმართული. აქ მოუყრიათ თავი ჯარისკაცებს, რომლებიც მთავრობის მომხრეთა შემორჩენილ სიმაგრეებს შემორტყმიან. ესეც არ იყოს, რა იცი ახლა რომელ დიპლომატიურ მისიას ეხატები გულზე და რომელს არა, ან იქნებ საელჩოების წინ პოლიციაც არის ჩაყენებული?

— ფრანგები! — თქვა მარიამ. — აქედან ყველაზე ახლოს საფრანგეთის საელჩოა, თანაც საცხოვრებელ კვარტალშია.

მარიამ მანუელს მკლავში ხელი გამოსდო. ქალიშვილის აზრით, ვერავინ მიხვდებოდა, რომ მის გვერდით „ქმარივით“ მოაბიჯებდა ყველასათვის ცნობილი უცოლო მამაკაცი. მართლაც საოცარი იყო, როგორ ვერ იცნეს მანუელი პატრულებმა, რომლებიც წარამარა დაჰქროდნენ ჯიპებით, ერთი-ორჯერ ქალაქს ბრძანებლურად გამოსძახეს კიდევ მანქანიდან:

— შინ წადით, თქვე ოჯახქორებო!

მანუელს ზოლებიანი შარვალი, შავი ბაფთა, მარიას მწვანე აბრეშუმის კაბა და ხელთათმანები მფარველებად მოევიწყნენ. მდიდრები არიან! განა შეიძლება ისინი დამნაშავენი იყვნენ? ამ კარგად ჩაცმულ ხალხს ეტყობა სროლამ საკუთარი სახლიდან შორს მოუსწრო. კედლებს არ ეკვრიან, არც

მომწყობნი. მანუელსა და მარისა ექვიც არ შეჰპარვიათ ვის სიკვდილზე იყო ლაპარაკი, თუმცა არც ერთსა და არც მეორეს არ უხსენებია ვხსენებულის სახელი. მხოლოდ მანუელმა ჩაილაპარაკა:

— იგი ღირსეულად მაინც მოკვდა.

ამასობაში, ორმოცდაათიოდე მეტრზე ორი ქუჩის შესასრულებლად ერთობის ბულვარის პირდაპირ საელჩოს მთავარი კარი გამოჩნდა სამსჯეროვანი დრო- შით მორთული. ალაყაფიდან ვილაც მხარბეჭიანი, შავგვრემანი კაცი ნერვი- ულად იქნევდა ხელს. თითქოს ვილაცას ანიშნებდა, იჩქარეო. მანუელი მზად იყო ადგილს მომწყდარიყო. მაგრამ მარია აჩერებდა. მანუელმა უკანასკნე- ლად და არც ისე დაჯერებულად უთხრა:

— ახლა მაინც დამტოვეთ, მარია, გთხოვთ...

— მოიცათ! იქ, მგონი, რალაცა ხდება.

და ისევ ქალი აღმოჩნდა მართალი. ერთობის ბულვარზე ხელების ენერ- გიული ქნევით კაცი გამოვარდა. იგი საელჩოს შენობაში ისარივით შევარდა. კვალდაკვალ მეორეც მოჰყვა, უფრო ხნიერი, გადაქანცული ძლივსლა მიათ- რევდა ძალაგამოცლილ ფეხებს.

— ატილიო! — წამოიყვირა ისე ხმამალლა, რომ მხარბეჭიანი შავ- გვრემანი კაცი შემობრუნდა. ხელი აიქნია და დაქინებით დაიწყო რალაც გაუ- გებარი ნიშნების გამოხატვა.

და მაშინვე, ვაი, რევოლვერის ხმა გაისმა: ატილიო ხაჩალი, სამხრეთე- ლი დეპუტატი, აგრარული რეფორმების თავგამოდებული მომხრე, კურდღე- ლივით გაგორდა. ამასობაში მღევრებიც გამოცვივდნენ ბულვარზე და მოვა- ლეობად ჩათვალეს წიხლი ჩაერთყათ მიცვალებულისათვის. ამასობაში მთელი ოცეული სამწყობრო ნაბიჯით მიუახლოვდა გზაჯვარედინს და იქ განლაგდა.

მდგომარეობა უიმედო გახდა:

— ხომ ხედავთ, რა მელოდება, — თქვა მანუელმა.

მაგრამ მარია უკვე სხვა მხარეს ეწეოდა თავის ლტოლვილს და აუჩქა- რებლად ამბობდა:

— მშვიდად! მოდით, იქნებ როგორმე პარკში შევიდეთ.

— ისინი პარკსაც გადააქოთებენ! — თქვა მანუელმა.

— ჩანჩქერს იქით გამოქვაბულია. ერთხელ პატარაობისას თვალხუჭობა- ნას თამაშის დროს იქ დავიმაღე, თუმცა მთლად დავსველდი, სამაგიეროდ ვერავინ მიპოვა. მთავარია დრო მოვიგოთ, ერთი ან ორი დღე. თავდაპირვე- ლად გამარჯვებულნი შურისძიებით თერებიან, მერე კი აუცილებლად ფხიზ- ლდებიან.

— თქვენ ასე ფიქრობთ? მე კი მგონია, რომ ისინი ცივისსხლიანი ურჩ- ხულები არიან და მეტი არაფერი.

ასეა თუ ისე, პარკის დასავლეთი ჭიშკარი გზაჯვარედინის შორიახლოს მდებარეობდა და ყოვლად წარმოუდგენელი იყო იქიდან პარკში შესვლა. ბოლო აღმოსავლეთ ჭიშკართან მისასვლელად პარკისთვის უნდა შემოგველო. თანაც, კაცმა არ იცის, ჭიშკარი ღია იქნებოდა თუ ჩაკეტილი, ან უნდა გა- გებოდა და მალაჲ კედელზე აცოცებულისყავი იმ ადგილას, სადაც პარკს სათ- ბურები ემიჯნებოდა.

— თუ საჭირო იქნება, კიბედაც გამოგადგებით. — თქვა მარიამ.

თუმცა დაღლილსა და გულგატეხილს აღარა გჯერა, ბედი ჩემდა სასი-

კეთოდ შემობრუნდებოდა და თუ იმედის ნაპერწკალი მაინც ღვივის, ერთი კილომეტრის გავლა დიდ სიძნელედ არ მიგაჩნია. ბრძოლის ექო თითქოს მიწელდა. სოსანისფერი კვამლის სვეტები გაიბნენ, ერთმანეთში არივნენ და ერთ მთლიან საბურველად გადაეფარნენ ქალაქს. ამ საბურველს მრძა ბინდუნდადღა ჩანდა მზე, რომელიც ოდნავ შესამჩნევ ჩრდილებს ხატავდა ქუჩის ფანრების ქვეშ. მდიდრულ სახლებში, ზემოთ თუ ქვემოთ, გამოსახულებებისა და მანსარდების გამოკლებით, დიდი გამოცოცხლება სუფევდა: სიხარულის ხიშნად ქვაბებს არახუნებდნენ, თუმცა ამ ქვაბებს თავიანთი პირდაპირი დანიშნულებისამებრაც იყენებდნენ: სამზარეულოებიდან გემრიელი სუნი გამოდიოდა.

— წყალსადენი მილების ლუკებს ქვეშ, — თქვა მარიამ, — რკინის კიბეებია თუ სხვა გზა არ იქნება, შეგიძლიათ...

მან არ დაამთავრა წინადადება. სპორტულ კოფთასა და მოკლე, თეთრ მარვალში გამოწყობილმა გოგონამ, რომელსაც ხელში ჩოგანი ეჭირა, ნომერ 82 სახლიდან ნომერ 88 სახლში გადაირბინა, თან გზადაგზა ფშლუკუნებდა:

— სულაც არ მენადვლება. მაინც წავალ, ხაიმე მელოდება.

პარკის ეს ნაწილი ტროტუარს გასდევდა თავისი ქლალტანიანი სეკვირებით, ეკვალიპტების მოლურჯო ფოთლებს დაბინდული ვარდისფერი გადაპკრავდათ უკვე. აქ მოღუნული, აბურძგნული, მჩხვლეთავი არაუკარიები მეფობდნენ, ნაცრისფერი კედლების შუა გაცრეცილი სიკომორები ჩანდნენ; ურიცხვ გირჩებიან, გამჭირვალე ფისით დაფარულ ნაძვებს ტოტები ტროტუარზე ჩამოეშვათ: უფრო მოშორებით, ბრტყელფოთლიან პაულოვნიას დაეყარა ნახევრად ჩენჩოგაცლილი ნაყოფი და გამვლელთა ფეხქვეშ ტყაცუნობდა. მარია ცდილობდა თავის მეგობარს აფარებოდა, ნაპირ-ნაპირ მიდიოდა, ვერც ამჩნევდა ჩიტების გაბმულ, ბედნიერ ქღურტულს, მათსავით იმავე პლანეტაზე რომ ცხოვრობდნენ. ტროტუარის მეორე მხარეს ყრუ კედელი მიუყვებოდა, იდუმალი შემწე მათი.

— გესმით? ჭიშკრის ჭრიალი ისმის, მაშასადამე პარკი ღიაა, — თქვა მარიამ. — და მაშინვე დაუმატა: — კარი რაღაცა ხშირ-ხშირად ჭრიალებს. ვაითუ, პარკს კეტავენ.

პარკს მართლაც კეტავდნენ; ვილებისკენ გადიები და ბებიები მიიჩქაროდნენ. ისინი კმაყოფილნი იყვნენ, რომ ასეთ სროლაში შეძლეს და თავიანთი პატარები სილაში ათამაშეს, ან ეტლით ასეირნეს იმ იშვიათი ხეების ხეივანში; რომელთა სახელებიც ისევეა პატარა დაფებზე წარწერილი, როგორც აქ მოსეირნე ქალბატონთა სახელები მათსავე სავიზიტო ბარათებზე. ორმა ქალმა მანუელს სულ ახლოს ჩაუარა და სულაც არ გაოცებულან, როცა, მიუხედავად მშვიდი, უქარო ამინდისა, ეს ბატონი სიგარეტის მოსაკიდებლად კედლისკენ მიბრუნდა და სანთებლის ალს პიჯაკის კალთა ააფარა.

— მანუელ! — დაიძახა მარიამ.

არა, შემთხვევა მართლაც მუდამ დაუდგარია. პარკიდან ყველაზე ბოლოს ის მხარბეჭიანი შავგრემანი კაცი გამოდის და ფართო ნაბიჯებით უახლოვდება მათ. მშვიდად, ხელების ქნევით მოეშურება და ყურადღებით ათვალთვრებს ვილებს. მერე ვითომდა ძალზე გაოცებული ჩერდება:

— ძვირფასო მეგობრებო, სულაც არ ველოდი აქ თუ გნახავდით! ხელს გაუწვდის და ყრუდ დაუმატებს:

— ჩქარა მომყევით, ერთი წუთის დაკარგვაც არ შეიძლება.

ისიც კედლის გაყოლებით მიაბიჯებს. განუწყვეტლივ ლაპარაკობს, ღმერთმა იცის, რაზე აღარ, ხმამაღლა ნანობს, რომ მეოთხე პარტნიორი ვერ იპოვა ბრიჯის სათამაშოდ, მოდით, ვისკი დავლიოთო, ანდა უკეთესი, ახალი კოკტეილიო, რომელმაც, თურმე, გადატრიალება მოახდინა მაღალსაჩოგადღებებაში. უეცრად მოუხვია, მანუელს ზურგით აეფარა, არაფრად ჩააგდო აქ რომ გადასასვლელი არ იყო. პირდაპირ გადაჭრა ქუჩა და შუა ბაღში მდგარ სახლისკენ აიღო გეზი. გასაღების ერთი გადატრიალება და ჭიშკარი გაიღო. მან ფილებით მოგებული ბილიკი გაიარა, სამი საფეხური აირბინა, გასაღები კვლავ გადაატრიალა და კარი გააღო, მერე გვერდზე გადასა და ორივე გაატარა. მოსულები უმაღლვე ჩაეშვნენ მოდურ რბილ სავარძლებში. დარბაზი იმგვარი დაუდევარი ელევანტურობით იყო მოწყობილი, როგორადაც დიპლომატიურ კარიერას თავშეწირულ ხალხს სჩვევია, ისეთ ხალხს — დროებით რომ ცხოვრობენ ხოლმე ხან აქ და ხან იქ. მან თავი დაუკრა სტუმრებს და იწყებს:

— მომიტევეთ, ბატონო სენატორო, ნება მომეცით გაგეცნოთ: ოლივიე ლეგარნო განლავართ, კულტურის ატაშე. არ შევმცდარვარ, მართლაც თქვენ ყოფილხართ. დარწმუნებული არ ვიყავი, ჩემს ნიშნებს თუ რამეს გაუგებდით. საელჩოს ბალი პარკის მომიჯნავეა, კარაბინიერებმა, რა თქმა უნდა, ეს იციან. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შევძელი, ის იყო, რომ გამესწრო მათთვის და პირველი მე შემოგყროდით. საელჩომდე ვერ მიაღწევდით, თანაც ისეა გამოტენილი, ნემსიც არ ჩავარდება. მერე ვნახოთ. მანამდე კი, თქვენდა საბედნიეროდ, მე აქ ვცხოვრობ, გთხოვთ პატივი დამდოთ და ჩემი სახლი თქვენად იგულვოთ.

პასუხად ოღნავ გასაგონი ჩურჩული გაისმა: „მადლობა როგორ გადაგიხადოთ?“ ეს სიტყვები ვერ გამოხატავს იმ გრძნობას, რასაც განიცდი იმ ადამიანის მიმართ, ვისაც უნდა უმაღლოდ თავისუფლებას და იქნებ სიცოცხლესაც კი. მაგრამ ამდენი სიარულისა და მოულოდნელი დასასრულის შემდეგ მანუელს აღარც ხმა ჰქონდა და აღარც ძალა. მარია ხომ უარესად იყო მიაღწია მიზანს და მოეშვა. ახლა ზის და ჩუმად ტირის. ოლივიე უხმაუროდ მივიდა ფანჯარასთან, ფარდა გადასწია და ხმადაბლა დაუსტვინა, ეტყობა, სანუგეშო ვერაფერი დაინახა.

— ეშმაკმა დალახვროს! — თქვა მან. — პარკის დაკეტვა არ იქმარეს, ირგვლივ დარაჯებიც დაუყენეს. ერთი პირდაპირ ჩვენი სახლის წინ დაუდებულა. დიდი სიფრთხილეა საჭირო. დიპლომატიური ხელშეუხებლობა ამ სახლზე არ ვრცელდება, შეუძლიათ გაჩხრიკონ კიდეც.

მაგრამ მანუელსა და მარიას დაღლილობისაგან ძალა ისე წართმეოდათ, ძღველვარებისაგან ისე დაბნეულიყვნენ, რომ ეს სიტყვები არაფრად ჩაუგდიათ. ყოველგვარი თავშესაფარი, საფრთხიანიც კი, მათთვის ახლა სულის მოსათქმელი, იმედის განახლების ადგილი იყო მხოლოდ. მარიამ, რომელიც, კაცმა რომ თქვას, ამ საქმეში ტყუილად გაება, ახლა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. თუ მოახერხებს და აქედან როგორმე შეუმჩნევლად გააღწევს, უკან დაბრუნებას მაინც ვეღარ შეძლებს. მანუელს მშვენივრად მოეხსენება ეს და ვერაფერს ამბობს. ნანობს, რომ მარია ჩაითრია ამ ამბავში, მაგრამ მარიას აქ ყოფნა უდიდესი ნუგეშია მისთვის.

— ყოველ შემთხვევაში, — განაგრძო ოლივიემ, — მეზობლები, სტუმ-

რები, შინამოსამსახურე და ჩემი პატარა ბიჭიც კი არ უნდა მიხვდნენ თქვენს აქ ყოფნას. სახლი ერთსართულიანია, რაღაც სხვენის მსგავსიც აქვს, სადაც, ჩვენს აქ დასახლებამდე პატარა ფოტოლაბორატორიაც მოუწყვიათ აქ ასვლა დასაკეცი კიბით შეიძლება, რომელიც დენით მუშაობს. ცხადია იქ წელში ვერ გაიმართებით. ძალიან მოუხერხებლადაც იქნებით, მაგრამ სხვა მანქანა არა გაქვთ.

გარეთ პატრულის ფეხის ხმა გაისმა, მერე მას ქალის ყვირილი, ლანძლვა-გინება მოჰყვა.

— პარკში ხალხს აპატიმრებენ. — თქვა ოლივიემ.

მერე უცბად დაუმატა:

— მარტო ჩემს ცოლს სელმას ეცოდინება, ისიც საელჩოში მუშაობს... მაგრამ მას ნუ დაველოდებით, მალლა ავიდეთ!

მარიამ ყრუდ დაიკვნესა და მხარი იცვალა. კოშმარებიდან ალბათ კარგა ხანს ვერ დაიხსნის თავს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. თავიდან სულაც არ უნდოდა დაწოლა. გადაწყვეტილი ჰქონდა, რაკი ჩემი მიცვალებულების გვერდით ღამის გათევას ვერ შეეძლებ, გლოვის ნიშნად არ დავიძინებო, მაგრამ ბევრი ხვეწნის მერე მანუელმა ძილის წამალი დააღევირა, მისი ხელი ხელიდან არ გაუშვია და ქალმა ჩათვლიმა, ხანდახან შეხტებოდა ხოლმე და ნაწყვეტ-ნაწყვეტად სლუკუნებდა იმ ბავშვივით, სულ ახლახანს რომ შეწყვიტა ტირილი.

მერე კი ვიდრე ჩაიძინებდა, უცბად თქვა:

— ხომ იცით, მანუელ, ყველაფერში არ გეთანხმებით. თქვენმა მეგობრებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს. მაგრამ თქვენი მტრები ისე საზიზღრები არიან, რომ უკვე ვიცი, ვის მხარეზეც ვარ.

ძილის წამალს ყილეტის ჯიბიდან თავი ამოუყვია, ცხადია მანუელმაც უნდა დალიოს. მაგრამ ვინ იცის რა მოხდება? მართალია, დერეფანში ჭერზე ამოჭრილი ლუკი, საიდანაც კიბე ეშვება ხოლმე, ძნელი შესამჩნევია, მაგრამ გამოდგება კი თავშესაფრად, ნამდვილი ჩხრეკა თუ მოაწყეს? და, იმ გუშაგით, სახლის პირდაპირ ღამის სიგრილეში შეციებულნი რომ ფეხებს აბაკუნებს, მანუელიც გუშაგად დგას...

არადა, ყარაულობას აზრი არა აქვს: ერთიც ვნახოთ და სახლში შემოიჭრნენ, მაშინ რისი გაკეთება შეუძლია? იქნებ საკუთარ თავს დარაჯობს, რათა გადაარჩინოს ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე ის საცოდავი ლტოლვილი, ვისაც ძალა არ ეყო უარი ეთქვა ქალიშვილის თავგანწირვაზე, ქალიშვილისა, ვისაც ამიერიდან მისი ბედი უნდა გაეზიარებინა. და თუ ცოცხალი გადარჩა, ესეც ამ ქალიშვილის წყალობითაა, იმის წყალობითაა, რომ აქამდე მოაღწევინა. „თქვენ გარდა, აღარავინ დამრჩა, მანუელ“. მანუელსაც ასევე შეეძლო ეთქვა: „თქვენ გარდა, აღარავინ დამრჩა, მარია“. მარტო რომ ყოფილიყო, შეიძლება მტერს დანებებოდა კიდევ. მარტო რომ ყოფილიყო, ამჯობინებდა კიდევ ერთი მსხვერპლი გამხდარიყო თვითონ. განა ღირს კი რამედ სიცოცხლე იმ ადამიანისა, ვინც რაღაც შემთხვევის გამო გადარჩა და საქმენი მისი კი კრახით დამთავრდა? ეს ყოველივე მანუელს სულს უმწარებდა... ვისაც უყვარ-

ხარ, ხშირად ცხოვრების მთავარი მიზნიდან გადაგახვევინებს. — აი, რისი ეშინოდა მანუელს მუდამ. ვინც გადაგარჩენს, — შენზე უფლებასაც მოიპოვებს და ველარსად გაეჭყვევი. მაგრამ ვერც იმ მოზღვავებულ ზმანებებს გაეჭყვევი: აგერ, მარია თავისი დის საქორწინო ბეჭედს იკეთებს: მარია ამ თავ-შესაფარში აღის, თავდახრილს არც კი უთქვამს, რომ მანუელს უნდა არც ქმარია და არც საყვარელი: არადა, მათ ხომ არა ერთი სმანი, არა ერთი დღე მოუწევთ ერთმანეთია გვერდით წოლა, თანაც ისე ახლოს, რომ სუნთქვაც კი ერწყმის ერთიმეორეს...

მახლობელი მონასტრის ზარმა სამჯერ მკვეთრად ჩამორეკა, დანარჩენი ეკლესია ზარები დახშულ, დაბალ ხმაზე გამოეხმაურნენ. მანუელს ქუთუ-თოები დაუშვიძდა. მებრძოლი სულია ფხიზლობდა მის არსებაში და ისიც ჩაინთქა ძილის ბინდებუნდში. და ახლა მისი ჩამობნელებული გონებალა იმეო-რებდა თითქოსდა ტრიბუნიდან ნათქვამ სიტყვებს. „ჩვენ მხოლოდ ბედნიე-ობა გვინდოდა ხალხისათვის; ჩვენ არ დაგვიმსახურებია ასეთი სიძულვილი“. სუსტი ქალური ხმა კი აწყვეტინებს: „თქვენ ბევრი შეცდომა დაუშვიით“. მებრძოლი სული იგერიებს: „განა ერთის შეცდომებმა შეიძლება გაამართ-ლოს მეორის დანაშაული?“ მაგრამ კითხვა უპასუხოდ რჩება, ორატორი ჩუმ-დება. ხვალინდელზე ფიქრი, მოძალეებული, მსუსხავი ფიქრი, რომ მომხ-დარ ამბებში მონაწილეობა ვერ მიიღო, გუშაგის ფეხის ხმა, ჩიტების სუ-ნი — ნელ-ნელა სადღაც იძირება, ქრება: მანუელს ისე ჩაეძინა, არც უგრძე-ნია მარჯვენა ხელი მარჯვენა მარცხენა ხელზე რომ ედო.

არ იარო. არ დაახველო. მხოლოდ ჩურჩულით უნდა ილაპარაკო და ისიც ცოტა. იდაყვით არ მიეჯახო ტიხარს, თავით — ქერს.

დილაადრიან ხელი არ დააჭირო ღილაკს, რითაც მექანიკური კიბე მოძ-რაობს. ძირს არ ჩახვიდე — თუნდაც ია საქმე გიჭირდეს. ელოდე, ვიდრე ოჯახური დილის ვარჯიში არ დამთავრდება. დედა, მამა და ვაჟი ვარჯიშობენ ოლივიეს ფრანგულ თვლაზე — „ერთი-ორი-სამი-ოთხი“, ან სელმას შვედურ თვლაზე „en-tva-tre-fyra“. ელოდე, ვიდრე ბიჭი ჩაიცივამდეს, დალევდეს ფინჯან შოკოლადს და სკოლაში წავიდოდეს. ელოდე პირობით ნიშანს: ტი-ხარზე ოდნავ გასაგონ ფხაჭუნს.

ამის შემდეგ ბოლოს და ბოლოს შეგიძლია გაბედო და დაბლა ჩახვიდე, შემსუბუქდე, საჩქაროდ წაიხემსო და კვლავ შენს საფარს დაუბრუნდე, ვიდ-რე ახლა ფიდელია მოვიდოდეს. ფიდელია, პატარა მეტიისი ქალი, ლეგარნობს საოჯახო საქმეებში ეხმარება და მუდამ დანიშნულ დროზე მოდის. მალლა ასულს ძრავის გამორთვა არ უნდა დაგავიწყდეს, რადგან ვიკი ხანდახან, გან-საკუთრებით კი მაშინ, როცა ამხანაგები ესტუმრებიან, გასართობად ჩართავს ხოლმე. და ასე, შუადღემდე, სიცოცხლის ნიშანწყალი არ უნდა გაამელავნო.

შუადღისას ისევ უნდა ჩართო ძრავა, ჩახვიდე. ამ დროს სახლი წესით ცარიელი უნდა იყოს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ფიდელია თეთ-რეულის დასანამად ან ნოხების დასაბერტყად ბრუნდება ხოლმე. არ უნდა უპასუხო ტელეფონის ზარს, არც თავად დარეკო, რათა მოყურადე ბიურო კვალში არ ჩაიყენო. არ გაიარო ფარდებჩამოუფარებელი ფანჯრის წინ, რაც შეიძლება ცოტა სიგარეტი მოსწიე. — რაც მანუელს ძალიან უჭირს, — ბინის განიავება შეუძლებელია. თამბაქოს სუნმა, ან სიგარეტის ნამწვავმა შეიძლება ყურადღება მიიქციოს, ოლივიე და სელმა სიგარეტს არ ეწევიან. ხმელა უნდა

ჭამოს, რადგან შესაძლოა სახლს უეცრად დაეცნენ გასაჩხრეკად და გაურეცხავი ჭურჭელიც შეიძლება სამხილი აღმოჩნდეს. რადიოსა და ტელევიზორის ჩართვა მხოლოდ დაბალ ხმაზე შეიძლება. ისიც უკიდურესი სიფრთხილით.

უნდა გაქრე ვიკის დაბრუნებამდე — იგივე ვიქტორისა. ვიდრე ბიჭი არ ჩაიძინებს თავის ოთახში, რომლის კარსაც დედამისი ყოველ შემთხვევისათვის ჩუმად კეტავს გასაღებით. ისევ უნდა ელოდო პირობის წინააღმდეგობის მერეღა ჩახვიდე დაბლა ლეგარნობთან სავახშმოდ. ერთი საათის შემდეგ კი სიფრთხილის ყველა ზომის დაცვით კვლავ უნდა დაუბრუნდე შენს სოროს ელექტროფანრით ხელში, რომელზეც ცხვირსახოცი გიფარია, რათა სინათლის ერთი სხივიც კი არ გავიდეს გარეთ ამ ვითომდა სხვენიდან და მეზობლები არ დააეჭვონ. მთელი, გრძელი დამე ისევ ფრთხილად უნდა იყოს, თვალყური ადევნო საკუთარ ძილს, ხმამაღლა არ უნდა ამოიოხრო, არ უნდა ილულ-ლულო... ასეთია რეჟიმი, რომელიც შეიძლება უფრო გართულდეს ხუთშაბათობით და კვირაობით, ანუ იმ დღეებში, როცა სკოლაში მეცადინეობა არ არის, და ლტოლვილებსაც მაშინ სრულ ბლოკადაში მოუწევთ ცხოვრება.

— თუ გაჭირდა. კვირაობით შეგვიძლია სადმე წავიდეთ, მაგრამ ხუთშაბათობით კი ვმუშაობთ და ბიჭი მთელ დღეს ფიდელიასთან არის...

სელმა ცდილობს გარეგნულად ყოჩაღად იყოს, მაგრამ ეტყობა, სულის სიღრმეში შეშფოთებულია. სწორედ მან შეადგინა ეს დღის რეჟიმი. კომენდანტის საათის დაწყებამდე დაბრუნდა შინ და ქმარს საქციელი მოუწონა, თუმცა ამ დროს რატომღაც სუნთქვა გაუხშირდა. მაგრამ როცა ქმარმა სთხოვა:

— შენი მდგომარეობა რომ გავითვალისწინოთ, იქნებ ერთი თხუთმეტი დღის შვებულება ითხოვო...

მაშინვე უარი თქვა:

— არა, ყურადღებას ნუ მივიქცევთ. საელჩოში ხომ ორასამდე კაცია...

ორასი კაცი იქ, ორი აქ. მანუელი გაწითლდა. მოუსვენრობა არ შორდებოდა. დევნილმა ვერც კი გაიაზრა, რომ მასპინძლებს საფრთხის მეტი არა მოუტანა რა და თანაც როგორ გაურთულა მათ ცხოვრება: ახლა სულ უცხო ენაზე უწევთ ლაპარაკი, რადგან მანუელი ლაპარაკობდა ფრანგულად, მარია კი არა; ახლა კიდევ ამათ საჭმელ-სასმელზე ზრუნვა? ზედმეტი ხარჯები ორი ზედმეტი კუჭის ამოსავსებად. მანუელს აღარ შეუძლია ამ საშინელ ფიქრებს დააღწიოს თავი. ამ სახლში მან შიში შემოიტანა, შავ ჭირზე უარესი შიში. თავის დამამცირებელ, მათხოვრულ მდგომარეობას გრძნობდა და შეურაცხყოფა ახრჩობდა. მაგრამ ყველაზე უფრო იმისა რცხვენოდა, რომ ამ ადამიანებს ტვირთად დააწვა, სარგებლობს მათი დიდსულოვნებით; მასპინძლებს კი, თუმცა საშიშროება ელით და არც ისე პატარა, დახმარებაზე უარი მაინც არ უთქვამთ.

თავისივე ფიქრის პასუხად — საკუთარი ტყავის გადარჩენისათვის საფრთხეში რომ აგდებდა მთელს ოჯახს, ისევე როგორც მარია ჩააგდო უკვე საფრთხეში, და რომ ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალს შეეძლო ეთქვა: „მისმინეთ, ბატონო, ჩემთვის გაცილებით უფრო ძვირფასია ამ სამი ადამიანის სიცოცხლე, ვიდრე თქვენი სიცოცხლე“ — მანუელს შეეძლო თავი ემართლებინა, თვითონ ოლივიემ მომიყვანაო აქ, მაგრამ პირველსავე საღამოს, როცა ტელევიზორის ეკრანიდან, საკუთარი დამქაშებით გარშემორტყმული გენერალი თავისი საქციელის „დასაბუთებას“ შეუდგა „ხალხისა და ისტორიის წი-

ნაშე“, როცა გამოთქვა „უდიდესი მწუხარება ჩვენი ძმებისადმი, რომელთა შეგნებაც ჩვენთვის უცხო იდეოლოგიით არის სავსე“, როცა ხმააწეულმა თქვა, დროა დავივიწყოთ სიბრაღე და თანაც დაიქადნა, სამაგალითოდ დაისჯება ყველა დამნაშავე, ყველა მოწინააღმდეგე, „ისევე როგორც ყველა კაცი, ვინც კი შეიფარებს საზოგადოების მტერს, რადგანაც ამიერიდან უნდა მოვიზიარებინოთ და იმსახურობს ისეთივე მკაცრ სასჯელსო...“ — მანუელს მამჩნია, როგორ გადახედა ცოლ-ქმარმა ერთმანეთს. არა, სინანული არ ჩანდა, მაგრამ ჩანდა შიში და ზუსტი შეფასება იმისა, რაც ამ ნაბიჯს მოჰყვებოდა. ამიტომაც დაჰკრავდა სიყალბე ოლივიეს ირონიულ ბუზღუნს:

— სააოცარია, დიქტატორები იშვიათად შეეფერებიან თავიანთ თანამდებობას. ჰიტლერი ჩარლი ჩაპლინს დაემსგავსა. ეს კი ყურებზე ჩამოფხატული ქუდით მებაყვება ჰგავს.

უფრო ყალბად გაისმა ოლივიეს ვითომდა გამამხნეველ სიტყვებშიც, გაფითრებულ სელმას რომ უთხრა. ქალი ენის წვერით წარამარა ისველებდა ლილისფერ ტუჩებს.

— იცი? შენმა თანამემამულეებმა გვაჯობეს; ამბობენ, შვეციის საელჩოში იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, დასაჯდომი ადგილი არ არისო.

მერე უცებ სერიოზულად დაუმატა:

— გთხოვთ, სენატორო, საქმეს ნუ გაართულებთ. ხმალი ვერაფერს ავნებს იქ, სადაც ერთ ადამიანს თავის მოვალეობად მიაჩნია უბედურებაში ჩავარდნილ მეორე ადამიანს მოეხმაროს. პირადად თქვენ კი არ გაძლევთ თავშესაფარს, არამედ, უბრალოდ, დევნილ ადამიანს; ერთ მშვენიერ დღეს ხომ შეიძლება ჩვენც აღმოვჩნდეთ ასეთსავე მდგომარეობაში... მომიტევეთ ლამაზსიტყვაობა და ნება მომეცით ნათლად გამოვხატო ჩემი აზრი: მე ბუნებრივად მიმაჩნია თქვენთან ერთად გავინაწილო საფრთხე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენს მრწამსსაც ვიზიარებ.

— გამოგიტყდებით, ზურგზე ჭიანჭველები მივლის, — დაუმატა სელმამ. — მაგრამ, ასეა თუ ისე...

მანუელს მოეწონა ეს სამი სიტყვა. ასეა თუ ისე, სელმას სხვა გზა არა აქვს. ოლივიეს არც უკითხავს თქვენ რა აზრისა ხართო. დიდსულოვნება, სიმამაცე მაშინ უფრო წრფელია, როცა მისი კიდე-განი ჩანს. მანუელს ისიც მოეწონა, სელმა უცბად რომ წამოხტა და მოეხვია მარიას; რომელიც ასევე ცდილობდა გადაერჩინა კაცი, ვისი აქ ყოფნაც განსაცდელში აგდებდა სელმას ქმარს.

მაგრამ ცხოვრება უცხოელებთან ერთად იმ სახლში, სადაც ორი ადამიანი თავისუფალია, ორი სხვა კი პატიმარი და მაინც იძულებულნი არიან არსებობის ელემენტარული მოთხოვნები დაიკმაყოფილონ; სახლში, სადაც კიდევ ორმა კაცმა უნდა იცხოვროს ისე, რომ ხილულნი იყვნენ ერთისათვის და უჩინარნი მეორეთათვის, ამასთან ამ ორმა კაცმა ერთი წამითაც არ უნდა დაზრონ აჩრდილთა არსებობა, — ფრიად საჩოთირო საქმეა. ზოგ ადამიანს უცნაური ალღო აქვს კვალის აღებისა და განსაკუთრებული ნიშნებისადმი. ისე არაფერი სძლებს დიდხანს, როგორც ვიღაც უცხოს სუნამოს სუნი, რომელიც დიასახლისის სუნამოს სუნში არეულა. არაფერი ისე არ გეცემა თვალ-

ში, როგორც, რატომღაც უადგილო ადგილას დადებული ჩვეულებრივი ნივთი, თუნდაც თმის ჯაგრისი, რომელსაც სელმა მუდამ ამობრუნებულს დებს და რომელშიც, ღმერთმა იცის, საიდან გაჩნდა უცბად ქლალი თმა. ან რაღაც იტყვიან ლოორის ნაჭერზე, რომელიც ვიკიმ მოისურვა, დედამ კი დარწმუნებით უთხრა:

— მაცივარშია, მესამე თაროზე. — მაგრამ მაშინვე დაუმატა: — მართალი ხარ, გენაცვალე, გუშინ შევჭამე.

არადა, ვიკის კარგად ახსოვდა, რა გულდაგულ ჭამდა დედამისი გუშინ ერბოკვერცხს.

არაფერი ხდება ცხოვრებაში იმგვარად, როგორადაც ჩვენ განვიზრახავთ ხოლმე. რაც არ უნდა ეცადო სიფრთხილე დაიცვა, მაინც ვერ შექმნი უშეცდომოდ გამოჩენისა და გაქრობის ბალეტს. მიეჩვიო სხვის სახლს, დღის რეჟიმს, ყურით მოისმინო ის, რასაც წინათ ჩვეულებრივ თვალთ ხედავდი, უცბად გამოიცნო ხმაური, ხმები... — ყველაფერ ამას ერთ დღეში ვერ შეითვისებ. შენდაუნებურად დავიწყებული რაღაც წვრილმანი გაუფრთხილებლობის სახეს იღებს და იწვევს პატარა შეკამათებას, შეხლა-შემოხლას, განსაკუთრებით კი ნერვიულ დაძაბულობასა და შიშს, თან სავსებით შესაძლებელია ამ შიშმა მოქანცოს ისინი.

და მაინც ყველაზე დიდი და მწარე ტკივილი მანუელისათვის მარია იყო, მარიასათვის კი — მანუელი. ერთი საქმეა, როცა გული მოლოდინით გელევა და შენთვის სასურველ ადამიანს ხედები ხანდახან, ისიც ხანმოკლე დროით, როცა შენც არ იცი როგორ „იშლება“ მკლავები ჩასახვევად, როგორ თრთი, როგორ ჩუხჩუხებს სისხლი და როგორ აორკეცებს მომაჯადოებელ დღესასწაულს, მომაჯადოებელი შეხვედრა, მაგრამ სულ სხვაა, როცა ერთ საათში შემოგადნება ეს ყველაფერი ხელში, იძულებით ცხოვრობთ, უფრო სწორად — არსებობთ ერთად. მაშინ როცა ყველაფერი სუსტია და მორყეული, როცა საერთო მხოლოდ გრძნობაა: ის კი, რაზეც ჩვეულებრივ ცოლქმრული კავშირია დაფუძნებული — ამ კავშირის სიღამაზე და სიმტკიცე — არსად არის. არსად არის მთავარი — ერთმანეთზე მეუფების უფლება, და თუ ეს არ არის, მაშინ ქორწინებაც არ არის. ტრაგედია უთუოდ ხელს უწყობს სიყვარულს და მგლოვიარობის წუთებშიაც თითქოს ტკივილს აყუჩებს. მაგრამ ტრაგედიის სიმძაფრე მალე ქრება, საკმარისია მეტხანს გაგრძელდეს, რომ უმაღლესი ტანჯვაც წვრილმანებში, ყოველდღიურობაში, შიშში, კინკლაობაში გადაიზარდოს. ეს კარგად იცოდა იმ შეამბოხებამაც, ვინც კუნძულზე მოსვლისთანავე თავის თანამზრახველთ გასძახა:

— თქვენ გადარჩენილი ხართ, მაგრამ ფრთხილად, საკუთარ თავს ვერ გადაურჩებით.

ცოლ-ქმარი, სულაც რომ არ იყვნენ ცოლ-ქმარი და იძულებით უნდა ეცხოვრათ ერთად: მანუელი და მარია, პირველ ხანებში იმ გოგო-ბიჭებივით აღმოჩნდნენ, ბანალურ, ცოტა სულელურ მდგომარეობაში ზაფხულობით კემპინგში რომ აირევიან ხოლმე და პრანჭვა-გრეხით ცდილობენ სხვის თვალთაგან მოფარებით გაიხადონ სამოსელი. მაგრამ მთავარი გამოცდა მაინც ეს არ იყო. ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა კარგად იცის რას ნიშნავს ნამდვილი ოჯახური მყუდროება, შეუძლიათ უეცრივ აღმოაჩინონ ერთმანეთის ნაკლი, ცუდი ჩვევები, სისუსტე (მაგრამ ამავე დროს შეუძლიათ ეს ნაკლი გა-

აბათილონ ყმაწვილური ვნებით ათრთოლებული მოზეიმე სხეულებით).

აქ კი, რა ქნას ამ თრმა ადამიანმა, ამ გაუთავებლად გრძელ დღეებში, ამ ერთი ბეწო თავშესაფარში, როგორ უყურონ ერთმანეთს, როგორ არ შეათვალიერონ ერთმანეთი, როგორ არ შეისწავლონ ერთმანეთი? ამ თამაშში მარიას მანუელზე ნაკლები საფრთხე ემუქრებოდა, თუმცა, მარია და მანუელი პირიქით იყო. მარია ფიქრობდა, განა კი შემოდის რითიმე ვანუგეში ასეთი გამოჩენილი კაცი, ვინც ყველაფერი დაკარგა? ანდა რითი უნდა მოვაწონო თავი, როცა ერთი საცოდავი ბაკალავრის ხარისხი და „გალიეგო იმპორტ-ექსპორტის“ ფირმის მდივანი ვარ მხოლოდო. და მაინც მარია ერთი ბეწო-თიც არ თმობდა, ჯერ დუმდა ხოლმე, მერე კი ერთბაშად ალაპარაკდებოდა: თავისი წვრილმანი შენიშვნებით, საქმიანობით იგი ნამდვილ ცოლს ემსგავსებოდა, ეს კი აღიზიანებდა დამოუკიდებლობას მიჩვეულ უცოლო მამაკაცს.

— მანუელ, ფრთხილად, ფანჯრის წინ დგახართ... მანუელ, ნუ უსტვენთ, ქვევით შეიძლება გაიგონონ.

ქალური ერთგულება უმეტესად თრგუნავს კაცს და თავისი პრაქტიკული წვრილმანებით ცოტა არ იყოს დამლღელია. მაგრამ მანუელს არ ავიწყდებოდა, რომ ეს ერთგულება გმირული არსებიდან მოდიოდა, საკუთარი თავი მას არ მიაჩნდა გმირად. ბედს შერიგება მანუელს არ სჩვეოდა. სტანჯავდა, მხოლოდ ის, რომ გამოსავალს ველარსად ხედავდა. უფრო კი „diminutio capitis“¹. სტანჯავდა. ის არავინ და არაფერი იყო უკვე. ერთი ვიღაც ლტოლვილი იყო, ვისაც არც ლუკმა ბური გააჩნდა, არც ჭერი, არც ხელობა. იყო მხოლოდ ოცდაჩვიდმეტი წლის მამაკაცი, რომელმაც უკვე საზოგადოებაში ადგილი დაკარგა. ახლა უკვე შეეძლო ანგარიში აღარ გაეწია თავისი და ოცდაორი წლის ქალიშვილის ასაკისათვის, მაგრამ სამაგიეროდ რას შესთავაზებდა განდევნის გარდა, გაჭირვებისა და სიცივის გარდა. ამგვარი სინანული ადამიანს მტრობას უღვიძებს. მამაკაცები ასეთ დროს საყოველთაო ბოროტებაზე გულის გამაწყალებელ წუწუნს იწყებენ. მარიამ იცოდა, მანუელიც ღრმად იყო დაჭრილი მასავით, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მანუელი ვერ შეძლებდა ისეთივე მკურნალი ყოფილიყო მარიასათვის, როგორც მარია იქნებოდა მისთვის. მანუელის უამრავი წვრილმანი ნაკლი კი — რამდენს არ უშლის — და მაინც პაპიროსს სწევს, ხვრინავს, მადიანად ჭამს, ფიქრის დროს უსტვენს — მარიას თვალში ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო. ეს წვრილმანი ნაკლი მანუელს უფრო მიწიერ ადამიანად ხდიდა.

მარიასათვის ყველაზე ძნელი ასატანი მაინც ის იყო, რომ მანუელს იუმორის გრძნობა არ გააჩნდა. სწორედ აქ ვლინდებოდა დიდაქტიკა ყოფილი მასწავლებლისა და ყოფილი ტრიბუნისა, რომელიც მიჩვეული იყო ხალხის წინაშე გამოსვლას, სიტყვის წარმოთქმას და იგი ახლა ამ ყოველივეს მოკლებული გახლდათ. მარია არ იზიარებდა მის რწმენას, მაგრამ პატივს კი სცემდა. ეს რწმენა გულუხვი იყო, სამაგიეროს არაფერს ითხოვდა, თუმცა ამ რწმენისათვის შეიძლება თავად ყოველ წუთს წამებული გამხდარიყო. მანუელს შეეძლო დიდხანს და საინტერესოდ ელაპარაკა. მერე ასევე დიდხანს მოსაწყენი ყოფილიყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ლოზუნგებს აფრქვევდა და ამ ლოზუნგების ძალას მარიაზე ცდიდა, როცა იმიტომ უფრო ლაპარაკ-

¹ „ხარისხიდან ჩამოქვეითება“ (ლათ.).

კობლა, რომ საკუთარი ხმა გაეგო და არა იმიტომ, რომ ნამდვილად გააგებინა ყოფილიყო. იგი განუწყვეტლივ ჩხრეკდა მარცხის მიზეზებს, უფრომავდებოდა თვითანალიზსა და წარსულს:

— იცით, მარია, ჩვენ უმცირესობა ვიყავით და უნდა გაგვეთვალისწინებინა, რომ თქვენი მეგობრები... უფრო სწორედ, მინდობილი ვართ უნდა გაგვეთვალისწინებინა, რომ ქრისტიან-დემოკრატები სხვა ბუნებრივობადნენ-მეთქი. ყველაფერი რომ თავიდან დაიწყოს, მე აღარ ვიქნები მომხრე იმისა, რომ ხელისუფლების ხელში ჩაგდებისთანავე საზოგადოება გარდაიქმნას და თან კანონის ფარგლებში დავრჩეთ. სამხედროებს ხომ ეს ხელს არაფერში უშლით.

ხშირად მანუელი ამაზე მეტს აღარაფერს ამბობდა, ვიქრებში სწონიდა ხოლმე ამგვარი მოქმედების შედეგებს, მერე, უფრო მოგვიანებით, სხვა ტირადაა წარმოთქვამდა, რომელსაც ადრე ნათქვამთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა: ეს იყო დუმილში ჩასახული ხმამალალი ფიქრი.

— ერთი სიტყვით, მარია, ეს არის სპექტაკლი იმაზე, თუ როგორ დაიპყრო არმიამ საკუთარი ქვეყანა. რა მშვენიერი გაკვეთილია! როცა ჯარისკაცები თავისი ქვეყნის დამცველის კი არა, პრივილეგირებული უმცირესობის დამცველის როლში გამოდიან, საყოველთაო ამბოხება წმიდათაწმიდა საქმე ხდება...

ხშირად კაცი ჩაჩუმებულა და ჩურჩულით უთქვამს: „თავი მოგაბეზრეთ ხომ?“ — მაგრამ მაშინვე გაუგრძელებია ლაპარაკი. მიწაზე რომ დაებრუნებინა, მარია ალერსიანად შეხედავდა ხოლმე და ისიც სწრაფად ეხვეოდა სინაზის ბადეში. მის ერთბაშად გალამაზებულ, გაჭაბუკებულ შავგრემან სახეზე ორაზროვანი ღიმილი კრთოდა და ამ ღიმილს არასოდეს დასტყობია მედიდურობა და თვითკმაყოფილება იმ საზოგადო მოღვაწეთა მსგავსად, რომლებიც ხელისუფლებაში რაიმე მნიშვნელოვან თანამდებობაზე მოხვედრისთანავე სახეზე რომ აიფარებენ ხოლმე.

კვლავ დგებოდა საღამო, მათი მარტოობის დამრღვევი საღამო, მარტოობისა, რომელიც ორივესთვის ცოტა დამქანცველი იყო. თავისუფლების მაუწყებელ დათქმულ ფხაკუნს მოუთმენლად ელოდნენ მარიაც და მანუელიც, რამეთუ არ არსებობს სიყვარული, სულისმოთქმა არ სჭირდებოდეს იმ მოკლე დროში, წვნიანსა და ჩაროზს შორის, ოლივიეს — რაკილა საელჩო უფრო ნამდვილ ინფორმაციას იღებდა — შესწორებები შეჰქონდა რადიოთი გადმოცემულ ამგვარად ტენდენციურ ცნობებში. ეს ცნობები კარგს არაფერს იუწყებოდა. ყველა წინააღმდეგობა შეწყვეტილიყო. მთელს ქვეყანაში ჯარისკაცების ჩექმების ბრაგუნის ისმოდა. ეს ბრაგუნის ყაზარმებისა და ციხეების განუყრელ ნაწილად ქცეულიყო. ყველა პოლიტიკური პარტიაც გამჭრალიყო. სახელმწიფო კანცელარიებში ციფრებით თამაშობდნენ — მოკლულებს ითვლიდნენ.

ოლივიე კეთილგონივრულად იკავებდა თავს კომენტარებისაგან და სენატორს აძლევდა ლაპარაკის შესაძლებლობას. მანუელი ყავას შაქრავდა და, რაღა თქმა უნდა, სიბრაზისაგან დუღდა ტრაგედიასაც აქვს თავისი დრო აღ-

მავლობისა და დრო დაცემისა. მიცვალებული სხვა, მაგრამ ცოცხალ ადამიანს, რომელიც სპექტაკლში როლის გარეშე დარჩა, რცხვენოდა იმისა, რომ ყოფილი მსახიობი მაყურებლად გადაიქცა. მანუელს უგუნებობა ეძლეოდა და მაშინ ოლივიეც სხვა რამეზე წამოიწყებდა ხოლმე ლაპარაკს. მერე კი, როცა ოლივიე კვლავ დაუბრუნდებოდა მთავარ სათქმელს, მოაყოლებდა ხოლმე ფიდელიას შიშზე -- მისი ქმარი ექვმიტანილი იყო -- ანდა ლტოლვილთა გადასარჩენად საელჩოს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე, მაშინ ქალები დგებოდნენ და სამზარეულოში მიდიოდნენ, სადაც ჭურჭელს რეცხავდნენ და თან გულითადად საუბროდნენ.

V

პატარა, გამხდარი ფიდელია ტროტუარზე მოცუნცულებს, თავს მოუსვენრად ატრიალებს და მის გადატყევილ სახეზე დროდადრო დამცინავი ღიმილი კრთება.

ქალბატონმა უბრძანა, ვიკი ასეირნეო. ისიც ასეირნებს. პუმას წინ ბიჭუნა დიდხანს გააჩერა. მხეცს კუდი აეპრიხა და გულმოდგინედ ხრავდა ხარის ბარკალს. ფიდელიამ ვიკი მიახვედრა, ამ მხეცს შეუძლია ყოველდღე ხორცი ჭამოს.

ბავშვს ყველაფერზე უნდა ჰქონდეს წარმოდგენა, ზოგიერთ რამეზე თვალსაჩინო გაკვეთილი სჭირდება და ფიდელიამაც ზოოპარკიდან დაბრუნებისას ქვემო გზით ღარიბთა კვარტალზე გამოატარა ბავშვი. როდესაც ერთი სამყაროდან მეორეში მოხვდები, განმარტებები საჭირო აღარ არის. არიან ადამიანები, სოციალური კიბის ქვედა საფეხურზე მდგარნი; ისინი ჭიანჭველებივით ერთი ხვრელიდან მეორეში მიძვრებიან და თავიანთ ტვირთს მიათრევენ. არიან ადამიანები სოციალური კიბის ზედა საფეხურზე მდგარნი; ისინი თავიანთი სახლების ტერასებზე გამოფენილან და ზევიდან დაჰყურებენ ბრბოს, რომელიც ყოჩაღმა ჯარისკაცებმა ბოლოს და ბოლოს ხელში მოიგდეს. ახლა ეს ჯარისკაცები ქუჩის ყველა კუთხეში დგანან, გვერდზე მიუქრავთ ავტომატები, თითქოს თავიანთი სხეულის განუყოფელ ნაწილად უქცევიათო. არსებული წესრიგის განუყოფელ ნაწილად ქცეულან ქუჩაში გამვლელთა მოხრილი ზურგებიცა და შეშინებული სახეებიც. საცოდავი ბრბო უბრალო რამეზეც კი ხმადაბლა ჩურჩულებს. ლაპარაკისას ერთმანეთისგან შორი-შორ დგანან, აქაოდა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ იფიქრონ, თავშეყრა გაგვიმართავსო, მხოლოდ დახლებს ათვალეირებენ, მადის აღმძვრელი სუნის ნესტოებში უღიტინებთ. რა ვუყოთ, ეს უფრო დამამშვიდებელი სანახაობაა, ვიდრე დროშებით მოფენილი ნიაღვარი, რომელიც აგერ სულ ახლახანს დამოუკიდებლობის პროსპექტიდან თავისუფლების მოედნისკენ მიემართებოდა. ახლა კი, ახლა ყველაფერი ისეა, როგორც საჭიროა, ყოველ შემთხვევაში გუშინდელზე უკეთესადაა. ამას მოწმობს აგერ იქ ზევით მჯდარი ათიოდე კაცი. ისინი ჩაის მიირთმევენ, ხელში ჭოგრიტი უჭირავთ და ახალ გასართობს ელოდებიან -- როდის შეამტვრევენ ყოჩაღი პატრულები კონდახებით კარს და როდის შევარდებიან რომელიმე ექვმიტანილის სახლში...

ეს ხეტიალი აღმზრდელობითი ხასიათისაა და უხიფათოა. ფიდელიას, -- ბრინჯაოსა და გიშრისაგან ჩამოსხმულ ნამდვილ მეტის ქალს, -- ყავისფერ-

ზოლებიანი ყვითელი კაბა აცვია, ვიკი ოდნავ უკან მიჰყვება, თუმცა ხელს მაინც არ უშვებს, ისე მოჰყავს პატარა ბატონი, რომ ერთი ნაბიჯით მსახურზე წინ იყოს. საექვო აქ არაფერია. ვიკი გამოცხადებული მამამოსია, რვა წლისაა და თერთმეტი წლისას ჰგავს: მზემოკიდებულსა და ვარდისფერს. მუხლს ქვემოთ შეკრული ჯინსები და მაისური აცვია. მაისურზე სახელწოდებულმა ცენტრალური თავდამსხმელის ნუანს ლაპელის პორტრეტი ახატია. ბიჭს მოხდენილ ფეხსაცმელსა და მაჯია საათზე ეტყობა, ვინ არის, გარდა ამისა, დედასავით ქერაა, — უფრო ჩაღისფერი თმა აქვს, ვიდრე სელმას, თვალებიც ცისფერი აქვს, — უფრო თავვისყურას ფერისა, ვიდრე იისა.

— Hur mycket är klockan?!¹ — კითხულობს ბიჭი.

ეს მათი თამაშია. ანუ უფრო ფრანგი კაცისა და დალექარლელი შვედი ქალის შვილი ოთხ ენაზე ლაპარაკობს: ფრანგული — მამისაგან მოსდგამს, შვედური — დედისაგან. ასე თუ ისე ინგლისურადაც შეუძლია ლაპარაკი, ოღონდ ცოტა დამახინჯებულად შეითვისა ოტავაში და დელში, სადაც ბოლო ხანებში ლეგარნოები მუშაობდნენ: ცოტა-ცოტა ესპანურიც იცის, რომელსაც უცნაური, სხვადასხვა ენიდან ნასესხები სიტყვებით კაზმავს და ესპანურად გამოთქვამს. ფიდელია პატივისცემით იმატვალება ბიჭისადმი, რომელსაც აათი დიდი ნიჭი აქვს ენების შესწავლისა და იძულებულია თავის მშობლიურ დიალექტზე უპასუხოს, ვიკიც ნელ-ნელა იწყებს ახალი ყამირის ათვისებას.

მაგრამ ამჯერად ქალი პასუხს ვერ ასწრებს, ბრბოს ყრუ ხმაური წყდება, სამაგიეროდ ფეხის ხმა ისმის გარკვევით, ხალხი აქეთ-იქით იფანტება. ეს ვილა ღრიალებს? მალაზიის წინ დიდზე დიდი რიგია. ოთხმა პოლიციელმა რიგიდან ორი შავკანიანი, შუბლდაბალი, ჩაფსკვნილი ქალი გამოათრია. თურმე გაბედეს და თქვეს, თევზი ძვირიაო. ქალები უკვე გაჩუმებულან, მაგრამ მანქანაში მაინც შეყარეს. ხოლო შემინებული, ერთ ხაზზე გაჭიმული რიგი კედელს აწყდება, რათა ერთგული მსახურის თანხლებით მომავალი ეს ქერა ბიჭუნა გაატაროს.

— Que han hecho estas niñas?² — კითხულობს ვიკი ესპანურად.

ფიდელია პასუხს აყოვნებს, უკეთესია აქაურობას გაშორდნენ. ისიც უკეთესია, შვიდჯერ აწონოს, ვიდრე თავის პატარა მოსწავლეს უპასუხებდეს, მერე უხსნის:

— ისინი ღარიბები არიან და, ჰგონიათ, რომ თევზი ძალიან ძვირია.

— მერე რა, — ამბობს ვიკი, — დედაჩემიც სულ ასე ჩივის.

— ამაზე სახლში შეიძლება ლაპარაკი, — დამრიგებლურად ეუბნება ფიდელია, — გარეთ კი არა, ქუჩა უკვე პოლიტიკაა.

პროსპექტი მალლა მიიწევს. ფიდელია ნაბიჯს უჩქარებს და გულმოდგინედ წონის სიტყვებს:

— ბოლო ღროს ღარიბებმა მდიდრებისაგან თავის განთავისუფლება გადაწყვიტეს. ახლა კი, გესმის? ყველაფერი უკულმა დატრიალდა.

— ოო! — ამბობს ვიკი და ერთობ ლოგიკურად დასძენს, — სულ ერთია, ყველა ღარიბს ვერ დააპატიმრებენ, აბა, მაშინ ვინლა იმუშავენ მდიდრებისთვის?

ფიდელიას ის იყო რალაც უნდა ეთქვა, მაგრამ გაჩუმდა. კაცმა არ იცის,

¹ რომელი საათია? (შვედ.)

² რა ჩაიდინეს ამ ქალიშვილებმა? (ესპ.)

ბაღში საიდუმლოს როდის წამოაყრანტალებს. ისეთი დრო დადგა, ყველაზე უწყინარი სიტყვაც კი შეიძლება ძვირად დაგიჯდეს. განსაკუთრებით ფიდელიასნაირ ადამიანს. აღმართი უფრო და უფრო ზევით მიიწევა. ფიდელია ოდნავ ქოშინებს, წელში ისე იხრება, რომ ვიკის მხარი თითქმის მის ნიკას უთანასწორდება. დიან, უკეთესია არაფერი თქვას. უკეთესია არაფერი იცოდეს.

არადა უნდა რაღაცა ჰკითხოს. აგერ, სახლიც, სახლიდან გამოსვლისას დღეს შეამჩნია თამბაქოს სუნი იდგა, არასოდეს უნახავს ბატონსა და ქალბატონს მისი თანდასწრებით მოეწიათ სიგარეტი. ეზოში სარეცხის თოჯნე პერანგი რომ ჰკიდია გასაშრობად, ბატონისათვის ძალზე ვიწროა, ხოლო ქვედა საცვალის სულაც არა ჰგავს ქალბატონისას. აგერ, უკვე რამდენიმე დღეა მაცივარი გამოვსებულია. რა თქმა უნდა, კომუნდანტია საათის შემდეგ სტუმრისანობაზე ფაქრიც ზედმეტია. თუ ქალბატონმა სანოვაგია მომარაგება განიზრახა, მაშინ ასეთი სამსახურის პატრონი და თანაც ასეთ მდგომარეობაში მყოფი, როგორღა ახერხებს რიგებში დგომას?

— აი, მოვედით კიდევ! — ამბობს ფიდელია.

ერთი კვარტალიდან მეორეში გადასვლისას ყველაფერი თითქოს ერთბაშად შეიცვალა. ყველაზე აღმართიანი გზა უკან დარჩა. აქ უკვე პარკის ხეივანების სამეფოა, ფართოვდება ბალები, რომელთაც მსუქანი, მედიდური ძაღლები იცავენ, გაფუყულნი დაიზღაზნებიან ნაპატიები კატები: ღია ფანჯრებიდან მუსიკა იღვრება და ყოველი სახლი უზარმაზარ მუსიკალური ყუთი გეგონება. ერთბაშად ფიდელია ისე შეკრთა, რომ ვიკიც კი შეჩერდა: ძეზობელი ქუჩიდან მორთულ-მოკაზმული ბიჭების კოლონა გამოიშალა, ყველანი ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილნი, ვინ ინდიელია, ვინ კარაბინერი, ვინ დევიდ კროკეტი¹ და ყველანი პლასტმასის თოფებით არიან აღჭურვილი. თორმეტამდე ბიჭუნა გარს შემორტყმია ექვს ტყვეს — სხვადასხვა ასაკის კეფაზე ხელბდაწყობილ ბიჭუნას ისინი პირდაპირ პარკის ღობეს მიადგნენ, ტყვეებს თავიანთივე ცხვირსახოცებით თვალები აუხვიეს, ერთად მიაქუჩეს და თავიდაც მათ წინ ჩამწყრივდნენ, ნამდვილი დამსჯელი რაზმივით. მეთაური განზე გადგა. იგი ყველაზე უფროსი არ უნდა იყოს ასაკით, მაგრამ ყველაზე ლანჩად კი აცვია, რაც გენერლობის უფლებას აძლევს.

— თქვენ რა, არ შეგიძლიათ სხვა რამე ითამაშოთ? — აღშფოთდა იქვე მდგარი გუშაგი.

— ცეცხლი! — ყვირის მეთაური და დაჯერებული აღმართავს ხელს. თორმეტ პირს ისეთი ხმა დასცდება, თითქოს ისვრიანო. მსხვერპლნი ეცემიან, ჯერ ფრთხილად, მერე მიწაზე დავარდნისთანავე ცდილობენ ნამდვილ მკვდრებს დაემსგავსონ, ხელ-ფეხ გადაშლილები სუნთქვას იკავენბენ. მერე მეთაური ჩამოუვლის, ყველა წაქცეულს შუბლზე მიადებს რევოლვერს, რომელიც საცობებს ისვრის და ექვსჯერ დაიყვირება „ბაბ!“ ტყვეები ვეღარ უძლებენ და ყვირილით ცოცხლდებიან.

— ახლა შევიცვალათ, თორემ სულ ჩვენ გვხვრეტთ.

აღშფოთებულმა ფიდელიამ ვიკი დაითრია, კართან მივიდა და კასალები

¹ დევიდ კროკეტი — ტენესის შტატის მცხოვრები სახელი ვაითქვა ინდიელებთან ომში (1813-1814)

ამოიღო. მალლა აიხედა და — ისევ შეკრთა — გასაღებების აცმულა ხელი-დან გაუვარდა. დაიხარა. აიღო, ჩაახველა და კარი გააღო. ის იყო, ოდნავ აწეული ფარდაც ჩამოეშვა და ფიდელიამ რომ ფარდის მიღმა ვიღაც დალანდა, ისიც გაქრა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

VI

სახურავზე წვიმის წვეთები წკაპუნობენ. გადაუღებლად წვიმს. თავშესაფარში წვეთიც არ ჩამოდის. კრამიტებზე დადენილმა წვიმამ, რომელიც წყალსადენი ღარებისაკენ ჩხრიალით ეშვება და პატარ-პატარა ჩანჩქერებად იქცევა, გამოაცოცხლა კიდევ აქაურობა. მარიას უკვე ეჩვენება, თითქოს წვიმა თვით მის არსებაში იღვრება და მასთან ერთად სადღაც მიიჩქარის. კიდევ კარგი — რაღაც აქვს გასაკეთებელი და ცოტა ერთობა: სელმას შვილისთვის სვიტრის ქსოვა დაუწყია, მარიამ კი ჩამთავრება ითავა. იდაყვები და პლასტმასის მსხვილი საქსოვი ჩხირები ზღარბის ეკლებივით დამცველად ემსახურება — მანუელისაგან დასაცავად — რომელიც უკვე ძნელად ერევა თავს, ხან დაიხრება, ხან გაიმართება, ხან ხელში ათამაშებს ძაფის გორგალს, ხანაც მარიას მხარს ეხება და ბურტყუნებს:

— აღარ შემიძლია ამ გალიაში ყოფნა. გარაეში ორი ველოსიპედი დგას, რა სიამოვნებით გავისეირნებდი თქვენთან ერთად!

— სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრდათ? — ამბობს მარია.

ეს ისე თქვა ქალმა, თორემ თვითონაც სიამოვნებით გავიდოდა ქუჩაში. როცა საფრთხე გემუქრება და თავშესაფარს აღმოაჩენ, იმედიაანად მიძვრები ხოლმე იმ თავშესაფარში. მაგრამ მალევე ხვდება, რომ შენს ცხოვრებას სიამოვნება მოაკლდა. და თუ მანუელი თავის მტრებისთვის გაქრა, საკუთარი თავისთვის ხომ ძველებურად არსებობს! ეს თავშესაფარი მისთვის ციხედ იქცა: ისეთ ციხედ, ნამდვილ ციხისგან რომ დააღწევინა თავი და უსარგებლო თავისუფლება მოუპოვა.

დადარდიანებულსა და ამ ღარდის გამოც საკუთარ თავზე გამწარებულ მარიას ქსოვისას ერთმანეთში ერევა თვლები, სინანული, იმედები. ღამლაძობით დახოცილი ნათესავეების სახეები ელანდება. შეშფოთება და დანაშაულის გრძნობა იპყრობს. როგორ მიატოვა? იმის მაგივრად რომ თავისი უკანასკნელი მოვალეობა შეესრულებინა, მანუელს გაეკიდა უკან. ახლა კი როგორ ბედავს იმის გაფიქრებას, რომ მანუელის გადარჩენაში, მხოლოდ და მხოლოდ მანუელის გადარჩენაში, მისმა უდიდებულესობა შემთხვევითობამ მოიღო ეს დიდი წყალობა?

— მარია, — ჩურჩულებს მანუელი: მისი ხელი ნელ-ნელა დაცურდა მარიას მკლავზე და ახლა ქალის ვაბის ქამრის გახსნას ცდილობს.

მარია განზე გაიწევა, მაგრამ არ სწყინს. ვისი რა ბრალია, თუ ასე ახლოს ყოფნა თავისას გაიტანა და სურვილს აღგიძრავს? განა ცოდვად ჩაითვლება — სრული დამარცხების ეამს. როცა ოცი წლის ბრძოლა წყალში ჩაიყარა, როცა გამარჯვება თითქოს სულ ახლოს იყო — მანუელი ცდილობს სხვაგან მაინც აიღოს რევანში? ქალმა თავი თავზე მიაღო კაცს. აბა რატომ უხდა იფიქროს მანუელმა, თითქოს ხელს იმის გამო მკრავენ, რომ დამარცხებული ვარო. პირიქით, იგი უფრო ახლობელი გახდა ქალისთვის. მარია ხომ

უკვე საჭი თვეა წუხს, რომ ამ კაცის ცხოვრებას, სახელმწიფო მოღვაწის ცხოვრებას — ვერაფერი შესძინა, თუმცა არც არაფერი წაურობია, რატომ უხდა ეგონოს მანუელს, რომ მარია ამაყობს იმით, რაც — საქმე/საქმეზე რომ მიდგეს — სულაც არ იცის მანუელმა და რამაც ასე გამოუცხადებია, როცა უხერხულად შემკრთალმა შესთავაზა აბები და მარილი შემკრთალი, უხერხულად გამოუტყდა, აბები რომ მჭირდებოდ. რა თქმა უნდა, საკუთარ თავს ფასი არ უნდა მიუმატო, ოღონდ არც უნდა დააკლო; მაგრამ, ამგვარად, პირველსავე ცდაზე, ერთბაშად დანებება მაინც არ სურდა. იქნებ მანუელი ფიქრობს კიდევ, მარია იმიტომ იქცევა ასე, მგლოვიარეა, ან არ სურს კარმენის ბედი გაიზიაროს ან სინდისი ქენჯნისო?

— მომიტევეთ, მანუელ. — თქვა მარიამ და მოიშორა კაცის აბორი-
ლებული ხელი.

მანუელმა წამოიწია და მორჩილად გაიწია განზე. აცახცახებული გრძნობ-
და, როგორ უჩქეფდა სისხლი ძარღვებში. სათვალთვალოსთან ჩაიმუხლა. ეს სათვალთვალო თვითონ გააკეთა ქუჩის მხარეს. შიგნითა ფიცარი გამოაძრო, ერთი კრამიტი ასწია და ხის ნაჭერი შეუდგა. ამ სათვალთვალოს წყალობით მან იცოდა, ვინ მოდიოდა და ვინ მიდიოდა, უთვალთვალებდა პატრულის შემოვლას, რომელიც თავის მოსვლას რიტმული ნაბიჯით იუწყებოდა, შუა-
ლედში კი მეზობლებს უყურებდა, კომენდანტის საათის დადგომამდე რომ მიდი-მოდიოდნენ. ზოგჯერ ეს სათვალთვალო მხოლოდ საბაბი იყო იმისა, რათა საკუთარი უნარი ხედვისა გამოეყენებინა და თვალებით, რომლებსაც მასზე მეტი თავისუფლება გააჩნდათ, შეეღწია აკრძალულ მხარეში. უფრო კი საკუთარ თავს ჯაშუშობდა და ჩურჩულით აღწერდა საკუთარსავე ყოფას:

— რომანტიკოსებს არ ვენდობი, მარია, ჩემის აზრით, ყველანი მოვალე-
ნი ვართ თავი გადავირჩინოთ საკუთარი საქმისათვის. მაგრამ როცა საკუთა-
რი თავის გარდა ყველაფერს კარგავ, პირადი უშიშროება აღარ გახარებს. მრცხვენია, რომ არაფერს ვაკეთებ, მრცხვენია, რომ არ ვიტანჯები. — ერ-
თი წუთის შემდეგ განაგრძობს: — იქნებ შენც ფიქრობ, რომ ჩვენ არა გვაქვს
ბედნიერების უფლება?

პასუხს ელის, მერე ისევ ჩურჩულებს:

— ირგვლივ ჯოჯობეთია, ჯოჯობეთში კი სამოთხეს ვერ მოიწყობ.

— სსს! — აწყვეტინებს მარია.

ქალმა შეამჩნია, რომ მანუელმა უნებურად „შენობით“ მიმართა. ხმა-
მალა რომ ლაპარაკობს — ნეტავ საიდანა აქვს ლაპარაკის სურვილი — ეს უთუოდ ერთგვარი შვებაა, მაგრამ იძულებული ხარ გააწყვეტინო, რადგან ხმას აუწყებს ზოლმე. წვიმა თითქოს შეწყდაო: წყლის ხმაური სახურავზე წვეთების მსუბუქმა ტყაპატყუპმა შეცვალა. მანუელმა თვალთვალი განაგრძო:

— უცნაურია, ლეგარნოების მანქანა ისევ ქუჩაში დგას. ფიდელია კი
სულ ცოტა ერთ საათს მაინც აგვიანებს.

მანუელი ისევ ლეიბზე გაიშობა. ბალისკენ გაჭრილი ვიწრო გაუმკვირ-
ვალემინიან სარკმლიდან სინათლის ისეთი მოწითალო შუქი შემოდის, მხო-
ლოდ ფოტოგრაფიული სამუშაოებისათვის რომ გამოდგება. შუქი ოდნავ ვარ-
დისფრად ანათებს ქერს, პენუარს — სელმამ რომ ათხოვა მარიას, კიკის

სვიტრს. მარია მის წინ ზის, სპილენძისფერი თმა შარავანდედით შემოდგო-
შია თავს: ამ პატარა ოთახში ლომის ფაფარივით ჩანს ქალის თმა. საიდანაც
მანუელი დილდილობით აბლაბუდას იღებს ხოლმე. მანუელი ლერბზე/ბორ-
გავს, ფიქრობს, უსტვენს, თვალებს ჭუტავს და ბლოკნოტს შეკრავს. კინიშ-
ნავს. ბოლოს ყრუდ მოისმის ხმები. ამ ხმებში წუხილი უფრო მეტად ხსნა-
განმარტება არა სჭირდება. კარი გაჯახუნდება. მანქანა ადგილიდან იძვრის.
მტვერსასრუტი ამუშავდება.

ეს ხმაური არც ისე დიდხანს გაგრძელდება. ბელურები სულ ახლახანს
სახურავზე რომ ფართხუნობდნენ უეცრად შეფრთხილდებიან; მაშასადამე,
ვილაც მოდის. მანუელი სმენად გადაიქცა, მაგრამ წერა მაინც განაგრძო. ეტ-
ყობა, მტვერსასრუტი ჯაგრისმა შეცვალა. კაცის ფეხის ხმა ისმის, ხან კაკუნით
(პარკეტზე დადის), ხანაც ყრუდ (ნოხზე დადის), ჯერ სასტუმრო ოთახში მი-
დი-მოდის, მერე დერეფანში, საიდანაც უკვე მარტო ფეხის ხმა კი არა, მიუ-
რუებული ლაპარაკი ისმის. ეტყობა, ფიდელია თან ლაპარაკობს, თან მუ-
შაობს. სიტყვები უფრო და უფრო გასარჩევი ხდება... ვილაც პაბლოს ახ-
სენებენ. ბოლოს ფიდელია და ის ვილაცა ზედ ლუკის ქვეშ დადგნენ და
ლაპარაკიც უფრო გარკვევით მოისმა:

— მე, — თქვა კაცმა. — სოფელში მივდივარ. გირჩევნია შენც ასე მო-
იქცე.

— მერე რითი ვიცხოვრო? — უპასუხა ფიდელიამ. — ორი გოგო მყავს
სარჩენი. თანაც პაბლოს მარტო ხომ ვერ დავტოვებ ციხეში?

— გაჩერდით, მანუელი! — ჩურჩულებს მარია.

მაგრამ უკვე გვიანაა. მანუელი სწრაფად გაცოცდა ლუკისაკენ, სადაც
მისივე გაკეთებული პატარა ხვრელი ეგულება. ხვრელი ისეთი ვიწროა, ასან-
თის ღერი ძლივს გაეტევას; მაგრამ მანუელმა მაინც გაარჩია შავი ხილაბანდი
ფიდელიას ყვითელი კაბის ფონზე, გვერდით კი ნაცრისფერი ლაქა ჩანს, ალ-
ბათ იმ კარტუზის ზედა ნაწილია, რომელიც ახურავს ენერგიულად, ხელების
ქნევით მოლაპარაკე კაცს. მანუელი მეტს ველარაფერს ხედავს: იატაკზე გა-
წოლისას სუნთქვის შეკავება დაავიწყდა, იმდენი მტვერი შეისუნთქა, ცე-
მინება აუტყდა.

— ეს რაღა იყო? — იკითხა სტუმარმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ზემოთაც და ქვემოთაც სული განაბა ყველამ, —
სხვა თუ არაფერი, შიში მაინც ჰქონდათ საერთო.

— კატა იქნებოდა, — თქვა ბოლოს ფიდელიამ.

მისი ხმა არც ისე დამარწმუნებლად ყლერდა, სხვანიარად არც შეიძლე-
ბოდა, სახლში ხომ კატა არა ჰყავდათ. ფეხსაცმელი აჭრაჭუნდა. მოსაუბ-
რენი იქაურობას გაშორდნენ.

— მოკლედ, ასე ვიზამ, — უკვე ყრუდ მოისმა ფიდელიას ხმა, — ქალბა-
ტონს წერილს დავუტოვებ და წავალ. იქნება პაბლო ვნახო როგორმე...

შუადღეა: ფიდელია არ გამოჩენილა. კიბე უხმაუროდ ჩამოეშვა გარაე-
ში ნაპოვნი მანქანის ზეთის წყალობით. პირველი, რაც სამზარეულოში თვალ-
ში ეცა, ქალაღდის ნაგლეჯი იყო, ანგარიშების წიგნიდან ამოეხიათ და ყვა-

ვილებით დაჩითულ ფარდაზე მიეკრათ. არავითარი შიში! მართალია ეს ლურჯი ფანქრით დაჯღაბნილი, ბატისფეხური ასოები, ერთმანეთზე გადაბმული სიტყვები, უწერტილო, უმძიმო და ხელმოუწერელი ხუთი ხაზი სხვების წასაკითხად იყო გამიზნული, მაგრამ ამ გამოკეტილ ორ ადამიანს უფრო აინტერესებდა მისი შინაარსის გაგება, ვიდრე იმათ, ვისთვისაც ჩვენს მანქანებში განკუთვნილი, ორივენი ერთდროულად, ჩუმად კითხულობენ:

„ქალბატონო ჩემი ძმა ჩამოვიდა პაბლო რომლის შესახებაც გელაპარაკეთ არ დაბრუნდა ახლა უკვე ცნობილია რომ დაპატიმრებულია სხვა ამხანაგებთან ერთად ფიქრობენ რომ მთავარ ციხეშია მომიტევეთ ყველაფერს თავს ვანებებ ძალიან შეშფოთებული ვარ მივრბივარ ამბის გასაგებად“.

— შით უკეთესი ჩვენთვის, — ამბობს მარია, — თუ ფიდელია მიხვდა, რომ აქა ვართ, მე მგონია, არ უნდა გაგვცეს.

— დიახ, — ეთანხმება მანუელი, — მაგრამ თუ გამომძიებლები ქმრის მერე ცოლის დაკითხვასაც მოინდომებენ, არ გაუძნელდებათ ყველაფერი და აფქვევინონ.

მანუელმა სასტუმრო ოთახისაკენ ფრთხილად გასწია, მაგრამ კარის ზღურბლზევე გაშეშდა: ფიდელიას ფანჯრები ჩაუკეტავს, ფარდების დახურვა კი დავიწყებია. საბედნიეროდ, ისევ გაწვიმდა და ახლომახლო ბაღებში აღარავინ ჩანდა. მხოლოდ პატრული იდგა ძველებურად პარკის კედელთან, იმასაც მარცხნივ გადაენაცვლა და პაულოვნის ტოტებს შეფარებოდა. მანუელს ისლა დარჩენოდა, პარკეტზე გაცოცხებულიყო და ფარდის თოკამდე ასე მიედწია, ეს ოპერაცია ისე კომიკურად ჩატარდა, რომ მარიამ სიცილი ვერ შეიკაფა.

მთავარი ახლა — ტელევიზორია. მანუელი სახელურს ატრიალებს, პირველივე კადრებში სითამამისთვის სამაგიეროს მიზღვა გამოჩნდა: ალყა — საფეიქრო ფაბრიკაში, ალყა — დოკებში, ალყა — აგრარულ ცენტრში, ერთიმეორეს ცვლიან საშინელი და თანაც ოპერატორის მიერ ცინიკურად გადაღებული კადრები.

„როგორც ქალაქში, ასევე სოფლად, — რიხიანად იუწყება კომენტატორი, — არმია განაგრძობს ექვმიტანილ პირთა ძებნას“.

ყველა ექვმიტანილს, — ჯინსებში, პანჩრებსა თუ ქალაქურ კოსტიუმებში გამოწყობილთ, — კონდახის ცემით მანქანებში ჰყრიან და აიძულებენ პირქვე დაწვენ, ახალწვეული ჯარისკაცები კი, რომელთა ბავშვურ, მუწუკებიან სახეებსაც ნიკაპქვეშ შეკრული მუზარადები სანახევროდ ფარავთ, ზედ მათ სხეულზე დააბიჯებენ და თოფის სასხლეტებს თითს არ აშორებენ. იმაზეც უზრუნიათ, რომ მაყურებელს დაპატიმრებული ქალებიც ენახათ. ქალებს მცველები იმავე წესით ერეკებიან მანქანაზე, ოღონდ ამჯერად უფრო მკვირცბლად, მზიარულად, სიცილ-ხარხარით, თან კაბაწამოხდილებს ავტომატებს უმიზნებენ ნიფხვებში. მერე კომენტატორი აცხადებს.

„ახლა მთავარი მხეცებიც ენახათ“.

ეკრანი აციმციმდა. პირველი ფოტო თავდაყირა გამოჩნდა, მერე გადმოაბრუნეს, მაგრამ კადრში ისე ცუდად ჩანდა, რომ ორად გაჭრილს ჰგავდა.

— ეტყობა, ტექნიკური პერსონალიც კარგად გაწმინდეს, — თქვა მანუელმა.

ბოლოს ერთმანეთის მიყოლებით გამოჩნდა წვერმოშვებული, თვალებ-

ჩაცვივნული სახეები, სასამართლო ექსპერტიზის ყველა ტრადიციის დაცვით: პროფილსა თუ ანფასში. და რასაკვირველია, თვითთვეულს თავისი წილი კომენტარი ახლავს:

„ხედავთ ამას! იცანით? აქაც მესმის, როგორ ბუზღუნებენ ქვეყნისუბლები, ვისი მტერიც ეს კაცი გახლდათ. იცით, სად იპოვეს ხმელთაშუაშუალოვარდი, ლარიბთა დიდი ქომაგი? სანადღეოს ჩამოვდივარ, ვერ მიხვდებითი კახას ლოგინქვეშ იპოვეს.“

— ეს ხალხი კლასიკას კარგად იცნობს, — თქვა მანუელმა, — ჯერ კიდევ მაკიაველი იმოდღვრებოდა, შეარცხენე, წუმპეში ამოსვარე მოწინააღმდეგეო.

მაგრამ ეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც მერე მოხდა: კადრში გამოჩნდა ბრტყელსახიანი კაცი, რომელმაც გამოაცხადა, ბევრმა არამზადამ შეძლო მიმალვა, მათი დაჭერა ყველა ჩვენთაგანის ეროვნული ვალია, რასაც დიდი ჯილდოც მოჰყვებაო.

„ნაბევარი მილიონი ჯილდოდ! ვიცით, იტყვიან, ამ ხალხს მეტისმეტად ძვირად უფასებთო, მაგრამ მხოლოდ ამ ერთხელ გავიღებთ ამ დიდ თანხას. აბა, კარგად შეხედეთ, დღის მთავარი მოქმედი პირი...“

გადაცემა შეწყდა. ეკრანი ჩაშავდა. მოისმა გაუგებარი ხიხინი, ერთმანეთის მიყოლებით ჯგუფჯგუფად გამოჩნდნენ წერტილები, ტირეები, ზიგზაგებები. მარამ წამოიყვირა: „არა!“ დღის მთავარი მოქმედი გმირი მარიას წინ დგას. დღის მთავარი მოქმედი გმირი მარიას გვერდითაა და თავის ორეულს შესცქერის.

„ჰეი, მანუელ ალკოვარო, — ისმის ტელევიზორიდან, — აბა, სადა ხართ? ახლა რაღას იტყვიან? იქნებ სიტყვის უფლება ჩამოგერთვათ? უცნაურია, თქვენა ხმა აღარ მესმის.“

ხმა მართლაც გამოირთო; ვიღაც თმა გაბურძღნული კაცი, ღია ცის ქვეშ, ვიღაცას უბრაზდებოდა, პირს აღებდა, კუმავდა, ხელებს ასავსავებდა, თითქოს საკუთარ თავს აჯავრებო. სასაცილო ღემოსთენე დამუნჯებულ სამყაროში... მერე კი ისევ მოისმა გააფთრებული ხმა:

„ახლა რაღას იტყვიან სენატორო! თქვენი უმცროსი მეგობარი გაგახსენებთ, რომელსაც რევოლუციის ბულბული შეარქვეს. მაგ ბრიყემაც თქვენსავით გამოიდო თავი, მაგრამ ბულბულსაც გალობაში აღმოხდა სული. ყურებში ახლაც გვესმის თქვენი მემამბოხური მოწოდებები. ალკოვარო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მალე თქვენს სახმო სიმებსაც მოუუვლით.“

გადაცემა მთავრდება და ეროვნული დროშის ფონზე დიდი შავი ასოებით რამდენჯერმე მეორდება მისი სათაური: და გ ვ ე ხ მ ა რ ე თ! მერე ეს სათაურიც ქრება და ეკრანზე რეკლამა ჩნდება. რეკლამას „ახალი ამბები“ მოჰყვება. მანუელმა აულელეებლად უყურა გადაცემას ბოლომდე. ცხოვრების მიღმა დარჩენილი მანუელი ცხოვრებასთან მხოლოდ იმით იყო დაკავშირებული, რის ჩვენებასაც მოიღებდნენ მოწყალეებად ახლანდელი მდგომარეობის ბატონ-პატრონნი. იგი ტყვე იყო იმ ყუთისა, რომელიც მას ამხელდა, ისევე როგორც ტყვე იყო იმ ყუთისა, რომელიც მას იფარავდა. მანუელი ჩვეულებ-

რივზე მეტად გაფითრებული ილიმება, მაგრამ ღიმილში მაინც კმაყოფილება გამოსჭვივის. დიახ, კმაყოფილება! რაკი ემუქრებიან, მაშასადამე, კვლავაც არსებობს! ამ ამბავმა ისე იმოქმედა, თითქოს გადამხმარ მღელღოს წვიმა და-ეპკურაო. ისმის მისალმების შეძახილები; კითხულობენ ბრძანებებს; ბავშვებს თაიგულები უჭირავთ ხელში; ქალებს უხარიათ, მალალი უყვამდებულბეს პირ-თა ამბორი რომ ეღირსათ: მოხუცები პატრიოტული აღტყნებში მსკანკალებულან; ელჩი აცხადებს, ჩვენი ქვეყანა უკვე მეთექვსმეტეა, ხუნტა რომ აღიარაო; საზეიმო წირვა ტარდება კათედრალურ ტაძარში, სადაც კარდინალი გენერალ-პრეზიდენტსა და თორმეტ სხვა გენერალს, ყოველი მათგანი ხომ რა-ღაცის მინისტრი გახდა, ტაძრის ზღურბლთან ხვდება. მანუელი ერთბაშად გამოცოცხლდა:

— თორმეტი გენერალი, თორმეტი მოციქული; სრული შემადგენლობაა! რა მშვენიერი რაზმია შეამბოხე იესოს დასახვრეტად! — ჩურჩულებს იგი, თან შეწუხებულ მარიას გადახედავს ხოლმე. მერე სხვა კილოზე განაგრძობს:

— იცანით გადაცემის ფინალი? ხედავთ, რა სიყალბე ჩაიდინეს? ნაწყვეტი აჩვენეს იმ სიტყვიდან, რომელიც იმ დღეს, ჩვენი გაცნობის დღეს წარმოვთქვი.

VII

გადაუღებლად წვიმს. ჩაშუადღევს, ქვემო სართულზე ჩასვლის მოულოდნელი შესაძლებლობით გახარებული მანუელი ოლივიეს კაბინეტში დაჯდა სამუშაოდ. გვედრით მარია მიუჯდა, თავის ფიქრებსა და საქსოვის თვლების თვლაში ჩაძირული.

დიახ, ეს ამბავი იმ დღეს მოხდა. ზუსტი თარიღები ხომ საჭიროა კალენდარზე ჩასანიშნად! იმ დღეს მოხდა, უფრო სწორედ, ღამით: ოცდაორ საათსა და შვიდ წუთზე, შაბათს, 20 ივნისს, დამოუკიდებლობის პროსპექტის ბოლოში, გადასასვლელზე. ასე იყო მოხსენიებული განცხადებაში, რომელიც დამზღვევი კომპანიის საქალაქში იღო.

დიახ, ეს ამბავი იმ დღეს მოხდა, მაგრამ მარია ვერ გამოუტყდა მანუელს, რომ მისი ცნობილი სიტყვა, — ის დღე ხომ იმ სიტყვით იყო აღსანიშნავი, — სიტყვა, რომელიც წარმოთქვა სახელმწიფო გადატრიალების პირველ ცდასთან დაკავშირებით სახალხო მთავრობის მხარდასაჭერად მოწყობილ მრავალათასიან მიტინგზე, — ქალს არ მოუსმენია. მარტო კვირასლა, № 7 პალატაში, სადაც უბედური შემთხვევების მსხვერპლთ აწვევენ ხოლმე, თავისდა მოულოდნელად ინტერესით მოისმინა ტელევიზორში — „ახალ ამბებში“ განმეორებით გადმოცემული სიტყვის ნაწყვეტი. ორატორის ხმა ამაყად, დამაჯერებლად ჟღერდა, შთაგონებული სახე მედალიონივით გამოკვეთილიყო ეკრანზე. რაზე ლაპარაკობდა მანუელი, ეს კი აღარ აგონდება. ბუნდოვნად ახსენდება რომელიღაც წინადადება, რაღაც ამისი მსგავსი:

„კანონიერება და მხოლოდ კანონიერება! ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ კანონის ფარგლებში, და ვიბრძობებთ იმათ წინააღმდეგ, ვინც, — კარგად ვიცით, — ასევე ყველაფერს გააკეთებს არაკანონიერების ფარგლებში“.

იმ შაბათს, 20 ივნისს, ნავახშმევს, მარია მშობლების სახლიდან ცუდ გუნებაზე ბრუნდებოდა. თავისუფლების პროსპექტსა და ამავე სახელწოდე-

ბის მოედნის კუთხეში მოუთმნელად ელოდა ტაქსს, მხოლოდ ტაქსს და სხვა არაფერს და არავის. ერთი და იგივე საყვედურები: „რატომ არ თხოვდები“, რომელსაც მაშინვე მოჰყვებოდა „თუ არადა, რატომ ცხოვრობ მარტო“ (რამიც საწინააღმდეგო აზრი უფრო იგულისხმებოდა), მამის უდაუჩინებელი ქება ბიძაშვილ რაულისა, რომელსაც სწრაფად აწინაურებდნენ სსსრკ-ში; დედინაცვლის გესლი, რომელიც იმის გამო ინთხეოდა, რომ გერი-მოახლე აღარ ჰყავდა — ეს ყველაფერი ყელში ამოსვლოდა მარიას, ახლა კიდევ ქუჩაში მამაკაცების გადაკრულმა სიტყვებმა საბოლოოდ გამოიყვანა მოთმინებიდან. რომელიღაც ტიპმა, რომელსაც არც მოხუცი ეთქმოდა და არც ახალგაზრდა, არც ლამაზი და არც მახინჯი, და კეთილი მეშჩანის სახე უფრო ჰქონდა, — თუმცა გულარეულ მარიას მისი სახის არცერთი ნაკვთი არ დაძახსოვრებია, — გაბედა და მკლავში ხელი გაუყარა. ერთი თუ ორი, ორივე ლოყაში გაულაწუნეს კაცს და მაინც ციფწყალგადასხმულმა მიაძახა ქალს:

— ფრთხილად, სულელო!

რადგან ქალი უკანმოუხედავად ქუჩაზე გადარბოდა. უცებ ცხვირწინ აეტომობილი გამოუხტა. მწვანე შუქნიშანი ენთო, მანქანა მაინც გაჩერდა. ბორბლების დამუხრუჭების ხმა და მძლოლის ბლავილი ერთდროულად გაისმა, მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა: მანქანამ ქალს მარჯვენა ფეხში გაჰკრა და კოჭი ამოუგდო. მარია მარცხენა ფეხზე ხტუნვა-ხტუნვით წავიდა, სხვა გზა აღარ ჰქონდა, უნდა მიეღო დახმარება იმ ჯმუხში ოთხკუთხანიკაპიანი, ულვაშიანი ჭაბუკისაგან, მანქანიდან მაშინვე რომ გადმოხტა ქალის საშველად. მარიამ რამდენჯერმე ჩაიბურტყუნა:

— სულ იმ ტიპის ბრალია.

რატომაა, რომ ასეთ დროს, ვთქვათ, ამჩნევ მაინცდამაინც წვრილმანს და არა სხვა რამეს? ვიდრე ჭაბუკი ჩაჩოქილიყო და ამოვარდნილ ფეხს უსინჯავდა, ვიდრე ქუსლმოტეხილი ფეხსაცმელი გახადა და ჯიბეში ჩაიდო, მარიამ წონასწორობა ილივს შეინარჩუნა და ქუჩის ფარნების სუსტ სინათლეზე შეამჩნია აბაზიანის ოდენა გამელოტებული ადგილი და გვერდზე გაყოფილი თმის სწორი ხაზი. მერე როცა ეს ხაზი, მერე ცხვირი, ულვაში და ბოლოს ოთხკუთხა ნიკაპი ქალის სახესთან სულ ახლოს აღმოჩნდა, თბილი, მელოდიური და მომნუსხავი ხმა გაისმა:

— გასინჯვა დამთავრდა! ჩემი აზრით, მოტეხილობა არ უნდა იყოს. ჩვეულებრივი ნაღრძობი გაქვთ. მკლავზე დაბეყრდენით. ის არამზადა კი, ცხადია, გაიქცა.

მართლაც, იმ არამზადის ზურგი ორმოცდაათიოდე მეტრზე ჩანდა და უკვე ღამის სიბნელეში იძირებოდა. ცალ ფეხზე მოხტუნავე, უცხო მკლავზე ჩამოკიდებული მარია, ჯერ თავისუფლების ქანდაკების წინ ჩამოჯდა სკამზე: თავისუფლების ქალღმერთი ტყუპ ბავშვებს აწოვებდა ძუძუს. მცირე ყოყმანის მერე კი „ვოლვოს“ უკანა სავარძელზე მოთავსდა და მანქანაც საავადმყოფოში გაქანდა. თუმცა ფეხსაცმელი არ ეცვა, ფეხი მაინც სტკიოდა, მაგრამ ქალს სხვა რამ უფრო აკრთობდა: იმგვარი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ამ კაცს დახმარების უფლებასთან ერთად, მოტაცების ნებაც ღართო.

თუმცა ცნობისწადილით შეპყრობილ მარიას მოეჩვენა, რომ ეს სახე სადღაც ენახა, მაინც ვერ იცნო. ეს კაცი ვერ იცნო ვერც რეგისტრატორმა

და ვერც ექთნებმა, მხოლოდ მორიგე ექიმმა იცნო: გამხდარმა, ქათქათა ხალათიანმა, გულმოდგინედ თმადავარცხნილმა კაცმა, ხელზე რომ ღრვი ძვირფასი ბეჭედი ეკეთა. როგორც კი სალილეში სამკვრდე ნიშანი შეამჩნიო, ექიმმა ყურადღებით შეხედა მის პატრონს, მაშინვე საჩხუბრად მოემზადა, და უკმეხად თქვა:

— რაო, ბატონო მანუელ ალკოვარო, ქალიშვილებს ვაჭახებთ უკვე მანქანას?

მარიას წინააღმდეგობამ, ეტყობა, იმედი გაუცრუა ექიმს:

— სიმართლე რომ ითქვას, ექიმო, ყველაფერი ჩემი ბრალია.

მაგრამ დაზარალებული ქალიშვილის შეწუხებულმა გამოხედვამ, მისმა პატარა, უკმაყოფილო სახემ სინანულს რომ გამოხატავდა, თვალები რამ დაძიბრმავაო, რატომ აქამდე ვერ ვიცანი სენატორიო — ექიმი სხვა კილოზე აალაპარაკა:

— სამწუხაროა! — დაიწრიპინა მან. — თორემ სენატორი მშვენიერ რეკლამას გაუკეთებდა სენატორს.

— სხვა თუ არა, თქვენ ხომ მაინც არ მალავთ თქვენს სიმპათიას! — ღიმილით უთხრა მანუელმა, რომელიც უკვე გასასვლელში იდგა.

ერთი საათის მერე, როცა უკვე რენტგენის სურათიც გადაუღო, ექიმმა პაციენტს ფეხი თაბაშირში ჩაუსვა. მთელი ეს ხანა ენა არ გაუჩერებია, ცდილობდა „მსხვერპლი“ „თავზეხელაღებული მძლოლის“ წინააღმდეგ განეწყო, რომელიც დიახაც რომ საძაგლად იქცეოდა ყველგან და ყველაფერში. იქნებოდა ეს დიდი თუ მცირე საქმე, საჭესთან თუ ტრიბუნაზე. ექიმმა მარია მამაშვილური მზრუნველობით ორი თვით გაანთავისუფლა სამსახურიდან, ლოყაზე ხელი მოუცაცუნა და თავისი საქმე დაასრულა:

— ნუ გეშინიათ თქვენს თავს არავის დავაჩავგრინებთ. მანქანა იმ ბატონის საკუთრება არ არის, ხომ ასეა? ახლა ისეთ ცნობას მოგცემთ შეგიძლიათ ზარალის ანაზღაურება მოსთხოვოთ.

ვინც არაფერს ითხოვს, ზოგჯერ ძალიან ბევრს იღებს. ნუთუ მართლა ალკოვარია, „რევოლუციის მომღერალი“? მარია პოლიტიკურ მოღვაწეებს ყოველთვის გულგრილად უყურებდა. სენატორს ორატორის სახელი ჰქონდა დაგდებული, რომელსაც მსახიობივით თუ მომღერალივით გარეგნობაც დიდად ეხმარებოდა წარმატებაში. მთელი მისი წარსული ღალატებდა ვინც იყო: საქველმოქმედო შესაწირებით აღზრდილა ობოლი ბიჭი, მერე ქვის სამტეხლოში დაუწყია მუშაობა, ბოლოს პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გამხდარა. მარიას ოჯახში მასზე სხვადასხვანაირი შეხედულებებისა იყვნენ.

— ეგეც ჩემსავით მასწავლებელია, მაგრამ დახეთ, სადამდე აღზევდა, — ამბობდა მამა.

— ეგეც ისეთივე მოლაყბეა, რომ იფიცებიან, ერთი ნაჭერი პურით მთელ ხალხს დავაპურებთო; ჩვენ კი გაჭირვებისაკენ გვერეკებიან. — წრიპინებდა დედინაცვალი სამრევლო ეკლესიის მღვდლის საყვარელ ფრაზას.

მარიას კი არცნაირი აზრი არ გააჩნდა მაშინ. არც უფიქრია ასეთ რამეებზე, თავისი მოკრძალებული საქმის იქით არ იხედებოდა. ის საქმე კი მონდომე-

ბას უფრო ითხოვდა, ვიდრე ჭკუას: ჭკუა კი შემდეგში დაეხმარება სენატორის იდეების გასაგებად. მაშინ კი პოლიტიკა არ აინტერესებდა. უფრო სწორად თავისი პატარა, პირად ომში იყო ჩაფლული: პირველი ქორონიტიდან დაბადებულმა ქალიშვილმა, ოცდაერთი წლის ასაკში უარს ამბობდა „საქონლის“ როლზე და ცხოვრებაში რომ თავი როგორმე გაეტანა, მჭიდროდ დასწრებულ თანაც ისეთ უფროსთან — ვისი სიანხლებს საზღვრებს აცილებოდა. ნუთუ მართლა ალკოვარია? ნუთუ ის არის? მერე რა? სიამაყე ყველას აქვს, სახელის მოსახვეჭად შანტაჟის მოწყობას არავინ აპირებს. მანუელ ალკოვარი იმ პარტიას ეკუთვნოდა, რომლის ხელმძღვანელებიც მკაცრად განსაზღვრულ ბელტასს იღებენ და გამდიდრება არ შეუძლიათ. მაგრამ მანუელი მდიდარიც რომ ყოფილიყო და დამნაშავეც, მარისა იმდენი ღირსება კი გააჩნდა, რომ მისგან ზარალის ანაზღაურება არ მოითხოვოს. თვითონაც ვერ იტყოდა რატომ, მაგრამ, როგორც კი თვალწინ დაუდგებოდა ოთხკუთხანიკაპიანი, სერიოზული სახე, წვრილი უღვაში, ნაყოფივით სავსე, წვნიანი და წითელი ტუჩები, რატომღაც ღიზიანდებოდა და სულაც არ სურდა მისი ზილვა.

მაგრამ მეორე დღეს, როგორც კი მნახველთათვის განკუთვნილ საათებში საავადმყოფოს კარი გაიღო, სენატორი უკვე მარისას სასთუმალთან იდგა, ქალიშვილი ფრიად გაოცებული იყო, რომ უცბად საერთო პალატიდან ცალკე პალატაში გადაიყვანეს — „თქვენი ოჯახის ხარჯებითა და თხოვნით“, — ასე უთხრა უფროსმა ექთანმა. მანუელს ერთ ხელში ცოცხალი ვარდების თაიგული ეჭირა, მეორეში კი ცისფერი კონვერტი, რომელშიც ფაქტების დადგენის ფორმულიარი იღო. კონვერტზე სამი სიტყვა ეწერა: „გულგრილობა, თავაზიანობა და გულწრფელობა“.

— წინ კიდევ ხუთი დღე გვაქვს, — თქვა მან, — მაგრამ უკეთესია დრო არ დავკარგოთ და აუცილებელი საქმეები მოვაგვაროთ.

საქმის მიჩქმალვა უნდა? არ ემჩნევს.

მანუელმა დაუმატა:

— უკეთესია ისე გავაკეთოთ, თითქოს მუხრუჭებმა მიღალატა და დაზღვევის მთლიანი თანხის გადახდას მე ვიკისრებ.

ნუთუ მთელ თანხას გადაიხდია? ნუთუ არაფრად უღირს მოსალოდნელი საშიშროებაც? მარია ახლა უკვე უხერხულობის გარეშე ვეღარ უყურებს ამ მაღალი თანამდებობის კაცს, რომელსაც ყველაფერი სხვა დავიწყებია და ერთი უბრალო ქალიშვილისადმი ყურადღებად ქცეულა: თაიგულს გამჭვირვალე ქალაღი შემოხსნა, მერე საყვავილე აიღო და შიგ ჩააწყო. თითში ეკალი შეესო, სისხლიანი თითი პირთან მიიტანა, გამოწუწუნა, ბოლოს ავტოკალამი ამოიღო ბლანკის შესავსებად... გვარი? სახელი? წლოვანება? პროფესია? მისამართი? ერთი გასროლით ორ კურდღელს იჭერს და იწერს; ასეთივე განზრახვით, ლაპარაკ-ლაპარაკით ჩაწერა თავისი მონაცემებიც; სწრაფად ჩამოთვალა ტიტულები, სხვათა შორის ისიც აღნიშნა, რომ ოცდაჩვიდმეტი წლისაა და უცოლოა, — თან ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა, — რაც უნდოდა, ყველაფერი გაიგო.

— ახლა ორივემ ჩვენ-ჩვენს ეგზემპლარს ხელი მოვაწეროთ, ჩემსას კომპანიას გადავუგზავნი.

— მე კი ჩემსას როგორც ავტოგრაფს შევიინახავ! — თქვა მარიამ და

და თვალეებში შეხედა კაცს.

მაგრამ ამოდ: ეს კაცი ან ერთობ მოკრძალებული იყო, ან რაც მიეჩვია დიდებას, რომ ასეთ რამეებს არაფრად აგდებს. მანუელმა თავი შეიბრუნა და მარიამ ბალნიანი ყურები დაუნახა. კაცი უცბად აღულლულდა:

— მომიტევეთ, მარია, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ გუშინ საღამოს ძალიან შემაშინეთ. ჩემი მშობლები სოფლის უბრალო მასწავლებლები იყვნენ, ოცდაათი წლის წინათ დაიღუპნენ საავტომობილო კატასტროფაში. მე ძლივს გამომათრიეს რკინის გროვიდან, რომლის ქვეშაც ჩემი მშობლები დაიხოცნენ. ჰოდა, ამიტომ...

აბუზული იჯდა სკამზე, თეთრად შეღებილ საწოლთან, საიდანაც გადმოშვერილიყო თაბაშირში ჩასმული მარიას ფეხი, ხოლო თაბაშირიდან გამოჩრილ ბამბებში კი ხუთი მოვარდისფრო თითი ჩანდა; მანუელი ისუნთქავდა ეფირის სულისმხუთავ სუნს, რითაც გაჟღენთილიყო ეს მეტისმეტად ნათელი ოთახი, რომელიც იმისთვის მოეწყობთ, რომ ყველანაირი სახიჩარის ადგილზე ძკურნალობა შესძლებოდათ. ჯერ მარტოსული ბავშვი იყო, მერე — მარტოსული მამაკაცი... და მანუელმა უეცრად იგრძნო, როგორ დაიღალა ცხოვრებასთან მუდმივ ჭიდილში, რევანშისთვის მუდმივ ბრძოლაში, და მაინც ორატორობა ისე გასჯდომოდა ძვალსა და რბილში, რომ შემდეგი სიტყვები მოხსენებასავით წაიკითხა:

— მინდა გამიგოთ; სწორედ ამან განაპირობა ჩემი შემდგომი ცხოვრების გზაც. თოთხმეტი წელი გავატარე ობოლთა თავშესაფარში, სადაც ჯერ კიდევ ძნელია მოხვედრა ჩვენს ქვეყანაში; ქვეყანაში, რომელიც ყოველთვის დედინაცვლობას უწევდა თავის ხალხს, ეს თავშესაფარიც თავის კვალს ტოვებს ცხოვრებაში. მე ძალზე კარგად მომეხსენება ქველმოქმედების ფასი და ამიტომაც სამართლიანობა მირჩევნია.

საბედნიეროდ, კაცის ყურადღება რაღაცამ მიიპყრო, საჩვენებელი თითი გაშალა, თითზე უსწოროდ შეჭრილი ფრჩხილი ჰქონდა, — მაშინვე ეტყობოდა, რომ ეს ხელი ყოფილი მუშის ძლიერი ხელი იყო.

— ფეხი გტკივთ?

— არა, — უპასუხა მარიამ.

თითი შეთრთოლდა, მერე მოიხარა და ოდნავ შეჭალარავეებული საფეთქელი მოიქექა.

— რამე ხომ არ გჭირდებათ?

— არა, — უპასუხა მარიამ.

მანუელი დაიბნა. მაგრამ მალე გამოერკვა, სენატორობა დაივიწყა, გადაიხარხარა და უკანასკნელი კითხვაც შეჰბედა; ეს კითხვაც იმგვარი იყო, რომ უარის თქმაც, სინამდვილეში, თანხმობა ყოფილიყო.

— ხომ არ ამიკრძალავთ, კიდევ მოვიდე?

— არა, — უპასუხა მარიამ,

მთელი ის კვირა, ვიდრე მარია საავადმყოფოში იწვა, მანუელი ყოველდღე მოდიოდა.

VIII

ერიკი, სამხედრო ატაშე, გვარებს აცხადებს, სიაში აღნიშნავს და ქაღალდებს ამოწმებს. მას ეხმარება სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი, წელ-

ქოთია; მწვანე მუნდირებსა და მუზარადების თავს ზემოდან, მდიდრული ბინებიდან, ლანძღვა-გინება იფრქვევა. საელჩოს პირდაპირ, აივნებზე, ელემენტური ქალბატონები გადმომდგარან; იქვე, კვერცხებითა და პამიდორებით სავსე კალათებით ხელში მოახლეები დგანან, ქალბატონები კი, რათა აღასრულონ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა, კვერცხებსა და პამიდორებს მსვრიან განდევნილებს. რომელიღაც ოფიცერი პანლურით უმასპინძლებს გულუბრყვილო ოპერატორს, რომელიც ამ სცენის გადაღებასაც ცდილობს. პრელატო, სექტორის კომისარი, ავტობუსის ირგვლივ დაძრწის და იმ ნადირსა ჰგავს, რომელსაც ხორცის ნაჭერს სტაცებენ. ამასობაში ლტოლვილთა რიგიც მიილია. სულ ბოლოს კარმენ ბლაიასი, — გეგმიური ეკონომიკის მოთავე გამოდის, მას მძვინვარე სტვენით ხვდებიან; კარმენ ბლაიასმა ზემოდან გადმოსროლილი პამიდორი დაიჭირა, გულზე მიიღო და დაიძახა: „გმადლობთ“, მერე ჭამა-ჭამით ავიდა ავტობუსში.

— მართლა არ გინდათ, ისინი გავაცილო? — ჰკითხა ოლივიემ.

— არა, — უპასუხა ბატონმა მერსიემ და სიგარა გაახვია.

ენის წვერით, — რისთვისაც მას ამ საქმის მცოდნენი ყოველთვის ძრახავენ, — „უობის“ ფირმის ქალაქის წებოიანი ნაწიბური გალოკა. ამ ქალაქს თამბაქოსთან ერთად პირდაპირ საფრანგეთიდან იღებდა დიპლომატიური ფოსტით.

— არა, — თქვა მან ისევ, — ბოლო ათ დღეში არაერთხელ მიიქციეთ ყურადღება, როცა მეტისმეტად ბეჯით ჯაშუშებს წესრიგისაკენ მოუწოდებდით. ასეა თუ ისე, მეტი შთაბეჭდილების შესაქმნელად, აჯობებს მე თავად გავყვე ავტობუსს.

ნაბიჯი უნდა გადაედგა, მაგრამ შემობრუნდა და დაბალ ხმაზე დაუმატა:

— რაც შეეხება თქვენს პროტეჟეს, სხვა დროს ვილაპარაკოთ მასზე. მაგრამ ვშიშობ, ძალიან გაგვიჭირდება სამხედროების გულის მოგება. ჩემზე კარგად იცით, როგორ დაგლიჯეს ერთი ცნობილი მომღერალი, ვისი სიმღერებიც აღაფრთოვანებდა და ამბოხისაკენ მოუწოდებდა ხალხს... ეს იგივეს ნიშნავს, ჩვენთან რომ ლეო ფერესთვის ტყავი გაეძროთ... აქ ისე არაფერი მიაჩნიათ დანაშაულად, როგორც მჭევრმეტყველება... ნახვამდის, მალე შევხვდებით!

ხუნტის წარმომადგენელი თავის მანქანაში ჩაჯდა, პატრონმაც თავის შავ „DS“-ს მიაშურა, რომელზეც საფრანგეთის დროშა ფრიალებდა და ავტობუსის უკან იდგა. ავტობუსის კარი უკვე გასაღებით ჩაეკეტათ. გამომშვიდობებისას კვლავ ახმაურდნენ სახლები: სტვენა, ყიჟინა... კარაბინერები, მიუხედავად ოფიციალური პირების თანხლებისა, კორტეჟს სამხედრო სალამს არ აძლევენ, ისინი კი თავის მხრივ მალე დარწმუნდებიან, რომ თუმცა ოპერაცია საიდუმლოდ ჩატარდა და მოტოციკლისტთა დაცვაც მისდევთ, — ღარიბთა კვარტლებში მაინც გაიგეს ყველაფერი და მთელი გზის გაყოლებაზე აღამიანები მწუხარედ დგანან საბატიო ყარაულში. ოლივიე ერიკთან მივიდა, იგი თავის სიას უკვე ჯიბეში ინახავდა:

--- რამდენი დაგვრჩა?

--- თითქმის იმდენივე, — ჩაიბურტყუნა სამხედრო ატაშემ, — უამრავ თავსატეხს გვიჩენენ, კრედიტი კი უკვე გამოილია...

სკატარით შეიარაღებულმა, ცისფერწინსაფრიანმა კაცმა, რომელსაც

მუცელზე ჯიბე ეკერა, აჭოშინებულმა შეაწყვეტინა სიტყვა. ეს კაცი მეკარეა, თავისუფალ დროს კი საელჩოს ბაღს უვლიდა, უფრო აწორედ, ბაღიდან რაც შემორჩა.

— ჯარისკაცები ისევ გალავანზე სხედან თავიანთი თოფებით ბაღში, ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ სროლას დაიწყებენ.

საბუთებს ყოველდღე ამოწმებენ. საელჩოს გალავანს დასცილდები თუ არა, მანქანებს ჩხრეკენ ჯარისკაცები თავიანთი საყვარელი სპორტით ერთობიან — შიშს თესენ ერთხელ ერთმა წონასწორობა ველარ დაიცვა და ბაღში გადავარდა.

— აბა მივიდეთ, ვნახოთ: — მხიარულად თქვა ოლივიემ. — თუ გართობა უნდათ, ჩვენც მათთან ერთად გავერთოთ.

ოლივიე ბაღის კართან მივიდა, საიდანაც რამდენიმე შეშინებული კაცი გამოვარდა. გუშინდელივით, უასშინის ყვითელი ყვავილებით დაფარულ ბუჩქებსა და ბეგონიებს მიღმა, გალავანზე მართლაც სამი ჯარისკაცი იჯდა. ფეხები „საფრანგეთის“ მხარეს კი არა, — პარკის მხარეს გადაეკიდათ. ამაზე მეტ თავხედობას ველარ ბედავდნენ. ოღონაც შეზარხოშებულნი და გამზიარულელებულებიც ჩანდნენ, სამივენი თოფს უმიზნებდნენ რაღაცა მრგვალ საგანს, იქნებ გირჩს ან მტრედს, შეიძლება სულაც ციყვსაც, რომელიც ზღვისპირა ფიჭვის ტოტების ტევრში ჩაკარგულიყო. მერე თოფის ლულა განზე გასწიეს და იქითა მხრიდან მომავალი კაცი ამოიღეს მიზანში. ვიდრე კაცი მებაღის ქობისკენ მიდის, სამიზნე არა სცილდება; იგი ერთი წუთით შევიდა ქობში, მაშინვე უკან გამობრუნდა და გამოიტანა ახალი, მოხდენილი აპარატი *Traveling rein King Spinkler*¹, რომლის უკანაც პლასტმასის წითელი მილი იკლავებოდა; ოლივიეს თვალიც არ დაუხამხამებია, არც შეუხედავს ჯარისკაცებისათვის, კვლავ რომ უმიზნებდნენ თოფს, აპარატი გამართა, ჯაჭვი საიძედოდ დაამაგრა, საჩვენებელი თითი ღილაკზე დააჭირა, რომელზეც ყველაზე დიდი სიჩქარეა აღნიშნული, და არხეინად მოეშადა ონკანის გასაღებად.

— *Y si disparo, cerbi?*² — დაიყვირა ერთმა ჯარისკაცმა.

დანარჩენებმა, ცნობისწადილით შეპყრობილებმა, იარაღი დაეშვეს. პატარა სააწაული ნელა დატრიალდა, წყლისა და ჰაერის ნაკადი გაღმთაფურთბა, მერე უეცრად გაშლილი ქოლგასავით ამოისროლა მოცახცახე წვიმა და ამდენი ადამიანის ფეხით გათელილ-გასაცოდავებულ გაზონს გადაეფარა. ამაზე უფრო ბუნებრივი და უწყინარი სხვა რაღა შეიძლება იყოს? ოლივიე დამცინავი ღიმილით დაბრუნდა საელჩოში.

— დიდებულია! — უთხრა ერიკმა. — რატომ აღრე ვერ მოვიფიქრეთ?

მომრავი სარწყავი ნელ-ნელა იხვევდა მოსამართავ ჯაჭვს და შეუბრალებლად მიიწევდა გალავნისაკენ. უკვე გალავნის ძირსაც მიაღწია, შუამდე ავიდა, გალავნის თავსაც ააღწია და ჯარისკაცებმა ხარხარით მოკურცხლეს.

— ადამიანი მაინც უცნაური არსებია, — თავისთვის ჩაილაპარაკა კმაყოფილმა ოლივიემ. — ხანდახან, დრამა რომ აიცილო თავიდან, ფარსი უნდა მოიგონო.

¹ „მომრავი სარწყავი მოწყობილობა“ (ინგ.).

² „რომ ეისროლო, დორო, რა მოხდება?“ (ესპ.).

— რომ ესროლათ? — გაისმა ნაზი ხმა.

ეს იყო სელმა, რომელიც ამ ამბავს ზემოდან უთვალთვალებდა და სასაცილოდ სულაც არ მოსჩვენებია. იგი აუჩქარებლად მიუახლოვდა პარტივეს. ორივე ხელი წამოწეულ მუცელზე დაეწყო. მაშინ, როცა უკვე მისი მხედრული-ანთ საქმეზე გაიფანტნენ, მან შეაჩერა ოლივიე.

— პატრონმა გითხრა, მანუელს ვერაფერს მოვეუხერხებო?

— მოხერხება ყველაფრისა შეიძლება, — უპასუხა ოლივიემ, — ოღონდ მონდომება იყოს, საელჩო მუდამ ხომ არ იქნება გარშემორტყმული, პოდა, როგორც კი დროს ვიხელთებთ, მანუელსა და მარიას აქ გადმოვიყვანთ. აქ საფრთხე არ ელით.

— მათთან ერთად ჩვენც... — თქვა სელმამ.

ასეთი კილო ვერავის მოატყუებს. ქალი ცდილობდა შიშის დათრგუნვას, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. სელმა მაინც საკუთარ თავს საყვედურობდა: სტუმრები რომ საელჩოში გადმოეყვანა, ისე გამოდიოდა, თითქოს მათზე ზრუნვას თავს არიდებდა და მხოლოდ საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობდა. მას თავიდანვე შეეძლო ლტოლვილთათვის თავშესაფარზე უარი ეთქვა, მაგრამ არ უთქვამს. მანუელსა და მარიას გაუმართლა, მათმა ბედმა სელმას სული შეუშფოთა.

— გამოტყდი, — უთხრა ოლივიემ, — ეს მოულოდნელი წყვილი მძიმე ტვირთიც არის და გზიბლავს კიდევ.

— მართალი ხარ, — უპასუხა სელმამ. — მანუელი დამარცხებული და თავისი საქმიანობისათვის დასჯილი პოლიტიკოსი რომ იყოს მხოლოდ, ნაკლებად შემეცოდებოდა, მაგრამ ყველაფერი გრძნობასთან არის დაკავშირებული და გულზე მხვდება. დრამაში ჩასმულ სიყვარულზე არც ისე ხშირად გაიგონებს კაცი.

IX

ორმა კვირამ განვლო პატიმრობაში, უმოქმედობაში, ექვში... ასეთ დროს ხერვიული განწყობილება მისატევებელია. ვიკი სკოლაში წავიდა. მისი მშობლები — საელჩოშია, ფიდელია იგვიანებს. ეს დღე სიკეთეს არ იუწყება. ეს საბი დღეა მარიას დიახაც აქვს უგუნებობის მიზეზი, ამიტომაც უსმენს უგულისყუროდ იმ „მემუარების“ ნაწყვეტებს, რომლის დაწერაც მანუელმა გადაწყვიტა. მანუელს ურჩევნია ჩუმად უსმენდნენ, კრიტიკას, თუნდაც მოიარებით ნათქვამს, არცთუ ისე ღიმილით იღებს. არადა, ქალმა ადრევე გააფრთხილა: ასეთი რამ მოხდებაო, იმ ერთადერთ წერილში, — პირველი კონცნის შემდეგ რომ გაუგზავნა, მეორე დღესვე, — და თავისი უფლება მოითხოვა: თუ თქვენ, როგორიც ხართ ისეთმა შემთხვევით მე, როგორიც ვარ, ისეთი, მაშინ სიყვარულმა მოკრძალება არ უნდა გამოიწვიოსო...

ამ პარასკევ დილასაც მოუწია ქალს კვლავ გაემეორებინა ეს სიტყვები. მანუელმა ორმოცდაათიოდე სტრიქონი დაწერა სახალხო ხელისუფლების დაცემის მიზეზებზე და მარიას პირველსავე შენიშვნაზე შუბლი შეიკმუხნა.

— სჯობს ყველაფერი აღიაროთ, მანუელ, თქვენმა მეგობრებმა ხომ თავადვე შეუწყვეს ბევრ რამეში ხელი საკუთარ ცილისმწამებლებს...

მანუელი მაშინვე აღშფოთდა, მარიამ კი განაცხობს:

— ყური დამიგდეთ, მანუელ, თქვენ და მე ადგილზე ვტრიალებთ ფირფიტასავეთ; მაგრამ სად გინახავთ, რომ ფირფიტის ერთ გვერდზე ჩაწერილი სიმღერა მეორე გვერდზეც გამეორებულიყოს.

ვინმეს რომ ესმინა შეყვარებულების ამ დიალოგისათვის, გაოცდებოდა, თუმცა ნათელი იყო, რომ აქ უფრო პოლემიკა სჭარბობდა. მანუელმა ერთხელ კიდევ გადახედა თავის ნაწერს, კალანს ხელი ატაცა და გადმოეშვა ელვა და მები. იგი აღშფოთებული ლაპარაკობდა პუჩისტთა ფორმულაზე — „დაკანონებული უკანონობა“, რომლითაც თავიანთ ძალადობას ამართლებდნენ, მარია დაეთანხმა, მაგრამ მაინც შენიშნა:

— თუ არ ეცდები, ეს იგივე რევოლუციური პრინციპია, რომელიც საგაროდ აცხადებს, რომ ტირანიის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება წმიდათა-წმიდა საქმეაო.

მანუელი კონსტიტუციასაც ადანაშაულებს, როგორც დოკუმენტს „საზოგადოების თავდაცვით უფლებების“ შესახებ.

— გეთანხმებით, — ამბობს მარია, — მაგრამ რატომ ჩაებით იმ თამაშში, რომელიც არ შეგეძლოთ?

მანუელი ადანაშაულებს ბანკებს, საერთაშორისო კორპორაციებს, საიდუმლო სამსახურს, პრივილეგირებულ კლასის „გრძელ ხელს“, რომელმაც „უწესრიგობა მოაწყო“ და ამით საბოტაჟი, ტერორი გამოიწვია. იგი აღიარებს, რომ ხალხის შეგნების ამალგებას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა, რომ სხვა პარტიებს არ ეამოდათ ერთიანობის მნიშვნელობა. იგი აღიარებს „ლიბერულ ილუზიებს“ და რეალობის გრძნობის დაკარგვასაც.

მანუელი ქალს ლაპარაკს აღარ აცლის და ისიც თავს ზრდილობიანად უქნევს მხოლოდ, მართალია, სენატორს სიტყვა გაუგრძელდა, მაგრამ სამაგიეროდ ვაეკაცურად აღიარა უველაფერი, მარიამ თავი ასწია:

— ყოველივე ამას დაუმატეთ არეულ-დარეულობა, სიზარმაცე, უდისციპლინობა, გაუნათლებლობა, თვითნებობა და იქნებ ხედმეტი ენთუზიაზმიც კი...

— ენთუზიაზმი? — აღშფოთდა მანუელი. — ამას მოქმედების წყურვილი ჰქვია...

— იმ პირობით, თუ იგი ციებ-ცხელებად არ გადაიქცევა. „მხურვალე გული, მაგრამ ცივი გონება“, ასე იტყოდა ალბათ ლენინი.

— ლენინი? თქვენ ასე ფიქრობთ?

— მართალი რომ კითხრათ, ეს წმინდა ვინსეტ დე პოლმა თქვა.

მანუელს გუნება წაუხდა და სათვალთვალოსთან ჩაიშუხლა. ეს წვრილმანი კინკლაობა სათევზაო ანკესსა ჰგავდა, რომელიც, რასაც დაიჭერს, აღარც გაუშვებს ასეთ ღროს მანუელი მუდამ ცუდ გუნებაზე ღგებოდა. მარიას გამოჩენამდე მანუელისათვის უველაფერი მარტივი იყო. შეიძლება ითქვას, საკუთარი ცხოვრება არცა ჰქონდა, თავის საქმიანობაში იყო ჩაფლული მთელი არსებით. სამუშაო მისთვის უველაფერი იყო. ამ სამუშაოში კი წინასწარ გაუთვალისწინებელი, გაურკვეველი, ეჭვისა და ყოყმანის ნატამალიც არ იყო. რა თქმა უნდა, უბიწობის აღქმა არ დაუდვია, ჰქონდა პატარა-პატარა, ხანმოკლე სასიყვარულო თავგადასავლები და თავს იმით იმართლებდა, რომ მთელ საკუთარ ცხოვრებასა და მისწრაფებებს სწირავდა მთავარს... სიყვა-

რული კი... მუდამ ხალხში, თანამებრძოლებში ტრიალებდა და სიყვარული-საგან ვანზე მდგომად მიაჩნდა თავი, მაგრამ მარტოობის გრძნობა მაინც ერეოდა, თავის თავს საყვედურობდა, რატომ ჩავვარდი ამ მელოდრამატულ სიტუაციაში, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ უხამსობად მივიჩნევდი.

მერე ეს გრძნობა ქრება და ახლა თავის თავზე ბრალს მართლაც თან ეს ამბავი კი სულ სხვაა: გრძნობა, რასაც მხოლოდ ერთი არსებობისადმი განიცდი. არავის არაფერს ართმევს. სათვალთვალოსთან ჩამუხლული მანუელი ისევ შფოთავს. ვერა და ვერ დაწყენარებულა: უსათუოდ უნდა ახსნას უმარტივესი ამბავი:

— სასაცილოა, მარია, მაგრამ მაინც უნდა ითქვას: ისინი, ვისი მოწოდებაც სხვისი ბედნიერებისათვის ბრძოლაა, ხშირად საკუთარ ბედნიერებაზე არ ფიქრობენ, უბრალოდ, გვერდს უქცევენ მას.

— ვიცი. — ამბობს მარია.

— არადა, განა ის არა სჯობია, დაიცვა ის, რასაც ვილაყასთან ერთად ინაწილებ... უფრო მეტიც, თუ შენი თავისთვის არ ვარგინარ, არც სხვებისათვის ივარგებ, თანაც...

— თქვენთვის აუცილებელია ამგვარი ფიქრი.. და ჩემთვისაც... — გამოტყდა მარია.

ნეტავ ვინ თქვა: „ბორცვებს შორის მანძილი ყოველთვის ერთი და იგივეა, მაგრამ საკმარისია ექომ შეაერთოს ისინი, რომ?...“ მაგრამ მთავარი შეკითხვა ჯერ არ ჩანდა და აი ითქვა კიდევ:

— კი მაგრამ, რატომ მაინცადამაინც თქვენ, მარია? განა პარტიაში ცოტა გოგონები იყვნენ?

— ეგ ძველისძველი ამბავია! — თქვა მარიამ, — მონტეგები ზოგჯერ კაპულეტებს ირჩევენ.

მანუელი განცვიფრებული დარჩა: ერთი წინადადებით მარიამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა. შემობრუნებულიყო მაინც, ერთი შეხედვით მაინც გადაეხადა ქალისთვის მადლობა. ამის ნაცვლად სახურავისკენ აიწია და ქუჩაში მანქანის კარის ჯახუნს მიუგდო ყური.

— მარია! — დაიჩურჩულა მან. — მარია, არ მომწონს ეს ამბავი.

— რა ამბავი? — იმწამსვე იკითხა ყურადღებად ქცეულმა ქალმა.

— სახლთან მანქანა გაჩერდა. თითქოს ჩვეულებრივი მანქანაა, მაგრამ რადიოანტენა აქვს დამაგრებული. შიგ სამი კაცი ზის, ერთს კარგად ვიცნობ...

მოისმა ხმები, როგორც ყოველთვის, ბელურები ფრთების ფართქუნით მოწყდნენ ადგილს.

— დიას, პრელატო, — განაგრძობს მანუელმა. — პრელატო, მეტსახელად რუხი ჯუჯა, ამ სექტორის კომისარია; დიდად შევცდით, თავის დროზე რომ არ გადავაყენეთ. სახლს ათვალეერებს. მოდით, თქვენც დაინახეთ.

მანუელმა განზე გაიწია და მარიას დაუთმო სათვალთვალოსთან ადგილი. ქუჩაში სამი კაცი იდგა. ყველაზე საშიში ის იყო, რომ პატრულები ერთიმეორის მიყოლებით მხედრულად მიესალმნენ სამივეს. ერთი წუთი გავიდა. კომისარი გაუნძრევლად იდგა, მის თავს ზემოთ თამბაქოს ბოლი იკლავებოდა.

— ყველაფერი ნათელია, — თქვა მარიამ, — დიპლომატის სახლის კა-

რის შემტვრევასა და უსიამოვნებას თავს არიდებენ. ფიდელიას ელოდებიან, მისი გასაღებით რომ ისარგებლონ.

მამიძე სიჩუმე ჩამოწვა, მხოლოდ ობობას ქსელში გაბმული ბუზის ბზუილი ისმოდა. პენუარში გაბვეულ მარიას თმა მხრებზე ჩამოშლოდა. თუ ეს მხეცები თავიანთი რეპუტაციის ერთგულნი დარჩნენ, ქალს მკვებენ და მოაგლეჯენ ქამარს და... მანუელმა ცხოვრებაში პირველად იგრძნო საკუთარ თავს კბილები, გაოცებული იყო, კბენის სურვილმა რომ მოუარა, ხმაც ალერსიანად უთრთოდა. მაგრამ განა მანუელი ლაპარაკობდა? რაღაც არა სჯეროდა, საკუთარი ხმა რომ არ ესმის: „მაპატიეთ ყველაფერი, რასაც ახლა ვფიქრობდი; მაპატიეთ შიში, რომელიც თავს დაგატეხეთ. მადლობელი ვარ დახმარებისთვის, თქვენი სიმშვიდისათვის. იმ პატარა სიცოცხლისათვის, ერთად რომ უნდა გაგვეტარებინა. მადლობელი ვარ, რომ წამიერად არსებობთ ჩემში“.

ეს იყო უბრალოდ ლოცვა, აღელვებისაგან სულმეხუთული ვედრება. შემთხვევითობა აბსურდია, იგი ჯერ ყველაფერს საუცხოოდ აკეთებს, მერე კი თავადვე ანგრევს გაცოფებული. ეღალი თმის ტალღა შეიბრა, — მარიამ თავი უკან გადააგდო, — მანუელმა დაინახა მწვანე თვალები, რომელთაც იქნებ ამ საღამოს ჩაქრობაც უწყობიათ. რა არის ეს, სიმამაცე თუ ბედთან შერიგება? გაუაზრებლობა თუ საკუთარ ღირსებაზე ზრუნვა? ქალმა თვალები დახუჭა. ტუჩები ერთ წამს უხმოდ მოძრაობენ. მერე მარიამ გაიღიმა და მშვიდად თქვა:

— ფიდელიაც მოვიდა.

X

ფიდელია თავჩაქინდრული მოდის, მისი ფიქრები პატიმარ ქმარსა და წითელაშეყრილ შვილებს დასტრიალებს, გარშემო ვერაფერს ამჩნევს. თავისი განუშორებელი ყავისფერ ზოლებიანი ყვითელი კაბა აცვია, თმა ხილაბანდით წაუკრავს, ძველ, დახეულ ფეხსაცმელს მოაფრატუნებს და თეძოების რბევით მოდის. მკლავზე ჩამოკიდებული ნაჭრის ჩანთიდან უკვე ამოიღო სპილენძის რგოლზე ასხმული გასაღებები, რომელთაც არავის ანდობს: ერთი ოთხკბილა გასაღები ჭიშკრისაა, მეორე — სადარბაზოს კარისა და ხელის ჩვევა სჭირდება, მესამე კი კარადებისაა. ფიდელია ჩერდება, ოთხკბილა გასაღებს ბოქლომში უყრის, ორჯერ გაჩხაკუნდება საკეტის ენა. ჭიშკარი იღება.... მაგრამ ეს რა ხდება? ვიღაცა ზურგიდან მოადგება. ჯერ ერთ ხელს გაუკავებს, მერე მეორეს, გასაღებებს ხელიდან გლეჯს. ზურგს უკან წრიპინი გაისმის:

— პოლიცია! თქვენ ქალბატონი კახილი ბრძანდებით? სახლში თქვენთან ერთად შემოვალთ.

— კი მაგრამ, ბატონებო.. — უმწეოდ ეწინააღმდეგება ფიდელია. ქალს ქმარი ციხეში ჰყავს და ჰგონია, დასაკითხად აქ მომადგნენო. ფიდელიას ხელს სტაცებენ და ძალით მიათრევენ. სახლამდე მიწას ფეხს არ აკარებინებენ. სახლში კი, როცა მოწმეები აღარსად ჩანან, გულმოდგინება ზედმეტი ხდება, ქალი კვნესის — ერთმა ტიპმა მაჯა გადაუგრიხა:

— მტკივა.

ერთი წრიპინა, პატარა კაცუნა, აქაოდა, ქალისთვის რომ ევრძნობინებინა, ამათი უფროსი ვარო, მის წინ დაერჭო და ოთხჯერ გააწნა სილა.

— ახლა ვისაუბროთ, მაგრამ ჯერ გაიხადეთ.

ქალს თავზარი დაეცა. პატარა კაცუნა ამან უფრო გვახადებდა ახარხარდა. მისი ხელქვეითნი, თავისი საქმის ნამდვილი ოსტატები შეთანხმებულნი არიანო, ვითომ შემთხვევით ქალს ფეხზე თავიანთი მძიმე ფლოქვები დააჭირეს, თან ირონიულად ხითხითებდნენ.

— დიახ, დიახ. — დააზუსტა თავისი მოთხოვნა კომისარმა, — ქალებს მხოლოდ ბუმბულის ვაცლის შემდეგ დავკითხავ ხოლმე. ფსიქოლოგიაა! როცა საკუთარ ანატომიაში დასაფარავი არაფერი რჩებათ, აღარც სხვა რამეს ფარავენ და გამოტეხვაც ადვილი ხდება. კაბა გაიხადე.

ფიდელიას ხელიც არ გაანძრევინეს; თავისი საქმის კარგად მცოდნე ხელქვეითებმა კაბის ბოლოში მოჰკიდეს ხელი და ერთი მოსმით გახადეს; ყურადღებაც არ მიუქცევიათ, სად რა იხეოდა. კაბის კვალდაკვალ, თვალის დახამხამებაში ხილაბანდიც გადაადრეს. მერე პერანგიც გახადეს და აკანკალებული ფიდელია ლიფისა და ნიფხავის ამარა დარჩა.

— შენ ფიდელია კახილი ხარ! დაიბადე სან-პედროში, ოცდასამი წლისა ხარ, ქმრიანი, ორი გოგონა გყავს, — დაიწყო კომისარმა, — ყველასათვის ცნობილია, რომ შენი ქმარი კომუნისტი იყო და ჩვენს ჯარისკაცებს ესროდა. გაიქცა. ჩვენ დავიჭირეთ. ხომ ხედავ, ყველაფერი ვიცი... ლუის, მოაგლიჯე ლიფი! შენ კი, რამონ, ნიფხავი ჩახადე!

ქალს მკერდიდან ლიფი ჩამოუცურდა, თეძოებიდან კი — ნიფხავი, რომელიც ნაჭრის რგოლებივით შემოეხვია კოჭებზე. ფიდელიამ უნებურად ფეხი მოაცვალა, ნიფხავს ფეხსაცმელიც მიაყოლა, და იდგა ასე ბრინჯაოსფერი ქანდაკება. გრძელი შავი თმა მხრებზე ეფინა. ამგვარსავე შავ წმინდა სამკუთხედს კომისარი არ აშორებდა თვალს. მას არ გამოჰპარვია შიშველი, მაგრამ ზამბარასავით დაჭიმული ქალის თვალეებში დანთებული სიამაყისა და სიძულვილის ცეცხლი. კომისარი ჩურჩულებს:

— კეთილი და პატიოსანი, ხომ ხედავთ, არც ისე ძნელი ყოფილა თქვენი პატარა კაპიტალის გამოჩენა. ქათინაურები არ მიყვარს, მაგრამ შენი ცქერა ამ ძველმანების გარეშე უფრო სასიამოვნოა. როგორ არ აღშფოთდეს კაცი, როცა ვილაც ბინძური ამ სიმდიდრით სარგებლობს, მეტსაც ვიტყვოდი, სამართალი არ არსებობს! წამოდი! ჯერ ეს ბუნაგი დავათვალიეროთ. წინ იარე...

ფორმალობა იყო და მეტი არაფერი. სცენარი კარგად ჰქონდა დამუშავებული. ფიდელია წინ მიდიოდა, — ერთი ხელი მკერდზე მიეფარებინა, მეორე — სარკხვენელზე. რით არ ჰგავდა ანტიკურ ვენერას! კომისარი კეთილად და ლმობიერად მისდევდა უკან ქუსლების კაცუნით. ლუისი მესამე იყო, რამონი ბოლოში მისდევდა ამ უცნაურ პროცესიას. მოიარეს სასტუმრო ოთახი, სამზარეულო, ბავშვის ოთახი, კაბინეტი, ყველაფერი ყურადღებით დაათვალიერეს, მაგრამ ხელი არაფრისთვის უხლიათ. ცხადია, დათვალიერება ლეგარნოების საწოლ ოთახში დამთავრდა. თუ ლუკის ქვეშ გავლისას, ვერ შეამჩნია კომისარმა ფიდელიას შეშფოთებული გამოხედვა, სამაგიეროდ ქალის შეშფოთებით შეეძლო მაშინ დამტკბარიყო, როცა ლეგარნოების საწოლს დაუწყო დაქინებით თვალიერება. საწოლზე ალპაგის ბეწვის

ფუმფულა გადასაფარებელი ეფარა, ხელქვეითებმა დამცინავი ღიმილით მოაბრუნეს თავი, ჯუჯა კი თანაგრძნობად დაიღვარა უცბად:

— სისულელეა, მაშ რა, — ჩურჩულებდა იგი, — შენ ასე ქორფა ხარ და ასე კობტა, მთელი ცხოვრება წინა გაქვს. ორი ბავშვი გყავს გასაზოდელი. შენი ქმარი კი ციხეში ზის, თანაც ისეთი მძიმე ბრალდება წაუყენეს, რომ ჩემი ჩაურევლობის გარეშე იქიდან ვეღარ გამოვა. შეიარაღებული წინააღმდეგობისათვის ეკუთვნის ბაბ-ბაბ!

კომისარმა ორი თითით გამოხატა თოფიდან გასროლა.

ფიდელია გაკერპდა. კომისარი მშობლიური ღიმილით ჩამოჯდა საწოლის კიდეზე და ნერწყვმომდგარი ტუჩები მოილოკა:

— შენ, ჩემო კარგო, არც ისეთი თეთრი ხარ და შეიძლება დიდ უსიამოვნებას შეეყარო, თუ ძალიან დამჯერი არ იქნები. შენ პატრონს ცოტათი ვიცნობ და შეიძლება რალაც-რალაცა ბრალდებები წავუყენოთ. არ ვუყვარვართ, ეს მისი საქმეა, ჩემი საქმე და ჩემი სამუშაო კი ის არის, რომ თვალ-ყური ვადევნო, ცუდი არაფერი გააკეთოს, შენ კი აქ საეჭვო არაფერი შეგიმჩნევია?

საკუთარი სიშიშვლის გრძნობა ადვილი გადასალახავია, ვინც უკვე გნახა, დასანახავი აღარაფერი აქვს. ფიდელია თითქოს საკუთარ გულგრილობაში გაეხვია: ბოლოს კრიჭა მაინც გახსნა.

— მოგეხსენებათ, მე აქ მარტო იატაკსა ვგვი და საიდუმლოს არავინ ძანდობს.

— კი მაგრამ, ქმარი ხომ ბევრ რამეს გიყვებოდა, მის შეგობრებსაც იცნობ ალბათ? — დაიწკმუტუნა რამონმა, ქალს ხელი სტაცა და მხარზე ხორცი მოუგრიბა.

— რამონ! — მკაცრად შეაწყვეტინა კომისარმა. — აბა, ახალი რა უნდა გვითხრას ამან? ისინი ხომ უკვე ხელში გყავს და ყველაფერი აღიარეს კიდეც. ვანა ვერ ხედავ, ეს გოგონა მზადნა ყველაფერში დაგვეხმაროს, ოლონდაც თავისი პაბლო კრანანების ბუდიდან გამოიყვანოს? მეც სხვა არაფერი მინდა, ისე, საწყენია, რომ არაფერი გააჩნია სანაცვლოდ მოსაცემი. თუმცა...

კომისარს აღგზნებულ თვალებზე დაეტყო, რა სურვილიც გააჩნდა. თვალდახრილი ფიდელია თავით-ფეხებამდე აკანკალდა.

— ქალს თქვენ აშინებთ, — დაიწროპინა კომისარმა. — უმჯობესია კაბინეტში გახვიდეთ, ქალაღლები გადაათვალიეროთ, ოლონდ ყველაფერი თავის რიგზე იყოს. ფრთხილად! თქვენ აქ მხოლოდ სულები ხართ, კვალი არ უხდა დატოვოთ. ჩვენ კი, ფიდელია, ახლავე ვნახოთ, რა უნდაა გავაკეთოთ. თუ ჭკვიანად იქნები...

ხელქვეითნი გაილაღნენ. კაცუნა ალპაგის გადასაფარებელში ჩაჯდა და თითები ბეწვში მოაფათურა. ფიდელიას ახედვისა ეშინოდა, იცოდა, თავისი გამოხედვით საქმეს გააფუჭებდა. ხელები ძირს დაუშვა, დაჭიმული, ერთმანეთზე მიკრული ბარძაყები მოადუნა, — სულერთია ვერაფერს უშველიდნენ, — დაიძაბა, მკერდში დაგუბებული ოხვრა ძლივძლივობით ჩაიხშო და ჯიუტ ტუჩებში გამოსცრა:

— პაბლოს გაანთავისუფლებთ, მე თუ...

— რა თქმა უნდა, თანაც ვერასოდეს ვერაფერს გაიგებს! — დაიჩურჩულა კომისარმა, ქალს ჩაეჭიდა და თავისკენ მიიზიდა.

მთელი ეს ამბავი ერთ საათს გაგრძელდა. სამუშაო ოთახში, სადაც იმის მაგივრად რომ შესაფერი ავეჯი იდგეს, მარტო ყავისფერ ხავერდგადაკრული ორი სავარძელი, ერთი ჩვეულებრივი მაგიდა და ღარიბული ბიბლიოთეკა დგას. აბა, აქ რას იპოვის კაცი? თანაც, განა ვინმე შეინახავს სახლში მნიშვნელოვან საბუთებს, როცა მის განკარგულებაში საელჩოს ხელშეწყობის სეიფები?! რამონმა წერილებს დაუწყო თვალღებვა, წერილებს ერთი სიტყვა ჰქონდა მოწერილი: „დედა“. ერთი წერილი განზე გადადო, მერე ქალაქები გააქეჭა ბუზლუნით:

— ყველაფერი უფროსს უნდა ერგოს, მეც სიამოვნებით გავერთობოდი ამ გოგონასთან.

ლუისი დივანზე გაშლართულიყო, ამ დივანს ალბათ საწოლადაც იყენებდნენ. იგი რამონისაკენ გადმობრუნდა, ხელში წინადლით მიღებული სურათი ეჭირა, ლუისის გამოხედვაში მამობრივი სინაზე კრთოდა. ფოტოსურათზე ორი პატარა გოგონა იყო გამოსახული — მონასტრის აღსაზრდელები პირველი ზიარების მიღებისას.

— ისევ შენსას გაიძახი! — თქვა ლუისმა. — ახლა ხომ მაინც არაფერი გაკლია? იცი, მე ასეთი რამეების წინააღმდეგი ვარ. როგორც კი გავიფიქრებ, იმათ რომ ეჯობნათ და ამ გოგოს ამხანაგებს ერთ დღეს შესძლებოდათ ჩემს გოგონებთან კომისარივით გართობილიყვნენ, ყველაფრის იშტა მეკარგება.

უცბად გაჩუმდა, ფოტოსურათი სწრაფად შეინახა საფულეში, კურტაკის მარცხენა ჯიბეში, გულთან ახლოს, უნებურად მარჯვენა ჯიბე მოისინჯა, სადაც რევოლვერი ედო. დაუფარავი ზიზღიანი ღიმილით, საკანპოდან გამოსული მუშტარავით შემოვიდა კაბინეტში კომისარი. სახეაღეწილი, სირცხვილისაგან დამწვარი ფიდელია კინწისკვრით შემოიყვანა:

— ჩაიცი!

ვიღრე ფიდელია იცვამდა, კომისარმა ერთი შეხედვით ჩაუკლა რამონს აღერდილი სურვილი. ბროვის ბელადის ნამუსრევი ძვლები, მართალია, რამონს ეკუთვნოდა, მაგრამ რაკი ბელადი არ აძლევდა, ვერავინ გაბედავდა მიკარებას. და თუ მიეკარებოდნენ, არ აპატიებდნენ. რამონმა ცხვირი ჩამოუშვა, ლუისი აღფრთოვანებული დარჩა. ნამდვილად საოცარი იყო, რომ ეს ჯუჯა კაცი ამოდენა ყოჩად ბიჭებს როგორ იმორჩილებდა, არადა, ერთმა მაინც რომ მოინდომოს და წკიპურტი გაჰკრას, ვალსის მოცეკვავესავით დააბზრიალებს. ერთობ გაამაყებული და გაფხორილი კომისარი, საკუთარ თავში დარწმუნებული მამალივით, — რომელიც ეს-ეს არის ჩამოვიდა თავისი დედლიდან, — თითქოსდა უფრო მეტი ავტორიტეტით შეიმოსა, ცხვირით პაერი გაჰკვეთა, უღვაში მოიკვნიტა და კვლავ გულბოროტ კაცად იქცა, სკამს ხელი დასტაცა, მაგიდას მიუჯდა და გულდასმით დაუწყო თვალღებვა შვილისადმი გამოგზავნილ მადამ ლეგარნო-დედის წერილს. მერე მხრები აიჩეჩა:

— დედაბერი ისეთი შეშინებული ჩანს, ადვილი მისახვედრია, რასაც სწერს შვილი ჩვენზე. მაგრამ აქედან მას სხვა საბაბით გავისტუმრებთ. მის სახლში არც ფიდელიას დაპატიმრება იქნება მთავარი ხაფანგი.

— დდ-დაპატიმრება?! — ენა დაება ფიდელიას. მას ტანთ უკვე ჩაუცვამს და ახლა ფეხსაცმელს იცვამს, ცალ ფეხზე მდგარი თავს ვერ იკავებს და ხალიჩაზე ეცემა.

ლუისი კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა უფროსის საქციელმა. „ჩემი არი-ელი“ — როგორც ქალბატონი პრელატო ეძახდა თავის ქმარს მინაზებუ-ლი, — ნამდვილი ქაჯი იყო მინიატურული. ასეთი საშინელი კაცი იყო, იცოდე, ასეთი ხარ და მაინც ასეთად რჩებოდე, ამისათვის იღებდე უმნიშვ-ნელო ჯილდოს და თანაც მხოლოდ ნატურის სახით: გქონდეს ისეთი კაცის სახელი, ვინც არაფერს თაკილობს და სიბრაულის გრძობა არ გააჩნია — მართლაც რომ ღირსია შავბაფთიანი ორდენისა! შეურაცხყოფილი, დამცი-რებული ფიდელია მიხვდა, ამოდ გაიღო მსხვერპლი, წამოდგა, დასაკარგი უკვე აღარაფერი ჰქონდა და აყვირდა:

— მომატყუე, ბინძურო!

კომისარი სიამოვნებით აცმუკდა სკამზე. მერე ერთბაშად აკივლდა გაც-ხარებული:

— ნამუსგარეცხილო, შენ კი არ მომატყუე? გგონია, არ ვიცი, კვირაო-ნით გაზეტებს რომ ყიდდი და პროკლამაციებს ავრცელებდი? ანგარიშის ჩაბარებას არ ვაპირებ, მაგრამ ამას გეტყვი: არ მომიტყუებიხარ, როგორც ვითხარი, პაბლო ვერაფერს გაიგებს. შეგიძლია მშვიდად იყო, ამ დილით დახვრიტეს... ეი, თქვენ, ჩააგდეთ ეს ქალი მანქანაში!

ლუისმა არაფერი იცოდა და გაოცება ვერ დაფარა. არსებობს წუთები, როცა უსამართლობა ჯალათსაც კი დაამწუხარებს. ლუისი ამჯერად სულაც არ აღფრთოვანებულა. ისიც კი გაიფიქრა, სხვა სამუშაო ხომ არ მოვებნო, თუნდაც ნაკლებბელფასიანი, მაგრამ ისეთი ადგილი, სადაც სუნთქვა უფრო ადვილია, მხოლოდ მაწანწალებთან მექნება საქმე და მათი ცემაც სინდისის ქეხჯნის გარეშეც შემეძლებაო... ის სურათი, რასაც ახლა შეესწრო, მასაც კი არ მოეწონა.

გაცოფებულმა პატარა მეტისმა ქალმა თვალის დახამხამებაში ქალაღ-დის საჭრელ ფოლადისპირიან პრილა დანას დასტაცა ხელი და კომისარს ეცა. კომისარმა დარტყმა მოიგერია, სკამი დაუხვედრა. რამონმა იმწამსვე ფიდელიას ზურგიდან მოუარა და დახვეწილი პროფესიონალიზმით კეფაში ჩასცხო მუშტი. კომისარმა სკამი იატაკზე მოისროლა და ნიშნის მოგებით გამოსცრა:

— დიდებულია, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს პო-ლიციის ოფიცრის მკვლელობის ცდისთვის... ვერც კი ვიოცნებებდი ამგვარ რა-მეზე, მე სხვა არაფერი მინდა.

XI

მალლა კი ის ორნი, ჯერ კიდევ ცოცხალნი, გულხელდაკრეფილნი, სუნ-თქვაშეკრულნი, საფლავში გვერდიგვერდ ჩასვენებულებივით იწვნენ. ულმო-ბელ სიჩუმეში მათ გულებს ისეთი დაგიდუგი გაჰქონდათ, ეგონათ, ყველას ესმის და საცაა გაგვცემს მისი ხმაო. ნეტავ რა ხდება ქვევით? თუმცა უკვე უური მიჩვეული ჰქონდათ ნაბიჯებზე, სცნობდნენ, ქვევით ვინ დადიოდა, სად მიდიოდა, რომელი ოთახის კარი იღებოდა, სად ჭრიალებდა პარკეტი ან კარის ახჯამები, ვინ ლაპარაკობდა, — მაგრამ ამჯერად თავგზა აუბნათ. ელოდნენ

ჩხრეკას, საშინელ წუთებს, მაგრამ ტიხარებს მიღმა მხოლოდ მიყრუებული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბარი ესმოდათ.

— ჩვენი გულისთვის არ მოსულან, — ბოლოს ჩაიჩურჩულა მარიამ.

ზუსტად ამ დროს გაისმა ის ხმა, ყოველ საღამოს რომ ესმოდათ ხოლმე, როცა მასპინძლები ლოგინში წვებოდნენ — საწოლის უჩვეულებლად კრიალი. ორივემ ერთდროულად წამოსწია თავი, ფართოდ გახედნენ, მსხვილებული თვალებით ერთმანეთს შეხედეს და ორივემ ერთდროულად დადო თავი გასაბერ ბალიშზე.

ბოლოს კარის ნაცნობი კრიალი შემოესმათ, მაგრამ წამოდგომას ვერ ბედავდნენ, ვინ იცის იქნებ რომელიმე მსტოვარი სახლში დარჩა, ამიტომაც ვერ დაინახეს, როგორ წავიდა მანქანა, როგორ წაიყვანეს პატიმარი. ერთი წამოყვირება კი მოესმათ, პარკეტზეც რაღაცა დაეცა მძიმედ, მერე ფეხსაცმლის ლანჩები გაკრიალდა იატაკზე, ეტყობა, რაღაც მძიმეს მიათრევდნენ. მაშასადამე, ფიდეღია თავისით კი არ წავიდა, წაათრიეს. მანუელი და მარია ქვევით ჩასვლას მაინც ყოყმანობდნენ. ორი საათის მერეღა გაბედეს ლუკის გაღება. ჯიბეში რაც მოპყვა, მანუელმა სიფრთხილისათვის დერეფანში ჩაყარა — რა გულუბრყვილობაა! — და ელოდნენ, ხმაურზე თუ გამოჩნდება ვინმეო... მხოლოდ ამის შემდეგ ჩაუშვეს კიბე, ფრთხილად ჩავიდნენ და ფრთხილადვე, მგლის ნაბიჯებით დაიწყეს სახლის შემოვლა. ყველა კუთხეში იხედებოდნენ, მაგიდის ქვეშაც კი, ერთი უკაცრიელი ოთახიდან მეორეში შედიოდნენ, ვიდრე იქ არ აღმოჩნდნენ, სადაც პირველ რიგში უნდა შეელოთ კარი.

— ერთხელ დანახვა სჯობია, ასჯერ განაგონსო, — ჩაიჩურჩულა მარიამ შესვლისას. — ყურმა შეიძლება მოგატყუოს.

მორიდებისა თუ სულაც საგანგებოდ, ამ საძინებელში არასოდეს შემოსულან. ეს ოთახიც უამრავ სხვა ოთახსა ჰგავს, მაგრამ ყველაზე ინტიმურ ადგილად ითვლება, თანაც აქაურობას შეეძლო ორისთვის შეეხსენებინა, რომ მათ ასეთი ოთახი არ ჰქონდათ. ამ ორფერი შპალიერით გაწყობილ ოთახში შუქი ერთი ფართო ფანჯრიდან შემოდის. ფანჯარაზე წვიმასავით ეშვებოდა ნაოჭასხმული ნეილონის დიდი ფარდა. ოთახში მხოლოდ ორი აუცილებელი ავეჯი იდგა, ერთი — ვერტიკალურად, მეორე — ჰორიზონტალურად: კარადა ტანსაცმლისათვის და საწოლი კი მათთვის, ვინც ტანსაცმელს იხდიდა. მანუელი და მარია საწოლთან იდგნენ, გათელილ ალბაგის ბეწვის გადასაფარებელს ჯერ კიდევ აჩნდა სხეულის ნაკვალევი, ოღონდ სიგრძეზე კი არა, გარდიგარდმო; ორი ბლუჯა ბეწვი, ალბათ დაკრუნჩხულმა ხელებმა რომ ამოგლიჯა, ისევ ეყარა ორ ადგილას, ხელებგაშლილი პატარა ქალის ნაწოლის ნაკვალევზე.

— საბუთი აქვეა, — თქვა მანუელმა. — კვალის დაფარვა არც უცდიათ.

სხვა ოთახებში წესრიგი იყო. ყველაფერი თავის ადგილას იდო, გარდა ფიდეღიას გასაღებებისა, რომელიც კარის კლიტეში გარედან კი არა, შიგნიდან დაეტოვებინათ: ცხადია, თავი დაიზღვიეს, შემთხვევითი ქურდი არ შემოპარულიყო და მერე ამათ არ დაბრალებოდათ ქურდობა.

— გახსოვთ... — დაიწყო მარიამ და მაშინვე გაჩუმდა.

ამ საწოლთან ისე იდგნენ, როგორც უხამსი აფიშის წინ, რომელიც შეე-

ვარებულებს პორნოგრაფიული ფილმების სანახავად ეპატიებოდა. მათ ერთმანეთისთვის ხელი ჩაეკიდათ, მაგრამ შორიშორ იდგნენ.

— გახსოვთ, — გულმოცემულმა განაგრძო მარიამ. — თქვენი მეგობარი ატილიო რომ დაეცა, წამოიძახეთ: „აი, რა მელის მე!“ ახლა კი იგივე შემთხვევა შეგვივხვდა: მათ რომ ვეპოვეთ, აი, რა მელოდა მე.

აბა, რას უპასუხებ? ყველაზე წესიერი მამაკაცი მსგავსი სიტუაციაში კეთილად დამნაშავედ იგონებდა მარტო იმისათვისაც კი, რომ მამრობით სქესს ეკუთვნის, ხოლო იმის წარმოდგენაზე, რომ შეეძლოთ მისთვის წაერთმიათ ყველაზე ძვირფასი არსება, მრისხანებით აენტებოდა. ქალმა კვლავ გაბედულად, თითქმის გამომწვევადაც დაუმატა:

— თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, მანუელ, რომ მე ქალიშვილი ვარ. ჩვენს დროში, ოცდაორი წლის ქალი უკვე ჩაწოლილ საქონლად ითვლება. მე ამით სულაც არ ვამაყობ; ჩემი უმანკოება სალოცავად არც გამიზნდია, უბრალოდ, ასე დავრჩი, შემთხვევით დავრჩი. მაგრამ იმის შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთს შევხვდით, ბედნიერი ვარ, რომ დაგელოდეთ. და რაც მაშინებს...

დანარჩენი ხმამაღლა ველარა თქვა, მანუელის პიჯაკში სახეჩამალულმა ჩაიჩურჩულა:

— მე მარტო ის კი არ მაშინებს, რასაც თქვენ ფიქრობთ, ან ის, რომ პრივილეგიებს ჩამოგართმევენ, არამედ იმის შეგნება, რომ ქალს ერთნაირად ეპყრობიან სიყვარულითა თუ ძალადობით, ქალი კი ბედნიერებას კპოვებს მხოლოდ მაშინ, როცა იცის, რა გრძნობითაც იმორჩილებს მას მამაკაცი.

— დიახ, ასეა! — თქვა მანუელმა. იგი ქალს ოდნავ არწევდა, უკოცნიდა თვალებს, საფეთქლებს, წარბებს. ბოლოს მოულოდნელად თქვა: — გახსოვთ, რა თქვა დანტემ: „ადამიანს შეუძლია ცხოველი გახდეს, მაგრამ ცხოველი ადამიანად არასოდეს იქცევა; მაშინ როცა ადამიანს შეუძლია ანგელოზად იქცეს“. არ ვიცი, ზუსტად ვთქვი თუ არა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მე ვერ შევძლებ ანგელოზობას...

— ჩემთვის ადამიანიც საკმარისია, — თქვა მარიამ, — წავიდეთ აქედან.

სამზარეულოში დაბრუნდნენ, უკვე შუადღე იყო, ჭამა კი არ უნდოდათ. ქარხნის საყვირის გუგუნის, მანქანის მუხრუჭების ხრჭიალი, ძახილი, — მეზობელ ბაღებში ბავშვებს რომ უხმობდნენ — და ყოველგვარი ხმაური აკრთობდათ, ათასგვარ ვარაუდს გამოთქვამდნენ: რატომ და როგორ მოხდა, რომ ამ ერთხელაც უგანათ საფრთხემ? ნეტავ დაჰკითხეს ფიდელია? და თუ დაჰკითხეს, რა თქვა? თუ არაფერი თქვა, კიდევ დიდხანს შეძლებს დუმილს? რადგან ასე მოექცნენ, მაშასადამე, არც ეშინიათ მისი, გვიჩივლებსო. იქ მას თავზე ხელს არავინ გადაუსვამს და დაუჯერებელია იქაურობას თავი დააღწიოს და ცხოვრებას დაუბრუნდეს. ყველაზე განსაცვიფრებელი კი ის არის, რომ ფიდელია ნაჩქარევად მოწყობილი მაქინაციების მსხვერპლი გახდა; გულდასმით რომ გაეჩხრიკათ აქაურობა, ლეგარნოებს ხომ ბრალად დაედებოდათ „სახელმწიფო დამნაშავეთა დამალვა“ და საქმეც სხვანაირად წავიდოდა!

— ფიდელია ჩვენი გულისთვის დაისაჯა, — იმეორებდა მარია.

— ოლივიე უნდა გავაფრთხილოთ! — ამბობდა მანუელი.

ყველაფერი ცხადი იყო და ამავე დროს — გაუგებარი. გასაღებები დატოვეს, თუმცა შეიძლება ეს ნაჩქარევი ვარაუდია, მაგრამ ეტყობა, პოლიცია

დაბრუნებას აღარ აპირებს, თუ რა თქმა უნდა, მახის დაგებას არ აპირებენ. შეიძლება იმასაც ნიშნავდეს, აქაოდა: ხომ ხედავთ, ძალით კი არ შემოვჭრილვართ, კანონიერად შემოვედით ღია კარში „ტერორისტი ქარის“ დააპყრადო. თანაც ერთი მოწმეც არა ჰყავთ, შეიძლება ვილაყამ რაღაც/ხმაურს კიდევ მოჰკრა ყური, მაგრამ მათ ჩვენებს იოლად გააბატონდნენ... ოლივიე უნდა გავაფრთხილოთ, მაგრამ როგორ?

— რომ დავრეკოთ, ეს იმას ნიშნავს, თავი გამოვამყლავნოთ, — ხმა ძალდა ფიქრობდა მანუელი. — არ დავურეკოთ და ჩვენს მეგობრებს ჩავაგდებთ საფრთხეში. პრელატო ცოფიანია, ყველაფერს იკადრებს. შეუძლია, ამ საღამოსვე საელჩოდან დაბრუნებისას დააპატიმროს ისინი. მარტო საელჩოს დროულ და გადამწყვეტ პროტესტს შეუძლია უკან დახევა აიძულოს კომისარს. ბოლოს და ბოლოს იგი მოტყუებით მოქმედებდა, დაინტერესებულ პირებს არ ისწრებდა. ეს მარტო უკანონო მოქმედება კი არა, ცოტა უცნაურიც არის და თუ ოლივიე მტკიცედ მოითხოვს ფიდელისთან პირისპირ შეხვედრას, პრელატო ცუდ დღეში ჩავარდება...

დრო გადიოდა, დრო ჩქარობდა, სახე ორივეს გაჰყინვოდა და იმ ძველებური საათების მრგვალ ციფერბლატს მიუგავდათ, შვეიცარიიდან რომ გავრცელდა ყველგან. საათი იმავე რიტმში წიკწიკებდა, როგორც მათი მაჯა, და ეს რიტმი ნთქავდა იმ სიცოცხლეს, რაიც თვითოეულს დარჩენოდა. პირველი რომ შესრულდა, მარიამ, თითქოს რაღაცა მოიფიქრაო, შუბლში ხელი შემოირტყა, მაგიდას სამჯერ შემოუარა და მანუელის წინ გაჩერდა:

— თქვენ ზევით ახვალთ, — თქვა მან. — მე აქ დავრჩები. დავუშვათ, რომ ლეგარნობი ვილაყ მესამეს ელოდებოდნენ. დავუშვათ, ლეგარნობმა „იმ მესამეს“ სათადარიგო კარის გასაღები მისცეს, რადგან სხვა ზედმეტი გასაღები არა ჰქონდათ. დავუშვათ აგრეთვე, რომ იმ „მესამემ“ გადაწყვიტა საელჩოში დაერეკა და საგანგებოდ იმათ გასაგონად, მათ სატელეფონო საუბარს რომ უგდებენ ყურს, ეს ყველაფერი წვრილად მოეთხრო...

— თქვენ?! — წამოიყვირა მანუელმა და ეჭვი გამოეხატა სახეზე.

— დიახ, — თქვა მარიამ, — თანაც შემდეგში მეტ თავისუფლებას მოვიპოვებ.

მერე, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე აკრიფა ტელეფონის ნომერი საჩვენებელი თითით კი არა, შუა თითით.



უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ

კრაკოვი

გესტაპოგეზენგისი¹

1

გესტაპოს ციხე კრაკოვში ფაშისტური რაიონის ერთ-ერთი ყველაზე პირქუში საპყრობილე იყო. აქ დღე-ღამის განმავლობაში შეუფერხებლად მუშაობდა საათივით აწყობილი ადამიანთა მოძსპობი მანქანა. განუწყვეტლივ ისმოდა ზედამხედველთა მკვეთრი შეძახილები, ყრუ დარტყმები. წამებულთა მოთქმა-გოდება და გულშემძვრელი ყვირილი. ბნელია ყველაფრის მოყოლაც კი, რაც ამ შემზარავ სიკვდილის კომბინატში მიწახავს და განმიცდია.

გრძელი, ქუფრი დერეფნები ყველა სართულზე. ორთავე მხარეს — კამერების კარები. კამერა-ბოქსები, ერთკაციანი კამერები, საერთო კამერები, გათვალისწინებული ორი ათეული ტყვისთვის. მართალია, გესტაპოელები ახერხებდნენ იქ ასობით ადამიანის გამოძწყვდევას. ყველა კამერა, მოცულობის მიუხედავად, ცემენტის იატაკიანი, ბნელი და ნესტიანი იყო. ერთადერთ „ავეჯს“ პარაშები წარმოადგენდა.

საკუთარ ბოქსში თვალის მილულვაც ვერ შოვასწარი, რომ გასაღების ჭრილში კლიტე აჩხაკუნდა, გაიღო ლითონის კარი და გაისმა მკვეთრი ბრძანება: „რაუს!“² ზღურბლზე ორი მეთვალყურე იდგა. მათ კირითა და შარდით აყროლებულ დერეფანში გამიყვანეს. გზად რამდენიმე ტყვე შემოგვხვდა, რომლებსაც ჩემსავით ბადრაგი მოჰყვებოდა. ერთთავად გასისხლიანებულთ ქანცი გასცლოდათ, თითქოს ეს-ესაა საიქიოდან მობრუნდნენო, ფეხს ძლივს ადგამდნენ და რეზინის ჯოხებით ცემას უხმოდ იტანდნენ.

მიმიყვანეს მაღალ, ყავისფერ დერმატინგადაკრულ კართან, რომელზეც

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 3, 4.

1. გესტაპოს საპყრობილე

2. გამოდით!

ციფრი „5“ ეწერა. ერთ-ერთმა მეთვალყურემ ღილაკს დააჭირა. კარზემოთ სასიგნალო ნათურა აინთო და ჩვენ მზით აბღღვრიალებულ ოთახში შევედით. ეს იყო საკმაოდ ვრცელი, მდიდრული ავეჯით მორთული კაბინეტი. სარკმელზე გისოსები რომ არა, შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ მთელი სოლიდური დაწესებულების მისაღებში მოეხვდით.

მარცხნივ, კედელთან, დიდი შემინული კარადის თაროებზე კოხტად ჩაემწკრივებინათ თეთრი საქალაღდეები. კარადის თავზე პიმლერის პორტრეტი ეკიდა. გვერდით, საწერ მაგიდაზე, საბეჭდი მანქანა და ტელეფონის აპარატი იდგა. მაგიდას ჩხირივით გამხდარი გოგო ეჯდა. წითურთმიანსა და ფერ-უმარილით მოთხუპნულს კეხიანი ცხვირი ჰქონდა და ერთობ არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა.

— ცხრაას მეორმოცე? — ისე იკითხა გოგომ, რომ ჩემკენ არც მოუხედავს.

— იავოლ! — მიუგო ერთ-ერთმა მეთვალყურემ.

— კეთილი, ოღონდ ერთი წუთით მოიცადეთ. შეფი საუბარს მორჩება, — თქვა გოგომ, თეთრი, გამხდარი მუშტი პირთან მიიტანა და გულიანად დაამთქნარა.

მზერა მარცხნივ გადაპარე. უშველებელ მაგიდასთან ელეგანტური გარეგნობის ჭარმაგი მამაკაცი იჯდა. ეცვა კოხტად შეკერილი რუხი სამოქალაქო კოსტუმში, თეთრად კაქათქათებულ პერანგზე უცნაურნახატიანი ღია-მტრედისფერი ჰალსტუხი ეკეთა. გვერდზე თანაბრად გაყოფილი და ნაზად დავარცხნილი ქერა თმა ჰქონდა. უნაოქო, ფერმკრთალი და ოდნავ დაღლილი სახე საკმაოდ ინტელიგენტური და ჭკვიანი მეჩვენა. მამაკაცი რბილი, სასიამოვნო ხმით ლაპარაკობდა ტელეფონზე, რაღაცას იწერდა და სულ იღიმებოდა. დაუჯერებელი იყო, რომ ამ ჯოჯოხეთში ასეთი სათნო შესახედაობის ადამიანებიც მუშაობდნენ. მის ზურგსუკან პორტრეტზე პიტლერი გაბღენძილიყო. პორტრეტქვეშ, სპეციალურ კაუჭზე, რეზინის ტყავისა და მავთულის მათრახები ეკიდა. ტანში ყრუანტელმა დამიარა, ცივმა ოფლმა დამასხა.

როგორც იქნა, მასპინძელმა ყურმილი დადო და მეთვალყურეებს თავი დაუქნია. ერთ-ერთმა მათგანმა ქუსლი ქუსლზე მიართყა და მოკლედ უპატაკა:

— ბატონო უფროსო გამომძიებელო! თქვენი ბრძანებით მოვიყვანეთ ტყვე ნომერი ცხრაას ორმოცი.

გამომძიებელმა მეთვალყურეებს თავაზიანი მადლობა უთხრა და ნაცრისფერი თვალებით მომაჩერდა. სიჩუმემ დაისადგურა. ვიგრძენი, როგორ შემიპყრო შიშმა და მივხვდი, რომ აქ ადვილად ვერ გავითამაშებდი გაზეპირებულ როლს გულუბრყვილო, ტლუ ბიჭისა, რომელსაც არაფერში მიაჩნია თავი დამნაშავედ.

უწინარესად განმაცვიფრა გამომძიებლის სახის მკვეთრმა ცვლილებამ. იგი უსულგულო, ამპარტავანი და მიუდგომელი გახდა. ყოველნაირად ვცდილობ შევინარჩუნო სიმშვიდე და წონასწორობა, მაგრამ ვატყობ, რომ არ გამომდის.

როცა თვალებით ორთაბრძოლა დამთავრდა, გამომძიებელმა მოფერებით მკითხა:

1 დაახ!



ეროვნული
ბიბლიოთეკა


— გერმანული იცი?
მე მხრები ავიჩეჩე.
— რუსული, რა თქმა უნდა. გეცოდინება, — უაქცენტო რუსული/თქვა მან, რითაც საკმაოდ გამაოცა.
— ბუნებრივია, მე ხომ უკრაინელი ვარ.
— ჰოდა, ძალიან კარგი. დაჯექი.
მე ერთიანად ვცახცახებდი და ამ წუთში ვისაც არ უნდა დავენახე, უთუ-
ოდ დაასკვნიდა, ასეთ ვინმეს ვერ ვენდობიო.
მეთვალყურე მსკამი მომიჩოჩა და ტკივილისგან დამანჭული დავჯექი.
— რა მოგივიდა, ავად ხომ არა ხარ? — თანაგრძნობით მკითხა გამომძი-
ებელმა.
— ამას წინათ მცემეს და ახლა მთელი სხეული მტკივა.
— ა-ა, გასაგებია. აქ შენ თითოაც არავინ დაგაკარებს, — დამიყვავა გა-
მომძიებელმა და ისეთი მზერა მესროლა, კინაღამ გული შემიქანდა.
— ერთი შენი სახელი და გვარი მითხარი, ბიჭიკო.
— ვანია პეტროვი.
— რა ჰქვიათ შენს მშობლებს და ვინ არიან ისინი?
— მშობლები არა მყავს. ობოლი ვარ, საბავშვო სახლში გავიზარდე.
ცალკე მაგიდასთან მჯდარმა გოგომ საბეჭდი მანქანა ააკაკუნა. ჩანდა იგი
თავისუფლად ფლობდა რუსულ ენას და ჩვენს საუბარს იწერდა.
— მაშასადამე, ობოლი ხარ, არა? ჰო, სულ დამავიწყდა მეკითხა, ხომ არ
გშია, ვანია?
— ძალიან! რამდენი დღეა, არაფერი მიჭამია, — ცახცახით ვთქვი მე.
— რატომ მაშინვე არ მითხარი?
მან მეთვალყურე გაგზავნა და ჩაი და ბუტერბროდი მოატანინა. საკუთარ
თვალეებს არ ვუჯერებდი. გამომძიებელმა მრავლისმთქმელად გაიცინა.
— ჭამე, ვანია და ღმერთს მადლობა შესწირე, რომ ისეთ ადამიანს შეგა-
ხვედრა, რომელსაც შეგიძლია გული გადაუხსნა და რომელიც ყველაფერს გა-
გიგებს. ისინი, ვინც შენ გცემა, უგულო სალდათები არიან. მათ ხეირიანად
ლაპარაკიც კი არ შეუძლიათ. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ ჩქარა გამოვნახავთ სა-
ერთო ენას და ხვალ უკვე თავისუფალი იქნები.
ჩაისა და ბუტერბროდს წირვა უცებ რომ გამოვუყვანე, გამომძიებელმა
ბრძანა, ერთი ულუფა კიდევ მოეტანათ.
ამ დროს კაბინეტში ყვითელი, ავადმყოფური სახის ხნიერი ოფიცერი
შემოვიდა, ჩვეულებრივი მისალმება წამოიძახა და ფარისევლურად დაიწყო:
— ბატონო კრაუს, გილოცავთ ორდენს! მერწმუნეთ, რომ თქვენი დაჯილ-
დოება საკუთარივით გამიზარდა... ჰურ-მარილი თქვენზეა, ბატონო კრაუს, —
დაამთავრა მილოცვა გესტაპოელმა.
— ჰურ-მარილი აუცილებლად იქნება, — ღიმილით შეეპასუხა ჩემი გა-
მომძიებელი.
მათი საუბრიდან გავიგე, რომ ჩემი გამომძიებლის გვარია კრაუსი და
რომ იგი ამ ეშმაკეული სიკვდილის მანქანაში უკანასკნელი კაცი როდია. ეტ-
ყობოდა, მას ანგარიშს უწევდნენ, რადგან ორდენითაც კი დაეჯილდოვებინათ.
ალბათ დიდი ურთიერთობებიც ჰქონდა. სხვანაირად ასე არ მივლავლავებოდა
საკუთარი კოლეგა. მათ ცოტა კიდევ წაილაყბეს ვიღაც საერთო ნაცნობზე და

სტუმარი წავიდა. ამასობაში მეორე ულუფა ბუტერბროდიც შევქამე და ჩაიც მივაყოლე.

— დანაყრდი ცოტათი მაინც? — მკითხა ღიმილით კრაუსმა.

— დიახ.

— ვანია, ეგ თუ იცი, ახლა სად იმყოფები?

— წარმოდგენა არა მაქვს. ალბათ, პოლიციაში, — ვთქვი.  ეროვნული
საბიბლიოთეო კულუბრ-
ცილოდ.

— გესტაპოში ხარ, ჩემო ბიჭუნავ! აქ მოხვედრა ადვილია, აქედან გას-
ვლა კი ძალიან ძნელი, გაიგე?

მე თავი დავუქნიე.

— კეთილი და პატიოსანი. ახლა კი ყველაფერი დაწვრილებით მოყვები:
ვინა ხარ, სადაური ხარ, აქ საიდან მოხვდი?

მე სიტყვა-სიტყვით გავიმეორე დაზეპირებული ვერსია. კრაუსი ყურად-
ღებით მისმენდა, ხანდახან თანაგრძნობით დამიქნევდა ხოლმე თავს. თხრობა
დავამთავრე თხოვნით: სადმე სამუშაოდ გამაგზავნეთ, ნებისმიერ სამუშაოს
შევასრულებ, ოღონდ მაჭამონ-მეთქი.

კრაუსმა პირიდან სიგარეტი გამოიღო და თქვა:

— შენ მართლაც კარგი მეზღაპრე ყოფილხარ. ნუთუ გგონია, რომ გეს-
ტაპოში. ისეთი ბოთეები სხედან, რომლებიც ამ არაკს დაგიჯერებენ? მოდი, საქ-
მიანად ვილაპარაკოთ. მე შენ გთავაზობ დიდძალ ფულსა და განცხრომით
ცხოვრებას, სადაც მოისურვებ, გერმანიაში, პოლონეთში, თვით რუსეთშიც.
ქუდბედიანივით იცხოვრებ. თითის განძრევა და ნებისმიერი ლამაზმანი შენი
იქნება. გქონია როდისმე ურთიერთობა ქალებთან?

მე გულწრფელად ვაღიარე — არა-მეთქი.

გოგოს, რომელიც ჩემს ჩვენებებს იწერდა, სიცილი წასკდა. კრაუსმა მკა-
ცრად შეხედა და ისიც გაჩუმდა.

— რამდენი წლისა ხარ? ჩვიდმეტის? — თითქოს სხვათაშორის მკითხა
კრაუსმა.

— თხუთმეტის, — მივუგე მე.

— ალბათ ცოტა მეტის, თუმცა ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა.
მინდა სწორად გამიგო. შენ მდიდარი კაცი გახდები. ქალები, რესტორნები,
ღვინო, მხიარული, უზრუნველი ცხოვრება... ასეთი რამ თვით ეშმაკსაც შეშურ-
დება. ჩვენ უხვად ვასაჩუქრებთ მათ, ვინც გულწრფელად გამოგვიტყდება.
შენგან სულ ცოტა რამეს მოვითხოვთ: თქვი, ვინ და რა მიზნით გამოგგზავნა
„იქს“ ობიექტზე? მე მესმის, რომ ამ ამბავში წინდაუხედაობამ გაგზავნა. გმი-
რობის გამოჩენა გინდოდა. მერე რა, ახალგაზრდობაში ვინ არ შემცდარა...

გამომძიებელი ლაპარაკობდა დიდხანს და როგორც მე მომეჩვენა, გულ-
წრფელად.

— შენ ჯერ ამქვეყნად არც კი ვიცხოვრია და უკვე სახრჩობელა გიცდის.
ოღონდ იცოდე, ჩამოხრჩობამდე გაწამებენ. შენი ბედი შენს ხელშია. წადი,
დაისვენე და ყველაფერი კარგად აწონ-დაწონე. თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ, — მივუგე შექანიკურად.

— წაიყვანეთ და ადამიანურად მოექცით! — უბრძანა მან მეთვალყუ-
რეს.

კამერაში ფიქრიდან არ მომშორებია კრაუსი. მიკვირდა მისი მრავალსიტ-

ყვაობა და დაკითხვის თავისებური მანერა. აქამდე ყველა გამომძიებელს, რომელთანაც საქმე მქონია, დაკითხვა თავისებური შაბლონით მიჰყავდა. ეტყობა, ისინი ხელმძღვანელობდნენ შესაბამისი ინსტრუქციითა და დეტალურად დამუშავებული ტიპიური შეკითხვების კრებულით. მე ეს შეკითხვები ლექსივით ზეპირად ვიცოდი.

კრაუსმა უარყო ეს შაბლონი. იგი ჩემი შესწავლით ^{განთქკვნილი} და დაკითხვას არ ჩქარობდა. ვინაა იგი? გამოცდილი კრიმინალისტი, ფსიქოლოგი თუ თვითდაჯერებული სალდაფონი? მე ყველაზე მეტად წამებისა მეშინოდა. მასზე ფიქრისგანაც კი სიცოცხე მივლიდა მთელ სხეულში..

ორიოდე საათის მერე კვლავ წამიყვანეს კრაუსთან.

— როგორ გუნებაზე ხარ, ვანია? — დაყვავებით მკითხა მან და ამჯერად თევზივით ცივი თვალები მტაცებელივით მომაშტერდა.

— როგორ გუნებაზე ვიქნები? მთელი სხეული მტკივა, კამერაში ლოგინიც არაა, ცემენტის იატაკზე ვეგდე. ბოროტმოქმედი ან ქურდი ხომ არა ვარ?

კრაუსმა მრავალმნიშვნელოვნად ვაიღიმა, თქმით კი არაფერი უთქვამს. მე მანცვიფრებდა განსხვავება მის რბილ, სასიამოვნო ხმასა და ცვალებად თვალთა მკაცრ გამოხედვას შორის. გეგონებოდა, ხმა ერთ კაცს ეკუთვნის, თვალები კი სულ სხვა ვინმესო. სიმართლე უნდა ითქვას, იგი თავისი საქმის წესმარტივ ოსტატი გამოდგა. ამაში სულ მალე დავრწმუნდი.

კრაუსმა სიგარეტი მოსწია და ღილაკს დააჭირა. კარები გაიღო და ზღურბლზე ორი მებადრაგის თანხლებით გამოჩნდა ტყვე. იგი საშინელი შესახედავი იყო. თავ-პირი უთვალავ ჭრილობას დაესერა. ცალი თვალი ისე შეშუპებოდა, სულ არ უჩანდა. ზურგსუკან გადაგრეხილი ხელები შეეკრათ. გიმნასტურა და გალიფე ჭუჭყიან, გასისხლიანებულ ძონძებად ეკიდა სხეულზე.

— ა-ა, კომისარი მოვიდა! სალამი, სალამი, მეგობარო! — მხიარულად შეეგება კრაუსი, თითქოს კარგი ნაცნობი ვინმე სწვეოდა სტუმრად. — როგორ გიკითხო? ილაპარაკებ თუ ისევ ბუტიაობას ითამაშებ?

ტყვე ღუმდა. იყო ამ სიჩუმეში რაღაც გულისშემძვრელი. ასე მეგონა, ფიზიკურად ვგრძნობ-მეთქი იმ უდიდეს სიძულვილსა და ზიზღს, რომელიც მოწვეთავდა ამ ნაგვეში, მაგრამ გაუტეხელი კაცის ყოველი უჯრედიდან.

— გინდა, რომ ცოტა მოგეალერსონ?.. რა გაეწყობა. ჩვენ ამაყი ხალხი არა ვართ. მიხედვე მაგას, კურტი! — ბრძანა კრაუსმა.

კომისარი მეორე ოთახში გაიყვანეს, რომელიც, ჩანდა, ტყვეთა საწამებლად მქონდათ.

— წამო, ვანია, ვნახოთ, როგორ ჩააბარებს უფალს ეს ჯიუტი ბრაცვი სულს, — მითხრა კრაუსმა და კაუჭიდან ორი მათრახი ჩამოხსნა.

ვრცელი საწამებელი კამერა, რომელშიც კრაუსმა შემიყვანა, უსარკმლო და ერთობ პირქუში იყო. მასიური მუხის მაგიდისა და რამდენიმე საწამებელი მოწყობილობის გარდა აქ ვერაფერს ნახავდით.

კომისარი უკვე პირქვე იწვა მაგიდაზე. ხელ-ფეხი სპეციალური ქამრებით დაემაგრებინათ. მაგიდის ორივე მხარეს გესტაპოელები იდგნენ. კრაუსმა მათ თითო მათრახი გადასცა და ეგზეკუციაც დაიწყო.

კომისარს დიდხანს სცემდნენ, მაგრამ იგი ღუმდა, ოდნავ გასაგონი კვნესა თუ აღმოხდებოდა ხანდახან. გამსკდარი კანიდან სისხლი მაგიდაზე წვეთავდა.

— საქანელაზე! — გასცა ბრძანება კრაუსმა და შორიგ სიგარეტს მოუკიდა.

ჯალათებმა თავიანთ მსხვერპლს ზელ-ფეხი შეუხსნეს და ძირს ტომარასავით დაანარცხეს. მერე ნაგვემ-ნაწამებს ფეხებში ეცნენ და ქერიდან დაშვებულ ფოლადის ბაგირთან მიათრიეს. ბაგირის ბოლოზე ქამრებიანი მოწყობილობა იყო მიმაგრებული. ტყვეს ზედ წვივებთან მოუჭირეს ქამრები და მალა დაწიეს. სხეული თავდადმა დაეკიდა. გესტაპოელებმა იგი ნაღდარტყმული ჩექმების ცემით გააქან-გამოაქანეს. საწყალი აბროტინდა და ცხვირ-პირიდან სისხლი წასკდა.

ცოცხალ-მკვდარი შევცქეროდი ამ საშინელ სურათს.

— ნახე, რას ეუშვრებით მათ, ვისაც არ სურს გამოგვიტყდეს! — მომიბრუნდა კრაუსი. — ახლა კი წავიდეთ, დავამთავროთ ჩვენი საუბარი.

ისევე გამომძიებლის ოთახში შემიყვანეს და სკამზე დასვეს. კრაუსი პირისპირ დამიჯდა და მტაცებლური, ცივი მზერა მომაპყრო. საწამებელი ოთახის ღია კარებიდან ტყვის ხროტინი მოისმოდა. ვცდილობდი სიმშვიდის შენარჩუნებას, რადგან გამოცდილებით ვიცოდი, რომ ეს ჩემი ერთადერთი იარაღი იყო.

— სად და როდის გაგკრიჭეს? — მკითხა კრაუსმა.

— დონის როსტოვში, ამ სამიოდუ კვირის უკან, გერმანიაში გამოგზავნის წინ.

— რომელი ქალაქები და სადგურები გამოიარე?

— ძნელი სათქმელია, რადგან დახურული სახბორე ვაგონით მოვყავდი. ვიცი, რომ ერთი დღე-ღამე ვიდექით ხარკოვში, დღე-ღამე ნახევარი კიევში. იქ გაგვიკეთეს დეზინფექცია, გვასადილეს ცხელი საჭმლით და საგზლად ნახევარი პურიც გამოგვატანეს. იმის მერე პოლონეთში ჩასვლამდე არც საჭმელი მოუციათ. არც წყალი.

— რა გეცვა?

— პიჯაკი, შარვალი და ფეხსაცმელები. ქუდი ვაგონში დამრჩა.

— ეს ყველაფერი როსტოვის საბავშვო ბაღში მოგცეს?

— არა, კოსტუმი და ტუფლები უკვე გერმანელების დროს ბაზარში გავცვალე ერთ კოლოფ სიგარეტსა და პურში, რომლებიც თქვენმა ჯარისკაცებმა მანქანების გარეცხვის გასამრჯელოდ მომცეს.

— ეს როდის იყო?

— ორიოდუ კვირის წინ. — ვუპასუხე მე და თან გავიფიქრე — რაში სჭირდება მას ეს ყველაფერი-მეთქი!

კრაუსმა მუყაოს კოლოფიდან ფუთა ამოიღო და მაგიდაზე დადო. მაშინვე მივხვდი, რომ ეს ჩემი ტანსაცმელი იყო. ზევიდან რაღაც ნაწერი ედო, ალბათ, ექსპერტიზის დასკვნა.

— კი მაგრამ, როსტოვში შეკერილ ტანსაცმელ-ფეხსაცმელს რატომ აქვს პოლონური ფაბრიკის იარლიყი და შტამპი? — მოზეიმე ტონით მკითხა გამომძიებელმა და წინ დამიდო კოსტიუმიდან ახეული იარლიყი და ფეხსაცმლის სარჩულის ნაჭერი, რომელსაც ფეხსაცმლის ფაბრიკის, მგონი, ჯერ კიდევ ომამდელი შტამპი ჰქონდა.

ჩემი კეთილისმყოფელი სტასიკ ბეოზოვსკი, რომელმაც მალარო „გოგენ-ცოლერნგრუბედან“ გაქცევის წინ ბოიტენის შავ ბაზარზე პოლონური წარმო-

ეპის კოსტიუმი და ფეხსაცმელები მიშოვა, ბუნებრივია, ვერ წარმოიდგენდა, რა საბედისწერო როლს შეასრულებდა ის წყვეული იარლიყი და შტამპი. ამის წარმოდგენა, არც მე შემეძლო, რადგან მაშინ საიარლიყოდ ვისა სცხელოდა.

დამდურებულივით ვიდგა, გული საგულეს აღარ მქონდა.

— კოსტიუმი და ფეხსაცმელები პოლონელებმა მუცელსა და ხელს მათ პური ვთხოვე, რადგან ძველი სამოსი, ერთობ შემოხეული მქონდა, — წამოვროშე ის, რაც ენაზე მომადგა.

— აჰა, გამოდის, რომ გელუხვ პოლონელებს შეხვედრიხარ. მაშინ ისიც მოყევი სად და რა პირობებში შეხვდი იმ კეთილ ძიებს? — თითქოს ჩემს უხვი-ირო ექსპრომტს დასკინისო, ჩაისისინა კრაუსმა, ასანთის ღეროები ამოიღო და ჯაყვით მათ გულმოდგინედ წათლას შეუდგა. უცებ მან უჩვეულო სისხარ-ტით დამიჭირა თითი და ფრჩხილქვეშ წვერწამახული ასანთის ღერო შემასო. საშინელი ტკივილისაგან დავიღრიალე.

— ეინ და რა მიზნით გაგაგზავნა „იქს“ ობიექტზე? — მძვინვარედ იყვირა კრაუსმა და ჩემს ცრემლებს ყურადღება არც მიაქცია.

— არავის გავუგზავნივარ, ღამით გზა ამებნა და ტყეში შემთხვევით მოვ-ხვდი, — ვთქვი ტირილით.

ძლიერი დარტყმისაგან თვალთ დამიბნელდა. ამასობაში კრაუსმა მეორე ფრჩხილქვეშ შემირჭო ასანთი. მე კიდევ უფრო ავღრიალდი და გონება დავ-კარგე.

რარიგ უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს, გონს ახალი საშინელი ტკივი-ლისაგან მოვეგე. კრაუსს მესამე ასანთი შეერჭო ჩემთვის ფრჩხილქვეშ. ინსტი-ნქტურად გავიწიე, რათა ასანთი როგორმე გამომეძრო, მაგრამ ეს შეუძლე-ბელი აღმოჩნდა. ახმახ გესტაპოელს, რომელიც დაკითხვაზე ასისტენტის როლს ასრულებდა, ჩემი ხელები მაგრად ეჭირა. იგი ისე ჩამფრენოდა, განძ-რევა ვერ მოვახერხე. თუმცა კრაუსი ჩემს წინ იჯდა და ფეხებზე ფეხებს მაჭე-რდა, რატომღაც მეგონა, რომ მას შორეულ ნისლებში ვხედავდი. მესმოდა მხოლოდ მძვინვარე სისინი:

— ეინ და რისთვის გამოგზავნა ობიექტზე?

თვალწინ წარმომიდგა წითელი არმიის წამებული კომისარის სახე. მისმა უჩვეულო სიმამაცემ და გესტაპოელთადმი ზიზღმა თითქოს ახალი ძალები შთამბერა. მე გაეჯიჭდი და ჩემსას არ გავუხვიე. არაკაცმა ფრჩხილქვეშ მეო-თხე ასანთი შემირჭო. მერე მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე. ასისტენტმა მუშტები დამიშინა, ბოლოს კი საწამებელ კამერაში გამათრია. ჩემთვის უკვე სველა-ფერი სულ ერთი იყო. ერთადერთი სურვილია დამრჩა — რაც შეიძლება ჩქა-რა მოვმკვდარიყავი.

შემაგდეს მაგიდაზე, დამამაგრეს ქამრებით და მათრახები დამიშინეს. ისე-თი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვიღაცა გახურებული მარწუხებით გლეჯდა ჩემს სხეულს... მოვსულიერდი კამერაში, ცემენტის ცივ იატაკზე. განძრევა არ შე-მეძლო, მთელ სხეულს საშინელი ტკივილი მსჭვალავდა. ხელის თითები დამ-სიებოდა და ცეცხლივით მეწვოდა. თავის ქალაში თითქოს ტყვია ჩაესხათ, ყელში ცხელ ბურთებად მომწოლოდა ყვირილი...

ის ღამე ჩემთვის ერთი გაუთავებელი კოშმარი იყო. დილით ისევ დაკი-თხვაზე წამათრიეს. სასოწარკვეთამ შემაპყრო. გადავწყვიტე, თუ ისევ წამებას დამიწყებენ, კრაუსს ყელში ებილებით ვეცემი და ამით აღსასრულს მოვიახ-

ლოცვებ, ტანჯვას მოვრჩები-მეთქი. სამწუხაროდ, ვესტაპოელებს მაგრად ვყავ-
დი ჩაბლუჯული და კრაუსიც მანიაკის სიჯიუტით მიმეორებდა ერთ და იმავე
შეკითხვას: ვინ და რა მიზნით გამოგზავნა „იქს“ ობიექტზე! მე კი მოკუ-
მული მქონდა და უარის ნიშნად თავს ვიქნევდი.

— თუ სიმართლე გსურს, მე ეს სულაც არ მაინტერესებდა, მინდობდა თუ
ბია იმ ობიექტისათვის. საინტერესო სხვა რამეა. რისი გულისთვის ადიხარ
სახრჩობელაზე? იქნებ იმ ყაჩაღების გეშინია, ვინც გამოგზავნა, თუ უბრა-
ლოდ კრეტინი ხარ?

— მე არავის გამოვუგზავნივარ, მხარი მექცა და ტყეში აღმოვჩნდი, —
ვთქვი და ავქვითინდი. ავქვითინდი არა ტკივილისაგან, რადგან უკვე ვერავი-
თარი ფიზიკური ტკივილი ვერ შეედრებოდა იმ სულიერ ტკივილს, რომელ-
იც ვიგრძენი მაშინ ჩემს გვზომ უაზროდ დაღუპულ სიცოცხლეზე ფიქრი-
სას.

ამ დაკითხვისას კრაუსმა ორივე ცერი გადამიმსხვრია, ხელის მტევანზე
რადაც ლითონის ნატეხით რამდენიმე ჭრილობა მომაყენა, მარჯვენა ხელზე
სანთებელათი კანი ამომიწვა...

დაკითხვა ერთ საათამდე გრძელდებოდა, მე კი მეგონა, მთელი საუკუნე
გავიდა, მოგვიანებით, როცა ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, არაერთხელ მი-
ფიქრია, როგორ ავიტანე ის საშინელი წამება, როგორ არ გავგიჟდი-მეთქი?

კამერაში წამათრიეს და სრულიად ქანცგამოცლილი და ილაჭგაწყვეტილი
ცემენტის იატაკზე დამაგდეს. ისევ საშინელი დამე. ყველაფრისადმი გულ-
გრილი დამოკიდებულებას სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილი ცვლიდა, მე-
რე ისევ სასოწარკვეთა მიპყრობდა და გამალებით ვეძებდი თვითმკვლელო-
ბის გზებს. მარტო იმაზე მწყდებოდა გული, რომ ჩემს ჯალათებს სამაგიეროს
ვერ მივუხლავდი...

ასე გავიდა სამი დღე... დაკითხვები, წამება, კამერის ცივი ცემენტი.. და-
მეული კოშმარები... ზოგჯერ მეჩვენებოდა, ვკვდები-მეთქი, მაგრამ როცა გონე-
ბა დამიბრუნდებოდა, ჩემს გავლილ მოკლე ცხოვრებაზე ვფიქრობდი. ერთმა-
ნეთს ცვლიდნენ ბავშვობის ტკივილამდე ძვირფასი, საყვარელი სურათები,
დავრბოდი მშობლიური სელეზენიკის ტყისპირებში. თანატოლებთან ერთად
ვერთობოდი ყვავილთა ფერადი ხალიჩით მოფენილ მდელოზე. ცხადად ვხე-
დავდი საოცრად ნაზ, თეთრ არყის ხეს ჩვენი ქოხის მახლობლად, იასამნის
ხუჭუჭა ბუჩქებს ბაღში. ყურებში მედგა ჩუმი მიმწუხრის მომხიბლავი მუ-
სიკა. მე მიტაცებდა სპორტი, წიგნების კითხვა... იქნებ ყოველივე ეს არც ყო-
ფილა. იქნებ ეს ჩემი ჩვიდმეტი წელი სულ ციხეებსა და ბანაკებში ვეგდე,
განუწყვეტლივ მკლავდნენ და ვერაფრით მომკლეს...

ნახევრად შიშველი ვიწეჭი ბოქსის ცივ ცემენტზე, სხეულს მხოლოდ „იქს“
ობიექტზე ვსესელთა „ნაჩუქარი“ საცვლები მიფარავდა. იგი სისხლში იყო
მოასვრილი, ბევრგან ნაჭრილობებს მეწებებოდა კიდევ. ყოველი მოძრაობა,
სხეულის ოდნავი გადაადგილების ცდაც კი ენით უთქმელ ტანჯვას მაყენებდა.
ფრჩხილებქვეშ ასანთის გადატეხილი ღეროები მოჩანდა. კრაუსის მიერ დასა-
ხიჩრებული თითქმის ყველა თითი დამიჩირქდა. მარჯვენა ხელის მტევანზე კა-
ნი ამომწვარი მქონდა. ზურგი ისე დაესერათ იარებს, იოტისოდენა ჯანსაღ
ადგილს ვერ იპოვიდით.

მარტოობის გრძნობა მთრგუნავდა. ხმის გამცემი მაინც მყოლოდა ვინმე, იქნებ შეემსუბუქებინა ვარამი...

...შუალამე გადასული იყო, როცა ორმა გესტაპოელმა მომაკითხა ერთ-
მა — ხნიერმა, ჩასუქებულმა და ჰიტლერივით უღვაშიანმა, — ძლიერი ხელე-
ბით დერეფანში გამაკონწიალა და ფეხზე დამაყენა, მეორემ, აწოწილმა და
გამხდარმა კი ხელებზე წესისამებრ ბორკილები დამადო.

კარების დაკეტვისას ხნიერმა თქვა:

— ეს წირპლიანი დღეს უკანასკნელია, „გამზადებულებსაც“ გავათრევთ და დილამდე შეგვიძლია ვიძინოთ.

— განთავისუფლებული კამერები მისალაგებელი გვაქვს, — მთქნარებით თქვა გამხდარმა. — უპრიანი იქნებოდა ამ ყალთაბანდების დასჯა, მაგრამ... ვინ უნდა დასაჯო? მილაგებაზე ზემო სართული უნდა ჩამოვრეკოთ, რადგან აქ მხოლოდ საიჭიოს მგზავრები დარჩნენ. ჰანს, მგონი, შენ ცოტა შნაპსი დაგრჩა.

— ცოტა კი.

— კარგი იქნებოდა ძილის წინ რომ...

— დაგველია, — მიუგო ხნიერმა და მე შემომიბღვირა. — რა უნიათოდ მოჩანჩალებ? არ გამოვიძინია? იარე, ფორვერტს! ძილის დრო საკმაოდ გექნება! — თავისი ხუმრობით კმაყოფილმა ხმამალა გადაიხარხარა.

მე კარგად ვიცნობდი კრაკოვის გესტაპოს ციხის დერეფანს და ადვილად შემეძლო მეპოვა ჩემი კამერა ნომერი 292. ციხეში გამახსოვრდება ყოველი კარი, კედლის ყოველი განაკაწრი, რკინის გისოსებს ზემოთ დაკიდებული ყოველი ნათურა.

დერეფანი ისეთი გრძელი იყო, გეგონებოდა, კედლები რკინიგზის რელსებით სადღაც ბოლოში ერთდებიანო. ორთავე მხარეს კამერათა კარებია, თითოეულზე კოხტადაა გამოყვანილი ნომერი, ნომერს ზემოთ კი სამზერი ნასვრეტი ჭიატებს.

ციხეს ჩვეულებრივი შფოთიანი ძილით ეძინა. კარებს მიღმა მოგუდული კენესა, ბუტბუტი და შეძახილები ისმოდა. ვილაცა ძილში ბოდავდა და ერთი-და იმავეს იმეორებდა: „არ ვიცი!.. არ ვიცი!“.. მერე პოლონურად აყოლებდა: „ნიც ნე ვემ!“

კიბევებით ჩავეშვით ნახევარსარდაფში, რომლის ქვეშ თურმე სარდაფიც ყოფილა. აქ უკვე კამერები აღარ იყო. კარებზე მქრქალად ბრწყინავდა დიდი ლითონის ლუქები. ერთ-ერთი კარი ღია იყო და მე თვალი მოვკარი კედლების გასწვრივ მასიურ სტელაეებს, რომელთა თაროებზეც კოხტად ჩაემწკრივებინათ მოწითალო საქალაღეები. დაბალ მაგიდეებზე გესტაპოს ფორმაში გამოწყობილი მოხელეები დახრილიყვნენ. ერთი, რომელიც კარტაპთან ახლოს იჯდა, საანგარიშოს აჩხაკუნებდა.

მიწისქვეშეთის ბულჰალტრები ღამითაც მუშაობდნენ და როგორც ჩანდა სამუშაო ჰყოფნიდათ. ვიფიქრე, იმ საქალაღეებში ათასობით გვარია ჩაწერილი და მათ შორის ჩემიც-მეთქი.

ყრუ მიწისქვეშა სამეფომ ცხოველი ინტერესი აღმიძრა. აქ ყველაფერი ამოუცნობი იყო. დალუქული კარებიც, ჭერამდე შტაბელებად ახორხლილი შავი ყუთებიც, სამხრეებიანი ღამის მოხელეებიც და თვით მიწისქვეშეთის დამთრგუნველი სიჩუმეც.

სიხარბე, რომლითაც ვაკვირდებოდი ციხის მიწისქვეშა სამყაროს, ალბათ

ჩემი დიდი ხნის მარტოობითა და სიჭაბუკით აიხსნებოდა. წამით თითქოს დამავიწყდა კიდევ, საით მივყავდი გესტაპოელებს. როგორც იქნა, ლითონის ვეებერთელა კარებს მივადექით. კარები გაიღო და მკვეთრმა ელექტროშუქმა თვალები მომჭრა. მეცა თაფლისა და თოფისწამლის კვამლის გულსამრევი სუნი. ეს სუნი რაღაც წებოვანი და შხამიანი იყო.

თავს ზემოთ მონოტონურად ჭრიალებდნენ ვენტილატორები და სარდაფში ჰაერს ასუფთავებდნენ, მაგრამ მათ ჰავლსაც არ შეეძლო ბოლომდე გაენიავებინა ის შხამიანი სუნი, რომელსაც ვერაფერს შეადარებდით. მოგვიანებით მე მივხვდი, რომ იქაურობა ადამიანის სისხლით ყარდა.

მკვეთრ სინათლეს თვალი რომ შევაჩვიე, მიწისქვეშეთში მიმოვიხედე. ეს იყო ვრცელი, მაღალგუმბათოვანი, რუხად შეღებილი ბეტონის კედლებიანი შენობა. შემოსასვლელის მარცხნივ ქარხნის სადისპეჩეროს მსგავსი მოზრდილი მინის კაბინა ბრწყინავდა. კაბინაში მჯდარ წვრილთვალა მელოტ ბლენძს წინ ტელეფონის აპარატი და სქელი დავთარი ედო. ყამი-ყამ მოუთმენლად რეკავდა ტელეფონი. ბლენძი ყურმილს უსიტყვოდ უსმენდა, რამდენიმე სიტყვას იტყოდა და დავთარში გაუნძრევლად იწერდა რაღაცას.

დარბაზის შუაგულში მოგრძო მაგიდა იდგა, რომელიც სამკერვალო ატელის გამომჭრელის დახლს მოგაგონებდათ. მაგიდასთან ჩემსკენ ზურგშექცევით იჯდა გესტაპოელი და დაზგაში ჩამაგრებული კარაბინის სამიზნეს ასწორებდა. გამახსენდა, ომის დაწყებამდე მსროლელთა წრეში რომ დავდიოდი, სამხედრო საქმის მასწავლებელი სწორედ ასეთ დაზგაში ჩაქედილი შაშხანიდან გვასწავლიდა მიზანში სროლას.

კარაბინი მასიურ კვადრატულ ფარს იყო დამიზნებული, რომელიც დიდ კარადას წააგავდა. ტყვიებით დაცხრილული მთელი მისი ზედაპირი უანგიან ლაქებს დაეფარა. ეს ფარი საიზოლაციო ბალიში იყო, რომელშიც ტყვიები რჩებოდა. ჰაერის უკმარისობისაგან კინალამ წავიქვეცი, მაგრამ ვიღაცამ მხრებში ხელი მაგრად ჩამჭიდა. ჩემს უკან თურმე ზედამხედველები მდგარან, მე კი მეგონა, ისინი წავიდნენ.

მარჯვნივ, ერთი ხელის გაწვდენაზე, როგორც ხორცის მაღაზიაში, კედელზე მიჭედებული ორ ათეულამდე რკინის კაუჭი მოჩანდა. განაპირა კაუჭებზე რაღაც ძონძები ეკიდა. კარგად რომ დავაკვირდი, ვავარჩიე: ეს ძონძები კი არა, სამი ადამიანის გვამი იყო, რომლებსაც ზურგს უკან გადაგრეხილ ხელებზე ბორკილები ედოთ. ნიკაპებში კაუჭგაყრილნი კედელს აკვროდნენ, თითქოს მიწისქვეშეთის სიჩუმეს აყურადებენო...

თავიდან ვერაფრით მივხვდი, ეს ყველაფერი მეჩვენებოდა თუ კაუჭებზე მართლა ადამიანები ეკიდა. იქნება ეს კოშმარული ხილვები, ჰალუცინაციები იყო?

გაოგნებიდან ჩემი გამომძიებელია კრაუსის ნაცნობმა ხმამ გამომიყვანა. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ იგი დაესწრებოდა ჩემს დახვრეტას, ბოლომდე მიიყვანდა და „დახურავდა“ საქმეს, რომელიც მერე ლამის ბუხპალტრებს მიუვიდოდა.

— თხუთმეტ წუთში შენ დაგხვრეტენ. მანამდე პოლონელი პარტიზანების დასჯას ნახავ. იქნებ ამან მაინც მოგიყვანოს ჭკუაზე და უპასუხო ჩემს ერთადერთ კითხვას — ვინ გამოგგზავნა „იქს“ ობიექტზე? თუ მიპასუხებ, სიცოცხლეს შეგიწარჩუნებ. შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, მომავალი წინა გაქვს, პოდა,

გადაწყვიტე, შენი სიცოცხლე შენს ხელთაა. კრაუსი ჩემსკენ ზურგით შემობრუნდა და მელოტს რაღაც ანიშნა. იგი ყურმილს დასწვდა. სულ მალე კარები გაიღო და ზღურბლზე მოხრილი, ჭალარა, მკვდარივით გაფითრებული მამაკაცი გამოჩნდა. მას მხრებში ორი ზედამხედველი შესდგომოდა, რადგან საწყალს ფეხზე დგომა აღარ შეეძლო.

ტყვეს თავი მშვიდად ეჭირა. მის დიდ, ოდნავ ელამ ნაცრისფერ თვალებში არც შიში ჩანდა და არც ცნობისწადილის ნატამალი. მან მხოლოდ წამით შემომხედა და მზერა ამარიდა. დამამახსოვრდა მისი დიდი თავი, მალალი შუბლი და ბაგეთა კუთხეებში ნებისყოფის გამომხატველი ნაოჭები.

ზედამხედველებმა იგი ფართან მაგიდისკენ ზურგშექცევით დააყენეს. მელოტმა დავთარში რაღაც ჩაინიშნა და ორი თითი უდარდელად გაატკაცუნა. მოგრძო მაგიდასთან მჯდარმა გესტაპოელმა ოდნავ წინ გადაიწია, კარაბინი მხარზე მიიბჯინა და ტყვეს კეფაში დაუმიზნა. იგი ამას ისე აუჩქარებლად და დინჯად შვრებოდა, თითქოს ჩვეულებრივ სამუშაოს ასრულებსო, შესაძლებელი რომ ყოფილიყო ყველაფრის დავიწყება, რაც ამ საშინელ სარდაფში ხდებოდა. კარაბინის სამიზნეს ჩაფრენილი გესტაპოელი ჩვეულებრივი ლაბორანტი გეგონებოდათ, ისე საქმიანად გაპყურებდა იგი სამიზნის კრილს, როგორც მეცნიერი ჩაპყურებს მიკროსკოპის მიწას.

მოულოდნელად ტყვე თავის ჯალათს მიუბრუნდა და მტკიცედ შესძახა:

— ნიებ ეიე პოლსკა! სიკვდილი ფაშაზმს!

გესტაპოელი არ ჩქარობდა, თითქოს ტყვეს სიტყვების დამთავრებას აცდისო, მერე კი სასხლეტი გამოსწია. ვაისმა მოკლე და მჭახე გასროლა, ტყვე დაეცა. მის თავთან მაშინვე სისხლის გუბე დადგა.

კრაუსი ისევ მოვიდა ჩემთან და აყვირდა. მე უკვე არ მესმოდა არც ერთი სიტყვა, მხოლოდ ვხედავდი, როგორ მოუსვენრად ბრწყინავდნენ მის თვალებში ფოლადის პატარა ბურთულები.

კარები ისევ გაიღო და მიწისქვეშეთში დაჭედილი ჩექმების ბრაბუნით გესტაპოელთა ჯგუფი ჩამოვიდა. ისინი მაშინვე მწკრივებად დაიყვნენ. შემოიყვანეს გაფითრებული, ნაწამები, თმააწეწილი ტყვე, რომელსაც დაჭმუჭნული რუხი კოსტუმი ეცვა. იგი მოდიოდა აუჩქარებლად, მალალი და ქედუხრელი. ბაგეებზე ზიზლის გამომხატველი ღიმილი შეჰყინვოდა. მას უკან კოჭლობით მოჰყვებოდა გამზდარი, ტანდაბალი კაცი. იგი შიშნეულად იყურებოდა აქეთ-იქით და მთელი ტანით ციებთანით ცახცახებდა. მესამე—მოსული და ლამაზი ახალგაზრდა იყო. დალურჯებულ საფეთქლებსა და თვალის უბეებსაც არ შეეძლოთ მისი მშვენიერი სახის დამახინჯება. ათლეტურად ჩამოსხმულს ალბათ ძალაც უჩვეულო ჰქონდა, რადგან ზედამხედველები მარტო ბორკილებს არ ენდობიან და ხელები მავთულითაც შეეკრათ.

— მატკა ბოსკა², — თქვა მან ხმამაღლა, თითქოს მხიარულადაც, — თქვენ აქ, ბატონო ჯალათებო, ადამიანთა მთელი სასაკლავო გქონიათ! დაიხსომეთ, არამზადებო: თქვენი შვილები, შვილიშვილები და შვილიშვილთაშვილები შეგაჩვენებენ ამ მხეცობისათვის, იგი ჩირქად მოეცხება მთელ გერმანიას.

1. გაუმარჯოს პოლონეთს!

2. თეთისმშობელი (პოლ).

ტყვე ლაპარაკობდა მტკიცედ, უტეხად. მისმა ბუხუნა ხმამ, რომელსაც ისტერიის არაფერი ეტყობოდა, მთელი სარდაფი აავსო.

მომეჩვენა, რომ ეს გოლიათი სადღაც მენახა, სადღაც მსმენოდა ჰიტლერელი ჯალათებისადმი ზიზღით სავსე ეს ხმა. ნუთუ სტასიკია? — გამიელვა ფიქრმა. კარგად რომ დაეაკვირდი, მივხვდი, შეემცდარიყვნენ — ბრველი მიიყვანეს მელოტ დისპეჩერთან. დისპეჩერი რატომღაც მისაჩვენებელი უნდოდა დარწმუნებულებით, რომ არ ცდებოდა. მერე დავთარში ჩანაწერი გააკეთა და მეთვალყურეებს თავი დაუქნია. მათ ელვის სისწრაფით სტაცეს ხელი ახალგაზრდა პოლონელს და კაუჭებიანი კედლისკენ წაათრიეს. ასწიეს თავიანთი მსხვერპლი და წვერწამახვეულ კაუჭზე მარჯვედ ჩამოკიდეს, თვითონ კი განზე გახტნენ. სხეული საშინლად დაიგრიხა, გაისმა შემზარავი ხრიალი. მერე ყველაფერი მიწყნარდა.

მე ისევ დავკარგე რეალურობის შეგრძნება, თითქოს ნისლიდან მომი-ახლოვდა კრაუსის გაქვავებული სახე და ჩამესმა მჭახე ხმა:

— შენ გქონდა ფიქრის დრო. გამოტყდი! სდუმხარ? გაიყვანეთ!

ორმა გესტაპოელმა ხელი მტაცა, ტყვიებით დაცხრილული ფარისკენ წამათრია და პირით მისკენ დამაყენა.

— ვითვლი სამამდე. — გამოსცრა კბილებში კრაუსმა. — არ გამოტყდები და გავცემ ბრძანებას, გესროლონ! მოემზადე! — უბრძანა მან მსროლელს.

მე მკვეთრად შემოვბრუნდი და მივაჩერდი კარაბინმომარჯვებულ გესტაპოელს, რომელიც პირდაპირ თავში მიმიზნებდა.

კრაუსი გერმანულად თვლას შეუდგა:

— აინ...

გამალეებით ვცდილობ მოვიგონო რაღაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომელიც აუცილებლად უნდა გაეაკეთო სიკვდილის წინ და ვერაფრით მომიგონებია. აჰა, დედას არ გამოვთხოვებოვარ.

იმავე ნისლიდან, საიდანაც კრაუსი გამოვიდა, მიახლოვდება მწუხარე დედაჩემი და მე სასოწარკვეთილად ვეჩურჩულები მას:

— დედა, მე ავადა ვარ... ძლიერ ავადა! მშვიდობით!...

კრაუსი ხმამაღლა აგრძელებს:

— დრაი...

„მოიცა, მოიცა, — ვცდილობ გავარკვიო, რა ხდება. — რა შუაშია აქ კრაუსი? ან ეს „დრაი“ რაღას ნიშნავს? აჰა, მე უნდა დამხვრიტონ...“ ლულის შავი ნაავრეტი პირდაპირ თვალებში მომჩერებია.

გაისმა მკვეთრი ბრძანება:

— ფოიერ!..!

სახეში მცემს ალის დამაბრმავებელი კონა. სადღაც ვინთქები და უკანასკნელ წამს ვამჩნევ, რომ კაუჭებზე დაკიდული ტყვეები გუმბათთან ერთად შექანდნენ.

თურმე ყველა დახვრეტილი როდი კვდება ერთბაშად. მე ისევ მესმის მოკლე, ყრუ გასროლა, კრაუსის საზიზღარი, ხრიალა ხმა. მერე ვგრძნობ, როგორ მავლებენ ფენებში ხელს და სადღაც მიმათრევენ. კიბეებზე თავით ვეხეთქე-

1 ესროლეთ.

ბი, მაგრამ სულაც არ მტკივა, თითქოს შესიზმრება: მათ ვერ შეამჩნიეს, რომ ცოცხალი ვარ. მაშასადამე, კიდევ რამდენიმე წამი მრჩება. და თუმცა გადარჩენის იმედი გადამეწურა, რატომღაც მეტად მნიშვნელოვნად შეჩვენება ბედის მიერ ბოძებულ ამ რამდენიმე წამში ერთი რამის გარკვევა: კრედიტული მოხდა, რომ მე, თექვსმეტი წლის უკრაინელი ყმაწვილი, რომელსაც ვერაფერი უნებოდა, ბაც არასოდეს ჩამიდენია, ძალით ჩამომიყვანეს შორეულ გერმანიაში, მტანჯავენ აქ, მაწამებენ, შიმშილით სულს მხდიან და ბოლოს და ბოლოს მხვრეტენ?..



ელექტრონის მკვეთრ შუქზე თვალი დავხუჭე და როცა ისევ გავახილვე, მკერდზე დაწყობილი შავი, გასიებული თითების ფრჩხილებქვეშ გადატეხილი ასანთის ღეროები დავინახე. თავდაპირველად ვერაფრით მივხვდი, რა მომივიდა ან სად ვიყავი. მე ხომ დამხვრიტეს... თავზე ხელი მოვისვი და ჭრილობა მოვიძიე, მაგრამ რაღომღაც ვერ ვიპოვე. ამან ყველაზე მეტად გამაოცა, როგორ დავრჩი ცოცხალი? შეჩვენება თუ მართლა მიდგას სული? მოისმა ვიღაცის მძიმე ნაბიჯები, გაიჟღერიალეს გასაღებებმა და ყველაფერი ცხადი გახდა: კამერაში ვეგდე. მეთვალყურეს შუქი ჩაერთო და ნახვრეტიდან იტყობოდა, ცოცხალია თუ არაო. რათა იგი არ შემოსულიყო და ჩექმებით არ „შევემოწმებინე“, თვითონვე გავინძერი და კარის ნახვრეტიც დაიხურა.

მაშასადამე, ცოცხალი ვარ. გამოდის, კრაუსმა მხოლოდ გაითამაშა დახვრეტის სცენა? იგი იმედოვნებდა, რომ კარაბინის ლულის ქვეშ გავტყდებოდი და გავცემდი მათ, ჭინც „იქს“ ობიექტზე გამომგზავნა.

ვათვალისწინებ კამერას, ჩემს უტრადლებას იპყრობს კედელზე გაკეთებული რაღაც წარწერები. მივხობავ ახლოს და ვკითხულობ, რაც თვალში მხვდება: „მშვიდობით, მშობლიური უკრაინავ!“ ქვევით აწერია: „ალექსანდრე ლემეშკო კიევიდან“. უსათუოდ წავიკითხავ ყველაფერს, რაც ჩემს წინამორბედებს დაუტოვებიათ კედელზე. ახლა ეს წარწერები ჩემთვის ცოცხალ ადამიანთა ხმებია, რომლებიც მე აუცილებლად უნდა მოვისმინო.

ამისათვის კი სიჩქარეა საჭირო, რადგან მეთვალყურეს ნებისმიერ წამს შეუძლია შუქი გამორთოს.

მთელი კედელი წარწერებითაა აჭრელებული. ნაწილი ფანქრითაა ნაწერი, უმეტესობა კი ამოკაწრულია რაღაც მაგარი საგნით — ლურსმნით ან იქნებ თმის სამაგრიით. წარწერები მრავალენოვანია. უმეტესობა რუსულ, უკრაინულ, პოლონურ და გერმანულ ენებზეა. ზოგიერთი სიტყვა და ფრაზა სისხლით დაუწერიათ.

„სამშობლოვ! შენ ჩემს გულში ხარ. ვკვდები შენზე ფიქრით. სიკვდილი ფაშიზმს! ვალერი ივანეჩკო დნეპროპეტროვსკიდან“. „მოსკოვი-სტალინგრადი. იქნება ბერლინიც. ძრწოდეთ, გველებო!..“ „მე დავიღუპები ამ საპყრობილეში, მაგრამ არ დაიღუპება ჩემი თავისუფალი საბჭოთა სამშობლო...“

აქ ნახავდით ლექსებსაც და ცნობილი მწერლების, მეცნიერების, ფილოსოფოსების ნაწარმოებებიდან მოხმობილ ციტატებსაც, მაგრამ მაინც უფრო ჭარბობდა უბრალო სიტყვები უბრალო ადამიანებისა, რომლებიც მერე ფაშისტი ჯალათების ხელით დაიღუპნენ.

შექსპირი და გოეთე, შევჩენკო და პუშკინი, ჰიუგო და ლერმონტოვი, ტოლსტოი და დიკენსი, ჰაინე და ნეკრასოვი, მარკ ტვენი და ჯექ ლონდონი, გორკი და რომენ როლანი — მსოფლიოს ყველა გამოჩენილი მწერალი მძაფრ პროტესტს აცხადებდა ფაშისტთა არაკაცების დანაშაულებათა წინააღმდეგ. მოითხოვდნენ ჯალათების დასჯას. ისინი მოუწოდებდნენ უკუაღრუდებულ წინაშე ქედუხრელობისკენ თავისუფლებისთვის ბრძოლისკენ. ტირანების წინააღმდეგ დიდ მებრძოლთა აზრი ალბათ ყველაზე მოხდენილად და ლაკონიურად გოეთემ გამოთქვა:

მხოლოდ იგია შვებისა და სიცოცხლის ღირსი,
მათი გულისთვის ვინც ყოველდღე საომრად მიდის.

სასიკვდილოდ განწირულნი მეტწილად მიმართავდნენ სამშობლოს, რომელიც მათთვის აქაც გზის მანათობელ ვარსკვლავად რჩებოდა. იგი ჩემი გატანჯული სულისთვისაც უწმინდესი, უიღუმალესი სიყვარულის საგანი იყო. ასე თუ ისე, მე მისი სისხლის უმცირესი წვეთი ვიყავი და მისადმი სიყვარულს ჩემს გულში ვერავინ ჩააქრობდა... რა თქმა უნდა, ამ ფაშისტურ საპყრობილეში ისე დავიღუპები, რომ საქმეს სარგებლობას ვერ მოვუტან, მაგრამ, სულერთია, მე ვწირავ სიცოცხლეს სამშობლოსათვის.

სიკვდილისწინა წუთებში მწარე სინანულით ვფიქრობდი, ამ კედლებზე საკუთარ წარწერას, საკუთარ გამოსათხოვარ სიტყვას ვერ დავტოვებ-მეთქი. მე ამას ფიზიკურად ვერ შევძლებდი, საწერიც არაფერი მქონდა. მეგონა, ახლანდელი გულისნადების კედელზე ამოკაწვრა სიკვდილს გამიიოლებდა.

კედლებზე მიმოფანტული ურიცხვი წარწერა მოწმობდა, რომ ეს სიკვდილმისჯილთა კამერა იყო. თარიღების მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, წარწერები ეკეთებინათ დაწყებული 1941 წლის ზაფხულიდან და დამთავრებული უკანასკნელი დღეებით, ე. ი. 1943 წლის ივნისით. უეჭველია, გესტაპოელებს ისინი ნანახი ჰქონდათ, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ქერც ერთი მათი ავტორი გარეთ გამოსვლას ვერ ელირსებოდა.

დღემ გაიარა. ჩემს ნაგვემ სხეულში სიცოცხლე ხან ჩანავლდებოდა, ხანაც ფეთქვას დაიწყებდა. გონება ზოგჯერ მთლიანად მოიბურებოდა სისხლისფერი ნისლით და ფოთლებივით ფარფატებდნენ ფიქრის ნაწყვეტები, ზოგჯერ კიდევ გადაიყრიდა ამ ჯანლს და მაშინ ტვინიც საღად მუშაობდა. მიჩნდებოდა სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილი და შიში მიპყრობდა, მოვკვდები და კრაკოვის ციხის საშინელებათა შესახებ ადამიანები ვერაფერს გაიგებენ-მეთქი. სულიერ აღმაფრენას აპათია ცვლიდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მარტო კაუჭებზე დაკიდული ადამიანების ნახვისაგან შეიძლებოდა გაგიყება...

მეორე დილით ადგომა, პარაშის გატანა და გარეცხვა მიბრძანეს. ამ დროს კამერაში ორი ტყვე შემოვიდა და დეზინფექციას შეუდგა. საპირფარეშოში პარაშა ქლორიანი კირით გავწმინდე და გავრეცხე. ამ უბრალო სამუშაოში თავბედი მაწყევლინა: ქლორმა ცეცხლივით ამიწვა ხელის იარები. ციხეში ნებისმიერი ბრძანება ელვის სისწრაფით უნდა შეასრულო, სხვაგვარად სასტიკი მეთვალყურის ჯოხი არ აგცდება, რომელსაც შენი ჯანმრთელობა სულაც არ აინტერესებს. ჩემდა გასაოცრად, მეთვალყურე არა თუ არ მკემდა, აჩქა-

რებითაც არ მაჩქარებდა. ალბათ შესაბამისი მითითება ჰქონდა კრაუსისგან, რომელსაც მე ჯერ კიდევ ვჭირდებოდი რალაციისთვის.

კამერაში მობრუნებისას ტუსალის ზოლიან ხალათში ჩაცმული ტყვე შემხვდა. მასაც პარაშა მოჰქონდა. გამისწორდა თუ არა, ტყვემ მოულოდნელად შესძახა: „კოლია, შენა ხარ? იგი მაშინათვე მიხვდა საკუთარ შეცდომას და თავი დაბნეულად დახარა. ყმაწვილი უმაღ ვიცანი, მაგრამ მას თითქოს ჩემთვის არ დაეძახოს, სვლა განვაგრძე. „ჰალტ!“ — მიყვირა მეთვალყურემ, მერე საბრალო ტყვეს მივარდა და ცემა დაუწყო: „შენ მას იცნობ?“ ყმაწვილი საბოლოოდ დაიბნა და თქვა ვიცნობო, თუმცა შეეძლო ეთქვა, შევცდიო.

ორთავენი კინწისკვრით წაგვაბრძანეს კრაუსთან.

მე ეს პოლტაველი ბიჭი კარგად მახსოვდა. ვადიმ შინკარენკო 1942 წელს ბერლინში, მოაბიტის ციხის ერთ-ერთ კამერაში გავიცანი. ეს იყო სულ მალე მას შემდეგ, რაც გავიქეცი „ს-31“ ბანაკიდან, რომლის ტყვეები მუშაობდნენ ლაიპციგის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანაში „რუდოლფ ზაკი“. შორს წასვლა ვერ მოვახერხე. დამიჭირეს და მოაბიტის ციხეში დამამწყვდიეს. 144-ე კამერაში ორმოცი კაცი ვიყავით, რომლებსაც სამი გერმანელი ანტიფაშისტი გვერია. მათ ამანათები მოსდიოდათ და მე, სიპატარავის გამო მიბრალდნენ და ულუფას მიყოფდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ კამერაში მოიყვანეს ვადიმ შინკარენკო. ისიც ბანაკიდან იყო გამოქცეული. მე ჩემს საცოდავ ლუკმას მასაც ვუნაწილებდი. ჩვენ დაგვაშორეს 1942 წლის მაისის მიწურულს. თუ შინკარენკო წამებას ვერ გაუძლებდა და იტყოდა, რომ ჩემთან ერთად მოაბიტის ციხეში იჯდა, გესტაპო ჩემს თავგადასავლებს ადვილად გაიგებდა. ბოლოს და ბოლოს, ეს არაფერს არ ცვლის, — გავიფიქრე მე, — სულ ერთია, მაინც ვერაფერი გადამარჩენს.

როცა კრაუსს მომხდარი ამბავი მოახსენეს, ძალიან გაიხარა და დაუყოვნებლივ შეუდგა შინკარენკოს დაკითხვას. ვადიმში უკვე მიხვდა, რა შეცდომაც დაუშვა და შეეცადა მის გამოსწორებას.

— ახლავე ამოგადგმევიანებ ენას, — შეპირდა მას კრაუსი. გესტაპოელმა ტყავის მათრახი ჩამოხსნა, მთელი ძალით მოიქნია და შინკარენკოს სახეზე გადაუჭირა. თქრიალით წამოვიდა სისხლი დამსკდარი კანიდან. როცა ფრჩხილებში ორი წათლილი ასანთის ღერიც შეურჭეს, ვადიმმა ველარ აიტანა და მოჰყვა, რომ მოაბიტის ციხიდან მიცნობდა.

კრაუსი ზეიმობდა...

ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღე დაკითხვებზე არ წავუყვანივართ. საუზმეზე და ვახშმად მაძლევდნენ მწარე ერზაც-ყავას, სადილად კი ნახევარ ლიტრ სალაფავს. ქანცი დღითი-დღე მეცლებოდა. საკმარისი იყო თავი ამეწია, რომ რეტი დამსხმოდა.

რამდენიმე დღის მერე ისევ მიმიყვანეს კრაუსთან. კვამლის ღრუბელში დანთქმული გამოძიებელი მაგიდას მისჯდომოდა და რალაც ქალაღებს ახარისხებდა.

— ა-ა, საბრალო თბოლი, ეშელონს რომ ჩამორჩა! — მხიარულად თქვა კრაუსმა. მომიახლოვდა და პირდაპირ ცხვირ-პირში მღეწა. — ლეკვო! მე შენ გასწავლი სიმართლის თქმას. თურმე უკვე წელზე მეტია, რაც ციხე-ციხე, ბანაკ-ბანაკ დაყილობ და თავს ყაზანელ თბლად ასაღებ, ბოლშევიკო ნაძირალავ!..

ამ სიტყვებით მან მაგიდაზე დამიდო რამდენიმე ფოტოსურათი, აგრეთვე თეთრი სქელი ქაღალდი ჩემი თითების ანაბეჭდებით. პირველ სურათზე ანფასში ვარ გადაღებული და მკერდზე შავი დაფა მკიდია. ეს იყო 1942 წლის 9 მაისს ლაიპციგის ბანაკ „ს-31“-ში. აქედან მივხვდი, რომ ნასკვის გახსნა უკვე დაწყებულიყო ან იქნებ გახსნილიც იყო, რადგან კრაუსის საქაღალდეში ჩემი ფოტოსურათები ეწყო, რომლებსაც საბუთებისა და თითების ანაბეჭდების მთელი დასტა ერთვოდა. მე ხომ ყოველ ციხეში, ყოველ ბანაკში მიღებდნენ პროფილსა და ანფასში, მატოვებინებდნენ თითების ანაბეჭდებს, მიხსნიდნენ სააღრიცხვო ბარათს. კრაუსს უკვე მოესწრო ჩემი „მოგზაურობების“ ანკეტის შედგენა და აქვე წამიკითხა იგი.

—1942 წლის 9 მაისი, ქალაქი ლაიპციგი, ბანაკი „ს-31“, ნომერი 120. 15 მაისს გაიქეცი, მომდევნო დღეს დაგიჭირეს, მიგიყვანეს ლაიპციგის საპოლიციო სამმართველოში, იქიდან — ლაიპციგის ციხეში. კამერა ნომერი 27, ტუსალის ნომერი 15001.

20 მაისს გადაგიყვანეს ბერლინში. მოაბიტის ციხე, კამერა 144, ტუსალის ნომერი 17258.

27 მაისს გადაგზავნეს მაინის ფრანკფურტში, ავიაქარხანა „გერმან გერინგ ვერკესთან“ არსებულ ბავშვთა შრომა-გასწორების ბანაკში.

25 ივნისს გაიქეცი, ოცდარვაში დაგიჭირეს. ციხე ფრანკფურტის მაინში, კამერა ნომერი 1, ტუსალის ნომერი 2511. აქ თავი საშუკო ივანოვად გაასაღე.

13 ივლისს გადაგიყვანეს დრეზდენში. ბანაკი „ოსტ-2“. მკაცრი რეჟიმის ბლოკი ნომერი 3, ბანაკის ნომერი 609. მუშაობდი ფირმა „ალგემაინე ელექტრიტეტს გაზელშარფის“ ქარხანაში.

25 ივლისს გაიქეცი, დაგიჭირეს ბერლინის მიდამოებში 30 ივლისს, მიხეილ სიდოროვი მქვიაო, თქვი, ბრესლაუს ციხე, კამერა ნომერი 25, ტუსალის მერი 2831.

15 აგვისტო — ბანაკი „კ-1“, ბლოკი ნომერი 5, ბანაკის ნომერი 1307. მუშაობდი მეტალურგიულ ქარხანა „გერმან გერინგში“.

2 სექტემბერს გაიქეცი, მაგრამ უკვე ხუთში დაგიჭირეს გინდენბურგის მახლობლად და ადგილობრივ საპოლიციო სამმართველოში მიგიყვანეს. კამერა ნომერი 5, ტუსალის ნომერი 1988. ხელისუფალთ თავი ივანე კოვალენკოდ გააცანი.

1 ოქტომბერს სცადე ციხიდან გაქცევა. კარცერი დაიმსახურე. სულელად გცნეს და ბანაკ „ოსტ-2“-ში გადაგაგზავნეს. ბლოკი ნომერი 1, ბანაკის ნომერი 926. 1942 წლის 15 ნოემბრიდან 1943 წლის 1 აპრილამდე მუშაობდი ქ. გინდენბურგის კოქსოქიმიურ ქარხანაში.

1 აპრილს გაიქეცი ბანაკიდან...

ამ ანკეტამ მიმახვედრა: კრაუსმა არ იცოდა ის, რომ უკვე ოთხ აპრილს კროიცბურგის მახლობლად დამიჭირეს და ადგილობრივ გამანაწილებელ ბანაკში, იქიდან კი ქალაქ ბოიტენის ციხეში გადაგაგზავნეს. მაშასადამე, მან არაფერი იცოდა „გოგენცოლერნგრუბეში“ ჩემს მუშაობასა და იქიდან გაქცევაზე.

— როგორც ხედავ, ჩვენთვის ყველაფერი ცნობილია, — თქვა კრაუსმა და ხელები კმაყოფილებით მოისრისა. — ისლა დაგრჩენია, მოჰყვე, სად დაეთრეოდი 1943 წლის აპრილში ბანაკ „ოსტ-2“-იდან გაქცევის შემდეგ.

ეშმაკობა ვცადე და ვთქვი, რომ გინდებურგიდან გაქცეული ერთ-ერთ ბაქანზე რკინიგზელებმა დამიჭირეს და ჩამაბარეს ეშელონის დაცვას, რომლითაც გერმანიაში პოლონელები მიჰყავდათ. მეორე დღეს წყლის მოსატანად ვაგონიდან ჩამოვხტი, მაგრამ სანამ მოვბრუნდებოდი, ეშელონი წასულიყო. მაშინ გადავწყვიტე აღმოსავლეთით მევლო და თავი პოლტნაში შეხვეყავი. აქ კი დამიჭირეს კიდევ.

— მორიგ ზღაპარს ჰყვები, ხომ? არ დაგავიწყდეს, რომ ჩვენ საკმაოდ მონაცემები გვაქვს იმისთვის, რომ გავასამართლოთ და სახრჩობელაზე ჩამოგკიდოთ.

კრაუსი დღეს ჩინებულ გუნებაზეა. აცვია ახალთახალი რუხი კოსტუმი, ქათქათა აბრეშუმის პერანგი და ლაკის ფეხსაცმელები. თვითონაც ცინცხლად გამოიყურება, სუფთად გაპარსული სახე ჭაბუკურ იერს აძლევს. მეტისმეტად ბევრს ლაყბობს და სულგრძელად ილიძება.

კარგა ხანია შეენიშნე, რომ მის ყესტებში, მიმიკასა და ხმაში, თვით სიარულშიც, ჭარბადაა სიყალბე და ნაძალადეობა. არტისტია, რაღა!

აწკრიალდა ტელეფონი. კრაუსმა ყურმილი აიღო და მაამებლურად თავის ქნევა დაიწყო.

— გმადლობთ, ძალიან სასიამოვნოა. შეძრული ვარ თქვენი ყურადღებით. დიახ, დიახ, იგი ახლა ჩემთანაა, ვამთავრებ გამოძიებას... — მან ყურმილი დადო, მღივან გოგოსა და ჩემს მეთვალყურეებს მკაცრად შეხედა და თქვა: — ახლა აქ მობრძანდება ბატონი ჰანი წარჩინებულ უფროსებთან ერთად.

გოგომ გაოცებისაგან პირი დააღო, მეთვალყურენი კი სმენაზე დადგნენ.

— დიახ, დიახ, თვით ბატონი ფრიც ჰანი. კურტ, უბრძანე, სკამები მოიტანონ. თქვენ კი, ჰერტრუდა, შეინახეთ თქვენი სარკე და მოამზადეთ ქაღალდები იმ პოლონელთა შესახებ და, საერთოდ, მოიყვანეთ წესრიგში აქაურობა!

ერთ-ერთი მეთვალყურე ბრძანების შესასრულებლად გაიქცა, ჰერტრუდამ კი კარადიდან საქაღალდეები გადმოიღო და კრაუსს წინ დაუწყო, მერე საფერფლე გარეცხა, მაგიდა გულდასმით გადაწმინდა და ოთახის გასანიავებლად ფანჯარა გამოაღო.

სულ მალე კარებს მიღმა ხშირი, წყვეტილი ზარი გაისმა — ეს კურტი იძლეოდა სიგნალს დერეფნიდან ყველანი წამოხტნენ და გაშეშდნენ, კრაუსი კი ოთახის შუაგულში საპატაკოდ მოემზადა. როცა კარები გაიღო და ზღურბლზე უფროსობა გამოჩნდა, კრაუსმა დაიძახა: „ანტუნგ“, სტუმრების შესახვედრად რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ტრადიციული „ჰაილ ჰიტლერის“ მერე უპატაკა, საგამომძიებლო განყოფილებაში ყველაფერი რიგზეაო.

ჰანმა კრაუსს ხელი ჩამოართვა და თანმხლებ პირებს წარუდგინა.

აქ თხრობას ცოტა უნდა გადავასწრო. 1945 წელს, როცა ომი დამთავრდა და ნიურნბერგის პროცესისთვის მზადება დაიწყო, რაიხის ხელმძღვანელთა დანაშაულობების შემსწავლელ საგანგებო სახელმწიფო კომისიას ჩვენებებს ვაძლევდი. ჩემს ჩვენებებში საკმაოდ გავამახვილე ყურადღება კრაუსსა და ჰანზე, რომლის ხელმძღვანელობითაც კრაკოვის ციხეში საშინელი დანაშაულობანი ხდებოდა. მომდევნო წლებში არაერთგზის მომიყოლია მათ შესახებ პრესასა და რადიოში, ოღონდაც არ ვიცოდი, რა ბედი ეწიათ ამ ჯალათებს. 1968 წლის იანვარში საბჭოთა პრესამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელმაც ძალიან ამაღლევა:

„...ათი წელიწადი იმყოფებოდნენ ძიების ქვეშ ჰიტლერელთა წარგზავნილი სოფიაში ობერგრუპენფიურერი ადოლფ ბეკერლე და თვალსაჩინო გესტაპოელი ფრიც ჰანი. ორთავენი განსაკუთრებულ პასუხს აგებენ ოსვენციმისა და ტრემბლინკის სიკვდილის ბანაკებში ოცდაათი ათასი ადამიანის გადაგზავნისთვის. გესტაპოს კრაკოვის განყოფილების, შემდგომ კი ვარშავის პოლიციის ამ ყოფილ უფროსს ბრალად ედება ათასობით პოლონელი პატრიოტის დაღუპვა. როგორც იკვებნიდა მისი მეუღლე ლოტა მშობლებისადმი გაგზავნილ წერილში, „იგი დღეში 70 სასიკვდილო განაჩენს აწერდა ხელს“... და სანამ ძიება მიმდინარეობდა, პოლონელი ხალხის ჯალათს მშვიდად ეკავა უფროსი სახელმწიფო მრჩევლის თანამდებობა სამხედრო ტექნიკისა და დამზადების დასავლეთგერმანულ უწყებაში“.

ფრიც ჰანი თურმე დღესაც მშვენივრად გრძნობს თავს. არ ვიცი, სადაა ახლა მისი რჩეული კრაუსი, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ არც ის უჩივის საკუთარ ბედს. რაც შეეხება „ჰანის დანაშაულებებს, ძალიან მოკრძალებული ნათქვამია, რადგან ეს ნაძირალა იყო არა მარტო პოლონელი ერის ჯალათი, არამედ ჯალათი ინტერნაციონალური, საერთაშორისო მასშტაბისა. მის სისხლიან ხელებში გაიარა ათეულ ათასობით მსხვერპლმა, მრავალი ეროვნების წარმომადგენელმა.

დავბრუნდეთ ისევ კრაუსის კაბინეტში. მე იქ დავინახე შუახნის, საშუალოზე მაღალი, ასაკისათვის შეუფერებლად მსუქანი, აზიზი მამაკაცი. მიუხედავად ამისა, იგი მოძრავი, ექსპანსიური იყო. ეცვა იდეალურად შეკერილი და მონდომებით დაუთოვებული შავი მაუდის ძვირფასი მუნდირი. პალსტუხზე ბრილიანტის სვასტიკა უბრწყინავდა. კიტელზე კი ფაშისტური პარტიის ნიშანი ეკეთა. მსხვილი, ყვრიმალეებიანი სახე ნაჯახით გამოჩორკნილი გეგონებოდათ: მასიური ქვედა ყბა, დიდი ცხვირი, თხელი, მაგრამ მოკუმული ტუჩები, სქელი, შავი წარბები ბუჩქებივით გადმოჰყურებდა მის მოუსვენარ თვალებს. ფრიც ჰანს უყვარდა ეესტიკულირება, ყოველ თავის ფრაზას იგი ხელის ენერგიული ქნევით ასაბუთებდა. თავი ხაზგასმულად დამოუკიდებლად ეჭირა.

უნდა აღინიშნოს, რომ იმხანად ნაციისტურ ხელმძღვანელებში ეესტიკულაცია ძალზე მოდაში იყო. ეს გახლდათ ნამდვილი ეესტომანია. მცირე და დიდი ფიურერები აბეზრულად ბაძავდნენ ჰიტლერს, რომელსაც გამოსვლის დროს შეეძლო მკერდში მუშტები ერტყა, თავზე თმა ეწეწა და პერანგიც კი შემოეხია.

გავაგრძელოთ სიტყვა ჰანზე. იგი ერთიანად ბრწყინავდა. თითებზე სამი უზარმაზარი ძვირფასთვლიანი ბეჭედი ეკეთა. ყველაზე დიდი ბეჭედი შემკული იყო ოქროსგან ჩამოსხმული თავის ქალითა და მის ქვემოთ გადაჭდობილი ძვლებით. ფართო ქამარი და აშურმა შავად ბზინავდა, გაკრიალებულ ჩექმებს ციმციმი გაუდიოდა. ვეებერთელა შავ კარტუხზე კოხტაობდა გესტაპოს ემბლემა.

ჰანს სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი ხნიერი ქალბატონი ახლდა. ორთავე მსუქანი და ჭალარა. მათ უკან იდგა მაღალი ახალგაზრდა გესტაპოელი ოფიცერი, ალბათ, ჰანის ადიუტანტი.

— ქალბატონებო! — მიმართა ხანმა ქალებს, — თქვენს წინაშეა ჩვენი უწყების გამომძიებლის კაბინეტის კლასიკური ნიმუში, შეენიშნავე, საუკეთესო გამომძიებლისა.

ო, როგორ განადიდებდა ჰანი თავის ხელქვეით კრაუსს! ასპროცენტიანი არიელი და იდეურად გამობრძმედილი მებრძოლია, რისთვისაც ამასწინათ ორდენით დააჯილდოვესო.

— იგი ძალიან ზრდილობიანი, განათლებული მუშაკია, უსაზღვრო ინტელექტის პატრონია. ფლობს რამდენიმე ენას და ამის წყალობით გაშრობილებულთა და მთარგმნელთა მთელ ბრიგადას ცვლის, — თქვა დასასრულ გესტაპოს შეფმა.

სტუმრებს, ეტყობა, ფეხზე დგომა მობეზრდათ და დასხდნენ. დაჯდა ჰანიც. მხოლოდ მისი ადიუტანტი და კრაუსი იდგნენ გაუნძრევლად. ჰანმა ჯიბიდან ოქროს პორტსიგარი ამოიღო და სიგარეტს კობწია, ლამაზი მონოგრამით შემკული ოქროს სანთებელა-პისტოლეტით მოუკიდა.

— დიახ, ქალბატონებო, უფროსი გამომძიებელი კრაუსი იშვიათი ნიჭის პატრონია, რომელსაც აქვს თანდაყოლილი ნიჭი და რაღაც განსაკუთრებული პროფესიული ალღო. — განაგრძობდა ჰანი. — იგი ყველაზე დახლართულ საქმეებსაც კი ჩქარა არკვევს. ინებეთ მკაფიო მაგალითი, — გესტაპოს შეფმა თავით ჩემზე ანიშნა. — თქვენს წინაშე დგას ბიჭი, თითქმის ბავშვი, ერთი შეხედვით უმწეო ქმნილება, სინამდვილეში კი საშინელი დამნაშავე. წარმოდგენაც კი ძნელია, რომ მან შეძლო გამძვრალაყო ჩვენს საიდუმლო ობიექტზე, რომელსაც ფხიზლად იცავდნენ. დაკითხვაზე ცდილობდა კრაუსის მოტყუებას, მაგრამ ფეხი არ ჩაუვიდა. ნახეთ თვითონვე, რამდენჯერაა გაქცეული! — გესტაპოს შეფმა საქალაქიდან ჩემი ყველა ფოტო და ხელის ანაბეჭდი ამოიღო.

— რაწ უპირებთ? — იკითხა მელოტმა ბლენძმა.

— დავხვრეტთ, ან ჩამოვახრჩობთ, მაგრამ რამდენადაც მის შესახებ უკვე იციან ბერლინში, ფორმალობა უნდა დავიცვათ და ტრიბუნალს გადავცეთ. ასეთივე ბედი ეწევა მავნებლობასა და საბოტაჟში მხილებულ პოლონელთა დიდ ჯგუფსაც.

ჰანმა კრაუსს თავი დაუქნია და იმანაც რამდენიმე საქმე მიაწოდა. ჰანი ფურცლავდა მათ და ჩიოდა: მე და ჩემი ხალხი საშინლად გადატვირთული ვართ. მართო მე ყოველდღიურად ასამდე სასიკვდილო განაჩენის ხელმოწერა მიწევსო.

— აი, რატომ მოვითხოვ შტატების გადიდებას, — დასძინა მან. — ვიმედოვნებ, რომ თქვენ ბერლინში მხარს დამიჭერთ.

— ეგ მითხარით, დამნაშავეთა რომელი კატეგორია ითვლება თქვენთან ყველაზე საშინლად? — ჰკითხა ერთ-ერთმა სტუმარმა კრაუსს.

— რა თქმა უნდა, რუსები, — ცოცხლად მიუგო მან. — ისინი შეტწილად ბოლშევიზმით მოწამლული პირწავარდნილი ფანატიკოსები არიან. ამასწინათ ერთი კომისრის საქმე მქონდა, რომელმაც კამერის მამასახლისი მოკლა, მანამდე კი შტალლახში ბოლშევიკურ პროპაგანდას ეწეოდა. დაკითხვაზე ჩიუტად დუმდა, არ უნდოდა პასუხის გაცემა. მე მაინც ამოვადგმევიჩე ენა.

ეს იყო მტკნარი სიცრუე, რადგან ნაწამებმა კომისარმა სიტყვაუთქმელად დალია სული.

ჰანმა ერთხელ კიდევ მოახსენა კრაუსს მადლობა და თან აცნობა, ბეჯითი სამსახურისათვის დაჯილდოვებული ხარ რიგგარეშე ორკვირიანი შვებულებითა და ოთხასი მარკა ფულადი პრემიითო. სტუმრებმა საათებზე დაიხედეს, ინფო-

რმაციისთვის მადლობა თქვეს და გასასვლელისაკენ გაემართნენ.

კრაუსმა ხელმძღვანელობა ფარისევლური ღიმილით გააცილა და კაბინეტში სახეგაბრწყინებულ იუბილარად დაბრუნდა. იგი კმაყოფილებით ისრესდა ხელებს, მაგრამ ჩემს დანახვაზე უცებ შეიცვალა, მკაცრი და უკმეხი გახდა.

— წაიყვანეთ! — ჩემზე ანიშნა მეთვალყურეებს.

ეროვნული
ბიზნისი

3.

კამერაში რომ მიმიყვანეს, სადილი ახალი ჩამორიგებული იყო. სულმოუთქმელად შევჭამე ჩემი წილი სალაფავი და დასაძინებლად დავწექი. რვადღიანი პატიმრობის მანძილზე პირველად მეძინა დილაამდე.

დილით დაბანვის ნება დამრთეს, მერე ტუსადის ზოლებიანი ხალათი და წყვილი ხის ქოშიც მომცეს, ამან ძალიან გამაკვირვა. მე ხომ აქამდე ფეხშიშველი და საცვლების ამარა დავდიოდი!

ციხე თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, რაზეც ბგერები მეტყველებდნენ, აგერ, კარს მიღმა მეთვალყურეთა მძიმე ნაბიჯები და ხის პოლცშუგების ბაკაბუკი გაისმის — ვიღაც მისავათებული დაკითხვაზე მიჰყავთ, კედლის იქითა მხრიდან, როგორც სამარიდან, აღწევს ტყვის ყრუ ხველება, საძულველი „ლოს!“ დარტყმა და სასოწარკვეთილი ყვირილი. დერეფანში ხმამალა უსტვენს მეთვალყურე. საწინააღმდეგო მხრიდან მთლი პროცესია მოდის: ზედამხედველები დაკითხვაზე მიათრევენ ცოცხალმკვდარ ტყვეს. იგი კვნესის, ჯალათები კი მას ჯოხების ცემით აჩქარებენ. ხმები მინელდა. დერეფანში გაიქვარუნა კლიტებმა, აბრაგუნდა ლითონის კარი.

სიმშვიდე და ყველაფრის მიმართ სრული გულგრილობა დამეუფლა. განაჩენი უკვე ვიცოდი და არაფრის შეცვლა არ შემეძლო. მენანებოდა არა დაღუპული სიცოცხლე, არამედ ის, რომ სამშობლოდან შორს ვკვდებოდი და ჩემი მშობლები ვერასდროს გაიგებდნენ თუ რა ბედი ეწია მათ შვილს. იქნებ ეს უკეთესიც იყო — დედას სიკვდილამდე იმედი ექნებოდა, ჩემი ვაჟი უცხო მხარეში დაყოვნდა და როდესმე დაბრუნდებოდა. ყველა დედა ხომ იმედით ცოცხლობს!... გულდასაწყვეტი იყო ისიც, რომ ფრონტზე, მტერთან შეტაკებისას, იარაღით ხელში არ მოგკვდებოდი. ნუგეშად ისლა მრჩებოდა, რომ ჩემი ხანმოკლე ცხოვრება პატიოსნად განვლე, მამულისთვის არ მიღალატია და თავისუფლება გამცემლობის ფასად არ მიყიდე.

კამერაში ნათურა აინთო, აჩხაკუნდა გასაღები, კარები გაიღო.

— რაუს!

ხელებზე ბორკილები დამადეს და დერეფნების ლაბირინთებით წამიყვანეს. დიდხანს მივდიოდით. ბოლოს გავჩერდით კარებთან მოკლე წარწერით: „ტრიბუნალი“. ეს იყო მომცრო ოთახი, რომელსაც ორი გისოსებიანი, ნახევრად ფარდებამოწეული ფანჯარა ჰქონდა ოთახში მკაცრი, შავი ავეჯი იდგა. აქ საერთოდ ყველაფერი შავად, პირქუშად გამოიყურებოდა.

მუქ-მწვანე მაუდგადაფარებულ, მოგრძო მაგიდასთან სამი შავმუნდირიანი გესტაპოელი იჯდა. მათ უკან, კედელზე ჯვარცმასავით ეკიდა ლითონისაგან ჩამოსხმული ფრთებგაშლილი შავი არწივი, რომელსაც ბრჭყალებით ვერცხლისფრად შეღებილი ფაშისტური სვასტიკა ეჭირა.

მაღალ თეჯირს მიღმა შემიყვანეს. აქეთ-იქით ხელჯოხებით შეიარაღე-

ბული ორი გესტაპოელი ამომიღვა. კარის პირდაპირ საათი ეკიდა, რომლის ისრები დილის თერთმეტს უჩვენებდნენ, საათს ზემოთ კედლის დიდ კალენდარზე დავინახე თარიღი — 1943 წლის 28 ივნისი. კალენდრისგან თვალმოუშორებლად რატომღაც ჩემი ასაკის გამოანგარიშება დავიწყებულა, რომ ამ ცისქვეშეთში ჩვიდმეტი წელი, ოთხი თვე და ერთი დღე-ღამე ვიყავი ეს ცისქვეშეთი ახლა ჩემთვის შავად გადაისაფრა.

სასამართლო დარბაზში კიდევ ერთი გესტაპოელი შემოვიდა და ადვოკატის ადგილი დაიკავა. აღმოჩნდა, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ თარჯიმანი ყოფილა, რომელსაც ჩემთვის განაჩენი უნდა გადმოეოარგმნა.

სასამართლო პროცედურა საოცრად უბრალო და ლაკონური გამოდგა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მე ხომ გესტაპოს ციხეში ვიჯექი. გამომძიებელი გესტაპოელი გახლდათ, პროკურორიცა და მოსამართლეებიც მისი ჯურისანი იყვნენ. ჯალათები, რომლებიც წერტილს დაუსვამენ ჩემს სიცოცხლეს, ასევე გესტაპოელები იქნებიან. ყველაფერს, რაც შემდეგ მოხდა, საერთო არაფერი ჰქონდა სამართლიანობასა და ადამიანურობასთან, ცივილიზაციის მიერ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებულ ელემენტარულ სამართლებრივ ნორმებთან.

დარბაზში გესტაპოელთა ვარდა არავინ იყო არც ადვოკატები, არც დამსწრეები, პროკურორმა დაიწყო იმით, რომ ტრიბუნალის წევრებს შეახსენა ინსტრუქცია ზონდერბენანდლუნგის — გერმანიის სახელმწიფოს მტრებთან განსაკუთრებული მოპყრობის — შესახებ. ამ ინსტრუქციით ხელმძღვანელობდა არმია, პოლიცია, ესესელები და გესტაპო ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ. მე ეს მოაბიტიც ციხეში გავიგე გერმანელი პოლიტიკური პატიმრებისაგან. პროკურორმა ლულულულით ჩამოთვალა ჩემი ყველა დანაშაული გერმანიის იმპერიის წინაშე. თურმე ვინ არ ვყოფილვარ, მავნებელი და მესაბოტაჟე. საშიში ბოროტმოქმედი, ბოლშევიზმით გაბრუებული ფანატიკოსი და ანტისოციალური ელემენტი!

მე, რა თქმა უნდა, სიტყვა არ მომცეს. როგორც კი პროკურორი ლაყბობას მორჩა, ტრიბუნალის წევრებმა რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს და მღივანმა წაიკითხა წინასწარ მომზადებული განაჩენი, რომელიც იწყებოდა: „გერმანიის სახელმწიფოს სახელით...“ და მთავრდებოდა: „დახვრეტით“.

სხვა რამეს არც მოველოდი, მაგრამ სიტყვა „დახვრეტა“ მაინც ისარივით მომხვდა გულში, ხელ-ფეხი გამიშეშდა, ტვინი დამებინდა. აქამდე ჩემში ქვეშეცნეულად ცოცხლობდა რაღაც სასწაულის იმედი, ამიერიდან კი საბოლოოდ ჩაქრა. მორჩა. მოვიდა ჟამი აღსასრულისა...

კამერაში შიში და დახვრეტის პანიკური მოლოდინი დამეუფლა. საკმარისი იყო ყური მომეკრა მეთვალყურის ნაბიჯებისთვის ან გასაღებთა ჟღარუნისთვის, რომ მთელი ტანით ავცახცახებულყავი. თითქმის ფიზიკურად ვგრძნობდი, რომ ქრებოდა სიცოცხლე ჩემს მილეულ სხეულში. ვცდილობდი საკუთარი თავის მორევას და ვერ ვახერხებდი. მე ხომ გადაწყვეტილი მქონდა სიკვდილს ვაეკაცურად შევხვედროდი, ისიც კი მოვიფიქრე, რომ დახვრეტის წინ დამეძახა: „სიკვდილი სისხლიან ფაშიზმს! გაუმარჯოს საბჭოთა სამშობლოს!“ და უცებ სამარცხვინო შიში გარდაუვალი აღსასრულის წინ. ეს ალბათ იმიტომ, რომ რაც უნდა იყოს, ძნელია სიკვდილი ჩვიდმეტი წლის ასაკში..

სიკვდილმისჯილთა ტანჯვასა და განცდებზე ბევრი წიგნი წამიკითხავს. მათ შორის არაერთი ყოფილა სულით ხორცამდე შემძვრელიც, და მაინც არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჯერ არ დაბადებულა მწერალი, რომელსაც შეძლებოდა ჭეშმარიტად აღეწერა ის, რასაც განიცდის და ფიქრობს ადამიანი დასჯის წინ. ვერ გავაკეთებ ამას მეც, თუმცა საკუთარ თავზე ვეცდები. ესეთი რამაა, რასაც ჩვეულებრივი სიტყვებით ვერ გადმოსცემ. საჭიროა რაღაც განსაკუთრებული ცეცხლოვანი სიტყვები, მაგრამ სადაა ისინი?..

განაჩენის გამოცხადებიდან ოცდაორი საათის შემდეგ, 29 ივნისის დილის 9 საათზე კამერიდან გამომიხმეს და პირველ სართულზე ამიყვანეს. მეგონა, დასახვრეტად მივყავდი, მაგრამ რაღაც განსაკუთრებულ მღელვარებას არ ვგრძნობდი. ის კი მიკვირდა, ბორკილები რატომ არ დამადეს-მეთქი. ყველას, ვინც დასახვრეტად მიჰყავთ, ხომ აუცილებლად ადებენ ბორკილებს. სულ მალე გაირკვა, რომ თურმე ციხის ექიმის კაბინეტში მომიყვანეს. ვინ იფიქრებდა, რომ გესტაპოს ციხეში ასეთი საშტატო ერთეული არსებობდა! ექიმის გარდა კაბინეტში იყო თარჯიმანი ოფიცერი, რომელმაც გუშინ, განაჩენი წამიკითხა. ისინი რაღაცაზე ცხოვლად საუბრობდნენ. მეტწილად ექიმი ლაპარაკობდა, ოფიცერი კი კვერს უკრავდა.

— მე ვეკუთვნი იმათ, ვინც მეცნიერებას ქმნის, მაგრამ ბანაკებში მუშაობისას დაგროვილი გამოცდილება და რუს სამხედრო ტყვეებზე დაკვირვებები საშუალებას მაძლევენ დაბეჯითებით ვამტკიცო, რომ ჩვენს სამედიცინო მეცნიერებას ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი გააჩნია. ავიღოთ თუნდაც ასეთი ფაქტი: რით აიხსნება არასრულფასოვანი რასის სიცოცხლისუნარიანობა? კონკრეტულად, რატომ ვპოულობთ რუსის ქანცგალეულ სხეულში, ასე ვთქვათ, ჩონჩხში, სასიცოცხლო ენერჯის ესოდენ დიდ მარაგს? საცდელი რუსი შეგიძლია რამდენიც გინდა აშიმშილო. სცემო, კარცერში გამოამწყვდიო, უწყლოდაც ამყოფო, მას კი ადამიანის ორგანიზმის შესაძლებლობაზე არსებულ ყველა შეხედულებათა საწინააღმდეგოდ მაინც უდგას სული. რით ახსნით ამას?

— სიმართლე რომ გითხრათ, ამაზე არასდროს დავფიქრებულვარ, — მიუგო ოფიცერმა.

— სიმართლე თუ გსურთ, ყველაფერი მათი ცხოველთა სამყაროსთან სიახლოვეთ აიხსნება. მე და ჩემი შეფი ჰუპენკოტენი მივედით ამ მოულოდნელ და ძალზე უბრალო დასკვნამდე. მან ბრწყინვალე დისერტაციაც კი დაიცვა ხსენებულ თემაზე. ტყვეებსა და პატიმრებზე მასთან ერთად ათასობით ცდა ჩამიტარებია.....

ლაქლაქა ესკულაპი მერე გადავიდა ჰიტლერის წიგნზე „მაინ კამპფ“. დაიწყო ფიურერისა და გერმანული რასის უზენაესობაზე მისი კაცი ჭამიური თეორიის ხოტბა. ექიმის სიტყვებით ეს თეორია უდიდესი მეცნიერული აღმოჩენა იყო.

გესტაპოელს, მეგონი, მოსწყინდა სწავლული ესკულაპის ლაყბობა და რაღაცის სათქმელად ხელი ასწია, მაგრამ თანამოსაუბრემ ხმის ამოღება არ აცალა და კონკრეტულ თემაზე გადავიდა:

— მიაქციეთ ყურადღება ამ ადამიანის მსგავს ყმაწვილს. იგი დაბალი რასის ტიპური წარმომადგენელია. ერთადერთი, რაც მას უნდა, ჭამაა. გერმანიაში ამდენი ხნის ცხოვრების მანძილზე მან ვერ დაიხსომა ვერც ერთი გერმა-

ნული სიტყვა, ხოლო დახვრეტისას არც ატირებულა. ხვადაგი! მისთვის სულ ერთია, სად მიჰყავთ — დასახვრეტად თუ საპირფარეშოში. ასეთები უწყალოდ უნდა ელიტო, მაგრამ თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ გერმანიას ახლა, როგორც არასდროს, სჭირდება მუშახელი. ამასთან დაკავშირებით მეტიდ გონივრული და დროულია ბრძანება სიკვდილით დასჯის მუდმივად შეწყვეტის შესახებ, რომელიც დღეს შევიდა ძალაში. მართლაც, არსებობს თუ არა ნაზო ამ შრომისუნარიანი, ფიზიკურად ჯანსაღი ველურის ჩამოხრჩობით? არავითარი. მაგრამ თუ ბანაკში გავაგზავნით, იგი ერთი ჩამჩა სალაფავისთვის იმუშავებს, ხომ მართალს ვამბობ, კოლეგავ?

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა ოფიცერი. — მაგრამ მოდით, ჩქარა მოვრჩეთ ამ ფორმლობას.

— მე უკვე დავამთავრე გასინჯვა. ჩემი დასკვნით შეიძლება მისი მძიმე ფიზიკურ სამუშაოზე გამოყენება.

ექიმმა რაღაც ბარათი შეავსო და მასზე ორთავემ ხელი მოაწერა. მერე ესკულაპმა ფრჩხილებიდან ასანთის ღეროები პინცეტით დამაძრო, იარებზე კი სასხვათაშორისოდ წამიცხო იოდი, ისე, რომ არც შეუხვევია.

მე ისევ ტრიბუნალის შენობაში წამიყვანეს. იქ წამიკითხეს საბოლოო განაჩენი, რომლითაც დახვრეტა მკაცრი რეჟიმის საკონცენტრაციო ბანაკში მუდმივი კატორღით იყო შეცვლილი...

4

კამერა № 17 მეორე სართულზე იყო. როცა მეთვალყურემ კარი გააღო, ისეთი მყრალი სუნი შევსო, ინსტინქტურად უკან დავიხიე. მაგრამ მხრებში მუჯლუგუნი მკრეს და ცემენტის იატაკზე ჭიანჭველებივით მოფუთფუთე ხალხს თავზე დავეცი. პატარა კამერაში იმდენი ტყვე დაემწყვდიათ, ფეხის დასადგმელი ადგილი ვერც ვიპოვე.

ნიადაგ ნახევრად ჩაბნელებულ კამერას ღამით მქრქალად ანათებდა პატარა, მორიგე ნათურა. დიდ ელექტრონათურას მხოლოდ მაშინ რთავდნენ, როცა მეთვალყურეს ნასვრეტში უნდა შემოეხედა. იყო კიდევ ერთი ნათურა — ლურჯი, სასიგნალო, რომლითაც ზედამხედველი ადგომის, დაწოლის ან დასათვლელად დადგომის ბრძანებას იძლეოდა. ზედ ჭერქვეშ დაეტანებინათ ერთადერთი რკინის გისოსებიანი სარკმელი, საიდანაც ზოგჯერ შორეული, თავისუფალი ცხოვრების ანარქიკლივით შემოდის მზის შუქი. საბრალო ტყვეებს იგი აფორიაქებდა, ახსენებდა, რომ სადღაც არსებობს ვრცელი სამყარო, ცა, მზე, თავისუფლება. ამ შუქს ისინი ღვთის წყალობასავით შესცქეროდნენ.

დღის განაწესი, როგორც ყველა ციხეში, მოსაწყენი და ერთფეროვანი იყო. ვდგებოდით ოთხ საათზე, ვალაგებდით კამერას, ვრეცხავდით პარაშებს და სადილოდ შემოწმებას გავდიოდით. მერე ჩამოგვირიგებდნენ „საუზმეს“ — ორას-ორას გრამ მღვრიე-ყავისფერ კამაწყალს. თორმეტ საათზე სადილოდ გვეძლეოდა ნახევარი ლიტრი ცივი და მყრალი სალაფავი. საღამოს შვიდ საათზე გვასმევდნენ თითო ფინჯან ერზაც-ყავას. რაც იმ ციხეში ვიჯექი, აღნიშნული მენიუ ერთხელაც არ შეცვლილა.

ტყვეები დღე-ღამის ნებისმიერ დროს მიჰყავდათ დაკითხვაზე, საიდანაც

ისინი, როგორც წესი, დასაბიჩრებულნი ბრუნდებოდნენ. ზოგიერთები საკაც-ით მოჰქონდათ და ფიჩხის გუდურასავით აგდებდნენ კამერაში.

ვინ ვინდოდა, აქ რომ არ გენახა: პოლონელი, რუსი, უკრაინელი, ბელო-რუსი, უზბეკი, თათარი, იუგოსლაველი, ჩეხი, ფრანგი, დანიელი... ნამდვილი ინტერნაციონალი იყო. განმაცვიფრებელმა მეგობრობამ და ერთსულოვნებამ. პოლონელი დახმარების ხელს უწყვიდა სხეულ რუსს, ჩეხი თავზე ადგა დაკითხვაზე დასაბიჩრებულ გერმანელს და საკუთარი პერანგის ნახვევებით უხვევდა იარებს, საბჭოთა სამხედრო ტყვე გულახდილად ესაუბრებოდა გერმანელ ანტიფაშისტებს. ავადმყოფ იუგოსლაველს წყურვილი კლავდა და ყოველი ტყვე აძლევდა მას საკუთარი ულუფიდან ერთ კოვზ სალაფავს თუ კამაწყალს. ვისაც როგორ შეეძლო, ცდილობდა მეგობრობისთვის ტანჯვა შეემსუბუქებინა. მე არასოდეს დავივიწყებ ამ გათელილი, მაგრამ სულით უტეხი ადამიანების ამაღელვებელ მეგობრობასა და ურთიერთდახმარებას. მრავალენოვანი და ჰრელი კოლექტივი შედუღებებული იყო საერთო უბედურებით, საერთო შეხედულებებით, საერთო ბედით. ბევრს ნიშნავდა ისიც, რომ კამერაში არ გვერია კრიმინალური დამნაშავეები. რომლებიც ჩვეულებრივ ციხის ადმინისტრაციის ლაქიები ხდებოდნენ და პოლიტიკურ ტყვეებს პირდაპირ აწიოკებდნენ.

პირველი, ვინც გავიცანი, იყო მოხუცი, თეთრწვერა პოლონელი კაზიმირი. როცა მწოლიარეთ თავზე დავეცო, სწორედ მან წამაშველა ხელი და სთხოვა ამხანაგებს, შემჭიდროვებულიყვნენ და ჩემთვის ადგილი მოეცათ. როცა სიბნელეს თვალი ოდნავ შევაჩვიე, დავინახე გამხმარი, ყვითელი, გაწამებული სახეები. ერთი სიცხისაგან ბოდავდა და ადგილზე ვერ ისვენებდა, მეორე კბილების ღრჭიალით წყევლიდა პიტლერელებს, სხვები თავდავიწყებამდე იფხანდნენ სხეულს, დიზენტერიისაშეყრილნი კი პარაშებს არ შორდებოდნენ.

„ცოცხალი ძმათა სასაფლაო“, გავიფიქრე თავდაპირველად, და მაინც, მიუხედავად ამ საშინელებებისა, პატარა ბავშვივით გავიხარე. ბოლოს და ბოლოს ადამიანთა შორის აღმოვჩნდი, შემეძლო მათთან საუბარი, მათი ყურება. უპირველესად მთხოვეს მომეთხრო საკუთარ თავზე. მე ყველაფერი მოვყევი, დავმალე მხოლოდ მაღარო „გოგენცოლერნგრუბეში“ მუშაობა და იქიდან გაქცევა. ყველანი სუნთქვაშეკრულნი მისმენდნენ.

— მაშ, შენა ხარ ის ყმაწვილი, რომელსაც დახვრეტას უპირებდნენ? — აღელვებით მკითხა კაზიმირმა.

კამერაში ჩემზე ხმა დარბეულიყო, იგი უნდა დაეხვრიტათ, მაგრამ ცოცხალი დაიტოვეს, რადგან „მაგარი ვინმე“ აღმოჩნდა, რომელსაც ფრონტზე თუ მტრის ზურგში თავი უჩვეულო გმირობებით უსახელებიაო. ციხეებში საკუთარი „უმავთულო ტელეგრაფი“ ჰქონდათ. შესაძლოა, კრაკოვის ციხეში არსებობდა პოლიტიკურ ტყვეთა იატაკქვეშა ანტიფაშისტური ორგანიზაცია, იქნებ იგი არც არსებულა, მაგრამ როცა პოლიტიკურებს გაეგოთ, რა „ესკორტის“ თანხლებითაც მომიყვანეს, დაინტერესებულან ჩემით და, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, თვალყურს მადევნებდნენ თურმე. საქმე ის გახლავთ, რომ პოლიტიკური პატიმრები იყვნენ სხვადასხვა შენობათა დამლაგებლები, მუშაობდნენ სამრეცხაოში, სამზარეულოში, სამედიცინო პუნქტში, ჰკვიდნენ და რეცხავდნენ გამომძიებელთა კაბინეტებსა და ტრიბუნალის იატაკებს, არი-

გებდნენ საჭმელს. ამის წყალობით მათ ბევრი რამ იცოდნენ და უმნიშვნელოვანეს სიახლეებს მალულად აცნობდნენ ხოლმე კამერაში.

მე ყურადღებით შემმოსეს და ყოველნაირად მეხმარებოდნენ. კამერის მამასახლისი კაზიმირი ახერხებდა ჩემთვის ზედმეტი ულუფა სალაფავის და კამაწყლის შოვნას, თვითონვე მბანდა დაჩირქებულ, დასახელებულ თითებს და იარებიან ზურგს.

თხრობას რომ მოვრჩი, კაზიმირმა ღრმად ამოიოხრა და თანაბარი, მშვიდი ხმით თქვა:

— ასეთი ყოფილა, შვილო, შენი ბედი. ბედს ვერსად გაექცევი, განგების ნებას ვინ გადასულა?

„ო, არა, ძვირფასო კაზიმირ! — გავიფიქრე მე. — შენისთანებს ფეხს ვერ ავუწყობ. არც შემიძლია და არც მინდა ვიცოცხლო ამ ფორმულით — განგების ნებას ვინ გადასულაო!“

დაღამდა, კამერის სარკმლიდან მოჩანდა ბნელი ცის გისოსებიანი ნაფლეთი და რამდენიმე ლურჯ-თეთრად მოციმციმე ვარსკვლავი. მომენატრა თავისუფლება, მომეძალა მოგონებები ბედნიერ ბავშვობაზე. არც კი მჯეროდა, რომ ბავშვობა მქონდა, რომ არსებობდა ზღაპრებისა და თავგადასავლების ის ჯადოსნური სამყარო...

ექვსი წლისა ვხდებოდი. უკვე არ მახსოვს რატომ, მაგრამ ბებიასთან და ბაბუასთან ვცხოვრობდი. იდგა შემოდგომის ქუფრი დილა. სარკმლებს მიღმა ჯანდი ჩამოწოლილიყო, ოთახში კი სითბო და სიმყუდროვე სუფევდა. ბებია ღუმელთან ფუსფუსებდა. მე სასაუზმოდ ვემზადებოდი. მაგიდაზე იდო ბლინები, მოხარული ლორიანი კარტოფილი და არაყანი.

წინკარში მძიმე ნაბიჯები გაისმა, მერე კარი გაიღო და შემოვიდა ბაბუა-ჩემი, რომელსაც იღლიაში რომელიღაც დიდი ფრინველი ამოეჩარა. ბაბუამ ფრინველი უსიტყვოდ დასვა ძირს და ბებიას წელში ისე ამაყად გამართულმა შეხედა, თითქოს ფრთიანი კურდღელი მოეტანა. ბებია ამ დროს ღუმელში ნაკვერჩხალს აღვივებდა. გაოცებისგან იგი ადგილზე გაქვავდა მშვიდი, ქროლა თვალები აემღვრა.

— ეს რა მოგიტრევია? — ავისმომასწავებელი ხმით ჰკითხა მან.

— განა ვერ ხედავ? ყანჩა! — დაბნეულად გაიღიმა ბაბუამ.

— მერედა, რას უპირებ მაგას? საშობაოდ გასუქებას ხომ არა? — დაცინვით ჰკითხა ბებიამ.

— გასუქებას არა და, მოტეხილი ფრთის შეხორცებამდე მოვლას კი.

მერე ბაბუა მოჰყვა, რომ ყანჩა ტბის ნაპირზე ბუჩქნარში იპოვა. ფრინველი გაწუწული იყო და ეტყობოდა, ძალიან შიოდა. იგი ცალი ფეხით კოჭლობდა და მოტეხილ ფრთას მიწაზე მიითრევდა.

— შენ, ბერიკაცო, ბავშვივით იქცევი. რასაც სადმე წააწყდები, სულ სახლში მოათრევ. ეგერ ხალხი ბატებს ასუქებს. შენ კი ყანჩას ელოლიავე, — ჩაიბუზღუნა ბებიამ და გულმოსულად მიაფურთხა ფრინველს. ყანჩა განზე გახტა და პასუხად ნისკარტი ააწყაბუნა. ამასობაში მას მიეპარა ჩვენი უქნარა კატა პოტაპი, რომელიც ზამთრობით მთელი დღეები ღუმელს იყო მიფიცხებული, ზაფხულობით კი ქოხის ლაფაროში იძინებდა. იგი გაკვირვებული სუნავდა ყანჩას. ფრინველმა დაუფიქრებლად ჩასცხო მას თავისი გრძელი ნისკარტი. კატამ მწარედ დაიღნავლა და ღუმელისკენ გაიქცა. ყველას გაგვეცინა.

ასე დასახლდა ბაბუაჩემის სახლში ყანჩა. იგი ჩქარა შეგვეჩვია და თავსაც მშვენივრად გრძნობდა. ბებია მას რატომღაც ოვერკო შეარქვა და თუმცა ჩვეულებისამებრ ბუზღუნებდა, ფრინველს საჭმელს არ ავლებდა და თუ ბაბუა არ ხედავდა, ეფერებოდა კიდევც.

ოვერკო მეტად საზრიანი იყო. ბებიას იგი უნდობლობდა, უფრო სწორად, ამრეზით ეკიდებოდა, მე და ბაბუა კი ვუყვარდით. როცა მაგიდასთან დავჯდებოდით, ოვერკო ყოველთვის ჩვენს გვერდით იყო. იგი მოურიდებლად იყურებოდა ბაბუაჩემის თიხის ჯამში და თუ კერძი ცხელი არ იყო, თავისი გრძელი ნისკარტით საუკეთესო ნაჭერს ითრევდა. მე კმაყოფილი ვხარხარებდი, ბაბუას სახეზე ნათელი ღიმილი ეფინებოდა, ბებიასაც კი ელიძებოდა მალულად.

გავიდა ზამთარი, გაზაფხულიც, დადგა ზაფხული. ოვერკოს ფრთა კარგახნის შეხორცებული ჰქონდა. დაფრინავდა კიდევც, მაგრამ ჩვენს მიტოვებას არ აპირებდა. ყანჩა საქმიანად და ამაყად დააბიჯებდა ეზოში, ხანდისხან ბებიაჩემის ბიბილოვან მამალ სალივონსაც წაეკიდებოდა. მართალია, ჩხუბი ყოველთვის ოვერკოს გაქცევით მთავრდებოდა, მაგრამ როცა გასაქცევი არსად ჰქონდა, იგი გომურის სახურავზე აფრინდებოდა და იქიდან გაფხორილი დასცქეროდა თავის მტერს. განსაკუთრებით უყვარდა მდინარეზე ან ტბაზე ჩემთან ერთად სიარული. აი, სად იყო მისთვის ნამდვილი განცხრომა!

შეუმჩნევლად განვლო ზაფხულმაც, მოაწია შემოდგომამ. სამხრეთისკენ გაიჭიმა წეროთა გრძელი მწკრივები. მოიწყინა ჩვენმა ოვერკომ. იგი მალ-მალე აფრინდებოდა ხეცაში და ბაბუაჩემის ქონს თავს დასტრიალებდა. ნალვლიანად ეხმიანებოდა გადამფრენ მოძმეებს. ერთ დღეს იგი გაფრინდა და აღარ დაბრუნებულა. მე სინანულისგან ავტირდი. ბაბუამ ასე მანუგეშა:

— თავისუფლება ყველას უნდა. იგი უძვირფასესია ადამიანისთვისაც, მხეცისთვისაც, ფრინველისთვისაც.

დიახ, თავისუფლება უძვირფასესი განძია, რომელიც ადამიანს დაბადებისთანავე ეძლევა. მე ამაში საკუთარმა მწარე გამოცდილებამ დამარწმუნა. ნეტავი, ყანჩად ვიქცეოდე და მშობლიურ მხარეში გაფრენას შევძლებდე... ვოცნებობდი გესტაპოს ციხის კამერაში ბავშვობის მოგონებებს აყოლილი.

ტყვეები ხმადაბლა ლაპარაკობენ. ძლივს ისმის კაზიმირის დახშული ხმა. იგი რამდენიმე დღის წინ გამხდარა მამასახლისი. მანამდე კი მის ადგილზე ყოფილა პოლონელი კრიმინალური დამნაშავე იუზეკი. იგი თურმე აბუჩად იგდებდა ტყვეებს, განსაკუთრებით საბჭოთა ადამიანებს. ერთხელაც ყველას გასწყდომია მოთმინების ძაფი და იუზეკი ღამით მოუშთიათ. დილის აპელზე, წითელი არმიის კომისარ „ძია ვანიას“, როგორც მას კამერაში ეძახდნენ, ამხანაგებისთვის სიკვდილი რომ აეცილებინა, დანაშაული თავის თავზე აუღია. ერთი კომისარი ხომ ჩემს თვალწინ აწამეს. როცა მისი წამების ამბავი კამერაში მოვეყევი, ყველამ ერთხმად განაცხადა, ის კომისარი ჩვენი „ძია ვანია“ იყო. სამწუხაროდ, მე მაშინ არ დავინტერესებულვარ იმ მამაცი ადამიანის გვარით. აბა, რა ვიცოდი, რომ მოგონებების წერა მომიწევდა....

სამი დღის მერე მეჩვიდმეტე კამერიდან გამომიყვანეს და ისევ ერთკაციანში მიკრეს თავი.

დილით ერთი მათლაფა სალაფავი და ასანთის კოლოფის ოდენა პურის ნატები მომცეს. იგი ნახევრად ნახერხისა იყო, მაგრამ მაინც პური ერქვა. პურის მოცემა გზას ნიშნავდა. მართლაც, სულ მალე მოვიდნენ ჩემს წასაყვანად,

ბორკილები დამადეს და ციხის ეზოში გამიყვანეს. იქვე უკვე იდგა ოცდაათამდე ხელებშებორკილი ტყვე. დაიწყო ჩვეულებრივი პროცედურა — გადათვლა. სიათა შეჯერება და სატუსალო „ქონების“ — საცვლების, ზოლებიანი სტრესამოსისა და ჰოლცშუგების — შემოწმება. მერე საგულდაგულოდ გაგვიჩხრიკეს. ექვს-ექვსად დაგვაწყვეს. ბორკილების რგოლებში გრძელი ჰაჭვები გვაჭრეს და დახურულ მანქანაში შეგვლალეს. უკან, ძელსკამზე, ხუთი მუხტონის მართვა მოთავსდა. ბადრაგის უფროსი კაბინაში ჩაჯდა და მანქანა ციხის ალყაფიდან გავიდა.

ჩვენ შვებით ამოვისუნთქეთ, რადგან, როგორც იქნა, გავალწიეთ გესტაპოს ჯურღმულიდან, სადაც ადამიანთა სიცოცხლე უკვალოდ ქრებოდა. არავინ უწყობდა, რა მოგველოდა, მაგრამ აქ უკვე ახალი პრინციპი შედიოდა ძალაში: ჯანდაბამდის გვივლია, ოღონდ აქაურობას მოგვაშორონო!

გუნება ყველას ცოტათი გამოგვიკეთდა, თანაც ჩვენთან მყოფი ერთი ტყვე პოლონელი იფიცებოდა, დანამდვილებით ვიცი, რომ ტყვე გერმანელ ოფიცრებზე გასაცვლელად მიგყავართ, საერთაშორისო წითელმა ჯვარმა ეს დაჟინებით მოითხოვაო.





თარგმნა ნოზალი ბართაიამ

-
- პაწია ცირა დავტუქსე ჩემი,
მას ჩაეძინა
თვალცრემლიანს,
ოდნავ პირდიას...
ფრთხილად ლოყაზე მოვეუსვი ხელი.
-
- გვიან ღამით
გავადე კარი,
რალაც თეტრი
გაკრთა ენოში.
ძალდი თუ იყო?
-
- ხეთა შტოებში
ჩიტუნები
დაფრთხილობენ.
ვუმზერ,
ვისვენებ მათი ცქერით.
-
- ო, რა შორსა ხარ,
სამშობლოს ცაო,
ყველაზე მაღალ სახურავზე
ავედი მარტო
და ჩამოვედი დაღონებული.
-
- მახსოვს,
ჰყვებოდა მასწავლებელი,
ვით დაიღუპა
ვიღაცამ თავი...
თურმე ყოფილა საოცარი ნიჭის
პატრონი.
-
- აი, ამ სახლში,
ამ ფანჯრიდან,
მე და ჰიდუკო
ზაფხულის ღამით
ბაყაყების ვუსმენდით ყოყინს.
-
- თვალი დავხუჭე,
გავაბი სტვენა,
ძლივს გასაგონად.
თავი მივაღე ფანჯრის მინას,
გამიტყდა ძილი.
-
- დღეს ჩემმა შვილმა
ჩაისუნთქა
პირველად, ხარბად,

შემოდგომის დილის ჰაერი,
ცივი დილის.

როგორც ღვთიური გამოცხადება,
გამოჩნდნენ შორით
აკანის მთები,
მწვერვალზე
თოვლის განთიადით.

მორიგე მისე გამოაცხადა
სახელწოდება სადგურის სადღაც,
თითქოს მღეროდა...
არ შემიძლია დავიწყება
მისი თვალების.

ხუმრობით
ღედა შევისვი მხარზე,
მაგრამ იყო ისე მსუბუქი,
ცრემლმორეულმა
ძლივს გადავდგი სამი ნაბიჯი.

ღამეული მწუხარე ხმები
ეცემიან სიჩუმეში ძუნწად.
დავეხეტები ქუჩებში მარტო,
ერთიმეორის მიყოლებით
მათ ვკრეფდე თითქოს.

თამაშს შეჰყვა
გოგონა ჩემი,
შინ არ შემოდის.
ავიდე მისი ორთქლმავალი.
და აქეთ-იქით დავატარებ.

ნორჩი ბებების სურნელებამ
გააბრუა
ახალი ქუჩა,
არსაიდან ხმა.
გაზაფხულის სიწყნარეა ირგვლივ.



მზეა!
წვიმა კი შრილებს ისევ,
გადაეხლართა
ბაღში ერთმანეთს
აყვავებული ჰაგის ტოტები.

წლები მისდევენ წლებს,
და წლითი წლობით,
სადღაც, შორს შენგან,
უფრო და უფრო
სიყვარულის მეღება ცეცხლი.

ცარიელ სახლში
შევედი და
გავაბოლე.
მომინდა ერთხანს
მარტო ყოფნა.

თითქოს ოდესმე
ის აკვანში
მეხილოს
სიზმრად,
საყვარელია ის ჩემთვის ისე.

მაშინ მე
მშვიდად,
უსინდისოდ ვიტყუებოდი.

მაგონდება და
ოფლი მასხამს.

მამაკაცივით
მას ძლიერი
გააჩნდა სული.
სადაა ნეტა ახლა იგი,
ან რაზე ფიქრობს?

ბოლო სადგურზე ჩამოვედი,
თოვლი ანათებს არემარეს.
ბნელ ქალაქში
მივეყვები ქუჩას
ნელი ნაბიჯით.

უცნობი
მასწავლებელი ქალი
დამდგარა
ღია ფანჯარასთან,
იქ, ჩემ ძველ კლასში.

მე მივდიოდი მატარებლით,
უცებ
ვაგონის გამცილებელში
მეგობარი ვიცანი ჩემი,
მოწათეობის შორეულ წლების.

უვარგისი,
პოეტი მეოცნებე,
აი, რას ფიქრობს ჩემზე იგი.
სწორედ მისგან
ვისესხე ფული.

●
ახალი უცხოური წიგნი.
ო, რა ხარბად
ვსუნთქავდი სურნელს
მისი ფურცლების.
თუმცა გროშები მებადა მხოლოდ.

●
მხიარულობდა ღამით
ასაკუსას ბაღი,
ხალხს გავერიე,
დაღონებულმა
დავტოვე ხალხი.

●
ახალი წელი იწურებოდა,
ჩვენი ცხოვრება
კი მიდოდა
იმავ
მწუხარე გზით.

●
საწყალი მამა!
ვხედავ, გადადო გაზეთი განზე,
არ შეუძლია მეტი კითხვა,
ჭიანჭველებთან
ერთობა გარეთ.

●
მეგობარს
გული გადავუშალე,
მაგრამ მეჩვენა,
დავკარგე რაღაც,
და მეყსეულად მოვშორდი მას.

●
მე მყავდა ორი მეგობარი,
ორივე მგავდა საოცრად მე.
ერთი მოკვდა,

ხოლო მეორე
საპატიმროდან გამოვიდა მძიმე სნეული.

ო, გულო, ჩემო,
მზად ხარ ისევ
იტირო ჩუმად!
შემოგეფანტნენ მეგობრები,
ყველა თავისი გზით წავიდა.

მწყობრად მიდიან ჯარისკაცები,
შევყურებ დიდხანს,
საოცარია,
არც ერთს სახეზე არ ეტყობა
ნასახი დარდის.

რა გაიფიქრა ისეთი ნეტავ?
დაჰკარგა სათამაშოები
ჩემმა გოგონამ,
წყნარად
მომიჯდა გვერდით.

მატარებელში მე ვფიქრობდი
ჩემს მომავალზე.
მან გაიღვა თვალიწინ,
მწუხარებ
ღამით, ვაგონის ფანჯარაში.

უცებ მომიცვა მთებზე სევდამ,
მივედი მთასთან...
ის ქვა მანახა,
სადაც შარშან
ვიჯექი ამ დროს.

კარი შევალე,
გადავაბიჯე ზღურბლს და
გამოჩნდნენ პალატები
თითქოს დერეფანს
დასასრული აღარ ჰქონოდა.



ჰა, როგორც იქნა
შევიძინე ახალი წიგნი.
გათენებამდე
ვიკითხე იგი...
არ შეიძლება დავიწყება ამ
სიხარულის.

შემოდგომის ცა,
ცარიელი კიდი-კიდემდე...
ღრუბლის ნაფლეთიც არა ჩანს არსად.
ო, რა მარტო ხარ, ცაო,
უორანმა მაინც გადაგიფრინოს.

ქორთა სალათა
ხასხასებს სინზე.
გულამდე აღწევს
ძმრის მძაფრი სუნნი.
შებინდებაა.

უცებ შევწყვიტე
ჯღაბნა რაღაცის...
ხალხი მომინდა
და ქუჩაში
ხალხს გავერიე.

სადგურიდან
შინ მიმავალმა,

მდინარის პირას,
წაბლის ხის ქვეშ
ავიღე კენჭი.



შევყურებ ისევ
მშობლიურ მთებს,
ძალა არ მყოფნის,
სილამაზე
გადმოვცე მათი.



თითქოს და შევხვდი
დავიწყებულ
მეგობარს ჩემსას,
მესიამოვნა
წყლის შხუილის მოსმენა ისე.



მე მივდიოდი შორს, მატარებლით...
უცებ სადგურზე,
მშობლიური და საყვარელი
მეცა ზაფხულის
ბალახის სუნით!



თითქოს სადღაც
მოთქვამს მწარედ
ჭრიჭინობელი.
გულს მწუხარება
მომაწვა ისე.



სახტად დავრჩი
სარკის ფარდულთან...
აი, როგორი ვყოფილვარ მე!
ჩამოძენილი,
ფერმკრთალი.



შემოდგომის გზაჯვარედინზე:
ჩამოიქროლა
სამი მხრიდან ^{ეროვნული} გზის ^{მნიშვნელობა}
ქარმა და
უცებ გადაიკარგა.



როცა ვაგონის ფანჯარაში,
ჩრდილოეთის ცის დასალიერს,
მშობლიური
გამოჩნდნენ მთები,
კრძალვით საყულო გავისწორე.



გავცქერი ისევ
მშობლიურ მთებს,
ძალა არ მყოფნის
სილამაზე
გადმოვცე მათი.



დავხუჭავ თვალებს,
მაგრამ თვალწინ
არაფერი ჩანს.
სევდა შემიპყრობს,
გავახელ ისევ.



არ ვიცი რატომ,
ოცნებად მექცა
მემგზავრა სადმე მატარებლით.
აი, ჩამოვედი ვაგონიდან,
არ ვიცი ახლა სად წავიდე.



ო, როგორ მატყობს
მშობლიური ხმის გაგონება!
სადგურზე გავალ მხოლოდ იმიტომ,

ხალხში ჩავდგე და
ვისმინო იგი.

ქვიშის ბორცვზე
ვიწეჭი დიდხანს
პირქვე.

ვიგონებდი შორეულ ტკივილს
ჩემი პირველი სიყვარულისა.

თეთრმა ძაღლმა
გაირბინა
ჩვენი სახლის წინ.

ცოლს ვკითხე:
„ძაღლი ხომ არ გვეყიდა?“

უცებ, ძლიერად,
მთელი არსებით,

ვიგრძენ ზაფხული.
ვსუნთქავ ეზოში ნაწვიმარ ჰაერს,
მცემს სველი მიწის სუნია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გორაკის ძირას,
სად ჯეჯილი ხასხასებს მწვანედ,
ბილიკზე ვნახე
სავარცხელი
წითელი ფერის.

ღამით ოთახიდან გამოვედი,
აივნის დაჭირბლულ
მოაჯირზე
თითის წვერები
გავიგრილე.

□



ფრანგულიდან

თარგმნა ნუნუ ქაღივილიძე

მაპატიეთ, ბატონო, ეს მატარებელი ხომ მილასში მიდის? მესამე კლასის ვაგონში მოკალათებულ მსუქან მამაკაცს შორიდანვე შეემჩნია ეს გამხდარი, მომცრო ტანის ქალი, რომელიც ექსპრესიდან ჩამოსულიყო და ორ ჩემოდანს ძლივს მიათრევდა.

— რა თქმა უნდა! რაკი მე აქ ვზივარ, მაშასადამე, მილასში მიდის! მე ხომ მილასელი გახლავართ! ასე რომ, არ შემცდარხართ. ოჰო, რა მძიმე ყოფილა თქვენი ჩემოდნები! ბადეში არ ჩაეტევა. თუმცა იმდენი თავისუფალი ადგილია, მერხზე დავაწყობთ.

მსუქანმა კაცმა ქალის ბარგი დააღაგა, დაჯდა, სახეაჭარხლებულმა ოფლი მოიწმინდა შუბლიდან და თან უცნობი დაკვირვებით შეათვალიერა. ქალს რიგიანი, ოღონდ უკვე გაცრეცილა ინგლისური კოსტიუმი ეცვა. მისი ტყავის ხელთათმანები, ეტყობოდა, მრავალგზის გაეწმინდათ. ქუდი ისე გახუნებული არ იყო, როგორც კოსტიუმი, ალბათ, “ნუველ გელერი“-ში თუ იყიდა იაფად. სამაგიეროდ ახალთახალი ფეხსაცმელები ეცვა.

მიუხედავად ამისა, მსუქანი კაცი სწორედ ასეთი გარეგნობის ქალებს მიაკუთვნებდა კეთილშობილთა ჯგუფს. „ნეტა მილასში რა უნდა?“ — გაიფიქრა მან, ცნობისმოყვარეობის დამალვას არც ცდილა და, მკერდგაჯგიმული, მოურჩიდეზღად დააკვირდა უცნობი ქალის გაცრეცილ სახეს.

— მაშ, თქვენც მილასში მიბრძანდებით?

— დიახ, ბატონო.

— ალბათ, იქ ოჯახი გაქვთ!

— არა, ბატონო!

— ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, დროის გასატარებლად არ წამოხვიდოდით! ვერაფერი თავშესაქცევი ადგილია... მხოლოდ იქაურებს მოგვწონს იგი... ალბათ რაიმე საქმე გექნებათ, ხომ ასეა?

— სულ მთლად ასე არაა!

— შემთხვევით, მერის ახალი მოადგილე ხომ არ ბრძანდებით?

¹ დიდი მაღაზიაა პარიზში.

— არა, ბატონო.

— საქმე ისაა, რომ მაშინვე იგრობობს კაცი, განათლებული ქალი რომ ბრძანდებით!

ქალმა თავი გადააქნია და რაკი მატარებელი დაიძრა, ფანჯარაში გადაიხედა. გაიფიქრა, ამ დაკითხვებს როგორმე უნდა მოკულო ბოტანიკურმა იგი ლუკროკს არ იცნობდა!

— იმდენი ბარგი მოგაქვთ, ნუთუ დიდი ხნით აპირებთ ჩვენთან დარჩენას?

უცნობმა ქალმა თავი ისე დაუქნია თანხმობის ნიშნად, მისკენ არც მოუხედავს.

სექტემბრის კაშკაშა დღე იწურებოდა, რთველი გაჩაღებულიყო. გლეხები წელში იმართებოდნენ და ვენახის გასწვრივ მიმავალ მატარებელს თვალს აყოლებდნენ, ბავშვები ცხვირსახოცებს იქნევდნენ, რკინიგზის გადასასვლელთან შავი ყურძნით სავსე გოდრებით დატვირთული ურიკა იცდიდა. ციკაბო კალთებზე ნაძვის ხეები ზვარს შერეოდა.

— რომელიმე ფირომის საქონლის ნიბუშები, ხომ არ მოგაქვთ? — იკითხა მსუქანმა კაცმა და სახეზე ისეთი გამოძეტყველება აღბეჭდოდა, თითქოს ქალის დუმილი თანხმობად ჩაეთვალოს.

— ბანკეისთან თუ გაჩერდებით, მოსვენების იმედი არ გქონდეთ. თუმცა ამბობენ, ნომრებში სისუფთავეაო პირადად მე, რა თქმა უნდა, შეძთხვევა არ მქონია შემემოწმებინა. როგორც გითხარით, წარმოშობით მილანელი ვარ. საცოდავი მამაჩემივით მეც ყასაბი გახლავართ. მოედანზე მაშინვე შეამჩნევთ ჩვენს საყასბოს. ამბობენ, ბანკეის სასტუმროში კვებას არა უშავსო. ცუდს ვერაფერს იტყვის კაცი, მათი მუჟუჟი დიდებულია! ხოლო დეიდა ბანკეის რაგუ მთელ მხარეშია ცნობილი. თლონდ ფრთხილად იყავით, არ გაგაბრიყვონ და სამარკო ღვინო არ შემოგაჩეჩონ. მათი ღვინო იგივე იაფფასიანი სასმელია, რითაც ყველა მავანს უმასპინძლებიან სადილად. მართლა, ბანკეის სასტუმრო მოედანზე არაა, მისი პოვნა არც ისეთი ადვილია, მით უმეტეს, ამ კუნაპეტ ლამეში, მე მიგაცილებთ.

— გმადლობთ, ბატონო, სასტუმროში ჩამოხდომას არ ვაპირებ. თანაც, სადგურზე დამხვდებიან...

ახალგაზრდა ქალმა ხელჩანთა გახსნა და გაზეთი ამოიღო. თუ ეგონა, ამით ლუკროკისგან თავს დაიხსნიდა, მალე დარწმუნდა, რომ შეცდა.

— გამოდის, რომელიღაც ჩვენებურთან აპირებთ გაჩერებას! ახალ მღვდელთან ხომ არ მიდიხართ? ამბობენ, და ჰყავსო... ჰა? გამოვიცანი? მღვდელთან ჩამოხვედით, ხომ?

ქალს მობეზრდა ამდენი ლაყბობა და გადაწყვიტა ერთი სიტყვით დაეშოშმინებია მისი მწვალებელი:

— ბატონ რომაზილის სტუმარი ვარ.

— ეზებ რომაზილის?

— დიახ, მასწავლებელი გახლავართ.

ქალმა ხელახლა დაავლო ხელი გაზეთს, მაგრამ ლუკროკის გაოცებულმა სახემ დააინტერესა. ყასაბმა უზარმაზარი ხელები ბარძაყზე შემოირტყა და წამოიძახა:

— ესეც შენ! მასწავლებლო? საცოდავი! მაშ, ერნესტის მორჯულება გიკისრიათ, ჰა? ოი, საბრალოვ!

ახალგაზრდა ქალს უკვე აღარ უნდოდა საუბრის შეწყვეტა.

— რატომ ვარ საცოდავი? აკი დამარწმუნეს, ძალიან კეთილი ხალხიაო... ამას გარდა, პირობებიც მეტად ხელსაყრელია ჩემთვის. ენაზე იკბინა, ეს რაღაზედ წამომცდაო.

— რომაზილები მართლაც კეთილი ხალხია, მე ვერ მასწავლით, რას წარმოადგენს მათი ოჯახი! დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ, ჩვენს მამებსა და პაპებსაც კი ჰქონდათ ნაცნობობა... ეზებ რომაზილის ცხონებულ მამასა და მე ერთად მოგვიხდა წილისყრა სამხედრო გაწვევის დროს. იგი შარშან გარდაიცვალა, სწორედ უქმე დღეს ჩაექცა სისხლი. ასე რომ... მამამისისა არ იყოს, არც ეზები გახლავთ ყოყონა კაცი: არასოდეს არ გაგაწბილებს და სიამოვნებით დაგილევს ერთ ჭიქა ღვინოს... რაც შეეხება კვებას... მათთან თუ იცხოვრებთ, სულ მალე ქონსაც მოიკიდებთ... არ გეწყინოთ და ოდნავი შესუქება არ გავნებთ. თუმცა იმათთან დიდხანს არ დარჩებით... აუ, საცოდავო!

— კი მაგრამ, რატომ გგონიათ, რომ არ დავრჩები?

მატარებელი პატარა სადგურზე შეჩერდა. მგზავრები არ ამოსულან. სადგურის მოხელემ ქათმების გაღია და ცარიელი კასრი გადმოიღო სატვირთო ვაგონიდან.

— რატომ არ დარჩებით? განა იმ დამთხვეულის ამბავი არ უთქვამთ?

— ვინაა დამთხვეული?

— ვინ და თქვენი აღსაზრდელი, ერნესტი.

— გამაფრთხილეს, ჭირვეული ბავშვიაო...

ლუკროკმა ჩაიხითხითა:

— ჭირვეულიო? დიახ, დიახ, ოღონდ თავისებურად ოფოფიანი გახლავთ! ერთი ეს მითხარით, ქალბატონო... თუმცა არ ვიცი, გათხოვილი ბრძანდებით თუ გაუთხოვარი? — დიდი ამბით იყითხა ერთბაშად.

ქალმა ოდნავ აიჩეჩა მხრები და მკვახედ მიუგო, გაუთხოვარი ვარო.

— კეთილი და პატიოსანი! ჰოდა, იმას მოგახსენებდით, მადმუაზელ... სამი წლის განმავლობაში, იცით, რამდენი აღმზრდელი გამოიცვალეს? ჩვიდმეტი! არც მეტი, არც ნაკლები! ბოლო მასწავლებელი ჩამოსვლის მეორე დღესვე გაიშრა. წარმოგიდგენიათ?

— ბავშვების მორჯულება კარგად მეხერხება. ეს ხომ ჩემი ხელობაა!

— თქვენი აზრით, ერნესტ რომაზილის მორჯულება შესაძლებელია? ოი, საცოდავი! ყური მიგდეთ... უკან დასაბრუნებელი ბილეთი არ აგიღიათ? რა თქმა უნდა, არა! აფსუს, ჩვენ რომ ბორდოს სადგურზე გაგვეცნო ერთმანეთი, აუცილებლად გირჩევდით, უკან დასაბრუნებელი ბილეთი იყიდეთ-მეთქი. იცით, რა უნდა ქნათ? ვაგონიდან არ ჩამოხვიდეთ. ეს მატარებელი საღამოს ცხრა საათზე გადის მილასიდან, თორმეტი საათისთვის უკვე ბორდოში იქნებით. მეთვრამეტე მასწავლებელი მატარებლიდანაც არ ჩამოვა... აი, ეს იქნება სეირი!

მსუქან კაცს ხარხარი აუტყდა და ხელებს ბარძაყზე იტყაპუნებდა. მასწავლებელმა მკვახედ მიუგო, ასე ადვილად ვერ დამაშინებთო, მაგრამ ისეთი შეკითხვა დაუსვა, აშკარა გახდა, გული საგულეს აღარ ჰქონდა.

— ყველა აბეზარა ერთმანეთსა ჰგავს. თქვენი ერნესტი რითი განსხვავდება სხვებისგან?

— რითი განსხვავდებაო? დიახაც, რომ განსხვავდება!.. რაც მართალია მართალია, შეიძლება ითქვას, მას ბადალი არ ჰყავს. რაც უნდა გიახლოვდეს მასზე, მთლიან წარმოდგენას მაინც ვერ მიიღებთ! იმ ურიცხვ ამბებიდან, რასაც მასზე ჰყვებიან, ალბათ მეოთხედის მოყოლასაც ვერ მოვასწრებ, მივლასაც სადგურამდე. წარმოიდგინეთ ონავარი ბიჭი. აკვნიდანვე ვერცხვად იქცევა, ვერ უბედავდნენ უარის თქმას. ყოველგვარ უგუნურ, თვით სახიფათო საქციელს აპატიებდნენ, ყოველგვარ ეინს უსიტყვოდ უსრულებდნენ. ერთხელ, მაგალითად, სალორის სახურავზე მოისურვა სადილობა. ჰოდა, მთელი ზაფხული სალორის თავზე მიირთმევდა წვნიანს.. .ორი კვირის წინ ჩვენთან სახალხო სერიანობა მოაწყვეს... ერნესტი მთელი დღე არ ჩამოსულა კარუსელის ხის რაშიდან, შებინდებისას, როცა შინ წასვლის დრო დადგა, დაიჩემა, გინდა თუ არა, რაში შინ გამატანეთ. რასაკვირველია, კარუსელის პატრონი აყვირდა, მაგრამ ჩვენმა ყაჩაღმა ისეთი ღრიალი მორთო, საცეკვაო მუსიკის ხმა დაფარა. გოყვარდეთ, ყვირილი ებერხება! ჰოდა, მამამისი იძულებული გახდა, ხუთასი ფრანკი ჩაეთვალა კარუსელის პატრონისათვის; ხის ცხენი მოხსნეს და ბიჭის ოთახში შეიტანეს. ცხენი ახლაც იქ უნდა იყოს, რადგან მამამისმა ერთი თვით იქირავა ვადა რომ გავა, ალბათ პატრონს დაუბრუნებენ... თუკი, რა თქმა უნდა, ერნესტის ნება იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში მამამისმა ისევ უნდა ჩამოყატოს ფულები...

— კი მაგრამ, მამა რაღამ გააგოია?

— საქმე ისაა, რომ ცოლი მშობიარობას გადაჰყვა, როცა ერნესტი ამქვეყნად ჩნდებოდა. მამასა და დიდედს (ჰო, მართლა, ორიოდ სიტყვა ქალბატონ გარუსტზეც უნდა მოგახსენოთ) სულს ერჩივნათ პატარა და კერპადაც გაიხადეს. ძნელია აღამიანმა წარმოიდგინოს, როგორ ანებივრებდნენ... შერწმუნეთ, მადმუაზელ, ჰკუაზე აღარ არიან... აი მაგალითად, გასულ თვეში (სწორედ ნადირობის სეზონის გახსნის წინ) ერნესტის გადია სეგონდი შემოვიდა ჩემს საყასბოში (ოო, რომ იცოდეთ, რამდენი სიმწარე უნახავს იმ საცოდავ ქალს!) და გამომიცხადა, სადაც გინდათ კაკაბი უნდა მიშოვნოთ. ვეუბნები, შე ბედშავო, არ იცი განა, რომ ფრინველებზე ნადირობა ჯერ კიდევ აკრძალულია-მეთქი. ვიცი, ვიციო — თავისას არ იშლიდა, მაგრამ ერნესტმა გვიბრძანა, ხვალ საუზმეზე კაკაბი შემიწვითო. ქალბატონმა გარუსტმა შემოგითვალათ, ოღონდ მიშოვნეთ და რამდენსაც მოგვთხოვთ, გადავიხდით. უნდა მოგახსენოთ, მადმუაზელ, მე თვითონა ვარ მონადირე და ჩემი მზრივ ბრაკონიერების შეგულიანება ვერაფერი საკადრისია, მაგრამ რომაზილები დიდი ხანია ჩემი მუშტრები არიან და ჩემი მხარდაჭერის იმედი მუდამ აქვთ. ამას გარდა, რაც არ უნდა იყოს, კაკაბში ხუთ ფრანკს მაინც მომცემდნენ... ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მოვაჯექი ჩალა ცხენს და ქალაქგარეთ გავაქენე, მთელი უბედურება ისაა, ნადირი სულ გაწყდა ჩვენში, მხოლოდ ყვავს, კაჭკაჭს, ჩხიკვსა და ციყვს თუ შეხვდებით აქა-იქ. მიუხედავად ამისა, სალამოს პირას ერთი კაცი შემომხვდა; მას ბატონი ბიურთისგან იჯარით აქვს აღებული მიწა. მითხრა, ჩემს მინდორში გარეული იხვების ბუდობა მეგულემა, თუ მოვახერხებ და ხვალ ალიონზე ერთი კაკაბი მაინც მოვკალი, ველოსიპედს მოვაჯდები და ამოგიტანო. ქალაქში რომ დავბრუნდი და საყასბოში შევედი, ბატონი რომაზილი და დიდედა გარუსტი უკვე მელოდებოდნენ.

— როგორ, ლუკროკ! კაკაბი ვერ იშოვეთ? — შემომყვირეს. და როცა

ვუთხარი, იქნებ ხვალ დილით მომიტანონ. თუმცა დაბეჯითებით არ დამპირებიათ-მეთქი, ვერ წარმოიდგენთ, როგორ შეიცხადეს!

— ვაიმე, რას იტყვის ჩვენი ბიჭი!... ისედაც მთელი დღე ბუზღუნებს... ხელმოცარულები რომ დავბრუნდეთ ამ საღამოს, შავ დღეს დაგვადგურის!

— ეტყვი, ვითომ საყასბოს საყინულეში შეინახეთ ~~საყინულეში~~ მეორე დილით, ათ საათზე კაკაბი ჯერ კიდევ არ მოეტანათ. დიდდა გარუსტი და სეგონდი დახლის უკანა ოთახში იცდიდნენ და წუწუნებდნენ:

— დავპირდით, კაკაბს შეგიწვავთო... გამოდის მოვატყუეთ...

— ეჰ, ბატონო რომაზილ, — ვეუბნები მამამისს, — ნუთუ ერთხელ მაინც არ შეგიძლიათ გართვით თქვენი შვილი-მეთქი!

სწორედ ამ დროს მოიჯარადეც მოდის და კაკაბი მოაქვს. თურმე ნადირობას ადვილად როდი ჩაუვლია: გვიამბო, ჟანდარმები გამომეკიდნენ და ძლივს დავუსხლტი ხელიდანო. ბოლოს ერთ ცალ კაკაბში რვა ფრანკი ააფცქენა. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა.. მაგრამ ასე კი იყო... სხვათა შორის, იმ თანხიდან ოთხი ფრანკი მე მერგო. და აი, ყველანი ერთად ონავრისაკენ გავეშურეთ, რომ კაკაბი მიგვერთმია. იგი ბაღში დაგვხვდა, გალანტერიით მოვაჭრის, გოდრანის შვილს ზურგზე მოჯდომოდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ფერდებში ურტყამდა ფეხებს. ქალბატონმა გარუსტმა შორიდან დაუძახა: „ნახე, ჩემო ოქრო, ნახე! კაკაბი მოგიტანეთ“. ის კი კაკაბს ზედაც არ უყურებს, თავისას არ იშლის, პატარა გოდრანს დეზებს ურტყამს ფერდებში და უყვირის: „აცე, ჯაგლაგო!“

— შეხედე, საყვარელო, რა მშვენიერი კაკაბია, რა ლამაზი ბუმ... ბუმბული აქვს... როგორ მოგიმზადოთ, საყვარელო? რაგუ ხომ არ გაგიკეთოთ? ან იქნებ ქონით დავტენოთ და შამფურზე შეგიბრაწოთ?!

არ დამიჯერებთ, მადმუაზელ, მაგრამ ონავარმა, როგორც იქნა იკადრა და შემოგვხედა. სიბრაზისგან აჭარხლებულმა ესლა გვიღრიალა:

— კაკაბი რა ჯანდაბად მინდა, მე კუპატი მინდოდა!

ლუკროკს კვლავ აუტყდა ხარხარი, კვლავ იტყაპუნებდა ხელს ბარდაყზე, სიცილისგან მსხვილი ცრემლები დაპალუპით ცვიოდა გაბერილ ლოყებზე და განუწყვეტლივ იმეორებდა:

— კუპატიო! გესმით, კუპატიო! კუპატი მოუნდა! ჰოდა, თვითონვე მიხვდებით, მადმუაზელ, რომ ასეთი ოინები (მის ოინებს კი ხვალამდე ვერ მოვამთავრებ!) ნათესავეებს უკვე მობეზრდათ.

— ნუთუ პანსიონში მიბარება ვერ მოიფიქრეს?

— როგორ არა! ყოველ წელს აპირებენ. სწავლის დაწყების წინ, რომელიმე კოლეჯში მუდამაა ადგილი შემონახული მისთვის, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, როგორც კი გამგზავრების დრო დადგება, ონავარი ავად ხდება. სხვათა შორის, ნამდვილად ავადმყოფი ბიჭია, თუმცა ისეა გატიკნული, კანში ვერ ეტევა. იქნებ სწორედ ამიტომაც ავადმყოფობს: ძალიან ბევრს ჭამს, მთელი დღე ილუკმება: ჰოდა, კუჭი, ღვიძლი, თირკმლები არაფრად უვარგა. თავი რომ წამოსტკივდება, ნათესავეები ერთ ვიშ-ვიშს ასტეხენ და ბოლოს, ბიჭსაც სახლში ტოვებენ. მამამისი სწორად ამბობს, არსად არ გააჩერებენო. ჯერ თორმეტი წლისაც არაა და წარმოგიდგენიათ, მერე რა იქნება? მისი მოვლის თავი აღარავის აღარ აქვს უკვე!...

ლუკროკი განაგრძობდა ლაპარაკს, მაგრამ მასწავლებელი ყურს არ უვ-
დებდა. „ცხადია, მახე დამიგეს, მერედა, მაღალი ხელფასით მორჩილულმა,
რამდენი შემთხვევა გავუშვი ხელიდან! — ფიქრობდა ქალი, — ახლა სადღა
ვიშოვი სამუშაოს? იქნებ ამ ყასაბს ჩემი დაშინება უნდა? იქნებ ვინაა აქარ-
ბებს? ყოველ შემთხვევაში, საინტერესო იქნებოდა ამ მასწავლებლის
მეჩვენებია, როგორ უნდა ჭირვეული ბიჭის მოთვინიერება?!“

— ერთი სიტყვით, თქვენი ერნესტი მხოლოდ თერთმეტი წლისაა, —
თქვა ქალმა, — ჯერ პატარა ბიჭია...

— პატარააო? — შეაწყვეტინა ლუკროკმა, — რა თქმა უნდა, ოღონდ
თქვენზე მაღალია. მართლაც რომ ფენომენია! როგორც ფიზიკურად, ისე სუ-
ლიერად... გინდათ იცოდეთ, რატომ გაიქცა ის ბოლო მასწავლებელი? ქალი
მხოლოდ ოცდაოთხი საათის ჩამოსული იყო. თურმე ბიჭი ჩუმად მიპარვია და
ისე ამოუკრავს წიხლი, კინალამ წვივის ძვალი ჩაუმტვრევია. დიახ. ძალიან
უხეში ბიჭია! თანაც მკლავებში მოხვერის ღონე აქვს. ხოლო თუ გაბრაზდა,
ვარ თქვენს მტერს, გონება უბნელდება... ერთ-ერთი აღმზრდელი იცით რა-
ტომ წავიდა? ერნესტი გასაღებზე ჩაუკეტია ოთახში, ჰოდა, შენ ხარ ჩემი პა-
ტონი, ბიჭი მეორე სართულის ფანჯრიდან გადამხტარა. წარმოგიდგენიათ? სა-
ბედნიეროდ, ყვავილნარზე დავარდნილა, სადაც მიწა მუდამ რბილია. მასწავ-
ლებელი იმავე ღამეს ჩამჯდარა ვაგონში და ჰაიდა!..

— შეც ასევე მოვიქცევი...

ეტყობა, ამჯერად მადმუაზელ ტიბომ დაუჯერა თანამგზავრს.

— თქვენ იქნებით პირველი მასწავლებელი, ისე რომ გაბრუნდება უკან,
ონავრის ნახვასაც არ მოისურვებს! ამის შემდეგ, რომაზილებმა იქნებ იფიქრონ,
დროა გადამწყვეტ ზომებს მივმართოთ, ოღონდ, ძალიან გთხოვთ, არ უთ-
ხრათ, რომ ერნესტის ამბები მე გაამბეთ, უთხარით, ვითომ ვილაც უცნობების
საუბარს მოჰკარით ყური ვაგონში... თვითონაც კარგად იციან, რომ ერნესტის
თავგადასავალი ყველას პირზე აკერია ჩვენში. მე სამსახური გაგიწიეთ და არ
იქნება ლამაზი, ეს ჩემი ამბავი ბოროტად გამოიყენოთ. ესლა მაკლია, მუშტ-
რები დავკარგო! გესმით? იცოდეთ, ასეთი სისულელე არ ჩაიდინოთ!

მადმუაზელ ტიბოს ხმა არ ამოუღია, ფიქრებში წასულიყო. შემოდგომა
ძალაში შედიოდა. ხელსაყრელ ადგილს ველარსად იშოვის. ყველა ადგილი
დაკავებული იქნება, მცირეოდენი დანაზოგის ხარჯვასაც უკვე მიჰყო ხელი.
მართლაცდა, ცუდი ოინი უყვეს ამ რომაზილებმა! მაგრამ თვითონაცაა დამ-
ნაშავე. წინასწარ უნდა მიეკითხ-მოეკითხა, გაეგო რა ხალხი იყო, ცნობები
შეეკრიბა...

— იცით რა? — თქვა ერთბაშად ლუკროკმა, — ჩემი აზრით, სჯობს ცო-
ტა ხანს მაინც დარჩეთ მათთან და ხელფასის ანგარიშში წინასწარ გამოართვათ
მთელი თვის ფული... ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შეგჭამთ ის ონავარი?!

მასწავლებელმა უპასუხა, ასეთი რამ არ მჩვევია, თუკი რომაზილებიდან
წასვლას გადავწყვეტ, მათი მოტყუება რა საკადრისიაო.

— კი მაგრამ, თუკი თვითონ მოგატყუებს?!.. აგერ კიდევ ჩავედით მილას-
ში. ოჰო, რომაზილების მანქანის ფარებს ვამჩნევ... აბა, რას იტყვით გავი-
ტანო თქვენი ბარგი თუ არ გავიტანო?

საბოლოო გადაწყვეტილება შიმშილმა მიაღებინა მადმუაზელ ტიბოს, რო-
მაზილებმა ალბათ სადილი მოუმზადეს. მატარებლით უკან გაბრუნებას ყოველ-

თვის მოახწრებდა, თანაც „ონავრის“ ნახვაც აინტერესებდა. რას აგებს? იქნებ არც ისეთი საშიში ბიჭია, როგორც ამ ყასაბმა დაუხასიათა!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანქანამ ჩაძინებული ქალაქი გადასერა, უკანასკნელ სახლს ჩაუარა და რიკულიან ჭიშკართან გაჩერდა. ფარის შუქზე მადმუაზელ ტიბომ გრძელი ორსართულიანი სახლი შეამჩნია, ორივე მხარეს დაბალი ფლიგელები რომ ერთ-ერთად...

გულადგვრებულმა ქალმა კართანის კიბე აიარა და ფილებით მოფენილ ნესტიან ვესტიბიულში შევიდა, სადაც ხრაკის სუნი დაბუდებულიყო. შავ თავსაფრიანმა მოახლემ ჩემოდნები ჩამოართვა მძლოლს და მასწავლებელს მიესალმა.

— ალბათ მოგშივდებოდათ, მადმუაზელ, ვახშამი უკვე სუფრაზეა. ხელს ხომ არ დაიბანდით?..

მადმუაზელ ტიბომ მადიანად მიირთვა წვნიანი და ტოლმა: შიმშილი დაუცხრა და როცა შემწვარი იხვი შემოუტანეს მწვანე მუხუდოს გარნირით, უარი თქვა. მეტს ველარაფერს შეეჭამო, მაგრამ შეეთავსაფრიანმა მოახლემ უსიტყვოდ გადაულო თეფშზე. ეს დედაკაცი არც ისეთი ხნიერი იყო, როგორც პირველად მოეჩვენა, ოღონდ უკბილო პირი და ჩავარდნილი ტუჩები აბერებდა.

— გმადლობთ, ქალბატონო... ნუ წუხდებით... თქვენი სახელი, ქალბატონო?

— სეგონდი მქვია, ოღონდ ყოველგვარი ქალბატონისა და მადმუაზელის გარეშე... უბრალოდ, სეგონდი დამიძახეთ.

— აა... ერნესტის გადია ბრძანდებით, ხომ?

სეგონდს გაუკვირდა და იტყვნულად ჰკითხა:

— ოჰო, საიდან იცით?

მადმუაზელ ტიბომ სამი პატარა ჭიქა გამოცალა, რომელსაც გადია მშვენიერი სოტერანული ღვინით უვსებდა, სიმხნევე იგრძნო და ბრძოლის გუნებაზე დადგა.

— ბატონ რომაზილსა და ქალბატონ გარუსტს მინდა მოველაპარაკო.

— ამ საღამოს ალბათ ვერ მოვახერხებთ.

— განა უკვე დაწვნენ?

სეგონდი ერთხანს შეყოყმანდა, უხერხულად იშმუშნებოდა.

— ბატონი რომაზილის ნახვა იქნებ მოახერხოთ... ისიც, თუკი ონავარს ადრე ჩაეძინება...

— ვინ ონავარს? ერნესტს?

— დიახ, საქმე ისაა, რომ საცოდავი ბიჭუნა ავადაა: მუცელი სტკივა... ამ დილით უზომოდ მოუვიდა ბატონის შიგნეულის ჭამა. სანამ არ ჩაეძინება, რა თქმა უნდა, მამა ვერ მიატოვებს. ბატონი ერნესტი ამის ჩებას არ მისცემს.

— ქალბატონი გარუსტი სადღაა?

— ოჰ, მას ზვალამდე ნამდვილად ვერ ნახავთ.

— რატომ? უკვე სძინავს?

— რა... რაკი ბატონი ერნესტი წევს, ისიც უნდა იწვეს... ჩვენსა ასეთ მიღებული: როცა ერნესტი ავადაა, ან დიდდამ ან მე თავი უნდა მოვიავად-

მყოფოთ... ჩვენ ხომ განსაკუთრებული ბავშვი გვყავს?! აი, ვთქვათ, თუ ხვალ დილითაც უქეიფოდ იქნება, ქალბატონი გარუსტის მაგივრად მე ჩაწვები ლოგინში... როცა სასაქმებელს აძლევენ, ნახევარი მე უნდა დავლიო... იქნებ ვცდები, ამას რომ გიყვებით... მაგრამ სჯობს წინასწარ გაგაფრთხილოთ, ჩვენი ბიჭუნა ცუდი როდია, ოღონდ ოდნავ განებივრებულია...

— ჰო, მართლაც ოდნავ ყოფილა განებივრებული! — ირონიული დიმილით დაუკრა კვერი მადმუაზელ ტიბომ.

სეგონდი ქილიკს ვერ მიუხვდა.

— ერთი სიტყვით, როგორც გითხარით, ბატონ რომაზილს მოახსენეთ, რომ ამ საღამოსვე უნდა მოველაპარაკო...

— ვეცდები... მაგრამ, თუ ბატონ ერნესტს არ სძინავს, მაშინ...

მადმუაზელ ტიბოს დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირვებია. მოახლე მაშინვე დაბრუნდა და მოახსენა: ბატონი რომაზილი შაშს ეთამაშება ერნესტს, რომელიც ჯერ არ აპირებს დაძინებასო. ბატონმა რომაზილმა ძილი ნებისა უსურვა მადმუაზელს და პპირდება, ხვალ დილით ვინახულებო.

— ან დღეს, ან არასოდეს! — მკვახედ მიახალა მადმუაზელმა. — დაუყოვნებლივ თუ არ მოველაპარაკები თქვენს უფროსებს, იცოდეთ, პირველივე მატარებლით გავბრუნდები უკან.

— ერთი ამას დამიხედეთ! — აღშფოთდა სეგონდი, — თუ შეიძლება, სხვის სახლში ნუ მბრძანებლობთ!

მადმუაზელმა მიუგო, მე არც ვმბრძანებლობ და არც სხვის ბრძანებებს ვემორჩილები. მე მხოლოდ წასვლას ვაპირებო.

სეგონდმა ხელები გაასავსავა:

— ჯერ არ მოსულხართ და უკვე წასვლაზე ლაპარაკობთ! ნეტა რა მოსდით ამ მასწავლებლებს? თქვენ ჯერ მოწაფეც არ გინახავთ! იქნებ გგონიათ რაღაც ურჩხული იყოს?! ეტყობა, იმდენი გელაპარაკეს, თავი გაგისივეს... ხალხი ხომ ბოროტია!

მასწავლებელი გამოუტყდა, ვაგონში მართლაც მოვკარი ყური ერნესტ რომაზილის ამბებს, რამაც მისი გაცნობის ხალისი დამიკარგაო. სეგონდი გაკაპანდა:

— სწორედ ის ხალხი აძაგებს ჩვენს ყაჩაღს, საკუთარი შვილები რომ ვერ გაუზრდიათ. აი თუნდაც პარანსისტების ოჯახი... ყველა-ყველა, მაგრამ ამათ მაინც დაიმოკლონ ენა! იცით, რას გეტყვით, მადმუაზელ? ჩემი რძალი მათი ოჯახის გაღია იყო და კარგად ახსოვს ერთი ამბავი: ერთ დღეს პარანსისტების შვილმა (მაშინ ბიჭი სამი თუ ოთხი წლისა ყოფილა) აიტეხა თურმე, გინდა თუ არა, ცხვრის ბარკალზე უნდა... დიახ, დიახ, შაშფურზე წამოცმულ ბარკალზე... მთელი ოჯახი გარს შემოხვევია, ეხვეწებოდნენ, ემუდარებოდნენ: შვილიკო, შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე, მწვადზე ნუ... შამფურის ტარზე... თუ მაინცდამაინც გინდაო... აი, მადმუაზელ, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მსგავსი სისაძაგლე ჩვენს ერნესტს არასოდეს ჩაუდენია, არასოდეს! განა ამას ავიტანდით?!.. როგორ გეკადრებათ!... აგე, ბატონიც მობრძანდება.

ოთახში დაბალ-დაბალი, მელოტი, ღიბიანი კაცი შემოვიდა: მსუქან, ჩამოშვებულ დაწვებს ლილისფერი დაპკრავდა, მრგვალ თვალებში მუდმივი შიში ჩაბუდებოდა, ხოლო მსხვილი ტუჩები ისე უპრიალებდა, იტყოდით, ახლა-

ხან ქონმოკიდებული ვარია უჭამიაო. ბატონ რომაზილს წაბლისფერი საშინაო ხალათი ეცვა და ფეხები ნაბდის ფოსტლებში გაეყო.

— ბატონო, — დაუყვირა სეგონდმა, — წასვლას აპირებს!

— ვინ აპირებს წასვლას?

— იპ. ვინა და... მადმუაზელი... ჩემმა მზემ!

ჩაგოდრებულ კაცს ისედაც მრგვალი თვალები უფრო დაუმრგვალდა, მედიდური პოზა მიიღო და თქვა:

— ვიძედოვნებ, მადმუაზელი ხუმრობს!

მასწავლებელმა ჩიქურ შეხედა და მიუგო, ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოაო.

— რას ბრძანებთ, მადმუაზელ? ეს ხომ სიტყვის გატეხა იქნება! ასეთ უკადრის საქციელს არ მოველოდი ადამიანისაგან, რომლის შესახებ ამდენი ქება-დიდება მსმენია...

— შაპატიეთ, ბატონო, მაგრამ სწორედ თქვენ შემაცდინეთ, როცა არ გამაფრთხილეთ, პატარა დესპოტის, მომავალი ნერონის აღზრდა რომ გინდოდათ ზოგენდოთ ჩემთვის...

— რას ამბობთ, რის ნერონი, რა ნერონი? — გაიოცა შეშინებულმა მამამ.

— დიახ, პატარა ურჩხულის მობარებას აპირებთ თურმე.

ბატონ ეზებ რომაზილს ხმა გაუწვრილდა:

— მე თქვენ გიკრძალავთ, მადმუაზელ, ჩემი შვილის შეურაცხყოფას... იგი ამ პატარა ქალაქის ჭორების მსხვერპლია. ბავშვი ძალიან ნიჭიერია და როგორც ყველა ნიჭიერი ყმაწვილი, ჭირვეულიცაა... მორჩა და გათავდა, ესაა და ეს! გასულ კვირას ჩვენმა მღვდელმა აი რა გვითხრა: „იგი ძნელად მოსათოკი ჭიშიანი ცხენია, რომელიც ლაგამს ვერ ეგუება...“

—და ტლინკებს ისვრისო, არა?

— ტლინკებს ისვრისო? — გაიმეორა აღშფოთებულმა ეზებმა.

ამ დროს მეორე სართულიდან წივილი მოისმა:

— მამა! მამა! მამა!

ეზებმა ყური მიუგდო.

— უპასუხეთ! — შეევედრა სეგონდი.

— არა... მე ვუთხარი, გამიშვი, მინდა... ერთი სიტყვით, სჯობს არ იცოდეს, აქ რომ ვარ...

სამივენი სმენად იქცნენ. ზემოდან კვლავ მოისმოდა ბიჭის წრიპინი, რასაც მეორე, წყნარი ხმა ენაცვლებოდა. ბატონ რომაზილის აღშფოთება ერთბაშად გაქრა. მასწავლებელს შეხედა, ჭერისკენ თვალაპყრობილი რომ იდგა და ირონიულად იღიმებოდა. უცებ იმ ადამიანივით, წყალში რომ აპირებს გადაშვებას, ეზებ რომაზილმა მასწავლებელს მიახალა:

— დიახ, მადმუაზელ, დიახ! მართალი ბრძანდებით! ნამდვილი ნერონია, პატარა ნერონი! ჩემი აზრით, მასში მაინც არის კარგი თვისებები, მაგრამ თუ დაგვაგვიანდა, იმასაც მალე დაჰკარგავს... ჩვენი უკანასკნელი იმედი თქვენა ხართ, თუ მიგვატოვებთ, დავიღუპეთ და ისაა! თქვენზე შეკრებილი ცნობები, ჩანს, გამართლდა. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ გადაგვირჩინოთ უბედური ბავშვი და მასთან ერთად ჩვენც გვიშველოთ. დარჩით, ნუ წახვალთ! გინდათ, მუხლებზე დაგიჩოქოთ?

კარი გაიღო და მოხუცი ქალი ფოსტლების ფლატუნით შემოვიდა ოთახში. მასაც საშინაო ხალათი ეცვა, თითქოს ეს-ესაა ლოგინიდან ამდგარი. თმის კუდი, ოთხი თხელი, მოკლე ნაწნავი კეფაზე ჰქონდა დამაგრებული, სადაც თავის ქალას ფართო, მოტიტვლებული ზოლები მოჩანდა. მართალია, ბატონი რომაზილი და ქალბატონი გარუსტი ერთი სისხლისა და ერთი გულია, მაგრამ სიძის არ იყოს, ქალსაც მრგვალი, შეშინებული თვალები ჰქონდა, ოღონდ დაწითლებული, დაბერილი და წირბლიანი.

— რა მოხდა? — წამოიყვირა სეგონდმა, — ნუთუ აქ მოსვლის ნება მოგცათ?

მოხუცმა თითი ტუჩზე მიიღო:

— ჩემად! არ გაიგონოს, რომ ვთათბირობთ... ჰო, რა თქმა უნდა, მისი ნებართვით წამოვედი. წარმოიდგინეთ, მადმუაზელის ნახვა მოისურვა.

— მისი ნახვა მოისურვა?

— ეტყობა, ამჯერად ნამდვილად შეეშინდა პანსიონატში არ წამიყვანონ... და იფიქრა, მოდი ვნახო ვისთან მექნება საქმე, შინ თუ დავრჩებიო...

მასწავლებლის გაოცებას საჩლვარი არ ჰქონდა, როცა ბატონი რომაზილი სეგონდს მიუბრუნდა და უთხრა:

— გადაეცით ბატონ გარუსტს, მადმუაზელი ხვალ დილით წასვლას აპირებს-თქო.

ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკე ორი პიროვნების თარჯიმანმა მორჩილად გაუმეორა ქალბატონს:

— მადმუაზელი ხვალ დილას პირველი მატარებლით აპირებს წასვლას.

ეზები ხელახლა მიუბრუნდა სეგონდს:

— უთხარით, ერნესტის შესახებ ათასნაირი ჭორი მოუხსენებიათ-თქო!..

სეგონდმა სიტყვა-სიტყვით გაუმეორა ქალბატონ გარუსტს:

— ათასნაირი ჭორი მოუხსენებიათ ერნესტის შესახებ...

იქნებ ყრუ იყო მოხუცი ქალი? თუმცა მოახლეს არც ხმა აუმაღლებია, არც დამარცვლით წარმოუთქვამს სიტყვები, როგორც ეს მსგავს შემთხვევაში ჩვევიათ.

— რანაირი ჭორიც არ უნდა ეთქვათ ჩემთვის, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, — თქვა მადმუაზელ ტიბომ, — ისიც საკმარისია, რაც აქ, ამ მოკლე ხანში მოვისმინე და დავინახე...

ქალბატონი გარუსტი აწრიალდა, ბებერ ვირთხასავით ჩუმი, მოკლე ნაბიჯებით მოჰყვა ოთახში ცუნცულს და თან მწარედ მოთქვამდა:

— უკვე აპირებს წასვლას? მას ხომ ჯერ არაფერი ისეთი არ უნახავს! ღმერთო, რა შევეცოდეთ შენს წინაშე?! რატომ გვექცევა ხალხი ასე უგულოდ? კი მაგრამ, ბავშვმა თქვენი ნახვა რომ მოისურვა?... ხომ ხედავთ, ბოროტი ბიჭი სულაც არ ყოფილა, რაკი თქვენი ნახვა მოისურვა... პირიქით, ეს მის გულკეთილობას ამჟღავნებს! ასეთ პატივს ყველას როდი სდებს!..

— მადმუაზელ, იქნებ აჯობებდა თქვენ თვითონ გამოგერკვიათ ყველაფერი? — შეაწყვეტინა მოხუცს ეზებ რომაზილმა, — მიდით, ელაპარაკეთ... რა გიღირთ! ვინ იცის, იქნებ მოგეწონოთ! თუ კარგ გუნებაზე იქნა... თუმცა რას ვამბობ, ამის ბედი ვინ მოგვცა?

— რაც მართალია მართალია, — ჩაურთო სეგონდმა, — თუკი მოისურვა, პირდაპირ სულში ჩაუძვრება ადამიანს... თო, რა ლაციცაა რომ იცოდეთ!..

მართალია, მადმუაზელ ტიბოს მტკიცედ გადაწყვიტა სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მაინც არ ასვენებდა. ამიტომაც უპასუხა, სიამოვნებით გავიცნობ ერნესტს, თუმცა ბატონ რომაზილს ვაფრთხილებ, ჩემს გადაწყვეტილებას ვერაფერი შემაცვლევინებსო. უცნაური სცენა ხელახლა განმეორდა: ბატონმა რომაზილმა სეგონდს უბრადად უკვირებო ქალბატონ გარუსტს, ახლავე ავიდეს ზევით და სტუმრის მისაღებად ჩახვედარი მოამზადოსო. მოახლემ მაშინვე მოახსენა ბატონის სიტყვები ქალბატონს, რომელმაც უპასუხა:

— უთხარით ბატონ რომაზილს, სჯობს ორივე ერთად ავიდეთ-თქო!

სიძე-სიდედრი, ერთმანეთს რომ მხოლოდ თარჯიმანის მეოხებით ელაპარაკებოდნენ, კარისკენ გაემართნენ, ქალბატონმა გარუსტმა სეგონდს დაუბარა, როცა მადმუაზელის ამოსვლა შესაძლებელი იქნება, სამჯერ დავაკაკუნებ იატაკზეო.

მოახლესთან მარტოდ დარჩენილმა მასწავლებელმა ხმამაღლა გამოხატა გაოცება ასეთი უჩვეულო ადამიანის გამო: ქალბატონი და ბატონი რატომ პირდაპირ არ მიმართავენ ერთმანეთსო.

— აგერ ორი წელი იქნება ასე გრძელდება, — გულუბრყვილოდ გამოუტყდა სეგონდი, — დიახ, დიახ, სენ-მიშელის დღეს სწორედ ორი წელი შესრულდება... აღარც კი მახსოვს რაზე წაკინკლავდნენ... ჰო, როგორ არა, გამახსენდა... ჩვენს ბატონს ძალიან უყვარს შემწვარი გრატი... მთელ გრატს პირში ჩაიდებს, სახეს ხელებში ჩარგავს და ნეტარებით შეექცევა. ჰოდა, სანამ გრატს მიირთმევს, ლაპარაკის უფლება არავის აქვს. ასე ამბობს, ოდნავი ხმაური მთელ სიამოვნებას მიფუჭებსო. მაგრამ აბა სცადეთ და ქალბატონ გარუსტს ლაპარაკი დაუშალოთ!.. ასეთი ადამიანი ჯერ არ დაბადებულა... ჰოდა, ისინიც გაიბუტნენ და რაკი არც ერთ მათგანს არ სურს პირველი ნაბიჯის გადადგმა შესარიგებლად, მათ ბუტიობასაც ბოლო არ უჩანს.

— ნუთუ ორი წელია?

მადმუაზელ ტიბო გაკვირვებას ვერ მალავდა. სეგონდმა მხრები აიჩეჩა:

— ეს კიდევ რაა! ქალბატონ გარუსტს თვრამეტი წლის განმავლობაში ერთი სიტყვა არ უთქვამს თავისი ცხონებული ქმრისთვის, თუმცა დღეღამ ერთად იყვნენ. სიკვდილის წინაც კი, მოხუცმა გარუსტმა მომვლელ ქალს (ამ ქალმა თვითონ მიამბო) ასე უთხრა თურმე: „გადაეციო ჩემს ცოლს, რომ მე იგი მაინც ძალიან მიყვარდა...“ ის უბედური ცოლი კი იქვე ყოფილა, მის სასთუმალთან.. გამოთხოვებისას ბებრებს ერთმანეთი გადაუკოცნიათ, მაგრამ ხმა მაინც არ ამოუღიათ... თუმცა, ამდენი ხნის გაბუტულები რაღაზედ უნდა დალაპარაკებოდნენ ერთმანეთს! ერთხელ ქალბატონმა კიდევ მითხრა, ყველაზე საინტერესო ისაა, რომ არც კი გვახსოვს რაზე წაკინკლავდითო; ერთი რამ მაგონდება მხოლოდ, 1884 თუ 1885 წელს გავიბუტეთო. ერთი სიტყვით, ჩანს ასეთი დუმილი ფრიად მოსახერხებლად მიაჩნია, რადგან სიძესთანაც ასე იქცევა. სამაგიეროდ, მსახურებთან და მოიჯარეებთან ენადაა გაკრეფილი, რადგან ისინი ყურს უგდებენ და ყველაფერზე კვერს უკრავენ, ბატონი რომაზილიც თავის სიდედრს ჰგავს: სურს ყველა მის აზრს იზიარებდეს. ეს გასაგებიცაა, ხომ მართალია?... იმდენი ადგილ-მამულის პატრონები არიან...

ამ დროს ზემო ოთახის იატაკზე სამჯერ დაარტყეს ჯოხი.

— აჰა, ნიშანს იძლევიან! მთავარია, არ შეგეშინდეთ: ჯერ ერთი, იგი ლო-

გინში წევს... ასე რომ, ვერაფერს დაგაკლებთ. თანაც ზოგჯერ ძალიან თვინიერი... ცხადია, იშვიათად, მაგრამ ვინ იცის? იქნებ თქვენი სახე მოეწონოს... პოდა, თუკი ვინმე მოეწონა, მორჩა, სამუდამოდ შეიყვარებენ! უიშვიათოდ სიცოცხლე არ შეუძლია.

— კეთილი და პატიოსანი! მაგრამ თუკი პირველ ნახვებზე ამოვიცნო?

— რა მოგახსენოთ... შესაძლებელია ასეც მოხდეს, — მიუგო სეგონდმა და მასწავლებელი აათვალიერ-ჩაათვალიერა... — კაფანდარა ხალხი არ მოსწონს. რას იზამთ, ასეთი გემოვნება აქვს...

ამ გამამხინვებელი სიტყვებით სეგონდმა ნავთის ლამპა აიღო და წინ გაუძღვა მადმუაზელ ტიბოს, რომელსაც სიცივისა თუ შიშისაგან ძაგძაგი აუტყდა. მერე ლინოლიუმით მოგებულ კიბეს აუყვანენ.

მადმუაზელ ტიბოს ალბათ დიდხანს დაამახსოვრდებოდა იმ საღამოს ონავრის ოთახში მიღებული შთაბეჭდილება. ფართო ოთახი ავეჯით იყო სავსე. მაღალი ლამპა მრგვალ მაგიდაზე იდგა, საწოლთან, ხალიჩით დაფარულ იატაკზე კარუსელიდან მოხსნილი ხის რაში ეგდო; გაჭენებულ პოზაში გაქვავებულ რაშს ზურგზე ხაკერდის ასალი ეფინა, აკაზმულობა ოქროსფრად უბრჭყვიანებდა, ხოლო პრიალა სპილენძის ჯილა გვირგვინად ედგა თავზე. ოთახის ყოველ კუთხეში თუ კომოდზე მიყრილ სათამაშო ცხოველებს თავი გამოეყოთ სიბნელიდან. აქ იყო უზარმაზარი თხების, ცხვრების, მთელი ძვირფასი ფაუნა: ვეებერთელა ოქროს კილიტიანი ტაკიმასხარა ფანჯარასთან აეყუდებინათ, მის ირგვლივ მარიონეტების გვამებს დაეყარა იატაკი. დიდი მაგიდა აონრებულ ბრძოლის ველს წარმოადგენდა, სადაც ტყვიის ჯარისკაცებს უწესრიგოდ დაეხიათ უკან, მოსამართი მატარებლის ლიანდაგები აქეთ-იქით მიეყარათ, ვაგონები გადაეყირავებინათ, ორთქლმავალი წაეჭყით.

მადმუაზელ ტიბო ნიშაში მდგარ საწოლისაკენ გაემართა, მაგრამ სწორედ ამ დროს იქიდან ბულდოგი გამოვარდა ღრუნით და ეზებ რომაზილს ფეხებში გაუძვრა. საბედნიეროდ, ბატონმა რომაზილმა დროზე მოასწრო საბმელზე ხელის წაღება. შავდრუნჩა ბულდოგს ფართოდ დაელო წითელი ხახა, წვეტიან ეშვებს აჩენდა და გამძვინვარებული ყეფდა.

— შვილიყო, დაამშვიდე დინკო, იგი ხომ მხოლოდ შენ გიჭერება! — ევედრებოდა საწოლისკენ მიბრუნებული ქალბატონი გარუსტი. — დაუძახე, გენაცვალე!

ბავშვი, რომელსაც აქამდე თავზე საბანი ჰქონდა წახურული და არ ჩანდა, ერთბაშად წამოიწია და მასწავლებელს შეხედა. მადმუაზელს უკან დაეხია, კარისკენ.

— დაუძახე ძაღლს, სიყვარულო! — შეეხვეწა ბატონი რომაზილი, — მისი შეკავება აღარ შემიძლია. სეგონდ, მომეშველე!

სანამ „სიყვარული“ ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა, სეგონდი დინგოს შეკავებაში ეშველებოდა ბატონ რომაზილს; ეფერებოდა, თავისებურად უყვავებდა, ამშვიდებდა.

— საკუჭნაოში ჩავამწყვდევე! — თქვა მან ბოლოს.

ერთბაშად ერნესტმა მშვიდად ამოიღო ხმა:

— გიკრძალავ! დინგო აქ გაათევს ღამეს!

ბიჭი თვალს არ აშორებდა თავის ახალ მტერს, რომელიც თავის მხრივ ბავშვს ათვალთქვებდა. მასწავლებელი მაშინვე მიხვდა, რომ ყმაწვილს ქონი მოსდებოდა, მამამისის არ იყოს, მსუქანი ლოყები ზედ კისრებზე ღებოდა, სამაგიეროდ, ხშირი, ყორნის ფრთასავით შავი თმა, კეხიანი ცხვირი და ფართო, ლამაზი მოყვანილობის მარწყვისფერი ტუჩები სანდომიან იერს აძლევდნენ მის სახეს. ერთი სიტყვით, ბებრული, მოზრდილი კაცის გამომეტყველება რომ არა, ერნესტი უთუოდ ლამაზ ყმაწვილად ჩაითვლებოდა. „იმაზე გულისმომკვლელი რაა, — ფიქრობდა მადმუაზელ ტიბო, — როცა ბავშვი ისეა განებივრებული, სანატრელიც აღარ აქვს რა!“ ასე რომ, პირველი შთაბეჭდილება სულაც არ იყო შემზარავი. ოღონდ ესაა, მისმა ანთებულმა გამოხედვამ ოდნავ დააფრთხო. აშკარა იყო, ბავშვი ცდილობდა, გაერკვია, ეყოფოდა თუ არა ძალა ამ უცნობ მტერთან განამკლავებლად.

უეცრად საბნის ქვეშ შეძვრა, კედლისკენ იბრუნა პირი და გორგალივით მობუზული სხეული, შავი აბურძგნილი თმა და აწითლებული ყურის ბიბილო მოჩანდა მხოლოდ ბალიშზე.

— შენი ჭირიმე, ჩემო ბიჭო, — დამტკბარი ხმით ევედრებოდა ქალბატონი გარუსტი, — მიესალმე მადმუაზელს!

— უნდა მიესალმო, გენაცვალე, მაშ როგორ იქნება! — ეხვეწებოდა სეგონდიც, — თორემ აღარც მადმუაზელი დარჩება ჩვენთან და იძულებული გავხდებით პანსიონში მიგაბაროთ.

ონავარი არ იძვროდა, ზაზუნასავით განაბულიყო. ახლა ბატონი რომაზილი მიუახლოვდა საწოლს, თავისი მომცრო ტანი გაჯგინა და წამოიწყო:

— ერნესტ, გთხოვ და თუ საჭირო იქნება კიდევ გიბრძანებ, კეთილი ინებე და ახლავე მიესალმე მადმუაზელ ტიბოს!

ქალბატონი გარუსტი და სეგონდი შიშნარევი აღტაცებით დაჰყურებდნენ უტიფარ ბიჭს, მაგრამ საბნის ქვეშ შემძვრალი ზაზუნა არც განძრეულა.

— ოო, რომ იცოდე რას გაჩუქებ, წესიერად თუ მოიქცევი, ჩემო ლამაზო ბიჭო, — ენას უჩლექდა ქალბატონი გარუსტი, — ხომ იცი, თუ არ დამიჯერებ, შენ თავს დააბრალე....

დათაფლულ, მუქარანარევი ხმით მოხუცი ქალი ცხვირში დუდლუნებდა.

— ჩემს პატარა ერნესტს მაიმუნი უნდოდა, ჰოდა ვერ მიიღებს მაიმუნს! ჩემს პატარა ერნესტს ცოცხალი ასპიტი უნდოდა, ჰოდა, ვერ მიიღებს ცოცხალ ასპიტს!

მადმუაზელ ტიბომ თავი ვერ შეიკავა და ხმადაბლა განაგრძო:

— ჩემს პატარა ერნესტს ექვსფეხიანი ხბო უნდოდა. ჰოდა, ვერ მიიღებს ექვსფეხიან ხბოს...

— რას ნიშნავს ეს, მადმუაზელ? — იკითხა განაწყენებულმა ეზებ რომაზილმა.

უცებ ზაზუნა შეინძრა, თეთრეულის თოვლის ზვინი გადასწია და წაიბუზლუნა:

— მოვინდომებ მაიმუნს და კიდევ მეყოლება მაიმუნი! მოვინდომებ ასპიტს და კიდევ მოვამრავლებ, რომ შემდეგ ლოგინში შემოგიძვრინოთ!

— ერნესტ! — დაიკვნესა ბატონმა რომაზილმა.

მადმუაზელ ტიბომ ესლა წაილაპარაკა:

— დიდებული ბავშვია! მდიდარი ბუნების პატრონი!

ერთბაშად ონავარი ლოგინზე წამოიშართა, აბურძგნილი თავი გადააქნია და დაიღრიალა:

— აქ რას აკეთებთ? დაძინების საშუალებასაც აღარ მძლევეთ, ნომ? იქნებ ეს ოთახი ჩემი აღარაა? ნუთუ ამოდენა სახლში სხვა ედგეფულე ვერ იპოვეთ, აქ რომ დარჭობილხართ და ჰაერს მიწამლავთ?! *ბიზუნიცოცა*

— ოო, როგორ დავაშავეთ, ასე რომ გავანერვიულეთ! — თქვა ქალბატონმა გარუსტმა.

პატარა ნერონი ლოგინზე წამომჯდარიყო და თავის მონებს მკაცრად ათვალიერებდა.

— სეგონდ, სანამ არ დამეძინება, აქ დარჩები, ოლონდ შენი ხმა, შენი სრუტენი არ გავიგონო! სულგანაბული იჯექი... შეგიძლიათ დინგო გაიყვანოთ!

თქვა თუ არა, დაწვა და კედლისკენ გადაბრუნდა. გადია მორჩილად ჩამოჯდა სკამზე სასთუმალთან და ქანდაკებად იქცა.

ეზები, ქალბატონი გარუსტი და მასწავლებელი უსიტყვოდ ჩავიდნენ ქვევით და სასადილო ოთახში შევიდნენ.

— როგორც კი დაიძინებს, მადმუაზელ, — მოკრძალებით წამოიწყო ქალბატონმა გარუსტმა, — სეგონდი მოვა და ჩემოდნების გახსნაში შეგეშველებათ.

— რა საჭიროა, ქალბატონო? რვა საათიან მატარებელს უკან გავყვები. ოლონდ, მადლობელი ვიქნები თუ ჩემს ბარგს სადგურზე გაატანთ ვინმეს.

— რას ამბობთ, მადმუაზელ? როგორ იქნება?

— ნუთუ დაგვტოვებთ? შეუძლებელია!

სიძე-სიდედრი ორივე მხარეს ამოუდგნენ მასწავლებელს და მკლავებში წაავლეს ხელი.

— ჯამაგირს გაგიორკეცებთ! — წამოიყვირა ეზებ რომაზილმა, — უაზრობაა, მაგრამ მაინც გაგიორკეცებთ.

მასწავლებელმა გულგრილად მიუგო, სამმაგი ხელფასიც რომ მომცეთ, სულ ერთია, არ დავრჩებიო. ქალბატონმა გარუსტმა სახე ხელებში ჩარგო.

— მაშასადამე, დავიღუპეთ და ისაა! — დაიკვნესა მან, — დიახ, დავიღუპეთ! რადგან მე უკვე აღარ შემწევს ძალა, მადმუაზელ, მე ხომ გულით ავადმყოფი ვარ, ექიმები ამბობენ, აორტააო... ერთი სიტყვით, ცოცხლებში აღარ ვურევივარ. რა ეშველება ჩემს სიძეს, როცა საცოდავი მარტოდმარტო დარჩება ამ ონავართან!

მასწავლებელმა დაამშვიდა, ბავშვს წლები მოემატება და დაჰკვიანდებაო... ამას გარდა, სინჯეთ და პანსიონში მიაბარეთო.

— არც იქ გააჩერებენ, მას მხოლოდ გამასწორებელი სახლი თუ უშველის... — თქვა მამამ, — საცოდავი ონავარი! ჩვენს შორის ყველაზე უბედური მაინც ისაა. ახია ჩემზე... დიახ, ყველაფერი ჩემი ბრალია...


და ერთბაშად ამ ტანმორჩილ კაცს ქვითინი წასკდა. სიმსუქნისგან ჩამოშვებულ ლაწვებზე ლაპალუპით სდიოდა ცრემლი და ჩვილი ბავშვივით დაეპრანჭა სახე. მისი სიდედრი კვლავ აწუწუნდა, ღმერთს რა შეეცოდეთ, ასე რომ გაგვაუბედურაო. მალე სეგონდიც შემოუერთდა ამ კონცერტს:

— ღმერთო, მადმუაზელს არც კი სურს სცადოს... კი მაგრამ, ხომ არის

იანთი ხალხი... თუმცა რა უნდა ველაპარაკო...

— ყური მიკდეთ...

წუწუნი შეწყდა. სამი შეძრწუნებული სახე მადმუაზელ ტიბოს მიაჩერდა.



— იქნებ გამოგვენახა საშუალება..

— ყველაფერზე, ყველაფერზე თანახმა ვართ...

მადმუაზელ ტიბომ თავი გადააქნია და წაილაპარაკა:

— არა, არ დათანხმდებით...

— მაინც თქვით...

— არა, ვიცი არ დათანხმდებით.

— გეუბნებით, ყველაფერზე თანახმა ვართ-მეთქი! — იყვირა ბატონმა რომაზილმა, — გინდათ კიდევ მოგიმატებთ ხელფასს?

მადმუაზელ ტიბომ ხელი აიქნია, საქმე ეს არ არისო: ერთი აზრი მომივიდა, მაგრამ თქვენ იგი უაზრობად მოგეჩვენებათო.

— რა გიღირთ, რომ თქვათ?

მასწავლებელი ერთხანს ბატონ რომაზილის ლაქდაჟა სახეს დააკვირდა, ცრემლების კვალი ჯერაც რომ ემჩნეოდა, შემდეგ ქალებს გადახედა: ქალბატონი გარუსტი სასოწარკვეთით აქიციანებდა თავს, ხოლო სეგონდს გულზე დაეკრიფა რეცხვით დაკოჟრებული ხელები. მადმუაზელ ტიბო უგულო ქალი როდი გახლდათ, მაგრამ ამდენი მორჩილებისა და ზოგჯერ, დამცირების შემდეგ, პირველად თავის ცხოვრებაში, კმაყოფილებას გრძნობდა, მისი შველა რომ სჭირდებოდა ხალხს, მისგან რაღაც წყალობას რომ მოელოდნენ. იგი ეზებ რომაზილს მიუბრუნდა და ჰკითხა.

— მითხარით, ამ სახლის გარდა სხვა საცხოვრებელი თუ გაქვთ სადმე?

რომაზილმა უბასუხა, მილასიდან ორმოცი კილომეტრის დაშორებით მამული მაქვს, ბრუსი, სადაც სახლი მიდგასო.

— ონავრის ბრალია, თორემ ახლა იქ უნდა ვიყო, საცაა გარეული მტრედების გადაფრენა დაიწყება: მამულთან ახლოს სანადირო ადგილი მაქვს, მაგრამ ონავარს გარეულ მტრედებზე ნადირობა არ უყვარს, მას ხომ ერთ წუთს ვერ გააჩერებ მშვიდად, ერთთავად ციბრუტივით ტრიალებს...

— აი, რა მინდა შემოგთავაზოთ: ხვალ დილით აქედან წახვალთ, ქალბატონ გარუსტთან და სეგონდთან ერთად. ბრუსში დასახლდებით. მე კი მარტო დავრჩები ერნესტთან.

— მარტოკა დარჩებით ერნესტთან? — შეიცხადა დიდედამ, — კი მაგრამ, ერნესტმა როგორ უნდა გაძლოს უმამოდ, უჩემოდ, უგადიოდ?... ფიქრობთ, რას ამბობთ?

— აი, ხომ ხედავთ! აკი გეუბნებოდით, ქალბატონო, შეუძლებელია-მეთქი. ეს კი ერთადერთი საშუალება იქნებოდა, რათა...

— რატომაა შეუძლებელი? — წამოიყვირა ბატონმა რომაზილმა, — მე მომწონს თქვენი აზრი, მადმუაზელ: სანამ ჩვენ აქ ვიქნებით, ერნესტთან ვერაფერს გახდებით.

სეგონდი ახლავდა მიხვდა მასწავლებლის ნათქვამს და წივილ-კივილი ატეხა:

— მივატოვო ჩემი ონავარა? ვიდაც უცხო ქალის ამარა დავტოვო? კი მაგრამ, ვიცი ვინაა? ოო, არა, ცოცხალი თავით ვერ გამიყვანთ სამრეცხაოდან!

— ხმა ჩაიწყუტე, გამობენტერებულო!

ბატონმა რომაზილმა მაინც ვერ მოახერხა მისი დამშვიდება, მალე ქალბატონის წუწუნიც შეუერთდა მოახლის მოთქმა-გოდებას:

— ჩვენი საბრალო ონავარი! მერე და როგორაა ჩვენთან შეჩვეულ... დილით ვინ ჩააცმევს? პურს ვინ მოუჭრის? ხილს ვინ გაუთლის? ვინ გაუფრთხილდება, რომ არ გაცივდეს?

ასეთმა შემოტევამ, ჩანს, მასწავლებელი ვერ შეაკრთო და ბატონ რომაზილს ჰკითხა, მსახურებს რა ვუყოთო.

— ბრუსში მოიჯარადეები გვემსახურებიან, მერედა, რა გემრიელ სადილებს გვიმზადებენ! ასე რომ, შეგვიძლია მზარეული ემილი და მოახლე ოგუსტინი თქვენ დაგიტოვოთ... ხოლო გლეხები გასაგზავნ-გამოსაგზავნად და შავი სამუშაოს შესასრულებლად გამოიყენეთ.

— ოო, არა! იგი ამას არ იზამს! — დაიკვნესა ქალბატონმა გარუსტმა, კვლავაც ვიღაც უხილავ მოსაუბრეს რომ მიმართავდა, — არ მიატოვებს ონავარს, ჩემმა საბრალო ქალიშვილმა სიკვდილის წინ რომ მიაბარა.

— ამდენხანს იოლად გავდიოდით ამ მადმუაზელის გარეშე, — დაიყვირა სეგონდმა, — წაბრძანდეს, გაჰყვეს მატარებელს, დიახ! უკან არავინ გამოეკიდება. ეს სად გაგონილა?! უცნაურია ღმერთმანი! დაწანწალებენ ქალაქში, მერე აქ ჩამოდიან, მბრძანებლობენ, განკარგულებებს აძლევენ ქალბატონსა და ბატონს...

ეზებ რომაზილმა განზე გაიხმო მასწავლებელი და უთხრა:

— თანდათან უკეთ მესმის თქვენი, მადმუაზელ! ასეთი გაბედული გეგმა სწორედ რომ დიდ ნდობას იწვევს ჩემში. ხვალ დილით სამივენი გავეცლებით აქაურობას და მანამ არ დავბრუნდებით, სანამ საჭიროდ არ მიიჩნევთ.

— ნამდვილად შეიშალა! — დაიკვნესა ქალბატონმა გარუსტმა, — სეგონდ, ჰკითხე, ჰკუდიდან ხომ არ შექანდით-თქო.

მაგრამ სეგონდს უკვე აღარაფერი ესმოდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოთქვამდა:

— ოო, საცოდავი! საცოდავი!

ონავარი რომ მომკვდარიყო ამაზე მეტ წივილ-კივილს ალბათ არც ასტეხდა. სახლის უფროსმა ყური არ ათხოვა მის მოთქმას, უბრძანა, წადი, მოემზადე და ქალბატონსაც მიეხმარე ბარგის ჩალაგებაშიო.

— ყველაზე მძიმე წუთები გამგზავრების წინ იქნება, — მიუბრუნდა იგი მადმუაზელს, — ერნესტი ისეთ ვაი-უშველებელს ასტეხს...

— არავითარი ვაი-უშველებელი არ ატყდება, თუკი მის გამოღვიძებამდე ყოველგვარი აურზაურის გარეშე წახვალთ!

— ეს როგორ? გამგზავრების წინ ერთი მაინც არ ვაკოცოთ?

— ასეთი მსხვერპლის გაღებას სამივეს გთხოვთ. გლეხების იმედი შემიძლია მქონდეს? მინდა ჰიშკარი მუდამ ჩაკეტილი იყოს და ბავშვი უნებართვოდ გარეთ არ გაუშვან.

მის შეკითხვას სეგონდმა უპასუხა.

— დიახაც! გლეხების იმედი ნამდვილად შეგიძლიათ გქონდეთ! კასტინიუს ჰირივით ეჩავრება ონავარი და დიდი სიამოვნებით დაგეხმარებათ ჩვენი ბედ-შავი ანგელოზის წვალებაში.

ეზებ რომაზილმა კარისკენ უბიძგა გადიას. თვითონ სიხარულისგან

ცქმუტავდა. რა შვებას გრძნობდა! როგორც იქნა, მშვიდად ინადირებდა მტრედებზე!

— ხვალ დილით, სრულ რვა საათზე სახლს დაგიცარიელებთ, მადმუაზელ. შეგიძლიათ მშვიდად შეუდგეთ საქმეს!

როცა მადმუაზელ ტიბო მისთვის განკუთვნილ ოთახში მარტოდ დარჩა, მხოლოდ მაშინ ჩაუკვირდა თავის გაბედულ გადაწყვეტილებას; ეზებ რომაზილმა ეტყობა, იფიქრა რაღაც განსაკუთრებულ სისტემას ფლობდა ჭირვეული ბავშვების მოსარჯულებლად. სინამდვილეში არავითარი მოსაზრება, არავითარი გეგმა არ გააჩნდა. რასაკვირველია, ის ფაქტი, რომ პატარა დესპოტი და მისი მონები ერთმანეთს დააშორა, ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა. მაგრამ იგი ხომ მარტოდ, პირისპირ რჩებოდა ამ ურჩხულთან?! რა მეთოდს მიმართოს? ძალა იხმაროს? დაუყვავოს? რაიმე ხრიკი მოიშველიოს?

ქალმა ფანჯარა გამოაღო და ხარბად ჩაისუნთქა ღამის ჰაერი, შემოდგომის სურნელით რომ გაედენითილიყო. ფესვმაგარი მუხლები, ჯაგნარი, კართანა და ქვიშამოყრილი ხეივანი მთწარის შუქში გახვეულიყო. კიბის ქვეშ მომწყვდეული დინგო ბრაზიანი ღრენით ეხმარებოდა მეზობელი ძაღლების ყურისწამლებ ყეფას; ბოლოს ყველანი ერთად ჩაჩუმდნენ და მამლების ყივილილა თუ არღვევდა სიჩუმეს.

„ამ პატარა ტყიურთან მარტოდმარტო ცხოვრება. ისიც ამ მიყრუებულ სახლში მართლაც გამიჭირდება! — ფიქრობდა მადმუაზელი, — ბოლოს და ბოლოს რა უნდა მოხდეს, დიდი-დიდი მიზანს ვერ მივაღწევ, ესაა და ეს! აბა რა, ონავარი ხომ არ შემჭამს? ვინ იცის, იქნებ ბედმა გამიღიმოს და კიდევ მოვთოკო! შეუძლებელია მისი გულის მოსაგებად რაიმე გზა არ გამოინახოს. ჰო, მთავარია ეს გზა მოვძებნო! მაგრამ ჯერჯერობით მკაცრ ზომებს უნდა მივმართო... რა თქმა უნდა, როგორც კი ლაგამს იგრძნობს, მაშინვე აყრის ტლინკებს... ცდა ბედის მონახევრეაო, გამიგონია! ჰოდა, ჩიტი ბღღვნად ღირს!“..

წამით კიდევ ჩათვლიმა, მაგრამ მალე გამოფხიზლდა. დილის მკრთალი შუქი დარაბის ჭრილებში ატანდა.

— აბა, ავდგეთ! რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავაკეთებინო გისოსი მისი ოთახის ფანჯრებზე, — გაიფიქრა მან, ლოგინიდან წამოხტა და მყისვე ჩაიცვა.

კართან ძრავა თუხთუხებდა, ონავარმა თვალი გაახილა, გვერდი ინაცვლა. დაესიზმრა, მანქანა მზად იყო გასამგზავრებლად, მამა სასეირნოდ აპირებდა წასვლას, მას არც კი სთხოვა გამომყევით. ეს რაღაა? ძრავა ხმაურობს თუ სეგონდი უძახის? ან იქნებ ბებიკო გარუსტის ხმა ესმის? ხმაური სავსებით რეალურია, ასევე აშკარად მოესმა სეგონდის ყვირილი, ქვანასროლი ქათმის გაბმულ კაკანს რომ წააგავდა.

ონავარს ვერ გადაეწყვიტა გაბრაზებულიყო თუ ძილი განეგრძო. არა უშავს, მამამისის დატუქსვას ყოველთვის მოასწრებს! ონავარს არ ეგონა უიმი-სოდ მცირეოდენ კმაყოფილებას თუ იგრძნობდა ვინმე თავშექცევის დროს. თვალები დახუჭა.

უცნაურმა ხმაურმა საბოლოოდ დაუფრთხო ძილი. მისი ოთახის ფანჯარასთან ვილაცა გამალებით ურტყამდა ჩაქუჩს კედელს. ჯერ იფიქრა, სასაღილო ოთახში შტორებს ხსნიანო. როგორ? მის ძილს არავინ უფრთხილდება?

— დამაცადონ, მე მათ ვუჩვენებ სეირს! — წაიბუზღუნა ბიჭმა.

ჯერ არც კი გათენებულყო და დასჯისა და შურისძიებულობა უკვე მზად ჰქონდა.

ჩაქუჩის ხმა გაძლიერდა. პატარა რომაზილის ხასიათში სიბრაზეზე მეტად სიზარმაცე იყო ფესვგამდგარი. ამიტომ არ განძრეულა... მაგრამ მალე საზღვარს გადავიდნენ. ამას გარდა, მოეჩვენა (ნუთუ ეს შესაძლებელია?), ხმაური ორი ფეხის ნაბიჯზე ისმოდა, თითქმის მის ოთახთან.

ონავარი ლოგინიდან წამოხტა, ფარდა გადასწია, შიგნითა დარაბები გააოო და თვალები მოიფშვნიტა: მაგარი გისოსი ლითონის კავეებით მიემაგრებინათ ფანჯარაზე. ზეინკალი ლანოსიც იცნო, დინჯად ჩადიოდა მისადგმელი კიბიდან.

„ეს რას ნიშნავს?“ — გაიფიქრა ონავარმა და გაოგნებისგან დაყვირებაც კი დაავიწყდა. დარეკა. სეგონდი მუდამ ახლომახლო ტრიალებდა ხოლმე. ამჯერად მის ზარზე არავინ გამოცხადებულა. სახლში გამეფებული სიჩუმე ეუცნაურა. კარი გააღო, ფეხშიშველა გავარდა კიბის ბაქანზე და გაანჩხლებულმა სეგონდს დაუძახა, მოახლე ოგოუსტინი გაეხშიანა:

— საუზმეს ახლავე მოვიტან!

— თქვენ არ გელაპარაკებიან.

სიბრაზისაგან აცახცახებული ონავარი ხელახლა ჩაწვა ლოგინში. საცაა სეგონდი შემოვიდოდა; ნახავს რა დღეს დააყრის ამ ბებრუცუნას! ერთბაშად გაახსენდა, დინგო ჩვეულებრივად, არ აფხაკუნებდა ოთახის კართან. ერნესტი ფანჯარას მივარდა და გისოსის შენჯღრევა სცადა.

კარზე დააკაკუნეს: არც სეგონდსა და არც ბებიკო გარუსტს ასეთი რამ არ სჩვევიათ. ეს ვის მოაქვს სინი? ეს მაიმახი ვინღაა, ძროხის კუდს რომ მიუგავს თმა? მასწავლებელი! ონავარმა მკვანედ მიმართა:

— სხვის საქმეში რად ეჩრებით? წადით და ახლავე დამიძახეთ სეგონდს! ეს რა მოგიტანიათ? რძიანი ყავა? ჩემთვის მუდამ მოაქვთ რძიანი ყავაც და შოკოლადიც, არჩევანს მე ვაკეთებ!

მასწავლებელმა უხმოდ დადო სინი პატარა, მრგვალ მაგიდაზე.

— შოკოლადს აღარ დალევთ, აღგაგზნებთ. დღეიდან თქვენს ღვიძლს უნდა ვუმკურნალოთ, — უთხრა მან, — მინდა, ჩემი მოწაფე ჯანმრთელი იყოს. ერნესტს წამით ხმა ჩაუწყდა, ბოლოს წაიბუტბუტა:

— აქ... ვინ ბრძანებლობს?

— მე, — მშვიდად მიუგო მასწავლებელმა.

— თქვენ?

ერნესტმა ლოგინზე წამოიჩოქა, სახეზე მკვდრის ფერი დაედო, კბილები დააკრაჭუნა, თვალები დააბრიალა და თქვა:

— აჰა, ასე ხომ? კარგად იწყებთ!... ოღონდ იცოდეთ, მამასთან გიჩივლებთ... იგი გასწავლით, როგორ უნდა სხვის ოჯახში დიასახლისობა!

— ცხადია, გაგიკვირდებათ, ჩემო პატარავ, მაგრამ მთელი უფლებები მან მე გადმომილოცა. ასე რომ, სჯობს შეურიგდეთ მდგომარეობას...

ბავშვმა ხმა არ ამოიღო. ყური დაცქვიტა: სახლში უჩვეულო სიჩუმე დაბუდებულიყო. მერე გისოსს გადახედა.

— ეს გისოსი.. ვინ გაბედა?

— მე მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ აქედან მხოლოდ ერთი გახვალთ.

ბიჭი ლოგინიდან წამოხტა, კიბეზე გადარდა და ხანჯილებს ხანჯილებს, ხანაც დიდედას უხმობდა. არავინ გაეხმინა. ოთახში აქლოშინებული შებრუნდა:

— სად არიან?

— წავიდნენ.

— სალამომდე?

— მანამ სანამ გონიერი ბავშვი არ დადგებით.

ამ ჭიუტი დუმილისა და სიძულვილით სავსე შემოხედვის ნაცვლად ქალს ურჩევნოდა ერნესტს აურზაური აეტეხა.

— თქვენ გგონიათ ხელში ჩამიგდებთ? — კბილებში გასცრა ბიჭმა.

— სულაც არ ვაპირებ ხელში თქვენს ჩაგდებას. ერნესტ... მე მხოლოდ მინდა, სხვა ბავშვებს დაემსგავსოთ, სხვა ბავშვებით ბედნიერი იყოთ...

— მე მხოლოდ მაშინ ვიქნები ბედნიერი, როცა თავიდან მომწყდებით... ეს კი სულ მოკლე ხანში მოხდება!.. ჯერჯერობით, სანამ აქედან არ მოუსვამთ, არც ლოგინიდან ავდგები, არც პირს დავიბან და არც ჩავიცვამ...

— დიდი გულადი უნდა იყოს კაცი, შიმშილით თავის მოკვლას რომ გადაწყვეტს.

— ვინ გითხრათ, რომ შიმშილით სიკვდილს ვაპირებ?

— მაშ როგორ? თუკი სასადილო ოთახში არ ჩამოხვალთ...

— საჭმელს აქ მომართმევენ, ახლავე ვუბრძანებ...

— მინდა გაგაფრთხილოთ, რომ თქვენი ასაკის ყმაწვილი ბრძანებას კი არ იძლევა, არამედ ასრულებს...

— ამასაც ვნახავთ!

— სანახავი არაფერია: სადილსა და დილის საუზმეს დადგენილ საათებში მოგართმევენ სასადილო ოთახში...

— თუკი პირს არ დავაკარებ საჭმელს, შიმშილით მოვკვდები, ხომ?

— ოჰ, აქამდე არ მივა საქმე, ჩემო კარგო! უკიდურესობამდე თუ მიგვიყვანთ, ხელოვნურ კვებას მიემართავთ.

ონავარი ერთბაშად გამოერკვა: როგორ მოხდა, ამ საძაგელ ქალს რომ ელაპარაკება, თითქმის ესაუბრება ამდენ ხანს?! მან მუშტი მოიქნია და საუზმით სავსე ლანგარს დაარტყა. ფაიფურის ჭურჭელი დაიმსხვრა, ხოლო რძიანი ყავა იატაკზე დაიღვარა. მერე ერნესტი დაწვა. პირი კედლისკენ იბრუნა და თავზე საბანი გადაიხურა.

ვითომ არაფერი მომხდარიყოს, მადმუაზელ ტიბომ მშვიდად ამოიღო ჭიბიდან ოთხად დაკეცილი ქალაღი და თქვა:

— თქვენი დღის განრიგი ასეთი იქნება: რვის ნახევარზე — ადგომა, ვარჯიში, პირის დაბანა, ლოცვა, რვა საათზე — პირველი საუზმე, დასვენება. შემდეგ მეცადინეობა ათ საათამდე, სეირნობა თერთმეტიდან თორმეტის ნახევრამდე — ისევ მეცადინეობა. საუზმე, დასვენება თოთხმეტ საათამდე. მეცადინეობა თხუთმეტ საათამდე. გასეირნება. წახემსება ჩვიდმეტ საათამდე. მეცადინეობა თვრამეტ საათამდე. შესვენება მეცადინეობა — რვის ნახევრამდე.

სადილობა. კითხვა ან საუბარი. ათის ნახევარზე — ძილი. განრიგს ბუხრის თავზე გიტოვებთ. საკლასო ოთახში გელოდებით. ნახვამდის.

როგორც კი მასწავლებელმა კარი მიხურა, ონავარი ლოგინზე წამოჯდა და ჩაფიქრდა. ეტყობა, ამ ქალს სხვებივით ადვილად ვერ მოსტეხს! წინათ არასოდეს ბრახობდა ნამდვილად, უფრო მეტად შინაურების დასახიზნველად გაითამაშებდა ხოლმე სცენებს, უნდოდა ყველა ხელში ჰყოლოდა. ამ მასწავლებელმა კი თავისი გულგრილობით ერთ-ერთი ყველაზე საშიში იარაღი გამოაცალა ხელიდან. საჭიროა რაღაც ახალი საშუალება გამოძებნოს!

ოგუსტინი დაუქაკუნებლად შემოვიდა ოთახში, ნამსხვრევები მოხვეტა, ყავითა და რძით მოსვრილი იატაკი ჩვრით მოწმინდა და თან ჩუმ-ჩუმად ონავარს უკვირდებოდა, თვალს არ უჯერებდა, ასე გარინდულს რომ ხედავდა.

— სხვა საუზმე მომიტანეთ... ცოცხლად!

— ორ საუზმეს ველარ მიიღებთ, ბატონო ერნესტ! ეჰ, რა უშავს მერე! სამაგიეროდ, შუადღისას უფრო მაღიანად შევექცევით. — უთხრა მოახლემ და სწრაფი ნაბიჯით გაეშურა კარისკენ. — მადმუაზელის ბრძანებას ვერ გადავალთ! — დაუყვირა გამომწვევად.

სიჩუმე ჩამოვარდა. ონავარი პირველად თავის ცხოვრებაში მარტოდ დარჩა. ამიტომ რაღაც შიშნარევ უხერულობას გრძნობდა. ხელახლა ადგა ლოგინიდან, კარი ფრთხილად გამოაღო, მოაჯირს გადაეყუდა და დაბალი ხმით დაიძახა:

— დინგო!

შემდეგ ხმას აუწია:

ძალიც წაუყვანიათ... მუდამ, როგორც კი მანქანა ადგილიდან დაიძრებოდა, დინგო მყისვე ჩახტებოდა შიგ...

ონავარი მარტო დარჩა, სულ მარტო; არა უშავს, მტერს მაინც აჯობებს! ვერ გაბედავს და შიმშილით ვერ მოკლავს.. ჯერჯერობით კი სხვა გზა არა აქვს, ლოგინში უნდა იწვეს... ღამით ადგება; საკუჭნაო მუდამ სავსეა ათასნაირი ნუგბარით. ვნახოთ, ვინ იტყვის საბოლოო სიტყვას!



— დიახ, დიახ. — ხმამალა არწმუნებდა ლუკროკი საყასბოში თავმოყრილ ჭორიკანა დედაკაცებს, — როგორც კი ის ერთი ციციქნა ქალი მატარებელში დავინახე, მაშინვე მივხვდი, იცის რას აკეთებს-მეთქი! მთელი ოჯახი: მამა, დიდედა გარუსტი, სეგონდი ერთ წამში ჩაიგდო ხელში და სახლის ბატონპატრონი გახდა. ფრიად წინდახედული ქალია! აი, ქალბატონი ლანოსი დამინოწმებს, ამ დილით ზუსტად ექვს საათზე ლანოსთან მისულა და უბრძანებია ონავრის ოთახის ფანჯარაზე გისოსი უნდა მიაკრათო. ოგიუსტინამ მიამბო, გისოსის დანახვაზე ბაღს ხმა ჩაწვეტია და ველარ ყვირისო. მართალია, საწოლიდან არ დგება, მაგრამ ყვირილით აღარ ყვირისო. აი ნახავთ, ეს ქალი ბიჭს მოთოკავს, დიახ, ძუნკალი ძალივით აშიმშილებს და კიდევ მოარჯულებს! ეს კნაჭა ქალი, ჩანს, მაგარია!

— რაც გინდა ისა თქვით, ლუკროკ, — შეეკამათა გალანტერიით მოვაქრე, ქალბატონი გოდრანი, — მაგრამ ჩემს შვილს ვილაც გადამთიელის ამარა არ მივტოვებდი. იცით, რას გეტყვით? ყველა ჩვენთაგანს თვალი უნდა გვეჭიროს,

რა მოკლე ხანში შევძელი ამ უსიამოვნო ცნობების შეკრება! ამ წერილით შემზარავ ამბავს გატყობინებთ. მე და ქალბატონმა ლოსმა დავადგინეთ, რომ იმ ასპიტმა თილისმით შეკრა რომაზილები (მართალი გითხრათ, ძალიან მიკვირს, თქვენ როგორღა აიცილეთ მისი ჯადო, რადგან თქვენ ხომ ძალიან წაგიყვანეს, თქვე საწყალო!)

ნუთუ შესაძლებელია, ამ განათლებულ საუკუნეში კიდევ კბინებოდნენ ისეთი ურჩხულები, მცირეწლოვან ბავშვებს ოთახში რომ შემწველქქქქქ და შიმშილით ჰკლავენ?! თქვენს ოჯახში კი აწორედ ასეთი რამ ხდება: ოგიუსტინა, ის გარეწარი ისა, პირდაპირ გამოუტყდა ლუკროს, რომ თქვენი პატარა ონავარი ისე დასუსტებულა, ყვირილის თავიც აღარ ჰქონია და ლოგინიდან ვერ დგება.

მინდა გაცნობოთ, მთელი მილასი თავზარდაცემულია. იმედი გვაქვა თანდარმერია მალე იტყვის თავის სათქმელს! ერთი სიტყვით, ვერაა სასიამოვნო ამბავი. ოთხშაბათს ღილები და ზონრები რომ იყიდეთ ჩემთან, ალბათ განზოჯთ, ფული არ გადაგიხდიათ, არ იფიქროთ, თითქოს იმისთვის გწერდეთ, ვალი მინდა შეგახსენოთ. არა, თქვენისთანა მუშტარი ნდობას მუდამ იმსახურებს და არც არაფრის შიში გვაქვს.

კუბოს ფიცრამდე თქვენი მეგობარი

ელლდი გოდრანი.

თუ მოახერხებთ და თქვენს ბატონსა და ქალბატონს წამოსვლაზე დაიყოლიებთ, ჯერ ჩემს დუქანში შემოიარეთ: თუკი კუდიანს სწორედ იმ მომენტში მივასწრებთ დანაშაულზე, როცა საცოდავ ონავარს აწვალებს, საჭირო იქნება მოწმეებიც გყავდეთ.

დაახლოებით თერთმეტ საათზე კარის გაღების ხმა მოისმა ზემო სართულიდან. ქალი კიბეს ამოეფარა საკუჭნაოს შესასვლელთან. ონავარმა ვერ შეამჩნია და გვერდით ჩაუარა: ხელში ანთებული სანთელი ეჭირა. მხრებზე წითელი პლედი მოეგდო და ამ უჩვეულო სამოსით, ფეხშიშველა, შესუქებული, გაყვითლებული სახის თვალებრიალა ლამაზი ბიჭი მართლაც წააგავად პატარა ნერონს. პატარა კეისარს, საკუთარ სახლში პატიმრობა რომ მიუსჯიათ.

სამზარეულოს დერეფანი გაიარა და პირდაპირ საკუჭნაოსკენ გაემართა, მაგრამ, როცა იქ ვერაფერი იპოვა, ყვირილი ძლივს შეიკავა: არც ერთი ნაჭერი ხორცი, არც ერთი ნამცეცი პური იქ არ დახვდა. ზევით აიხედა — ლორის ნაჭრები აღარ ეკიდა ძელზე, თაროებს გადახედა — ყაურბით სავსე ქილებიც გამჭრალიყო.

გაოგნებულმა ბავშვმა ყური მიუგდო შემოდგომის წვიმას, წურწურით რომ ჩამოდოდა სახურავსა და საწვიმარ მილზე. ერთბაშად, დამშეული ბოცვერის ანთებული თვალები მოავლო სამზარეულოს მაგიდას და ზედ საგანგებოდ დაგდებული ერთი ნაჭერი პური და გრიერის ყველი შეამჩნია. ბიჭმა ძალა მოიკრიბა და ერთხანს კიდევ გაუძლო ცდუნებას: აშკარა იყო, მტერმა სამოწყალოდ დაუტოვა სიკვდილმისჯილი პატიმრის ულუფა: ონავარს კი ეს სიბრაღული შეურაცხყოფდა. მიუხედავად ამისა, ბოლომდე ველარ მოითმინა, ხელი დასტაცა პურს და ხარბად შესანსლა. ის იყო, უკანასკნელი ლუკმა გადაყლაპა, რომ პალში გამავალ კართან წკმუტუნე, პირუტყვის მძიმე სუნთქვა მოესმა:

— დინგო! — ხმადაბლა დაუძახა მან.

ჩაღღმა წკავ-წკავით უპასუხა. ბავშვმა ურდული გადასწია და კარის მძიმე საგდულს ფეხი ჰკრა. გაწუწული, ტალახში ამოგანგლული ძაღლი მივარდა ბიჭს, მაგრამ ონავარმა ეს არაფრად ჩააგდო: პლენდი მხრებიდან ჩამოუცურდა და პერანგის ამარამ, სიცივისგან აძაგძაგებულმა გულში ჩაიკრა დინგო, რომელიც გამალებით ულოკავდა სახეს. ონავარმა კისერზე შეხმობა დაიწყო, ძაღლს ხელი და ანაზდად საბმელზე პატარა შეკვრა შეამჩნია. წერილი იყო. ბავშვმა მყისვე იცნო სეგონდის ბატიფეხურად ნაწერი და კონვერტი გახსნა:

„ჩემო საყვარელო ონავარო, ჩემო სათაყვანებელო ჯუჯულა, დარწმუნებული ვარ, დინგო ამ წერილს მოგიტანს, რადგან იგი ბევრ ადამიანზე გონიერია. გწერ, რომ იცოდეს: შენი სეგონდი ძალით წაიყვანეს მანდედან, ხოლო შენი საბრალო დიდება ჯავრისაგან ავად გახდა. სამაგიეროდ, მამაშენს ისე უხარია გარეულ მტრედებზე ნადირობა, შვილზე არც ფიქრობს. ძალიან თუ გიჭირს, იმედი მაქვს, მოახერხებ და შინიდან გაიპარები. პირდაპირ ქალბატონ გოდრანთან მიდი, კიდევ შეგიფარებს და საჭმელსაც მოგცემს. წასვლის წინ ორიოდ სიტყვა დავუბარე.

სიკვდილამდე შენი ერთგული გადია, სეგონდი“.

— ესლა მავლია! — წაიბუზღუნა ერნესტმა, — უცადოს სანამ იმ გოდრანთან მივიდოდე!

ბიჭუნა დაფიქრდა, პირველ ტურში ნამდვილად წააგო! ახლა საჭიროა ღირსეულად დაიხიოს უკან წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე, რათა იქიდან მარშალ ეოფრივით დაიწყოს შეტევა და კიდევ გაიმარჯვოს!

საყვარელი ძაღლის გამოჩენით გამხნეებულმა ონავარმა გადაწყვიტა, თავის ოთახში ასულიყო. მაგრამ კუთხეში მოკრუნჩხული დინგო საცოდავად აწკუმუტუნდა ალბათ შიოდან. რა მიეცა? მაგიდაზე პურის ნამცეცები ეყარა. დინგომ დაყნოსა, პირი არ დააკარა და ისევ კუთხეში მიეგდო. ერნესტს გაუკვირდა. ძაღლმა მთელი ჯამი წყალი სულმოუთქმელად ახვრიპა: როცა წყლის დასაღვევად წამოდგა, იმ კუთხეში, სადაც იწვა, ონავარმა სისხლის გუბებს მოჰკრა თვალი. მისი პერანგიც სისხლში იყო ამოსვრილი. შიშისგან თავზარდაცემულმა ბიჭმა ხელი დასტაცა სანთელს, დაიხარა, დინგო შეათვალიერა და უკანა თათზე ჭრილობა შენიშნა. ძაღლი ქოშინებდა და საცოდავად წკმუტუნებდა, თითქოს შექელას თხოვდა თავის პატარა პატრონს.

ერნესტი მიჩვეული იყო მას მომსახურებოდნენ, ამიტომაც დაიბნა, არ იცოდა რა ექნა, ტირილი წასკდა და დაიყვირა... მერე ერთბაშად ჩაჩუმდა: სამზარეულოში მტერი შემოსულიყო ლამპით ხელში, როცა მასწავლებელმა ონავარის გასისხლიანებული პერანგი შეამჩნია, იფიქრა, დაჭრილიაო და მისკენ გაეშურა.

— არა, მე კი არა, დინგოა დაჭრილი... დინგო კვდება...

უპ. დინგოა დაჭრილიო! ქალმა შვებით ამოისუნთქა. ძაღლს მიუახლოვდა, რომელსაც კბენის თავი არ ჰქონდა, პირიქით თითქოს ყოველი სულიერი-სგან ითხოვდა შველას. ქალმა ჯამში წყალი ჩაასხა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ჭრილობა მობანა. შემდეგ მაკრატლით ააჭრა სისხლისგან მიწებებული ბალანი.

— ერნესტ, ჭრილობა მობანეთ, მე ოთახში ავალ, იქ სახვევი მაქვს და ახ-

1 ეოფრი (1852-1931) — ფრანგი მარშალი

ლავე ჩამოვიტან. კრილობა უნდა შევუხვიოთ.

ქალი მხიარულად ადიოდა კიბეზე, სადაც ოგიუსტინს შეეჩეხა, ბიჭის ყვირილზე გამოღვიძებოდა. მადმუაზელმა ორიოდ სიტყვით უამბო, რაც მოხდა და სთხოვა, სარდაფში ჩადით, დინგოსთვის რძე ამოიტანეთ და სხვა საქმელებიც გამოიძღვანეთო.

მასწავლებელი თითქმის მაშინვე დაბრუნდა სამზარეულოში და თან ბანდები, ბამბა და წყალბადის ზეჟანგი მოიტანა: თვალის დასამსხამებლად გადაუხვია თათი დინგოს. ონავარს კვლავ მოეხურა წითელი პლედი, სკამზე ჩამომჯდარიყო და არ იძვროდა. მასწავლებელი წამით გავიდა დერეფანში, ერნესტს მისი და ოგიუსტინას ჩურჩული მოესმა. მადმუაზელმა მთელი ჯამი რძე შემოიტანა და დინგომაც ხარბად შეხვრიპა.

— დრუნჩი ცხელი აქვს, — თქვა ქალმა, — სიცხე უნდა ჰქონდეს. თქვენს საწოლ ოთახში ავიყვანოთ. აიღეთ ლამპა და წინ გამიძებნით.

მასწავლებელმა ბავშვივით აიყვანა ხელში დინგო და ნელა აპყვა კიბეს. ონავარი წინ მიუძღოდა, გზას უნათებდა.

საწოლ ოთახში შესვლისას ოგიუსტინი იქ დახვდათ. ბუზღუნით შლიდა სუფრას: პატარა, მრგვალ მაგიდაზე უკვე ეწყო ლორი, ცივად მოხარშული ვარია, ტორტი, გრიუ-ლაროზის ღვინო.

— ამდენი მღელვარების შემდეგ მოგშივდებოდათ, — უთხრა ბავშვს მადმუაზელმა, ძალლი ბალიშზე დააწვინა და საბანი დაახურა.

— მთელი სახე ამილოკა, — თქვა მან.

ონავარი უკვე დამშვიდებულიყო და მტკიცედ გადაეწყვიტა, ხმა არ გაეცა. მაგიდას მიუჯდა და ისე შეუდგა ჭამას, მასწავლებლისკენ არ მიუხედავს. როცა ვახშამს მორჩა, მადმუაზელ ტიბომ თვითონ აალაგა სუფრა.

— ასეთი მშფოთვარე ლამის მერე კარგად უნდა გამოიძინოთ. ამიტომ ხვალ დილით აქ ამოგიტანენ პირველ საუზმეს. დამე ნებისა, ერნესტ!

ბიჭმა რალაც წაიდუღლუნა, მაგრამ ქალი მაინც კმაყოფილი დარჩა, სულ არარაობას მაინც სჯობდა! ქალაქის რატუშაზე საათმა პირველი დაჰკრა, რომაზილების სახლში ხელახლა დაისადგურა სიჩუმემ.

მადმუაზელს თვალი არ მოუხუჭავს. იმედმა ძილი გაუფრთხო, თუმცა ცდილობდა ილუზიებს არ აპყოლოდა: ბრძოლა ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოგებული, ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი: ოღონდ ესაა, მარტოდ აღარ გრძნობდა თავს. მისგან დამოუკიდებელი ეს შემთხვევა რომ არა, ონავართან ალბათ ვერ დაამყარებდა კონტაქტს. დაჭრილი დინგოს მოულოდნელმა გამოცხადებამ დაარწმუნა, განგება თუ ვილაცის უხილავი ხელი დამეხმარაო. დიახ, ვილაც მფარველი გამოუჩნდა! მართალია, წარმატებას ადვილად ვერ მიაღწევდა, მაგრამ ახლა ეჭვი არ ეპარებოდა, რომ საბოლოო გამარჯვება მას დარჩებოდა.

როცა მეორე დილით, ცხრა საათზე მადმუაზელ ტიბო ონავრის ოთახში შევიდა და ლანგარზე დადგმული საუზმე შეუტანა, ბიჭი ძალღთან დახვდა ჩაცუცქული. მან შორიდან დაუყვირა:

— მადმუაზელ, დინგო კარგადაა! დრუნჩი გრილი აქვს.

მაგრამ უცებ თითქოს გონს მოვიდაო, გაბუტული სახე მიიღო.

მადმუაზელს გულის ძგერა გაუხშირდა.

— როგორც კი ჩაიცივამთ, დინგო ბალში ჩაიყვანეთ, — უთხრა მან, — შემდეგ საკლასო ოთახში მოდით, იქ დაგხვდებით.

— მელოდეთ რამდენიც გინდათ! — გამომწვევად მიუგო ბიჭმა.

— რა თქმა უნდა, სანამ საჭირო იქნება დაგელოდებით! — უპასუხა.

საუზმის დრო დადგა, მაგრამ მასწავლებელი ამაოდ უცდიდა ბავშვს.

ერნესტი სასადილო ოთახში შევიდა. მადმუაზელი უკვე მაგიდასთან იჯდა და ხელში წიგნი ეჭირა. ონავრის შემოსვლისას თავი არ აუღია, არც შეუხედავს და მთელი სადილის განმავლობაში კრინტი არ დაუძრავს. ბიჭი განგებ აწყლავს, განგებ აჯახებდა ჭიქას თეფშზე, დანაც კი დაადგო ძირს, მაგრამ ამაოდ, ვერ იქნა და მტრის ყურადღება ვერ მიიპყრო.

როგორ გაუხარდებოდა ალბათ, რომ ეგრძნო რა შფოთს ფარავდა მადმუაზელ ტიბო ამ გარეგნული სიმშვიდის ქვეშ. ნუთუ ხელახლა უნდა მიმართოს გუშინდელ ზომებს? კვლავაც მშიერ-მწყურვალე დატოვოს, სანამ სწავლას არ დაიწყებს? იქნებ მართლაც მოუხდეს მეტად უბადრუკი ზომების გამოყენება, ოღონდ ჯერ სხვა რამ უნდა იღონოს... მაინც რა? სანამ უკეთეს საშუალებას გამოძებნიდეს, წერილს მისწერს, იქნებ ამან მაინც იმოქმედოს მის გონებაზე, სულზე! დაუხატავს, რა საშინელ მომავალს უშზადებს იგი თავის თავს. მაგრამ წაიკითხავს კი ამ წერილს? მადმუაზელმა გადაწყვიტა, ნასადილევს დაეწერა ბარათი და საღამოს ბალიშზე დაედო. „ოჰ, არა, არ წაიკითხავს!“ — გაიფიქრა მან. დარწმუნებული იყო, ბიჭი მაშინვე დახევდა წერილს და თანაც ამ საქციელს სისუსტედ, ბრძოლაზე ხელის აღებად ჩაუთვლიდა. მიუხედავად ამისა, რაღაც უნდა ეღონა. მთავარია, კამათის, მოლაპარაკების საბაბი შექმნას.

ასე ფიქრობდა ქალი, ხოლო წვიმა საკლასო ოთახის ფანჯრებს უკაკუნებდა; ოგიუსტინას ბუხარი დაენტო, სასადილო და საკლასო ოთახებს შორის პატარა სასტუმრო დარბაზი იყო, სადაც ერნესტი პიანინოს მიჯდომოდა, ცალი თითით რაღაც მოტივს უკრავდა და ზოგჯერ მარცხენა ხელით აკომპანიმენტის შეწყობას ცდილობდა.

— მუსიკას ხომ არ სწავლობდა? — ჰკითხა მასწავლებელმა ოგიუსტინას, როცა მან ფოსტა შემოუტანა.

— ერთი თქვენც, რას არ იტყვით! იგი არაფერს არ სწავლობს, ოღონდ წვიმიან დღეებში მთელი საათობით უზის პიანინოს და შინაურებს გულს უწყალებს: უნდა გამოგიტყდეთ, ჩვენს ბატონს მუსიკა არ უყვარს, ირწმუნება, ამისთანა გულისგამაწვრილებელი ხმაური მეორე არაა ამქვეყნადო. განა არ შეგინიშნავთ? ჩვენს ონავარს როგორი სათამაშო არ გინდათ ჰქონდეს, მაგრამ პატეფონი არა აქვს. ბატონმა რომაზილმა მისი ხსენებაც კი აგვიკრძალა ბიჭის თანდასწრებით. ვფიქრობ, არც კი იცის რა ხილია! რა ბრიყვები არიან ეს ბავშვები! ონავარს მუსიკა სულს ურჩევნია, თუმცა აზრად არ მოსდის პატეფონი მაინც მოსთხოვოს მამამისს. იგი მხოლოდ ეკლესიაში ზის წყნარად, იმიტომ რომ იქ გალობაა.

„ჩანს მუსიკის ნიჭი აქვს!“ — გაიფიქრა მადმუაზელმა. ამის საბუთს ის იმპროვიზირებული მელოდია იძლეოდა, მისი პატარა თითები რომ ქმნიდა მოუხერხებლად.

ამასობაში წვიმას გადაელო. მზემ გამოაჭყიტა და ერნესტი ბაღში გაიტყუა. მასწავლებელს ერთმა აზრმა გაუელვა თავში: რა თქმა უნდა, დიდ იმედს არ ამყარებდა, მაგრამ მაინც უნდა ეცადა. მან სასადილო ოთახი გაიარა და სასტუმრო დარბაზში შევიდა, რომლის კარი ონაპარს ღიად ღირჩენოდა ბაღში გასვლისას. ქალი ერარის ფირმის დიდებულ პიანინოს მიუჯდა. ინსტრუმენტი დიდი ხნის აუწყობელი იყო.

ჯერ შობენის ერთი პრელუდია დაუკრა, შემდეგ მეორე: თვითონ არც კი უსმენდა მუსიკას, მთელი გულისყური ტერასისკენ ჰქონდა, საიდანაც გაუბედავი ნაბიჯების ხმა შემოესმა. თავი არ მიუბრუნებია, გრძნობდა, ხვდებოდა, ვიღაც იდგა კარს უკან და ყურს უგდებდა; უკვე დიდი წარმატება იქნებოდა, თუ პირველივე აკორდების გაგონებაზე ონაპარი მისკენ გამოეშურებოდა!

შემოვიდა კი სასტუმრო ოთახში? ბავშვი მთელი თხუთმეტი წუთი ყოყმანობდა. მადმუაზელს უკვე გაუწყდა იმედი, როცა ერთბაშად მისი მოახლოება იგრძნო. როგორც კი ბიჭი იქვე, კართან ჩაჯდა სავარძელში, მადმუაზელმა დაკვრა შეწყვიტა, პიანინოს სახურავი ერთბაშად დახურა და წამოდგა.

— რატომ შეწყვიტეთ დაკვრა?

ქალი შემობრუნდა და მკაცრად გადახედა ონაპარს: სახელეწილი იჯდა და ისე იყურებოდა, თითქოს თვალებით უპირებსო შექმას.

— როგორ ფიქრობთ, თქვენთვის დავუკრავ?

— მოსმენას ვერ ამიკრძალავთ... თუ არ ვცდები, პიანინო ჩემი უნდა იყოს!

— რა თქმა უნდა თქვენია.. მეტს აღარ დავუკრავ.

— არასოდეს? — ჩამწყდარი ხმით ჰკითხა ბავშვმა.

— სწავლა რომ დაგეწყით, ყოველი გაკვეთილის შემდეგ დავუკრავდი... მაგრამ რაკი მეცადინეობა არ გსურთ... საღამოსაც მოგასმენინებდით ჩემს დაკვრას, ნასადილევს.. ყოველთვის, როგორც კი თქვენი მეცადინეობით კმაყოფილი დავრჩებოდი...

— ცოტაც დაუკარით.. მერე ვიმეცადინებ.

ქალმა საათს დახედა.

— უკვე ორი საათია. გაიხსენეთ განრიგი: სამ საათამდე მეცადინეობა უნდა გქონდეთ, ხოლო თუ ნებისყოფას გამოიჩენთ...

ბიჭმა მუშტები მოკუმა:

— არა, ახლავე! ახლავე დაუკარით!

— გაკვეთილისთვის განკუთვნილი დრო მალე გაივლის, ერნესტ, რომ იცოდეთ, რამდენი რამ მინდა გასწავლოთ!..

კარისკენ გაემართა. ონაპარი გაკაპასებით იმეორებდა:

— არა, ახლავე! არა, ახლავე დაუკარით!

მასწავლებელი არც კი მობრუნებულა, ისე უთხრა:

— საკლასო ოთახში გელოდებით.

ქალი მიუჯდა მელნით მოსვრილ მაგიდას, რვეული გადაშალა და ფანქარს წვერი წაუთალა. იგი იცდიდა, ამჯერად დიდხანს არ მოუხდა ლოდინი: როგორც იქნა, ონაპარი შემოვიდა; ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და მხრებაწურული მძიმედ ქშინავდა.

ეპილოგი

— როგორც ვითხარით, ქალბატონო გარუსტ, უკვე ორი დღეა ოგიუსტინას ხორცი არ წაუღია ჩემგან. მან დაიტრაბახა, მადმუაზელი შიმშილით

ამოხდის სულს ონავარს და ნადირივით მოათვინიერებსო.

— ნადირივითო? რას ამბობთ, ლუკროკი!? წარმოგიდგენიათ, ბატონმა რომაზილმა წამოსვლაც არ იკადრა!

— იპ, როცა იგი გარეულ მტრედებზე ნადირობს, ჩვენი ონავარი/ნაკუწ-ნაკუწადაც რომ აქნან, მამამისი ყურსაც არ გაიბერტყავს. ~~ეკრქი დაეჭვებო~~ სეგონდმა, — ჩქარა წავიდეთ, ვინ იცის, იქნებ ამ წუთს ~~ტყემა~~ ჩხრდეს! სულს...

— მე მოწმედ გამოგყვებით, — განაცხადა ქალბატონმა გოდრანმა, — თქვენც ხომ წამოხვალთ, ბატონო ლუკროკი?

— ახლავე გამოგყვებით, ოლონდ წინსაფარს მოვიხსნი.

ქალბატონმა გოდრანმა ურჩია, მანქანა ლუქნის წინ დაეტოვოთო.

— თორემ მანქანის ხმაურზე ის ქალბატონი მიხვდება, მოვიდნენო და დანაშაულზე ვეღარ ჩავავლებთ.

რატუშის კოშკის საათმა პირველი დაჰკრა.

სამივე ქალი და ლუკროკი რომაზილების სახლისკენ ფეხით გაემართნენ. ქალბატონი გარუსტი ხენეშა-ქშენით ძლივს მისდევდა რაზმის მთავარ ნაწილს. ჩიხში გამავალი ფარული კარით შევიდნენ სახლში. დინგოს არ დაუყუფია, ისე შეეგება მოსულებს, ოლონდ სეგონდის დანახვისას სიხარულით აცმუკდა.

— ოო, შენც აქა ხარ, შე საწყალო? რა იყო, თათი რათა გაქვს შეხვეწილი? გტკივა? შენც გაწვალებენ ჩემო საცოდაო ძაღლუკა?

— გაჩუმდით, სეგონდ! — მიუბრუნდა გალანტერიით მოვაჭრე, — მადამუაზელი გაიგონებს და დაფრთხება!

რაზმი ფეხაკრეფით შევიდა ვესტიბიულში. სასტუმრო ოთახიდან მუსიკის ხმა ისმოდა.

— რა თქმა უნდა, ის ქალი უკრავს!.. ბიჭს სარდაფში ჩაკეტავდა, თვითონ კი თავს იქცევს ალბათ!

— ნუთუ სარდაფში ჩაკეტავდა, ქალბატონო გოდრან? — დაიკვნესა მოხუცმა დიდედამ.

სასადილო ოთახის კარი ღია დახვდათ. შიგ ფრთხილად შეიხედეს, სუფრა არ აელაგებინათ.

— ხომ ხედავთ, სუფრა ორი სულისთვისაა გაწყობილი! — წაიჩურჩულა ლუკროკმა.

— ტორტი და კომპოტიც მიურთმევიათ, — დაუმატა სეგონდმა, — თეფშებს დახედეთ!

— ცხადია, ონავარი მასთან ერთად არ ისადილებდა, — ჩაილაპარაკა ქალბატონმა გოდრანმა, — ჩანს, სტუმრებსაც იწვევს. რა ენაღვლება, რა... დიასახლისი თვითონ ბრძანდება...

მაგრამ ქალბატონმა გარუსტმა ლაქებით დაფარული ხელსახოცი გაშალა:

— არა, ბატონებო, ეს ხელსახოცი ჩემს ონავარს ეკუთვნის. კარგად ვცნობ. ხელსახოცის ასე გაჭუჭყიანება მხოლოდ მას შეუძლია. ენაცვალოს დიდედა! მთელი დეპარტამენტი რომ შემოიაროთ, — აღტყინებით იმეორებდა ქალი. — სხვას ვერავის იპოვით, ხელსახოცებს ასე თხუპნიდეს!

ამასობაში, იმედგაცრუებულმა ქალბატონმა გოდრანმა წინადადება წამოაყენა, ბაღში გავიდეთ და ფანჯრიდან შევიხედოთ სასტუმრო ოთახში რა ხდებაო. ყველანი მას მიჰყვნენ, ფასადის გასწვრივ გაიარეს და ფართოდ გაღებულ, შემინულ კარებს მიადგნენ, დამალვა აღარ დასჭირვებიათ, რადგან

მადმუაზელი ზურგშექცეული იჯდა პიანინოსთან. ხოლო მის გვერდით აკამზე მოკალათებული ონავარი სულგანაბული უსმენდა.

სეგონდმა მაშინვე შეამჩნია, რომ ბავშვს თმა ისე წესიერად ჰქონდა შებ-
ლზე გაყოფილი, როგორც არასოდეს, ხოლო მეზღვაურის ბლუზის საჯელო
გაქათქათებული იყო.

ქალბატონმა გარუსტმა თავი ველარ შეიკავა და წამოიყვირა:

— ჩემო საყვარელო, ჩემო ოქრო!

გაოცებული მასწავლებელი და მოწაფე ერთბაშად შემობრუნდნენ. პირ-
ველად ონავარმა ამოიღო ხმა:

— აქ რა გინდათ? მადმუაზელ, ხედავთ? დაკვრა შეგაწყვეტინეს! განაგ-
რძეთ, მადმუაზელ! აკი დამპირდით...

— ერნესტ, განა ასე უნდა შეხვდეთ დიდუდას და სეგონდს? მიდით, თრი-
ვეს აკოცეთ, სწრაფად!

ბიჭი, მართალია უხალისოდ, მაგრამ მაინც დაემორჩილა. ამასობაში მას-
წავლებელმა კუშტად შეხედა ქალბატონ გარუსტს და ჰკითხა:

— ალბათ რაიმე დაგავიწყდათ და იმიტომ დაბრუნდით!

— გზად შემოვიარეთ... — წაიბუტბუტა მოხუცმა მანდილოსანმა.

— გვინდოდა გვენახა, — მოკრძალებით დაუმატა სეგონდმა.

— ახლავე დავბრუნდებით, — აფუსფუსდა ქალბატონი გარუსტი.

— სანამ ერნესტს დასვენება აქვს, შეგიძლიათ მასთან დარჩეთ. მეცა-
დინეობას ორ საათზე განვაახლებთ.

— ვაიმე! მერედა, მუსიკა? — აწუწუნდა ონავარი.

— სალამოს მოგასმენინებთ, ნააადილეეს. სამაგიეროდ ნაკლებს წავიკი-
თხავთ.

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ „უსახლკაროს“¹ მეორე თავი უნდა დაგვესრულებ-
ინა?

— კეთილი. ცოტა მოგვიანებით დავწვებით... ოღონდ იმ პირობით, თუ
დიდუდას და სეგონდს ალერსიანად მოექცევით! — ხმადაბლა დაუმატა მან.

— ბატონო ლუკროკ, გინდოდათ რამე?

— არაფერი, მადმუაზელ! თუმცა დიახ... მინდოდა მეთქვა, მთელი მილა-
სი გილოცავთ... მე ყველას ვუთხარი, ძალიან ყოჩაღი ქალია და გარეგნობის
მიხედვით არ უნდა იმსჯელოთ-მეთქი მასზე...

ყასაბმა პასუხს არ დაუცადა, ისე გაშორდა იქაურობას. ბაღის ბოლოს
გალანტერიით მოვაჭრე ქალს დაეწია:

— ოლოლო თქვენ! ვერ გამოიცანით!

— ვერ გამოვიცანი?! — გაკაპასდა ქალი, — მაშ, თქვენი აზრით ონავა-
რის ასე ერთბაშად გამოსწორება ბუნებრივია, ხომ? მე კი ვიმეორებთ, ამ
ქალმა ჯადო გაუკეთა. ამაში ვერ გადამარწმუნებთ. აი, ნახავთ, ამ ამბავს კე-
თილი ბოლო არ ექნება! დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა! ჯერ სადა ხართ, ნახავთ
რა ტრაგედიის მოწმე გავხდებით!

— შესაძლებელია, ასეც იყოს, ქალბატონო გოდრან! — კვერი დაუკრა
ლუკროკმა.

1. „უსახლკარო“ — ფრანგი მწერლის, ჰექტორ მალოს (1830-1907) რომანი.



„ჰამლეტის“ ქართული თარგმანები

უილიამ შექსპირის დრამა „ჰამლეტი“ ქართულ ენაზე პირველად 1858 წელს ლავრენტი არდაზიანმა თარგმნა. „ჰამლეტი“ უთარგმნია მეხუთე კლასის მოსწავლეს, მ. ფავლენიშვილს. 1857 წელს, ნ. დადიანს დაუწყო „ჰამლეტის“ თარგმნა, მაგრამ აღარ დაუსრულებია. ანტონ ფურცელაძის მიერ თარგმნილი „ჰამლეტი“ არ გამოქვეყნებულა, სცენაზე დაუდგამთ 1888 წ. თებერვალში. ყველა თარგმანს, რა თქმა უნდა, დიდი წვლილი მიუძღვის როგორც ქართული შექსპირიანას საფუძვლის ჩაყრაში, ასევე ახალი, ქართული მთარგმნელობითი შემოქმედების აღორძინებაში. მაგრამ ეს მაინც მხოლოდ მოხამწადებელი პერიოდი იყო, რასაც სულ მალე, 1888 წ. მაჩაბლის თარგმანი მოჰყვა. მთარგმნელობითი ხელოვნების თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა სწორედ ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი „ჰამლეტი“ და, მასთან ერთად, ამავე პიესის კონსტანტინე გამსახურდიასეული თარგმანის გამოქვეყნებული ნაწილი.

„ჰამლეტის“ ამ ორი თარგმანის თანამიმდევრული შედარებით ვრწმუნდებით, რომ თუმცა ზოგად ლიტერატურულ საკითხებში ივანე მაჩაბელი და კონსტანტინე გამსახურდია არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს — ივანე მაჩაბელი სამოციანელთა გზის გამგრძელებელია და ამავე გზას მიჰყვება კონსტანტინე გამსახურდიაც — მაინც მთარგმნელობით შემოქმედებაში, განსხვავებულ პოზიციებზე დგანან; უფრო სწორად, კონსტანტინე გამსახურდია ცდილობს ახალი გზა გამოძებნოს, ახლებურად თარგმნოს შექსპირის პიესა. მთარგმნელთა განსხვავებული პოზიციები ტრაგედიის დასაწყისშივე ნათლად ჩნდება.

პირველი მოქმედების პირველ სცენაში ჰორაციო პასუხობს გუშაგების შეკითხვას:
Hor. — Friends to this ground.

(ამხანაგები ამ ნიადაგის)
მაჩაბელი თარგმნის:
ჰორაციო — მოუვარენი ვართ.*
ორიგინალის ინტონაცია დაკვირვლია, თარგმანი სხარტია და დედნის აზრს სრულად გადმოსცემს. თუმცა ქართული ფრაზა ინგლისურისაგან, ერთი შეხედვით, საკმაოდ განსხვავდება. კონსტანტინე გამსახურდია ორიგინალთან შედმიწევნით ახლოს მისვლას ცდილობს. მისი თარგმანი —

ჰორაციო — მეგობარნი ამ ნიადაგის.
ზუსტი ასლია დედნისა, მაგრამ მას სისხარტეც აკლია და, რადგან ქართულად არ ითქმის — „ნიადაგის მეგობარი“, ფრაზა ბუნდოვანი ხდება.
იგივე სურათი გვხვდება იქვე, ჰორაციოსა და ბერნარდოს საუბრისას:

Ber. — Say
What! is Horatio there?

Hor. — A piece of him.
ივანე მაჩაბელი აქაც განწყობილების გადმოტანას ესწრაფვის და დიალოგს ქართულად მართავს:

ბერნარდო — ჰორაციო, მგონი, შენა ხარ?
ჰორაციო — მგონი, ისა ვარ.
კონსტანტინე გამსახურდია კვლავ სიტყვასიტყვით თარგმნის:
ბერნ. — სთქვი, ჰორაციო თუ არის აქა?
ჰორ. — ნამუსრევი ვახლავართ მისი.

დავაკვირდეთ — მაჩაბლის თარგმანში სიტყვა Say გამოტოვებულია. გამსახურდიას თარგმანში კი თავის ადგილზეა — „სთქვი“. ჰორაციოს პასუხში „ნამუსრევის“ შემოტანამ

* ამ ფრაზის თარგმანზე მიუთითებს ვახტანგ ჭელიძე, წერილში „შექსპირის ქართული თარგმანები“.

გამსახურდიასეული თარგმანი აშკარად დააზარალა. დააზარალა უპირველეს ყოვლით იმითომ, რომ ქართული ენისათვის უცხოა გამოთქმა „მისი ნამუსრევი“ და, გარდა ხელოვნურობისა, დიალოგში ბუნდოვანებაც შეაქვს.

ამ ადგილის თარგმანის შესახებ, თავის წერილში „თარგმნის პრობლემები“, მიუთითებს ვახტანგ ჭელიძე. იგი წერს:

„Я за него“ — თარგმნის შორისგვი.

„Да, в некотором роде“, — ეს პასტერნაკისეული ფრაზაა, და რუსულსა და ქართულს შორის მარჯობის თარგმანს უახლოვდება.

„Кусок его“, — ეს ლოზინსკია“.

ეს უკანასკნელი კი ვფიქრობ, გამსახურდიასეულ ვარიანტს ეხმაურება.

ცხადია, რომ ივანე მაჩაბელი და ბორის პასტერნაკი დაახლოებით ერთ პოზიციაზე დგანან, როცა ორიგინალის განწყობილების გადმოტანას, შესაბამისი სურათის შექმნას ესწრაფვიან ქართულ და რუსულ ენებზე; ასევე დაახლოებით ერთ პრინციპს მიჰყვებიან ლოზინსკი და კონსტანტინე გამსახურდია, როცა ცდილობენ ზუსტად, თითქმის სიტყვასიტყვით გადმოიტანონ ორიგინალის ფრაზა.

ალსანიშნავია, რომ კონსტანტინე გამსახურდიასათვის ორიგინალისადმი ბრძად დამონება ხულაც არ არის თვითმიზანი, იგიც თარგმანის სიცხადესა და ქართველი მკითხველისათვის გასაგებად გადმოტანას ცდილობს, მაგრამ სხვა პრინციპით, მაჩაბლისაგან განსხვავებული მეთოდით. მარცელუსის სიტყვებს —

Mar. — What! has this thing appear'd again tonight?

მაჩაბელი ამგვარად თარგმნის:

მარცელუს — წუნანდელსავით ხომ აღარას გამოუვლია?

თარგმანი სიტყვასიტყვით და განსაკუთრებით ინტონაციით ორიგინალის შესატყვისია; მკითხველისათვის ჭერ კიდევ უცნობია, თუ რა უნდა ენახათ, რას უნდა გამოევედო, ეს მხოლოდ ბერნარდომ და მარცელუსმა იციან. ასეა ორიგინალში, ასევე გადმოაქვს ივანე მაჩაბელს. კონსტანტინე გამსახურდია კი აქვე ხსნის დაფარულს:

მარც. — რაო? ხელახლა ხომ არ ნახეთ ჩვენება იგი?

„ჩვენება იგი“ ორიგინალში არ არის და შეხადლოა გამსახურდიამ მკითხველის დაბნევის თავიდან ასაცილებლად შემოიტანა, თუმცა ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ფრაზა საზომის გასამართავად დასჭირდა; მით უმეტეს, რომ ამგვარ მაგალითს სხვაგანაც ვხვდებით. აჩრდილის ხილვის შემდეგ შორაციო გოცებას ვერ მალავს და შეგობრებს ეუბნება, რომ სწორედ ასეთი იყო დანიელთა მეფე:

Hor. — As thou art to thyself:

Such was the very armour he had on
When he the ambitious Norway combated;
So frown'd he once in an angry parle,
He smote the shedded Polacks on the ice.

ამ ადგილის მაჩაბლისეული თარგმანი ასეთია:

შორაციო — ისე, როგორც შენ შენს თავს ჰგავხარ,
სწორედ მაგგვარის ჯაჭვ-ჯავშანით მორთული იყო,
როს დაამარცხა თავგასული ნორვეგიელი;
სწორედ მაგგვარად ჰქონდა მასაც წარბი შეკრული,
როს პოლონელი მარტოდმარტომ ყინულზედ დასცა.

ქართული ტექსტი ოდნავ სცილდება ორიგინალს — „მარტოდმარტო“ ორიგინალში არ არის, Polacks — პოლონელებია და არა „პოლონელი“. smote — განადგურებას, დარბევას ნიშნავს, combat — კი შებრძოლებას; მაჩაბელი თარგმნის — „დასცა“ და „დაამარცხა“, რითაც, რა თქმა უნდა, ოდნავ ცვლის ტექსტს. მაგრამ სამაგიეროდ შესანიშნავ ვარიანტს გვთავაზობს; იგი თავისებურ ინტერპრეტაციას მიმართავს, მაგრამ ეს ინტერპრეტაცია ორიგინალიდან გამომდინარეობს.

კონსტანტინე გამსახურდია დედნის ერთგულებას ესწრაფვის, მაგრამ ლექსი მეტისმეტ ერთგულების ნებას არ აძლევს და ისიც თითქმის იმდენად შორდება დედანს, რამდენადაც მაჩაბელი —

შორ. — ისე, როგორც შენ მიაგავხარ საკუთარ თავსა.

სწორედ ეგეთი თორი ეცვა, როგორც მაშინ,
როდესაც მეფე დაეძგერა ნორვეგთა ბატონს.
პირქუში, მწყრალი, ისეთივე, როგორმაც ერთხელ
ყინულზე დასცა გულზეიადი მეფე პოლაკთა!



ამ ვარიანტის მესამე ხტრიქონი: „როდესაც მეფე დაეძგერა ნორვეგთა ბატონს“ ორიგინალთან თითქოს ახლოს მიდის, მაგრამ დედანში არსადაა არც „მეფე“, არც „ბატონი“, ხოლო სიტყვა „პოლაკთა“ აშკარად საზომის მოთხოვნილებითაა ჩასმული, თუმცა კონსტანტინე გამსახურდია ამ სიტყვის ხმატებას. სქოლიოში, ასე განმარტავს: „შექსპირი პოლონელს უწოდებს პოლაკს“. კონსტანტინე გამსახურდია ცდილობს ინგლისურ შორისდებულებსაც ქართული შესატყვისები მოუძებნოს. იმავე სცენაში ჰორაციო ამბობს:

Hor. – Tush, tush! 't will not appear.

(ფუი, ფუი! ის არ გამოჩნდება.)

ნიუანსობრივი თარგმანისას „ფუი, ფუის“ გადმოტანა ინტონაციურ რღვევას გამოიწვევდა, რადგან ქართულში „ფუი“ დაცინვას ან ზიზღს გამოხატავს, ხოლო ჰორაციო ამ შემთხვევაში კი არ დასცინის თავის მეგობრებს, ოდნავ სკეპტიკურად არის განწყობილი, თუმცა არც მთლად ურწმუნოა, რადგან სულ რომ არ სჭეროდეს, არც სადარაჯოდ გამოვიდოდა. მაჩაბელმა შორისდებულები ამოაგდო. მაგრამ სწორ ინტონაციას მიაგნო:

ჰორაციო — ნეტა რას ამბობთ, აბა ეგ რა დასაჭერია?

ეს სკეპსისგარეული წინააღმდეგობაა, რაც აჩრდილის გამოჩენისთანავე ქრება.

კონსტანტინე გამსახურდიამ შორისდებულების თარგმნა სცადა:

ჰორ. — ჰაი, ჰაი, იგი არ მოვა...

„ჰაი, ჰაი, მეტისმეტად ქართული გამოთქმაა, თანაც უფრო აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება; მისი შემოტანა თარგმანში მაშინ იქნებოდა გამართლებული, შექსპირის გმირი ინგლისის რომელიმე დიალექტზე რომ ლაპარაკობდეს.

„მამლეტის“ ამ ორი თარგმანის შედარებისას განსაკუთრებული ყურადღება იდიომებს უნდა მიექცეს. რადგან „შემოქმედებითი მეთოდი“ სწორედ აქ იჩენს თავს ყველაზე ხშირად. ინგლისური გამოთქმა ყოველთვის ვერ შეიცვლება ქართული შესატყვისით, მაგრამ გარკვეული წონასწორობა მაინც უნდა დაიცვას მთარგმნელმა. წონასწორობის დაცვა კი უპირველეს ყოვლისა თარგმანის მაღალმხატვრულობას გულისხმობს. მთარგმნელს შესაძლოა ზოგან სტილისტური თავისებურებების გვერდის ავლაც კი მოუხდეს, მაგრამ მის მიერ შექმნილი სურათი, ხატი იმავე, ან თითქმის იმავე მხატვრული ძალისა უნდა იყოს, როგორც ორიგინალშია. ამ შემთხვევაში მთარგმნელი ერთგვარ რისკზეც მიდის, რადგან აზრისა და განწყობის დაკარგვის საშიშროება ემუქრება, ამიტომ იგი გაბედულადაც უნდა არჩევდეს ახალ, თავისი ენისათვის დამახასიათებელ იდიომას თუ მეტაფორას და ამასთან ერთად დედნის იდიომებისა თუ ტროპების ნიუანსებსაც ითვალისწინებდეს.

პირველ მოქმედებაში ბერნარდო ცდილობს დაარწმუნოს ჰორაციო, რომ აჩრდილი მართლაც არსებობს:

Ber — Sit down awhile
And let us once again assail your ears,
That are so fortified against our story,
What we two nigths have seen.

ორიგინალის assail... ears ურებზე თავდასხმას, იერიშის მიტანას ნიშნავს, რასაც მაჩაბელმა ქართული „ყურის მიგდება“ შეუნაცვლა:

ბერნარდო — მოდი აქ დაჯექ. მოთმინებით მოგვიგდე ყური;
თუმც არ ენდობი ჩვენსა ნათქვამს, მაგრამ მაინც კი
უნდა გაიშობოთ, რაც ორ ღამეს ამბავი ვნახეთ.

კონსტანტინე გამსახურდია კვლავ ორიგინალს მიჰყვება და კვლავ ქართულისათვის უცხო გამოთქმა შემოაქვს:

ბერნ. — დასხედით ერთხანს და იერიშს მივიტან ისევ
მე თქვენს ყურებზე, რომელნიც თქვენ დახშეთ ანაზღად
იმის სასმენად, რაც ორ ღამეს აქ ვნახეთ ორგზის.

„ყურებზე იერიშის მიტანა“ ზუსტი თარგმანია დედნის assail... ears-ისა, მაგრამ ქართულად არაბუნებრივად იხმის. გარდა ამისა აქ სხვა რამეცაა ბუნდოვანი: თუ ვიფიქრებთ, რომ ბერნარდო „თქვენობით“ მიმართავს ჰორაციოს, აშკარა შეუთავსებლობა გამოდის, რადგან კონს-

ტანტინე გამსახურდიას თარგმანის სხვა დიალოგებში ჰორაციო, ბერნარდო და მარცელუსი ერთმანეთს „შენობით“ ესაუბრებიან; ერთი შეხედვით კი ისე ჩანს, თითქოს ბერნარდო ორივეს დარწმუნებას ცდილობს, ჰორაციოსასაც და მარცელუსისასაც; ორიგინალში კი ბერნარდო მხოლოდ ჰორაციოს მიმართავს, თანაც მიმართავს არა მარტო თავისი სახელით, არამედ მარცელუსსაც იმოწმებს — „let us“ (ნება მოგვეცი).

ამგვარი ბუნდოვანება კონსტანტინე გამსახურდიას თარგმანში სხვაგვარად გვხვდება; იმავე სცენაში ჰორაციო თავის მეგობრებს დანიელთა და ნორვეგთა მეფეებს შრომლის ამბავს მოუთხრობს:

Hor. — in which our valiant Hamlet.
For so this side of our known world esteem'd him,
Did slay this Fortinbras;

იგი ამბობს, რომ ბრძოლაში საქვეყნოდ სახელგანთქმულმა მეფე ჰამლეტმა მოჰკლა ნორვეგთა მეფე ფორტინბრასი.

აქ მაჩაბლის თარგმანს წუნი არ დაეძებნება:

ჰორაციო —

იმ ომში მოკლა ფორტინბრასი ჩვენმა ხელმწიფემ,
რომელს საბელი ვაჟკაცობის განთქმული ჰქონდა.

თუმცა კი „ჩვენს მამაც ჰამლეტს“, „ჩვენს ხელმწიფედ“ თარგმნის, მაგრამ ამით თარგმანს ღირსება არ აკლდება.

კონსტანტინე გამსახურდიას თარგმანი კვლავ სიმძიმეშეპარულია:

ჰორ. —.....

მერმე ის იყო, უფლისწულმა ჩვენმა ჰამლეტმა,
მთელს ქვეყანაზედ სიმამაცით სახელგანთქმულმა,
მოჰკლა ფორტინბრასი;

მაგრამ სიმძიმე მთავარი ნაკლი არაა; აქ ნახსენებია სიტყვა „უფლისწული“. რაც ორიგინალში არ არის და არც უნდა იყოს, რადგან ჰორაციოს სიტყვები ეხება არა ცოცხალ ჰამლეტს (შვილს), არამედ გარდაცვლილ ჰამლეტს (მამას).

კონსტანტინე გამსახურდიას თარგმანი დასრულებული არაა და ამიტომაც მისი კომპლექსური შესწავლა და ნაკლისა თუ ღირსების აწონა მიზნად არ დამისაბავს. უურადღებას მივაქცევ მხოლოდ იმ მხარეს თარგმანისა, სადაც მთარგმნელის პოზიცია ჩნდება, მისი პრინციპი ვლინდება. უკვე აღინიშნა, რომ მაჩაბელთან თარგმანის ტექსტის გარეგნული სიზუსტე დედნის მხატვრული დონის და განწყობის შესაბამისად გადმოტანაზეა დამოკიდებული; კონსტანტინე გამსახურდია კი ინგლისური ფრაზების მეტ ერთგულებას იჩენს, ცდილობს კვალდაკვალ მიჰყვეს მას, რაც არცთუ იშვიათად უფრო აცილებს დედნის აზრსა და ინტონაციას:

Hor. — a mote it is trouble the minds eye
In the most high and palmy state of Rome
A little ere the mightest Julius fell
The graves stood tenantless and sheeted dead..

მაჩაბლის თარგმანი ამ შემთხვევაშიც მაღალმხატვრულია:

ჰორაციო — გონების თვალის შესაზარად ეს მოგვევლინა:
როდესაც რომი მბრძანებლობდა მთელს ქვეყანაზედ,
ყოველად ძლიერის დიდ კეისრის სიკვდილის დღის წინ
მკვდარნი საფლავით ამოვიდნენ შესუდრულები...

ამ ნაწყვეტის ორიგინალთან შედარებისას ვხედავთ, რომ პირველი სტრიქონიდან mote ამოვარდნილია, რაც „მტვრის ნამცეცხს“ ნიშნავს, ხოლო მეორე სტრიქონი მთლიანად შეცვლილია და სიტყვიერი საბურველის ნაცვლად აზრია გაშიფრული და გადმოტანილი — In the most high and palmy state of Rome — (ყველაზე მაღალ და ბრწყინვალე სამეფო რომში) — „როდესაც რომი მბრძანებლობდა მთელს ქვეყანაზედ“.

კონსტანტინე გამსახურდიამ „მტვრის ნამცეცხი“ დატოვა და მეორე სტრიქონიც სიტყვა-სიტყვით გადმოიტანა:

ჰორაციო — მტვრის ნამცეცხევი იგი ბინდავს თვალს გონებისას,
ოდესლაც მაღალ და პალმებით შემკულ ქალაქში,
რომშიც ეს მოხდა იმ დღეებში, როს დიდებული
დიდი კეზარი დაიღუპა; დაცალიერდნენ...

სიტყვა *Palmy* — ინგლისურად „პალმებით მოთულისა“ ნიშნავს და „ბრწყინვალესა“.
კონსტანტინე გამსახურდიამ პირველი ვარიანტი არჩია და ვფიქრობ დასცილდა ორიგინალს,
რადგან ჰორაციოს აქ პალმები სულაც არ უნდა აინტერესებდეს, იგი უფრო დრდებულებას
უხვამს ხაზს.

სხვა შემთხვევაში ამგვარი პოზიცია ძნელად წარმოხატვლი ფრაზის წარმომშობია. ...აჩ-
რდილი გადის, ჰორაციო მარცელუსს უძახის, რომ როგორმე შეაჩეროს მარცელუსი ეკით-
ხება ჰორაციოს:

Mar. — Shall I strike at it with my partisan?

მაჩაბელი თარგმნის:

მარცელუს — მახვილი დავკრა?

კონსტანტინე გამსახურდიას თარგმანი უფრო ვრცელია:

მარც. — შენ როგორ იტყვი, ჰორაციო, ვცე წერაქვცული?

„წერაქვცული“ ალბათ მართლაც ზუსტი შესატყვისია *partisan*-ისა; *partisan* რუსულად
меченард-ს ნიშნავს, ქართულად აფთხ, აფთხი კი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში
(სულხან-საბასთანაც) ასეა კომენტირებული — „მახვილი ბრტყელი და ტარგრძელი“. მაგრამ
ამ შემთხვევაში მისი შემოტანა არაფერს აძლევს თარგმანს, თუნდაც ვივარაუდოთ, რომ აღ-
იტერაციისთვის იყოს გამოყენებული.

„ცან“-ით შექმნილი აღიტერაცია არცთუ კეთილმომავანია. გარდა ამისა, ფრაზა გამოხა-
ტქმელადაც უხერხულია.

უეჭველია, რომ ორი თარგმანის შედარებას მაშინ აქვს აზრი, როცა ორივე დასრულებუ-
ლია: მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი მთარგმნელობით მეთოდებსა თუ პრინციპებზე; და
რადგან კონსტანტინე გამსახურდიამ მხოლოდ პირველი მოქმედება თარგმნა „ჭამლე-
ტისა“, თითქოს მაჩაბელის თარგმანთან არ უნდა შემედარებინა, არც პრინციპი მე-
ხსენებინა და არც შევადარებდი, რომ არ არსებობდეს წერილი კონსტანტინე გამსახურდია-
სი: „უილიამ შექსპირი, „ჭამლეტი — დანიის პრინცი“. თვით კონსტანტინე გამსახურდიას უუ-
ყმანია, როცა ამ წერილის დაბეჭდვას აპირებდა, რადგან წერს: „ქართული საზოგადოებრივი
აზრი უკრიტიკო თაყვანისცემასა ჩვეული, ამიტომ ვშიშობდი: ვაითუ თვით მაჩაბლის რევი-
ზიის მოთხოვნაც მისი ხსოვნისადმი უპატიუცემულობად ჩამომართვან-მეთქი“. „მაჩაბლის რე-
ვიზიას“ რომ აპირებდა, კონსტანტინე გამსახურდიას, უეჭველია, საკუთარი აზრი ექნებოდა
შექსპირის თარგმანის შესახებ და ეს აზრი თუ პოზიცია იმავე წერილში მოჩანს. „ამ გამოცემამ
დამაინტერესა: მინდოდა გამომერკვია, თუ რამდენად ახლო უვლია მაჩაბელს შექსპირის ტექსტ-
თან? სწორედ „ახლოს სიარულია“ კონსტანტინე გამსახურდიას პოზიცია, თუმცა არცთუ გა-
მოყვეთილი და ჩამოყალიბებული შექსპირის თარგმანებში, რადგან მას არც „ჭამლეტი“ დაუ-
სრულებია და არც სხვა პიესა უთარგმნია შექსპირისა, მაგრამ მისი პოზიციის, ერთგვარი
პრონციპის გათვალისწინება აუცილებელია, როცა საქართველოში შექსპირის პიესების თარ-
გმნის ტრადიციას შევხებით.

კონსტანტინე გამსახურდია მაჩაბლის თარგმანის ნაკლად დედნისაგან ხშირ დაცილებას
მიიჩნევს და, რა თქმა უნდა, ამის მიზეზს ეძებს, მას მაჩაბლის თარგმანები გერმანული (შლე-
გელისეულ) და რუსული (ვენგეროვისეულ) თარგმანებისათვის შეუდარებია და იმ დასკვნამდე
მისულა, რომ მაჩაბელი ვენგეროვის თარგმანით სარგებლობდა. ამგვარი დასკ-
ვნის საბუთად იგი აცხადებს, რომ მაჩაბლის „აჩრდილი“ ვენგეროვის *теня*-ს შესატყვისება
და არა შლეგელისეულ *Geist*-ს. მაგრამ გერმანული და რუსული თარგმანების მოხშობა ზედმეტი
უნდა იყოს, რადგან მაჩაბელმა ჩინებულად იცოდა ინგლისური ენა, ეს ცნობილი ფაქტია, გა-
რდა ამისა მას მიწერ-მოწერა ბქონდა ცნობილ შექსპიროლოგებთან. მათი დახმარებით ცდი-
ლობდა ზუსტად ჩახწვდომოდა დედნის აზრს; საფიქრებელია, რომ მაჩაბელი რუსულ და გე-
რმანულ თარგმანებს გამოიყენებდა, მაგრამ იგი ინგლისურიდან თარგმნიდა. არც „სულია“ ინგ-
ლისური *ghost*-ის ერთადერთი შესატყვისი, კონსტანტინე გამსახურდია წერს: „Enters Ghost“.
(შემოდის სული) მაჩაბლის თარგმანის მე-9 გვერდზე ვკითხულობთ „შემოდის აჩრდილი“...
სული და აჩრდილი ხომ სხვადასხვა ცნებებია“. ამ სიტყვას (*Ghost*) კი რამდენიმე მნიშვნელობა
აქვს: *ghost* — 1. ПРИВИДЕНИЕ, призрак; дух; 2. душа, дух; 3. тень, легкий след
(чего-л.).

ასევე მრავალმნიშვნელოვანია ქართული სიტყვა „აჩრდილი“. დავიმოწმოთ „ქართული
ენის განმარტებითი ლექსიკონი“. „აჩრდილი — მოჩვენება, ლანდი, 2. იგივეა, რაც ჩრდი-
ლი. 3. გადატ. ანარქელი, გამოყრთომა რაიმე გრძნობისა. მაშასადამე, ის აზრი, რომ „სული“
Ghost-ის ერთადერთ შესატყვისად მივიჩნიოთ, მიუღებელია, რადგან ამ მრავალ მნიშვნელო-

ბათაგან, რაც ინგლისურ Ghost და ქართულ „ჩრდილს“ აქვს, სულ ცოტა, ოთხი ერთმანეთს ემთხვევა.

ვნახოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი, კონსტანტინე გამსახურდიას რომ მოაქვს თავის წერილში; საინტერესოა ჰამლეტის პახუხი დედისადმი:

შოქ. 1 სცენა II;

Ham. — Seems, madam! nay, it is: I know not 'seems'
'Tis not alone my inky cloak, good mother,
Nor customary suits of solemn black,
Nor windy suspiration of forced breath,
No, nor the fruitful river in the eye,
Nor the dejected haviour of the visage,
Together with all forms, modes, shows of grief...



(ი. შ.) — ჰამლეტ — ჩემთვის კი არ სჩანს, იგი არის. მე როდი ვიცი.
ჩენა რას ჰქვიაან: ჩემს გულისტქმას ვერ გამოაჩენს
ვერც ეს მელნისფრად შეღებილი წამოსასხამი,
ვერც მგლოვიარედ წესისამებრ ძაძვბში ჯდომა,
ვერც ქარიშხალებრ აღმოსული კვნესა გულისა,
ვერცა თვალთაგან მომდინარე ცრემლთა წყარონი,
ვერც პირისაზე მწუხარების გამომეტყველი
და სხვა ამგვარი წესი, რიგი, მართებულობა.

(კ. გ.) ჰამლეტი — სჩანს, დედოფალო, მაგრამ არა. არა მწამს ეგ „სჩანს“.
ველარც ეგ ჩემი მოსასხამი მელნისაფერი,
ვერცა სამოსი დათაღხული, სანიადაგო,
ველარც ვარამი ეგოდენა გულს შემომყრელი
ვერცა თვალთაგან დადანილი დელე ცრემლისა,
ვერც სიმძიმლით დაზაფრული სახის ნაკვთები,
დარდის ყოველგვარ ანაგობის გამოვლინება.

კონსტანტინე გამსახურდია წერს: „მაჩაბლის თარგ. მე-18 გვერდზე ხავსებით ზედმეტი სტრიქონია ჩაკერებული: „ჩემს გულისტქმას ვერ აღმოაჩენს“.

თითქოს მართლაც ასეა:

(ი. შ.) ჰამლეტ — ჩემთვის კი არ სჩანს, იგი არის. მე როდი ვიცი.
ჩენა რას ჰქვიაან: ჩემს გულისტქმას ვერ გამოაჩენს...

მაჩაბლის თარგმანში არის ეს, ერთი შეხედვით, ზედმეტი ფრაზა. მაგრამ ის უაზროდ კი არაა ჩაკერებული, ორიგინალში იგულისხმება, ხოლო ქართულ თარგმანში აუცილებელი იყო — სიცხადისათვის. გარდა ამისა, ეს ფრაზა ზედმეტი არაა, ის ჰამლეტის ხიტუვების მერვე სტრიქონშია — That can denote me truly: მაჩაბელმა მას მხოლოდ ადგილი შეუცვალა, რითაც თარგმანი უფრო ემოციური გახდა. აქვე კონსტანტინე გამსახურდია კიდევ ერთ ნაკლს ხედავს: იგი წერს:

„მაჩაბლის მე-18 გვ.
„და სხვა ამგვარი წესი, რიგი, მართებულობა“. (sic) „მართებულობა“? ძლიერ უღაზათო, არაფრის მოქმედი ნეოლოგიზმია. ინგლის. ტაუზ. ტექსტშია: forms, modes, shows of grief. ვთარგმნი ხიტუვახიტუვით: „მწუხარების ყოველივე ჩვეულებით, აღნაგობით, შესახედაობით“.

არ ვიცი „მართებულობა“ მართლაც „უღაზათო ნეოლოგიზმია“ თუ არა, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, მაჩაბლის ვარიანტი უფრო მაღალმხატვრულია, ვიდრე კონსტანტინე გამსახურდიასი. ეს უბრალო შედარებით ხდება ნათელი:

(ი. შ.) „და სხვა ამგვარი წესი, რიგი, მართებულობა“.
(კ. გ.) „დარდის ყოველგვარ ანაგობის გამოვლინება“.

ეურადღება მიაქციეთ, რომ ორიგინალის „/forms, / modes, /show/sof grief/“. გარკვეულ რიტმს ქმნის, რაც მაჩაბლის თარგმანში გადმოდის: /„წესი,/რიგი/მართებულობა,/“. ხოლო კონსტანტინე გამსახურდიას თარგმანში კი იკარგება.

იქვე კონსტანტინე გამსახურდია იწუნებს ჰამლეტის რეპლიკის —

Ham. — [aside] — A little more than kin, and less than kind.

მაჩაბლისეულ თარგმანს:

ჰამლეტ — (თავისთვის) ნათესაობით ახლონი ვართ... სხვაფრივ არ ვიცი.
და აქაც მთავარ ნაკლად დედნიდან დაცილებას უთვლის. მისი ვარიანტი:

ჰამლეტი — ოდნავად მეტი, ვიდრე მოკეთე და მეგობარზე უფრო ნაკლები.
დედნთან უფრო ახლოსაა, აქ თარგმანები არც მხატვრულობით და არც ერთმანეთს, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას თარგმანს ტექსტობრივი სიზუსტე არაფერს მატებს, რადგან ინტონაციურად ვერ არის მთლად ზუსტი. ვფიქრობ, ჰამლეტის სიტყვების ეჭვსა და უწყმანს მაჩაბლის „დაშორებულნი“ თარგმანი უფრო გადმოსცემს, ვიდრე კონსტანტინე გამსახურდიას ზუსტი შეხატუვისი.

უურადღებას მივაქციევ კონსტანტინე გამსახურდიას თარგმანის კიდევ ერთ თავისებურებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ შექსპირის ენის ერთი უმთავრესი ნიშანია ხალხურობა. ეს საერთოდ რენესანსისათვის დამახასიათებელი თვისებაა: შექსპირიც ათავისუფლებს თავის ენას უოველგვარი მოძველებულისა და ზედმეტისაგან. აგი თავისუფლდება ევფუისტური ნაკადისაგანაც, რომელსაც ჯონ ლილიმ დაუდო სათავე („ევფუისი ანუ მახვილგონიერების ანატომია“) და შექსპირის შემოქმედებისთვისაც იყო დამახასიათებელი გარკვეულ ეტაპზე. „ჰამლეტში“ შექსპირი დასცინის ევფუისტურ მეტყველებას, ეს ნათლად ჩანს ჰამლეტისა და ჰორაციოს საუბრიდან ოსრიკთან. აქ შექსპირისა და მაჩაბლის პრინციპები ერთმანეთს თანხვედებიან. მაჩაბელი სხვა იმდროინდელ მოღვაწეებთან ერთად სალიტერატურო ენის რეფორმის მომხრეა. აგი თავის თარგმანებს ცოცხალი სასაუბრო ენით ქმნის, თუმცა კი ქართული ენის დიდ მარაგსა და შესაძლებლობებს იყენებს. უეჭველია, კონსტანტინე გამსახურდიაც მაჩაბლის გზის გამგრძელებელია სალიტერატურო ენის საკითხში, მაგრამ „ჰამლეტის“ მიხეულ თარგმანს მაინც ატყვია მალაფარდოვნებისა და „ევფუისტურობის“ კვალი. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

(ი. მ.) ლაერტ — მშვიდობით, დაო! ჩემი ბარგი ხომალდზედ არის და მეც მზადა ვარ წასასვლელად. მხოლოდ ამის ვთხოვ, როდესაც გზავრსა ზურგის ქარი ჩემკებ ჰგზავნიდეს, თავს ძილს ხუ მისცემ და შენს ამბავს მომაწოდებდე.

(კ. გ.) ლაერტეს — ვაშვარანები უკვე გემზე გატანილია, მშვიდობითა დაო, როს დაჰბერავს მეგზური ქარი, მარქაფა გემი რა ჩამოდგეს, არ დაგეძინოს და მაუწყე შენი ამბავი.

ან კიდევ იქვე:

(ი. მ.) მარტო მთვარეს რომ გადუშალოს ქალმა გულმკერდი, უბიწოებას თვისას იგი მაინც შებღალავს, —

(კ. გ.) უნატიფესიც ქალთა შორის უკვე უხვია, როცა თვით მთვარეს გაუმფლავნებს მშვენებას თვისას.

„ჰამლეტის“ თარგმანი სამართლიანადაა მიჩნეული საუკეთესოდ მაჩაბლის თარგმანებს შორის. ამ თარგმანში ვლინდება უველაზე მეტად მაჩაბლის მთარგმნელობითი ხელოვნება და ოსტატობა. „ჰამლეტის“ მაჩაბლისეული თარგმანი მრავალჯერ განუხილავთ და სათანადოდაცაა შესწავლილი. ძნელია ისეთი მაგალითების დაძებნა, რაც ქართველ მკვლევრებს არ გამოემშუერებინოთ თავის დროზე; მიუხედავად ამისა, თარგმანის ცალკეული ადგილების შედარება მაინც ახალ თავისებურებებს წარმოაჩენს, ახალი კუთხით გვახედებს მაჩაბლის შემოქმედებით სახელოსნოში.

მაჩაბლის მთარგმნელობითი მეთოდის კვლევისას, ტექსტების შედარებისას ორი უმთავრესი თავისებურება გვხვდება თვალში:

1. მაჩაბელი ინარჩუნებს ორიგინალის აზრსაც და განწყობასაც — სადაც კი ეს შესაძლებელია; რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, თარგმანის მხატვრულ-ემოციური ძალა ორიგინალის მხატვრულობას ეხმიანება.

2. სადაც ეს არ ხერხდება, მაჩაბელი ოდნავ სცილდება ტექსტს და აზრი თუ განწყობა გადმოაქვს ზუსტად; საინტერესოა, აკლდება თუ არა ამ შემთხვევაში მხატვრულობა თარ-

გმანს, სრულიად განსხვავებული, ორიგინალისათვის მიუღებელი ხატი ზომ არ შემოაქვს მთარგმნელს?

ვნახოთ მაგალითები. სადაც მაჩაბელი ტექსტსაც ინარჩუნებს, აზრსაც და განწყობასაც. მოკმ. II სცენა II. პირველი მსახიობი მონოლოგს კითხულობს:



And never did the Cyclops' hammers fall
On Mars's armour, forged for proof eterne
With less remorse than Pyrrhus' bleeding sword
Now falls on Priam.
Out, out, thou strumpet fortune! All you gods
In general synod, take away her power
Break all the spokes and fellies from her wheel
And bowl the round nave down the hill of heaven
As low as to the fiends!

თარგმანი თითქმის ზედმიწევნით იმეორებს ორიგინალის ტექსტსაც და ინტონაციასაც:

ციკლოპს ჩაქუჩი არ დაუკრავს ისე გულგრილიდ,
როდესაც იგი მარსს უქედდა მტკიცე საჭურველს,
ვით პრიამს ზმალი სისხლიანი დასცა პიროსმა.
ჰოი, შენ ბედო უნამუსო! თჳ, ზეცის ძალნო.
ერთად შეკრბენით და წაართვით მას ძლიერება,
მილეწ-მოლეწეთ მისის ჩარხის სოლი და ფერსო
და მორგვი ზეცით დაუგორეთ თუნდ ქვესკნელამდე.

თარგმანში თითქოს მაინცაა გამოტოვებული დედნის სიტყვები: All you gods In general synod. (თქვენ, ყველა ღმერთო მთავარ სინოდში). მაგრამ ვფიქრობ, ამ ფრაზას მაჩაბლის მიერ მოძებნილი შესატყვისი — „ოჲ, ზეცის ძალნო, ერთად შეკრბენით“, საკმაოდ ეფექტურად ცვლის. დანარჩენი ნაწილი მონოლოგისა ზუსტად არის გადმოტანილი. ამ ნაწივეტის თარგმანის სიზუსტე მართლაც საოცარია, რადგან მთელი რვა-ცხრა სტრიქონი ტროპებითაა დატვირთული და მათი არასწორი ან არაზუსტი ინტერპრეტაციით ტექსტი დიდად დაზარალდებოდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ორი ადგილი: thou strumpet Fortune „ჰოი, შენ ბედო უნამუსო!“ და მონოლოგის ბოლო ხაში სტრიქონის (თარგმანში ორი) ბრწყინვალე თარგმანი:

Break all the spokes and fellies from her wheel,
And bowl the round nave down the hill of heaven
As low as to the fiends!
„მილეწ-მოლეწეთ მისის ჩარხის სოლი და ფერსო
და მორგვი ზეცით დაუგორეთ თუნდ ქვესკნელამდე“.

განსხვავების დანახვა აქაც შეიძლება — ორიგინალის (თვალი, ბორბალი) ქართულ შესატყვისად „ჩარხია“ ნახმარი — მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი განსხვავებაა, რადგან ჩარხი ამ შემთხვევაში იგივეა (ფორმით), რაც ბორბალი (ქართული ჩარხი შეიცავდა ბორბალსაც და ყველა მის ატრიბუტსაც). ერთი სიტყვით, მოყვანილი მაგალითი ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა ინგლისურ და ქართულ გამოთქმებს სიტყვიერი საბურველიც ერთი აქვთ, აზრიც და ინტონაციაც. ამგვარი მაგალითები საკმაოდ გვხვდება „კამლეტის“ მაჩაბლისეულ თარგმანში, განსაკუთრებით ცნობილ მონოლოგებში. ასეთებია: „ბაღი გაუმარგლავი“, „უოფნა? ...არუოფნა?“ „გაბედულდებას მოხაზრება უსუსტებს შუქსა“. ან კიდევ:

No, let the candid tongue lick, absurd pomp,
And crook the pregnant hinges of the knee..
დაშაქრულ ენამ დეე ლოკოს ფუჭი სიმდიდრე,
მუხლისთავეები ზშირის მოყრით შემოიცივითოს...

კიდევ სხვა მაგალითი: კამლეტი უარს ეუბნება დედას, რომ მასთან დაქდეს და წარმოადგენას უყუროს:

Ham. --No, good mother, here's metal more attractive.
კამლეტ — არა, დედაჩემო, აქ უფრო მიმწიდავი ანდამატია.

ან კიდევ, შესანიშნავი მაგალითი:

Guil-No, my lord, rather with choler.

გილდენსტერნი — არა, ბატონო, ნაღველა აეშალა.

აქ choler-ს ორი მნიშვნელობა აქვს, განრისხება და ნაღველის ტკივილი. მაჩაბელმა ორივე მნიშვნელობა შეინარჩუნა; ქართულ ენაზე „ნაღველის აშლა“ ფიზიკურ ტენზიასთან გაშინატავს და სულიერ შეშფოთებასაც.



ამგვარი მაგალითები პროზაულ ადგილებში უფრო ხშირად გვხვდება; ნიმუშად ავიღოთ ჰამლეტის საუბარი პოლონიუსთან:

მოქმ. II სურ. II

Ham. — ...for yourself, sir, should be old as I am, if like a crab you could go backward.

ჰამლეტ — აი, შენთვისაც ადვილია ჩემსავით გაუმაწვილება, თუ კიბოსავით უკან-უკან ფოფხვას დაიწყებ.

აქ მაჩაბელი დაცივნის ეფექტს იმავე საშუალებით აღწევს, რითაც შექსპირი (crab — კიბო, კიბორჩხალა).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ადგილები, სადაც მაჩაბელი არა მარტო ორიგინალის სიტყვიერ საბურველს, აზრსა და განწყობას, არამედ დედნისეულ მუსიკალობასაც ინარჩუნებს:

Ghost.—Murder most foul, as in the best it is; But this most foul, strange, and unnatural.

ჩრდილი — დიდი ცოდვია კაცის მოკვლა, მაგრამ ეს სხვაზედ უარესია, უბუნებო, გასაოცარი.

დააკვირდით ორიგინალის რიტმს — But this most /foul/ strange /and unnatural./ — აქ აღმავალი ინტონაციაა, რაც ყოველ სიტყვაში იმატებს და უმაღლეს წერტილში, ბოლო მარცვალში, ქვევით ეშვება. და რა ბრწყინვალე შესატყვისია „მაგრამ ეს სხვაზედ /უარესია./ უბუნებო /გასაოცარი/“.

უკვე აღვნიშნე, რომ ასეთი ნიმუშები უთუოდ მთარგმნელის ნიჭიერებისა და აგრეთვე, ბედნიერი დამთხვევის წყალობაა; ბუნებრივია, მთელი თარგმანი ასეთი ვერ იქნება. ხშირ შემთხვევაში მთარგმნელს ახალი გამოთქმის ძიება უხდება, რათა დედნის ფრაზა ახალ ენაზე ბუნებრივად გადმოიტანოს. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მთარგმნელს ერთსა და იმავე გვერდზე რამდენიმე სხვადასხვა დაბრკოლება შეხვდეს და ყველა სხვადასხვაგვარად გადალახოს. განსაკუთრებით ძნელია სიტყვათა თამაშის თარგმნა:

Pol — will you walk out of the air, my lord? Ham. — into my grave?*

Out of the air სიტყვასიტყვით ჰაერიდან გასვლას ნიშნავს, აზრი კი შიგნით, შენობაში შესვლაა; რადგან შიგნით შესვლა ქართულში საფლავის ასოციაციას ვერ გამოიწვევდა, მაჩაბელმა „ქვევით ჩაბრძანება“ შემოიტანა და თარგმანის განწყობა შეინარჩუნა:

პოლონიუს — ...ქვევით ჩაბრძანებას ხომ არ ინებებთ, ბატონო ჩემო! ჰამლეტ — საფლავში?

„ჰამლეტის“ მაჩაბლისეულ თარგმანში ამგვარი დაცილებების მაგალითები უფრო ხშირია, ვიდრე შემოადნიშნული სიახლოვისა. ამის მიზეზი ინგლისური და ქართული ენების განსხვავებული ბუნებაა, რის გამოც ინგლისურ გამოხატულებას ქართული ფრაზა იშვიათად შეესატყვისება.

ტიქსტიდან დაცილებებს თუ დავაკვირდებით, ერთი რამ მოგვხვდება თვალში: ზოგან დაცილება არც ისე შესამჩნევია, ზოგან კი მაჩაბელს საჭირო ეფექტის მისაღწევად ტიქსტის ძირფესვიანად შეცვლა უხდება.

ვნახოთ რამდენიმე მაგალითი: მოქმ. I სცენა I.

* ეს მაგალითი მოაქვს ვახტანგ ჯელიძეს, წერილში „შექსპირის ქართული თარგმანები“.

Ham. — He was a man, take him for all in all,...

(ის კაცი იყო, როგორც არ უნდა აგელოთ (ყველაფრით, ყველაფერში). მაჩაბელი თარგმნის:

ჰამლეტ — ის კაცი იყო, ვით შებფერის კაცსა კაცობა...
მოქ. I სცენა IV.



Ham. —
Let me not burst in ignorance; but tell.

(უცოდინრობით ნუ დამღუპავ; მითხარი)

ჰამლეტ — ..

ოპ, მიპასუხე, ნუ მომაკვდენ იკვნეულობით!

II მოქ. II სცენაში დედოფალი ეუბნება პოლონიუსს:

Queen. — More matter, with less art.

(მეტი საქმე, ნაკლები ხელოვნება)

მაჩაბელი თარგმნის:

დედოფალი — სათქმელი სთქვი, ნუ აწვიადებ.

იქვე, პოლონიუსი კითხულობს ჰამლეტის ოფელიასადმი მიწერილ ბარათს და თანაც კომენტარს უკეთებს:

Pol. — ...'beautified' is avile phrase;

(„გამშვენიერებული“ საზიზღარი გამოთქმაა;)

პოლონიუს — .. რა არი აბა — „უშვენიერეს“.

ამ ნიმუშებში მართლაც მცირედი დაცილებია ტექსტთან, რისი მიზეზიც ის უნდა იყოს, რომ აქ უმთავრესად ორიგინალის ავტორისეული გამოთქმებია, წინა პლანზე შექსპირის ოსტატობაა წამოწეული. ამ შემთხვევაში მაჩაბელიც საოცარ ნიჭსა და უნარს იჩენს. მისი ქართული ფრაზა შექსპირის ინგლისურ გამოთქმას არ ჩამოუვარდება. მაგრამ ხშირად, ინგლისური და ქართული ენების განსხვავებული ბუნების გამო, მაჩაბელი მთლიანად ცვლის ტექსტს. რათა აზრი და განწყობა შეინარჩუნოს; ვნახოთ ეს მაგალითებიც:

მოქმ. I სცენა V.

O, horrible! O, horrible! most horrible!

(ო, საშინელება, ო, საშინელება! ყველაზე დიდი საშინელება.) დააკვირდით, აქ ერთი სიტყვაა სამჭერ გამეორებული და აძლიერებას შექსპირი most-ის ჩამატებით აღწევს. Most ზედსართავი სახელის აღმატებით ფორმას აწარმოებს; მთლიანად ცვლის ფრაზას, ამრავალფეროვნებს და აძლიერებს.

სიტყვასიტყვითი თარგმანიდან ცხადი ხდება, რომ ამგვარად ქართულ ფრაზას ვერ გააწყობ, აქ არავითარი აზრი არ არის, ემოციანზე ზომ ლაპარაკი ზედმეტია, ამიტომაც მაჩაბელს მრავალფეროვნებისათვის ორი ახალი, მაგრამ სინონიმური ნიუანსის მქონე სიტყვა შემოაქვს:

ჰოი, საზარო, საშინელო უსჯულოებავ!

ეს სიტყვები (საზარო, საშინელო, უსჯულოებავ) ონდა დალაგებული, რომ მეორე სიტყვა პირველზე უფრო ძლიერია, მესამე — მეორეზე და ამგვარად იზრდება აღშფოთება; გარდა ამისა პირველი სიტყვა (საზარო) სამმარცვლიანია, მეორე — (საშინელო) ოთხმარცვლიანი, მესამე (უსჯულოებავ) ხუთმარცვლიანი, რაც გარკვეულ რიტმს ქმნის და ფრაზის ტონალობის აღმავლობას განაპირობებს.

იქვე გვხვდება ჰამლეტის სიტყვები:

Ham. —
That one may smile, and smile, and be a villain;
At least I'm sure it may be so in Denmark;

(რომ შევანს შეუძლია იცინოს და იცინოს და არამზადა იყოს;

ბოლოს და ბოლოს დარწმუნებული ვარ, რომ დანიაში შეიძლება ასე იყოს).

დედნის გრძელი სინტაქსური კონსტრუქციის ნაცვლად მაჩაბელმა, მოკლე და სხარტი გამოთქმა შემოიტანა:

ჰამლეტი —

რომ ბოროტ კაცი ღიბილი არ გაუჭირდება,
სხვაგან თუ არა, დანიაში ზომ ასე არის!

აღსანიშნავია, რომ ორიგინალში ეს ადგილი პროზაულია, მაჩაბელმა კი ლექსად თარგმნა; ამგვარ თავისუფლებას თვით თარგმანის მაღალმხატვრულობა ამართლებს. ესევე როგორც შემდეგი ფრაზის ბრწყინვალე მაჩაბლისეულ ვარიანტს:

Ham. - There's ne'er a villain dwelling in all Denmark
But he's an arrant knave.

(მთელ დანიაში არ ცხოვრობს ერთი არამწადაც, რომ ის ნამდვილი არამწადა არ იყოს.)

ჰამლეტ — ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის.

უნდა ითქვას, რომ კონსტანტინე გამსახურდია ამ ადგილსაც იწუნებს მაჩაბლის თარგმანში.

„უნდა ითარგმნოს: მთელს დანიაში ვერ იპოვნით ერთ არამწადას, რომ ის გაქნილი არამწადა არ იყოს თავათ“.

იქვე მაჩაბელს სიტყვის შეცვლა უხდება ინტონაციის შეხანარჩუნებლად:

Ham. - Hillo, ho, ho, boy! come bird, come.

(ჰეი, ჰეი, ბიჭო! მოდი, ჩიტო, მოდი)

სიტყვა ჩიტის დატოვება ქართულ თარგმანში დაცინვის, ირონიის განწყობას შექმნიდა. „ბიჭსაც“ დამამცირებელი ელფერი დაჰკრავს: ამიტომ მაჩაბელმა „ბიჭი“ სულ ამოაგდო, ხოლო „ჩიტი“ მიმინოთი შეცვალა:

ჰამლეტ — ჰე, ჰე, აქეთ, აქეთკენ მოდი.

ჩემო მიმინო.

„ჩემო მიმინო“, „ჩემო შევარდენო“, ქართულში გავრცელებული გამოთქმებია და წაქეზების, ქების ელემენტს შეიცავს, რაც დედნის აზრსა და განწყობას ეხმაურება.

II მოქ. II სურათში გილდენსტერნი ეუბნება ჰამლეტს:

Guil. - Happy in that we are not over-happy;

On Fortune's cap we are not very button.

(ბედნიერი ვართ, რომ ძალზე ბედნიერნი არა ვართ, ბედისწერის ქუდზე ღილი არა ვართ.)

მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული კეპიანი ქუდები (cap). ამიტომ ქუდზე დაკრებული ღილი გაუგებარი იქნებოდა მკითხველისათვის; ჩვენს დროში, მართალია, კეპიანი ქუდები უოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება, მაგრამ გამოთქმა — ბედისწერის ქუდზე ღილი ვარო, ჯერ არ შემოსულა ქართულ შეტყველებაში; და თუნდაც შემოვიდეს, ამ ფრაზის მაჩაბლისეულ თარგმანს ღირსეულად ალბათ ვერახოდეს შეცვლის;

გილდენსტერნი —

ბედნიერი ვართ იმით, რომ შეტისშეტად ბედნიერნი არა ვართ

და ბედს მალლა ქოჩრის წვერზედ არ ეაზივართ.

მთარგმნელმა აქ cap (კეპიანი ქუდი) „ქოჩრით“ შეცვალა და ამით, ვფიქრობ, კი არ დასცილდა, პირიქით, უფრო ახლოს მივიდა დედანთან.

ამგვარსავე ცვლილებას ვხედავთ იმავე სცენაში:

Ham. - . . . And your secrecy to the king and queen
moult no feather.

to moult feather „ბუმბულის ცვენას“ ნიშნავს, მაჩაბელმა ესეც შეცვალა, სამაგიეროდ ინტონაციურად ზუსტი ადექვატი მოძებნა:

ჰამლეტ —

მაშინ ხელმწიფისა და დედოფლის მიერ თქვენდა მონდობილ საიდუმლოს ბეწვიც არ შეეშლება.

III მოქმ. I სცენაში ოფელია სწუხს ჰამლეტის ჭკუიდან შემლას, ორიგინალშია:

Oph. - O! what a noble mind is here o'erthrown;

O'erthrown-resp.-overthrown — დამარცხებას, განადგურებას ნიშნავს. ჩვენში არავინ იტყვის — გონება გაუნადგურდაო, სამაგიეროდ გავრცელებულია გამოთქმები, „ჭკუიდან შემლას“, „გონების დაბნელება“... სწორედ ეს უკანასკნელი გამოთქმა გამოიყენა მაჩაბელმა.

ოფელია — ოჰ, რა დიდებულს ჭკვა-გონებას ეწია ბნელი!

აქ ტექსტი მთლიანად შეცვლილია, თუმცა კი იქვე, მეორე სტრიქონში უახლოვდება ორიგინალს:

... The courtier's, soldier's, scholar's eye, tongue, sword.

(ქარისკაცთა, ჯარისკაცთა, სწავლულთა თვალი, ენა, მახვილი.)

...სასახლის თვალსა, ენამკვევრსა, ვაჟკაცობით სრულს...

ამ ორი სტრიქონიდან პირველი დაცილებულია ორიგინალს, მეორე კი ანლოს მადის დედნის ტექსტთან!

ვნახოთ სხვა მაგალითიც: III მოქმ. II სცენა.

P. King. - ...This world is not for aye, nor't is non strange...

(ეს ქვეყანა სამარადისოდ არაა, ამიტომ არც საოცარია)

ქვეყნის, ხოფლის წარმავლობაზე უამრავ ქართულ ხალხურ ლექსში თუ თქმულებაშია ნათქვამი; გვაქვს ლამაზი და ზუსტი სიტყვა ამ შემთხვევისათვის — წუთისოფელი. შექსპირი თითქოს ქართველი კაცის გულში ზის, შემოთმოყვანილ სიტყვებს რომ ამბობს, და მანაბლის თარგმანაც კიდევ ერთხელ ადასტურებს შექსპირის შემოქმედებისა და ქართული ხულის სიანლოვეს. დააკვირდით, ეს ხომ ქეშმარიტად ქართული გამოთქმაა —

აქტიორი-ხელმწიფე — . . .

წუთისოფელი წუთისაა და რად გვიკვირდეს...

შემოთ მოყვანილი იდიომატური გამოთქმებიდან ზოგი თვით შექსპირის მიერაა შექმნილი, ზოგიც ინგლისური ანდაზების სახეცვლილი ვარიანტია. როგორც არაერთხელ აღუნიშნავთ, მანაბელს არც იდიომის გადმოტანა უჭირს და არც ინგლისური ანდაზისათვის ქართულის შენაცვლება, იმავე სცენაში მამლეტი ამბობს:

Let the galled jade wince, our withers are unwrnuq.

(დაე გადაუვლდეფილმა ჯაგლაგმა იძაგძაგოს. ჩვენი ჯიდაო დაუზიანებელია (ჩვენ არ გვეხება).)

ქართული თარგმანი შედმიწევნით იმეორებს ორიგინალის აზრს, მაგრამ ტექსტი მთლიანადაა შეცვლილი:

...ვისაც ნიორი უჭამია, პირიც იმას დაეწვას.

ქართული ანდაზა სხვაგანაცაა გამოყენებული ამ თარგმანში; იმავე სცენაშია ასეთი მაგალითი:

Ham. - Ay, sir, but While the grass grows; the proverb is something musty.

(ღიახ, სერ, მაგრამ „სანამ ბალახი გაიზრდება“ ეს ანდაზა ცოტა დაობებულია)

მამლეტ — მართალია, მაგრამ იცით, „პავლეს ტყავს გააძრობენ, სანამ....“ ეს ანდაზა ცოტა დაობებულია*

აქაც, რისი ზუსტად თარგმნაც შესაძლებელია, ითარგმნება (ეს ანდაზა ცოტა დაობებულია) და რისიც არა, ინტონაციურად და აზრობრივად თანახმორი ქართული გამოთქმა ენაცვლება. ამასვე ადასტურებს მეფის სიტყვები —

IV მოქმ. V სცენა.

King. - So you shall And where the offence is let the great axe fall.

I pray you, go with me.

great axe დიდი ცულია (ქალათის ცული); მანაბელმა მას „სამართლის ცელი“ შეუნაცვლა, რადგან არც თვით საგანი (ქალათის ცული) და არც გამოთქმა ქართული ყოფისა და ენიხათვის დამახასიათებელი არ ყოფილა —

ხელმწიფე —

ძალიან კარგი;

და რომელიც კი ბრალეული აღმოჩნდეს, იმას სამართლის ცელი, დეე, მოხვდეს, წამოდი ჩემთან.

„მამლეტის“ ივანე მანაბლისეულ თარგმანს თუ დავაკვირდებით — და ეს აქ მოტანილი მაგალითებითაც დასტურდება — ერთი რამ უეჭველად ცხადი გახდება ჩვენთვის: ინგლისური ტექსტის თარგმანისას მთარგმნელისთვის ერთხელ დაკანონებული გზა არ არსებობს. იგი ფეხდაფეხ მიხდევს ორიგინალს, სცილდება მას, ან ოდნავ ცვლის ორიგინალის გამოთქმას თავისი ენიხათვის ბუნებრივი ფრაზით, შლის, ავრცობს თარგმანს, სხარტად და ლაკონურად გადმოაქვს ორიგინალის შედარებით ვრცელი ადგილი, ცვლის ორიგინალის სტრიქონთა გან-

* ეს მაგალითი ვახტანგ ჭელიძეს მოაქვს წერილში „შექსპირის ქართული თარგმანები“.

ლაგებას, მაგრამ აუცილებლად ინარჩუნებს ძირითად ტექსტობრივ ქსოვილს და ზოგად სტილისტურ ნიშნებს. მაჩაბლის თარგმანებში სხვადასხვა მთარგმნელობითი ხერხია გამოყენებული და უველა ერთ მიზანს, შექსპირის ნაწარმოების ქართულად აღდგენას ემსახურება. ასეთია „შემოქმედებითი თარგმანის“ ძირითადი პრინციპი. მის ხაილუსტრაციოდ კიდევ ერთ მაგალითს მოვიტან პიესის ბოლო მოქმედების ბოლო სცენიდან:

Hor. - Never believe it; ერმენუნი
ბიზუნიმუსა

I am more an antique Roman than a Dane;
Here's yet some liquor left.

მაჩაბლის თარგმანი —

ჰორაციო — აბა, რას ბრძანებთ, კიდევ დარჩა ამ ფიალაში...

მე ძველს რომაელს უფრო ვგავარ, ვიდრე დანელსა!

თითქმის ზუსტად იმეორებს დედნის ტექსტს, შეცვლილია მხოლოდ სტრიქონთა განლაგება და some liquor — ცოტა წვენის — ნაცვლად არის „ფიალა“. მეორე მაგალითში ჰორაციო ამბობს:

Hor. - Now cracks a noble heart. Good night, sweet prince.

(გახკდა კეთილშობილი გული. ღამე მშვიდობის, ტკბილო პრინცო)

მაჩაბლის თარგმანი კვლავ ახლოა დედანთან აზრობრივად და ინტონაციურად, მაგრამ ტექსტი მთლიანად შეცვლილია:

ჰორაციო — ჩქარა ღამპარა დიდებული მშვიდობით, პრინცო.

ეს სიტყვები ერთი და იგივე გმირის წარმოთქმულია და ტექსტში გვერდიგვერდ დგანან, მაგრამ მათ სათარგმნელად მაჩაბელმა სხვა და სხვა ხერხებს მიმართა: პირველის თარგმანისას ტექსტს გაჰყვა გვერდით, მეორის თარგმანისას კი შეცვალა ტექსტი, მოქნილი ქართული შესატყვისი შეუნაცვლა და აზრიც და განწყობაც შეინარჩუნა. თუმცა ამ ორივე მაგალითს მაინც აქვს საერთო რამ, ეს საერთო კი ამადღებულობაა თარგმანისა, მაღალმხატვრულობა და ორიგინალის მსგავსი ემოციური დონე, რითაც „ჰამლეტის“ მთელი მაჩაბლისეული თარგმანია აღბეჭდილი.





ისტორია და რომანი

(ა. კუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი“)

სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1836 წლის შემოდგომაზე, კუშკინმა დაამთავრა „კაპიტანის ქალიშვილი“ და დაბეჭდვის ნებართვის მისაღებად ცენზურას ჩააბარა. თანაც მაშინვე გაუგზავნა წერილი ცენზორს, ვინმე კორსაკოვს. როგორც დავინახავთ, ამ წერილს კუშკინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა.

„ჩემს რომანს საფუძვლად უდევს კარგა ხნის წინათ გაგონილი ამბავი, თითქოს ოფიცერი, რომელმაც თავის შიშველობას უღალატა და პუგაჩოვის მხარეზე გადავიდა, იმპერატორ ეკატერინეს შეუწყალებია, რადგან მოღალატის ღრმად მოხუცი მამა დედოფალს ეხებებში ჩაევარდნა“.

აქ კუშკინი გულისხმობს ოფიცერ შვანვიჩის თავგადასხვალს.

ოფიცრის მამა ჯანდონიანი, თანაც დიდი შფოთისთავი და შარიანი კაცი ყოფილა. ჭერ კიდევ პეტრე მესამის მეფობის დროს სამიკიტნოში ჩხუბისას ლოყა გაუხეთქეს ალექსეი ორლოვისთვის, ეკატერინე მეორის, პეტრე მესამის ცოლის, საყვარელი ადამიანობის.

როცა ორლოვი სათავეში ჩაუდგა შეთქმულებას, რომელმაც პეტრე მესამე ტახტიდან ჩამოაგდო და იმპერატორად ეკატერინე გამოაცხადა, შვანვიჩმა თავი დაღუპულად ჩათვალა. მაგრამ რაკი ორლოვმა „სახელმწიფოში პირველ ხარისხს“ მიაღწია, ადრინდელი შეურაცხყოფისთვის სამაგიეროს გადახდა აღარ მოისურვა და შვანვიჩის „მეგობრად დარჩა“.

მრავალი წლის შემდეგ შვანვიჩის შვილმა „სულმოკლეობა გამოიჩინა, პუგაჩოვს ეახლა და თავისი სისულელით გულმოდგინედ შეუდგა მასთან სამსახურს.“ ამბობდნენ, რომ სწორედ ალექსეი ორლოვმა, ახლა უკვე გრაფმა და იმპერატორის ყოვლისშემძლე ფავორიტმა — თავისი ყოფილი მტრის, შემდეგ კი მეგობრის შვილისთვის „დედოფალს განაჩენის შერბილება გამოსთხოვა“.

რა არის ამ ანეკდოტში სარწმუნო?

აქანუებულთა მიერ ტყვედ წაყვანილმა შვანვიჩმა პუგაჩოვს ერთგულება შეჰფიცა და მის შტაბში დაიწყო სამსახური. როცა ტახტიშჩევს მისადგომებთან პუგაჩოვი დამარცხდა, შვანვიჩი გაიქცა და ორენბურგში დამალვას შეეცადა. მაგრამ იპოვეს და დაიჭირეს.

ჩამოართვეს ჩინებიც, თავადობაც და ტურუხანის მხარეში, ციმბირის უკუელაზე გადაკარგულ ადგილას გადაასახლეს, სადაც ისე გარდაიცვალა. განაჩენის შერბილებას ვერ მოესწრო.

სადაა „იმპერატორის შეწყალება“? ის შეწყალება, რომელმაც ისე გააოცა კუშკინი, რომ საფუძვლად აც კი დაუდო რომანს. არავითარი შეწყალება არ ყოფილა და, რასაკვირველია, ღრმად მოხუცი მამის დედოფალ ეკატერინე მეორის ფეხებში ჩაევარდნის პათეტიკურ-სენტიმენტალური სცენის შესახებაც სიტყვა არ არის სადმე ნათქვამი.

კუშკინმა შესანიშნავად იცოდა ეს ამბავი, როცა „კაპიტანის ქალიშვილს“ წერდა. მაშ, ასეთი დაბეჭითებით რატომ მიუთითებდა ცენზორის წერილში შეწყალების თქმულებაზე? იმიტომ რომ, როგორც საშხედრო ენაზე იტყოდნენ, ეს „თვალისასახვევი მანევრი“ იყო.

კუშკინი განუმარტავს ცენზორს, მეტიც, უდიჭავს „კაპიტანის ქალიშვილის“ სიუჟეტის არსს, იმოწმებს მითიურ თქმულებას და ცდილობს დაარწმუნოს კორსაკოვი, ვითომც რომანი არსებითად მისი ფინალური ეპიზოდის, მამა მირონოვას ეკატერინე მეორესთან შეხვედრის სცენის გამო იყოს დაწერილი და, მამახადაზე, მიწნად ისანავს. სახელი გაუთქვას მეფეთა გულმონწყალებას და ღმობიერებას. კუშკინი იძულებული იყო, ასეთი განმარტება მიეცა რო-

მანის სიუჟეტისთვის. თორემ სინამდვილეში „კაპიტანის ქალიშვილის“ სიუჟეტი სხვაგვარი იყო. სრულიად სხვაგვარი.



პუშკინს ძალიან აღელვებდა საშინელი ბედი დეკაბრისტებისა, რომელთა რიგებში მისი მეგობრები პუშჩინი, კიუხელბეკერი, რილევი და სხვანი იმყოფებოდნენ და, რომელნიც — პუშკინს ეს ძალიან კარგად ესმოდა — რუსეთის უკეთეს შვილებს, უველაზე თავდადებულ და უველაზე კეთილშობილ ადამიანებს წარმოადგენდნენ.

ამავე დროს, სტეფანე რაზინს რუსეთის ისტორიის უველაზე პოეტურ ფიგურად თვლიდა. რატომ განიცადა კატასტროფა, ერთი მხრივ, თავადაზნაურობის ამბობებამ ზევიდან და მეორე მხრივ, გლენთა აჯანყებამ ქვევიდან? რატომ მოხდა, რომ დაღვრილი სისხლის მიუხედავად, რუსეთის ცხოვრების წესი არ გაუმჯობესებულა? არ შეიძლებოდა დასახულიყო სხვა უფრო სწორი გზა რუსეთის კეთილდღეობისთვის?

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით ასეთი კითხვები წამოიჭრებოდა „კაპიტანის ქალიშვილის“ ავტორის წინაშე, როცა ამ ნაწარმოების შექმნაზე ფიქრობდა.

პუშკინი „კაპიტანის ქალიშვილის“ წერას მაშინ შეუდგა, როცა ადრე დაწყებული რომანი „დუბროვსკი“ ჯერ დამთავრებულიც არ ჰქონდა. შეუძლებელია ამ ორი ჩანაფიქრის მსგავსება შეუმჩნეველი დარჩეს.

„დუბროვსკის“ მთავარი გმირი მთავრობისგან განდგომილი თავადი იყო. გვარი შემამულე დუბროვსკის უმათა აჯანყებაზე (XVIII საუკუნის პირველ ნახევარში) შექმნილი ფსკოვური ლეგენდის მიხედვით დაერქვა. აჯანყების ცეცხლის ჩახაქრობად ჯარისკაცთა რაზმი გააშწენეს. რაზმს შეიარაღებული გლეხები დახვდნენ და მოახსენეს, რომ თავადების განადგურებას „დუბროვსკის“ ბრძანების თანახმად აპირებდნენ.

არსებობს „დუბროვსკის“ კიდევ ერთი ცხოვრებისეული წყარო. მის შესახებ პუშკინის მეგობარმა ა. ვ. ნაშჩოკინმა უამბო ისტორიკოსს ბარტენევს. ხელმოკლე შემამულე ოსტროვსკი თავისმა მეზობელმა, მდიდარმა შემამულემ გადატაკებამდე მიიყვანა. მიწაზე ატეხილი დავის გამო ოსტროვსკი საკუთარი მამულიდან გააძევეს. „გლეხების იმედად დარჩენილმა მათთან ერთად ჯერ მდივნების ძარცვა დაიწყო, ბოლოს სხვებიც მიიყოლა“. ნაშჩოკინს ოსტროვსკი თვითონ უხილავს საპურობილეში.

დაუმთავრებელ რომანში დუბროვსკი სათავეში უდგება უკმაყოფილო გლეხებს, რომელთაც არ სურთ ახალი შემამულის, უჭიათი და სახტიკი ტროეკუროვის შორჩილებაში დარჩენა. დუბროვსკის „უჩაღთა გუნდი“ შარაზე გამოდის და გზად გავლილ შემამულეებს და ჩინოვნიკებს ესხმის თავს.

„კეთილშობილი უჩაღის“ სიუჟეტი მაშინდელ ევროპულ ლიტერატურაში (შილერი, ვალტერ სკოტი) ფართოდ იყო გავრცელებული. დუბროვსკის ამ გზაზე პირადმა შეურაცხყოფამ უბიძგა.

მდიდარმა მეზობელმა შემამულე ტროეკუროვმა მოსამართლეები მოიხყიდა და დუბროვსკის კუთვნილი პაწაწინა მამული მთლიანად დაისაკუთრა.

რატომ არ დაამთავრა პუშკინმა რომანი „კეთილშობილ უჩაღზე“?

„დუბროვსკის“ კონფლიქტის პლაცდარში შედარებით ვიწროა. „კაპიტანის ქალიშვილის“ ჩანაფიქრში, გეგმის პირველსავე მონახაზებში, მოქმედება ფართო ისტორიულ ფონზე იშლება. არა უღრან ტყეში თავშეფარებული და საშოვარისთვის დიდ გზაზე გამოსული ყმები, არამედ მძლავრი აჯანყება კაზაკებისა, ყმებისა, ევროპული რუსეთის აღმოსავლეთი ნაწილის ხალხთა (ჩუვაშების, ბაშკირების, ყირგიზების, თათრების, ყალმუხების) ამბობება, რომელმაც მთელი ტერიტორიის ლამის მესამედი მოიცვა. „კაპიტანის ქალიშვილის“ სიუჟეტური ძიებანი განუყოფელი იყო რუსეთის წარსულისა და აწმყოზე ფიქრთან, შეუნელებელ, გამუდმებულ ზრუნვასთან.

პუშკინი ხელახლა კითხულობს და აანალიზებს რადიშჩევის „მოგზაურობას პეტერბურგიდან მოსკოვს“. ძალიან ახლოს მიდის საუკუნის პრობლემასთან, რომელიც პრივილეგიურ ფენებსა და გლეხებს შორის საშინელი უფსკრულის არსებობაში გამოიხატებოდა (კაზაკობისა და უკიდურესად დაჩაგრულ „არარუსთა“ ჩათვლით).

უფსკრულის სიღრმეში ზშირად აბრიალდებოდა ხოლმე სოციალური აჯანყების ცეცხლი. უოველდღიური, თითქმის ჩვეულებადქცეული ჩაგვრის ნაცარქვეშ ტანჯვისა და შეურაცხყოფის.

ფის ლავა დუღდა და ბორგავდა. დრო და დრო გაბორბტება გარეთ გამოხეტქავდა და აჯან-
ყებად იფეთქებდა. იღვრებოდა ადამიანების სისხლი — მბრძანებლებისა და დამონებულებისა,
ბატონებისა და უმეებისა.

უდიდესი გატაცებით ჩაუჭდა პუშკინი პუგაჩოვშჩინას ისტორიულ მასალებს. გადაქექა
საარქივო დოკუმენტები, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ამის კაცი უნდა ყოფილიყო. ის
ადგილები, სადაც აჯანყება ბობოქრობდა. მოინახულა ნიუნი ნოვგოროდის, ლიპინსკის, ტიბურსკის,
ორენბურგის, ურალსკის: საგულდაგულოდ დაძვითხა იქაური მოხუცები და მათი მონაყოლი
დაწვრილებით ჩაიწერა. გადააქოთა პროვინციის არქივები.

ერთი სიტყვით, ისტორიულ სიმართლეს ძირისძირობამდე ჩაძვდა.
თავიდანვე დიდ ხიძნელეს წააწყდა — პუგაჩოვშჩინა აკრძალული თემა იყო. უკელა სა-
არქივო მასალა, რაც XVIII — საუკუნის გლეხთა აჯანყებას შეეხებოდა, გასაიდუმლოებულიად
იფლავებოდა.

როგორ შეიძლებოდა ამ თითქოსდა გადაულახავი წინააღმდეგობის დაძლევა? პუშკინი ისევ
„შემოვლით მანევრს“ მიმართავს.

მობერბებულიად იყენებს ერთ შემთხვევას. სუვოროვს, შემდეგში უდიდეს მთავარხარ-
დალს, ხოლო იმ დროს ჯერ კიდევ რიგით ოფიცერს, უმნიშვნელო მონაწილეობა მიუღია
პუგაჩოვის აჯანყების ჩაქრობაში. პუშკინი თხოვნით მიმართავს სამხედრო მინისტრს გრაფ
ჩერნიშევს, ღართონ ნება ისარგებლოს „ძვირფასი მასალებით“, რომელიც მთავარი შტაბის
არქივებში ინახება და „გრაფი სუვოროვის ისტორიას“ შეეხება.

პუშკინი თხოვნას საპირო ქაღალდების ნუსხას ურთავს, სადაც ჩამოთვლილია საფრანგე-
თის წინააღმდეგ 1794 და 1799 წლებში წარმოებულ ლაშქრობათა პატაკები და სუვოროვის
ბრძანებები ქარებისადმი.

მაგრამ ნუსხაში პირველ ადგილზეა მოხსენებული „საგამომძიებლო საქმე პუგაჩოვზე“.
უნდა აღინიშნოს, რომ ამ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ წყარომდე პუშკინი მაინც არ
იქნა დაშვებული. „პუგაჩოვის აჯანყების ისტორიის“ წინასიტყვაობაში იგი გულნაკლულად
აღნიშნავდა, ეს დოკუმენტი დღესაც დალუქულიაო.

სამაგიეროდ პუშკინს საშუალება მიეცა გასცნობოდა დანარჩენ მასალას, რაც კი პუ-
გაჩოვშჩინას შეეხებოდა. მან გულმოდგინედ შეისწავლა ყოველი მათგანი, შეადარა ისინი
კერძო პირების ჩანაწერებსა და ჩვენებებს, ზოგი რამ შეიგავს კრილოვისგან შეიტყო: მამა-
შისი ხომ კაპიტანის ჩინით მონაწილეობდა პუგაჩოვის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიაში.
პუშკინის მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ კრილოვის მამა, ნახევრად ლატაკი ოფიცერი, რომ
შელმაც სამხედრო სამსახური ქარიხაცხოვიდან დაიწყო, „კაპიტანის ქალიშვილში“ ბელოგორ-
სკოს ციხე-სიმაგრის კომენდანტის, შირონოვის, მამას მამის პროტოტიპს წარმოადგენს.

პუშკინმა იპოვა პუგაჩოვის თანამედროვე, 76 წლის ბერდელი კაზაკი ქალი. იგი პირადად
იცნობდა „თვითმარქვიას“ და პუშკინს რამდენიმე საინტერესო წვრილმანი შეატყობინა.

„კაპიტანის ქალიშვილი“ პუშკინმა მანამდე ჩაიფიქრა, ვიდრე უტყუარ საარქივო მასალ-
ებს გაეცნობოდა. ამ მასალებმა იმდენად გაიტაცეს მწერალი, რომ რომანის უკვე მოხაზუ-
ლი გეგმა გვერდზე გადადო და „პუგაჩოვის ისტორიის“ წერას შეუდგა (ხანელწოდება „პუ-
გაჩოვის ამბოხების ისტორია“, ავტორის სურვილის წინააღმდეგ, თვით ნიკოლოზ პირველის
ბრძანების თანახმად გაჩნდა).

ისტორიული შრომა საკმაოდ მცირე დროში დაიწერა. მერე პუშკინი ისევ რომანს მიუ-
ბრუნდა.

პუშკინი-ისტორიკოსისა და პუშკინი-რომანისტის შრომები ერთმანეთში გადაიხლართა.
ჩაფიქრებული რომანის გეგმა მკვიდრო კავშირში იყო კვშიარით ფაქტებთან, რეალურ პირთა
ხიოგრაფიებთან.

რომანი ძნელად იწერებოდა.
„პუგაჩოვის ამბოხების ისტორიის“ გამოქვეყნების შემდეგ სახალხო განათლების მინისტ-
ტმა ს. ს. უვაროვმა, პუშკინის დაუძინებელმა მტერმა, დევნა გამოუცხადა მის ისტორიულ
შრომას. მას უწოდა „აღმაშფოთებელი ნაწარმოები“. ანუ ნაწარმოები, რომელიც ირგვლივ
აღშფოთებას თესავდა. ეს ამბავი „კაპიტანის ქალიშვილის“ ცენზურაში ჩაბარებამდე ორი
წლით ადრე მოხდა.

არ შეიძლებაოდა პუშკინს არ შეინებოდა, რომ ამ რომანსაც პოემა „ბრინჯაოს მხედრის“ სავალალო ხვედრი ეწეოდა. პოემა აკრძალული იყო და დღის სინათლე მხოლოდ ავტორის სიკვდილის შემდეგ იხილა.

საბედნიეროდ, უურადღების გადატანის მანევრმა თავისი საქმე გააქურდა. ნებართვა მიღებულ იქნა. „კაპიტანის ქალიშვილი“ პოეტის სიცოცხლეში გამოიცა.

პუშკინის ქალაღდებმა „კაპიტანის ქალიშვილის“ ექვსი გეგმა შემოინახეს. აღნაშენაფია, რომ არც უკანასკნელ გეგმას აქვს ბევრი საერთო რომანის იმ საბესთან, როგორითაც მას დღეს ვიცნობთ.

„კაპიტანის ქალიშვილი“ პუშკინის სიცოცხლის უკანასკნელ წლებშია დაწერილი. მაშინ, როცა პოეტმა სულიერ ძალთა და მხატვრული გენიის სრული გაფურჩქვნის მწვერვალს მი-აღწია. ბოლო რომანზე მუშაობისას იგი უველაზე დიდი რანგის საზოგადოებრივი მოაზროვნის სიმაღლეზე ავიდა.

სწორედ ამიტომ მკითხველს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს ის ფაქტი, რომ პუშკინს ასე ძალიან გაუჭირდა „კაპიტანის ქალიშვილის“ სიუჟეტის შექმნა. ის უმთავრესი და უღრ-მესი აზრი, რომელიც წითელ ზოლად გასდევს ადამიანთა უოველგვარ დამოკიდებულებას, მათ ურთიერთშეჭახებას, მათ ბედ-იღბალს ქალიან ნელა ისახებოდა. მოქმედებათა ქსოვილი სრულყოფილ მთლიანობაში ბიძგებით, ზიგზაგებით ქალიბდებოდა.

რა უნდა მოთხრობილი იყო რომანში? და რა უნდა ეთქვა რომანს? ორ-ივე ამოცანა მხოლოდ ერთ მთლიანობაში უნდა გადაწყვეტილიყო. შევეცადოთ ნაბიჯ-ნაბიჯ გავვეთ და გავარკვიოთ როგორ ლაგდებოდა „კაპიტანის ქალიშვილი“. მაშინ გაგვიადვილ-დება პასუხის გაცემა კითხვაზე: მაინც როგორი იყო რომანის სიუჟეტი? ის სიუჟეტი, რომ-ლის შენიღბვასაც ასეთი რუდუნებით ცდილობდა ავტორი ცენზორისადმი გაგზავნილ წე-რილში.

„დუბროვსკისა“ და „კაპიტანის ქალიშვილის“ სიუჟეტებში პუშკინი თითქოს იმ „ხიდის“ მოსინჯვას ცდილობს, რომელიც დამონებულ ბნელ ხალხსა და განათლებულ ფენებს შორის ხაზადაღებულ უფსკრულზე უნდა გადებულიყო. ამიტომ ასე დაჟინებით სწავლობს და ირ-კვევს გაბატონებული წრიდან უბრალო ხალხის ბანაკში — თუნდაც დროებით — „გადაბიზ-ნულებს“.

რომანის მასალებმა შემოინახეს პუშკინის შენიშვნები პუგაჩოვშჩინას ისტორიის შე-სახებ, რომელნიც დასაბეჭდად არ იყო გათვალისწინებული. სულ ერთია, ცენზურა არ გაუ-შვებდა, მაგრამ ავტორი ვალდებული იყო ხელისუფლებისთვის წარედგინა. ამ შენიშვნებში პუშკინი განსაკუთრებულ უურადღებას უთმობს თავადაზნაურობას, რომელიც პუგაჩოვის მოძრაობას მიეკედლა.

„ჩვენება ზოგიერთი ისტორიკოსისა, — წერდა პოეტი, — რომელნიც ამტკიცებდნენ, თით-ქოს პუგაჩოვის აჯანყებაში არც ერთი თავადი არ უოფილიყოს გარეული, სავსებით მოკლენ-ბულია სიმართლეს. ბევრი ოფიცერი... მხაზურობდა პუგაჩოვის რიგებში...“

„წარჩინებულთა წრიდან იყო შეანვიჩი“, გრენადერთა შეორე პოლკის პოდპორუჩიკი. დატყვევებული შეანვიჩი თვითმარქვიას ფეხებში ჩაუფარდა და ერთგული სამსახური შეჰფიცა. ამიტომ იქნა შეწყნარებული.

პუგაჩოვმა ატამანობა მიანიჭა მას, ნაწნავი შეაქრევინა (ოფიცრის წოდების ნიშანი) და „საატამანოსთვის კუთვნილი გლეხობა და სხვა წოდების ხალხი“ უბოძა.

შეანვიჩი ადგენდა და ალუაშემორტყმულ ორენბურგში აგზავნიდა რუსულ და გერმანულ ენებზე დაწერილ „დიდტიტულიან წერილებს და ბარბაროსულ მანიფესტებს“ (ანუ მეფის სახელით დაწერილებს). დაე, მკითხველი ნუ გაიოცებს, რომ შეანვიჩი გერმანულ მანიფესტ-ებსაც ადგენდა. უმაღლეს სამოქალაქო და სამხედრო უფროსთა წრეში უამრავი გერმანელი იყო, რახაც დასაბამი ჭერ კიდევ პეტრე პირველის ბელმწიფობისას დაედო და მისი შემ-კვიდრეობის დროს უფრო მეტად გავრცელდა.

„კაპიტანის ქალიშვილის“ ექვსი გეგმიდან სამში მთავარ გმირად შეანვიჩი გვევლინება. დედაქალაქელი ოფიცერი, შორეულ სიმაგრეში „დაუმორჩილებლობისთვის“ გაგზავნი-ლი. იგი შემოსილია ქირვეული, უფროსებთან შეუგუებელი კაცის რომანტიკული შარავანდე-დით.

აქტიური ბუნების პატრონი პუგაჩოვს რევედ კი არ უვარდებდა, არამედ „სიმაგრეს გა-დასცემს“ — და მისი „თანამშრობველი ხლებს“. შეთაურობს აჯანყებულთა რაზმს, „თავისი

განაყოფი“ ნიჟნი ნოვგოროდში შექმავს, „სათავში უღგება ავაზაკთა ბანდას“, რითაც ლუბროვსკის მოგვაგონებს.

პირველსავე გეგმებში ინაკვთება სასიყვარულო სიუჟეტის ხაზები: ჩნდება მარია ალ-ის სახელი. შვანვიჩი მის დამცველად გვევლინება, რაც, რაღა თქმა უნდა, ბუნებრივია რომანის გმირისთვის. „ცხადდება მარია ალ-თან, — გადარჩენს მთელ ოჯახს და სხვებსაც“ იბადება სიუჟეტური შენობის ცალკეული „აგურები“. ისინი ერთმანეთში ირვევან, ეტყობათ სხვადასხვაგვარად უთავსდებიან, მერე იყრებიან, ისევ ბრუნდებიან, შეცვლენ, ხანდახან შეუცნობელი სახით და ა. შ. „დაჩრდილული ადგილებიდან“ — როგორც კინემატოგრაფისტები იტყვიან, — ავტორის წარმოსახვაში ცოცხლდებიან ცალკეული მონაკვეთები, ჩნდებიან მოძრაობის ცალკეული რგოლები.

და ვიდრე ეს უველაფერი კარგად მოფიქრებულ, მწყობრ და ნათელ მთლიანობაში ჩამოიქნება, კიდევ ბევრი შრომა და დაძაბული ძიება იქნება საჭირო.

— 4 —

სამჭერ იღებს „სასინჯად“ შვანვიჩის სიუჟეტს პუშკინი და ბოლოს და ბოლოს მაინც უარყოფს.

პოეტი უარს ამბობს დადებით გმირად გამოიყვანოს თავადი, რომელიც პუგაჩოვის ბანაკში გადავიდა. ეს უარი ღრმა და სერიოზული მიზეზებითაა გამოწვეული.

პუშკინი არ თანაუგრძნობდა ისეთ ადამიანებს, როგორც შვანვიჩია. მას აშინებდა გლეხთა აჯანყება. „ღმერთმა დაგვიფაროს რუსული აჯანყების, უაზრო და დაუზოგველი აჯანყების ბილვისაგან“, — ამბობს რომანის ახალგაზრდა გმირი და ასევე ფიქრობს პუშკინიც.

ნუ ავრქარდებით, ნუ გავასამართლებთ ამ აზრისთვის პუშკინს. აქ მოყვანილი სიტყვები ციტირებულია, და თანაც თანაგრძნობითაა ციტირებული არა ვინმე სხვისი, არამედ თვით ვ. ი. ლენინის მიერ.

„ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტში“, რომელიც 1899 წელს, „კაპიტანის ქალიშვილის“ გამოქვეყნებიდან სამოცზე მეტი წლის შემდეგ დაიწერა, ლენინი აღიარებდა რევოლუციური ელემენტების არსებობას და, ამასთან ერთად, გლეხობის სიბნელესა და პოლიტიკურ სიბეცეზე მიაჩნებდა. ყოველივე აქედან გამომყავდა დასკვნა:

„ჩვენ... სრულიად არ ვშლით განსხვავებას“ რუსულ აჯანყებას — უაზრო და დაუზოგველსა „და რევოლუციურ ბრძოლას შორის...“

უაზრო შეუბრალებლობა უეჭველად წარმოიშობა ქვედა ფენების სტიქიური აჯანყებისას. სასოწარკვეთამდე მიყვანილები განურჩევლად იძიებდნენ შურს თავადაზნაურობაზე, ჩინოვნიკებსა და ოფიცრებზე.

პუშკინი მოწმე იყო ერთ-ერთი ასეთი აჯანყებისა, რომელიც არაკრევევის „სამხედრო დასახლებათა“ მხეცური რეჟიმით იყო გამოწვეული. 1881 წელს თავის მეგობარს პ. ა. ვიაშემსკის სწერდა:

„... შენ ალბათ გაიგებდი სტარო რუსისა და ნოვგოროდელთა აჯანყების ამბავს. საზარელი რამ მოხდა. ნოვგოროდის დასახლებებში ყელდაკრილი ეყარა ასზე მეტი კაცი — გენერლები, პოლკოვნიკები, ოფიცრები, — აღშფოთების და სიძულვილის მთელი საშინელებით ნაწამებნი... 15 ექიმი მკვდარი. გადარჩა ერთადერთი და ისიც ლაზარეთში მწოლარე ავადმყოფების დახმარებით, აკუნეს ერთი გენერალი, დამარხეს ცოცხალი ზალხი და ვინ იცის, კიდევ რა არ მოიმოქმედეს“.

„პუგაჩოვის ისტორიასა“ და „კაპიტანის ქალიშვილში“ პუგაჩოვშჩინის სისხლიანი ეპიზოდების აღწერისას პუშკინი სულაც არ არბილებს საღებავებს.

როგორ დასკვნამდე მიდის იგი?

ასამართლებს პუგაჩოვის აჯანყებას? წინახწარგანზრახულ ბოროტმოქმედებად გამოძყავს იგი?

ასე ამტკიცებდა ყველა მთავრობისეული წყარო. მაგრამ პუშკინისთვის ეს პოზიცია მიუღებელია. ის არ შეუღებოდა არც პუგაჩოვის ისტორიისა და არც „კაპიტანის ქალიშვილის“ წერას, რეაქციული აზრი სარწმუნოდ რომ გაეხადა, რომ არ ეხელმძღვანელა მისწრაფებით, ძალიან ღრმად, მიუყერძობლად და სამართლიანად გარკვეულიყო უძლიერესი და უმრისხანესი მოძრაობის არსში.

პუშკინს სურდა ჩაწვდომოდა უპირველესად „ყოვლისა პუგაჩოვშჩინის მიზეზებს“

„პუგაჩოვის აჯანყების ისტორიის“ პირველი თავი მთლიანად მის წინაპირობებს ეძღვნება. მკითხველს იმთავითვე ეძლევა თავშეკავებული და ძუნწი, მაგრამ საოცრად ნათელი პასუხი ორ კითხვაზე:

რატომ წარმოიშვა პუგაჩოველთა მოძრაობა?

რატომ მიიღო მან ასეთი სისხლიანი ფორმა?

პუშკინმა შეისწავლა იანიცკელი კაზაკების ხაქმე — პირველად სწორედ იქონიერებდნენ პუგაჩოვს. მეფის ჩინოვნიკები მათ ისე ავიწროებდნენ, კანონებს არაფრად აგდებდნენ: ქა- მაგირს უკავებდნენ, გადასახადებს თვითნებურად უმატებდნენ, ართმევდნენ თევზის ჭერის უძველეს უფლებას.

დაიწყო კაზაკთა მღელვარება. გენერალმა პოტაპოვმა და ჩერეპოვმა „იარაღის ძალა და საშინელი წამებანი“ გამოიყენეს:

რალა დარჩენოდათ კაზაკებს?

ერთხანს კიდევ იმედოვნებდნენ, რომ პეტერბურგში, მეფის ტახთან იპოვიდნენ ხსნას თუ სამართალს და შეშავიწროებლებს ალაგმავდნენ. ძველებურად ცდას არ აკლებდნენ „თვით დედოფლის ყურამდე მიეტანათ თავიანთი სამართლიანი საჩივარი“. მაგრამ კაზაკების დეს- პანებს უმკაცრესი სახეელი მიეზღოთ. ისინი პეტერბურგში დაიჭირეს. „ბორკილები დაადეს და ისე დასაჯეს, როგორც მემამოხენი“.

ძალიან გვავიწროებენო, ასეთი ჩივილის მართკ ცდაც კი ამბოხებად ჩათვალეს.

და მაინც კაზაკები ჩიუტად მოითხოვდნენ კანცელარიის წევრების გადადგომას და და- კავებული ქაშაგირების დარიგებას.

გენერალ-მაიორი ტრაუბენბერგი მათ წინააღმდეგ ჯარით და ზარბაზნებით წამოვიდა. უბრძანა დაშლილიყვნენ. მაგრამ კაზაკები არ დამორჩილდნენ. „ტრაუბენბერგმა გასცა სრო- ლის ბრძანება. კაზაკები ზარბაზნებს მისცვივდნენ“. მხოლოდ ამ ერთი ფაქტითაც შეიძლება განსჯა, რა სასოწარკვეთამდე მიიყვანეს ისინი.

ტრაუბენბერგი საკუთარი სახლის კიშკართან მოკლეს. მან ასეთი ხვედრი ხავსებით და- იმსახურა. კანცელარიის წევრებს კაზაკებმა მცველები მიუყენეს და ამ მშვიდობიანი ზომე- ბით შემოიფარგლნენ. პეტერბურგში კვლავ იქნენ გაგზავნილნი ამორჩეული რწმუნებულები, „რათა განემარტათ და გაემართლებინათ სისხლიანი ვითარება“.

რალა თქმა უნდა, ეს ფუჭი იმედი იყო. გენერალ-მაიორ ფრეიმაინის დიდ რაზმთან გახუ- რებულ ბრძოლაში კაზაკებმა მწარე დამარცხება განიცადეს. დაიწყო ხასტიკი ანგარიშსწო- რება. ამბოხების მეთაურები მათრახებით ააჭრელეს. ასზე მეტი კაცი გააციმბირეს. დანარ- ჩენები ჯარისკაცებად გაამწესეს.

ეს ყველაფერი 1771 წელს ხდებოდა. გარეგნულად წესრიგი აღდგენილ იქნა. მაგრამ „სტეპების ფუნდუკებსა და შორეულ ხუტორებში საიდუმლო თათბირები კვლავ ტარდებოდა, რაც ახალ ამბოხებას მოასწავებდა. არ იყო მხოლოდ წინამძღოლი, და წინამძღოლიც გა- მოჩნდა“.

ორი წელიც არ გასულიყო და პუგაჩოვშინამ იფეთქა.

ამბოხებულთა სისასტიკე ადგილობრივი თუ უმაღლესი მთავრობის ხელისუფალთა მიერ მრავალწლიანი, დაუსჯელი შევიწროებებით იყო პროვოცირებული. ასეთია პუშკინის უმთავ- რესი დასკვნა.

პუშკინი თვალს არ უხუქავს გამძვინვარებულ აჯანყებულთა სისასტიკეს, მაგრამ შე- საძლებლობას არ უშვებს ხელიდან მომთვინიერებელთა წარმოუდგენელი სიმბეცენი დღის ხინათლეზე გამოიტანოს.

ჯერ კიდევ 1741 წელს ბაშკირეთში იფეთქა აჯანყებამ, რომელიც მთავრობის მიერ ხასტიკად იქნა ჩახშობილი. „დაახლოებით 130 კაცი იყო სხვადასხვაგვარი წამების მეშვეობით განადგურებული!“ — წერს პუშკინი. დანარჩენ ათასამდე კაცს „მიუტევეს და ცხვირი და ყურები დააჭრეს“.

როგორი მჭევრმეტყველურია ეს გამჭირდავი „მიუტევს“!

დაუფარავი ტკივილით, აღშფოთებით ჰყვება პუშკინი დათრგუნული ბაშკირების ქო- ჯონეთურ წამებათა შესახებ: „ბევრი მიტევებულთაგანი, — უმატებს პუშკინი, — პუგაჩოვის დროს ცოცხლები უნდა უოფილიყვნენ“.

ერთი იმათგანი „კაპიტანის ქალიშვილის“ ფურცლებზეც გამოჩნდა. „შევხედე თუ არა, საშინლად შევკრთი. ვერასოდეს დავიფიწყებ იმ კაცს (ამბავს გრინევი ჰყვება), გეგონებოდათ სამოცდაათი წლის იყო. არც ცხვირი ჰქონდა, არც ყურები“.



ამ საშინელი ნიშნების მიხედვით ბელოგორსკის ციხე-სიმაგრის კაპიტანი 1741 წლის ერთ-ერთ შეამბოხეს შეიცნობს და გამოკითხვას დაუწყებს. უცხვირო ხიჩუმეს არ არღვევს. „შენ შენ აგალაპარაკებ“, — ემუქრება კომენდანტი. — „ბიჭებო! აუჭრელეთ ზურგი, იული, იცოდეთ, მაგრად ურტყის!“

ბაშკირელს ძალად აშიშვლებენ. „უბედურს სახეზე აღელვება დაეცა, ირგვლივ ისე მიმოიხედა, როგორც ბავშვების მიერ გამოკერილმა ნადირმა“. მაგრამ, როცა იულიმ მათრაბი მოუქნია, „ბაშკირელმა ხუსტი, მავედრებელი ხმით დაიკვნესა, თავი ჩაშკიდა და პირი გააღო, რომელშიც ენის ნაცვლად მოკლე ნაჭერი სავსავებდა“.

ახე ექცეოდნენ ხალხს, ვისაც „მიუტევს“.

— 5 —

და მაინც ამბოხებულთა მხარეზე გადასული თავადი, როგორც რომანის გმირი, უარყოფილ იქნა.

შვანვიჩის ზოგიერთი თვისება გადაეცა უარყოფით გმირს შვაბრინს, რომელიც რომანტიკული ავაჯაკის ტიპს უახლოვდება. მათ ახლობლობაზე გვარების მსგავსებაც მიანიშნებს.

პუშკინს შეეძლო შვაბრინი რომანის ცენტრალურ გმირად გამოეყვანა და უველაფერი შავი ფერებით შეედება. მაგრამ მაშინ უოველივე, რაც პუგაჩოვს უკავშირდებოდა, დაგმობისა და გაკიცხვის ნიშნით დაიდაღებოდა. ამ გზაზე დადგომა პუშკინმა არ მოიხურვა.

შვანვიჩის გმირის მეორე პროტოტიპი — კაპიტანი ბაშარინი სცვლის. ესეც რეალური პიროვნებაა.

„პუგაჩოვის ამბოხების ისტორიაში“ მოთხრობილია პუგაჩოვის მიერ ილინსკის სიმაგრის ოფიცრების დასჯა. კაპიტან კამეშკოვსა და პროპორშიკ ვორონოვს პუგაჩოვმა ჰკითხა, რატომ აღსდგნენ ისინი მისი — ხელმწიფის წინააღმდეგ? „შენ ჩვენი ხელმწიფე არა ხარ... შენ ქურდი და თვითმარქვია ხარ“. — უპასუხეს ოფიცრებმა. ისინი იქვე ჩამოაბრჩეს.

„მერე კაპიტანი ბაშარინი მოიყვანეს. პუგაჩოვმა მას ერთი სიტყვაც არ უთხრა, პირდაპირ ჩამოხრჩობა ბრძანა. მაგრამ ტყვედრავარდნილს ჯარისკაცები გამოეჭომაგნენ და მის მაგიერ დაუწყეს ხვეწნა. რაკი ის თქვენთვის კეთილის მქნელი იყო — თქვა თვითმარქვიამ, — მე მას ვაპატიებ“ (ხაზგახმა პუშკინისაა — ე. დ.)

დაე, მკითხველმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ სიტყვებს.

თვით ეპიზოდი რომანში არ შევიდა. მაგრამ პუგაჩოვის ღმობიერებამ და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ბაშარინის შეწყალების წამაქეზებელმა მიზეზებმა — ჯარისკაცებისადმი, უბრალო ხალხისადმი მისმა კეთილმა დამოკიდებულებამ — უდიდესი და, შესაძლებელია, გადამწყვეტი როლი შეასრულა რომანის ძირითადი იდეის გამოსაკვეთად, მთელი სიუჟეტური წუობის ჩამოსაქნელად.

პუშკინის აზრთა ახალი მიმართულება ჯერ კიდევ ჩანასახის ფორმით გვევლინება. ახალ გმირს, ახალ სიუჟეტურ სვლებს ჯერ მხოლოდ ბუნდოვანი მოხაზულობა აქვს. „შვანვიჩის“ გეგმებში უკვე ჩნდება გმირი ქალი მარია ალ-ი. ვინ არის იგი, გაურკვეველია. მაგრამ „ბაშარინის“ პირველსავე გეგმაში მარია ალ-ი მაშა მირონოვას იერსახეს იძენს.

ბაშარინი პუგაჩოვის მიერ კაპიტანობაზეა წარდგენილი და „ცალკე რაზმით სიმბირსკშია“ გაგზავნილი. „მოხუცი კაპიტანი თავის ქალიშვილს უახლოეს სიმაგრეში ისტუმრებს“, ეტყობა, შემოსეული პუგაჩოველებიგან დასაფარავად.

პუგაჩოვმა „ერთი სიმაგრე აიღო და მეორეს შეუტია — ბაშარინი შემტევთა პირველ რიგებშია“, იგი „ჩილდოს თხოულობს“, სახელდობრ რას? აღბათ, კაპიტანის ქალიშვილის მის მფარველობაში გადასვლას.

რომანის მთავარი სიუჟეტური რგოლები თანდათან ლაგდება.

შვანვიჩის მსგავსად, ბაშარინიც აქტიურად მოქმედებს პუგაჩოვის მხარეზე. მაგრამ იქვეა მიწერილი, რომ იგი „გამოცხადდა მიხელსონთან“, აჯანყების ერთ-ერთ მთავარ ჩამხშობთან. მიხელსონი „სიამოვნებით დებულობს მას“. ბაშარინი „პუგაჩოვს გადაუდგება“ და მას „ისევ

¹ ციტატები „კაპიტანის ქალიშვილიდან“ ამოღებულია 1955 წელს გამოცემული შალვა დადიანისეული თარგმანიდან.

გვარდიაში ღებულობენ“. გმირის სახე ორდება. ჭერ სხვა ბანაკში გადასვლა, მერე ისევ პირველში დაბრუნება — კარგად ვერ დაახსიათებდა მას.

პუშკინი უარს ამბობს ბაშარინზე, როგორც პროტოტიპზე და, რაც მთავარია, საბოლოოდ აცხადებს უარს გმირის ამბობებულგებთან გადასვლაზე, თუნდაც დროებით.

მისთვის სავსებით ცხადი და აშკარა ხდება ის ფაქტი, რომ, გრინევისა და შაშასაც რომ თავი დავანებოთ, კომენდანტი ივან კუზმიჩი (მარია ივანოვნას მამა), მისი კოლეგის ვასილისა ეგოროვნა, გარნიზონის პორუჩიკი ელაში ივან იგნატევიჩი — მისთვის ისეთივე რუსი ადამიანები არიან, როგორც ის მგზავრი, ქარბუქში რომ გზა ასწავლა, როგორც ხაველიჩი, გრინევის ერთგული მსახური, გამდელი და მფარველი.

ჩნდება ახალი, ჭეშმარიტად ღირსშესანიშნავი გზა. იგი მხოლოდ ერთი სცენის მკრთალი მონახაზია. მაგრამ სწორედ ის, თითქოს ნაჩქარევად გავლებული შტრინები მჭიდროდ ახლოებენ პუშკინს „კაპიტანის ქალიშვილის“ ძირითად, საკვანძო ეპიზოდთან.

აი, ერთი ჩანაწერი.

„ბაშარინი გზაზე ქარბუქის დროს, გადაარჩენს ბაშკირს... ბაშკირი სამაგიეროდ ხიმგარის აღების დროს სიკვდილიდან დაიხსნის მას. — პუგაჩოვი მეფის ოფიცერს შეიწყალებს და ბაშკირს მიმართავს: — საკუთარი თავით აგებ პასუხს მასზე (ხაზგასმა პუშკინისაა — ე. დ.).“

სავსებით ცხადია, რომ ეს ეპიზოდი პუგაჩოვის მიერ ბაშარინისთვის სინამდვილეში ნათქვამი სიტყვებიდან დაიბადა. პუგაჩოვი ტყვეს მის მიერვე ჩადენილი სიკეთისთვის წყალობს. ბაშარინის მიერ ბაშკირის გადარჩენა იმ ულრმესი სიბრაღის შედეგია, რომელსაც პუშკინი ბაშკირების მიმართ განიცდიდა, რადგან მათ ამდენი ტანჯვა-წამება არგუნა ბედმა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი მიგნება და აღმოჩენაა ქარბუქი. ქარბუქი დრამატურგიის მამოძრავებელ რგოლად იქცევა.

ერთმანეთს ერწყმიან, ერთ რიგად ეწყობიან ქარბუქი, თავადი ოფიცერი, რომელმაც ხალხის წრიდან გამოსული კაცი გადაარჩინა, და პუგაჩოვის მიერ რომანის გმირის შეწყალება, გმირისავე გულკეთილობის გამო.

ოდნავ შეცვლილი ეს მომენტები „კაპიტანის ქალიშვილის“ სიუჟეტის ძირითად ქვაკუთხედად გადაიქცნენ.

მაგისტრალური თემის, გამართული სიუჟეტური კონსტრუქციის გასაღები პუშკინს უკვე ხელთა აქვს.

კიდევ ერთი „გადატრიალება გასაღებისა“ — და სიუჟეტი დასრულებული იქნება. მაგრამ ეს საოცნებო გასაღები ჭერ კიდევ არ ემორჩილება ავტორს.

პუშკინს საკუთარი ხატოვანი ფანტაზია აიძულებს გვერდზე გადაუხვიოს. ჩნდება გმირის ახალი პროტოტიპი. ცოტა არ იყოს უცნაურია, რომ იგი პუშკინის ცოცხალი თანამედროვეა, ვინმე ვალუევი, ცხრამეტი წლის უზაწვილი, პუშკინის მეგობრის, პ. ა. ვიაზემსკის ქალიშვილის საქმრო.

ახალი (ჩვენთვის ცნობილი გეგმებიდან უკანასკნელი) გეგმა იმით იწყება, რომ ვალუევი ციხე-სიმაგრეში მიღის და „ჩუმად და მშვიდად“ შეიუვარებს კომენდანტის ქალიშვილს მამაგორისოვას. გვარი — გორისოვა შემთხვევით არ გამოჩენილა. მამას ცოცხალ პროტოტიპს წარმოადგენს მარია ვასილევნა ბორისოვა, ახალგაზრდა, ობოლი ქალიშვილი, რომელიც პუშკინის ნაცნობის, პ. ი. ვულფის ოჯახში ცხოვრობს.

ვალუევი პუგაჩოველებს ტყვედ მიჰყავთ და ორენბურგში, სახელმწიფო ძალების მთავარ ციტადელში აგზავნიან.

თუმცა საერთო ჩანაფიქრი სიცოცხლისუნარიანი არ აღმოჩნდა, პუშკინი მაინც არ დარჩა წარალში. გონებაში უდიდესი დრამატული დაძაბულობის სამოქმედო ხაზი გაიჭიმა. გეგმაში შევიდა ახალი პერსონაჟი — პროკურორი.

პუგაჩოვის მიერ გმირის მიმართ გულმოდურებას გამოჩენა გმირის კატასტროფის მიზეზად გადაიქცევა. მას აპატიმრებენ და სახელმწიფოს დალატს აბრალდებენ. ბრალდება მეტისმეტად მძიმეა და მოსალოდნელია შეუბრალებელი განაჩენითაც დასრულდეს.

სიუჟეტის რა ბევრი, გადამწყვეტი მონაკვეთია ნაპოვნი, რა ბევრი რამ გაცხადდა, დრამატისმით სავსე სიცოცხლით აბრიალდა და მაინც რომანი ჭერ ვერ შეიქრა.

აკლია მხოლოდ გამჭოლი სიუჟეტური ხაზი, ფართო ისტორიული მონახაზი, ისტორიული პერსპექტივა, რომელიც მას თანამედროვეობასთან დაკავშირებს.

ისტორიულ რომანში, რომლის დაწერაც პუშკინს ძქონდა განზრახული, მოვლენები არ უნდა წარმოადგენდნენ მხოლოდ ფონს, რომელზედაც გმირების ბედ-იღბალი განისაზღვრებოდა. გრინევისა და მაშას კერძო ბედ-იღბალი ისტორიის ფართო ნაბიჯებს უნდა დაეკავშირებოდა და თანაც ისე, რომ ამ კავშირში გამოხატულიყო ყველაზე საოცნებო, ხანგრძლივ ფიქრებში მომწიფებული აზრები რუსეთის ბედსა თუ უბედობაზე.

„უოჩად, პუშკინს!“ — როგორც ცნობილია, აღტაცებით წამოიძახა პუშკინმა „ბორის გოდუნოვის“ დამთავრების შემდეგ.

მე მგონია, დაახლოებით ასეთივე ამაღლებული განწყობილება ძქონდა პუშკინს მაშინაც, როცა მოულოდნელად მიაკვლია სიუჟეტურ გადაადგილებას, რომელმაც ყველაფერი გადაწვეტა:

როგორც იქნა გამოჩნდა გმირი, რომელიც რომანის საბოლოო ტექსტში მთავარი გმირი იქნება. მისი გვარი გრინევი არქივის მასალებიდანაა ამოღებული. პოდპორუჩიკი ა. მ. გრინევი იმ ოფიცერთა შორის ირიცხებოდა, ვინც „ავაზაკთან ერთიერთობაში ექვმიტანილი იყვნენ, მაგრამ გამოძიების შედეგად უდანაშაულონი აღმოჩნდნენ“.

ქარბუქის დროს გრინევმა თურმე ბაშკირი როდი უნდა გადაარჩინოს... ის გადაარჩენს თვით პუგაჩოვს!

ბაშკირის გადაარჩენისთვის პუგაჩოვმა შეიძლება გრინევი სახრჩობელიდან დაიხსნას (როგორც ბაშარინის შემთხვევაში მოიქცა). მაგრამ ძალიან სათუთა, პუგაჩოვმა ბაშკირს უბრძანოს: „საკუთარი თავით აგოს მასზე პასუხი!“ კაცმა რომ თქვას, რად შეაფასებს პუგაჩოვი ახე ძვირად გრინევის სიცოცხლეს?

სხვა საქმეა, თუ გრინევი თვით პუგაჩოვს გადაარჩენს: ამით შესაძლებლობა იქნება არა მარტო სიუჟეტურად გადახლართოს გლეხთა ამბოხება და თავადი ოფიცრის სიცოცხლე, არამედ ისე დაწინას მოქმედებანი, რომ პუგაჩოვი — გრინევსა და მაშა შირონოვას გვერდით — სიუჟეტის მამოძრავებელ ძალად, მის ცენტრალურ ფიგურად გადაიქცეს.

სწორედ ეს არ იყო ყველა წინა გეგმაში. სწორედ ამაში გამოვლინდა პუშკინის ბედნიერი მიზნება.

სიუჟეტი გამოიკვეთა, ესკიზი უკვე აღარ არის საჭირო.

პირველადი გეგმებისგან განსხვავებით, გრინევი არ გადადის ამბოხებულთა რიგებში, და, მიუხედავად ამისა, „ხიდი“ მასა და პუგაჩოვს შორის მაინც გადებულია.

„ხიდი“ სიუჟეტითაა გამოხატული — საპირისპირო წყალობისა და სიკეთისგების სიუჟეტით.

სიუჟეტი აღმოცენდება ქარბუქის სცენაში. ქარბუქი სტეპში ურალური ზამთრის ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ მკითხველი, რომელიც არა მარტო მოქმედებათა მწკრივს აკვირდება, არამედ სახის საერთო გააზრებასაც სწვდება, რასაკვირველია, იგრძნობს, რომ ის დამლუპველი ქარბუქი, რომელიც გმირის ცხოვრების პირველსავე ნაბიჯებს ემუქრება, მოახლოებული ისტორიული ქარბუქის პირველსახეა.

„ბატონო, — დაიუვირა შეეტლებე, — უბედურებაა: ქარბუქი!“

სიტყვები — „ბატონო, უბედურებაა!“, „ყველაფერი გაქრა“, „ყველაფერი უკუნმა და გრიგალმა დანთქა“, — მრავალმნიშვნელოვანია. მკითხველი ერთი შეხედვით ძნელად შესამჩნევ წვრილმანებსაც ხედავს.

ამ გამძვინვარებულ ქარიშხალში გულგრილად დამდგარა გლეხი, უკიდვგანო, უდაბურ სტეპში დაკარგული, თითქოს განწირული და მაინც უშიშარი, უდრეკი.

ლაკონურად დაბატულ სცენაში რაღაცა გოლიათური იგრძნობა. პირველი გამოჩენისთანავე ძველ თქმულებათა შარავანდედითაა შემოსილი ამბოხებულ გლეხთა სტიქიის მომავალი მეთაური.

ბაშარინმა ბაშკირი გადაარჩინა, რომელი რომელს გადაარჩენს რომანში? ორივე, გლეხიც და მგზავრი ოფიცერიც.

გლეხი ვიდაცის სახლისკენ გზას იკვლევს ძლივს საგრძნობი კვამლის მსუბუქი სუნით. გრი-

ნევი ვალში არ რჩება. თითქმის ახალთახალ კურდღლის ტყაპუჭს აჩუქებს თანამგზავს, მიუხედავად ერთგული ხაველიჩის თავგანწირული წინააღმდეგობისა.

კურდღლის ცნობილი ტყაპუჭი... საქმეც ხომ სწორედ ისაა, რომ გრინევიც და მგზავრიც ერთმანეთთან თანაბრად არიან ვალში. გლეხმა ახწავლა გზა. გრინევმა მიიყვანა იგი ღამის განათევამდე. გრინევის ეტლი რომ არა, გლეხი დაილუპებოდა. იგივე ბედი ეწეოდა გრინევსა და ხაველიჩს. გლეხს რომ არ შეხვედროდნენ. ორივემ სრულად განდახადეს ვალი.

შაგრამ კურდღლის ტყაპუჭი ნაცვალგებისთვის არ იყო მიცემული. ის გულუკეთობის გამოა ნაჩუქარი. გრინევს შეებრაღა უცნობი მეგზური, როცა შეამჩნია, რა მსუბუქად იყო ჩაცმული. ფეხით დიდხანს ვერ ივლიდა, გაიყინებოდა.

უცნობი გლეხის შებრაღება, გულუბვად დასაჩუქრება... ზოგიერთი ლიტერატურათმცოდნე ამაოდ ამტკიცებს, თითქოს გრინევის სახე ღარიბი იყოს. წუნდაუდებელი გმირის ცნობილი კანონების მიხედვით დაბატული.

თხოვნის გარეშე, მხოლოდ გულის კარნახით გაჩუქებული კურდღლის ტყაპუჭი — მიაშიტი, უწაწვილი მემამულის ხასიათის გამოკვეთილი თვისებაა. და ესეც დავუმატოთ, რომ ეს თვისება „დაბალი“ ფენისადმი გულუკეთობისა და გულისხმიერებისა მას თავისი წრის წარმომადგენელთაგან აშკარად გამოარჩევს.

„გმადლობთ, თქვენო კეთილშობილებავ! ღმერთმა გადაგიხადოთ თქვენი სიკეთისთვის. სიკვდილამდე არ დავივიწყებ ამ წყალობას“.

ეს სიტყვები ასეთ სიტუაციაში სავსებით ჩვეულებრივია, მაგრამ იგრძნობა, რომ მეგზურს შიგ გულში მოხვდა და ღრმად დააჩნდა თავადის „სათხოება და წყალობა“.

მკითხველმა მშვენივრად იცის, როგორ იხსნა კურდღლის ტყაპუჭმა გრინევი იმ საშინელ მომენტში, როცა საბრძოლველს უფლეთ ჩამოაცვეს კისერზე.

გრინევის საქციელზე განსაკუთრებული უბრალოებით, მუვირაღა სიტყვების გარეშე, თითქოს ხახვითაშორისოდ არის მოთხრობილი. პუშკინი არ ეხწრაფოდა გრინევის განდიდებას და მკითხველის გულის აჩუქებას. იგი თითქოს უფრო იმას ცდილობს, ეპიზოდის იუმორისტულ მხარეს გაუსვას ხაზი.

ხაველიჩი აღმფოთებულია ახალგაზრდა, ცხოვრებაში გამოუცდელი ბატონის ქარაფშუტობით. უსაპიროესი ნივთი აჩუქო! და მერე ვის? ხომ სულ ერთია, ის „ძალი პირველსავე დუქანში სასმელში გასცვლის“.

სასაცილო კინკლაობა იმართება ხაველიჩსა და მეგზურს შორის.

„ღმერთისა არ გეშინია, ავაზაკო! — გაჩაგრებული ხმით პასუხობდა ხაველიჩი, — ხედავ, ბავშვი ჩერ ვერაფერში გარკვეულა და გიხარია გაკურდო მისი გულუბრყვილობის გამო. რაში გამოგადგება ბატონების ტყაპუჭი? მაინც ხომ ვერ ჩამოიცმევ მაგ შენს წყვეულ მხრებზე“.

ხაველიჩი ცდილობს თავისი ბატონის უფლება შეამციროს იმის ხაზგასმით, რომ ის „ბავშვია“ და „ვერ ერკვევა“.

გლეხი, პირიქით: გაპრანჭული, მლიქვნელური გამოთქმებით აწვიადებს ბატონის უფლებებს.

„მისმა კეთილშობილებამ საქუთარი მხრებიდან მე გადმოშინაცვლა ქურქი. რისი ნებაც ჰქონდა და უფლებაც. შენი გლეხური მოვალეობა კი იმაშია, არ ეკამათო და დაემორჩილო“.

რა სასაცილოდ წარმოუდგება მკითხველს ეს სცენა, როცა გაიგებს, რომ ბატონების უფლებებზე მზრუნველი და მათი გულშემატკივარი კაცი, რომელიც ამტკიცებს, გლეხობის მოვალეობა მორჩილებათაა, არის არა ვინმე სხვა, არამედ თვით პუგაჩოვი.

სიტუაცია „კურდღლის ტყაპუჭი, ხაველიჩი და პუგაჩოვი“ კიდევ არა ერთხელ მოემსახურება მძიმე დრამატული სცენების იუმორისტულად გადაწყვეტას.

ქარბუქსა და კურდღლის ტყაპუჭზე უაღრესად მარტივი, სადა ტონითაა მოთხრობილი. მაგრამ მათ შორის მოთავსებულია გრინევის ცნობილი სიზმარი, როცა მას ეტლი თოვლის ზვინებზე არწევდა და ანანავებდა.

რა ეზმანებოდა გრინევს „ახლადჩაძინებულის ბუნდოვან ხილვებში“?

სიზმარი, როგორც თვით გრინევს მიაჩნია, წინასწარმეტყველური, გულთმისნური, როგორც ახლა ვიტყვით, ალერგორიული იყო.

გრინევს ესიზმრა, თითქოს მამისეულ სახლში ბრუნდებოდა. დედა დამწუხრებულია. მამა სიკვდილის პირასაა. გაოგნებული შვილი საჩქაროდ შედის საძინებელში. დედა მამას ეუბნება: „პეტრუშა... დაბრუნდა, როგორც კი შენი ავადმყოფობა გაიგო, დალოცე იგი“.

პეტრუშა ლოგინთან დაიჩოქებს, მაგრამ...

ხედავს, რომ მამის ნაცვლად საწოლში „შავწვერა გლეხი წევს“ და მხიარულად შესცქერის სახეში.

გაოგნებული გმირი დედას მიუბრუნდება: „ეს რას ნიშნავს? ეს მამარეში არ არის, რისი გულისთვის უნდა ვთხოვო დალოცვა ვიღაც გლეხს?“

დედა პასუხობს: „სულ ერთია, პეტრუშა, ეს შენი მამობილია, აკოცე ხელიზე და დაე, დაგლოცოს...“

აქ თითოეულ სიტყვაზე ვიფიქროთ. გლეხი — მამობილია, საჭიროა ხელზე აკოცოს და მაშინ ის დალოცავს...

გრინევი არ დათანხმდა: „მაშინ გლეხი ლოგინიდან წამოხტა, ზურგსუკანიდან ნაჯახი ამოიღო და აქეთ-იქით ქნევა დაიწყო“. გმირს გაქცევა უნდა და ვერ ახერხებს. ოთახი მკვდრებით აივსო. ფეხებში შეღებოდნენ ეს მკვდრები, ფეხი მათი სისხლის ტბორში მიხსლტებოდა“.

ხოლო „საშინელი გლეხი“ აღერსიანად უხმობს: „ნუ გეშინია, ახლოს მოდი, დაგლოცავ...“

შავწვერა გლეხი... სიზმარი დასრულდა, გრინევა გაიღვიძა და გამყოლი მოიქცა. „აქ გახლავარ, თქვენო კეთილშობილებავ,“ — უძახუბა ხმამ ზევიდან. გრინევა ახედა ლუშელის თაროს და დაინახა შავი წვერი და ორი ანთებული თვალი“.

და მაშინვე იწყება კურდღლის ტუპაუჭის ეპიზოდი.

„გაიყინე, მშობილო?“

„აბა როგორ არ გავიყინებოდი ამ გაცვეთილ ჭუბაში!“

სიზმარი და ცხადი ერთმანეთში აირია. საშინელი შავწვერა გლეხი და გამყოლი, შავწვერა გლეხი პუგაროვი აღმოჩნდება და სიზმარი მთლიანად აცხადდება: ცული, რომელსაც აქეთ-იქით იქნევდნენ, მკვდარი სხეულების გორებიც და სისხლის გუბებებიც.

იმავე დროს შავწვერა, საშინელი გლეხი — გრინევის მამობილია. ასე ამბობს თვით პეტრუშას დედა. (საღდაც შორს, ძალიან შორს დედა-სამშობლოს ბუნდოვანი სახე) დედა ბრძანებს — გლეხური ხელები დაუკოცნოს მას და ლოცვა-კურთხევა გამოისთხოვოს.

ხოლო საშინელი გლეხი აღერსიანია და თვითონ სურს გმირის დალოცვა.

წინასწარმეტყველურია თვით სისხლიანი ამბები და ერთადერთ ხსნად გლეხური ლოცვა-კურთხევა მიჩნეული

— 7 —

გავიხსენოთ „კაპიტანის ქალიშვილის“ ეგრეთ წოდებული გამოტოვებული თავი.

პუშკინმა ის თავი საბოლოო ტექსტში არ შეიტანა. მთავარი გმირი იქ ბუღიანინად იწოდება, ხოლო გრინევი იმ ოფიცრის გვარია, რომელმაც ოსტატურად მოუგო ბანქოში გმირს (დასრულებულ რომანში მას ზურინის გვარი აქვს მიცემული). იგი მეთაურობს ხელმწიფის ჯარებს და პუგაროველებისგან, რომელთაც შვაბრინი ხელმძღვანელობს, ათავისუფლებს გმირს, მის მშობლებს და მარია ივანოვნას.

გმირის მამის გლეხები პუგაროვის აჩანუებას მიემხრნენ და ბატონები დაამწყვდიეს. „მე ვიცოდდი, რომ დედაჩემს გლეხები და შინაყმები აღმერთებდნენ. მამაც, მიუხედავად მისი სიმკაცრის, უყვარდათ, რადგან სამართლიანი იყო და ხელქვეითი ხალხის გასაჭირი კარგად იცოდა“.

გმირს არ აშინებს მშობლების ხვედრი: „აქ შეწყალება უქვეელი იყო“. მაგრამ მისი საყვარელი მამა იყო შურისმაძიებელი შვაბრინის, უნამუსო და უღირსი კაცის ხელში. გმირს გულს უხეთქავს დანიშნულის ბედი, რომელსაც „მას უმზადებდა გარყვნილი და უსინდისო კაცი“.

ბატონებსა და გლეხებს შორის დამოკიდებულება გმირის მშობლების მამულში მეტი-მეტად იდილიურადაა დაბატული. შვაბრინის ავაჯათა რაზმის ვანადგურების შემდეგ შემამულე, გმირის მამა მასთან მოსაბოდიშებლად მისულ გლეხებს შეუნდობს. ისინიც, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ბეგარაზე მიდიან.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბატონყმური რუსეთის უშველებელ ტერიტორიაზე მართლაც მოიძებნებოდა ასეთი მშვიდობიანი კუთხეები. მაგრამ უქვეელია ისიც, რომ ასეთი კეთილშობილური სურნეობით ხავსე მამულებიც უიშვითაღეს გამონაკლისს წარმოადგებდა.

„გამოტოვებულ თავს“ პუშკინი იწუნებს და უარყოფს.

იქნებ სწორედ ამ იდილიურობის შეგრძნებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი, რადგან ეპოქის მკაცრ საფუძვლებსა და ვითარებას სრულიად არ შეეფერებოდა.

მაგრამ, ვფიქრობ, უფრო დიდმნიშვნელოვანი სხვა მიზეზი იყო პუშკინი ახალ სიუჟეტურ სვლებს პოულობს. ბოლოს და ბოლოს, სწორედ მათ შეძლეს მთელი სიმართლით ძლიერად და სრულად გამოეხატათ აზრი, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა პუშკინს.

ორი სიუჟეტური რგოლი „გამოტოვებული თავიდან“ ვერაფრით ეფერება ერთმანეთს და პუშკინის მკაცრ და მომთბოვნ გემოვნებას.

შვაბრინის ხელიდან, მისი ტყვეობიდან მარია ივანოვნას ათავისუფლებს შეუმჩნეველი, არაფრით გამოჩენილი ოფიცერი, მეორეხარისხოვანი და ნაკლებმნიშვნელოვანი ფიგურა. ასეთი „სვლა“ არაფერს აძლევდა რომანის ძირითადი იდეის გახსნას.

„კაპიტანის ქალიშვილის“ საბოლოო ვარიანტში უბედურებიდან მარია ივანოვნას შემთხვევით მოვლენილი ოფიცერი კი არა, თვით პუგაჩოვი ათავისუფლებს და ამას უდიდესი, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს რომანის თემის სრულბმოვანი და ძლიერი ელერადობისთვის.

პუშკინი მუდამ ესწრაფოდა სიუჟეტის უველა შემადგენელი ნაწილის სიმწყობრეს. შეთანხმებულობას, ურთიერთკავშირებსა და ეკონომიურობას. „გამოტოვებულ თავში“ მოულოდნელად ჩნდება გვერდითი ხაზი, ამასთან არცთუ უმნიშვნელო — ეს არის შვაბრინის ავაზაკურ ხელეში ჩავარდნილი გრინევის მშობლების ბედი. მათ სიკვდილი ელით. შვაბრინის ბრძანებით მისი ქვეშევრდომები ცეცხლს უკიდებენ ფარდულს. სადაც მოხუცები არიან დამწყვდეული.

ეპიზოდი დრამატულია. გმირის მშობლები, რასაკვირველია, პირველხარისხოვანი გმირები არიან. მაგრამ სურათი დაქუცმაცებულია, განზრახხამუჭებულივით გამოიყურება, სიუჟეტთან ორგანულად არაა შერწყმული. ეპიზოდის უფრო გაშლა-გაფართოება იმ მათავარ მოქმედებათა მიმდინარეობიდან, რაც გრინევს და მარია ივანოვნას შეეხებოდა, კიდევ უფრო გვერდით გადახვევას ნიშნავდა.

პუგაჩოვი — კაპიტანის ქალიშვილის მხსნელია. ეს უველაზე ბრწყინვალე და ქმედითი სვლაა.

პუშკინი სიუჟეტის ამ ნაწილს ფართოდ განავრცობს. ის დიდმნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოვლენათა დაძაბულობისთვის, აგრეთვე იმისთვისაც, რომ უფრო სრულად დაიხატოს პუგაჩოვი, როგორც მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი; რათა უფრო ღრმად ჩაწვდეს მკითხველი მის პიროვნებას — დიდს, ჭკვიანს, უფლებამოსილს, დიდი გაქანების მქონეს, რომელსაც ხელეწიფება სიკეთეცა და ბოროტებაც.

პუგაჩოვისა და მარია ივანოვნას შეხვედრა შემთხვევითი ეპიზოდი არ არის. ჩვენს წინაშე დრამატიზმით სავსე მოვლენათა მთელი მდინარეაა. მათა პიროვნებასა და გრინევის სიცოცხლე ბევრზე მკიდია. არც ისე უბრალო საქმეა შეთანხმების მიღწევა ოფიცერ თავადსა და აზობოქრებულ გლეხთა და კაზაკთა სტიქიის წინამძღოლს შორის, სტიქიისა, რომელმაც ნაპირები უკვე გადმოლაზა.

პუშკინს არ სურს წინ აღუდგეს სოციალურ სინამდვილეს. იგი არ ამცირებს უთანხმოებას პუგაჩოვსა და თავადს შორის, რომელიც, შვანვიჩისა და ბაშარინისგან განსხვავებით, მის ბანაკში არ გადავიდა.

— 8 —

პუგაჩოვმა დაინდო გრინევი კეთილი საქციელისთვის, ტყაპუჭისთვის. მან საკმაოდ გულუბვად გადაიხადა ვალი. ერთმანეთის მადლის მოსხმის სიუჟეტი აქ შეიძლებოდა შეკრულიყო. მაგრამ თურმე ქარბუჭისა და კურდღლის ტყაპუჭის ეპიზოდი მხოლოდ წინასიტყვაობა იყო მთავარისა, სიუჟეტის ცენტრალური „ბირთვისა“.

არც გრინევი და არც გამყოლი ერთურთს არ იცნობენ. ისინი შემთხვევით შეხვედრილი აღამიანები არიან.

ახლა ისინი ერთმანეთს ეჭახებიან იმ დროს, როცა უკიდურესობამდე გამწვავებული შტრობა ორ ბანაკს შორის, რომელთაც ისინი მიეკუთვნებიან. ბრძოლამ უდიდეს სიმძაფრეს მიაღწია.

როგორი დამოკიდებულება იქნება ახლა თავადსა და აზობოებულთა ბელადს შორის?

დავიწყებული არ იქნება კურდღლის ტყაპუჭი, ესოდენ უმნიშვნელო რამ გიგანტურ ისტორიულ შექახებასთან შედარებით?

გრინევისა და პუგაროვის სიუჟეტური კავშირი სახრჩობელის სცენით არ მთავრდება. ის მხოლოდ გავრცობას იწყებს. რაღაც სახწაულით გადარჩენილი გრინევი კომენდანტის სახლისკენ ისწრაფვის, არბის დარბაზში მარია ივანოვნასთან (პირველად სიცოცხლეში). ოთახი ცარიელია. დაიღუბა!... მაგრამ ჩვენი გმირი მაშინვე შეიტყობს, რომ მისი მღვდლის ცოლთანაა დამალული. მღვდლის ცოლთან? გრინევი კიდევ უფრო შემფოთდა. აკი მღვდლის სახლში პუგაროვი თავის „შტაბიანად“ დაბინავდა (როცა სახჯელის მოლოდინში სახრჩობელის წინაშე იდგა, მაშინ გრინევმა მრისხანე მეთაურში მაშინდელი გამყოლი ვერ იცნო. ეს მხოლოდ შემდეგ, საველიჩისგან გაიგო).

საბედნიეროდ, მღვდლის ცოლმა იეშმაკა, პუგაროვს უთხრა, რომ ტიხარს გადაღმა მისი ავადმყოფი ძმისშვილი იწვა.

ახლა როგორ მოიქცეს? ოფიცრის მოვალეობა მოითხოვს. დაუყოვნებლივ უფროსებთან გამოცხადდეს სამსახურის გასაგრძელებლად. მაგრამ საყვარელი ქალიშვილი საფრთხეში დატოვოს?.. რა დაემართება მას?

ფიქრები კაზაკის შემოსვლამ შეაწყვეტინა. მან მოახსენა, რომ „დიდებული ხელმწიფე გიბარებს“. ბუნებრივია, გრინევი ძალიან აღელდება.

პუგაროვი დაახლოებულ პირებთან კეიფობს. მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებული პირები ამრეზით შეხედავენ გრინევს. პუგაროვი მას მაგიდასთან იპატიუებს. კეიფის შემდეგ პუგაროვი ყველას დაითხოვს. რათა გრინევთან მარტო დარჩეს.

იწყება დაძაბული წუთები. ტყაპუჭისათვის პუგაროვმა უხვად გადაიხადა. გრინევმა რაღა მოიმოქმედა. ხაჩუქარი სიცოცხლისათვის სამაგიეროდ რა მიიღო?

„გამოტყდი, ხომ შეგეშინდა. ჩემმა ბიჭებმა კისერზე თოკი რომ შეგაბნეს? ალბათ ცაცხვრის ტყავად მოგეჩვენა...“ — ხუმრობით იწყებს პუგაროვი. მაგრამ დამცინავ ტონს მაშინვე მედიდურზე სცვლის: „მა? იფიქრებდი კი განა, თქვენო კეთილშობილებავ, რომ კაცი, რომელმაც ფუნდუკში მ. გ. უვანა, თვით დიდი ხელმწიფე იყო?“

პუგაროვი ტონს ტყუილად არ ცვლის. განზრახ იქცევა ასე. „შენ ძლიერ დააშავე ჩემთან... მაგრამ შენ შენივე გულკეთილობისათვის შეგიბრაღე, შეგიბრაღე, იმიტომ რომ, შენ სამსახური გამიწიე, როდესაც იძულებული ვიყავი ჩემს მუხანათ მტრებს დავმალვოდი“.

ატამანი დაპირებებს იწყებს: „ჩერ სადა ხარ, აგრე დაგაჭილდოებ, როცა ჩემს სამეფოს მივიღებ!“ მას ძალიან უნდოდა, გრინევი მოკავშირედ გაეხადა. „მპირდები, გულმოდგინედ მემსახურო?“

შვანვიჩი და ბაშარინი (რომანის პირველ მონახაზებში) პუგაროვის მხარეზე თვითონ გადავიდნენ. აქ კონფლიქტი აღმოცენდება.

„მემსახურე ერთგულად და ფელდმარშლობას, თავადობას მოგცემ, შენ რას ფიქრობ?“

გრინევი უყოყმანოდ პასუხობს, რომ თავისიანების წინააღმდეგ არ შეუძლია წასვლა, რომ თავადია და ფიცითაა შეკრული.

უარი მტკიცე და შეუცვლელია: „თქვენთან სამსახური არ შემიძლია“. შექახება გარდაუვალია.

პუგაროვი ცდილობს შეარბილოს იგი. იქნებ გრინევმა იმის პირობა მაინც მისცეს, რომ ამბოხებულთა წინააღმდეგ არ იბრძოდეს.

„აბა როგორ შემიძლია მაგას დაგპირდე?“ — პასუხობს გრინევი. — „თვითონაც იცი, ჩემი ნება არაა: მიბრძანებენ, შენს წინააღმდეგ წამოვიდე, წამოვალ, რას გავაწყობ“.

გართულდა და მერე როგორ გართულდა შინაგანი სიუჟეტური ხაზი. ახლა კი უკიდურესად გამწვავდა დამოკიდებულება. რა წყალობის იმედი უნდა ჰქონდეს გრინევს? პუგაროვის კეთილგანწყობილებასაც დაუდგება დასასრული და მაშინ...

იმ „ხილის“ ხაქმე როგორღა იქნება, რომელზეც ადრე იყო საუბარი. ეტყობა საბოლოოდ ჩაინგრევა.

მაგრამ პუშკინმა სწორედ იმიტომ გაამწვავა სიტუაცია, რომ პუგაროვის ხასიათი გამოეკვლიოს (და ამასთან ერთად „ხილის“ გადების შესაძლებლობაც). პუშკინი, როგორც მეცნიერები ამბობენ, ხასიათის „ხინჯს იღებს“.

გრინევი ვაუკაცობისა და ხასიათის სიმტკიცის გამოცდაზეა. პუგაროვიც გამოცდაზეა, რომელიც პირადად მას საშიშროებით არ ემუქრება, მიუხედავად ამისა, გრინევისაზე ნაკლებად ძნელი არაა.

გამოცდაზეა სულ გრძელობა.

„ჩემმა გულწრფელობამ პუგაჩოვი გააოცა. „აგრე იყოს, — დამარტყა მხარზე ხელი. — თუ დახჭაა, დახჭა იყოს. თუ შეწყალდება, შეწყალდება. წადი, იარე, ოთხივე კუთხივ გზა ხსნილი გაქვს“...“

გრინევი ნება ეძლევა თავისუფლად წავიდეს ორენბურგში, სადასწრეს მისი ქარებია განლაგებული.

„ხიდი“ არ ჩანგრეულა, ის მომავალშიც გააკეთებს თავის საქმეს.

ორენბურგში გრინევი მარია ივანოვნასგან სასოწარკვეთილ წერილს ღებულობს. ის შვაბრინის ხელშია, რომელიც ბელოგორსკის ციხე-სიმაგრის უფროსად დანიშნეს. ქალს „ძალიან ხასტიკად“ ექცევა და იძულებს ცოლად გაჰყვეს. ძლივ-ძლივობით გამოსთხოვა სამი ღლის ვადა. „თუ ამ სამი ღლის შემდეგაც არ გავუვები, მაშინ აღარაფრის იმედი აღარ არის“.

გრინევი გენერალთან მიდის და სთხოვს მისცეს ქარისკაცთა ახეული და ას ორმოცდაათი კაზაკი. რათა ბელოგორსკის სიმაგრე წაართვას მტერს. გრინევი უარს ღებულობს.

გენერლისგან გაწბილებული გრინევი გადაწყვეტს. მარტო წავიდეს ბელოგორსკის სიმაგრეში. სადაც დატყვევებულია მარია ივანოვნა. აკანკალებული ხმით ევედრება საველიჩი, წერას ნუ აუტანიხარ, საკუთარი ფეხით მტრის ბანაკში ნუ მიდიხარ. როცა რწმუნდება, გრინევის გადაწყვეტილება ურყევია და ვერაფერს გახდება. „კეთილი გამდელი“ მარტო გაშვებაზე უარს ეუბნება: „როგორც გენებოს, ბატონო, მაგრამ მე არ მოგშორდები“ — და ორივენი ერთად მიდიან.

გზა „ბერდის ახლოს — პუგაჩოვის სადგომებთან“ გადის. გრინევი იმედოვნებს: „სლობოდას მშვიდობიანად შემოუაროს“, მაგრამ პუგაჩოვის მოწინავე ქარის გუშაგებს, კეტებით შეიარაღებულ გლეხებს გადაეყრება.

„დაგვიძახეს. რაკი პაროლი არ ვიცოდი, ხმის გაუცემლად გარიდება და გვერდზე ჩავლა მინდოდა, მაგრამ გუშაგები უშალვე შემოგვეჭარნენ და ერთ-ერთმა მათგანმა აღვირში მიტაცა ხელი. სასწრაფოდ ვიშიშვლე ხმალი და გლეხს თავში დავკარი. ქუდმა იპატივა, მაგრამ მაინც დატორტმანდა და აღვირს ხელი უშვა“. დანარჩენები გაიქცნენ.

ერთი სიტყვით, გრინევსა და პუგაჩოვს შორის ნამდვილი ბრძოლა იმართება. ოფიცრის ხმალი გლეხურ კეტზე ძლიერი აღმოჩნდება და გრინევი თავის დაძვრენას ახერხებს. „ცხენს ქუსლი მკრა და მობკურცხლა“, მაგრამ კოჭლ ცხენზე ამხედრებული საველიჩი ჩამორჩა. გრინევი იძულებულია უკან დაბრუნდეს და გამოიხსნას.

უველაფერი იმით თავდება, რომ ორივე ტყვედ ვარდება. „ხოლო ჩვენს მამას სრული უფლება აქვს გვიბრძანოს, ახლავე ჩამოგახრჩოთ, თუ ღვთის მადლით გათენებას დავუცადოთ“, — ეშუქრება პუგაჩოველი.

ასეა გადმოცემული ეს ეპიზოდი მეათე თავის დასაწყისში („ამბოხებული სლობოდა“). სხვათა შორის, რომანის უკანასკნელ, შავ ხელნაწერებში, რომელიც პუშკინის ქალაქ-ღებშია დაცული, ეს ეპიზოდი სულ სხვაგვარად არის აღწერილი. განსხვავება მათ შორის მეტისმეტად არსებითია.

რატომ? იმიტომ, რომ გზა „ბერდის სლობოდას“ კი არ ჩაუვლის, როგორც ეს საბოლოო ტექსტშია ნათქვამი. არამედ პირიქით, გრინევი სწორედ „ბერდის სლობოდისკენ, პუგაჩოვის სადგომისკენ“ მიდის.

გამოჩნდა ბერდის სინათლეები. „მე პირდაპირ იქითკენ წავედი“. საველიჩი, რაღა თქმა უნდა, გულგახეოქილია. „საით, საით მიდიხარ?“ — უკანიდან მისძახის და ძლივს ეწევა გრინევს. — „ეს იმ უჩაღების ცეცხლი ანთია, ვუგანოთ, სანამ არ დავუნახივართ“.

საველიჩის ვედრებას უურსაც არ ათხოვებს გრინევი. მაგრამ არა იმის გამო, რომ არაფრის ეშინია, მას მშვენიერად ესმის, რომ პუგაჩოვის უარაულებს ვერ ასცდებიან, და არც ცდება იგი. გუშაგებთან შეურისთანავე ააშკარავებს განზრახვას. „გამოვუცხადე, რომ ორენბურგიდან მოვდივარ მათ უფროსთან“, ანუ პუგაჩოვთან. საველიჩი გაოცებისგან გაოგნებულია. თავსაც და ბატონსაც უკვე დაღუპულად თვლის. „პირჯვარს იწერს და ჩუმად ღოცულობს“.

— აი, თურმე რაში მდგომარეობდა პუშკინის კემმარტი ჩანაფიქრი. გრინევი პუგაჩოვთან საკუთარი ნებით, წინასწარი გადაწყვეტილებით მიდის. მისთვის ცხადი ხდება,

რომ ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შაშას ხსენა შეუძლია, რომლის თანაგრძნობაზე შეიძლება იმედი იქონიოს — პუგაჩოვი.

ხოლო დაბეჭდილ რედაქციაში — ეტუობა ცენზორის რეაქციის გათვალისწინებით გამო, აღბათ დიდი გულსტკივილით, იძულებული გახდა მოვლენათა მსვლელობა შეეცვალა. ამბობების მეთაურთან შეხვედრა, რომელსაც გრინეცსა და შაშას ბედისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, არა წინასწარ მოფიქრებული, არამედ შემთხვევითი გრინევი პუგაჩოვთან მიჰყავთ, არა როგორც სტუმარი, არამედ როგორც ტყვე.

— II —

დაკითხვისას — გრინეცს სწორედ დაკითხვას უწყებენ — ჩვენი გმირი გულახდილად პასუხობს, რომ პირდაპირ ბელოგორსკში მოდიოდა, რათა „გამოსარჩლებოდა ობოლს, რომელსაც იქ ჩაგრავენ“. პუგაჩოვი აღშფოთებულია. „რომელია ჩემი კაცებიდან, ობლის დაჩაგვრას რომ ბედავს? — დაიუვირა მან. — რაც არ უნდა ჭკუით სავსე ბრძანდებოდეს, ჩემს სამართალს ვერსად გაექცევა, თქვი, ვინ არის დამნაშავე?“ გრინევი დამნაშავეს ასახელებს.

„მე ვაჩვენებ შვაბრინს, — მრისხანედ წარმოსთქვა პუგაჩოვმა. — ჩამთან არ გაუვა თავნებობა და ხალხის შევიწროება“. პუგაჩოვმა დახანება არ იცის დასჯაზე. — „მე მას ჩამოვახრჩობ“.

მაგრამ საქმის მოგვარება ჯერ შორსაა, თვითმარქვია „ხელმწიფეს“ ირგვლივ თავისი „გენერლები“ უსხედან: ზლოპუშა, ბელობოროდოვი და სხვანი, მათი გულის მოგება ძალიან ძნელია.

ზლოპუშა პუგაჩოვს საუვედურობს, რომ ის მაშინაც აჩქარდა, როცა ოფიცერი შვაბრინი სიმაგრის კომენდანტად დანიშნა. ახლა კი მის ჩამოხრჩობას ეშურება. თავდაპირველად კაზაკები გაანაწეენა, თავადი უჭროსად დაუსვა. ახლა მაინც ნუ აფრთხობს მათ. „დე, ენის პირველ მოტანაზევე ნუ სჯის“.

კამათში ბელობოროდოვი ერევა და საქმე ხელ უფრო უარესდება. გაცილებით უარესდება, მისი აზრით შვაბრინის „დასჯა ძნელი არაა“. მაგრამ კარგი იქნებოდა, „ბატონი ოფიცერი დასაკითხთა ოთახში შეეყვანათ და იქ ცეცხლი შეენთოთ“. სხვა სიტყვებით, ეწამებინათ და ესე დაეკითხათ. აქი ბატონი ოფიცერი პუგაჩოვს ხელმწიფედ არ სცნობს. მას „აღარც სამართალს უნდა ეძებდეს“ მასთან. თუ ხელმწიფედ მიაჩნია, აქამდე რაღას იქდა „ორენბურგში ჩვენს მტრებთან?“

„ბებერი ავაზაკის ლოგია დამაჩერებელი შეჩვენა“ — აღიარებს გრინევი. — „ტუნში ურუანტელმა დამიარა, როცა წარმოვიდგინე, ვის ხელში ვიმყოფებოდი“.

ცნობილია, რომ პუგაჩოვი თავის თანამებრძოლებზე წინ ვერ წავიდოდა. ისინი გრინევის წინააღმდეგნი არიან. აქ ვერაფერს ვახდები, რადგან გრინევი მოწინააღმდეგის ბანაკს მიეკუთვნება.

მას როგორ მოიქცევა პუგაჩოვი? მისი ხასიათის თვისებანი, გრინევისადმი მისი დამოკიდებულება ისევ სერიოზული გამოცდის წინაშე აღმოჩნდება.

პუშკინი ფსიქოლოგიურად ზუსტ შტრიხს პოულობს. პუგაჩოვი ისევ იუმორს იშველიებს, რათა განმუხტოს უსიამოვნება, რომელიც საუბრის შეტრიალების გამო შეიქმნა.

„რაო, თქვენო, კეთილშობილებავ? — თვალი ჩამიკრა პუგაჩოვმა. — ჩემი ფელდმარშალი, მგონი, მართალს ლაპარაკობს. შენ რას იტყვი?“

პუგაჩოვის გულკეთილი დაცინვა გმირს ამხნეებს. გულგრილად პასუხობს, რომ მის ხელშია და მისი ნებაა, როგორ მოექცევა.

მაინც როგორ მოიქცევა პუგაჩოვი? იგი გრინეცს ეკითხება, რა საქმე აქვს იმ გოგოსთან, რომელსაც შვაბრინი გადაჰკიდებია.

„ჩემი საცოლეა“. — აცხადებს გრინევი.

ლაპარაკის საგანმა სხვა სფეროში გადაინაცვლა. ეშმაკი და გამჭრიახი პუგაჩოვი ამას შარკვედ იუენებს. თავს აღშფოთებულად აჩვენებს. „შენი საცოლე? — იუვირა პუგაჩოვმა. — შერე რატომ აღრევე არა თქვი? ჯვარს თვითონ დაგწერთ და ქორწილშიც ვიქეიფებით“

რასაკვირველია, ეს წმინდა წყლის თამაშია, საკიროსა საზიფათო საუბრის მშვიდობიან კალამოტში გადაგდება. პუგაჩოვმა ოხტატურად შეახრულა თავისი როლი. და აი, ორივე — თავადიც და მეთამბოხეთა ბელადიც — ერთმანეთის გვერდით სხედან კიბიტში და ბელოგორსკისკენ მიემგზავრებიან.

თითქოს უველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. გრინევს საშიშროება აღარ ემუქრება. პუგაჩოვმა კიდევ ერთხელ გამოავლინა დიდსულოვნება.

მაგრამ ეს უოველივე პუგაჩოვს იაფი არ დასჯდომია. მას მოუხდა სახელმწიფო ქარების ოფიცრის დაცვა წინააღმდეგ თანამოღვაწეთა სურვილისა, რომელთა აზრს არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. ის მათ ეურდნობა.

„შენ ხედავდი ჩემი ბიჭები როგორი ავი თვალით გიყურებდნენ? — პუგაჩოვი გზაში. — მოხუცი დღეს იმასაც ამტკიცებდა, რომ შენ ჯაშუში ხარ, რომ საჭიროა ვაწამოთ და ჩამოვაბრჩოთო, მაგრამ მე არ დავეთანხმე.

რატომ?

„...არ დავეთანხმე... შენი ერთი ჭიქა ღვინო და კურდღლის ტყაპუტი მახსოვდა. შენ ხომ ხედავ, რომ არც ისეთი სისხლისმღვრელი ვყოფილვარ, როგორც შენი მოძმენი ლაპარაკობენ“.

ტყაპუტი — სხვა სიტყვებით ხალხისადმი ის სიბრაღული, რომელიც მათ ასე სჭირდებათ — გადაიქცა რომანის ნივთიერ და ამავე დროს ფსიქოლოგიურ ლეიტმოტივად.

ტყაპუტი — განსახიერება უანგარო სიკეთისა. საქციელი — გულის ბუნებრივი კარნახით ჩადენილი.

რა ბევრის შემძლეა ადამიანურობა, ამბობს პუშკინი თავისი რომანით, რა დიდია მისი მნიშვნელობა ადამიანთა ცხოვრებაში.

არსებობს ასეთი ფოლკლორული ტრადიცია: გმირი სამმაგ გამოცდას აბარებს. ვთქვათ სამი გამოცანის ამოხსნა: ეს მოტივი სხვადასხვა ხალხების ზღაპრებში აუცილებლად მეორდება.

აღბათ ეს წინასწარი განზრახვის გარეშე მოხდა, მაგრამ პუგაჩოვის სულგრძელობა კიდევ მესამე. უკანასკნელი გამოცდის წინაშე აღმოჩნდება.

ჯერ კიდევ ბელოგორსკის სიმაგრისკენ მიმავალ გზაზე ფიქრობს გრინევი იმ კაცზე, ვის ხელშიც მისი და მარია ივანოვნას ბედის სადავეები იყო. „ვიგონებდი თავაშვებულ სისასტიკეს. სისხლისმოყვარულ თვისებებს იმ კაცისას, რომელმაც ჩემი საუფარელი ქალის გამოხსნა იდო თავს!“ პუგაჩოვმა ხომ არ იცის, რომ გრინევის საცოლზე ბელოგორსკის სიმაგრის კომენდანტის ქალიშვილია. „გაავებულ შვაბრინს უველაფრის დაფქვა შეუძლია... მაშინ რა ბედი ეწევა მარია ივანოვნას? ეს ფიქრი სხეულს მიუჩინავდა და თმას უალუწე მიყენებდა“.

ბოლოს და ბოლოს სწორედ ასეც მოხდება.

პუგაჩოვის მოსვლისთანავე შვაბრინი, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობს ბრძანება გადაათქმევინოს, იძულებული ხდება გააღოს ოთახის კარი, სადაც კაბაჩამოხეული და გაფითრებული მარია ივანოვნა პირდაპირ იატაკზე წევს. წინ დოქით წყალი და პურის ნატეხი დევს.

შვაბრინმა აღრვევ განაცხადა, რომ აქ მისი ავადმყოფი ცოლი იმყოფებოდა და ახლა ტყუილს მოკლვე ფეხები აღმოაჩნდა. „არასოდეს არ ვიქნები მისი ცოლი“, — წამოიძახა მარია ივანოვნამ. — „უკეთესია, სიკვდილს ვეწიო. კიდევაც მოვევდები, თუ არავინ დამიხსნის“.

„შენ გაბედე და მე მომატყუე!“ — პუგაჩოვი აღშფოთებულია. შვაბრინი ლაჩრულად ეცემა მუხლებზე. პუგაჩოვი მარია ივანოვნას მიუბრუნდება და ტკბილად ეუბნება: „გამოდო, ლამაზო ქალიშვილო, მე შენ გაჩუქებ თავისუფლებას...“

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ გრინევის წინასწარმეტყველური სიზმარი: „საზარელმა გლეხმა აღერსიანად დაუძახა — „ნუ გეშინია, ახლოს მოდი, დაგლოცავ...“ საზარელი გლეხის აღერსი რომანის უველაზე უღრმესი და უმნიშვნელოვანესი აზრის შუაგულია.

ამ დროს შვაბრინი ატყობინებს, რომ ტყვე ქალიშვილი იმ ოფიცრის შვილია ვინც ბელოგორსკის გარნიზონს მეთაურობდა და ასე თავგამოდებით იბრძოდა პუგაჩოვის წინააღმდეგ.

ღიას, მან, შვაბრინმა სიმაართლე დამალა, მაგრამ მისი ტყუილი პირად გარემოებებს ეხებოდა. ხოლო გრინევის ტყუილი ბევრად უარესია, აქაოდა სახელმწიფო საქმეაო.

„პუგაჩოვმა ცეცხლისმფრქვეველი თვალებით შემოიხედა, „ეს რაღა ამბავია?“ — მკითხა შეცბუნებულმა.

— შვაბრინმა მართალი ვითხრა, — ვუპასუხე მტკიცედ.

პუგაჩოვს სახე მოედლუშა. „შენ ჩემთვის ეგ არ ვითქვამს“.

კვანძის გახსნა ახლოვდება. რა მოხდება ახლა?

გრინევი თავს იმართლებს. პუგაჩოვის თანაშემწეებთან მართალი რომ ეთქვა, ისინი ცოცხლად შესვამდნენ მასაც და მირონოვის ქალიშვილსაც.

„— ეგეც მართალია. — სიცილით თქვა პუგაჩოვმა. — ჩემი ლოთები არ დაინდობდნენ საწყალ გოგონას...“

შესამედ ზეიმობს პუგაჩოვის სულგრძელობა გასასტკეპულ, გაუშვებულ დევნიტ გაბოროტებულ ხასიათზე.

მიმდინარეობს უკანასკნელი საუბარი თავადისა ამბობებულთა მეთაურთან.

„... ღმერთია მოწმე, — ამბობს გრინევი — რომ ჩემს სიცოცხლეს სიხარულით შემოგწირავდი იმის სამაგიეროდ. (გამოვყოთ ეს სიტყვები — ე. დ.). რაც შენ ჩემთვის გააკეთე“.

და უკანასკნელი თხოვნით მიმართავს პუგაჩოვს, საცოლესთან ერთად გაუშვას „თავისიანებთან“.

„შენ ჩემი კეთილი ხმყოფელი ხარ... (ეს სიტყვებიც გამოვყოთ — ე. დ.) და ჩვენ, სადაც არ უნდა იყო, რაც არ უნდა შეგემთხვას, დღემუდამ შევავადრებთ უფალს (შესამეგრე ვავუსვით ხაზი გრინევის სიტყვებს — ე. დ.) შენს ცოდვილ სულს...“

პუგაჩოვი თანხმდება. „თითქოს მოღბა სასტიკი სული პუგაჩოვისა“ — „მოკიდე ხელი შენს ლამაზს და სადაც გინდა წაიყვანე, ღმერთმა მოგცეთ სიყვარული და კეთილდღეობა!“ უბრძანებს შვაბრინს ორივეს გამოუწეროს საშვი უველა სიმაგრესა და საგუშაგოზე. რაც კი მას ემორჩილებოდა...

როცა „პუგაჩოვის ამბოხების ისტორიამ“ დღის სინათლე იხილა, ვინმე ბრონევსკიმ მის წინააღმდეგ გაილაშქრა. პუშკინი შეეკამათა. სტატიის „პუგაჩოვის ამბოხების ისტორიის“ თაობაზე პუშკინს თავისი კრიტიკოსისთვის დამახასიათებელი ციტატა მოჰყავს:

„... ემელკა პუგაჩოვი უდავოდ მიეკუთვნებოდა. ავაზაკებს, რომლებიც თავიანთი დაბადებით ბუნების კანონებს ეწინააღმდეგებიან. რადგან მის არსებაში სიკეთის უმცირესი ნაპერწკალიც არ მოიპოვებოდა... ამ ავაზაკის ისტორიას შეუძლია... თვით უჩაღლებსა და მკვლევლებშიც კი... ზიზღი გამოიწვიოს. ამასთან ერთად ის ამტკიცებს, როგორ შეიძლება დაეცეს ადამიანი და როგორი ჯოჯოხეთური ბოღმით შეიძლება აევისოს გული“

ასეთი იყო სახალხო ბელადის მისამართით გაგზავნილი წუველისა და გინების „კრებული“: „მტარვალი“, „სიკეთის ნაპერწკლის ნატამალის უქონლობა“, „ბოროტება“, შეეძლო თვით უჩაღლებსა და მკვლევლებშიც კი „ზიზღი გამოეწვია“. „ჯოჯოხეთური ბოღმა“, „როგორ შეუძლია ადამიანს ასე დაეცეს“. და ა. შ.

პუშკინს განზრახ მოჰყავს ეს კკუის დამრიგებლური ციტატები, რათა „ხუსტი და უგვანო“ უწოდოს და მათი ავტორი შეარცხვინოს.

რასაკვირველია, პუშკინს შეეძლო გამანადგურებელი ეპითეტებიც მოენახა. მაგრამ რაკი ახსოვდა ის „საშიშროებანი“, რაც „კაპიტანის ქალიშვილს“ ეღობებოდა გზაზე, ესმოდა, რომ ბრონევსკის ზურგს უვაროვები და ბენკენდორფები უმაგრებდნენ, სიტუაქუნწი თავდასხმა იქმარა.

ბრონევსკის ჭეშმარიტად გამანადგურებელი პასუხი პუგაჩოვის მხატვრული სახის გამოძერწვით გასცა მწერალმა.

— შეხედეთ, როგორია იგი! — გვესმის მოთხრობის მშვიდ ტონს შეფარებული ავტორის აღელვებული ხმა. პუშკინი ამ მომენტში ესიყვარულება პუგაჩოვს და არც ცდილობს ამის დაფარვას.

იმ „ცრუ თქმულებაში“, რომელზეც პუშკინი მიანიშნებდა ცენზორთან მიწერილ წერილში, იგულისხმებოდა იმპერატორის გულმოწყალება, რომელსაც სინამდვილეში არ ჰქონია ადგილი.

არანაკლებ ძლიერად ეღერს გულმოწყალების თემა პუგაჩოვის მიერ მათა მირონოვას დახსნის ეპიზოდში. ვიდრე გრინევისა და პუგაჩოვის საუბარში მათი შეყრისას, ოფიცრებთან ანგარიშსწორების შემდეგ, არა მარტო ძლიერად, ლამაზადაც, მე ვიტყოდი, რაინდულადაც.

გულმოწყალებით, სულგრძელობით, რაინდულთბითა დაჭილდობული პუგაჩოვი.

პუშკინი გვერდს არ უფლის და არც სურს აუაროს აჯანყების პირქუშ მხარეებს. მაგრამ ახლა, უოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ, შეიძლება ღირდეს, მკითხველის უურადღება გამამახვილოთ მთლიანი თხრობის, მის საღებავთა განაწილების პროპორციებზე. უმოწყალო,

სასტიკე შურისძიებას ოფიცრებზე (უდანაშაულო მსხვერპლად ეცემა ვასილისა ეგოროვნიც) რომანში სამი გვერდი უჭირავს, ხოლო ურთიერთსიყვითის სიუჟეტს, ქარბუქის ეპიზოდებიდან გრინევ-პუგაჩოვ-მარია ივანოვნას პერიპეტეობამდე ოც გვერდზე შიტი აქვს დათმობილი.

სიუჟეტის სიმძიმის ცენტრი ძალიან არის გადახრილი ქველმოქმედების, „ხიდის“ მხარეს. პუშკინმა უველაფერი გააკეთა, რათა თვითმარქვია აქედან დაეშინებინა დახსნილ პუგაჩოვის ფიგურამ სრულიად დასრულებული და ერთიანი სახე მიეღო.

უველაფერი იმ სცენამ დააჭამა. სადაც გრინევმა უკანასკნელად დაინახა პუგაჩოვი. ურიადნიკმა პუგაჩოვის ბატონობით აკრელებული საშვი მიუტანა და „მისი ხალხით“ დაიბარა. საბოლოო მოლაპარაკება არ მოხერხდა. შვაბრინი და მისი ხალხი გარს შემოეხვივნენ ატამანს, რომელიც გამგზავრებას აპირებდა, და გრინევს ხელი შეუშალეს უველაფერი გამოეთქვა, რითაც სავსე ჰქონდა გული.

რით იყო სავსე მისი გული?

„რატომ არ ვაღიარო სიბრძნე? იმ წუთებში საოცრად ძლიერი თანაგრძნობა მიზიდავდა მისკენ“. — ვკითხულობთ გრინევის აზრებს. — „მინდოდა, ძალიან ძლიერ მინდოდა იმ ავაჯათა წრიდან გამომეგლიჯა, რომელსაც მეთაურობდა და რამე შეშველა, გადამერჩინა, სანამ ჭერ კიდევ დრო იყო“.

საჭირო იყო, უდიდესი, შეუდრეკელი მოქალაქეობრივი სივაჟაცე, რათა ეს სიტუაციები დაწერილიყო პუგაჩოვზე მაშინ, რეაქციულ ეპოქაში, როცა გლეხურ-კაზაკური ამბოხების მეთაურს უწოდებდნენ „შტარვალს“, მიაწერდნენ „კოკოხეთურ ბოლშას“ და უარყოფდნენ მასში „სიკეთის ნატამალსაც“ კი.

პუშკინის კალამმა თითქოსდა არარსებული „სიკეთის ნაპერწყლიდან“ უბრწყინვალესი ალი და ნათება გააჩირადდნა.

„კაპიტანის ქალიშვილის“ თხრობის ტონი გარეგნულად გულუბრყვილო და უეშმაკოა, მაგრამ ეს მხოლოდ ავტორის მიერ მიგნებული ფანდია.

„კაპიტანის ქალიშვილის“ სიუჟეტის ჩამოთლილმა, შე ვიტყვოდი — სრულყოფილმა ფორმამ, რომანის იდეა გამოხატა. მთელი მისი მსვლელობის მანძილზე პუშკინი განამტკიცებს აზრს — რუსი ხალხის სულიერი სიმდიდრის სიდიადეზე, კეთილშობილ წნეობრივ თვისებებზე, რომელიც „უბრალო ხალხის“ ტლანქი საფარის ქვეშ იმალება და რომელთაც შეეძლოთ უფრო ძლიერად და ნათლად გამოვლენილიყვნენ, ასე დაჩაგრულნი და ხშირად დამახინჯებულნი რომ არ ყოფილიყვნენ არაადამიანური სოციალური პირობებით.

და კიდევ ერთი საოცნებო აზრი — ისტორიის შორეთში დამიზნებული: საჭიროა და შესაძლებელი გადება „ხიდისა“, რომელიც მტკიცედ და მეგობრულად შეაერთებს მშრომელ მარჯვენას და ერის ინტელიქტს.

ტუზი და ქალი

(ა. პუშკინი „პიკის ქალი“)

განსაცვიფრებელია ის მეტამორფოზა, რომელიც „პიკის ქალის“ პირველწყარომ განიცადა.

ერთმა კურიოზულმა შემთხვევამ, რომელმაც პუშკინამდე მიაღწია, დასაბამი მისცა მაშინდელი ლიტერატურული ეპოქის ერთ-ერთ უველაზე ღრმა სიუჟეტურ ჩანაფიქრს.

— 1 —

პუშკინმა თავის მეგობარს პ. ვ. ნაშჩოკინს გაანდო, რომ „პიკის ქალის“ მთავარი კვანძი გამოგონილი არ იყო. ახალგაზრდა კნიაზს, გოლიცინს ეამბა მისთვის, რომ ერთხელ ქადაღლის თამაშში დიდძალი ფული წაეგო და იძულებული გა-

ხდარიყო ფულის სათხოვნელად ბებიას თავდახრილი ხლებოდა. ბებია, ნატალია პეტროვნა გოლიცინისა უფლებამოსყვარე და ამპარტავანი ქალი ბრძანდებოდა (მას პუშკინიც იცნობდა).

ბებიას ფული არ მიეცა. სამაგიეროდ სულგრძელობა გამოეჩინა და გაენდო სამი მოშგები კარტის ვითომცდა მაგიური საიდუმლო, რომელიც თვითონ თავის დროზე განოჩენილი გრაფის, სენ-ჟერმენისგან ჰქონდა გაგონილი. საფრანგეთის არისტოკრატიულ წრეებში სენ-ჟერმენს თვლიდნენ გრძნეულად, რომელიც ნაწიარები იყო შავი მაგიის ყველა ხელოვნებას.

— სცადე. — ურჩია ბებიამ.

შვილიშვილმა სცადა და მოიგო.

— მოითმინეთ. — გაიოცებს მკითხველი. — „პიკის ქალში“ ხომ ყველაფერი პირუკუ ხდება: გერძანმა დიდი ვაი-ვაგლახით ათქმევინა მოხუც გრაფინიას სენ-ჟერმენის საიდუმლო, მაგრამ კი არ მოიგო, წააგო.

დიახ, მართალია. მაგრამ ფსიქოლოგიის ლიერ დადგენილია, რომ არსებობენ მსგავსი და კონტრასტული აზრობრივი ახოციაციები. პუშკინის მოთხრობის ფინალი სრულებით არ წააგავდა გოლიცინის ბანკოს თავგადასავლის წარმტაც დახასრულს. მაგრამ მის ტრაბაზგარეულ ნაამბობში პუშკინმა დაიჭირა სიუჟეტი, უფრო სწორად მარცვალი, მასი საყრდენი, რომელიც იოლად შეიმოსა ადამიანთა ხასიათებისა და ურთიერთდამოკიდებულების ცოცხალი ქსოვილით.

მაღალი საზოგადოების ანეკდოტიდან პუშკინის მოთხრობაში ორი მოქმედი გმირი გადავიდა: ბანკოს მოთამაშე ახალგაზრდა კაცი და დიდგვაროვანი მოხუცი ქალი, რომელიც ქადოსნურ საიდუმლოს ფლობდა.

არც ერთი და არც მეორე ავტორის თანაგრძნობას არ იწვევს. მოხუც გრაფინიაზე ნათქვამია: რომ ის „გულბოროტი არ იყო.“ ოღონდ ფრაზის ირონიულობა მისივე გაგრძელებიდან ჩანს „...მაგრამ, რადგან უმალღესი წრის ნებეირა გახლდათ, თავგუნება, ძუნწი, გულგრილი და ეგოისტი იყო.“ თავის სახელში „მთელ ქალაქს“ მასპინძლობდა. მაგრამ დაუფარავი ქედმაღლობით „ვერც ერთს ვერა ხცნობდა“.

ეგებ თავის აღზრდილს, ლიზავეტა ივანოვნას ექცეოდა უკეთ? მკითხველს რომანის ერთ გვერდს გავახსენებ.

გრაფინია ლიზას ავალებს, სასეირნოდ ეტლის მომზადება ბრძანოს, ქალი წამოდგება და სასწრაფოდ ალაგებს საქარგავს.

— „დაურუვდი თუ რა დაგეშართა, ქალო, — დაიყვირა მოხუცმა. — უბრძანე, სასწრაფოდ შეაბან ცხენები.“

— ახლავე. — ხმადაბლა უპასუხა ქალიშვილმა და წინკარში — სადარბაზოში შემოსასვლელისკენ გაიქცა“.

ამ დროს გრაფინიასთან შემოაქვთ მისი შვილიშვილის, ტომსკის მიერ გამოგზავნილი რომანები.

— ლიზენკა, ლიზენკა, მოიცა, სად გარბიხარ?

— უნდა ჩავიცვა.

— მოახწრებ, ბატონო, აქ დაქექი და პირველი ტომი გადაშალე. ხმამაღლა წაიკითხე.“

ლიზა კითხვას იწყებს.

— „უფრო ხმამაღლა! — თქვა გრაფინიამ. — რა დაგეშართა, ხმა ჩაგიწყდა. თუ რა ამბავია?..“

ლიზა კითხვას აგრძელებს. გრაფინია მოწყენილობისგან ამტქნარებს.

— „გადააგდე ეგ წიგნი... სისულელეა რაღაც: ეტლი რას შვრება?“

ქალიშვილი პასუხობს, რომ ეტლი მზად არის.

— „მაშ რატონ არა ხარ ჩაცმული? — თქვა გრაფინიამ. — მუდამ შენ როგორ უნდა გიცადოს ადამიანმა! ეს აუტანელია, ჩემო კარგო!“

ლიზა თავისი ოთახისკენ გარბის, რათა საგარეოდ გამოეწყოს. „ორი წუთიც არ გასულიყო, გრაფინიამ მთელი ძალით ააწკარუნა წარი“. სამი მოახლე და კამერდინერი ერთად შემოცვივდნენ. გრაფინია აღშფოთებულია.

— „რა გეშართებათ, ვერაფერს გაგაგონებთ ადამიანი?... უთხარით ლიზავეტა ივანოვნას, ხომ ველოდები“.

შემოდის ლიზა კამოტში გამოწყობილი. თავზე ქუდი ახურავს, ესეც ახალი საბაბი საყვედურისთვის.

— „რას გამოპრანჭულხარ! რა ხაფიროა, ვის აწონებ თავს? როგორი ამინდია? ქარია, მგონი?“

კამერდინერი მოწინებით მოახსენებს, რომ უჭარო და მშვიდი ამინდია.

„— თქვენ მუღამ ალაღბედზე პასუხობთ. გამოადეთ სარკმელი. ასეც არის, ქარია! თანაც ცივი ქარი. დააბრუნეთ ეტლი. ლიზენკა, აღარ მივდივართ- ტუუილად ნორთუ“.

— „ეს არის ჩემი ცხოვრება! — გაიფიქრა ლიზავეტი ივანოვნამ“.

კენწვლა და ყვედრება ყოველ დღე, ყველა მიზეზისა თუ საბაბის გამო გაქუდმებული და წვრილმანი, მაგრამ გაუთავებელი და განუწყვეტელი ტირანია.



საქართველოს
გეგმვისა და
სტატისტიკის
მინისტრის
გამოცემის
სამსახური

გერმანი? „ქეშმარიტად რომანტიკული პიროვნება“. — როგორც მას ენამჭევრულად ახასიათებს ტომსკი. პუშკინს მოსწონს გერმანი?

ტომსკის სიტყვებს ავტორი უმატებს: „ახალი რომანების წყალობით უკვე გაუმსგავსებული პიროვნება“. პუშკინმა მშვენივრად იცოდა მოჩვენებითი რომანტიკული პოზიორობის ქეშმარიტი ფასი.

გერმანი გამდიდრების წყურვილითაა შეპყრობილი. ეს ამ სახის მთავარი თვისებაა. ტომსკის მიერ მოყოლილმა სენ-ჟერმენის საიდუმლოდ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, ოცნებები ველარ დაიმორჩილა: „რა იქნება, ბებერი გრაფინია თავის საიდუმლოს რომ გამანდობდეს! ან სწორედ იმ სამ ქალადს დამინიშნავდეს!“

ყველა შესაძლებლობას გონებაში გამოალებული არჩევდა.

„წარვედგე და ნივალწიო, კეთილი თვალით გადმოგხედოს...“

მაგრამ აგერ უკვე ექვსჯერ ათი წელია, რაც გრაფინია ისეთი თავგამოდებით ინახავდა თავის ძვირფას საიდუმლოს, საკუთარ შვილიშვილსაც არ უმხელდა.

გერმანის აღგზნებულ გონებაში ახალი აზრი იბადება.

„იქნებ მისი საყვარელი გავმხდარიყავი...“

საყვარელი მოხუცისა, რომელიც ხაცაა ოთხმოცდაათს მიუკაკუნებს... ჯოჯობეთური, არაბუნებრივი განზრახულობა! მაგრამ გერმანს ეგ არ აშინებს. ის ყველაფრისთვის მზადაა. გულგრაღად ადგენს საბოლოო გეგმას. საშიშროებას მხოლოდ ის წარმოადგენს, რომ „ეს ამბავი ბევრ დროს მოითხოვს — ხოლო იგი ოთხმოცდაშვიდი წლისაა და შეიძლება ერთ კვირაში მოკვდეს, შეიძლება ორ დღეშიც!..“

მხოლოდ იმისი ეშინია გერმანს: გრაფინიამ ძვირფასი საიდუმლო სამარეში თან არ ჩაიტანოს.

მაშ ვინღა იმსახურებს ავტორის სიმპათიას (და, რაღა თქმა უნდა, მკითხველისას). მხოლოდ ლიზა, მხოლოდ გრაფინიას საცოდავი აღზრდილი.

ოცდაათიან წლებში, გენიალური რომანი-ლექსის დაწერის შემდეგ, პუშკინი ხულ უფრო და უფრო ხშირად სცილდება „ევგენი ონეგინის“ ცხოვრებისეული წრის საზღვრებს. მისი პროზის ფურცლებზე ჩნდებიან ნიკოლოზი, სადგურის უფროსი, მჭედელი არხიპი, შია ხაველიჩი, დახავსებული ოფიცრები, ინვალიდი ქარისკაცები, „ბრინჯაოს მხედარში“ პირველ პლანზეა წყაღდიობის ორი ტრაგიკული მსხვერპლი — ევგენი და პარაშა.

პარაშას ვერ ვხედავთ, მაგრამ მისი „ფარატინა სახლი“ მჭევრმეტყველურად გვიხატავს დაბალი წრის ქალაქელთა ყოფა-ცხოვრებას. ევგენიც შათ მიეკუთვნება.

რაზე ფიქრობდა? იმაზე, რომ იყო ღარიბი...

პუშკინს ტანჯავდა პატარა, უმწეო ადამიანთა ბედის უკუღმართობა, მათი დაბეჩავებულობა და სიდუხჭირე.

ლიზა, შეიძლება ითქვას, ევგენის ღვიძლი დაა. „მწარეა სხვისი პური — ამბობს დანტე. — მძიმეა სხვათა კარიბჭის საფეხურები. აბა ვიღას უნდა სცოდნოდა სხვაზე დამოკიდებულების სიმწარე, თუ არა დიდგვაროვანი მოხუცის საცოდავ გაზრდილს?.. ლიზავეტა ივანოვნა სახლის წამებული იყო“.

მის მოვალეობაში ჩაიხ მირთმევაც შედიოდა და ყოველ ზედმეტ შაქრის კვნიტზე საუვედურებს ღებულობდა, როცა ხმამაღლა კითხულობდა. ავტორის ყველა შეცდომაშიც მას ედებოდა ბრალი. სეირნობისას „ამინდზე და ქვაფენილზეც ის აგებდა პასუხს“.

ჯამაგირს სრულად არ უზდიდნენ, მაგრამ გრაფინია მოითხოვდა, რომ ისიც იხე ყოფილიყო ჩაცმული, „როგორც ყველა, ამუ როგორც ძალიან ნიცირენი“. უმაღლესი საზოგადოების წრეში, სადაც თან ახლდა ხოლმე გრაფინიას, „ყველაზე საცოდავ როლს ასრულებდა. ყველა იცნობდა და ვერავინ ამჩნევდა...“ ჰოდა, აბა რა გასაკვირია, რომ „შეუმჩნევლად სტოვენდა

მოსაწყენსა და ბრწყინვალე სასტუმროს და თავის ღარიბულ ოთახში გულის მოსაოხრებლად და ცრემლის დასადვრელად შედიოდა...

— 2 —



ლიზას გარეშე თვით სიუჟეტიც არ ჩამოყალიბდებოდა.
„პიკის ქალის“ შემოქმედებითი ისტორიის არავითარი მონაცემები არ მოგვეპოვება, მაგრამ წვეტილი ხაზით შეიძლება გაივლოს სიუჟეტის განვითარების სავარაუდო გზა.

სიუჟეტის ცენტრალური ღერძია — გრაფ სენ-ჟერმენის მიერ გადაცემული ხაში მომგება-ანი კარტის საიდუმლო. ეს და მხოლოდ ეს იხსნება პუშკინმა გოლიცინის არისტოკრატიული ლაზღანდარობიდან. მაგრამ იმ ბოლოკეთილმა მოთხრობამ, თუ როგორ იხსნა კეთილისმყოფელმა ბებიაშვილი დიდი წაგებისაგან, პუშკინი სრულიად ვერ აღაფრთოვანა. ეტყობა მოვლენათა ასეთი განვითარება მას ნაკლებად საინტერესო ეჩვენა.

გერმანს და გრაფინიას ერთმანეთთან არავითარი ხათესაობა არ აკავშირებდათ. მათ შორის გადაულახავი წოდებრივი უფსკრული ძევს. გერმანი — სამხედრო ინჟინერია — მეტი არაფერი. მართალია, ღარიბი სულაც არ ეთქმის, ჩეკალინსკისთან სათამაშოდ პირველად 47 ათასი მანეთით ჩიდის. ეს კარგა დიდი თანხაა, მაგრამ გერმანმა იცის, რომ ასეთი თანხა მას მაღალ წრესთან ვერ დაახლოვებს.

„ბრინჯაოს მბეღარში“ ევგენი თავის თავზე ფიქრობს:

ვეცდები დღე-ღამე გავაერთო,
როგორმე რაიმე მოვახერხო.
სავანი უბრალო, სახერხო,
ოღონდაც პარაშა შევასახლო.

ხოლო გერმანი თავგამოდებით ცდილობს ბანკოს ნიშნავი მაგიდიდან ელვისებური სისწრაფით აფრინდეს ქონებრივ კიბეებზე. ერთი ნახტომით გადაევლოს ზღუდეს, რომელიც მას დედაქალაქის დიდებულებისაგან აშორებს.

გრაფინიას სახლის კარი მისთვის დაკეტილია, როცა „პიკის ქალზე“ ფიქრი დაიწყო. პუშკინი ძნელად გადასაპრელი საკითხის წინაშე აღმოჩნდა: როგორ აეგო სიუჟეტი ისე, რომ გერმანი მაცდუნებელი საიდუმლოს ზვიად მფლობელთან პირისპირ აღმოჩენილიყო?

ამ დროს დაიბადა ახალგაზრდა აღზრდილის სახე. სწორედ ნას შექმლო როგორმე დაეკავშირებინა ერთმანეთთან ასე შორისშორ მდგარი გერმანი და გრაფინია.

ლიზასთვის გერმანი საიდუმლო თაყვანისმცემელია, რომელიც მთელი დღე ფანჯრებქვეშაა აყუდებული. რათა წამით მაინც დაიჭიროს მისი მზერა.

გერმანისთვის ლიზა იარაღია საგულდაგულოდ მოფიქრებული მიზნის მისაღწევად: როგორმე მოხვდეს გრაფინიას ოთახში. მისი შეუვარებულობა მოჩვენებითი და უალბი თამაშია, თვალთმაქცობაა.

ასე უაღიბდება სიუჟეტის ბირთვი.

პეროს ერთ ზღაპარში უცნაური სახელის მქონე — „რაულ, ლურჯი წვერი“, — რაინდის შურისმაძიებელი ხელით ერთმანეთის მიუოღებელი იზოცებიან მისი ცოლები.

ლაშქრად მიმავალი ქმარი სასტიკად კრძალავს ხასხასის ერთი ოთახის გახალხობით სარგებლობას. გახალხობი აკრძალულია, ტაბუდადებულია.

მაგრამ ცნობისმოყვარეობა შიშს ჯაბნის, ურჩები აკრძალულ კარს აღებენ და იღუპებიან.


„პიკის ქალშიც“ საბედისწერო მოვლენები გახალხობიანა დაკავშირებული. ლიზა მას გერმანს უგზავნის და ღამით პაემანს უნიშნავს. ქალის ოთახში შესვლამდე გერმანმა გრაფინიას საძინებელი უნდა გაიაროს. გახალხობი, რომელიც ქალიშვილისკენ უკვალავს ხავალს, გამანადგურებელ გრიგალს უხსნის გზას, გრიგალს, რომელიც მოთხრობის სამივე მთავარ პერსონაჟს საკუთარ მოჩვენებაში ითრევს.

პირველ მსხვერპლად გრაფინია ეცემა.

გერმანი მის მოკვლას არ აპირებდა. რევოლვერი გატენილიც არ ჰქონდა. მაგრამ მტკი-

ცედ გადაწყვიტა, ყველა ღონე ეხმარა, თვით ძალადობაც, ოღონდ როგორმე გამოეტყუებინა საიდუმლო.

როცა გრაფინია უარს ამბობს, მუხლებზე დაჩოქილი იკვებება: „...გამიზნავენო თქვენი საიდუმლო! — აბა ის თქვენ რაში გამოგადგებათ...“ არა თუ ჩემი შვილები, მთელი ჩემი შთამომავლობა თქვენი სახელის ღოცვაში იქნება, წმინდანად შეგარსებენ და შეგარსდება გერმანი.



გრაფინია ხმას არ იღებს, რა გაეწყობა, რაკ ხვეწნამ არ გაჭრა, მუქარა უშველის! — ბებერო კუდიანო! — გამოსცრა კბილებში — სულ ერთია გათქმევინებ, ნებით არ გინდა, ძალით გათქმევინებ!

ამ სიტყვებით ჭიბიდან დაშბაჩა დააძრო“.

განა შეეძლო თითქმის ოთხმოცდაათი წლის ქალს ასეთი მოულოდნელი გულისხმეთქვა გადაეტანა? — შუალამისას უცნო კაცის შემოჭრა და სიკვდილის მუქარა? დამიზნებული დამბახის დანახვაზე „ხელები ისე ასწია, თითქოს ტყვიისგან თავს იფარავდა... მერე გულაღმა გადავარდა და... აღარ განძრეულა“.

გერმანი ოდნავადაც არ შეწუხდა, სულ არ შეეებრაღა, ისევ განაგრძობს უხეშად ჩაცობას: „— ბავშვობას თავი დაანებეთ, უკანასკნელად გვეითხებით: დამისახელებთ თუ არა იმ თქვენს სამ კარტს?...“

მხოლოდ ახლა რწმუნდება, რომ მის წინაშე მიცვალებულია გაშოტილი.

მაგრამ სრულებით არ გრძნობდა სინდისის ქენჭნას, მიცვალებულზე ფიქრისას მხოლოდ ის აზრი ჰგვრიდა ძრწოლას: რომ საბოლოოდ დაიკარგა საიდუმლო, რომლისგანაც გამდიდრებას მოელოდა.

საშინელ მორევში ლიზაცაა ჩათრეული.

თავდაპირველად ინჟინერ-ოფიცრის თაყვანისცემას უურადლებას არ აქცევდა, ფანჯრიდან პირდაპირ ფეხებში ესვრის პირველ წერილს, რომელიც გრაფინიასთან ერთად ეტლში ჩაქდომისას ძალით ჩახჩარა ქალიშვილს ხელში, მოდური მალაზიის გამყიდველის მიერ მოტანილ მეორე წერილში უცნობი თავხედურად თხოულობს პაემანის დანიშვნას. ლიზა ბარათს ნაკუწებად აქცევს, მას მომთხოვნი ტონიც აშინებს და ის მეთოდიც, რომლითაც გერმანი პაემანის დანიშვნას აძიულებს.

და მაინც ებმება მახეში გამოუცდელი ქალიშვილი, გერმანის დაფინებას ძლიერი და თავდადებული სიყვარულის ნიშნად მიიჩნევს, წერილებს ყოველდღე დებულობს. იქ „გერმანის სურვილის ნიმტკიცება“ ლაპარაკი, ლიზავეტა ივანოვნა ბარათების „უკან დაბრუნებას უკვე აღარ ფიქრობს, უკვე გულისძგერით კითხულობს უსტარს“, მეტიც — „კახუბების წერაც დაიწყო და, რაც დღე გადიოდა, წერილები უფრო და უფრო მატულობდა სიგრძეში, უფრო და უფრო ნაწი ხდებოდა“.

სამი კვირაც არ მიწურულიყო და ლიზა პაემანზე თანხმდება კაცს, რომლისთვისაც სიტყვაც არ უთქვამს, „რომლის ხმაც არ მოუსმენია“.

შემთხვევით ხდება, რომ სწორედ იმ საღამოს, როცა მეჭლისზე ტომსკისთან ერთად ციკვავდა, კაცმა სიტყვა გადაუქრა „საინჟინრო ოფიცრისადმი უურადლების გამოჩენაზე“, გერმანი უხსენა და თან დაამატა, რომ „ლიზაზე თვითონ ეჭირა თვალის“.

გერმანს „ტეშმარითად რომანტიკულ“ პიროვნებას უწოდებს და ამ სიტყვებს ეფექტური შედარებით ამტკიცებს: „მას პროფილი ნაპოლეონისა აქვს, სული კი მეფისტოფელისაო“.

„ტომსკის მიერ დახატული სურათი ქალის წარმოდგენილს ჰგავდა...“ ის სახე „აშინებდა და ატყვევებდა მას“.

დადგა პაემანის პირველი წამი. „ქალი ათრთოლდა...“

რა ესმის სიყვარულის მხურვალე სიტყვების ხანაცვლოდ?

გერმანი ატყობინებს, რომ ახლა გრაფინიას საძინებელ ოთახში იყო, რომ გრაფინია გარდაიცვალა. „და მგონი, მე ვარ მისი სიკვდილის მიზეზი“, უყვება, რაც მოხდა. „ლიზავეტა ივანოვნა თავწარდაცემული უხსენდა, მაშასადამე, ის ვნებიანი წერილები, მგზნებარე მოთხოვნები, ის თავხედური, დაფინებული დევნა, ეს ყოველივე სიყვარული არ ყოფილა!“

მაშ რა ხდებოდა სიყვარულის ნიდაბქვეში? „ფული — აი, რა სწყუროდა მის სულს!“ — მითითებს ლიზა მკვლელობის „ბრმა თანაშემწედ“. „მწარეო ატირდა დაგვიანებული, დამტანჯვლა სინაუღით შეკურობილი“ გერმანი უსიტყვოდ შე-კვერის ქალს. „არც საცოდავი

ქალიშვილის ცრემლები, არც მისი დარდის საოცარი მშვენება არ აღელვებდა გერმანის გამკაცრებულ სულს.



ეროვნული
შეზღწივით

თითქოს ამ მეზის დაცენამ ვერ გაანადგურა ლიზა. მოთხრობის ბოლო სტრიქონებში ისიც კია ნათქვამი, რომ ლიზა „გათხოვდა ძალიან თავაზიან ახალგაზრდა კაცზე“.

უველაფერი კეთილად დასრულდა. ასე არ არის?

მაგრამ ჩავუფიქრდეთ სიტყვებს „ძალიან თავაზიანი ახალგაზრდა კაცი“.

კუჭების პროზაში რომ ყოველი სიტყვა აწონილია, ის სიტყვა — ერთადერთია, მისი სინონიმით შეცვლა შეუძლებელია.

„თავაზიანი“.. განა ეს სიტყვა ნიშნავს, რომ ლიზას ქმარი კეთილი კაცია. გულთბილია, გულისხმიერია? სრულიადაც არა. ეს სიტყვა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კაცი ზრდილობიანია, რომ საზოგადოებაში თავის დაკერა იცის და კიდევაც მოხწონთ საზოგადოების წევრებს.

არის აქ ოუნდაც გადაკრული სიტყვა სიყვარულზე ან ლიზას და საქმროს მხრივ? არა. ლიზა უსიყვარულოდ გათხოვდა დაკვირვებული მკითხველისთვის ეს ცხადზე ცხადია.

გერმანმა იმ მკაცრი ტუზილით ლიზას სული გაანადგურა.

იმ დამღუპველი გატაცების მსხვერპლი. „უვითელი კერპის“ მსხვერპლი ხდება გერმანიც. ფინალი ბანკოს სათამაშო სახლად გადაკეთებულ ჩეკალინის დიდებულ ბინაში თამაშდება. აღრე გერმანი ამ სახლში ღამეებს ათენებდა. სხვათა თამაშს თვალს აღევნებდა. მაგრამ თვითონ არასოდეს მონაწილეობდა. ახლა ღრმად დარწმუნებული განოცხადდა, რომ დიდი ხნის ნანატრმა ტრიუმფის საათმა მიხთვისაც ჩამორეკა. აქი დამარხვის შემდეგ ძილში თვით გრაფინია მობრძანდა მასთან (ძილი იყო თუ ჰალუცინაცია ეს გამოცხადება), და დაუსახელა სამი ნანატრი კარტი—სამიანი, შვიდიანი და ტუზი.

ბანკს თვით მასპინძელი ურევს. თამაშობენ ვისტს.

მაგიდაზე გაშლილი კარტის დასტიდან მოთამაშენი იმ კარტებს ირჩევენ, რომელზე დასმასაც აპირებდნენ. კარტის მეორე დასტა ჩამომრიგებელს უჭირავს ხელში და მარჯვნივ და მარცხნივ ისვრის ქაღალდებს: მარჯვნივ მოხვედრილით ჩამომრიგებელი იგებს, მარცხნივ — მოთამაშე.

გერმანი თავის სამიანს ცარციით აწერს თანხას — „47000“. ასეთი დიდი თანხით თამაში აქამდე არავის გაურისკავს. „მუისყე აქეთ შემოაბრუნეს თავები და ყველას მწერა გერმანს მიეგაქვა“. „გადაიბია?“ — გაიფიქრა ერთმა მათგანმა.

ჩეკალინი თავაზიანად სთხოვს კარტზე დააწყოს ნაღდი ფული

სამიანი მარცხნივ დაეცა. გერმანმა მოიგო.

„მოთამაშებმა ერთმანეთს გადაუჩურჩულეს. ჩეკალინი მოიღუშა...“ მაგრამ ამოიღო ჯიბიდან ფული და გაუხწორდა.

მეორე დღეს გერმანი ისევ გამოცხადდა სათამაშო მაგიდასთან. იგი ფსონს აორმაგებს (როგორც მოთამაშეები ამბობენ, „კუთხეს ღუნავს“). კარტზე უკვე 34 ათასი მანეთი ძევს.

ჩეკალინი არიგებს. „ვალეტი მარჯვნივ დავარდა. შვიდიანი მარცხნივ“.

გერმანმა გადააბრუნა შვიდიანი.

უველა განცვიფრდა. ჩეკალინი შესამჩნევად შეცბუნდა. მაგრამ მაინც ზუსტად გადაუთვალა მოგება და გერმანი 188 ათასით გულგრილად გაშორდა იქაურობას.

მესამე საღამოს მთელი დარბაზი გერმანის გამოჩენას უცდის. „გენერლებმა და საიდუმლო მრჩევლებმა თავიანთი ვისტის მიატოვეს, რათა უცქარონ ესოდენ არაჩვეულებრივ თამაშს“. სხვებმა საფარძლები მიატოვეს. ოფიციალტებმა თავიანთი მოვალეობა დაივიწყეს და სახტუმრო ოთახში მოგროვდნენ, „უველა გერმანს შენოეჭარა“.

ჩეკალინის მაგიდასთან არც ერთმა მოთამაშემ არ დასვა კარტი. ყველა მოუთმერლად ელოდა, რით დამთავრდებოდა ეს აქამდე არნახული პაექრობა გერმანსა და ჩამომრიგებელს შორის.

ჩეკალინი გაფითრებულია. მაგრამ ისევ იღიმება, როგორც ყოველთვის.

გერმანმა ისევ „გაღუნა კუთხე“ („პაროლი-კე“ მოთამაშეთა ტერმინოლოგიისამებრ) სრულიად დარწმუნებულმა, რომ ტუზი უთუოდ მოიგებდა.

ისევ ბანკის ბილეთებით დაფარა კარტი გერმანმა.

„სამარისებური სიჩუმე გამეფდა ირგვლივ“.

ჩეკალინი კარტს ურევდა. ხელები უკანკალებდა.

მარჯვნივ დაიცა ქალი...“ მარცხნივ? მარცხნივ რაღა?

მარცხნივ ტუზი დაიცა!

გერმანი ბედის რჩეულია. სულ მალე უდიდესი თანხის — 878 ათასის მფლობელი გახდება.

„— ტუზმა მოიგო! — თქვა გერმანმა და თავისი კარტი გადააბრუნა.

— თქვენი ქალი გაჭრილია, — აღერსიანად უპასუხა ჩეკალინმა. საქართველოს
საბჭოთა კავშირი

ტრაუმის ნაცვლად კრაბი! რა მოხდა?

უნებურად, გრაფინიაზე რომ ფიქრობდა, რომელმაც სენ-ჟერმენის საიდუმლოთი დაახ-

ჩუქრა, გერმანმა კარტის დასტიდან ტუზის ნაცვლად პიკის ქალი ამოიღო.

უკანასკნელი დღეების უდიდესმა ფსიქიურმა დაძაბულობამ თავისი შქნა. გერმანს საბე-

დისწეროდ თვითონ შეეშალა ქალადი და უცვლელად ფერო წააგო.

შეშით გულგახეთქილი შეჭყურებს პიკის ქალს. „ხაკუთარ თვალებს არ უჭერებდა. ვერ გაეგო, ასე როგორ უნდა შემოტრიალებულიყო ყველაფერი“. მოეჩვენა, რომ პიკის ქალმა „თვალის ჩაუკრა და ჩაიციხა“ და რაც ყველაზე ხაშინელი იყო! — საოცრად წააგავდა მოხუც გრაფინიას.

„დედაბერი! — დაიყვირა შეძრწუნებულმა“. გერმანი ჭკუიდან შეიშალა უკვე.

მიჰყავთ საგიჟეთში, სადაც ერთთავად იმეორებს: „სამიანი შვიდიანი, ტუზი... სამიანი, შვიდიანი, ქალი..“

გასართობი ისტორიიდან, რომელიც მაღალი წრის სალონებში დასეირნობდა, ამოიწარდა ღრმა ეთიკური აზრის ტრაგიკული მოთხრობა — ოქროს გამხრწნელ, გამაცამტვერებელ ძლიერებაზე.

„პიკის ქალის“ თემა — „ოქროს ციებ-ცხელების“ დამღუპველი ძალა. როგორც თვით თემას, ისე სიუჟეტს „პიკის ქალისას“ ძალიან ცოტა რამა აქვთ საერთო გოლიციინების არისტოკრატიული სახლის გვაროვნულ ანექდოტთან.

და მაინც რომ არ ყოფილიყო ისტორია ბანქოს ხამი ქალადისა, არც „პიკის ქალი“ დაიწერებოდა.

ა. ნ. ტოლსტოი ამტკიცებდა: „ზუსტად მიგნებული სიუჟეტი — ხანდახან უეცრად, ზუსტად რამდენიმე წამში, თითქოს რომელიღაც რეაქტივის შხამი იყოს — ისე უკეთებს ორგანიზაციას ქაოსურად აწვავებულ ყველა აზრსაც, დაკვირვებებსაც და ცოდნასაც“.

იდუმალეზით მოხილი გრაფისა თუ ხიმლიდრისკენ გზის გამკაფავი, თილისშიანი კარტების მიღმა თვალბედით და ბორცტ ჩრდილებად წვება ის დაუძლეველი, ამოუცნობი და საიდუმლო ძალები, რომლებიც ბატონობენ ადამიანის ბედზე ფულიან ხაზოგადობაში.





ინგლისურიდან

თარგმნა ნათელა ფოფხაძემ

ქართული ხელნაწერები ბრიტანეთის ფონდებში

აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხების ლიტერატურულ მემკვიდრეობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანული ლიტერატურის, პატროლოგიის, ლიტურჯიის — ხაერთოდ ქრისტიანული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის.

ცნობილია, რომ მრავალი ბერძნული და ლათინური ხელნაწერი დაკარგულია და დღეს ისინი ზელმისაწვდომია მხოლოდ თარგმანების სახით აღმოსავლურ ენაზე. ის კი არა, ხშირად ძველი ქრისტიანული ლიტერატურის, ამა თუ იმ წერილობითი ძეგლის უძველესი და უკეთესი ვარიანტი შემორჩენილია სწორედ აღმოსავლურ ენაზე. აქედან გამომდინარე, ევროპის ინტელიგენტური და სამეცნიერო წრეები დიდ ინტერესს იჩენენ აღმოსავლეთის ხალხების ხელნაწერების გამოძიების, შეკრებისა და შესწავლის საქმისადმი.

ქართველი ხალხი სწორედ ასეთ უძველეს აღმოსავლეთის ხალხებს მიეკუთვნება: მისი ძველი ლიტერატურა გახულ საუკუნეებში, ის კი არა და ჩვენს საუკუნეშიც, უყურადღებოდ იყო მიტოვებული. თუმცა არანაკლებ მდიდარია, ვიდრე სირიული, სომხური, ან კოპტური ქრისტიანული ლიტერატურა. საბედნიეროდ, დღეს ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე რამდენიმე მეცნიერი დაუღალავად იღწვის ამ სფეროში.

პირველ რიგში არაქართველი მეცნიერებიდან დავასახელებთ პოლ პეტერსს; მან ქართული აგიოგრაფიული თხზულებების დიდი ხაზანძური გახადა მეცნიერებისათვის ზელმისაწვდომი. პოლ პეტერსი გამოკვლევებს ეურნალ „ანალიქტა ბოლანდიანა“-ში ბეჭდავს.

ბრიტანელი და ამერიკელი ქართველოლოგებიდან ოლივერ უორდროპისა და კონიბერის შემდგომ უნდა დავასახელო რ. ბლეიკი. ბლეიკი ნიკო მარის მოწაფე გახლდათ და თბილისის უნივერსიტეტში სწავლობდა. დღეს ბლეიკი მარვარდის უნივერსიტეტის პროფესორია. პროფესორმა ბლეიკმა სამეცნიერო მივლინებების ფინანსები საუკეთესო მიზანს მოახმარა — რამდენჯერმე იმოგზაურა ძველი ქართული კულტურის კერებში, შეისწავლა ათონის ივერთა მონასტერი. მონასტერი ხინას ნახევარკუნძულზე, იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკა. მისი ზოგიერთი მოსაზრება ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ეურნალ „რევიუ დე ლორიანტ შრეტიენში“, მაგრამ უმთავრესად მისი სტატიები დაბეჭდილია ინგლისურ ენაზე ეურნალ „მარვარდ თეოლოგიკალ რევიუში“.

ამ მეცნიერთა გარდა უნდა დავასახელოთ: როშელი ხ. ცორელი, პარიზელი მ. გრაფენი და პ. ბრიერი, მიუნხენელი პროფესორი გეორგ გრაფი, იგნაც რუკერტ — ოქსენბრონი, ბერლინელი პროფესორი რ. შეკლაინი, ლაიპციგელი პროფესორი დეეტერსი, ვენელი პროფესორი ბლესბტაინერი. ამ მეცნიერებმა ქართული ენა შეისწავლეს ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშებიდან. მომავალში, თუ საშუალება მომეცა, ეურნალის ერთ-ერთ ნომერში ვრცლად დავახსიანებ ცალკეული მეცნიერის მოღვაწეობას.

წემოთქმულიდან ჩანს, რომ ინტერესი ძველი ქართული ლიტერატურისადმი დიდია, რომ ევროპის უველა ქვეყანას ჰყავს თითო მეცნიერი მაინც, რომელიც ქართულ ლიტერატურაზე მუშაობს.

საკითხავია, რა მასალას იყენებენ დასახელებული მეცნიერები კვლევის გასაშლელად. უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპის ბიბლიოთეკები არ არის მდიდარი ქართული წიგნებით. მით უმე-

ტეს ქართული ხელნაწერებით. შარშან ახალგაზრდა მეცნიერმა, ბოლანდისტმა, ეან სიმონმა და-
ხეკდა პატარა ნაშრომი ფრანგულ ენაზე. რომელშიც დაახაზელა ყველა საქარო ფონდი და
კერძო პირთა კოლექცია. სადაც მოთავსებულია ქართული ხელნაწერები. თუმცა ამ ნაშრომის
მიხედვით ვერ დავაზუსტებთ, რომელ ბიბლიოთეკაში რამდენი ქართული ხელნაწერია, — შა-
ინსკ ჩანს, რომ ყველაზე მეტი ქართული ხელნაწერი ინგლისშია თავმოყრილი.

ქართული ხელნაწერები ინგლისში სამ ქალაქშია დაცული: ლონდონში — ბრიტანეთის მუზე-
უმსა და აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლებელში, კემბრიჯში — უნივერსიტეტის ბიბლიოთე-
კაში და ოქსფორდში — ბოდლის ბიბლიოთეკაში, სადაც დაცულია უორდროპების კოლექ-
ცია ევროპაში ყველაზე მეტი და მნიშვნელოვანი ქართული ხელნაწერებით.

ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერები პირველად ა. ხახანაშვილმა აღწერა ქართულ
ენაზე 1905 წელს. შემდგომში ო. უორდროპმა აღწერა ეს ხელნაწერები („კატალოგ ოვ ქორჯიან
მენიუსკრიპტს“, ლონდონი, 1913, ბრიტანეთის მუზეუმი). იქ სულ ექვსი ხელნაწერია დასახე-
ლებული. ისინი სხვადასხვა ეპოქას მიეკუთვნება, დაწყებული ქართული ლიტერატურის პირ-
ველი ნიმუშებიდან და დამთავრებული სულ ახლო წარსულის ნიმუშებით.

ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერების კოლექციიდან უძველესია ხელნაწერი —
აღმოსავლური 6581 (უორდროპი, №8, გვ. 406). ეს ხელნაწერი პალიმფსესტია; უძველესი, ქვე-
და ფენა ქართულ ენაზეა დაწერილი, ხოლო მის ზემოთ არის ძველი ებრაული ტექსტი. ეს
ხელნაწერი ქაიროდან, გენიზეს მონასტრიდან ჩამოიტანეს. ინგლისში გენიზეს პალიმფსესტები
(იველი ებრაული ტექსტები ქართული ტექსტის ზემოთ) დაცულია როგორც კემბრიჯში, ასევე
ოქსფორდში, ისინი უკვე დაბეჭდა პროფესორმა ბლეიკმა უორნალში „მარვარდ თეოლოჯიკალ
რევიუ“. ეს ხელნაწერი შეიცავს რამდენიმე ქართულ ხიტყვას, რომლებიც ჩერკერობით არ
არის გაშიფრული. როგორც ჩანს, ეს ტექსტი და კემბრიჯის და ოქსფორდის გენიზეს პალიმ-
ფსესტები ერთ მთლიან ხელნაწერს წარმოადგენს. სამწუხაროა, რომ რ. ბლეიკმა არ მიაქცია
უურადღება ამ ქართულ ხელნაწერს, სხვაფრივ მისი ხაშეცნიერო სტატია ფრიად საყურადღე-
ბოა. პალიმფსესტის ფრაგმენტი, როგორც ჩანს, ბიბლიის ტექსტია. შემდგომი ხაში ხელნაწერი
ლიტურგიული შინაარსისაა: — (1) დამატებითი აღმოსავლური 11282 (უორდროპი, №2, გვ.
405, 406). ეტრატის, ხელნაწერი მეთე ან მეთერთმეტე საუკუნეებს მიეკუთვნება; თავ-ბოლო
ნაკლებია, შეიცავს 221 გვერდს. ეს არის თვენი (უორდროპი მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეს
ეკუთვნებს). ხელნაწერი ბრიტანეთის მუზეუმში შეისყიდა ალექსანდრიელი სომეხი მღვდლისაგან
1837 წლის ნოემბერში.

(2) Si. 1850. (უორდროპი, №5, გვ. 408); ქალაქი: 154-2 ფურცელი. მეთექვსმეტე საუკუნის
ფსალმუნნი უნდა იყოს.

(3) si. 1888 (უორდროპი, № 4, გვ. 406-6); ქალაქი: 128 ფურცელი, შეიცავს ლოცვებს და
ადაპებს (უკანასკნელნი სხვადასხვა პირების მიერაა მიწერილი სხვადასხვა დროს). ისინი დაწვ-
რილებით აღწერა უორდროპმა. ამას გარდა ხელნაწერი შეიცავს ორ თხზულებას: „მაცხოვრი-
სადმი“ და „ღვთისმშობლისადმი“. 124-ე გვერდზე მოთავსებულია ფრიად საყურადღებო წარწე-
რა: „შეიწყალე (ღმერთო) ამ ქვეყანაზე და იმქვეყნად კათალიკოს-პატრიარქი ყოვლისა ხა-
ქართველოსი, კრისტეფორე, რომლისა მოხაგებად დაიწერა წიგნი ესე ლაზარესი ქორონიკონით
თ ი (1842)“.

ხელნაწერი — აღმოსავლური 6315 (უორდროპი, №8, გვ. 408) ჩვენს დროს მიეკუთვნება.
ეს არის გაზეთი „მუშა“. ეს გაზეთი იბეჭდებოდა ქართული სოციალ-რევოლუციური პარტიის
მიერ და ძალიან საინტერესოა საქართველოში სოციალისტური მოძრაობის ჩახახვის ისტორიის
თვალსაზრისით. ბრიტანეთის მუზეუმს ეს გაზეთი 10. 11. 1897 წელს შემოსწირა თავადმა ვარ-
ლამ ჩერქეზიშვილმა.

ხელნაწერი — დამატებით 11281 (უორდროპი, №1, გვ. 388-405) ბრიტანეთის მუზეუმის
განძი და სიამაყეა. ეს ხელნაწერი პატრიისტული ნაწარმოებია და ქართული საეკლესიო ლიტე-
რატურის ოქროს ხანაშია შექმნილი (მეთორმეტე საუკუნეში). იგი ეტრატზეა დაწერილი იერუ-
სალიმის მახლობლად მდებარე ჭვრის ქართულ მონასტერში. შეიცავს 869 ფურცელს, გადაწე-
რილია ბერის — იოანე შავის მიერ. ეს ხელნაწერი შეიცავს კირილე სკითხოპოლელის შემდეგ
თხზულებებს: 1. წმ. საბას ცხოვრება (57-144); 2. ექვთიმეს (162-210), 3. თეოდოსის (210-
227). 4. ახურის (288-299), 5. იოანე ათონელის (319-388), 6. გერასიმეს (364-389) ცხოვრებანი.
ამათგან მხოლოდ ერთია დაბეჭდილი — იოანე ათონელის ცხოვრება — საქართველოში. —

კეკელიძის მიერ. დანარჩენი ნაწარმოებების გაცნობის საშუალებაც რომ გვექონდეს, მათში უდიდესი მნიშვნელობის ინფორმაცია აღმოჩნდება მეცნიერისათვის ძველი პალესტინელი ბერების ცხოვრებაზე. ეს ხელნაწერი იწყება ათანასე ალექსანდრიის პატრიარქის თხზულებით „წმ. ანტონის ცხოვრება“ (1-54). იმავე ავტორს მიეწერება სტიფანეს და ნიკონის ცხოვრებანი (100-305) — უაღრესად საინტერესო მასალას წარმოადგენს ათანასეს ლიტერატურული მემკვიდრეობის შემსწავლელთათვის, თუნდაც რომ ფსევდოეპიგრაფიული ძეგლი ვაშლდგეს. ეს ცხოვრებანიც აუცილებლად უნდა დაიბეჭდოს. დასახელებული ნაშრომების შემდეგ მოდის ამავე სიმონის ცხოვრება, რომელიც ლეონტი ნეპოლელმა დაწერა (228-184). ბოლოს მოხდეს ანონიმური ცხოვრებანი: 1. ხარიტონის (145-162), 2. ვარლამ სირო-კავკასიელის (228-245), 3. ეფრემ ასურის (246-274), 4. იოანეს, ედესის კათალიკოსის, (274-285), 5. ქველე ეპისკოპოსისა და იოანე მღვდლის ცხოვრება (305-318).

დღეისათვის მსოფლიოში ერთადერთი ხელნაწერია (№ 56, ათონის ივერიის მონასტერში), რომელიც სიძველით და მნიშვნელობით შეედრება ხელნაწერს — დამატებითი 11281, რომელიც შეიცავს კირილე სკითოპოლელის თხზულებებს. ორი სხვა ხელნაწერი, რომელიც თბილისის სიძველეთა მუზეუმშია დაცული — №188 და №79, გაცილებით ახალია. №188 შეცამეტე საუკუნეს მიეკუთვნება, ხოლო №79 — კეკელიძის მიხედვით, კიდევ უფრო ახალ ტექსტს შეიცავს.

ბრიტანეთის მუზეუმში ინახება მინანქრიანი სანაწილე, რომელშიც ქართველი მოწამის, დემეტრე თავდადებულის სურათია მოთავსებული. ეს ნივთი შუა საუკუნეების სამინანქრო ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია, მაგრამ ქართველებისთვის უმთავრესად იმით არის ძვირფასი, რომ ჩვენი წამებული დედოფალი ქეთევანი (1634 წ. თავრიზში აწამეს) მას მოუშორებლად ატარებდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რაიმე გზით ოდესმე ეს ნივთი საქართველოს დაუბრუნდება.

საქართველოში ხშირად მსმენია, რომ ბრიტანეთის მუზეუმში ძველი საქართველოს დიდძალი განძეულია დაცული, მაგალითად, თამარ მეფის მარგალიტებითა და სხვა ძვირფასი ქვებით დამშვენებული კაბა და სხვა ამგვარი. შესაძლოა ბრიტანეთის მუზეუმში მართლაც ჰქონდეთ ივრფასი ქართული ნივთები, რომლებსაც ჩვეულებრივ მნახველს არ უჩვენებენ ხოლმე. მაგრამ მე ბევრჯერ ვყოფილვარ მუზეუმში და ისინი არ მინახავს. აქვთ მხოლოდ იარაღი, ტანსაცმელი და ა. შ.

ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმის გარდა, ერთი ქართული ხელნაწერი აღმოსავლეთმცოდნეოზის სახწავლებელშიც აქვთ. ეს არის ხულხან-ხაბა ორბელიანის ცნობილი ლექსიკონი (1728). ეს ხელნაწერი მოიპოვება ევროპის ყველა წიგნსაცავში, სადაც კი ქართული ხელნაწერები აქვთ. ლონდონური ხელნაწერი სხვებისაგან განსხვავდება იმით, რომ ყოველ საწყის ასოს ძალიან ღამაში მინიატურა ამშვენებს.

კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში თერთმეტი ქართული ხელნაწერი აქვთ. ისინი თითო-თითო ფურცლისაგან შედგება და აღწერილია რ. ბლეიკის მიერ.

№ 1 და 2 პალიმფსესტებია, ცნობილი „ხანშეტი“ ტექსტები: იერემია, XII; 10-16; XX, 8-16 შესაბამისად; № 3 წარმოადგენს XIV საუკუნის ხელნაწერის ფრაგმენტს, I მეფეთა, XXIV, 8; №4, 5 და 6 პატრისტული თხზულებებია: აპოფთეგმების ფრაგმენტი (მეთე საუკუნე), არეთას წამება და წმ. რიფსიმეს ცხოვრება. ხელნაწერები 7, 8, 9 ლიტერგიული ხასიათის თხზულებებია — თვენი აპრილის, ივლისის და აგვისტოსთვის და ტრიოდის მარხვისათვის — მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნეების ხელნაწერები; №11 წერილია — მხედრულით ნაწერი, ვგონებ გასული საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება, ძლიერ ძნელი გასარჩევია; მასში აღწერილია იერუსალიმში მგზავრობა. ცნობა ამ ხელნაწერზე დავბეჭდე კემბრიჯში 1932 წლის 20 მაისს.

ქართული ხელნაწერების უმდიდრესი კოლექცია თავმოყრილია ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკაში. ბოდლის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების ისტორიაში აღსანიშნავია ორი ხანა: უორდროპამდელი, როდესაც მხოლოდ ხუთი ქართული ხელნაწერი ჰქონდათ, და უორდროპის შემდგომი ხანა. ლორდი ოლივერ უორდროპი და მისი და მარჯორი განსაკუთრებული სიყვარულით იყვნენ გამსჭვალული ქართველი ხალხისა და ქართული ლიტერატურის მიმართ, ამის წყალობით ბოდლის ფონდი შეივსო და დღეს ის სამოცდათექვსმეტე ქართულ ხელნაწერს შეიცავს. გარდა ამისა, აქვთ ქართული წიგნები, ეურნალები, გაზეთები.

სამწუხაროდ, ჯერ არ გვაქვს ქართული ხელნაწერების შეერთებული კატალოგი. ვიდრე ეს სიცარიელე შეივსება, აუცილებელია სადმე დავბეჭდოთ ხელნაწერთა მშვენიერი აღწერილობა, რომელიც ჩერქეზიშვილმა შეადგინა ინგლისურ ენაზე.



უორდროპის კოლექციაში შედის ხუთი ხელნაწერი: (1) ქართული ხელნაწერი. მასში შესულია წმინდანთა ცხოვრებანი, რომელნიც პოლ პეტერსმა დაწერილებით აღწერა თურნალში „ანალებტა ბოლანდიანა“.

პეტერსის გამოკვლევაში სამწუხაროდ გამორჩენილია რამდენიმე ცხოვრების აღწერა. მაგალითად (488-489) შამა დანიელის მიერ დაწერილი წმ. პატრიციას ცხოვრება; საყოველთაოდ ცნობილი წერილი, რომელიც იერუსალიმის პატრიარქმა ჯაქარამ მიხწერა ბაბილონიდან იერუსალიმს თავის სამწყსოს, რომელიც გადაურჩა სპარსელებს (180-188), და სია მიცვალებულები-სა, რომლებიც იერუსალიმში იპოვეს (178-185). ამ ნაწარმოებში აღწერილია სპარსთა თავდასხმა იერუსალიმზე და მისი დაცემა 614 წ. ამ თემაზე ყველაზე საინტერესო ინფორმაცია ქართულ ხელნაწერებშია დაცული, ტექსტი უკვე დაბეჭდა მარმა. ხსენებული ხელნაწერებიდან მე გადავწერე წმ. ლეონტის წამება (180-181) და მალე გამოვაქვეყნებ ყოველწლიურ თურნალში, რომელსაც პარიზში ვბეჭდავ ქართულად. (2) ხელნაწერი ქართული — 1 წარმოადგენს იერემიას ფრაგმენტს, ხანმეტი ტექსტია და მეშვიდე-მერვე საუკუნეებს მიეკუთვნება. მისი ლამაზი ფოტოსურათები რ. ბლიეკმა დაბეჭდა თურნალში „მარვარდ თეოლოჯიკალ რევიუ“. (3) ქართული — 1 თარიღდება 1870 წლით და სახწავლო-საგარჯიშო რვეულია ქართულ წერაში. (4) ხელნაწერი ქართული — 2 მეთოთხმეტე საუკუნეშია გადაწერილი ჯვარის ეკლესიაში, იერუსალიმის მახლობლად. შესყიდულია. თანხა გასცეს უორდროპის ფონდიდან. ეს ხელნაწერი ტიპიკუმს წარმოადგენს. დიდად საინტერესოა ის ფაქტი, რომ წმ. ნინო არ არის მოხსენებული წმინდანთა შორის, მაშინ როდესაც სხვა წმინდანები მოხსენებული არიან, მაგალითად. ექვთიმე ქართველი (14 მისი) (104), ილარიონ ქართველი (19 ნოემბერი) (154) და წმ. ვარლამი (15 ივლისი) (112). (5) ქართული გრამატიკა (878 გვერდი), 1787 წელი.

უორდროპების კოლექციის ხელნაწერთა უმრავლესობა მეთვრამეტე საუკუნეს მიეკუთვნება. აქ მდიდარი მასალაა საქართველოს, როგორც საეკლესიო, ასევე საერო ისტორიაზე, მათ შეიძლება გააღვივონ ინტერესი სახარების მეცნიერული შესწავლისადმი.

ბიბლიის ხელნაწერებიდან აღსანიშნავია ხელნაწერი უორდროპი — 27. შეიცავს ორნოცდარვა გვერდს და მეცხრამეტე საუკუნით თარიღდება. ხელნაწერების კატალოგში ეს ტექსტი აღწერილია, როგორც ნაწყვეტი ახალი აღთქმიდან. მაგრამ ხინამდვილეთი ჩვენ აქ საქმე გვაქვს ანთიკვინის ცხოვრების მონოფიზიტურ გადმოცემასთან. (მე-ნ გვერდზე ვკითხულობთ: „მაშინ იოსებ ანიშათიელმა თაყვანი სცა ჯვარს და წარმოსთქვა ტრისაგიონი და დაუშიათა შემდეგი სიტყვები — შენ, რომელ ჯვარს ეცვ ჩვენთვის...“). შემდგომში ლორდმა ოლივერ უორდროპმა პატივი დამდო და გამომიგზავნა ამ ტექსტის ფოტოპირი. იქნებ ეს მონოფიზიკური დიათესარონია? აღბათ ამ მნიშვნელოვან კითხვას პასუხი დაეძებნება მომავალში, რადგან მას დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიის კვლევისათვის.

ხელნაწერი №47 შეიცავს ბევრ და მნიშვნელოვან ფოტოსურათს ქართული ბიბლიიდან, განსაკუთრებით მარკოზის სახარებიდან, ზოგი გადაღებულია თბილისური ხელნაწერიდან. ამ ფოტოპირებიდან აღსანიშნავია წმ. რომანოზის ცხოვრება, თურმე კონიბერი აპირებდა ამ ტექსტის დაბეჭდვას, მაგრამ შემდგომში კეკელიძემ დაბეჭდა. დღეს ქართული ბიბლიის შესწავლასა და მეცნიერულ კვლევას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ამიტომ აუცილებელია ბიბლიოთეკის შესვეურებმა ხელახლა გადაიღონ ამ ტექსტების ფოტოპირები, რადგან ისინი მკრთალად ჩანს.

ლიტურგიული და საეკლესიო ისტორიის ამსახველი ხელნაწერებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ორი ხელნაწერი:

(1) №56 წარმოადგენს იოანე ნათლისმცემლის და დავით გარეჯის მონასტრების აპოფთეგმებს: მე ვუწოდებ მას იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ქრონიკა და მრავალი ნაწყვეტი დავბეჭდვ ქართულ ენაზე. თვალწინ გადაგვშლება ექსტაზური ხილვის, სასულიერო მოღვაწეობით გატაცებული ბერების ცხოვრება, რომელთა ერთადერთი მიხწრაფებაა ღვთის სამსახური. ყოველ წამს სიკვდილი ელით ღიკების, მაშადიანი მეზობლების ხელით. ამ ნაწარმოებში აღწერილი ნართლაც დიდი სულის ასკეტები მოწორებულნი არიან ამქვეყნეთურ შინაგან სიხარულს, ბუნებრივ და ადამიანურ სიყვარულს. თავიანთი სიწმინდით ისინი სრულებით არ ჩამოუვარდებიან ნიტრიის და თებეს სახელოვან წმინდანებს. აქ აღწერილია ქართველი მისტიკოსების ცხოვ-

რეზა მეთვრამეტე საუკუნეში. დიდად საშური საქმე გაკეთდება, თუ ევროპელ მეცნიერებს მივცემთ ამ ხელნაწერის გაცნობის საშუალებას მისი ინგლისური თარგმანის გამოკვეთებით.

(2) ხელნაწერი №28 (89-78) მირიან მეფის ქრისტიანად მოქცევა წმ. ნინოს მიერ, ამ ხელნაწერის ახლო გაცნობით და სხვა წყაროებთან შეჯერებითა და შეპირისპირებით შეიძლება ზოგიერთი ახალი მოსაზრებისა და ფაქტის დადგენა საქართველოში ქრისტიანობის შემოტანასთან დაკავშირებით.

ეროვნული

უორდროპის კოლექციაში მდიდარი მასალაა ხაერო ლიტერატურისა და სხვა ქართული ისტორიის შესახებ. მათ შორის უნდა დავასახელოთ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ-სომხური გრამატიკა; ლექსიკონების ჯანუოფილებაში დიდადი მასალაა წარმოდგენილი. ხელნაწერი №40 ხულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონია, გადაწერილი 1753 წლის 28 მარტს იეროზოლასონ ეფრემის მიერ. ხელნაწერები №38, 39, 41, 42, 43 და 6 ლექსიკური ხასიათისაა. №38 ეკუთვნის 1813 წელს და რუსულ-ქართულ ლექსიკონს წარმოადგენს; №39, 41, 42 და 43 მეთვრამეტე საუკუნეში დაიწერა; საინტერესოა ის ფაქტი, რომ რუსული სიტყვები ქართული ასოებით წერია. ხელნაწერი №6 დაიწერა ლუკა ისარლოვის მიერ 1835 წელს და 185 გვერდს მოიცავს. ხელნაწერები №84-124, 185-188 ხულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონებია. ქართულ ეურნალში „ჯვარი ვაზისა“ №1 (პარიზი, 1931 წ.) შე აღწერე ხელნაწერები 19-24 და დავბეჭდე ლექსები, რომლებიც, ჩემი აზრით, სახელგანთქმული ქართველი პოეტის ბესარიონ გაბაშვილის კალამს მიეკუთვნება.

დანარჩენი ხელნაწერებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: №64 რიტორიკა, გადაწერილი 1764 წლის 10 ივლისს. საინტერესოა ანტონ კათალიკოსის წერილი მეფე ერეკლესადმი (ს. 19 გვ.); მასში მოცემულია ანტონ კათალიკოსის თბზულებათა ნუსხა და სხვათა შორის, დასაწლებულია ეპისკოპოს დოსითეოს ნეკრესელის „რიტორიკა“, როგორც ჩანს, ძალიან ვრცელი ნაწარმოები. № 61 შეიცავს მიტროპოლიტ ივანე მამუკვილის დღიურებს, 1795 წლის სექტემბრით თარიღდება; №41 ხულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის (დაწერილი 1730 წლის 21 ნოემბერს) აღწერა (ხელნაწერი თარიღდება 1864 წლით), შეიცავს 152 გვერდს. დასაწყისი: „1730. 21 ნოემბერს, საფრანგეთის სასაზღვრო სოფლიდან გავემგზავრე ქალაქში, რომელსაც ეწოდება ანთიბე. ჩვენ გავიარეთ ათი მილი... 7 სექტემბერი. კუნძულ მალტაზე შვიდი ოფიცერი მყავთ, სამი ფრანგია, ერთი იტალიელი, ერთი გერმანელი, ორი ებანელი. თითოეული მათგანის ხელქვეით სამსამი კაცია, ასე რომ სულ ოცდაერთი არიან; მათ მკერდზე აქვთ... აქ წყდება თბრობა. სამწუხაროდ, ხულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობის აღწერა საქართველოშიც და საზღვარგარეთაც მხოლოდ ამ მოგზაურობის მეორე ნაწილს შეიცავს. შე მაქვს ორბელიანის საფრანგეთში, ლუი XV-თან მიღების ცერემონიალის ამსახველი ფრანგული ტექსტი და მალე გამოვაქვეყნებ.

სხვა ხელნაწერებიდან აღსანიშნავია ხელნაწერი №68 „წილიზანიანი“, ის შეიცავს ქალაქ თბილისის ისტორიას ქრონოლოგიურად 1698-დან 1795 წლამდე. შე უკვე საფუძვლიანად შევისწავლეს ეს ხელნაწერი და სტატიას ამ საკითხთან დაკავშირებით მალე დავბეჭდავ ეურნალში „ჯვარი ვაზისა“. №68 მდიდრულად გაფორმებული ხელნაწერია — ეს არის ცნობილი ქართველი მწერლის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. მეცხრამეტე საუკუნეშია გადაწერილი და ორმოცდაათ ხელით ნაბატ მინიატურას შეიცავს. ამ ხელნაწერთან ერთად აკინძულია ხელნაწერი №19 — მარჯორი უორდროპის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანის ორიგინალი. აქვეა ოლივერ უორდროპის მიერ შესრულებული თარგმანების ხელნაწერები. №21, ხულხან-საბა ორბელიანის წიგნის „სიბრძნე სიცრუისა“ ინგლისური თარგმანი, №18 უორდროპის წიგნის „საქართველოს სამეფოს“ ინგლისური ორიგინალი. აგრეთვე №4 ხელნაწერი „უარამანიანი“; №13 ხელნაწერი არჩილიანი, №60, 25 და კიდევ რამდენიმე „ქალვანიანი“.

არ შემიძლია უორდროპის მდიდარი ფონდის ქართული ხელნაწერების ამ უაღრესად მოკლე მიმოხილვაში არ აღვნიშნო გერმარდ შნელიის წერილები. ხულ სამი წერილია: პირველია ნორვეგიულ ენაზე, 1828 წლის 27 აგვისტო, სოფელ მუხრანიდან — ხუთ გვერდს მოიცავს; მეორე წერილიც ნორვეგიულ ენაზეა დაწერილი თბილისში, 1828 წლის 2 ივლისს — ისიც ხუთ გვერდს მოიცავს; მესამე წერილი გერმანულ ენაზეა, მოსკოვიდან გაუგზავნიათ 1831 წლის 26 სექტემბერს — ერთადერთი გვერდია. ამ წერილებს შნელი უგზავნის თავის ნათესავებს მშობლიურ ქალაქ ბერგენში, ნორვეგიაში. წერილები გვიხატავს უცხოელი მასწავლებლის ცხოვრებას ერთ-

ერთ საუკეთესო ქართულ ოჯახში. ჩვენ ვეცნობით ამ ოჯახის უფის დეტალებს. ზნელს უც-
რად გარდაეცვალა ვაჟი ელიზავეტპოლში. ამის გამო მან დატოვა საქართველო და გულდამძი-
მებული დაბრუნდა ნორვეგიაში.

ინგლისის ხხვა დიდ წიგნსაცავებში და კერძო პირთა კოლექციებში ქართული ხელნაწერე-
ბი არ გააჩნიათ. ინგლისში უფნის დროს მე მოვიარე აღმოსავლური ხელნაწერების ფონდით
განსჯმული შემდეგი წიგნთსაცავები: ბირმინგემში ხელბი ოუქ კოლეჯის ბიბლიოთეკა, მანჩეს-
ტერში ჯონ რინალდის ბიბლიოთეკა, მაიდა ველიში, ლონდონთან, პროფესორ გახტერის ბიბლიო-
თეკა. ოლივერ უორდროპმა მიჩნია და მე დავათვალიერე ვინძორში ეტონ კოლეჯის მდიდარი
ბიბლიოთეკა. შემდგომში ქართული ხელნაწერების თაობაზე მე ვესაუბრე ჩემს ინგლისელ მე-
გობარს ს. მოსს, ეტონის თანამშრომელს. სამწუხაროდ, არც ერთ ამ ბიბლიოთეკაში 1982
წლის ქართული ხელნაწერები არ ბქონდათ. სამაგიეროდ ბრიტანეთის მუზეუმსა და უორდრო-
პის კოლექციაში ოქსფორდში იმდენი მასალაა საკვლევი, რომ, ალბათ, ახალგაზრდები მოპკი-
დებენ ხელს ამ საქმეს და დიდძალ მასალას გამოამზეურებენ საქართველოს ისტორიისა და
ქრისტიანობის კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე.





გერმანულიდან
სარგინა ნატო თხილაძემ

მსოფლიო ხელოვნების ისტორია

იმპრესიონიზმი

მე-19 ს-ის მხატვრობა მიმდინარეობათა სწრაფი მონაცვლეობით ხასიათდება. კლასიციზმმა გზა დაუთმო რომანტიზმს, რომანტიზმი რეალიზმმა შეცვალა. შემდეგ კი იმპრესიონიზმი განვითარდა. უოველი ახალი მიმდინარეობა წინა ტრადიციის წიაღში ისახებოდა და სრულიად განსხვავებულ ელფერს იძენდა. რომანტიკოსებმა, შემოიტანეს რა ახალი თემატიკა, რეალისტებთან ნათესაობა კომპოზიციის აგების ტექნიკით შეინარჩუნეს.

იმპრესიონისტებმა უარი თქვეს სინამდვილის ობიექტურ ასახვაზე და წამიერი, სუბიექტური განცდებით დაინტერესდნენ; შემოქმედებითი პროცესი ცივი გონების კონტროლისაგან გაათავისუფლეს, რითაც ნატიფი გრძნობების ინტიმურ ხაზყაროს ეწიარნენ.

ადოლფ მენცელის სურათში „აივნიანი ოთახი“ — პირველად გამოვლინდა ე. წ. „სინათლით ხატვის“ ტენდენცია, რისთვისაც თანამედროვეებს უურადდება არ მიუქცევიათ, ხოლო ეტიუდი „ბერლინ-პოტსდამის რკინიგზა“ მხატვარმა იმპრესიონისტების საყვარელ თემაზე — („ხიდები“, „ხალხის მოფუსფუსე ბრბო“) ააგო!

მიუხედავად ამისა, მენცელი არ ითვლება იმპრესიონიზმის მამამთავრად.

იმპრესიონისტული ხედვა პირველად უველაზე ნათლად ედუარდ მანეს (1832-1888) შემოქმედებაში გამოიკვეთა.

მშობლებმა — მდიდარმა ბიურგერებმა, მანეს მხოლოდ მაშინ დართეს ნება სერიოზულად მოქმედებდა მხატვრობას, როცა დარწმუნდნენ — მათ შვილს საზღვაო საქმიანობაში წარმატება არ ელოდა.

ამდენად, ახალგაზრდა შემოქმედს დამოუკიდებლად მოუხდა ფერწერაში ახალი გზების გაკვალვა. მან ადრეულ პერიოდშივე უარი თქვა იმდროინდელ მხატვრობაში გამეფებულ თაღს შუქ-ჩრდილებზე და თავისი ტილოების ნათელი ტონებით შემკობა გადაწყვიტა. მანე გამოირჩეოდა შრომის არაჩვეულებრივი უნარით; თუ ჩანაფიქრს სახურველ გამოხატულებას ვერ გამოუძებნიდა, ერთი და იგივე სიუჟეტს რამდენჯერმე ხატავდა. ასე მაგ. მან ევა გონცალესის პორტრეტის თოთხმეტი ვარიაცია შეასრულა.

— „ჩემი მიზანია უალმის ერთი მოსმით გამოვხატო ის, რასაც აღვიქვამ, თუ მოვახერხებ ხომ კარგი, თუ არადა, ხელახლა უნდა ვცადო“ — ამბობდა მხატვარი. 1868 წლის გამოფენაზე, ნაპოლეონ მე-3-ის მეურვეობით „რეფუზეს“ სალონში რომ მოეწყო, მანემ წარმოადგინა სურათი „საუზმე ბალახზე“, რომლის თემაა „ადამიანი ბუნების წიაღში“.

ფრანგმა იმპრესიონისტმა „საუზმე“ რაფაელის „პარიზის განაჩენის“ გავლენით შექმნა. თუმცა თავისი ტილო სრულიად გაათავისუფლა მითოლოგიზმისაგან — ქალღმერთის ნაცვლად უბრალო პარიზელი გოგონა დახატა ორი თანამედროვედ ჩაცმული უმაწვილის საზოგადოებაში; სურათის წინა პლანზე, მარცხნივ, დელიკატური ნატურმორტი წარმოადგინა, უკანა პლანზე, ცენტრში კი — მობანავე ტუის ფონზე. იმდროინდელმა საზოგადოებამ „საუზმე“

(ემილ ზოლასა და რამდენიმე ხელოვანის გარდა) გამანადგურებელი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა, რასაც მხატვარი სრულიად არ აუღელვებია — მის მომდევნო ნამუშევრებში უფრო რელიეფურად გამოიკვეთა იმპრესიონისტული ხედვა — („ოლიმპია“, „კაიზერ მაქსიმალიანეს დახვრეტა“). ხოლო სურათი „ფოლი-ბერკერის ბარი“ — სიცოცხლისა და სილამაზის დღესასწაულია.

ეროვნული

იმპრესიონისტებზე საუბრისას უნდა მოვიხსენიოთ ჯეიმს აბოტ მენსონი (1834-1909), იგი ამერიკის შეერთებული შტატების ქ. ლოველში დაიბადა, 1859 წელს პარიზს ეწვია და მოექცა კურბესა და ჰენრი ფანტინ-ლატურის (1836-1894) გავლენის ქვეშ. ოთხი წლის შემდეგ ვისტლერი ლონდონს გაემგზავრა და მის შემოქმედებაზე ინგლისის აკადემიამაც განსაზღვრული კვალი გაავლო.

ვისტლერი პარიზის ხშირი სტუმარი იყო და მანესთან ერთად გამოფენებშიც იღებდა მონაწილეობას.

იმპრესიონიზმმა 10 წლის განმავლობაში განვითარების მწვერვალს მიაღწია. ამ მიმდინარეობის მხატვრები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთ ჯგუფში (ე. წ. შვეიცარიის სკოლა) გაერთიანდნენ პისარო, სეზანი და არმან გიომინი; ხოლო მეორეში (ე. წ. კლერის სკოლა) უან ფრედერიკ ბაზილი, სისლეი და რენუარი.

მანეს მიმდევრებმა გაადიდეს იმპრესიონისტული ტრადიცია — ახალი ფერადოვანი გამები და მწიური ტონები აღმოაჩინეს; მწვანე წითელთან შეაზავეს, ლურჯი — უვითელთან, ქარბად იყენებდნენ ნარინჯისფერს და იასამნისფერს.

კლოდ მონემ (1840-1928 წელი) სრულყო სინათლათ ხატვის ტექნიკა. ამის ნათელი ილუსტრაციაა მისი ტილო „გენუა“ (1868 წ.), 1870 წელს ობიექტური პირობების გამო, მონემ და პისარომ დატოვეს პარიზი და ინგლისს გაემგზავრნენ, სადაც გაცნენ ტერნერისა და კონსტაბლის ნამუშევრებს.

1874 წელს მონე საფრანგეთის დედაქალაქს დაუბრუნდა და მონაწილეობა მიიღო ფოტოგრაფ ნადარის სახელოსნოში მოწყობილ გამოფენაში სურათზე „შთაბეჭდილება: ამოშავალი მზე“. ეს გამოფენა საყოველთაო დაცინვის საგანი გახდა, ხოლო ახალ მიმდინარეობას სწორედ მონეს ნახატის სახელწოდების მიხედვით, ირონიულად „იმპრესიონიზმი“ ეწოდა.

სხვა იმპრესიონისტების მსგავსად კლოდ მონეც დაულალავად შრომობდა. ერთი და იგივე მოტივზე აგებდა პეიზაჟების ციკლებს: „თივის ზვინი“, „ალვის ხეები“, „რუანის ტაძარი“, რომლებიც სილამაზის უჩვეულო აღქმით და პოეტურობით გამოირჩევიან. აშკარა შემოქმედებითი ნათესაობა აკავშირებდათ კლოდ მონესა და პიერ ოგიუსტ რენუარს (1842-1918 წ.), თუმცა, კლოდ მონეს პეიზაჟები იტაცებდა, ხოლო რენუარმა შემოქმედების თემად ადამიანი აირჩია. „ბუნება შემოქმედის მარტოსულობას ამძაფრებს, ამდენად ადამიანებთან დარჩენას ვამჩობინებო“, — ამბობდა მხატვარი და თანაბარი გატაცებით კმნიდა როგორც დაბალი წრის ქალების: გამყიდველების, მხახიობებისა თუ მოახლეების, ისე არისტოკრატი ქალბატონების პორტრეტებს.

საყურადღებოა გაზაფხულის აყვავებული ბუნებისა და ზამთრის პეიზაჟების დიდოსტატის ალფრედ სისლეისა (1839-1899) და პარიზისა და ოვერის მიდამოებით აღტაცებული კამილ პისაროს (1830-1903) შემოქმედება.

იმპრესიონისტებს შორის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა ედგარ დეგა (1834-1917), რომელიც თავდაპირველად ფაიფურზე ფერწერით იყო გატაცებული და, ამდენად, იმპრესიონისტებს მოგვიანებით შეუამხანაგდა.

ედგარ დეგას თანაბრად ხიბლავდა როგორც ქალაქური ცხოვრების მრავალფეროვნება („თანხმობის მოედანი“, „აბხენტი“), ასევე საბალეტო თუ საცეკვაო სცენების დინამიზმი. მას შეეძლო სიცოცხლის ერთ გელვებაში მშვნიერება დაენახა და მოძრაობათა კასკადიდან ძირეული მომენტი გამოეყო. გავიხსენოთ აკრობატების მოქნილობა ტილოზე „მის ლოლა“, ანდა მომღერლის უესტიკულაცია სურათზე „კონცერტი კაფე ამბასადორში“. დეგა თავის თავს პასტელის დიდოსტატსა, და უბადლო კოლორისტს უწოდებდა.

სიმწიფის ხანაში დეგას მხატვრული მიგნებები უფრო დამაჭერებელი, ხოლო შემოქმედება უფრო ნაყოფიერი გახდა.

მხატვარს სიცოცხლის ბოლომდე შერჩა შრომის უნარი; მან ათასამდე ტილო დაგვიტოვა. დეგა და რენუარი ფერწერის გარდა ქანდაკებაზეც მუშაობდნენ, რასაც უკვალოდ არ ჩა-

უფლია — ვან ბატისტ კარკომ და აუგუსტ როდენმა მოიწონეს „სინათლის“ იმპრესიონისტული გაგება.

იმპრესიონიზმზე საუბრისას არ უნდა დავივიწყოთ აკადემიზმთან დაულაღავედ მებრძოლი მაქს ლიბერმანი (1847-1937); მისი სიმპატიები დეგასა და მანესკენ იწრებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მხატვარს საფრანგეთში არ უცხოვრია.

მიადწია რა განვითარების მწვერვალს, იმპრესიონიზმს ცალმხრივ მრავლმხრივ გადაქცევის საშიშროება დაემუქრა. ამ მიმდინარეობის მხატვრებმა დაივიწყეს ფრანსუა და მანარსის პარმონიულობის აუცილებლობა და შემოქმედებითი ენერგია „სინათლის“ პრობლემის კვლევას მოახმარეს, სინამდვილე კოლორიტული საღებავების ელვარებაში, არსი კი ფერების სიუბვეში დამარხეს.

იმპრესიონიზმის წიაღში ახალი განშტოებები მომწიფდა, რომელთა მიმდევრები ძველ პრობლემათა ნოვატორულ ინტერპრეტაციას იძლეოდნენ.

ნეო-იმპრესიონიზმის მამამთავრებად კამილ პისარო (1859-1903) და ჟორჟ სიორა (1859-1891) ითვლებიან.

სიორამ შემოქმედებითი პროცესი სპაროგრამო მოძღვრებას დაუქვემდებარა და იმპრესიონიზმი „ინსტიტუტის“ ტყვეობისაგან დაიხსნა, რითაც ტილოებზე დროის მივიწყებული იდეალი აღადგინა.

მხატვარი დაინტერესდა ეუენ შვერელის თხზულებით სინათლის სპექტრის ფერებად დაყოფის შესახებ (დივიზიონიზმი) და მან ამ საკითხის მეცნიერული დასაბუთება მოინდომა; უარყო რა საღებავების შეზავების პრინციპი, სიორამ სასურველ ტონებს სხვადასხვა ფერის წერტილების ზომიერი შეჭერებით მიაგნო (პუანტელიზმი) და შუქ-ჩრდილების ხატოვანი თამაშით ეს „ოპტიკური ნაწავი“ ძნელად შესამჩნევი გახადა. ასე მაგ. მხატვარმა მწვანის ანოციაციები ყვითელი და ლურჯი პუნქტირებით გამოიწვია.

მხატვარს სურდა იმპრესიონიზმისათვის ნიშნული წამიერი შთაბეჭდილებანი შეცნობად პარმონიად გარდაეჭმნა, რაც განწყობილებას სიმყარეს, საგნებს კი გარკვეულობას მიანიჭებდა; ამის ნათელი დადასტურებაა, სიორას ნამუშევრები „კვირა-დღე გრანდ-უატში“ და „ცირკი“. მხატვარი ტილოებს გეომეტრიული გაანგარიშებით აგებდა, რითაც ისინი ეგვიპტურ ფრესკებს ენათესავებიან. სიორა ძალზე ახალგაზრდა, ოცდაათობმეტი წლისა გარდაიცვალა.

1886 წლის გამოფენამ ცხადყო, რომ დივიზიონიზმისა და პუანტელიზმისადმი ადრინდელი საყოველთაო ინტერესი რამდენადმე შესუსტდა.

იმპრესიონიზმში მორიგი სიახლე მოლანდიელმა ვინსენტ ვან გოგმა (1858-1890) შემოიტანა; იგი დაინტერესდა ადამიანის ხულიერი დისპარმონიით და ეს შინაგანი დრამა საკუთარი შემოქმედების საგნად აქცია.

მხატვარი ერთხანს ბორინაუში (ბელგია) მსახურობდა მოძღვრად; გაეცნო რა მუშათა დუბჰირ ცხოვრებას, ვან გოგი ამ კლასისადმი თანაგრძნობით განიშსკვალა, რამაც ხელისუფლების ყურადღება მიიქცია, შემოქმედი იძულებული შეიქნა ბორინაუი დაეტოვებინა.

ვან გოგის შემოქმედებაში რელიეფურად გამოიკვეთა მხატვრის რეალისტური ხედვა, პროტესტი არსებული უსამართლობისადმი; მაგრამ რადგან მხატვარი მაღალ იდეალებს ფორმალისტური საშუალებებით გამოხატავდა, იგი განთავისუფლებულა ეხთეტიზმის ტყვეობისაგან; მას არ აინტერესებდა საგნების ტიპური ნიშნები; მოვლენებიდან რაღაც წამიერსა და განსაკუთრებულს ამოკრებდა, რითაც ხაზს უსვამდა საკუთარ დამოკიდებულებას გამოსახატავი საგნისადმი.

ვან გოგის შოღვაწეობა ათი წლით შემოიფარგლა. შედეგები მან სიცოცხლის ბოლო სამწლეულში, საფრანგეთში ცხოვრებისას შექმნა.

ბორინაუის მძიმე დღეების შემდეგ მხატვრის ჭანჭრთელობა სულიერმა დეპრესიამ სერიოზულად შეარყია; იგი ვერ შეეგუა პარიზის მოჩვენებითად ბრწყინვალე ცხოვრებას, თუმცა აქტიურად მონაწილეობდა გოგენტან და ტულუზ ლოტრეკთან გამართულ დისკუსიებში. ვან გოგისათვის მეტად ნაყოფიერი იყო არღში გატარებული 1888 წელი. თუმცა მის სულიერ კრილობებს ვერც სამხრეთის ეგზოტიკა დაედო მაღამოდ. ღრმა სკეპსისი გამოვლინდა ტილოებზე „კაფე ლამის ქუჩაზე“, „ინგლისური ხიდი“, „ბელოვანის ოთახი“, სადაც მკვეთრი კონტურები ლოკალური ფერებითაა გაერთიანებული.

საგულისხმოა, რომ ვან გოგს პალიტრა სან-რემოსა და სან-პაულის სულით ავადმყოფთა

სახლში გატარებულ უმძიმეს დღეებშიც კი არ გადაუდია გვერდზე, მის ბოლო ნამუშევრებში ფერთა ცეცხლოვანება თაღის კონტურებითაა შეცვლილი. ფრიად საინტერესოა მხატვრის თეორიული მსჯელობა ფერებზე, რომელიც ძმისადმი — თეო ვან გოგისადმი ვაგზავნილ წერილებშია გამოთქმული.

ვან გოგის ტილოები გოდებენ ეგზისტენციურ ტკივილებზე, ფერთა კანები კი გვამცნობენ ადამიანის სატკივარს და თანადგომას გვთხოვენ, იმპრესიონიზმის ასეთ ვან-გოგისეულ — გაგებას მოგვიანებით ექსპრესიონიზმი ეწოდა.

ნეო-იმპრესიონიზმის მესამე მიმართულებამ თავი იჩინა პოლ გოგენის (1848-1902) შემოქმედებაში. შემოქმედებითი პოზიციით გოგენი იშთავეითვე ტრაგიკულად დაშორდა თანამედროვეთა ყოფას და მან გადაწყვიტა წარსულში ეძებნა მარმონის იდეალი; მიატოვა ოჯახი, დათმო ბრწყინვალე კარიერა და ბრეტონში გაემგზავრა, სადაც ვაიცნო საშუალო ტალანტის მქონე, ენაკვიმატი კრიტიკოსი ემილ ბერნარი, ვისი რჩევითაც ნატურალიზმს თავი დაანება და მარტივი, მასიური ფორმების შექმნით დაინტერესდა. გოგენმა შუქს ჩრდილები ჩამოაწორა და მხატვრობაში მკაცრ შინაგან წესრიგზე დაფუძნებული მონუმენტურობა შემოიტანა, ეს ტენდენცია (პონტა-ავეს სკოლა) შესანიშნავადაა გამოვლენილი ტილოებზე „ლამაზი ანუელა“, „ხილვები აღსარების შემდეგ“, ნახატზე „უვითელი ქრისტე“, გლების ქალების ინტიმურ განცდებს რომ გამოხატავს, შეინიშნება, ბრეტონული ხალხური ხელოვნების გავლენა, არაბუნებრივი ფერების სიმბოლიკას (წითელი ხეები) ბუნების წიაღზე მეტად, აზრთა სამყაროში შევსავართ, გოგენმა სიმბოლიზმი ამგვარი გაგებით ჩააქსოვა გლებებისა და აბორიგენების განსახიერებაშიც.

1881 წელს გოგენი კვლავ აქტიურად ჩაება პარიზის კულტურულ ცხოვრებაში; მისმა სიმბოლიზმმა ხელოვნებით გატაცებული წრეების აღფრთოვანება გამოიწვია. მოგვიანებით მხატვარი კუნძულ ტაიტიზე გაემგზავრა და ცხოვრება ველურ გარემოში, განმარტოებულ ფერმაში დაასრულა. გოგენი კეთრით გარდაიცვალა.

ბოლო და მეტად მნიშვნელოვანი ნეო-იმპრესიონისტული მიმდინარეობა პოლ სეზანის სახელთანაა დაკავშირებული (1839-1905).

სეზანის სამშობლო სამხრეთ საფრანგეთია (ქალაქი ექსე). მხატვარი პარიზში და „შვეიცარიის აკადემიის“ კერძო სკოლაში იმპრესიონისტებს დაუახლოვდა, მოიხიბლა კურბეს შემოქმედებით, თუმცა საშუალოდ დარჩა დელაკრუასა და ანტიკური ხელოვნების თაყვანისმცემელი. 1878 წელს პისაროს რჩევით, მან ქალაქგარეთ დაიდო ბინა და სხვა იმპრესიონისტთა დარად ღია ცის ქვეშ იწყო ხატვა. უხეში ფუნჯი და „შპახტელი“ რბილი ფუნჯით შეცვალა, რამაც მის ქმნილებებს პლასტიკურობა და სიფაქიზე შესძინა.

იმპრესიონისტების პირველ გამოფენაზე სეზანმა წარმოადგინა „ჩამოხრჩობილის სახლი“, ხოლო 1877 წლის მესამე, წარუმატებელი გამოფენის შემდეგ პროვანსში გადასახლდა — ჯერ მარსელში ცხოვრობდა, მერე ექსეში. სეზანმა საყოველთაო ყურადღება პირველად 1895 წლის გამოფენაზე მიიპყრო.

მხატვარი ილაშქრებდა ბუნდოვანების, სურათის იმპრესიონისტული დაშლის წინააღმდეგ და წამიერი შთაბეჭდილების ნაცვლად კარგად შესწავლილ საგანს გამოხატავდა; იგი ლოგიკურობასა და კომპაქტურობას ანიჭებდა მთავარ მნიშვნელობას და კამკამა ხალებავების გამოყენების აუცილებლობა უკანა პლანზე გადააქონდა.

სეზანი მიიჩნევდა, რომ სინამდვილე და ხელოვნების ჭეშმარიტი ქმნილება ორი განსხვავებული მცნებაა, ამდენად გამოსახატავ საგანს მხატვრის წარმოსახვაში ჯერ ისე უნდა ეცვალა ხაზე, კომპოზიციის აგების ნორმებს დამორჩილებოდა, ხოლო ფერები ისე ხატონად უნდა გამოსახულიყო, საგნებს სასურველი ფორმა რომ მიეღოთ. მხატვარმა მართლაც მიაგნო ბალანსს ობიექტის ბუნებრივ და გამოსახატავ ფორმას შორის, რითაც ჩანაფიქრს ხილრმე შემატა და თავის ქმნილებებს შუქ-ჩრდილების თამაშით განუმეორებლობა მიანიჭა. მან მხატვრობისათვის აბსტრაქტული მცნებები: სინათლე, წყალი, ჰაერი, ხელშესახები მშვენიერებით გამოსახა, მოშალა ზღვარი შემოქმედის სუბიექტურ განწყობილებასა და კომპოზიციის კონსტრუქციულ წესრიგს შორის და გარე სამყაროსთან ეავშირი შეინარჩუნა.

სეზანის ყოველი მომდევნო ნამუშევარი მისი მრწამსის ანარეკლია — გამოსახატავი საგანი გამოხატვის საერთო ნორმას უნდა ექვემდებარებოდეს.

სეზანმა საგნობრივ-მატერიალური და გრძნობად-სენსუალურის ამ ნოვატორული გაგებით იმპრესიონიზმი ახალ სიმაღლეზე აიყვანა.



ზიგურიდ ლენცი — „დანაპარბი“

ზიგურიდ ლენცი ამჟამად ყველაზე სახელმწიფოებრივ დახვედრებულ პროზაიკოსთა შორის იხსენიება. მის კალამს ეკუთვნის ცხრა რომანი, ნოველების ათი კრებული, პიესები თეატრისთვის და რადიოსთვის, ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები და ესეები. ზ. ლენცი — ფართო დიპლომატიის და მრავალმხრივი ნიჭიერების მქონე მხატვარია. მისი ტალანტი, მრავალი კრიტიკოსის აზრით, ყველაზე აშკარა გამოხატულებას მცირე მოთხრობების ფანჯრებში პოულობს. „პატარა ადამიანის“ ბედისადმი ინტერესი, ყოველდღიური ცხოვრებისეული მორალური კონფლიქტების მნატვრული ხორცშესხმა, ჭერ კიდევ გაუაზრებელი, თუმცადა მომწიფებული—ეთიკურ-სოციალური პრობლემების გრძობა, სახის გამომსახველობა და დამაჭერებლობა, პორტრეტის ხატვის ოსტატობა, დეტალის და ფესტის პლასტიკა, თხრობითი ტექნიკის მაღალი დონე — ყველა ეს ღირსება მწერლის შემოქმედების ძლიერ მხარეებს განეკუთვნება. პერსონაჟთა ფსიქოლოგიაში წყდომა, სასიათების ხატვა მათ რთულ დიალექტიკურ ურთიერთკავშირში და გმირთა ლირიკული განცდების გადმოცემა კი ნაკლებად ხელეწიფება მწერალს.

ზ. ლენცის ახალ რომანში ორი თხრობითი პლანი შეინიშნება: პირველი — გმირის ამბავი, რომელმაც ინსულტი გადაიტანა და დაკარგა მეტყველების უნარი; მეტყველებაწართმეულს შეუყვარებულმა ზურგი აქცია. ეს სტანჯავს და თრგუნავს გმირს. მეორე — მომხდარი ამბის ფილოსოფიური ინტერპრეტაცია. ხმის დაკარგვა გმირისათვის საშუაროს დაკარგვის ტოლფასია. საშუარო თავის წიაღში უთვალავ სულიერ სიმდიდრეს ინახავს, ეს სიმდიდრე სიტყვაშია დაფიქსირებული და მისი მეშვეობითაა მისაწვდომი. მაგრამ სიტუაციის პარადოქსულობა ისაა, რომ ეს დანაკარგი გმირს ერთგვარ თავისებურ ეგზისტენციურ შენაძენად ექცა, — თითქოს ხელახლა აღმოაჩინა მან თავის თავი. ამ სერიალში გამოცდამ მას საშუალება მისცა განეხილავებინა ერთმანეთისგან კვებარითი და მოწვევებითი ღირებულებები.

ჯუჯუავე გონივარის რომანები

იტალიელი პროზაიკოსი ჯუჯუავე ბონივარი (დაბ. 1924 წ.) მახალას თავის წიგნებისათვის სიცილიის თანადროულობაში ეძიებს, მშობლიური კუნძულის მითები, ზღაპრები, ლეგენდები მკვებავი წყაროა მისი შემოქმედებისა. მწერალმა ბავშვობა და ყრმობა სიცილიის შუაგულში, ქალაქ მინეოში გაატარა. ამ ქალაქში ხშირად ჩადიოდნენ მკითხავეები, ოინაზები, მოხეტიალე მომღერლები. ბონივარის პირველივე ნაწარმოებებმა — „მკერავი მთავარი ჯუჩიდან“ (1954), „მხარე სადაც მწიფს ზეთისხილი“ (1958) და „ქვის მდინარე“ (1968) — გამორჩეული ადგილი მიანიჭეს მას სიცილიელ მწერალთა შორის: ყურადღებას იპყრობდა რეალისტურ ყოფით პროზაში ფანტასტიკური და მითოლოგიური მასალის უცნაური ჩასმა, ასევე აგებული ბონივარის მომდევნო ნაწარმოებები — „ღვთაებრივი ტყე“ (1969), „ღამეები მთაზე“ (1971), „ყველაზე ტბილი“ (1978). თითქმის ყველა რომანი განეკუთვნება მწერლის საყვარელ მოგზაურობის ფანჯრს. ეს მოგზაურობის ადგილსამყოფელი ან მიკროსამყარო ან კიდევ კოსმიურ მანუბრებში დანახული მიკრო სამყარო. მოგზაურობა ბონივარისთან მუდამ ფანტასტიკურ ფორმას იღებს.

მითოლოგიური, ფანტასტიკური მახალა არასდროს არ არის მწერლის მიერ თვითმიზნურად გამოყენებული. ის ყოველთვის დატვირთულია გარკვეული აზრით და მას ხშირ შემთხვევაში, სოციალური ხატირის ქვეტექსტი ახლავს.

ალლის ბრანდშეტერი — „წიხვილი“

პროზაიკოსი ალლის ბრანდშეტერი (დაბ. 1938 წ.) ავსტრიულ ლიტერატურაში 60-იანი წლების ბოლოს მოვიდა. მას აქეთ შვიდი წიგნი გამოსცა — სამი რომანი და მოთხრობები. ამ წიგნების საერთო ფონია — მრავალსაუკუნოვანი კულტურული ტრადიციებით მდიდარი, თუმცა და ნაკლებად დაცული და ერთფეროვანი ავსტრიული პროვინციის ცხოვრება: განათლებით და ძირითადი სპეციალობით ბრანდშეტერი ფილოლოგ-გერმანისტია; მისი თხზულებები მოკლებულია უშუალო მხატვრულ გამომსახველობას და მეტნაკლები ხარისხით ენობრივი ექსპერიმენტის კვალს ატარებს.

მოცულობის მხრივ „წიხვილი“ ბრანდშეტერის ადრინდელ რომანებს აღემატება, თუმცა შინაარსობრივი სიმდიდრის და მოვლენათა თავმოყრის მხრივ უკარად ჩამორჩება. მათ რომანი აგებულია უოფილი მეწიხვილის „მემუარებზე“. მეწიხვილემ მიმართავს თავის ბიდაშვილს — მოდერნიზებული, ავტონატურად ხამართავი მექანიზმის მფლობელს. მოგონებებს შედარებით ნაკლები ადგილი უჭირავს ამ წიგნში. „ხელნაწერის“ უმეტესი ნაწილი სულიერ ანდერძს ეთმობა. აქ შევხვდებით განაწრებებს მორალის თემაზეც და მეწიხვილის ხელობის, მასთან დაკავშირებული ჩვევების დაწვრილებით განხილვასაც.



«САУНДЖЕ»


ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ

На грузинском языке

1985 № 5


СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ
ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ



კარლ მოსლერი, მოწმარტრის პარკი

610/158



კოლ გომეზი, კოლინეზიელი ქალები

70182